ანდრია ალფაქიძე

ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში

I

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი * 1963

902.7 (C 41)
902.7+9] (47.922)
ა.916

წიგნში განხილულია ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დახასიათებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, აღმოჩენილი ბაგინეთზე — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის შიდაციხეში, სარკინეში, წიწამურის გორაზე, არმაზისხევთან, სამთავროსა და, საერთოდ, **დიდ მცხეთაში**. ანტიკური ქართლის საქალაქო ცხოვრების შესასწავლად ავტორი იყენებს სახელდობრ: ახლადაღმოჩენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს (საფორტიფიკაციო, სამეურნეო, საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ნაგებობანი, სასახლეებისა თუ ტაძართა ნანგრევები, სახელოსნოთა ნაშთები), სამარხ ნაგებობათა უმთავრეს ტიპებს, სამარხეულ მასალას (მათ შორის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა კუთვნილ ინვენტარს). გათხრებისას აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროთა მონაცემებს და ა. შ.

მრავალმხრივი მასალის განხილვისა და ანალიზის საფუძველზე ნაშრომის ავტორი ცდილობს დაახასიათოს ანტიკური ხანის ქართული ქალაქის გარეგნული სახე, მისი უმთავრესი ნაწილები, ქალაქის მოსახლეობის სოციალური და ეთნიკური შედგენილობა, საქალაქო ხელოსნობა (მათ შორის მშენებლობის ხელოვნება, მხატვრული ოქრომჭედლობა, მელითონეობა, მეთუნეობა და სხვ.) და ხელოსანთა უმთავრესი ფენები და ჯგუფები. ამასთანავე, აღძრულია სხვა ხალხებთან თუ ქვეყნებთან სავაჭრო-სააღებმიცემო, კულტურული, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობის საკითხები ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან ადრეფეოდალურ ხანამდე. ამდენად, ნაშრომში აღძრულ საკითხებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება არამარტო საქალაქო ცხოვრების, არამედ საერთოდ ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ისტორიის კვლევისათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ქალაქები, მათი წარმოშობისა და საქალაქო ცხოვრების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში

საქართველოში ქალაქების წარმოშობის, საქალაქო წყობილების და საქალაქო ცხოვრების საკითხების შესწავლა დიდი ხანი არ არის, რაც საგანგებო კვლევის საგნად იქცა. ეს შეეხება საერთოდ საქართველოს ქალაქებს და, განსაკუთრებით, ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ქალაქებს.

ანტიკური ხანის ქალაქების — ვაჭრობა-ხელოსნობასა, მიწათმოქმედებასა და მიწათმფლობელობაზე დამყარებული ქალაქების ისტორია არის არსებითად მთელი ძველი, კლასიკური ხანის ისტორია[1]. ეს განსაზღვრა შეიძლება მთლიანად საქართველოს, ე. ი. კოლხეთის და ქართლის (იბერიის) სამეფოების, ქალაქებზედაც გავავრცელოთ. ახლა უკვე საკმაოდ კარგად არის გამორკვეული, რომ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ ქართლის სამეფოს სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყოველ სფეროში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე გამავალ სავაჭრო მაგისტრალთა გასწვრივ მრავალი ქალაქი და ქალაქური ტიპის მოსახლობა აღმოცენებულა, მაშინ შეიძლება იბერიის სამეფოში ქალაქების სიმრავლე ქვეყნის საერთო დაწინაურებისა და თვით ქალაქური ცხოვრების დიდი მნიშვნელობის მაჩვენებლად მივიჩნიოთ. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მტკვრის აუზის ერთი მონაკვეთი დავასახელოთ. აქ, მდინარის პირას და, როგორც ჩანს, დიდი სავაჭრო გზის გასწვრივ, არა ერთი ქალაქი აღმოცენებულა; ასეთებია, მაგალითად: ხ უ ნ ა ნ ი, რ უ ს თ ა ვ ი, თ ბ ი ლ ი ს ი, მ ც ხ ე თ ა, კ ა ს პ ი, უ ფ ლ ი ს-ც ი ხ ე, გ ო რ ი და ა. შ. უფრო მცირე ქალაქებია აღმოცენებული მტკვრის შენაკადთა ხეობებშიაც — ახალგორი (ქსანზე), ცხინვალი (ლიახვზე), ახალქალაქი (ძამაზე) და ა. შ. ქართლის სამეფოს ქალაქები, რა თქმა უნდა, მითითებულითაც არ ამოიწურება. ამას გარდა, უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური გათხრები ანტიკური ხანის ქართლის ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებათა სიხშირეს ახალ-ახალი მასალებით ადასტურებენ. არსებითად, ახალი ნივთიერი საბუთები ჩნდება ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა სიმრავლის დასასაბუთებლად და საქალაქო ცხოვრების უკეთ წარმოსადგენად, თორემ სათანადო მითითებები ქართულმა და უცხოურმა საისტორიო წყაროებმაც შემოინახეს; ასე მაგ., ძველი ქართული საისტორიო წყაროები, როგორც ცნობილია, შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს ქართლში საქალაქო ცხოვრების საკმაოდ ადრე ჩასახვის შესახებ და უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის ძლიერი ქალაქების არსებობას ვარაუდობენ: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ალექსანდრე მაკედონელმა „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად“[2]. მატიანე იქვე ჩამოთვლის ამ ქალაქებს. ესენია: ს ა რ კ ი ნ ე, კ ა ს პ ი, უ რ ბ ნ ი-ს ი და ო ძ რ ხ ე, თავიანთი ციხეებითურთ.

[1] К. Маркс, Формы, предшествующие капиталистическому производству, ВДИ, № 1, М., 1940, გვ. 15.

[2] ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი, I, გვ. 11.

ლეონტი მროველთან ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ „ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე .ალაზანთასა და უწოდა სახელი თჳსი ჰ ე რ ე თ ი“[3]; იქვე მითითებულია, რომ „ეგროს აღაშენა ქალაქი... ე გ რ ო ს ი“ და ამის შემდეგ იწყება რიგი ქალაქების მშენებლობა: ქართლოსი და მისი მეუღლე აშენებენ ქ ა რ თ ლ ს, ხ უ ნ ა ნ ს და რ უ ს თ ა ვ ს; გაჩიოს — ქალაქ გ ა ჩ ი ა ნ ს; მცხეთოსი — მ ც ხ ე თ ა ს; ოძრხოსი — ო ძ რ ხ ე ს და თ უ ხ ა რ ი ს ს; ჯავახოსი — წ უ ნ დ ა ს დ ა ქ ა ლ ა ქ ს ა რ ტ ა ნ ი ს ა ს; უფლოსი — უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე ს, უ რ ბ ნ ი ს ს ა და კ ა ს პ ს და ა. შ.[4]. ასე წარმოიდგენს ლეონტი მროველი ქალაქების მშენებლობის უძველეს საფეხურს.. როგორც ჩანს, ლეონტი მროველიცა და მისი წყაროების ავტორიც გულისხმობდნენ მრავალ ქალაქს საქართველოში ადრე ელინისტური ხანისათვის მაინც.

უფრო დაწვრილებით არის აღწერილი ლეონტი მროველის მიერ მომდევნო ხანის ციხე-ქალაქების მშენებლობა. ლეონტი მროველი ცდილობს ქალაქების გამაგრება და, საერთოდ, ციხე-სიმაგრეთა მშენებლობა ქვეყნის ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნებს დაუკავშიროს. ქართლის სამეფოს, როგორც ჩანს, სპარსთაგან საფრთხე მოელოდა: „ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისთჳს დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“[5]. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ქართლის სამეფოში მრავალი ქალაქი არსებობდა. მათ რიცხვს, მემატიანის მიხედვით, სარკინეც მიემატა და ქართლის სამეფოს მესვეურები კვლავ განაგრძობდნენ ციხეთა და ქალაქთა გამაგრებას და იმეგობრებენ უცხოელებს „შემწეობისთჳს სპარსთა ზედა“.

ამის შემდეგ, მროველი მოგვითხრობს ებრაელთა გადმოსახლების ამბავს. ქართული საისტორიო ტრადიცია მცხეთის ებრაული კოლონიის გაჩენას ძალზე ადრეულ ხანას უკავშირებს; სახელდობრ იმ დროს, როდესაც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო და დაანგრია იუდას სამეფოს დედაქალაქი იერუსალიმი (ძვ. წ. 586 წ.)[6]. ჩვენ ამას იმიტომ მივუთითებთ, რომ ეთნიკური სიჭრელე ყველაზე უფრო ქალაქისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამიტომ, წყაროების მითითება თურქთა, ურიათა, ბერძენთა, ასურელთა, ხაზარელთა, სომეხთა და ქართველთა დამეგობრების შესახებ, საქალაქო ცხოვრების დაწინაურების მომასწავებელიც უნდა იყოს[7], მით უმეტეს, რომ ეს ცნობები ყოველთვის ქალაქებთან დაკავშირებული ჩანს. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ამ გზით გახდა ეთნიკურად მრავალფეროვანი ქართლის სამეფო და ქართლის ქალაქები. ლეონტი მროველის წყაროს ყურადღების გარეშე არ რჩება ქალაქთა და ციხეთა განმტკიცების ფაქტებიც. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარმა პირველი შეტევით ვერ დაანგრია ქართლის ციხეები და ქალაქები „რამეთუ პოვნა ც ი ხ ე ნ ი მ ა გ ა რ ნ ი და ქ ა ლ ა ქ ნ ი ძ ლ ი ე რ ნ ი“[8]. აქ ისიც საყურადღებოა, რომ ლეონტი მროველის მიერ გამოყენებული საისტორიო წყაროდ კარგად არჩევს ერთმანეთისაგან იმ დროის ციხეს და ქალაქს (ც ი ხ ე ნ ი — მ ა გ ა რ ნ ი, ქ ა ლ ა ქ ნ ი — ძ ლ ი ე რ ნ ი).

ქართლის სამეფოს უძველესი, უკვე წინაელინისტური ხანის ქალაქთა დახასიათებისას პირველ რიგში იქცევს ყურადღებას მათი სიძლიერის ხასგასმა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები გვიჩვენებენ, რომ ესენი პირველ რიგში გამაგრებული ქალაქები — ციხე-ქალაქები არიან. ლეონტის ცნობა იმის შესახებ, რომ ალექსანდრემ „...პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი“, სტრაბონის მითითება იმის შესახებ, რომ „ვიდრე ერთმანეთს შეერთვის (მტკვარი და არაგვი), იმ ადგილას მდებარეობს გ ა მ ა გ რ ე ბ უ ლ ი ქ ა ლ ა ქ ე ბ ი კლდეებზე...“ და ზღუდე-გალავნებისა და კოშკ-კონტრფორსების აღმოჩენა არმაზციხეში, წიწამურში, სარკინეზე, სავანეში, გორის-ციხეზე, ურბნისში, უფლისციხესა და სხვ. მიგვითითებს ძლიერ, ე. ი. გამაგრებულ ქალაქთა არსებობაზე წინაელინისტური ხანის საქართველოში. რა თქმა უნდა, ყველა ქალაქი ერთნაირად არ უნდა ყოფილიყო გამაგრებული და უდიდესი ნაწილი დასახ-

[3] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, გვ. 5.

[4] დაწვრილებით ამ საალმშენებლო მოღვაწეობის შესახებ იხ. ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, გვ. 5—14.

[5] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, გვ. 15.

[6] შდრ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 163.

[7] შდრ. ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, გვ. 15—16.

[8] ი ქ ვ ე, გვ. 17.

ლებული პუნქტებისა სულაც გაუმაგრებელიც შეიძლება დარჩენილიყო, მაგ.-ამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ქართლის ტერიტორია, მართლაც მეტწილად კარგად ყოფილა დასახლებული გამაგრებული ქალაქებით, დაბებითა და სოფლებით. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასახლებულ პუნქტთა გამაგრებას საქართველოში იმ დროს უკვე ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა. საამისოდ ქსენოფონტეს ცნობებიც[9] იკმარებდა, მაგრამ არქეოლოგიურმა ძიებებმა გამაგრებული დიხა გუძუბა[10], გორსიოლაფირი, ხოვლეგორა და მრავალი მისთანანი გამოავლინა. ამრიგად წარმოდგენილი სურათი საფუძველს გვაძლევს წინააზიის მიდამოებსაც მივხედოთ და საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში და ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროთა ამ ჩვენებებში შორეული ანალოგი მაინც შევნიშნოთ იმისა, რაც ასირიულ და ურარტულ წყაროებშია დადასტურებული; სახელდობრ: ქართლის ზოგი გამაგრებული ქალაქის შესახებ ცნობა შეადაროთ ასირიულ წყაროთა „გამაგრებულ, გალავანშემოვლებულ ქალაქებს“ (âlâni dannuti bît dûrâni)[11].

ასეთ პარალელს, ჩვენის აზრით, მხარს უჭერს საქართველოში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებიც: უფრო ზუსტად, ამ წარწერათა ზოგიერთი ცნობის — ფორმულის შედარება მანას სამეფოს ვითარების ამსახველ წარწერათა სათანადო ცნობებთან. ასე მაგ., სარგონი ასახელებს საქეფოს დიდი თანამდებობის პირებს „დიდინაცვლები მანა ქვეყნის (მეფისა)“ (amêl Šaknûti mât Manmai rabûti). ვარაუდობენ, რომ საქმე ეხება სუეერენულ, შესაძლოა მემკვიდრეობით მმართველებს[12]. ამ ცნობებს, ჩვენის აზრით, როგორღაც ეხმაურება მცხეთის წარწერათა მითითებანი „იბერთა დიდი მეფის“, ამ მეფეთა „ერისთავების“ და ეზოგსმოძღვართა შესახებ. ახლა კიდევ უფრო საყურადღებო ხდება ლეონტი მროველის ცხობა: „ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმზგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა გულისხმობდეს არა მაინცდამაინც მხოლოდ სპარსულს, არამედ საერთოდ მახლობელ აღმოსავლურს — წიხააზიურს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოთ მოტანილ ადგილას ჩამოთვლილ ქალაქთა ხსენებისას ლეონტი მროველს „მცხეთა და უბანნი მისნი“[13] აქვს დასახელებული. ასეთ უბნებად ავტორი ახსენებს: სარკინეს, ციხედიდს და ზანავს. ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წყაროთა ავტორისა და ლეონტი მროველის შეხედულებისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ მათ მცხეთა უბნებისგან შედგენილი წარმოუდგენიათ; ე. ი. მათი შეხედულებით, უკვე ადრე ელინისტური ხანის ქართლის ქალაქს უნდა ჰქონდეს „უბანნი მისნი“.

დაწერილებითა აქვს ლეონტის მოთხრობილი ქალაქების მშენებლობა ფარნავაზის ცხოვრებამოღვაწეობის აღწერისას. აქ ყურადღებას იქცევს ძველი ქალაქების აღდგენა და საკუთრივ მცხეთის მშენებლობა: „ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოკრებულნი ალექსანდრესაგან, ამან აღაშენნა“[14].

ლეონტის მიხედვით ფარნავაზის დროინდელ ქართლში ყველა ქალაქი ერთნაირი დანიშნულებისა არ ყოფილა. მცხეთა გამოირჩეოდა სხვა ქალაქებისაგან, ის სამეუფეო ქალაქი — დედაქალაქი იყო. ფარნავაზის სამეფო რეზიდენცია მცხეთაში ჩანს: „თუენი გაზაფხულისა და სთულისა არისანი დაყვნის მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა; ხოლო ფუენი ზაფხულისანი — წუნდას. და ყამითი-ყამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი“[14a]. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ცნობა „დიდი ქალაქის მცხეთის“ შესახებ. დაცული ნინოს ცხოვრებაში. ამ ცნობებში ქართლის სამეფოს ქალაქთა გარკვეული დაჯგუფება ჩანს და ირკვევა მათი ხასიათი (ციხე, ქალაქი, ციხე-ქალაქი, სამეფო ქალაქი, დიდი ქალაქი, ქალაქი და ციხე მისი და ა. შ.).

---

[9] Ксенофонт, Анабазис, V, 15, М.-Л., 1951, გვ. 136.

[10] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, თბ., 1950, გვ. 101 და შდ.

[11] Г. А. Меликишвили, Некоторые вопросы истории Манейского царства, ВДИ, № 1, М., 1949, გვ. 69.

[12] იქვე, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

[13] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 17.

[14] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 25.

[14a] იქვე, გვ. 25.

ასევე დაწვრილებით აღწერს მროველი მომდევნო მეფეთა ღვაწლს ქართლის ქალაქების მშენებლობაში. „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს განსაზღვრული აქვს ქართლის ქალაქების მშენებლობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც. როგორც ვნახეთ, ზოგი ცნობა საფუძველს გვაძლევს საქალაქო ცხოვრების ჩასახვა, ლეონტი მროველის წყაროების მიხედვით, ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის დასასრულისათვის, ე. ი. VI საუკუნისათვის ვივარაუდოთ.

ქართული საისტორიო წყაროების დახმარებით ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა სახელწოდებებსაც ვიგებთ. ლეონტისა და ჯუანშერს ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის სახელად ქართლი წარმოუდგენიათ. ქართლი სამეფოს სახელიცაა და ძველი დედაქალაქისაც. წყაროები კარგად ანსხვავებენ ერთიმეორისაგან დედაქალაქის უძველესი ნაწილის სახელს — ქართლი, სამეფოს სახელისაგან — ქართლი ყოველი — ყოველი ქართლი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა...“ და სხვა წყაროები იცნობენ ქალაქის ასეთ სახელებსაც: „მცხეთაჲ“, „ძველი მცხეთა“, „ძველი ქალაქი“[15], „არმაზი“, „მცხეთა“[16] ან „არმაზით კერძი ქალაქი“ და „მუხნარით კერძი ქალაქი“[17].

ამრიგად, ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა აღმოცენების, სიმრავლის, სხვადასხვაგვარობის, მათი უბნებად დაყოფის, გამაგრების, აღდგენა-მშენებლობის, ეთნიკური შედგენილობის, სახელწოდების, ქალაქის მოსახლეობის სოციალური შედგენილობისა და სხვა საკითხებზე ქართულმა საისტორიო მწერლობამ, ჩვენის აზრით, დიდად მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „მეფეთა ცხოვრების“ ტრადიცია ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების შესახებ თუ მრავალმხრივ წარმოდგენას იძლევა, იგივე არ ითქმის შემდეგი ხანის ისტორიოგრაფიის შესახებ.

[15] Опис. рукописей, გვ. 709, 755

[16] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9.

[17] იქვე, გვ. 43.

[18] სტრაბონი, XI, III, 1.

[19] იქვე, XI, III, 5.

[20] ამ მხრივ დიონი გამორჩეული სხვებისაგან (შდრ. მისი Historia Romana, XXXV, II, I).

მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართლის (იბერიის) ქალაქების შესახებ უცხოურ საისტორიო მწერლობაშიაც. ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი იბერიის აღწერისას თითქოს საგანგებოდ ჩერდება დასახლების სახეებისა და „საქალაქო ხუროთმოძღვრების“ დახასიათებაზე[18]. ამას გარდა, სტრაბონი საყურადღებო ცნობას გვაძლევს მცხეთის ორი უბნის: არმაზციხისა და წიწამურის შესახებაც[19]. ასევე საყურადღებო ცნობები აქვს პლინიუსს, პტოლემაიოსს, დიონ კასიოს კოკკეიანს და სხვ. აქ სხვათა შორის, უურადღებას იქცევს „აკროპოლისის“ და „მესთლეტას“ ხსენება და მოკლე აღწერილობა ქალაქის ნაწილებისა[20].

მნიშვნელოვანი ცნობები შეიძლება ამოიკრიფოს მოსე ხორენაცის სომეხი ხალხის ისტორიისა[21] და ფაუსტოს ბუზანდაცის სომხეთის ისტორიაში[22].

მრავალრიცხოვანი ცნობებია დაცული ლაზიკის სამეფოს ქალაქების შესახებ ბიზანტიელ ავტორებთან. ამ ცნობების გამოვლინებისა, თარგმნისა და კომენტარების შედგენაში დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული პროფ. ს. ყაუხჩიშვილს[23]. კომენტარები და შენიშვნები ავტორისა მეტწილად ამომწურავად ახასიათებენ წყაროების მითითებებს და დიდ დახმარებას გვიწევენ დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის შესწავლის საქმეში.

გვიანფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში ანტიკური ქართლის ქალაქების საკითხთა განხილვას პირველ რიგში ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომებში ვხედავთ. სახელგანთქმულ ქართველ მეცნიერს მეტ-ნაკლების სისრულით აქვს განხილული თითქმის ყველა ქალაქი და მცირე ქალაქი. ის მოგვითხრობს ამ ქალაქების დაარსებისა და დამაარსებელთა შესახებ; განსაზღვრავს ამ ქალაქთა ხასიათს; აღწერს ქალაქის სიმაგრეებს. გვაცნობს სახელებს და საჭირო შემთხვევაში სახელთა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასაც. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით ვახუშტის აზრი ანტი-

[21] История армянского народа, Моисея Хоренского, перевод Н. Эмина, М., 1858, გვ. 152—153.

[22] История Армении Фавстоса Бузанда, Ер., 1953; Армянская география..., приписывавшаяся Моисею Хоренскому, изд. К. Патканова, СПб., 1876, გვ. 39.

[23] შდრ. გეორგიკა, ტ. I—IV.

კური ხანის საქალაქო წყობილებისა და მმართველობის შესახებ, მაგრამ შეიძლება არ იყოს უსაფუძვლო უძველეს ქალაქებზედაც გავავრცელოთ მის მიერ შედარებით გვიანდელი ვითარების შესახებ ნათქვამი: „კვალად რაოდენნი დაბანი ციხოვან-კოშკოვანნი დავსწერეთ, იგინი მათ უწოდებენ ქალაქად. არამედ ვინადგან არა აქუსთ მართველობა და განწყობილება ქალაქთა, აქა დაბად ვსთქვეთ"[21]. ხშირად მეტად საყურადღებო ცნობაა ვახუშტისთან დაცული იმის შესახებ თუ რატომ მიიღო ამა თუ იმ ქალაქმა განსაზღვრული ხასიათი. ასე მაგ., ხ უ ნ ა ნ ი ს შესახებ ნათქვამია, რომ ციხე-ქალაქი ქართლოსმა აღაშენა და „პირველ ეწოდა მ ტ კ ვ ა რ ი ს ც ი ხ ე, შემდგომად ხუნანი... ა მეფემან ფარნაოზ ყო საერისთაოდ, ვინათგან იყო ქალაქი და ნ ა პ ი რ ი ს ა დ გ ი ლ ი"[24*]. ამ რიგისაა მეტ-ნაკლებად ვახუშტის ნაშრომებში საქართველოს ქალაქების შესახებ თავმოყრილი ცნობები, რომლებიც ყოველთვის ძველ ქართულ საისტორიო წყაროებს არ ემთხვევა და მეტად საყურადღებო დამატებით მასალებს შეიცავს[25]; ასეა მაგალითად. ხუნანის შემთხვევაშიაც. ჩვენთვის უცნობია წყარო, რამაც საფუძველი მისცა ვახუშტის ეთქვა — ხუნანი იმის გამო გახადა საერისთავოდ ფარნავაზმა, რომ ის ნ ა პ ი რ ი ს ა დ გ ი ლ ი ა და თანაც ქალაქი. ასე ჩანს სხვა შემთხვევებშიაც. ყოველ შემთხვევაში ლეონტი მროველს არ მიუცია სახელგანთქმული მეცნიერისთვის ასეთი მსჯელობის საფუძველი.

1844 წელს რუსეთში გამოქვეყნებულ წიგნში „Нумизматические факты Грузинского царства" მიხეილ ბარათაშვილი მიუთითებდა პირველ ქართულ ცნობაზე თბილისის შესახებ. ეს ცნობა შეეხება შურის-ციხის ხსენებას ვარზა ბაკურის დროს (ვახუშტის მიხედვით 379 წელს)[26]. ავტორი ყურადღებას აქცევს იმას, რომ თბილისი ქალაქი და სიმაგრე ამ შემთხვევაშია პირველად ნახსენები, მაგრამ თავისი თბილი სამკურნალო წყლებით ის უძველესი დროიდან იყო ცნობილი საქართველოშიც და მეზობელ ქვეყნებშიაც. მ. ბარათაშვილი დაინტერესებულია თბილისის წარსულის შესწავლის ისტორიით; არჩევს იეზეკიელის, ჰეროდოტეს, იოსებ ფლავიუსის და სხვათა ცნობებს ამ ქალაქის ისტორიასთან დაკავშირებით და საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს მოტანილ ცნობათა გამო.

ქართულს ისტორიოგრაფიაში ყველაზე ადრე მიხეილ ბარათაშვილმა მიაქცია ყურადღება თბილისის შესახებ პირველ ცნობას, დაცულს ბერძნულს საისტორიო წყაროებში, კერძოდ თეოფანე ბიზანტიელთან. აი რას წერდა მ. ბარათაშვილი 1844 წელს გამოქვეყნებულ წიგნში: „Собственное же из Греческих христианских писателей упоминает о Тифлисе первый Феофаний в VI веке, называя его: Metropolis autem Iberorum Tiphlis"[27].

გასული საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოს ქალაქების წარმოშობის საკითხებს უძღვნა თავისი ნაშრომი პლატონ იოსელიანმა. 1844 წელს მან გამოაქვეყნა სათანადო სტატია შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალში, ხოლო 1850 წელს ცალკე წიგნაკიც გამოსცა.

პლ. იოსელიანის მიხედვით ქართული ქალაქების თავდაპირველი წარმოშობა წმინდა სამხედრო („თავის შენახვის") აუცილებლობით იყო გამოწვეული. ყველა უძველესი ქალაქი, რომელთა დაარსება ქართლოსსა და მის უახლოეს მემკვიდრეებს მიეწერება, პლ. იოსელიანის აზრით, სხვა არა იყო რა, თუ არა მთის ციხე-სიმაგრეები, რომელთა კედლებში აფარებდა თავს მოსახლეობა[28].

ავტორი არკვევს, რომ ქალაქები საქართველოში მთავარ მდინარეთა და მათ უმთავრეს შენაკადთა ნაპირებზე წარმოიშობოდა. ამ მხრივ პირველი ადგილი მდ. მტკვარს ეჭირა. მტკვრის აუზი უყრიდა თავს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. მტკვარზე არსებულ ქალაქებს ავტორი 3 ჯგუფად ანაწილებს: ზემო, შიდა და ქვემო ქართლის ქალაქები. ამას გარდა, მდ. ალაზანსა და ჭ. იორზე დამოუკიდებელი ჯგუფია ქალაქებისა; ორი ასეთი ჯგუფი ეგულება ავტორს დასავლეთ საქართველოში: ჭოროხისა და რიონის აუზების ქალაქები[29].

აქ, ჩვენის აზრით, ძალიან საინტერესო მოსაზრებებთან გვაქვს საქმე. მდინარეთა ურწყავადაც უხვმოსავლიანი ხეობები და საქართველოს

---

[24] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 117.

[24*] ი ქ ვ ე. გვ. 45.

[25] Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1954, გვ. 5.

[26] Михаил Б а р а т а с в, Нумизматические факты Грузинского царства, СПб., 1844, Сб-к I разр. გვ. 53.

[27] ი ქ ვ ე.

[28] П. И о с е л и а н и. Города существовавшие и существующие в Грузии. Тифл., 1850, გვ. 79.

[29] ი ქ ვ ე. გვ. 77—78.

ძთავარ მდინარეთა გასწვრივ გაბმული სავაჭრო გზები, რომელთაგან ჩვენთვის მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალებიცაა ცნობილი, ხელს უწყობდნენ ქვეყნის ეკონომიურ დაწინაურებას. არსებითად ამ გზებთან აკავშირებს პლ. იოსელიანი ქალაქების აღმოცენებას, რაც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქართლის (და საერთოდ) ქალაქების წარმოშობისათვის. ასევე საფუძვლიანი ჩანს პლ. იოსელიანი, როდესაც ის, უნდა ვივარაუდოთ განსაზღვრული აზრით, თავდაცვით მხარეს — მოსახლობის გამაგრებას უკავშირებს ქალაქის წარმოშობას. მართალია, ავტორი წარმოების თავმოყრისა და ვაჭრობის განვითარებას თითქოს წყვეტს იმ ფაქტორთაგან, რომლებმაც ქალაქების წარმოშობა შეაპირობეს, მაგრამ გარკვეული ნაწილი მისი შეხედულებებისა ქალაქების წარმოშობის საკითხში საფუძვლიანი და მართალი ჩანს, ანტიკური ხანისათვის მაინც.

ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ავტორის მოსაზრებები მცხეთის შესახებ. ამ ქალაქის მიმოხილვისას ბევრ მცდარ და ლეგენდარულ მოსაზრებათა გვერდით გვხვდება საყურადღებო მითითებანიც. ასე, მაგ., ავტორის აზრით, პტოლემაიოსის Mestlit და აგათიას Mechsisda უეჭველად მცხეთის დამახინჯებული გადმოცემაა. ამასთანავე, ავტორი ცდილობს სახელი ძველი დედაქალაქისა — „მცხეთა“ მესხთა სატომო სახელს დაუკავშიროს[30].

საქართველოს ძველი ქალაქების კვლევისას პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ივანე ჯავახიშვილის სამაგისტრო ნაშრომი „სახელმწიფო წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ სომხეთში“[31]. განსაკუთრებით დაწვრილებითაა იქ განხილული დასახლებათა ტიპები და მოცემულია ვრცელი ანალიზი სახელწოდებისა — „ქალაქი“, რომლის ეტიმოლოგია, როგორც ერთ-ერთი სხვა ნაშრომიდან ჩანს, ავტორს საბოლოოდ დადგენილად არ მიაჩნია[32].

მონათმფლობელური ხანის ქალაქების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს განსვენებული მეცნიერის ნაშრომს „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“. ამ ნაშრომის მეორე კარში განხილულია „ქალაქი და მისი ნაგებობანი“. ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით იკვლევს: ქალაქის დამახასიათებელ ნიშნებს, ქალაქის მთავარ ნაგებობებს, ქალაქის სავაჭრო და საზოგადოებრივი ნაგებობებს, გზებს და ხიდებს და ა. შ.

ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ „ქალაქში უნდა მოქალაქეთა სახლები და საქულბაქე ადგილები უნდა ყოფილიყო“[33].

წინაფეოდალური ხანის ვითარების აბსახველ წყაროთა მიხედვით ავტორი ასკვნის, რომ ქალაქი უბნებად იყო დაყოფილი. უბნებს თავისი კარიც ჰქონდათ და სახელიც. უბანთა შორის, მაგ., მცხეთაში, გამოყოფილი ჩანს: „ურიათა უბანი“, „მოგუთა უბანი“, სპარსელების, ასურელების, ხელოსნების და სხვ. უბნები. ამ რიგის უბნებს ავტორი განასხვავებს „შუა-უბნის“, „წინა-უბნისა“, „უკანა-უბნისა“ და „გარე-უბნისაგან“, ე. ი. მდებარეობის მიხედვით შექმნილ უბანთაგან.

ქალაქის უეჭველი დამახასიათებელი ნიშანი გალავანი; ქალაქის ზღუდე კარებად იყო დაყოფილი (მცხეთას, მაგ., 3 კარი ჰქონია).

„ამგვარად, — ასკვნის ავტორი — ქალაქის ნაგებობის მაშინდელ თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ მოსახლეობა დაჯგუფებული იყო, ერთი მხრით, ტომობრივად და თანამეტრფენი კიდევ ერთი ერთმანეთის გვერდით დასახლებას რჩებოდნენ... მეორე მხრით, დაყოფა საზოგადოებრივი მიკუთვნილობის მიხედვით ყოფილა. უბნებს თავისებურება უნდა ჰქონოდა ნაგებობის მიხედვითაც. მათ აბასიათებს განსაზღვრული ნაგებობანი, რომლებიც გარკვეულ ხუროთმოძღვრულ თავისებურებას მიანიჭებდა თითოეულ ამ უბანს. ზღუდეც და ციხეც უნდა ჰქონოდა ცოტათი მაინც მოზრდილ ქალაქს“[34].

ივანე ჯავახიშვილი განასხვავებდა ქალაქებს ერთმანეთისაგან სიდიდითაც, დანიშნულებითაც და მნიშვნელობითაც: „ყველაზე უფრო დიდს, მთა-

---

[30] П. Иоселиани, იქვე, გვ. 53.

[31] И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб., 1901.

[32] ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I; მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 33.

[33] იქვე, გვ. 39.

[34] ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I; მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თ.ბ., 1946, გვ. 41.

ვარ ქალაქს, რომელშიც პოლიტიკური მმართველობის ცენტრი იყო, მაშინაც დედაქალაქი ეწოდებოდა[36]. ამის შესაბამისად ავტორი დაასკვნის, რომ მცხეთა სავაჭრო, ადმინისტრაციული და სასამართლო ცენტრი ყოფილა.

უფრო გვიან, როგორც ჩანს, მცხეთაში არქეოლოგიურ სამუშაოთა გაშლასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი იკვლევდა ანტიკური ხანის მცხეთას და მის უბნებს. ამის საილუსტრაციოდ „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის 1951 წლის გამოცემა შეიძლება დავასახელოთ. ამ წიგნში დამატებების სახით, განსვენებული აკადემიკოსის არქივიდან შეტანილია „მასალები მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შესახებ" და ექსცერპტები მოხსენებიდან „გათხრები მცხეთა-სამთავროში", რომელიც წაკითხულია 1940 წლის 25 მარტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სესიაზე. ნაკვეთში „ქალაქ მცხეთის ისტორიისათვის", ივ. ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, სურდა, მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების გაშლასთან დაკავშირებით, მოეცა ქალაქ მცხეთის ისტორია და ამ მიზნით ამოუწერია სათანადო ცნობები ქართული საისტორიო წყაროებიდან. მცხეთასთან დაკავშირებით ამოუკრეფია მასალები საქართველოს სხვა ქალაქების შესახებაც (წუნდა, არტაანი, უფლისციხე, ურბნისი და სხვ.), ხოლო თვით ქალაქ მცხეთაზე მსჯელობა დამთავრებული არ არის"[38].

მიუხედავად ნაშრომის დაუმთავრებლობისა ივ. ჯავახიშვილს აქ გამოთქმული აქვს დიდად მნიშვნელოვანი მოსაზრება მცხეთაში საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-განვითარებისა და ამ ქალაქის უმთავრესი უბნის შესახებ. დამახასიათებელია, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს „მასალები" იწყება მცხეთის დაარსების საკითხის განხილვით: „ლ. მელიქსეთ-ბეგს გამოთქმული აქვს არაერთხელ დებულება, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, — რომ ქ. მცხეთა არას გზით არ შეიძლება, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეზე უწინარეს იყოს დაარსებული"[37]. ავტორის შეხედულება ამ ადგილას დასრულებული არ არის, მაგრამ მცხეთის გათხრების 1938 წლის მასალების მიმოხილვისას, თითქოს პასუხობს ლ. მელიქსეთ-ბეგს და ასკვნის: „მცხეთა ბრინჯაო-რკინის ხანაშიც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული"[38].

ანტიკური ხანის საქართველოს საქალაქო ცხოვრების საკითხების კვლევას, ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროების ახლებურ ანალიზს შედეგად მოყვა აკად. ს. ჯანაშიას არა ერთი ნაშრომი, მიძღვნილი ანტიკური ხანის ქალაქებისადმი. თბილისი, ფასიდი, პეტრა, მცხეთა და სხვა კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები არაერთხელ გამხდარან განსვენებული მეცნიერის ყურადღების საგანი.

ს. ჯანაშია ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების არქეოლოგიურ შესწავლას შეუდგა წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული შეხედულებებით. ეს წყაროები აძლევდნენ ავტორს საფუძველს აღენიშნა, რომ „უძველესი ისტორიული წყაროების ცნობების თანახმად, ანტიკური საქართველოს ქალაქები შედგებოდა ორი ძირითადი ელემენტისაგან: ერთი იყო საკუთრივ ქალაქი ანუ „დაბანი" (დასახლებული. საცხოვრებელი ნაწილი, ე. ი. „უდაბნო"-სთან დაპირისპირებული ადგილი — ა. ა.), მეორე — ციხე. ასევე იყო მოწყობილი მცხეთაც, ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესართავთან. იმავე ქართული წყაროების მტკიცებით... ფარნავაზმა დაიწყო მშენებლობა მთაზე, ახლანდელი მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ ფარნავაზმა ააშენა ზღუდე და ვითომც დადგა არმაზის კერპი მთის მწვერვალზე... შემდეგმა მეფეებმა გააფართოვეს მშენებლობა: სატახტო ქალაქის მთელ ტერიტორიას შემოავლეს ზღუდე, ააშენეს შიდაციხე არმაზში, დაამთავრეს ქალაქი მცხეთა, გაამაგრეს მთა ზედაზენი... მცხეთა გახდა „დიდი ქალაქი, დიდთა მეფეთა საჯდომელი", რომელიც ოთხივე მხრით დაცული იყო ოთხი ციხით; ამათგან არმაზის „შიდაციხე", „თავადი", მთავარი ციხე იყო... როცა 65 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდე საქართველოში მოვიდნენ რომაელები, მათ მდ. კირისა (მტკვარი) და მდ. არაგის (არაგვი) შესართავთან აღმართულ მაღლობზე ნახეს ორი ქალაქი — არმოზიკე, მდ. კირთან, და სევსამორა, მდ. არაგვთან. ეს ორი ქალაქი ერთმანეთზე დაშორებული ყოფილა 16 სტა-

[36] ი ქ ვ ე, გვ. 41.

[37] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951; ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობა, გვ. X.

[38] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 447.

[38] ი ქ ვ ე, გვ. 456.

ლიოსით... უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ცნობაში მოხსენებულია ერთი და იმავე ქალაქის ორი ნაწილი, ვინაიდან, ასე ახლო მანძილზე ორი დამოუკიდებელი ქალაქის არსებობა დამაჯერებელი არ არის. პტოლემაიოსი (II საუკუნე) არმოზიკეს უწოდებს არმაკიკას, პლინიუსი — ჰერმასტს; ეს არის ქართული სიტყვის — არმაზციხის (არმაზის ციხე) გამოთქმა ბერძნული და ლათინური ენების შესაფერისად. ვინაიდან არც ძველ ბერძნულს და არც ძველ ლათინურს არ ჰქონდათ ბგერები ზ და წ. მეორე მხრივ, დიონ კასიოსი ამტკიცებს, რომ იმავე ქალაქს ერქვა აკროპოლისი. აკროპოლისი შეესაბამება ქართულ შიდაციხეს... ეს იყო საქართველოს სატახტო ქალაქის მთავარი გამაგრებული ნაწილი; სახელი სევსამორაც ჩვენამდეა შემონახული. ეს არის წიწამური (2—3 კმ. მცხეთიდან ჩრდილოეთით). ამრიგად, ქართული ნაციონალური და უცხოური წყაროები ფარავენ ერთმანეთს. ეს ცნობები დაადასტურა და შეავსო არქეოლოგიურმა მასალამ"[39].

ეს ამონაწერი მკაფიოდ ამეღვანებს აკად. ს. ჯანაშიას შეხედულებებს ანტიკური ხანის ქართლის ქალაქის შესახებ. ნაშრომში „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში", თბილისის წარმოშობის საკითხების განხილვისას, აკად. ს. ჯანაშია ყურადღებას ამახვილებდა, სხვათა შორის, „ქართლის მოქცეევის" ჟელიბური საკითხავის შემდეგ ადგილზე: „მაშინ მოვიდა ხუარ... ტფ-ლის და კ-დ ციხედ" და აღნიშნავდა: „გამოდის, რომ დასახელებულია ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილი, ერთი მოსახლეობის და, მეორე, ციხის პუნქტები"[40]. შემდეგ, ავტორი ეხილავს მცხეთა-არმაზის და თბილის-კალას დამოკიდებულებას და ასკვნის: „კალა ისეთსავე დამოკიდებულებაშია ტფილისის მიმართ, როგორშიაც არმაზი — მცხეთის მიმართ"[41]. ამრიგად, ს. ჯანაშიამ მკაფიოდ გამოყო ანტიკური ხანის ქართლის ქალაქის ორი უმნიშვნელოვანესი ნაწილი: საკუთრივ ქალაქი და ციხე. ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება ქ. თბილისის ისტორიის ანტიკურ პერიოდსაც. უკვე IV საუკუნის შუა წლებისათვის, ს. ჯანაშიას მიხედვით, თბილისს ჰქონდა მოპოვებული ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც[42].

თბილისის ძველი ტოპონიმიკის შესწავლისადმი მიძღვნილ წერილში აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა, რომ „აგარაების" გარეშე თბილისის, როგორც ქალაქის წარმოქმნის ვითარება ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა. მან ამ მოსაზრების განზოგადებაც შესაძლებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ „ასეთი „აგარაები"... საგულისხმებელია ყოველი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი პუნქტის გარშემო. მაგალითად, მცხეთა-არმაზის უახლოესი აგარაები უნდა ყოფილიყვნენ ნაქულბაქევი, მუხათგვერდი, კარსანი, ქართლი, ციხე-დიდი, კოდმანი, წიწამური, ჯაჯვი, ჰავეალა (აქ არას ვამბობთ მუხრანის და დიღმის სოფლებზე... მცხეთა-არმაზს, როგორც ქალაქს, უეჭველია ხელი მიუწვედებოდა ამ „აგარაებზედაც")[43].

მცხეთას და არმაზს არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა ა. ბოლტუნოვამ. უმთავრესი მათგანი მცხეთაში აღმოჩენილ ბერძნულ წარწერებს შეეხება, მაგრამ იქაც არა ერთი საყურადღებო მოსაზრებაა ქალაქის შესახებ გამოთქმული. უფრო სპეციალურად ა. ბოლტუნოვა ეხება დედაქალაქს არმაზის საკითხთან დაკავშირებით და იბერიის სტრაბონისეული აღწერილობის განხილვისას.

ა. ბოლტუნოვას მოსაზრებანი, დაკავშირებული მცხეთის ბერძნულ წარწერებთან და, განსაკუთრებით, პირველი წარწერის ინტერპრეტაციასთან, სათანადო თავებშია განხილულ-დახასიათებული. აქ მხოლოდ იმას მივუთითებთ, რომ ავტორს ანტიკური ხანის ქართლის ქალაქები სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად მიაჩნია და თვლის, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში" აღწერილი იბერია ელინისტური ტიპის ჩამოყალიბებული სამეფოა, რომელსაც გამაგრებული ქალაქები, განვითარებული ვაჭრობა, სამეფო ხელისუფლება და წოდებრივი დანაწილება ახასიათებს[44].

---

[39] ს. ჯანაშია, საქართველოს ძველი დედაქალაქი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", № 19, 1945.

[40] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 11.

[41] ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 12.

[42] ს. ჯანაშია, თბილისის მოკლე ისტორიული ნარკვევი. კრებული „თბილისი", თბ., 1946, გვ. 11.

[43] ნ. ბერძენიშვილი, თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), „მიმომხილველი", ტ. II, გვ. 50, შენიშვნა I, თბ., 1951.

[44] А. И. Болтунова, Описание Иберии в „Географии" Страбона. ВДИ, № 4, 1947; მისივე, К вопросу об Армази, ВДИ, № 2, М., 1949, გვ. 160.

ქართლის (იბერიის) სამეფოს სატახტო ქალაქის დახასიათებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ფართოდ შეეხო პროფ. ს. კაკაბაძე თავის ადრინდელ ნაშრომებში. ამ მხრივ გამოირჩევა „საისტორიო მოამბის“ I წიგნში გამოქვეყნებული „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“ და „საისტორიო კრებულის“ მესამე წიგნში დაბეჭდილი „ქალ. არმაზი — ქალ. „მცხეთა“. უკანასკნელად ამ საკითხს შეეხო ავტორი 1958 წელს[45].

პირველ ნაშრომში პროფ. ს. კაკაბაძე დაწვრილებით იხილავს მცხეთის სახელწოდებას და იზიარებს ამ სახელის მესხთა სატომო სახელთან დაკავშირების შესახებ გამოთქმულ დებულებას. შემდეგ, ავტორი ცდილობს ახსნას სტრაბონთან მცხეთის მოუხსენებლობა და განმარტავს დიონის — „აკროპოლისს“. ასევე ვრცელი მიმოხილვაა „ქართი“ — „ქართლი“ სახელისა და „არმაზის“-აც[46].

მითითებულ ნაშრომში განხილულია მცხეთასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ პუნქტთა ლოკალიზაციისა და მათი სახელების ეტიმოლოგიის საკითხები (არმაზი, ქართლი, წიწამური, არაგვი, პელორი და სხვ.). აქ ავტორი არსებითად „დიდი მცხეთის“ ნაწილებს განიხილავს და შედარებით დაწვრილებით ჩერდება საქალაქო ცხოვრებისათვის ისე მნიშვნელოვან ელემენტზე, როგორიც არის „უბანი“ და „მოედანი“. ამ მხრივ უურადღებას იპყრობს „რაბატის“ და მის გარშემო განვითარებული რაიონის შესახებ მსჯელობა და მისი დაკავშირება „ფართო ქუჩასთან“ თუ ასურულ rābatu-სთან[47]. ავტორი იქვე იმოწმებს სტრაბონს, რომელმაც იბერიის ქალაქებში მოედნები დაადასტურა[48].

მეორე წერილი ავტორმა საგანგებოდ მიუძღვნა არმაზსა და მცხეთას. ავტორი მოკლედ განიხილავს საისტორიო წყაროების მონაცემებს; იძლევა საინტერესო პუნქტთა ლოკალიზაციის ცდას და წარმოდგენილი აქვს საყურადღებო მოსაზრებანი საკუთრივ ქალაქის შესახებ. ასე მაგ., ავტორი მიუთითებს, რომ „მცხეთა იწოდებოდა „დიდ ქალაქად“, მას ჰქონდა რაბატი ანუ ცენტრალური სავაჭრო ადგილი; ქალაქში იყო „ფოლორცნი“ ანუ მოედნები. საფიქრებელია, რომ ქალაქი საერთოდ დაყოფილი იყო პატარა მოედნებად, რომელთაც აერთებდა პატარა შუკები. მცხეთის ქალაქს ჰქონდა 3 კარი; ქალაქი მდებარეობდა მტკვრის პირას. ხოლო ციხე არაგვის ნაპირას იყო; ქალაქს ჰქონდა უბნები; „მცირე ბაგინი“; მეფის ბაღი; მეფის „პალატ-ბანა�i“ და ქალაქის ზღუდეც[49]. ამ ელემენტების გარჩევის შემდეგ, ს. კაკაბაძე აქვეყნებს თავის მოსაზრებებს „არმაზის“ და „წიწამურის“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით.

უკანასკნელი წერილი პროფ. სარგის კაკაბაძისა, ჩვენის აზრით, არ იძლევა ახალ მასალებს „ქართლის“ განმარტებისა და ლოკალიზაციისათვის. ამას გარდა, ის იქცევს უურადღებას თბილისის გადედაქალაქების ორიგინალური ახსნით და იმის „მტკიცებით“, რომ „ძველი მცხეთა“ და „ქართი-ქართლი“ თითქოს თბილისშია საძებნელი.

არაერთგზის განიხილა იბერიის ძველ დედაქალაქთან დაკავშირებული საკითხები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა. განსაკუთრებით ვრცლად ამ საკითხებს შეეხო ავტორი ნაშრომში „არმაზნი“. და ამას გარდა, სტატიებში სტრაბონის „სევსამორას“ ლოკალიზაციის საკითხებზე[50]. ავტორის უმთავრესი მოსაზრებანი ჩვენ გარჩეული გვაქვს არმაზციხისა და წიწამურის უბნის დახასიათებისადმი მიძღვნილ თავებში, რის გამოც ამჟამად მათს დაწვრილებით გადმოცემას გამართლება არ აქვს.

---

[45] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924.

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქალ. არმაზი — ქალ. მცხეთა. საისტორიო კრებული, III, თბ., 1928, „მნათობი“, № 10, თბ., 1958.

პროფ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მოსაზრებათა შეფასება-ანალიზი იხ. პროფ. კ. გრიგოლიას ნაშრომში „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ., 1954, გვ. 70—77.

[46] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 28, 13.

[47] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იქვე, გვ. 96—97.

[48] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იქვე, გვ. 98.

[49] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქალ. არმაზი—ქალ. მცხეთა, გვ. 2—3.

[50] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, მცხეთა ქალაქის დაარსების საკითხის გარშემო. ჟურნ. „მომავალი“, თბ., 1921; № 2.

Л. Меликсет-Беков, К скифской проблеме....

Мисиэ, В поисках Страбоновой Севсаморы. ЗКОРГО Тифл. 1917, 1, 3.

Мисиэ, К этимологии названий „Мцхета“ и „Цицамури“. Христианский Восток, т. IV, вып. I—II, 1917.

Мисиэ, К вопросу о местоположения Севсаморы, ВДИ, № 4, М., 1948.

Мисиэ, Армазни, Тб., 1937.

სათანადო ადგილას მივუთითებთ ღა ახლაც საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის რიგ მოსაზრებათა და დებულებათა მცდარობისა, ავტორმა დიდი შრომა გასწია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მცხეთისა და მისი მიდამოების ისტორიასთან დაკავშირებული საკითხის კვლევაში.

ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის ისტორიის კვლევისას დიდი მნიშვნელობა აქვთ მცხეთაში აღმოჩენილ წარწერებს. ძეგლთა ამ ჯგუფს მრავალი გამოკვლევა მიუძღვნეს აკად. გ. წერეთელმა, აკად. ა. შანიძემ, პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა და სხვ. ამ გამოკვლევებში, რა თქმა უნდა, გზადაგზა, გამოთქმულია ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა დახასიათებისათვის მნიშვნელოვანი, ახლადაღმოჩენილ წარწერათა ანალიზის საფუძველზე შემუშავებული მოსაზრებანი.

ამ მხრივ კანსაკუთრებით პროფ. ს. ყაუხჩიშვილი გამოირჩევა, რადგან პირველად მან გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელმაც გაგვაცნო ქალაქ მცხეთის მ ხ ა ტ ვ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი და ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ ა ვ ი. წინამდებარე ნაშრომის ვიწრო მიზნისათვის ასევე დიდად მნიშვნელოვანია ს. ყაუხჩიშვილის, ა. შანიძის და გ. წერეთლის ნაშრომების ის ნაწილები, სადაც „ეზოგსმოძღვარ — ეპიტროპრაბთარბასის“ შესახებ არის ვრცელი მსჯელობა.

აქ ჩამოთვლილ მეცნიერთა ნაშრომების შედარებით ვრცლად მიმოხილვის ცდა მოცემული გვაქვს ქვემოთ, სადაც გარჩეულია მცხეთის ეპიგრაფიკული ძეგლები.

უმთავრესად ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლებია განხილული აკად. გ. ჩუბინაშვილის და პროფ. ნ. სევეროვის წიგნში „მცხეთა“. მაგრამ ავტორები გარკვეულ ადგილს უთმობენ მცხეთის დაარსების, ადგილმდებარეობის საკითხებს და არქეოლოგიური გათხრებისას მცხეთაში აღმოჩენილ ძეგლებს. ისინი არმაზციხის სქემატურ ნახაზსაც კი აქვეყნებენ. ამ სქემის შემდეგნელს, როგორც ჩანს, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმის მუშაობის შედეგებიცა აქვს გათვალისწინებული[51].

პროფ. შ. მესხიას დაწვრილებითა აქვს განხილული ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების შესახებ არსებული ლიტერატურა და წყაროები. ამასთანავე, ავტორი განიხილავს წინაფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებს, აგრეთვე ვრცლად მიმოიხილავს წყაროებსა და ლიტერატურას ამ ქალაქების შესახებაც.

პროფ. შ. მესხია პირველ რიგში ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომების ამ მხრივ შეფასებას იძლევა. როგორც აღინიშნა, ავტორს გამორკვეული აქვს, რომ ამა თუ იმ ქალაქის წარმოშობის შესახებ ვახუშტის მიერ გამოქვეყნებული ცნობები ყოველთვის არ ემთხვევა ქართული საისტორიო წყაროების მითითებებს და შეუძლებელი ხდება გამოირკვეს თუ რა წყაროს ეყრდნობოდა ასეთ შემთხვევებში ვახუშტი. ვახუშტის ნაშრომს შ. მესხია უფრო წყაროდ მიიჩნევს, ვიდრე გამოკვლევად საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წყობის საკითხებზე[52].

შ. მესხიას ნაშრომში გამოქვეყნებულია საინტერესო საარქივო მასალებიც, სახელდობრ დავით თუმანიშვილის ნაშრომი, რომელიც უმთავრესად ვახუშტის წიგნის მიხედვითაა შედგენილი, მაგრამ ზოგან ახალ მასალასაც შეიცავს და ამრიგად ავსებს მას[53].

იმ ავტორთაგან, რომლებსაც წინაფეოდალური ხანის ქალაქებიც აქვთ განხილული, შ. მესხიას ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი პ. იოსელიანს, ივ. ჯავახიშვილს და ს. ჯანაშიას უჭირავთ.

ავტორი იხილავს საქართველოში ქალაქების წარმოშობის საკითხს. აქ გადმოცემულია ლეონტი მროველის მითითება „მამასახლისობის“ დროს ქალაქთა დაარსების შესახებ, ე. ი. საქართველოში ციხე-ქალაქების და ქალაქების დაარსების შესახებ, გვაროვნული წყობილების საფეხურზე[54]. თუ ლეონტი მროველის ცნობის ავტორისეულ გაგებას გავიზიარებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ მისი დასკვნა ლეონტის შეცდომის შესახებაც.

შ. მესხია ქალაქების წარმოშობას უკავშირებს კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს წარმოქმნას საქართველოში. მისი მტკიცებით ეს პროცესი საქართველოში VI—IV სს. მიმდინარეობს და უკავშირდება აღმოსავლურ-ქართულ (ქართლის — იბერიის) და დასავლურ-ქართულ (ეგრისის—კოლხეთის) სამეფოთა წარმოქმნას[55].

---

[51] Н. П. Северов. Г. Н. Чубинашвили, Мцхета, М., 1946.

[52] Ш. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1954, გვ. 3.

[53] იქვე, გვ. 4—5.

[54] იქვე, გვ. 59.

[55] იქვე, გვ. 60.

ნაშრომში ნრცლად არის დახასიათებული ვაჭრობის, ხელოსნობისა და მიწათმოქმედების განვითარება, რამაც შექმნა მტკიცე ნიადაგი ქალაქების წარმოქმნისათვის ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის. შ. მესხიამ გამოიყენა არქეოლოგიური მასალა და სწორედ ამითაც მომგებიანად გამოირჩევა მისი ნაშრომი. კოლხის მიერ გაკეთებული ჰიღრია და ამფორა, კოლხური და უცხოური ფულების უამრავი რაოდენობა, აღმოჩენილი საქართველოში და მის გარეთაც (ნიმფეა) ავტორს აძლევენ საფუძველს დასკვნას, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან ფართო სავაჭრო ურთიერთობაა გაშლილი როგორც უცხო ქვეყნებთან, ისე შიგნითა რაიონებს შორის და ქართლისა და ეგრისის სამეფოებს შორისაც. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ავტორი მიუთითებს: სოხუმის, ბათუმის, ანაკლიის, ზუგდიდის, ვანის, ქუთაისის, ხონის, რუხის და სხვა ადგილების არქეოლოგიურ მასალას, რომელთა შორის დიდად მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური მონაპოვრები (უმთავრესად განძები) გამოირჩევა.

არქეოლოგიურ მონაპოვართა გარჩევასთან ერთად ავტორი ფართოდ იყენებს ქართული და ოსტატიკური მწერლობის ცნობებსაც და, ამრიგად, საქართველოში ქალაქების წარმოშობის საყურადღებო სურათს წარმოადგენს.

დაწვრილებით არის დახასიათებული საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორის — დიდი სავაჭრო გზის ადგილნა და რიგი, ერთის შეხედვით, წმინდა საგარეო მოვლენები (კოლონიზაცია და ა. შ.).

აღმოსავლეთ საქართველოში IV საუკუნის ბოლოსთვის ავტორს ეგულება მრავალი ქალაქი: მ ც ხ ე თ ა. ო ძ რ ხ ე. რ უ ს თ ა ვ ი, ს ა მ შ ვ ი ლ დ ე. ს ა რ კ ი ნ ე. უ რ ბ ნ ი ს ი. უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე, წ უ ნ დ ა. ხ უ ნ ა ნ ი და სხვ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ საათანადო ცნობა ავტორს საფუძველს აძლევს, ეს მითითება სინამდვილის სწორ ანარეკლად მიიჩნიოს და ძვ. წ. V—IV საუკუნეებამდე ქართლის სამეფოში სუსტად განვითარებული საქალაქო ცხოვრება წარმოიდგინოს[56]. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი ცნობების გათვალისწინების შემდეგ ავტორი მიდის მნიშვნელოვან დასკვნამდე იმის შესახებ, რომ ძვ. წ. IV საუკუნე და მომდევნო პერიოდი არის იბერიის სამეფოს საქალაქო ცხოვრების აყვავების ხანა[57].

საგანგებოდ აჩერებს ყურადღებას ავტორი მცხეთისა და არმაზის წარმოშობის საკითხზე. ციხე-ქალაქი არმაზი მას იბერიის (ქართლის) სამეფოს უძველეს დედაქალაქად მიაჩნია. დაახლოებით IV—III საუკუნეებს აკუთვნებს ის მცხეთის გაძლიერებას და გაქალაქებას.

ამ შემთხვევაშიაც ავტორის დაკვირვება საფუძვლიანი ჩანს. ქართლი—არმაზი—მცხეთის ქრონოლოგიური თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა ც გასაზიარებელია, ხოლო მათი ერთგვარი დაპირისპირება ჩვენ მართებულად არ გვეჩვენება.

საინტერესოა ავტორის მსჯელობა ორი ტიპის ქალაქების არსებობის შესახებ. ესენია: ა) ც ი ხ ე-ქ ა ლ ა ქ ი და ბ) ქ ა ლ ა ქ ი. პირველი ტიპი — ციხე-ქალაქი — ავტორის აზრით მონათმფლობელური ხანისთვის არის დამახასიათებელი, მეორე კი — ქ ა ლ ა ქ ი — ფეოდალური ხანისა. ამ მოსაზრებას ავტორი ანვითარებს 1958 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომშიაც[58]. შ. მესხია მიიჩნევს, რომ ქალაქის უბნებად დანაწილების საფუძველს მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ედვა საფუძვლად, მაშინაც კი, როდესაც უბანთა სახელები ეთნიკური კუთვნილების გამომხატველია და მათში გარეგნულად მაინც არა ჩანს ამა თუ იმ უბნის სოციალ-ეკონომიური ხასიათი. ამგვარი შეხედულებისაა ავტორი მცხეთის უბანთა მიმართაც.

პროფ. დ. გვრიტიშვილი ნაშრომში „გორის ისტორია“ შეეხო ქალაქის წარმოშობის საკითხსაც და სათანადო არქეოლოგიური მასალაც მოიშველია[59]. ავტორი გორის ციხის ჩრდილო ფერდობის მოზვავების შედეგად გამოჩენილ ქვათლილთა წყობას და კრამიტებს ტიპობრივად მცხეთურს უკავშირებს და ქრონოლოგიურადაც მათთან ათანასწორებს. ამ გზით ავტორი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „თუ არმაზციხე წარმოადგენს თავისებურ აკროპოლისს, ხოლო გორის ციხესა და არმაზციხეს შორის მსგავსებას ვცნობთ. მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ გორის ციხის სახით ჩვენ მეორე აკროპოლისიც გვქონია“.

პროფ. დ. გვრიტიშვილი მიუთითებს სავაჭრო გზა-ჯვარედინის მნიშვნელობაზეც: გორის გზით

---

[56] Ш. А. Месхиа, დასახ. შრ., გვ. 72. [57] იქვე.

[58] შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ვ. ლ ო მ ბ ა ძ ე, ა. ს ა ბ ა ნ ა ძ ე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 9.

[59] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 8—14.

აღმოსავლეთიდან, მცხეთა-არმაზით მომავალი გზა შავი ზღვის სანაპიროებს უკავშირდებოდა; პირიქითელები ზეკარისა და ბახ-ფანდაგის გადმოსასელელებით — მდ. დიდი და პატარა ლიახვის ხეობებით გორში ჩამოდიოდნენ. გორის ასეთი მდებარეობა განსაზღვრავდა თვით ქალაქის მნიშვნელობას.

ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა შორის პროფ. დ. გვრიტიშვილი ეხება უფლისციხესაც „ჩვენ შეგვიძლია უფლისციხის აშენების პერიოდი ძველი წელთაღრიცხვის VII—VI საუკუნეებით დავათარიღოთ“ — აღნიშნავს ავტორი. ამასთანავე. ავტორი ვარაუდობს, რომ უფლისციხე „წარმოშვა. პირველ ყოვლისა, ქვეყნის თავდაცვის საჭიროებამ. ეიდრე ქართველი ტომები ერთ ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიაში გაერთიანდებოდნენ და მტერს განდევნიდნენ საქართველოს მიწა-წყლიდან, უფლისციხე, თბილისთან ერთად, მნიშვნელოვან თავდასაცავ კლდექალაქს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც ჩვენ მიწა-წყალზე ხუთი ტერიტორიალურ-პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა, უფლისციხე გახდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი“. ამრიგად, აქ ხაზგასმულია ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა, როგორც თავდაცვითი და პოლიტიკური ცენტრების მნიშვნელობა.

თავის ნაშრომში „ახალი ქართლის ცხოვრება“ პროფ. კ. გრიგოლია ვრცლად იხილავს ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს დედაქალაქის — მცხეთის სახელწოდების საკითხს. საგანგებო პარაგრაფში: „ქართლის დედაქალაქის უძველესი სახელწოდებისათვის“. ამ ნაშრომში ავტორი არკვევს დედაქალაქის სახელწოდებათა თანმიმდევრობას: ქ ა რ თ ლ ი აღნიშნული პუნქტის თავდაპირველი სახელია, ა რ მ ა ზ ი კი — უფრო გვიან შეძენილი სახელი. ავტორს გამოქვეყნებული აქვს დაკვირვება ქ ა რ თ ლ ი ს ადგილმდებარეობის შესახებ: „რადგანაც „ნ ი ნ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ“ ჩვენ ვიცით, რომ მეფის სამოთხე, ანუ სამეფო დიდი ბაღი, მცხეთაში იყო, იქ, სადაც შემდეგ მირიან მეფემ ეკლესია აააგო (აწინდელი სვეტიცხოვლის მიდამოებში), ნინოს მიერ გამოვლილი გზაც ჩვენთვის სავსებით გასაგებია. ბარტამ მეფის სადგომიდან მომავალ ნინოს ჯერ ქ ა რ თ ლ ა დ ჩ ა მ ო ვ ლ ი ა, შემდეგ მტკვარს გასულა და სამეფო ბაღამდე ასე მიუღწეია. აქედან აშკარაა, რომ ქ ა რ თ ლ ი მ ტ კ ვ ა რ ი ს მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ს ა ნ ა პ ი რ ო ზ ე. მ ც ხ ე თ ი ს პ ი რ დ ა პ ი რ მ თ ი ს ძ ი რ ს ა ც და იქვე მდებარე ვ ა კ ი ს ზ ო ლ ს ა ც რ ქ მ ე ვ ი ა“[60].

პროფ. კ. გრიგოლიას გამორკვეული აქვს, რომ ჯუანშერსაც „ქ ა რ თ ლ ი“ ნიშანდობლივ მტკვრის სამხრეთით ეკუთვნება. ჩვენის აზრით, დიდად მნიშვნელოვანი დაკვირვება აქვს ავტორს სპარსელებთან ვახტანგ გორგასლის ბრძოლის აღწერილობის გარჩევისას გამოთქმული. აქ ყურადღებას იპყრობს ავტორის დასკვნა „არმაზი — ქართლის“ ხსენების შესახებ: „ჯუანშერის მიერ აქ მოტანილ სახელებიდან „ა რ მ ა ზ ი—ქ ა რ თ ლ ი ს“ ხსენება უთუოდ საგულისხმოა. საქმე ის არის, რომ ავტორმა ჯერ კიდევ იცის მათი ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი მნიშვნელობა და მას მართებულად უპირისპირებს კიდევაც მცხეთას“[61]. გარკვეულ შემთხვევაში, როგორც კ. გრიგოლიამ დაადასტურა. ლეონტი მროველთან ქ ა რ თ ლ ი დიდი ქალაქის სახელია: ქ ა რ თ ლ ი მთლიანად დედაქალაქის აღმნიშვნელია და ის მცხეთასაც ფარავდა[62].

დასასრულ პროფ. კ. გრიგოლია განიხილავს ქალაქის მეგრულ-სვანურ სახელწოდებას — ქ ა რ თ ი და ასკვნის, რომ „მეგრულ-სვანური ქ ა რ თ ი იგივე უნდა იყოს, რაც ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ქ ა რ თ ლ ი“[63].

კ. გრიგოლიას ასევე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სახელწოდება „არმაზის“ წარმომავლობისა და „აკროპოლის“ — „შიდა ციხის“ საკითხზე არსებულ შეხედულებათა გამო.

საერთოდ კი, კ. გრიგოლიას მითითებული ნაშრომი არ არის შემოფარგლული დედაქალაქის უძველესი სახელწოდების გარჩევით და ანტიკური ხანის მცხეთის რიგ საყურადღებო საკითხს შეეხება.

დაწვრილებით ახასიათებს მცხეთას, როგორც ოთხი მხრიდან მომავალი გზების გზაჯვარედინზე აღმოცენებულ ქალაქს, პროფ. გ. მელიქიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის“. ავტორი მიუთითებს სავაჭრო-სატრანზიტო გზის მსოფლიო მნიშვნელობაზე და ახა-

---

[60] კ. გ ვ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 71.

[61] ი ქ ვ ე, გვ. 73.

[62] ი ქ ვ ე, გვ. 74.

[63] კ. გ ვ რ ი გ ო ლ ი ა, იქვე, გვ. 75.

სიათებს მცხეთას, როგორც მნიშვნელოვან სავაჭრო-სარელოსნო ცენტრს. ასევე დაწვრილებით იხილავს ავტორი მოსახლეობის ერთ ფენას — მოვაჭრე და ხელოსან მოსახლეობას იბერიის ქალაქებისას, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ებრაული კოლონია[64]. ებრაელთა კოლონია გ. მელიქიშვილის მიხედვით ქართლის არა ერთ ქალაქშია სავარაუდებელი (მცხეთა, ურბნისი, უჯარმა და სხვ.). პროფ. გ. მელიქიშვილი საგანგებოდ იხილავს ანტიკური ქართლის ქალაქთა ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც ქართულ წყაროებში „რაბატის" სახელით იხსენიება. ავტორის აზრით, ეს უბანი სავაჭრო მოედნის გარშემო წარმოიქმნა და სემიტურ (ასურულ) rêbitu-ს უკავშირდება, ე. ი. „ფართო ქუჩის" ან „მოედნის" მნიშვნელობისაა. ამაშიაც ხედავს ავტორი იბერია-ქართლის ქალაქებში მოვაჭრე სემიტური (ებრაულ-არამეული) კოლონიების არსებობას[65]. გ. მელიქიშვილი ძველი ქართლის ტერიტორიაზე აღებ-მიცემისა და მასთან დაკავშირებული სასაქონლო წარმოების განვითარების მაღალ დონეს ვარაუდობს. „ძველი იბერიის ქალაქები — აღნიშნავს ავტორი — ვაჭრობა-აღებ-მიცემის ცენტრებს წარმოადგენდნენ. ეს პირველყოველისა, ითქმის თვით სამეფოს დედაქალაქის მცხეთის შესახებ"[66].

ანტიკური ხანის ქართული ქალაქების ნივთიერი კულტურის ძეგლების დახასიათებისას მ. ივაშჩენკო, ალ. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი, გ. ლომთათიძე, მ. ინაძე, დ. ხახუტაიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ლ. ჭილაშვილი და სხვ. განიხილავდნენ ქართლის უძველეს ქალაქთა გათხრისას აღმოჩენილ მასალებს და მეტ-ნაკლები სისრულით აშუქებდნენ საქალაქო ცხოვრების მრავალ საკითხს[67].

საკანდიდატო ნაშრომი მიუძღვნა ახ. წ. I—III საუკუნეების მცხეთის სახელოსნო წარმოებისა და ვაჭრობის დახასიათებას ოთ. ლორთქიფანიძემ. ავტორს საკმაოდ დაწვრილებითა აქვს განხილული: კერამიკული, ლითონის დამამუშავებელი, საამშენებლო და მხატვრული ხელოსნობისა და წარმოების საკითხები; ამასთანავე, ის იხილავს ვაჭრობა-აღებ-მიცემობის საკითხებს და საგანგებო ყურადღების საგნად აქცევს იბერიის ქალაქის სოციალ-ეკონომიური წყობის საკითხებს. ავტორმა სპეციალურად განიხილა ქალაქის სასოფლო რაიონის, მიწათმოქმედებისა და მიწათმფლობელობის საკითხებიც[68].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ძველი საქალაქო ცხოვრებისა და წყობილების საკითხები ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში მოექცა. უმთავრესად წერილობითი წყაროების ახლებურმა ანალიზმა და ახლადაღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მოშველიებამ შესაძლებელი გახადა მეტ-ნაკლები სისრულით ყოფილიყო განხილული საქართველოს ანტიკური ხანის ქალაქების ისტორიაც. ამ მხრივ, როგორც ზემოთ ვნახეთ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. წერეთლის, გ. ჩუბინაშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, ს. კაკაბაძის, შ. მესხიას, გ. მელიქიშვილის, კ. გრიგოლიას და სხვ. ნაშრომები*.

---

[64] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბ., 1955, გვ. 161—164.

[65] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 165.

[66] იქვე, გვ. 166.

[67] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

M. M. И в а щ е н к о, Устройство погребальных сооружений и способ погребения в некрополе питиахшей в Армази, Тб., 1945.

გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I—III საუკუნეებში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I, თბ., 1955.

გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. თბ., 1945.

Г. А. Л о м т а т и д з е, Археологические раскопки в Мцхета, Тб., 1955.

ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1938 წელს. ენიმკის მოამბე, ტ. IV, ნაკ. 3, თბ., 1939.

ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში. ენიმკის მოამბე, ტ. II, ნაკ. III, თბ., 1937.

ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში. „მიმომხილველი", ტ. I, თბ., 1949.

[68] **O. Д. Л о р д к и п а н и д з е, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—II вв. н.э. Тб., 1957.**

* ზემოთ გამოქვეყნებულ მიმოხილვას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჰქონდეს ამომწურავის პრეტენზია. ეს შეეხება ამ ნაშრომის შესრულებამდე გამოქვეყნებულ ნაშრომებსაც და, განსაკუთრებით, საქართველოში საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-განვითარების საკითხებზე 1958 წლის შემდეგ გამოსულ ლიტერატურას. ავტორი უახლოეს ხანებში შეეცდება წინამდებარე ნაშრომის ეს ხარვეზი შეავსოს, „ვ საკითხებისადმი მიძღვნილი სადაგებო წერილით.

ქალაქების. საქალაქო ცხოვრებისა და საქალაქო წყობილების საკითხთა კვლევის დაწინაურება უკანასკნელ ხანებში დაკავშირებულია საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საერთოდ ფართოდ გაშლასთან, პირველყოვლისა კი საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის ტერიტორიაზე აკადემიკოსების ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით განხორციელებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგებთან.

მცხეთა გასული საუკუნიდანვე იქცევდა მკვლევართა უურადღებას. ჯერ ფრ. დიუბუა დემონპერე[69] ღა შემდეგ, პლატონ იოსელიანი[70] სინანულით მიაქცევდნენ უურადღებას მცხეთის გამოუმზეურებელ სიძველეებს[71]. მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებიდან მცხეთაში დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები და მცხეთის ჩრდილოეთი გარეუბნის (სამთავროს) სამაროვანი საკვეყნოდ ცნობილი გახდა, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სამხედრო გზის გადაწევასა და გაფართოებისას აქ მრავალი სამარხი აღმოჩნდა, რომელთა შესწავლას და სათანადო „არქეოლოგიურ მეთვალყურეობასაც" ავსტრიელი ბუნებისმეტყველი ფრ. ბაიერნი ანხორციელებდა[72].

ამრიგად, ოთხმოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მცხეთის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები დაიწყო, მაგრამ ამ სამუშაოთა ფართოდ გაშლა და გეგმაზომიერად წარმართვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1937 წლიდან, როდესაც საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს შეუდგა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია.

არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ძველ დედაქალაქში იმიტომ, რომ მცხეთა წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების კერას ადრეულ, ისტორიული ცნობებით გაშუქებულ ხანაში[73].

ოციოდე წლის განმავლობაში არქეოლოგიური გათხრების გზით დაგროვილი მასალა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მცხეთის ცხოვრებას თითქმის 2500 წლის მანძილზე, მაგრამ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მასალა მცხეთის ისტორიის პირველ ორ მონაკვეთს — დედაქალაქობის წინახანას და დედაქალაქობის ხანას მიეკუთვნება.

ამასთანავე შეინიშნება, რომ თითქმის ყველგან, სადაც დედაქალაქობის წინახანის ძეგლებია აღმოჩენილი, მოიპოვება დედაქალაქობის ხანის მასალებიც, მაგრამ პირიქით კი არა. ჯერჯერობით მაინც ცნობილია ადგილები, სადაც აღმოჩენილია დედაქალაქობის ხანის ძეგლები, მაგრამ დედაქალაქობის წინა ხანისა არ ჩანს. ჩვენის აზრით, ეს ბუნებრივიეაა. რადგან დედაქალაქობის ხანის მცხეთა დიდი და იმდროისათვის მშიდროდ დასახლებული ქალაქი ჩანს.

დედაქალაქობის ხანის არქეოლოგიური მასალის მნიშვნელობას აძლიერებს შიდაციხის (არმაზციხის), სარკინე უბნის და წიწამურის უბნის განათხარი ძეგლები: საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სასახლე-ტაძრების, სახელოსნო ნაგებობათა, სამეურნეო ნაგებობათა, წყალსადენების, საამშენებლო მასალების და სხვ. ნაშთების აღმოჩენა, ე. ი. ნასახლარ-ნაქალაქარის არქეოლოგიური ძეგლები, მოპოვებული უკანასკნელ ხანებში. ამ ჯგუფის ძეგლები ჯერჯერობით არ ჩანს დედაქალაქობის წინახანის მასალებში. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მცხეთის დედაქალაქობის ხანის შესასწავლად დიდად მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები და სამარხეული ინვენტარია აღმოჩენილი. აქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა განხილვა წერილობითი ცნობების შუქზე საფუძველს იძლევა უფრო სრული წარმოდგენა შევიმუშავოთ ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის შესახებ.

საამისოდ საჭირო იქნება ვცადოთ ერთგვარი შეჯამება ქ. მცხეთასა და მის მიდამოებში (სურ. 1) აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების შესწავლის შედეგებისა და მოკლედ მაინც შევეხოთ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა უმთავრეს ჯგუფებს. ასეთებად გვესახება დიდი მცხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები, რომლებიც ახასიათებენ: ა) დედაქალაქობის ხანის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, მშენებლობის ხელოვნებისა და სამშენებლო მასალათა საკითხებს; ბ) დედაქალაქობის ხანის სამარხთა ტიპებს, მათს აღნაგობას, სამარეულ

---

[69] F. Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, Paris, 1840, გვ. 230.

[70] П. И. Иоселиани, დასახ. შრ., გვ. 20.

[71] მცხეთა I, გვ. 7; Г. А. Ломтатидзе, დასახ. შრ., გვ. 10.

[72] F. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien, ZfE, Berlin, 1885. Supplement.

[73] С. Н. Джанашиа, Михета—древняя столица Грузии, იხ. მცხეთა I. გვ. VII.

ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. თბ., 1956, გვ. 29.

ინვენტარსა და დაკრძალვის წესებს; გ) დედაქალაქობის ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებს; დ) ძველი დედაქალაქის მიწაწყალს, მის საერთო ტოპოგრაფიას და ქალაქის უმთავრეს უბნებს; ე) დედაქალაქის მოსახლეობას, მის ეთნიკურ და სოციალურ შედგენილობას, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

რა თქმა უნდა, საქალაქო ცხოვრების ყველა საკითხი თუ მხარე ერთნაირი სისრულით არ იქნება გაშუქებული, მაგრამ ეს არქეოლოგიური კვლევა-ძიების ახლანდელ საფეხურზე შეუძლებელიცაა. თუ წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს მონათმფლობელური ხანის ქართლის სამეფოს ქალაქების შესწავლისადმი ინტერესის შემდგომ გაძლიერებას და გარკვეულ წარმოდგენას შექმნის, როგორც დედაქალაქის, ისე საერთოდ სამეფოს საქალაქო ცხოვრების საკითხებზე, ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება.


ხასიფლი რაიონი
ხასიფლი
რაიონი
ხასიფლი
რაიონი
ხასიფლი
რაიონი
ხასიფლი
რაიონი
ნასტაკისი
ს ა ს ტ ი ნ ე უ ბ ა ნ ი
ს ა ს ტ ი ნ ა ს ე უ ბ ა ნ ი
ქ ა ლ ა ქ ი
(ს ა ს ტ ი ნ ა ს ე უ ბ ა ნ ი)
ს ა ს ტ ი ნ ა ს ე უ ბ ა ნ ი

პირველი თავი

მცხეთის დედაქალაქობის ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლები, მშენებლობის, ხელოვნებისა და სამშენებლო მასალათა საკითხები

მცხეთამ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის დიდად მნიშვნელოვანი ძეგლები შემოინახა. ამ მხრივ პირველ რიგშია აღსანიშნავი: ა) ქალაქის შუაგულში აღმართული გრანდიოზული ტაძარი სვეტიცხოველი, რომელიც, როგორც თვლიან, აშენებულია იმ ადგილას, სადაც IV საუკუნეში მირიან მეფემ პირველი ქრისტიანული ეკლესია ააგო[1]; ბ) ქართული ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების აყვავების ბრწყინვალე მაჩვენებელი ჯვრის ტაძარი, რომლის კომპლექსის საფუძვლის ჩაყრა VI საუკუნის ქართველ ერისმთავარს გუარამს მიეწერება, ხოლო ჯვრის დიდი ეკლესიის მშენებლობის დასრულება — მის ძეს, სტეფანოზ პირველს, 586/7—607 წლებში[2]; გ) XI საუკუნის ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — სამთავროს დედათა მონასტერი[3]; დ) მცირე საყდრების ნანგრევები ქალაქ მცხეთაში, რომლებსაც „ბაბალეს", „გეთსიმანიის" და „ანტიოქის" სახელით ვიცნობთ; ე) კალოუბნისა და კოდმანის საყდრები; ვ) არმაზის ხევისა და შიომღვიმის მონასტრები; თ) წმინდა ნინოს სამლოცველო; ი) ე. წ. ოლღას მონასტერი და სხვ.

ასეთია უმთავრესი ნაწილი მიწის ზემოთ შემონახული ძეგლებისა, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას ქმნიან ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ადრინდელ საფეხურთა შესახებ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიკოსები გამოყოფენ ძეგლების უძველეს ჯგუფს (IV—V საუკუნეებისას) და ამ ეტაპს მოსამზადებელ პერიოდად მიიჩნევენ, საერთოდ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში[4].

არქეოლოგიურ აღმოჩენათა შედეგად ანტიკური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ძეგლებია გამოვლენილი. ამ აღმოჩენამდეც ხუროთმოძღვრების ისტორიკოსები აღიარებდნენ, რომ პირველივე ძეგლები, რომლებმაც ჩვენ დრომდე მოაღწიეს, ამტკიცებენ ხუროთმოძღვრული ხელოვნების, სპეციალური საამშენებლო ცოდნისა და წესის არსებობას საქართველოში[5]; ისინი მიუთითებენ, რომ ჩვენამდე მოღწეული ქრისტიანული საეკლესიო ძეგლებიც ადასტურებენ გარკვეული ადგილობრივი საამშენებლო ტრადიციების არსებობას[6]. ახლა, ეს, თავისთავად სწორი დაკვირვებაც აღარ არის, ჩვენის აზრით, ამომწურავი. ქართული საისტორიო წყაროების მითითებები მცხეთაში და სხვა ქალაქებში გაშლილი საამშენებლო მოღვაწეობის შესახებ; სტრაბონის ცნობა იბერიის ქალაქებში არქიტექტურული ხელოვნების წესების თა-

---

[1] В. В. Беридзе. Архитектура Грузии, М., 1948 გვ. 14.

[2] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари. Тб., 1948. В. В. Беридзе, იქვე, გვ. 22—23.

[3] Р. О. Шмерлинг, Самтавро—памятник XI века, Ars Georgica, I, თბ., 1942, გვ. 49—77.

[4] В. В. Беридзе, Архитектура Грузии, М., 1948, გვ. 10.

[5] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1. თბ., 1936, გვ. 51.

[6] ვახტ. ბერიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ნახმად მოწყობილი სახლების, ბაზრების და სხვა საზოგადოებრივ ნაგებობათა არსებობის შესახებ: მცხეთის პირველი ბერძნული წარწერა, რომელიც 75 წელს გალავნის გამაგრებას გვაცნობებს; მცხეთის მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის საფლავის ქვის წარწერა; გათხრებისას აღმოჩენილი ნაგებობანი და მათი ნანგრევები თუ ფრაგმენტები მოგვითხრობენ, ჩვენის აზრით, არა მარტო ადგილობრივ საამშენებლო ტრადიციების არსებობაზე, არამედ გვიჩვენებენ ანტიკური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ადრინდელ საფეხურს, რომლის შემდეგ არ არის გაუგებარი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების კლასიკური ძეგლების წარმოქმნა ახ. წ. IV—VI საუკუნეებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია წინაფეოდალური ხანის არა მარტო ცალკეული არქიტექტურული ფრაგმენტები, ერთეულ ნაგებობათა ნაშთები და ნანგრევები, არამედ დიდი კომპლექსები, რთული საფორტიფიკაციო ნაგებობანი, „მცირე ხუროთმოძღვრების“ შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც გარკვეულ წარმოქმნას ქმნიან ანტიკური ხანის ქართლის ქალაქის, საქალაქო ხუროთმოძღვრების შესახებ. ამიტომაა, რომ ამ ძეგლთა გათვალისწინება ასე აუცილებლად გვეჩვენება ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა პერიოდიზაციისას. ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მცხეთაში საბოლოოდ გამოაცალა საფუძველი მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს მეგალითები ერთადერთი კატეგორიაა მონუმენტური ხელოვნებისა, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უძღვის საქართველოს ფეოდალური (ადრე ქრისტიანული და შუასაუკუნეების) ხელოვნების წარმოშობასა და განვითარებას[7].

მცხეთაში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია აღმოჩენილი. ქალაქის უმთავრესი, მეტნაკლებად სრულად გამოვლენილი, შენობები უბნების თავისებურ ხუროთმოძღვრულ სახეს ქმნიან. აღმოჩენილთა შორის გამოირჩევა ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთათვის ასე დამახასიათებელი საფორტიფიკაციო — თავდაცვითი ნაგებობანი: ციხე-სიმაგრეები, გალავან-ზღუდეები, სათვალთვალო კოშკები (მაგ.: შიდაციხის ზღუდეები, კოშკები და კონტრფორსები; წამურის სერის გალავანი; სარკინე-სავანეს გალავნები, კოშკები, ციხეები და ა. შ.).

თავდაცვითი ნაგებობანი გამოირჩევიან გრანდიოზულობით და მშენებლობის ხელოვნებითაც: კლდეში ამოკვეთილ ფოსოებში ჩასმულ ქვათლილთა საძირკველზე ალიზის დიდი კედლებია ამოყვანილი (სურ. 2—3). ქვათლილები კლდეშიც არის ჩამაგრებული და ერთიმეორესთანაც უწყვეტით გადაბმული. ალიზის წყობა გარდი-გარდმო დატანებული მუხის ძელებითაა შემაგრებული და, თანაც, შელესილია. ამრიგად, ზღუდეს მონოლითური სახე აქვს მიღებული. კოშკები და კონტრფორსები ოთხკუთხა მოყვანილობისაა და, როგორც ჩანს, კრამიტით გადახურული ყოფილან (სურ. 2—3; ტაბ. VIII, 1—2).

ასეთი ხერხით არის აშენებული სარკინე-სავანეს ზღუდეები და კოშკებიც. სავსებით ანალოგიური სურათი იყო დადასტურებული გორისციხეზედაც (ტაბ. XIX, 1—2) და უფლისციხეშიაც: ე. ი. ირკვევა, რომ ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ქალაქების თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობის ადრინდელ (უძველეს) საფეხურზე ქვათლილების საძირკველზე ამოყვანილი ალიზის ზღუდე-გალავნები ყოფილა გავრცელებული. ეს არის ერთადერთი სახე საქალაქო თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობისა ძვ. წ. III საუკუნემდე. ამ რიგის ყველა ნაგებობა ან ნანგრევი ერთიანდება ჩვენ მიერ გამოყოფილ ჯგუფში — „არმაზციხე I“ (სურ. 2—10; ტაბ. VII—XV).

თვით არმაზციხეში, ე. ი. მცხეთის შიდაციხეშიაც გვხვდება „არმაზციხე I“-თვის დამახასიათებელი ძეგლები ძვ. წ. III საუკუნის შემდეგაც, მაგრამ ისინი ადრინდელ ნაგებობებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ამ დროისათვის უკვე დამახასიათებელია „არმაზციხე I-I“; ე. ი. ჯგუფი ზღუდე-გალავნისა თუ სხვა ძეგლებისა, რომელთა აშენებისას დუღაბია გამოყენებული (სურ. 11—13; ტაბ. XVI—XVIII). დუღაბის გამოყენება „არმაზციხე I“-ის საამშენებლო ხელოვნების უარყოფას და ადრინდელ ძეგლთა მოსპობას არ გულისხმობდა. პირიქით, გათხრები გვიჩვენებენ, რომ არმაზციხეში დუღაბით გაუმაგრებიათ და შეუკეთებიათ არაერთი მონაკვეთი, აშენებული ძვ. წ. III საუკუნემდე, ე. ი. არმაზციხე I-სათვის დამახასიათებელი მონაკვეთები.

[7] შდრ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938, გვ. 134.



სურ. 2. არმაზციხე. უძველესი კალაპოტის (არმაზციხე I) ერთი მონაკვეთი ბაგინეთის II უბანზე. ოთხკუთხოვანი კოშკისა და ბურჯების კედლი და განაკვეთი, კალაპოტის სანიაღვრე ქვაფენილი კედლის ანაკვეთად ბეჯვნებია ჩამოდგმული.



სურ. 3. არმაზციხე. ბურჯებიანი გალავნის ერთ-ერთი მონაკვეთის გეგმა და განაკვეთი.

ამრიგად; ძვ. წ. III საუკუნემდე დუღაბი ქართლის ქალაქებში გავრცელებული არ ჩანს; გაბატონებულია მშრალი წყობა ქვათლილებისა, სათანადო სამაგრებით — უწყვეტით შემტკიცებული (სურ. 4, 5, 10; ტაბ. IX, 2; LI—LVI). ხსნარი ალიზის კედლის ამოყვანისას გამოიყენება. ცება ციხე-სიმაგრეებისა და ზღუდეების ალიზით მშენებლობა. ალიზ-აგურით და ქვით შერეული მშენებლობა შეიძლება, მაგრამ დუღაბი და ალიზი, როგორც ჩანს, თანდათან ერთიმეორეს გამორიცხავდნენ და, ბუნებრივია, დუღაბი იმარჯვებდა. ეს სულ უფრო და უფრო დამახასიათებელია



სურ. 4. არმაზციხე I. ბაგინეთის მესამე უბნის ზედა კოშკის ფასადი და გეგმა. ფასადზე ჩანს ქვათლილთა წყობა. რომელზედაც ალიზის კედელია დაშენებული; გეგმაზე—ქვათლილთა ერთმანეთთან გადასაბმელ უწყვეტთა ბუდეები

მაგრამ თიხის ხსნარს იყენებენ და არა კირისას — ქვითკირს. III საუკუნიდან დუღაბი ფართოდ ვრცელდება სამეფოში და, როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით, წყდება, ან მკაცრად იკვეთება ძვ. წ. III საუკუნის შემდეგდროინდელი საქალაქო მშენებლობისათვის ქართლში.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვითაც ამ ხანისათვის ივარაუდება ქართლში დუღაბის

შემოღება. ლეონტი მროველი არდამის მოღვაწეობის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ არდამმა მოზღუდა მცხეთა ქვითკირით და „აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვთკირისა“.

თავის დროზე ამ საკითხის გამო საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა თეიმურაზ ბატონიშვილმა. თეიმურაზს აქვს ლეონტის ცნობის საინტერესო ახსნის ცდა: „იტყვიან, რომელ ჯერეთ ქვთკირითა არა იყვნეს შენებულნი ციხენი, გინა სხვაჲ რაჲმე სრულიად ივერიასა შინა და ამან არდამმან შემოიღო ქვთკირისა შენობა, მაგრამ რ ო მ ე ლ ნ ი მ ე ი ტ ყ ვ ი ა ნ, ვითარმედ უწინარესვე იყო შენებულობანი ქვთკირითა და მთასაცა ზედა ქართლოსისასა აღშენებულ ციხენი და გოდოლნი და სხვათაცა ადგილთა ზემოჲსა და ქვემოჲსა ივერიისათა, ობილისკნიცა ნიშად წელთა გათლილთა მიერ ქვათაგან და კირითა აღშენებულნი. ხოლო ბომონნიცა კერპთა ბოჩისა, გინა სხვათა უძველესთა ღმერთად საგონებელთა და რომელთამე ადგილთა ციხენი. და ვინაჲდგან ამან უკუ[8] არ-დ ა მ მ ა ნ ყ ო ვ ე ლ თ ა დ ა უ მ რ ა ვ ლ ე ს თ ა ა დ გ ი ლ თ ა ი ვ ე რ ი ი ს ა თ ა ა მ ც ნ ო ც ი ხ ე-თ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი მ ა გ რ ე თ ა ს ა ქ ვ თ კ ი რ ი თ ა ქ მ ნ ა ჲ, ა მ ი ს ა თ ჳ ს მ ი ა ყ ო-რ ე ს მ ა ს შ ე მ ო მ ღ ე ბ ლ ო ბ ა ქ ვ თ კ ი რ ი თ ა ძ ვ ე ლ თ ა მ ე მ ა ტ ი ა ნ ე თ ა გ ა ნ ქ ა რ თ უ ლ-თ ა“[8].

თეიმურაზის მიხედვით, როგორც ვხედავთ, არდამის მოღვაწეობაში მთავარი ის კი არ უნდა იყოს, რომ მან თითქოს პირველმა ააშენა დუღაბით. არდამის სახელთან ჩანს დაკავშირებული მთელს სამეფოში გავრცელება ქვითკირისა, ე. ი. ახალი საფეხური სამშენებლო ხელოვნების განვითარებისა ქართლის სამეფოში. ამ მხრივ ლეონტის ცნობასა და თეიმურაზის განმარტებას არქეოლოგიური აღმოჩენებიც ეთანხმება.

არმაზციხის უძველესი ფენის სიმაგრეთა მშენებლობაში შეიმჩნევა კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი. როგორც ცნობილია, შიდაციხის ზღუდეები ძირითადად მცირე ქედებს აუყვება, მაგრამ ზუსტად თხემზე ამოყვანილი არ არის: საკუთრივ ქედი შიდაციხის შიგნით ეჭცევა. ზღუდის ასე აშენების შემთხვევაში საძირკვლის გამოთხრა ძნელდება, საძირკვლის გამოთხრისას თავდამსხმელი კლდეს წააწყდება და შიდაციხეში ვერ შეაღწევს. მეორე მხრივ, დამხვდურები უპირატეს მდგომარეობას იღებენ ზღუდის მთელ სიგრძეზე და არა მარტო კოშკებთან. ციხის შიგნით, საკუთრივ ქედების გამოყენება აადვილებდა კედლის დაცვას, — კოშკებიდან, ბურჯებიდან და ქონგურებიდან მეთვალყურეობას.

აღნიშნული კარგად შეიმჩნევა შიდაციხის III და IV უბნებზე, სავანეს მიდამოებში (განსაკუთრებით მტკვრისპირა ქედებზე) და გორის ციხეზედაც.

ეს დეტალი არმაზციხე I-ის მშენებელთა გამოცდილების კარგი მაჩვენებელია. ჩვენს საისტორიო წყაროებში არა ერთი მითითება გვაქვს ალიზის კედლის გამოთხრისა და ამ გზით სიმაგრის ადვილად აღების შესახებ. ეს შეეხება ალიზის იმ კედლებს, რომელთა მშენებლებს, როგორც ჩანს, არ გაუთვალისწინებიათ სათანადო საფრთხე ან რატომღაც ისე არ უშენებიათ, როგორც „არმაზციხე I“. მაგალითისათვის ქალაქ ზანგანის აღების შემთხვევას დავასახელებთ: „...ვითარ გაგრძელდა ომი, განყვეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისაჲ, რათა შესთხარონ. დაიწყეს თხრად ზღუდეთა; უწინარეს მარჯუენესა მკარესა მესხთა შეხურიტეს ზღუდე, რომელი ალიზითა იყო, ...შემოხვრიტეს ყოველგზით და შემოვიდეს“[9].

ჩვენის დაკვირვებით, სწორედ ამგვარ საფრთხეს ითვალისწინებდნენ არმაზციხე I-ის მშენებლები, როდესაც ზღუდეს ზედ ქედზე კი არ აშენებდნენ, არამედ ოდნავ გარეთ, ისე, რომ კლდოვანი ქედი თავისებურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა დიდი გალავნისათვის.

აღმოჩენილია თვალსაჩინო ჯგუფი სამოქალაქო ნაგებობებისა: სასახლე-ტაძრების ნანგრევები, ცალკეული სახლები, სახელოსნოები, აბანოები, წყალსადენები, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი და სხვ.

მშენებლობის ხელოვნების ხერხები მითითებული თავდაცვითი ნაგებობების მიმოხილვისას, შეიმჩნევა ამ ჯგუფშიაც. განსაკუთრებით ეს ითქმის შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ „სვეტებიან დარბაზის“ და მის ჩრდილოეთით გათხრილ ორსახლიან ნაგებობის (ტაპ. XV, XVIII), გრძელი

---

[8] თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორია, 1843, გვ. 75; ხაზგასმა ჩვენია — ა. ა. უფრო დაწვრილებით იხ. „არმაზციხის უბანი“.

[9] ი ს ტ ო რ ი ა ნ ი და ა ზ მ ა ნ ი შარავანდედთანი, თბ., კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა, გვ. 135.



სურ. 5. ობშატეხილ I. ბაკურიანის მესამე უბნის ქვედა კოშკის ქვაოლილთა წყობის განაზომები და უწყვეტთა ბოლოები.

მინდვრის პირველ თხრილში აღმოჩენილ სახელოსნოთა ნანგრევების და სავანესთან გათხრილ ნაგებობის შესახებ. ყველა ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს არასაფორტიფიკაციო ნაგებობებთან. მაგრამ ქვათლილებითა და ალიზით შეერთებულ დროის განსაზღვრულ მონაკვეთისათვის არის დამახასიათებელი (IV—III სს.).

იმ ნაგებობათა შორის, რომლებიც არმაზციხის შიგნითა ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, განსა-



სურ. 6. „არმაზციხე". სვეტებიანი დარბაზის გეგმა და განაკვეთები

მშენებლობასთან, რომელიც საერთოდ არმაზციხე I-ისთვის დამახასიათებელი ჩანს (ტაბ. VII, 4; XII—XIV; L1, 2). ამიტომ, არმაზციხე I არამარტომშენებლობისგარკვეულ ხელოვნებას გულისხმობს, არიმედ კუთრებით გაშოირჩევა ქვედა ტერასაზე გათხრილ შენობათა კომპლექსი. ამ კომპლექსის მთავარი ნაგებობა „სვეტებიანი დარბაზის" სახელით არის უკვე ცნობილი (სურ. 6) არქეოლოგიურ ლიტერატურაში. ესაა წაგრძელებული ოთხ-

კუთხედის მოყვანილობის **დ ა რ ბ ა ზ ი**, რომლის ფართობი დაახლოებით 185 კვ. მეტრს აღწევს (20,82 მ × 8,87 მ; სურ. 6; ტაბ. XV).

„სვეტებიანი დარბაზი“ ქვათლილებით არის ნაწყობი. წყობა მშრალია; კედელი — შესამჩნევად სქელი (1,45—1,70 მ). შენობის დასავლეთი კედელი თავიდანვე მიწაში უნდა ყოფილიყო დაძალული, ამიტომ ამ მხარეზე ქვათლილთა მაღალი წყობაა დაცული (3,30 მეტრის სიმაღლის), ხოლო დანარჩენი სამი კედლის ქვათლილთა წყობა 1,75 მ აღწევს. ამის შემდეგ დიდრონი ალიზია გამოყენებული კედლის ასაყვანად. დარბაზის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე გვიჩვენებს, რომ დასავლეთი კედლის გამოსაჩენი ნაწილიც ალიზისა უნდა ყოფილიყო (ტაბ. XV).

ლაგებული. ამ სვეტებს ქვიშაქვის ბაზა და კაპიტელი ჰქონიათ. აღმოჩენილია 6 სვეტის ძირი და 6 სვეტის თავი (სურ. 7; ტაბ. XIV, 3).

სვეტის თავები და სვეტის ძირები მარტივად არიან პროფილირებული; ბაზა შედგება პლინტისაგან, რომელზედაც ლილვია მოთავსებული და მას მოსდევს ყელი; ამ უკანასკნელზე ხის სვეტის ჩასაყენებელი ფოსოა ამოკვეთილი. სვეტისთავი დამუშავებულია აბაკისა და ფოსოს საშუალებით (სურ. 7).

შენობა, როგორც აღინიშნა, სამი მხრიდან მაინც ჩანდა, ე. ი. მას სამი ფასადი აქვს. კედლების გარეპირი ამ სამ მხარეს შესანიშნავად არის დამუშავებული. შენობას სამმხრივ ფართო ცოკოლი შემოსდევს. ძირითადი ფასადური კედელი აღმო-



სურ. 7. არმაზციხე. სვეტებიანი დარბაზის სვეტისთავი. სვეტის ძირები და სვეტის რეკონსტრუქცია

დარბაზის გრძივ ღერძზე განლაგებულია 6 სვეტის ძირი. აღმოჩენისთანავე ე. ი. 1944 წელსვე, მიიქცია ყურადღება სვეტის ძირებისა და სვეტის თავების მცირე ზომებმა. 1945 წლის გათხრებმა ახსნა ეს გარემოება. სვეტის ძირებზე აღმოჩნდა დამწვარი ხის სვეტის ფრაგმენტები in situ და იქვე, ადგილიდან დაძრული ნაწილები (ნახშირი) დამწვარი სვეტისა, ე. ი. გამოირკვა, რომ დარბაზის გრძივ ღერძზე, შუაში ხის ექვსი სვეტი ყოფილა თავის დროზე განსავლეთ მხარეზეა. ამ მხარეზე კედელს ორი ანტისებრი შვერილი აქვს (სურ. 6; ტაბ. XIV, 2). ისინი პოსტამენტის შთაბეჭდილებას ახდენენ ერთის შეხედვით. ამ შვერილებს შორის, ცენტრში კედელი თითქოს გაჭრილია და „სვეტებიან დარბაზში“ შევდივართ, ჩავდივართ ოთხსაფეხურიანი განიერი კიბით (სურ. 6; ტაბ. XIII,2; XIV,1).

შენობის შიგნითა მორთულობის შესახებ ბევრი არაფერი გვეთქმის. პართული ხელობის ძვლის ნაჩუქურთმევი ფირფიტა, რომლის ანალოგებს

ძვ. წ. III—I საუკუნეებით ათარიღებენ[9] და ოქროს თხელფურცელთა ფრაგმენტები ვერ ქმნიან დარბაზის შიგნითა მორთულობის სრულ სურათს; თუმცა, ოქროს ფურცლები შესაძლოა ნარჩენი იყოს ხის სვეტთა სამკაულისა, მაგრამ ამ მხრივ ჩანს სხვა არაფერი შემოინახა. შელესილობა გამორიცხული არ არის, რადგან შესასვლელთან ოდნავ შესამჩნევი კვალი იყო წმინდად ნალესი ბათქაშისა, თითქოს საღებავის ნიშნებით. დარბაზის კედლების შიგნითა პირი კარგად გათლისა და ქვათლილთა პირწმინდად მიყენების წყალობით სასიამოვნო იერს ატარებს (ტაბ. XV).

შიგნითა მხარეს შეიმჩნევა ოთხკუთხა ფოსოები თუ ბუდეები (სურ. 6—ჭრილები). ისინი გვაგონებენ ხარაჩოთა დასატანებლად ამოკვეთილ ბუდეებს. ვარაუდობენ, რომ მათ შეიძლება ანტისეისმურ სამაგრთა მნიშვნელობაც ჰქონდეთ. გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ ბუდეებში შესაძლოა კოჭები იყო ჩასმული და, ამრიგად, ნივთებისა და სიმდიდრის დასაწყობ თაროს კონსოლებისთვის იყო გამოყენებული. ანალოგიური ვითარება მითითებულია ოლვიაში VI—IV საუკუნეების ნაგებობებში და ტირიტაკის გათხრებისას. აღმოჩენილ ელინისტური ხანის ნაგებობებშიაც. 1910 წელს ქერსონესში გათხრილ ელინისტური ხანის (ძვ. წ. IV—III საუკუნის) ერთ-ერთ საზოგადოებრივი შენობის წყობაში სწორკუთხოვანი ბუდეებია დარჩენილი[10]. ვარაუდობენ, რომ იქ ეს სახურავის კონსტრუქციასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მცხეთის შიდაციხეში (სურ. 6—8; ტაბ. XIV, 1, 3; XV), რა თქმა უნდა, სხვა ვითარება ჩანს.

ოქროს ფურცლის ფრაგმენტებთან ერთად დარბაზში ნაპოვნია: ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები, დაფანჯრული — ხვიებით შემკული ბალთა ბრინჯაოსი; ლურჯი, მწვანე და მოწითალო მძივისმაგვარი ნატეხები „ეგვიპტური პასტისა“ და სხვ. ეს ნივთები არაპირდაპირ მითითებებს გვაძლევენ „სვეტებიანი დარბაზის“ შიგნითა მორთულობის შესახებ.

დარბაზის იატაკი ვარდისფერი ფხვნილით (ტუფოგენური ქვიშაქვისაა) არის მოტკეპნილი და ამ მხრივ ადრეულ ტრადიციებს გვიჩვენებს. საერთო მოყვანილობით არმაზციხის „სვეტებიანი დარბაზი“ ძალიან ჰგავს ტელ-ჰალაფის სასახლეს ანუ კაპარას ტაძარს, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ კარმირ-ბლურშიაც აღმოაჩნდა ერთგვარი ანალოგი, როგორც ამას პროფ. ბ. პიოტროვსკი მიუთითებს[11]. ამრიგად, მშენებლობის ტექნიკით, არქიტექტურული ფორმებითა და ასაკით ერთიმეორის ახლო მყოფ ძეგლებთან უნდა გექონდეს საქმე.



სურ. 8. „სვეტებიანი დარბაზის“ ერთ-ერთი სვეტის რეკონსტრუქცია

ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს „სვეტებიანი დარბაზიცა“ ქმნის და არმაზციხის ზღუდის საძირკვლისათვის ამოკვეთილი საფეხურე-

[9] P. Pope and Ackerman, A Servey of Persian art. v. III, London and New-York, 1939, გვ. 2659—2663, სურ. 888.

[10] Херсонский сборник, вып. III, Севастополь, 1931, გვ. 55, სურ. 16.

[11] Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ер., 1944, გვ. 162—163.

ბიც, რომლებიც შეიძლება თოპრახყალეს ქედზე ამოკვეთილ საფეხურებს შეედაროს და ა. შ.

დანამდვილებით არაფრის თქმა შეიძლება სახურავის მოყვანილობის შესახებ, მაგრამ გრძივად განლაგებული სვეტები (ტაბ. XIV,3) ორფერდა სახურავის არსებობას უნდა მიუთითებდნენ. სახურავი მასალა ცხადად ჩანს — ორი ტიპის მცხეთური კრამიტია გამოყენებული.

„სვეტებიანი დარბაზის" წინ აღმოჩენილია მცირე, მოგრძო მოყვანილობის პარალელური წყობა, რომელსაც ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედება ეტყობა (სურ. 6). სწორედ ამ გარემოებამ და წყობის მდებარეობამ შექმნა საფუძველი „სამსხვერპლო" ან „მუდმივი ცეცხლის" ადგილი გვევარაუდნა. ასეთ შემთხვევაში „სვეტებიანი დარბაზის" საკულტო დანიშნულება გაირკვეოდა (ტაბ. XV, წინა პლანზე).

კინეში. ჩვენის აზრით, უკვე ის, რაც აღმოჩენილია, იძლევა საფუძველს საქალაქო ცხოვრების ეს მხარე წარმოვიდგინოთ. დედაქალაქობის ხანის ამ მხრივ დასახასიათებლად ჩვენ ახლა მოკლედ გავიცნობთ ანტიკური ხანის აბანოს და დედაქალაქობის ხანის სხვა ნაგებობებს.

ბაგინეთის უძველესი ფენის (არმაზციხე I) ნაგებობათა ასაკის ხუროთმოძღვრული ძეგლები. დიდი მცხეთის ყველა უბანზე არ ჩანს ჯერჯერობით. ახ. წ. I—III საუკუნის ნაგებობათა ნაშთები კი ყველაზე დიდი რაოდენობით არის გათხრილი არმაზისხევის შესართავთან, იმ ვაკეზე, სადაც 1940 წელს პიტიახშთა მდიდრული სამარხები აღმოჩნდა.

ამ ხანას უნდა მიეკუთვნოს ნაგებობა, რომელშიაც არმაზისხევის ერისთავთა საგვარეულო ნეკროპოლის I და II სამარხი იყო ჩადგმული.



სურ. 9. არმაზციხე I. ჭალდეში ამოკვეთილ ბუდეებში ჩასმულ ქვათლილთი წყობა

სინქრონული და მსგავსი ტექნიკური ხერგებით ნაშენი ნაგებობებია აღმოჩენილი „სვეტებიანი დარბაზის" ჩრდილოეთითაც.

უფრო ფართოდ ჩანს საქალაქო მშენებლობა გაშლილი არმაზციხე II-ისა და მომდევნო ხანებში, განსაკუთრებით კი ახ. წ. I—III საუკუნეებში. მშენებლობა წარმოებს მეტწილად საკუთრივ მცხეთაში და საპიტიახშო უბანში.

ქალაქის ნაგებობათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ე. წ. სანიტარული კულტურის დონის დამახასიათებელი შენობები — აბანოები და მასთან ერთად წყალსადენებიც.

გათხრებმა გვიჩვენა, რომ სათანადო ნაგებობები იყო აშენებული უბნების მიხედვით. ასე, მაგ.. აბანოები აღმოჩენილია შიდაციხეში და საპიტიახშო უბანში; წყალსადენები: — საკუთრივ მცხეთაში, შიდაციხეში, საპიტიახშო უბანზე და სარ-

ჩენამდე შემოინახა ამ შენობის საძირკველი, რომელიც გამოავლინა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1940 წ. (სურ. 77).

არმაზისხევის ანტიკური ხანის ნაგებობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სასახლისა თუ ტაძრის ტიპის შენობები, რომელის ნანგრევები 1941 წელს გათხარა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. ესაა ე. წ. „სვეტებიანი" ან „ზღურბლიანი" ნაგებობის ნაშთები[12].

ყველაზე ძველ და ბაგინეთის უძველეს ფენასთან ახლომდგომ ნაგებობად შეიძლება ის ჯგუფი ჩაითვალოს, რომლისგანაც მხოლოდ თითო-ოროლა პროფილირებული დეტალი შემოინახა (მათ შორის უწყვეტით ერთმანეთთან გადასაბმელი ქვათლილებია გამოყენებული გვიან). სწო-

[12] დაწვრილებით ამის შესახებ, იხ. მცხეთა I, გვ. 160—163.

რედ ამ ნაგებობას შეიძლება „სასახლის ტიპისა“ ეწოდოს და მიჩნეულ იქნას ის პიტიახშთა რეზიდენციის კომპლექსის ნაწილად.

„სასახლის ტიპის“ ნაგებობა უთუოდ პირობითი სახელია ახლა ჩვენთვის საინტერესო შენობისათვის, რადგან მისი მიწისზედა ნაწილი თითქმის მთლიანად დანგრეულია.

ეს ნაგებობა აღმოჩნდა 1941 წელს. იმავე წელს გაითხარა შენობის პირველი, ე. წ. „ზღურბლიანი დარბაზი“, რომელიც, როგორც შემდეგ (1945—46 წწ.) გამოირკვა, წარმოადგენდა მთელი ნაგებობის ნახევარს, მის დასავლეთ ნაწილს.

შენობის მონუმენტურობა, სწორი გეგმა, აღმოჩენილი სვეტისთავი და სვეტისძირი საგანგებოდ შერჩეული ქვის კარგად გათლილი ზღურბლი, სქელი და საკმაოდ მტკიცედ შედუღაბებული კედლები, მაშინვე გვანიშნებდნენ, რომ ჩვენ საქმე გვქონდა წარჩინებულთა წრის, სასახლის თუ ტაძრის ტიპის ნაგებობასთან, რომელთანაც უთუოდ მჭიდროდ უნდა ყოფილიყო თავის დროზე დაკავშირებული. 1937 წელს, ამ ნაგებობის ჩრდილოეთით ათიოდე მეტრის მანძილზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის აბანო.

ასეთ მოსაზრებებს სხვა მომენტებიც აძლიერებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სასახლეს ჩრდილოეთით (აბანოსაკენ) დიდი კარი ჰქონია, რომლის ზღურბლი თავის ადგილზე არის დღემდე შემონახული. კედლების გაწმენდისას ისიც გამოირკვა, რომ სასახლის ეზო სათანადო ადგილებში წვრილი ფილაქნებით ყოფილა მოფენილი. ნაგებობის მნიშვნელობის დამახასიათებლად სახურავიც მიუთითებდა; კერძოდ, კრამიტის ნატეხები, რადგან კრამიტით გადახურული, ძვირფასი ჩუქურთმიანი დეტალებით შემკული, სქელკედლიანი და მონუმენტური ნაგებობა, მხოლოდ წარჩინებულთა წრის კუთვნილებად, ან საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო ნაგებობად უნდა ყოფილიყო მიჩნეული იმთავითვე. ასეთი დასკვნის მიღებისას უთუოდ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ 1940 წელს ამ მიდამოებში, ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთით, პიტიახშების სამარხები აღმოჩნდა. ეს, უმთავრესად ახ. წ. II—III საუკუნეების სამარხები, საკმაოდ და კარგად გვიჩვენებდნენ მათთან დაკავშირებულ ნაგებობათა ასაკსაც. ამ მხრივ ნაწილობრივ აბანოს გამოყენებაც შეიძლებოდა.

ასეთი წინასწარი მოსაზრებანი სავსებით გაამართლა 1945—46 წლების მუშაობამ, როდესაც ამოწმენდილ იქნა მთლიანად ამ დარბაზის შიგნით ჩარჩენილი ნაწილი და გაითხარა შენობის მეორე ნახევარიც, — აღმოსავლეთი ნაწილი, რომელშიაც მეოთხე და მომდევნო საუკუნეების ქვისსამარხები აღმოჩნდა ჩადგმული.

1941 წლის შემდეგ ჩატარებულმა გათხრებმა შექმნა უფრო მტკიცე საფუძველი მოსაზრებისათვის, რომლის მიხედვით აბანო და „ზღურბლიანი ნაგებობა“ ერთ კომპლექსს უნდა წარმოადგენდნენ.



სურ. 10. ქვათლილთა გადაბმა უწყვეტებით. უწყვეტის ბუდის განაზომები.

„სასახლის ტიპის“ ნაგებობის „გრძელი ღერძი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთით, მცირეოდენი გადახრით სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩრდილოდასავლეთისაკენ, ზუსტად ისევე, როგორც აბანოს ნაგებობის გრძელი ღერძი. ამას გარდა ამ ორ ნაგებობას სხვაც ბევრი რამა აქვს საერთო, თანადროულობის მანიშნებელი: ორივე სავსებით გარკვეული, წესიერი გეგმისამებრ და კაპიტალურად, ქვითკირით არის აგებული, ხოლო საპასუხისმგებლო ადგილებში ორივეგან თლილი და პროფილირებული ქვებია გამოყენებული[13]...

[13] მცხეთა I, გვ. 160—163. იქვეა ამ ნაგებობისა და ხუროთმოძღვრულ ფრაგმენტთა ვრცელი მიმოხილვა (შდრ. მცხეთა I, სურ. 116—124; ტაბ. XXXI—XXXV).





სურ. 11. არმაზციხე II. ორსენაკიანი ნაგებობის გეგმა და გვერდხედი. მარცხენა სენაკში მოჩანს არმაზციხე I-ის დროინდელი ქვათლილები

სასახლის ტიპის ზემოთ მითითებული ნაგებობის ნაშთები, რა თქმა უნდა, არ იძლევა საკმაო მასალას იმისათვის, რომ ამ შენობის სრული სახე და გრანდიოზულობა წარმოვიდგინოთ. არმაზისხევის პიტიახშთა რეზიდენციის ნაგებობათა შესახებ მეტნაკლებად სრული წარმოდგენის შესაქმნელად უნდა მოვიშველიოთ ნაწილი მაინც იმ მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ფრაგმენტებისა, რომელთაც მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია სისტემატურად პოულობდა, რა თქმა უნდა, ამ დეტალთა პირველი ადგილსამყოფელიდან ყოველთვის მოშორებით და განცალკევებით (სურ. 14[1], 14[2], 18).

დიამეტრი 5,8 სმ-ია, სიღრმე კი — 7,8 სმ. ესაა კარის დასავლეთი ფრთის ჩამოსაკიდი ღერძის თავის მოსათავსებელი ფოსო. უნდა ვივარაუდოთ, რომ თავანს მეორე ფოსო ექნებოდა აღმოსავლეთის კუთხეშიც. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, თავანის აღმოსავლეთი ნახევარი დაკარგულია და მის შესახებ მხოლოდ ვარაუდი თუ მოხერხდება, ისიც ზღურბლში ამოკვეთილი ფოსოს მიხედვით (სურ. 15—18).

თავანის შემონახული ნატეხები კარგად მიუდგა ერთიმეორეს. ორივე ნატეხი სიგრძით 82 სმ აღწევს; თავანის სიგანე 106 სმ-ია. თავანის შუბლი გულდაგულ დამუშავებულია და რთულად



სურ. 12. ა რ მ ა ზ ი ხ ე II. ორსენაკიანი ნაგებობის დასავლეთი კედლის შიგნითა ხედი. ნაგებობა არმაზიხე I-ისათვის დამახასიათებელ ქვათლილთა წყობაზე დგას. ძველი ქვათლილები გამოყენებულია კედელშიაც

ეს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოჩენილი ნაწილები საფუძველს გვაძლევს არმაზისხევში თავის დროზე კიდევ სხვა ნაგებობის არსებობა ვივარაუდოთ, ისიც, რა თქმა უნდა, პიტიახშთა კუთვნილისა, რომლის დანგრევის, დაწვისა და ქვების დატაცების შემდეგ, რამდენიმე დეტალი მაინც შემოუნახავს იქაურ მოგვიანო ხანის სამარხებს, გვიანდელ ნაგებობებს და მიწას.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ზღურბლიანი ნაგებობის“ გათხრისას ნაპოვნი არქიტექტორული დეტალები. ასეთებია: ა) კ ა რ ი ს თ ა ვ ა ნ ი, რომლის დაახლოებით ნახევარი აღმოაჩინა ექსპედიციამ და ისიც ორი ნატეხის სახით. ნატეხი, რომელიც თავანის დასავლეთ ნაწილს წარმოადგენს, მოზრდილია, მას კუთხეში ამოკვეთილი აქვს მრგვალი ფოსო, რომლის

პროფილირებული. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ მხარის შესახებ, რომელიც „ზღურბლიანი“ ნაგებობის პირველი ოთახის შიგნითა მხარეზე ჩანდა. ეს კარგად ეტყობა ორივე ნატეხს, მაგრამ განსაკუთრებით კარგად პირველს, ე. ი. იმას, რომელიც 32-ე ქვისსამარხის კედლად იყო გამოყენებული. ამ ნატეხს პროფილირებული შუბლის შუა ზოლზე საკმაოდ კარგად ეტყობა დაკბილულობა. ამ მხრივ ის შეიძლება შეედაროს იქვე მახლობლად 1938 წელს აღმოჩენილ ტიპიურ ანტიკურს, დაკბილულსა და რთულპროფილიან ლავგარდანს (სურ. 14) და უკანასკნელის ანალოგიურ დეტალს, 1946 წელს ბაგინეთში აღმოჩენილს.

ბ) ს ვ ე ტ ი ს ძ ი რ ი სრულიად მარტივია და თანაც ძლიერ დაზიანებული. შედგება ორი ნაწილისაგან: ქვედა — სწორკუთხოვანია, ზედა კი

დაბალი და მრგვალი (სურ. 20). შემონახული ნაწილის სიმაღლე — 38 სმ-ია, ოთხკუთხოვანი ნაწილის სიგანე 42 სმ. აღმოჩნდა ზღურბლიანი ნაგებობის პირველ სენაკში.

რაკი ჩამოთვლილი დეტალები, კერძოდ სვეტისძირი და სვეტის თავი ზღურბლიანი ნაგებობის პირველ ოთახში აღმოჩნდა, ბუნებრივია, ისინი სწორედ ამ ნაგებობის კუთვნილებად მივიჩნიოთ.



სურ. 14[1]. არქიტექტურული დეტალი, აღმოჩენილი არმაზისხევთან



სურ. 14[3]. იგივე

გ) **სვეტისთავი** აღმოჩნდა იმავე ოთახის დასავლეთის კედელთან ახლოს. სიმაღლით 47 სმ-ია, სიგანე — ცალ მხარეზე 61 სმ აღწევს, მეორეზე კი — 57-ს. ყურადღებას იპყრობს კარგად გამოკვეთილი ფიგურული აბაკი, რომლის ზედაპირს კარგად ეტყობა ფიგურის გამოსაყვანი ხელსაწყოს კვალი, სახელდობრ ცენტრში წერტილი, დიამეტრალური და დიაგონალური ხაზები (სურ. 19). ეს დეტალი ბაგინეთის სვეტებთან დარბაზში ნაპოვნ ქვისმთლელის ხელსაწყოს გვახსენებს. ყელი თავის დროზე კარგად მიჩუქურთმებული ყოფილა, მაგრამ ახლა თითქმის არაფერი ჩანს. შემორჩენილი ნაწილი თითქოს აკანთის გამოსახულებას წარმოადგენს. უკანასკნელი იმდენად სქემატურია, რომ შეუძლებელს ხდის სხვა რამ მნიშვნელოვანი შეინიშნოს.

გამორიცხული არ არის, რომ სხვა სვეტთა ნაწილები, ისევე როგორც ნაგებობის ზევრი პროფი-



სურ. 13. არმაზციხე. ბაგინეთის პირველი უბნის ცენტრალური ნაწილის გეგმა, რომელზედაც ასახულია სამი ფენა: არმაზციხე I, არმაზციხე II და არმაზციხე III.

ლირებული და ჩუქურთმოვანი ნაწილი, რაც გადაურჩა დალეწვასა და ცეცხლს, წაღებულია და სხვაგან გამოყენებული.



სურ. 15. არმაზისხევის საერისთაო რეზიდენციის კომპლექსის ნანგრევები—ხღურბლიანი ნაგებობა

სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ არქიტექტურულ დეტალთაგან ყურადღებას იქცევს ქვიშაქვის, პროფილირებული და დაკბილული ლ ა გ ვ ა-



სურ. 16. იგივე. ხღურბლის გეგმა

რ დ ნ ი ს მ ო ზ რ დ ი ლ ი ნ ა ტ ე ხ ი (სურ. 14). ამ ნატეხს 14 კბილი შემორჩენია; კბილები თითქმის თანაბარი სიფართისაა (4,5 სმ); ასევე თანაბარი ჩანს ჩაღრმავებული ნაწილი კბილთა შორის (3 სმ). ამ დეტალის სიგრძე 120 სმ აღწევს; პროფილირებული ნაწილის სიმაღლე 28,7 სმ, ხოლო ქვის სისქე — 40 სმ-ს. ზურგი ლავგარდნისა გულდაგულ დამუშავებული არ არის. დასაწყისიდან 77-ე სანტიმეტრზე მას აქვს 9,5 სმ სიფართის ჩა-

ნაპერი, ალბად, ამ საკმაოდ დიდი ზომის და სიმძიმის ქვის ქვასატეხიდან მშენებლობის ადგილამდე გადატანის გაადვილებისათვის.

ძველი ნაგებობის ნაწილს წარმოადგენს აბანოს მეორე განყოფილებაში — ცხელ საბანაზანოში აღმოჩენილი უზარმაზარი, სწორკუთხოვანი ლოდი. იგი, უეჭველია, აქ მეორედ არის გამოყენებული. ეს ლოდი 214 სმ სიგრძისაა, 55 სმ სიგანისა და 20 სმ სისქისა. მითითებული დეტალი ახლაც აბანოშია დაცული, იქ, სადაც ის გამოაჩინა ექსპედიციამ 1937 წელს.

ასპარუგ ერისთავის სამარხთან ახლოს აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი დამუშავებულ-გათლილი ლოდი, რომლის დანიშნულება გაურკვეველია. მისი სიგრძე 118 სმ-ია; სიგანე — 29 სმ, სისქე — 24 სმ.



სურ. 17. იგივე. ხღურბლის ამყოლის გვერდხედი

თითქოს კუთხის ლავგარდნისა უნდა იყოს ერთი პროფილირებული დეტალი — სამკუთხა მოყვანილობის ნატეხი, რომელსაც შიგნითა ზედა-

პირიც 6,5 სმ სიღრმეზე ჩაჭრილი აქვს. პროფილირებული შუბლის სიმაღლე — 27,5 სმ უდრის; ნატეხის უდიდესი სიგრძე — 58 სმ, ხოლო სიგანე 52 სმ.

ნაგებობის ნაწილს წარმოადგენს „ნარიბანდიანი" ნატეხი მოზრდილი ლოდისა, რომლის სიგრძე 85 სმ და სიგანე 57 სმ.

აღმოჩენილ დეტალთა შორის ერთი კვადრატული (89×98 სმ) და პროფილირებული დეტალია; ერთი მოგრძო და ფართოდ გულამოჭრილი. საკმაოდ კარგად არის პროფილირებული კუთხეჩამოტეხილი კვადრატული (65×65 სმ) ფრაგმენ-



სურ. 18. იგივე. კარის თავანი

ტი. ერთ ნატეხს კიდე ნახევარწრიულად აქვს ამოჭრილი; ერთსაც თითქოს ნარიბანდი აქვს ამოკვეთილი. აღმოჩენილთა შორის არის მრავალი სხვადასხვა მოყვანილობის ნატეხი, რომელთა დანიშნულების გარკვევა ახლა შეუძლებელია, მაგრამ ცხადია, რომ ყველა არქიტექტურული დეტალი თავის დროზე არმაზისხევის შესართავთან მდგარ საპიტიახშო ნაგებობებს ამშვენებდა, ე. ი. ისინი მეტწილად იმ ნაგებობათა ნაწილებად უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც „ზღურბლიანი ნაგებობისა" და აბანოს აშენებამდე იდგა ძველი დედაქალაქის საპიტიახშო უბანში. ახლა დანამდვილებით შეუძლებელია ამ ნაგებობათა ხნოვანების განსაზღვრა, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ეს ნაგებობები ახ. წ. I საუკუნემდე (არმაზციხე II—დროს) აშენებულად უნდა მივიჩნიოთ. იქნებ ეს ერთი არაპირდაპირი მითითება იყოს ძველ დედაქალაქის საპიტიახშო უბნის გაჩენის დროის განსაზღვრისათვის.



სურ. 19. საპიტიახშო უბანზე აღმოჩენილი სვეტის თავი—ხედი გვერდიდან და ზემოდან

როგორც ცნობილია, მცხეთის ტერიტორიაზე ორი აბანოა აღმოჩენილი. ერთი არმაზისხევის შესართავთან 1927 წელს და მეორე ბაგინეთზე — 1946 წელს. ამრიგად, ძველი დედაქალაქის ამ ორ უბანს: საპიტიახშოს და შიდაციხეს თავ-თავიანთი აბანო ჰქონიათ.

ა რ მ ა ზ ი ს ხ ე ვ ი ს ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო ა ბ ა ნ ო გაითხარა 1937—1938 წლებში ალ. კალანდა-

ძის ხელმძღვანელობით. გამთხრელს ეკუთვნის რამდენიმე ანგარიში აბანოს გათხრის შესახებ და სპეციალური ნაშრომები, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი და განხილული მდ. მტკვრისა და არმაზისხევის შესართავთან, მათ მარჯვენა ნაპირზე, მტკვრის მეორე ტერასაზე აღმოჩენილი აბანო[14].

აღმოჩენილი შენობის საერთო სიგრძე 22 მ უდრის, სიგანე კი 6 მ. აბანო ხუთი ძირითადი განყოფილებისაგან შედგება; გასახდელი ოთახი, სათბობი განყოფილება, ცხელი აბანო, თბილი აბანო და გრილი აბანო. ამ ხუთი განყოფილების შიდა საერთო ფართობი 67,12 კვ მ აღწევს; ამათგან ყველაზე დიდია პირველი განყოფილება — გასახდელი ოთახი, რომელსაც 26,12 კვმ ფართობი უჭირავს; ყველაზე მცირეა სათბობი განყოფილება; მისი ფართობი 6,84 კვმ აღწევს.



სურ. 20. საპიტიახშო უბანზე აღმოჩენილი სვეტის ძირი

აქ ჩამოთვლილ განყოფილებათა დაწვრილებითი აღწერა ვერ ხერხდება იმის გამო, რომ აბანოს ნაგებობა შედარებით ცუდად არის შენახული: განადგურებულია თითქმის მთლიანად მეორე სართული, სადაც ძირითადად ოთხი განყოფილება უნდა ყოფილიყო განლაგებული. შედარებით უკეთ არის დაცული აბანოს პირველი სართული, სადაც წარმოდგენილია გათბობის სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს არის აბანოს პირველი სართულის ყველაზე ძირითადი და თანაც ყველაზე უკეთ შენახული ნაწილი. სათბობის სისტემის ზემოთ, მეორე სართული „ცხელ აბანოს უკავია. მეორე სართულის ყველაზე უკეთ შემონახულ ნაწილს სწორედ „ცხელი აბანო“ წარმოადგენს. ამრიგად, მიუხედავად შენობის საერთოდ ცუდი დაცულობისა, ხერხდება აბანოს შესახებ საერთო წარმოდგენის შექმნა, განსაკუთრებით ძირითადი ნაწილების — გათბობის სისტემისა და „ცხელი აბანოს“ საფუძველზე.

გათბობის სისტემა ორი ძირითადი ელემენტისაგან შედგება: პირველი მათგანი სათბობი განყოფილებაა, ე. ი. სწორედ ის ადგილი, სადაც ცეცხლფარეში ტრიალებს და საიდანაც ინთება ცეცხლი ღუმელში. ეს განყოფილება კარით ყოფილა შეერთებული გასახდელის ქვედა სართულთან, რომელიც, შესაძლებელია, შეშის საწყობად ყოფილიყო გამოყენებული. იქვე აღმოჩნდა ქვის ვიწრო საფეხურები, რომელსაც ა. კალანდაძე ცეცხლფარეშის ჩასასვლელ კიბედ მიიჩნევს.



სურ. 21. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

[14] დაწვრ. მ ცხეთა I, გვ. 147—160; იხ. აგრეთვე: ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში. ენიმკის მოამბე, ტ. II, ნაკვ. 3, თბ., 1937; მ ი ს ი ვ ე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1938, ენიმკის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. 3, თბ., 1939.

სათბობის სისტემის ძირითადი ნაწილი ამ განყოფილების აღმოსავლეთითია. მას „ტიპიური კალორიფერის სახე აქვს. მის იატაკს წარმოადგენს დაახლოებით 0,20 მ დატკეპნილი ფენა, რომელიც კირის და დანაყილი აგურისა და კრამიტის თანაზომიერ ნარევს შეადგენს.

იატაკის მთელ ფართობზე დგას მრგვალი აგურებისაგან აგებული, 1,10 მეტრის სიმაღლის სვეტები, რომელთა შორის მანძილი 0,30—0,35 მ უდრის. ამასთან ერთად, კედელთან გასწვრივ აღმართულია კვადრატული და მოგრძო-ოთხკუთხოვანი აგურებისაგან ამოყვანილი სვეტები. თითოეული სვეტი შედგება სქელი კირით ერთიმეორესთან შემტკიცებულ 20—21 აგურისაგან, რომელთაც საფუძვლად ასევე მრგვალი, ოღონდ რამდენადმე უფრო დიდი აგური უდევთ[15], სვეტები ყოველმხრივ შემოლესილია იატაკის მოსატკეპნად გამოყენებული ხსნარით, ესაა ცნობილი წყალგამძლე ხსნარი, რომელიც, როგორც ჩანს, სიმხურვალესაც კარგად უძლებდა.

გათხრისას 33 სვეტი აღმოჩნდა, მაგრამ დანგრეულ სვეტთა ნაშთების გათვალისწინების შემდეგ ა. კალანდაძე კალორიფერში 42 სვეტს ვარაუდობს. სვეტები გადახურული ყოფილა დიდი კერამიკული ფილებით (0,55×0,60×0,03 მ; 0,60×0,63×0,04 მ) ისე, რომ ყოველი ფილა 4 სვეტს წვდებოდა და ყოველი მათგანის 1/4 ნაწილს ფარავდა; ე. ი. სვეტის მთლიანად დასაფარავად ოთხი ფილის გამოყენება იყო აუცილებელი. კერამიკული ფილების შეერთების ადგილები ხსნარით იყო ამოლესილი. ასევე ხსნარის სქელი ფენით იყო გადალესილი დიდი კერამიკული ფილებით გადახურული მთელი ფართობი. იატაკის ქრილში გამთხრელს შეუნიშნავს ხსნარის 7 ფენა, რაც იმის მომასწავებელია, რომ იატაკზე ხსნარის ოხელი ფენები მოუსხამთ და ეს რამდენჯერმე გაუმეორებიათ ვიდრე იატაკისა სასურველ სისქეს არ მიაღწიეს.

კალორიფერის დაწვრილებითი შესწავლის შედეგად ა. კალანდაძეს გამორკვეული აქვს, რომ „აღწერილი განყოფილების ქვედა სართული, ასეთი საგულდაგულო გადახურვის შედეგად, შიგნიდან წარმოადგენდა ზედმიწევნით მჭიდროდ შეკრულ სივრცეს. ამ უკანასკნელს ჰაერის ნორმალური ცირკულაციისათვის ჰიპოკუსტის ჩრდილო-დასავლეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში დამრეცად დატანებული ჰქონდა კერამიკული მილები. სავენტილაციო მილები ჩატარებული იყო აგრეთვე თბილი აბანოს კედლებში...; კედლებში დატანებული მილები ვიწრო თავებით ქვემოთკენ არის მიმართული. ეს გარემოება და, აგრეთვე, ამ მილების დახრილობა უზრუნველყოფდა შენობის ზომიერ ვენტილაციას... მანძილი სავენტილაციო მოწყობილობათა შორის დაახლოებით 3 მეტრს უდრის"[16].

ზემოაღნიშნულიდან საკმაოდ კარგად ირკვევა სირთულე არმაზისხევის საპიტიახშო აბანოს გათბობის სისტემისა. ზედასართულის გათბობისათვის აუცილებელი სავენტილაციო თუ სითბოს მიმწოდებელ შვეულ და თარაზულ არხთა უნაკლო განლაგება, იმდროისათვის მეტად დაწინაურებული სანიტარული ტექნიკის მანიშნებელია.

ასეთი დასკვნის მიღება ბუნებრივი იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ გათბობის სისტემის მთელ სირთულესთან ერთად, აბანოს აქვს კარგად მოწყობილი „კაბინები" და „ექსედრა"; ამას გარდა, მეორე სართულზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი ქვაბები წყლისათვის; რაკი ამ სართულის მეტად დიდი ნაწილი გადანგრეულია, ამჟამად საქვაბის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ვერ ხერხდება.

საპიტიახშო აბანოს სურათის წარმოსადგენად აუცილებელია სხვა განყოფილებათა გაცნობა. ცხელი აბანო ან კაბინებიანი განყოფილება ალ. კალანდაძის დასკვნით თბილ აბანოს უერთდება 1,2 მ სიგანის გასასვლელით. ამ განყოფილების ქვედა სართული ჰიპოკაუსტის მეორე განყოფილებას წარმოადგენს. აქ . ცხელი ორთქლ პირველი განყოფილებიდან სამი მოზრდილი არხის საშუალებით შემოდის და აღწერილი წესით ამ განყოფილების იატაკზე მოწყობილ სვეტებს შემოუვლის. ამ სვეტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (14) ოთხკუთხა აგურითაა ამოყვანილი. ქვედა სართულიდან თბილი ორთქლის მეორე სართულზე ასასვლელი არხების მოწყობილობასა და სართულშორისი გადახურვის აღნაგობა აქ ისეთივეა, როგორიც ცხელ აბანოში; სხვათა შორის „თბილი აბანოს" ჩრდილოეთ კედელს მომცრო აბსიდა აქვს დატანებული. სწორედ ამ ნაწილს ა. კალანდაძე ექსედრად მიიჩნევს[17].

[15] მ ცხ ე თ ა I, გვ. 150.

[16] მ ცხ ე თ ა I, გვ. 150.

[17] მ ცხ ე თ ა I, გვ. 150—153.

„თბილ აბანოს“ აღმოსავლეთით „გრილი აბანო“ უერთდება. მათ შორისაც 1,2 მ სიფართის გასასვლელია. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ერთი განყოფილებიდან მეორეში გასასვლელები ერთ ხაზზე კი არაა აწყობილი. ეს მნიშვნელოვანი მომენტია სხვადასხვა განყოფილებათა ტემპერატურის მკვეთრი სხვაობის შესამცირებლად.

„გრილი აბანო“ ერთსართულიანია; იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) აუზი და ბ) ცივი შხეფის მისაღები განყოფილება. საშხეფო განყოფილების სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩართულია ნახმარი წყლის გამყვანი მილი 12 სმ დიამეტრისა. ამ მილის საშუალებით უერთდება საკანალიზაციო კოლექტორს საპიტიახშო აბანოს სხვადასხვა განყოფილებიდან წამოსული წყალი. ამრიგად, ირკვევა, რომ როგორც ცხელი ორთქლის სადენი, ისე ნახმარი წყლის გასატარებელი არხები საპიტიახშო აბანოს მშენებლებს კარგად დაუგეგმავთ და მოხდენილად მოუწყვიათ სათანადო ადგილებში.



სურ. 22. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

ორთქლისა და ნახმარი წყლის გამტარი მოწყობილობის დამაკმაყოფილებელი გარკვევა მოხერხდა იმის გამო, რომ მიწამ საკმაოდ კარგად დაიცვა საპიტიახშო აბანოს პირველი სართული, სადაც განლაგებულია კალორიფერი, ჰიპოკაუსტი, ღუმელი და საკანალიზაციო არხები. ცხადია, იგივე არ ითქმის მეორე სართულის შესახებ. სწორედ ამის გამოა, რომ აბანოს შიგნითა წყალგაყვანილობისა და წყლით მომარაგების შესახებ ბევრი არაფერი გვეთქმის. მიუხედავად ამისა 1938 და ნაწილობრივ 1940—1941 და მომდევნო წლებში წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგად ჩვენმა ექსპედიციამ შესძლო გაეკვლია კერამიკული მილებისაგან შემდგარი წყალსადენის ორი ტრასა: სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისა. პირველი არმაზისხევიდან მოემართება შენობისაკენ და უერთდება შენობის სამხრეთ კედელს; ამ კედელთან კი საცეცხლისა და ჰიპოკაუსტიანი განყოფილების კუთხის გამყოფი კედლის გასწვრივ დევს ქვიშაქვის კარგად გათლილი სწორკუთხოვანი ლოდი (0,52×0,32×0,30 მ), რომელშიც 0,13 მ დიამეტრის მქონე ხვრეტილია ამოკვრილი. ეს უკანასკნელი სწორი კუთხით უერთდება იმავე ქვაში ამოკვეთილ 0,10 დიამეტრის მქონე ჰორიზონტალურ ხვრეტილს.



სურ. 23. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

აშკარაა, რომ ქვა აქ წყლის ნაკადის 90-ით მოსაბრუნებელი მუხლის მაგივრად არის გამოყენებული და, მართლაც, ჩაკირული იყო (ამ ქვაში) სათანადო დიამეტრის მქონე მილები“[18].

წყალგაყვანილობის მეორე ტრასის შესახებ თითქმის არაფერი ითქმის, რადგან ეს ტრასი სათანადოდ დაცული არ იყო და ამის გამო ვერ ირკვევა ტრასის აბანოსთან დამოკიდებულებაც.

რაკი აღინიშნა, რომ შენობა ძლიერ დაზიანებულია და მისი მეორე სართულის მხოლოდ მცირე ნაწილი შემოინახა, ცხადია, რომ შენობის სინათ-

[18] მ ცხ ე თ ა I, გვ. 156.

ლის წყაროსა და გადახურვის სისტემის შესახებ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით.

საპიტიახშო აბანო ახლა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი „მცხეთური კრამიტით" იყო გადახურული. სახურავი მასალა თითქოს საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ საპიტიახშო აბანოს ორფერდა სახურავიანი გადახურვა ვიგულისხმოთ. როგორც ჩანს, ანტიკური მცხეთის ნაგებობების დიდი უმეტესობა მაინც, თუ ყველა არა, ორფერდასახურავიანი უნდა ყოფილიყო*.

განათების სისტემის შესახებ ა. კალანდაძე მეტწილად პარალელური მასალის გათვალისწინების საფუძველზე მსჯელობს, მაგრამ ზოგი მეტად საყურადღებო დაკვირვება აქვს საპიტიახშო აბანოს გათხრისას გამოქვეყნებული; „უნდა ითქვას, რომ — წერს ა. კალანდაძე — აბანოს სამხრეთი კედლის გასწვრივ აღმოჩენილმა მიწის უამრავმა



სურ. 24. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

ნატეხებმა ჩვენ იმთავითვე აღგვიძრა ეჭვი — სამხრეთ კედელში თავის დროზე მინის სარკმელების არსებობის შესახებ. განსაკუთრებით მოსალოდნელი იყო ეს თბილი აბანოს კედელში, სადაც კიდეც შეიმჩნეოდა თითქოს სარკმლისათვის საჭირო ხვრელის ნაშთი"[19].

ამ სარკმელთა გარდა მკვლევარს მიაჩნია, რომ აბანოს შესაძლოა სახურავში ჰქონოდა საგენტილაციო ხვრელები, რომლებიც იმავ დროს სინათლესაც მიაწოდებდნენ სათანადო განყოფილებებს.

ასეთია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქალაქო ნაგებობის — საპიტიახშო აბანოს მოკლე მიმოხილვა. მისი შემორჩენილი ნაწილის გაცნობა ნათელ შუქსა ფენს ამ მხრივ დედაქალაქის დაწინაურებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეტად რთული და ორიგინალური სისტემის აბანოს მგეგმავთა და მშენებელთა დახელოვნება.

* ამას თითქოს აბანოს ნაგებობის აღნაგობაც მხარს უჭერს — გრძელია აბანოს შენობა, სიგანე კი შესაბამისი არა აქვს.

[19] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 158—159.

აბანოს მდებარეობა, მისი დამოკიდებულება „ზღურბლიან ნაგებობასთან" და მისი მოცულობა საკმაოდ ცხადსა ქმნის, რომ ჩვენს წინ არის არა მასობრივი სარგებლობის კომუნალური დაწესებულება, არამედ ძველი დედაქალაქის ახ. წ. II—III სს. მმართველთა წრის რეზიდენციის (ამ შემთხვევაში საპიტიახშოს) ერთ-ერთი ძირითადი ელემენტთაგანი.

როგორც გამთხრელსა აქვს გამორკვეული საპიტიახშო აბანო 1—2 საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს.

არმაზისხევის აბანოს ტიპის ნაგებობამ იჩინა თავი შიდაციხეშიაც. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის დამახასიათებელ აბანოს წარ-



სურ. 25. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

მოადგენს (სურ. 99). ზაზიანების გამო ძნელია შიდაციხის აბანოსთან დაკავშირებული კომპლექსის გათვალისწინება (ტაბ. XX—XXIII).

თვით აბანო მცირე ზომისაა. სათბობ და საკუთრივ სააბაზანო ნაწილს დაახლოებით 35 კვ. მეტრი ფართობი უჭირავს (7 მ × 4,7 მ). იატაკქვეშა სისტემა გათბობისა არმაზისხევურს იმეორებს: ორ რიგად არის განლაგებული მრგვალი და ოთხკუთხა აგურებით აყვანილი სვეტები, რომლებიც მათ თავზე დაგებულ კერამიკულ ფილებსაც ამაგრებდნენ და, ამრიგად, ჰიპოკაუსტების საშუალებით გათბობის ტიპიურ სისტემას ქმნიდნენ (სურ. 99). აღმოჩენილია კარგად ამოლესილი აბაზანა და წყალსაცავი აუზის ნანგრევები (ტაბ. XX,3).

როგორც არმაზისხევურს, ამასაც გასახდელი თუ დასასვენებელი დარბაზიც უნდა ჰქონოდა.

დამახასიათებელია, რომ ორივე აბანო ფლატეზეა გადამდგარი, ე. ი. ამით გაადვილებული ჩანს საბანაო განყოფილებებიდან წყლის შეუფერხებელი გასვლა.

არმაზისხევისა და არმაზციხის მაგალითი გვიჩვენებს, რომ იბერიის დედაქალაქის სხვა უბნებსაც შეიძლება აბანოები ჰქონოდათ. აბანო საქალაქო ცხოვრების დამახასიათებელი ნაგებობა ჩანს აქ ახ. წ. I საუკუნიდან, ე. ი. ეს ახალი სახეობაა საქალაქო ნაგებობისა ახ წ. I საუკუნის ქართლის ქალაქებში.

დაწვრილებით ვერ განვიხილავთ სარკინე უბნის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და საერთოდ ნაგებობებს, იმის გამო, რომ იქ სამუშაოები დასაწყის საფეხურზეა შეჩერებული. გათხრილ ნაგებობათაგან აღსანიშნავია კარიბჭე სავანესთან (ტაბ. LX, 1), სადაც გრანდიოზული რკინის კარიც არის აღმოჩენილი და ნანგრევები გრძელ მინდორზე გამართული რკინის სახელოსნოებისა. სარკინე უბნის დახასიათებისას უფრო ვრცლად იქნება დახასიათებული მითითებული ნაგებობანი, რომელთა მშენებლებს ქვათლილებიც გამოუყენებიათ და „არმაზციხე I"-ისათვის დამახასიათებელი ალიზ-აგურიც. თუმცა ქვათლილები აშკარად უფრო პატარა ზომისაა სარკინე უბანში, შიდაციხესა და წიწამურთან შედარებით.



სურ. 26. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი



სურ. 27. სარკინე. სვეტის ფრაგმენტი



სურ. 28. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

სარკინეს ნაგებობათა შესახებ ჩვენი წარმოდგენების შესავსებად დიდად მნიშვნელოვანი არქიტექტურული ფრაგმენტებია აღმოჩენილი, უმთავრესად გრძელ მინდორზე. მასალად კირქვაა გამოყენებული; ფრაგმენტები შესამჩნევად მცირე ფორმებისაა და ჯერჯერობით ვერ ხერხდება მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ნაგებობანი, რომელთაც ისინი უნდა ეკუთვნოდნენ (სურ. 21—34).

არქიტექტურული დეტალები წარმოდგენილია სვეტების, სვეტის თავისა და კარნიზის ნატეხებით. სხვებისაგან გამოირჩევა იონური ორდერის ვოლუტებითა და იონიკებით შემკული სვეტის თავი, (სურ. 33; ტაბ. LXI, 2), რომელიც ნაგებობის ასაკსაც მიუთითებს და მის საზეიმო (შეიძლება სა-

კულტო) ხასიათსაც. ონნური ტიპის სვეტისთავი. ქვათლილები, დიდი ალიზ-აგურები, კრამიტი და კერამიკის ფრაგმენტები საფუძველს გვაძლევენ სარკინეშიაც „არმაზცინე I"-ის სინქრონული და ანალოგიური ძეგლებიც ვივარაუდოთ (ტაბ. LVII, LX, 1), თუმცა კირის (დუღაბის) გამოყენების შემთხვევები აქაც კარგად ჩანს.

თუ საერთოდ შესაძლებელია დუღაბის დამოუკიდებლად აღმოჩენის ვარაუდი, მაშინ საამისო პირობები ჩვენ სწორედ გრძელ მინდორზე გვეჩვენება. აქ, რკინის ქვიდან ლითონის გამო-

სურ. 29. სარკინე- ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

წურვის პროცესი კირქვის გამოყენებას მოითხოვდა; ღუმელებში გამომწვარი კირი ღია ცის ქვეშ იყრებოდა და, ამრიგად, იქმნებოდა პირობები წარმოების ნაშთების, ღუმელთა ნანგრევებისა და გამოუწვავ ქვის ნატეხთა შედუღაბებისათვის. გრძელ მინდორზე ამ გზით იმოდენა დუღაბის მონოლითებია შექმნილი, რომ შეუძლებელია სარკინელ გამოცდილ ხელოსნებს გამომწვარი კირქვის შემაცემენტებელი თვისება არ შეემჩნიათ.

სათანადო უბანთა დახასიათებისას მითითებულია აღმოჩენილი წყალსადენებიც; მცირე მოედნებიც შენიშნულია და შეიძლება სავაჭრო ნაგებობანიც ვივარაუდოთ.

სურ. 30. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს „ნაქულბაქევი" — დედაქალაქის სამხრეთი კარიბჭე; ადგილი, სადაც ქალაქის გალავანში ახ. წ. 75 წლის (ვესპასიანეს) წარწერა უნდა ყოფილიყო ჩაყენებული (ტაბ. XLVIII, 4). ადგილის სახელწოდება ძველი არ ჩანს, მაგრამ რაკი ქულბაქი სავაჭრო სახლს უდრის და IX საუკუნიდან მაინც სავაჭრო დაწესებულების ნაგებობის, მაღაზიის, დუქნის აღმნიშვნელი იყო[20], შეიძლება რეტროსპექტიულად უფრო ადრინდელი ვითარების ამსახველადაც მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში თუ სახელი არა, ადგილი მაინც შესაძლოა ძველადვე სავაჭრო უბანს წარმოადგენდა. ამას ალბად ხელს უწყობდა ისიც, რომ აქ ქალაქის კარიბჭეც არის. ქალაქის კარიბჭეები ძველი ქვეყნების ქალაქებში წარმოადგენდნენ ისეთ ადგილებს, სადაც სავაჭრო ოპერაციები წარმოებდა. ასეთი ვითარებაა დადასტურებული, მაგ., ბაბილონში[21]. აქ გამოთქმული მოსაზრება ქართლის ქალაქებისათვის არქეოლოგიურად დადასტურებულ ჯერჯერობით არ არის, მაგრამ მისი გამორიცხვაც არ გვეჩვენება საფუძვლიანად.

სავაჭრო ადგილები და მოედნები, ცხადია, საკუთრივ ქალაქის ცენტრალურ რაიონშიაც უნდა



სურ. 31. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

ყოფილიყო. ამ საკითხზე უკანასკნელად საყურადღებო მოსაზრება პროფ. გ. მელიქიშვილმა გამოაქვეყნა. „ძველი ქართლის ქალაქებში (მცხეთა, თბილისი, უჯარმა) — წერს ავტორი — ქალაქის ერთი ნაწილის სახით იხსენიება „რაბატი" — როგორც ჩანს უბანი, რომელიც მოედნის გარშემო განვითარდა, მოედნის სინონიმად კი ძველ ქართულ წყაროებში ზოგჯერ „სავაჭროც" იხსენიება. ეს ტერმინი უკავშირდება სემიტურ (ასურულ) rêbitu -ს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა

[20] ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1949, გვ. 54.

[21] В. В. Струве, Датировка I вавилонской династии, ВДИ, I, № 14, 1947, зз. 29.

„ფართო ქუჩა", „მოედანი"[22]. ამრიგად, ანტიკური ხანის ქართლის ქალაქის ასე დამახასიათებელი ელემენტების არსებობა მცხეთაში საეჭვო არ უნდა იყოს. საამისო პირდაპირი არქეოლოგიური მოწმობა, ე. ი. თვით სავაჭრო უბნის ნაგებობები, არაა ჯერჯერობით აღმოჩენილი და გათხრილი. მაგრამ არაპირდაპირი არქეოლოგიური მითითება, ე. ი. სავაჭრო ოპერაციების გზით დედაქალაქში მოხვედრილი საგნები უხვად არის აღმოჩენილი და ქართული წერილობითი წყაროების პირდაპირი მითითებანიცა გვაქვს.



სურ. 32. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

ამრიგად, ჩვენ მოკლედ მაინც გავეცანით ქალაქის უმთავრეს ნაგებობათა რამდენიმე ჯგუფს, გამოვლინებულს არქეოლოგიური გათხრებისას უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. ამ მასალამ და ქვემოთ, ქალაქის უბანთა დახასიათებისას განხილულმა ძეგლებმა უნდა შექმნან წარმოდგენა ქართლის სამეფოს უძველეს ქალაქთა და, კერძოდ, სამეფოს დედაქალაქის მცხეთის საქალაქო ხუროთმოძღვრულ ძეგლთა და საერთოდ ქალაქთმშენებლობის შესახებ.

მცხეთა ქალაქის უმთავრეს ნაგებობათა დღემდე გათხრილი ნაწილი საფუძველს გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ დედაქალაქის ტერიტორიის, მისი უმთავრესი უბნების, საფორტიფიკაციო, საზოგადოებრივი, საკულტო, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების, მშენებლობის ხელოვნებისა და საამშენებლო მასალათა შესახებ.

ირკვევა, რომ მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის ორივე ნაპირზე ფართოთ გაშლილ დედაქალაქს მრავალი, მეტნაკლებად დამოუკიდებელი უბანი ჰქონდა. ყოველ უბანს დამახასიათებელი ნაგებობაც უნდა ჰქონოდა. ასე, მაგ., არმაზციხის უბნის დამახასიათებელ ნაგებობებს ჩვენ დედაქალაქის შიდაციხის — აკროპოლისის სახით წარმოვიდგენთ. შიდაციხეს თავის მხრივ არა ერთი დამახასიათებელი ელემენტი აღმოაჩნდა; ასეთებია, მაგალითად: ზღუდე, ციტადელი, სასახლის თუ ტაძრის ტიპის ნაგებობათა ნაშთები, წყალსადენები, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი. რაკი აქ სამეფო რეზიდენციაც იგულისხმება, უნდა სათანადო შენობათა ნაშთების აღმოჩენასაც მოველოდეთ. სამეფო რეზიდენციის სათანადო კომპლექსის ნაწილებად შეიძლება მივიჩნიოთ აღმოჩენილი: მარანი, აბანო და სამარხი ნაგებობანი — აკლდამა მავზოლეუმის ტიპისა და სამეფო თუ სეფე ქალის სარკოფაგი; განსაკუთრებით კი — ე. წ. „სვეტებიანი დარბაზი" და საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები (ტაბ. VII—XVIII).

შიდაციხის ნაგებობების მთელი კომპლექსი მოხდენილად შეკრულ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს. ამ მხრივ, პირველ რიგში, შიდაციხის ადგილმდებარეობა იქცევს ყურადღებას.

მცხეთის შიდაციხე — არმაზციხე გაშენებულია ძნელად მისადგომ ადგილას, ისევე, როგორც ურარტულ-აქამენიდური ხანის ციხეები, რომელთაც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდათ და მოსახლეობისთვის თავშესაფარს წარმოადგენდნენ (ტაბ. I, 1).

არმაზციხეს მდებარეობაც მოხერხებული ჰქონდა (მთაგრეხილის დასასრულზეა — „დასასრულსა არმაზისა ცხჳრისასა")[23], რის გამოც მიდამოებზე გაბატონებული სათვალთვალო კოშკიც შიდაციხის ტერიტორიაზეა (ტაბ. VII, 1—2), (სიმაღლე — 677 მ) და დედაქალაქისკენ მიმავალ გზებს შეუფერხებლად მეთვალყურეობს (ტაბ. V, 1—2). ამას გარდა, შიდაციხის ზემოთ არის განლაგებული კარსნის წყაროები და სათავე კარსნის ხევის ღელისა, საიდანაც წყალსადენები გამოუყვანიათ და არმაზციხე წყაროს წყლით მოუმარაგებიათ. ზემოთ აღნიშნულის გამო, ადგილის შერჩე-

[22] გ. შელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1956, გვ. 165.

[23] ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 19.

ვის თვალსაზრისით არმაზციხე შეიძლება ურარტულ ციხე-სიმაგრეებს შევადაროთ: თუშპას ციტადელს — ვანის სიმაგრეს, თოპრახ-ყალესა და წოვინარს. წინააზიური ელემენტი სიმაგრის მშენებლობის ხელოვნებაშიაც ჩანს. სათანადო თავში დახასიათებული ელემენტები: „ფიცხელსა კლდესა ზედა“ მშენებლობა, ადგილის დავაკება, კლდეში საფეხურების ამოტეხა ერთნაირად ახასიათებს ურარტულ-აქამენიდურ ციხეებსა და არმაზციხეს.

არმაზციხეს საგანგებო ფუნდამენტი არა ხერხი ჩანს დამოწმებული[24]. ეს დამთხვევები არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ქართლის სამეფოს მესეეურებს და ხუროთმოძღვრებს, როგორც ჩანს, წინააზიური ტრადიციები მოსდგამდათ. ჩანს მსგავსება ქვათლილთა წყობის ხასიათში. ისევე, როგორც აქამენიდურ არქიტექტურაში, მცხეთაშიაც, როგორც არა ერთხელ აღინიშნა, „არმაზციხე I“ — მშრალ წყობას წარმოადგენს. ორივეგან ქვათლილები გულმოდგინედ არის გამოკვეთილი და ისე კარგად არის ერთი მეორესთან ქვე-



სურ. 33. სარკინე. იონური სვეტისთავი

აქვს, ისევე, როგორც არა აქვს საგანგებო ფუნდამენტი ურარტულ ციხეებს. ორივე შემთხვევაში ქვათლილების თავისებური საძირკველი აქვთ მოყვანილობით და ზომით, აგრეთვე, წყობითა და შელესვის ხელობით საესებით ერთნაირი ალიზის კედლებს. ქვათლილების წყობაზე ამოყვანილი დიდი ზომის ალიზის კედელი გვხვდება ურარტუში (საერთოდ წინაზიაში) და დიდ მცხეთაშიაც, საერთოდ კი ქართლის სამეფოში.

არასწორხაზოვანი (ტეხილი) ზღუდე, ოთხკუთხოვანი კოშკები და კონტრფორსები, აგრეთვე ურარტულსა და აქამენიდურ ტრადიციას გვახსენებს. არმაზციხის მაგალითზე კარგად ჩანს ფლანგების დაცვა კოშკებითა და კონტრფორსებით, ე. ი. აქაც აქამენიდური არქიტექტურის საყვარელი ბი მიყენებული, რომ შეერთების ადგილი ძლივს შეიმჩნევა. ასეთია ბაგინეთის II და განსაკუთრებით III და IV უბნის მონაკვეთები (ტაბ. VIII—X).

ქართლშიაც და აქამენიდურ ხანის სპარსულ არქიტექტურაში ქვათლილები (კვადრები) საგანგებო სამაგრებით არის შეერთებული (რკინა, ხე, უწყვეტი, ე. წ. — „მერცხლის ბოლოები“). ალიზის სქელი კედლები და უზარმაზარი კოშკები (ტაბ. VII, 4), ალიზის წყობის შელესვა და მისთვის მონოლითურობის მინიჭება, ქვათლილთა და ალიზ-აგურის დაწყობის ხერხი და ა. შ., საერთო ტრადიციის მაჩვენებლად გვესახება.

---

[24] М. Бенуа, Персидская архитектура эпохи ахеменидов. История архтектуры в избранных отрывках, М., 1935, გვ. 47—48.

ყურადღებას იქცევს კარ-სარკმელთა ოთხკუთხი მოყვანილობა. ასეთ შემთხვევაში ალიზის გამოყენება სახიფათოა და მცხეთელი ხუროთმოძღვარი ქვათლილებს იყენებს, და კარსა და სარკმელს ქვისწყობაში ათავსებს ე. ი. იქცევა ზუსტად ისე, როგორც აქამენიდელი იქცეოდა. ეს წესი ისე გამომდგარა, რომ დუღაბის გავრცელების შემ-





სურ. 34. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტი

დეგაც, „უჯიშო ქვით“ ნაშენ კედლებშიაც. ქვათლილების თავისებური „ბურჯებია“ ამოყვანილი და კარსარკმელიც ხომ ქვათლილის წყობაში ზის (სურ. 11—ჭრილი; ტაბ. XVI,1; XVIII,2). ამ შემთხვევაშიაც სუზას, პერსეპოლისა და პასარტაგის ნანგრევების ასლო ანალოგიასთან გვაქვს საქმე[25].

ამგვარად გაშენებულ შიდაციხის ცენტრალურ ადგილას, ფართო ტერასაზე „სვეტებიანი დარბაზი“, სასახლის ტიპის ნაგებობანი და სხვა შენობები მდგარა. ამათ ჩრდილოეთით და დასავლეთით მარანი, აბანო, სამეფო საგვარეულოს სამარხი ნაგებობანი და სხვა შენობები ჩანს განლაგებული.

უნდა ვივარაუდოთ, რომ შიდაციხის ხუროთმოძღვრულ ანსამბლს აგვირგვინებდა საკულტო ნაგებობა და „კერპი იგი არმაზი (ამართული ფარნავაზის მიერ) თავსა ზედა ქართლისასა“[26] (ტაბ. VII, 1—2).

ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო უ ბ ა ნ ს ა ც დამახასიათებელი ნაგებობები ჰქონია. ზემოთ დახასიათებული იყო ნაწილობრივ საერისთავო და ეზოისმოძღვრის სასახლის კომპლექსი. აღნიშნული იყო, რომ იქვეა აბანო, საცხოვრებელი და სამარხი ნაგებო-



სურ. 35. მცხეთის შიდაციხე. ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტი. ზედხედი, გვერდხედი და განაკვეთი

ბანი, პატარა მოედანი და ასევე მოფიქლული ქუჩა-ეზოებიც შეიმჩნევა.

თავისებური ნაგებობებია ს ა რ კ ი ნ ე უ ბ ა ნ შ ი ა ც. აქ დამახასიათებელი ჩანს ლ ი თ ო ნ ი ს ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო ე ბ ი და ციხე-სიმაგრე, რომელთა გათხრის დასრულება ალბათ უფრო სრულ ხუროთმოძღვრულ სახეს შექმნის დედაქალაქის სარკინე უბნისას.

საკუთრივ მცხეთის უბანშიაც არა ერთი ნაგებობის კვალი ჩანს. ყველაზე. გრანდიოზულად 1958 წელს ზედა ტერასაზე გათხრილი, უთუოდ საცხოვრებელი ნაგებობები გამოიყურება. ამ მიდამოში აღმოჩნდა ანტიკური ხანის ნაგებობის სვეტის ძირი ამ ოციოდე წლის წინ. 1958 წელს აღმოჩენილი ნანგრევები და, ადრე ნაპოვნი სვეტის ძირი, იქნებ იმ შენობების ნარჩენებია, რომელთა სახურავზე მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ა ც ი ს ცნობით, დილ-დილობით გადმოდგებოდნენ ხოლმე

[25] M Benya, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[26] ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 25.

დედაქალაქელები და თაყვანს ცემდნენ, მათ თვალწინ, მწვერვალზე აღმართულ კერპს[37]. მოსე ხორენაცის ეს ცნობა ბანურ სახურავიან ნაგებობებსაც უნდა გულისხმობდეს საკუთრივ მცხეთაში მაინც.

დედაქალაქის ამ ნაწილშია სავარაუდებელი მრავალრიცხოვანი საკაჭრო-სახელოსნო ნაგებობები, მოედნები, ქუჩები და სხვადასხვა ეთნიკური შედგენილობის უბნები, კოლონიები თუ კვარტალები. არქეოლოგიური მასალები ამ მხრივ ჯერ-ჯერობით არ გამოირჩევა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ებრაული წარწერების აღმოჩენას, რომლებიც დედაქალაქობის ბოლოხანას მიეკუთვნება) და გადამწყვეტი სიტყვა მომავალმა გათხრებმა უნდა თქვან.

ზემოთ ზოგადად მაინც ვნახეთ, რომ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა გამომზეურებული ნაწილიც კი იძლევა საფუძველს მოიხაზოს დედაქალაქის უმთავრესი ნაგებობანი და ამ თვალსაზრისით დედაქალაქობის ხანის მცხეთა უკეთ წარმოვიდგინოთ. ამასთანავე, საქალაქო ცხოვრების განვითარების გათვალისწინებისათვის, ჩვენის აზრით, არსებითი მნიშვნელობა უნდა ექნეს მშენებლობის ხელოვნებისა და საამშენებლო მასალათა საკითხების განხილვას.

უკვე არა ერთხელ აღნიშნულა, რომ, როგორც არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა გვიჩვენეს, ძირითად საამშენებლო მასალას მცხეთის დედაქალაქობის ხანაში წარმოადგენდა კრამიტი, ქვა და აგური.

კ რ ა მ ი ტ ი. იბერიის ქალაქებში კრამიტით გადახურული შენობები კარგად იყო ცნობილი



სურ. 36. მცხეთის შიდაციხე. ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის საერთო ხედი (მარჯვნივ) და განაზომები

სტრაბონის წყაროებისთვისაც კი. საქალაქო ცხოვრების შესწავლისას ამ სახურავი მასალის წარმოებისა და გამოყენების გარკვევას, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველყოვლისა იმის გამო, რომ მეკრამიტეობა ძველი საქალაქო ხელოსნური წარმოების დიდი დარგი ჩანს.

სახურავი კრამიტის წარმოების საკითხი პირველად არ ისმის არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლისას. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც, გათხრებისას კრამიტის აღმოჩენის შემთხვევებს ყურადღება ექცეოდა და ანტიკური ხანის ნაქალაქარისა თუ სამარხების გათხრის ანგარიშებში თითქმის ყოველთვის მიუთითებდნენ კრამიტის ნატეხების ან მთელი კრამიტების აღმოჩენის შესახებ. ამ მხრივ დამახასიათებელია შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების არქეოლოგიური შესწავლილობა, საკმაოდ დაწვრილებით განხილული

[37] История армянского народа Моисея Хоренского, Перевод Н. Эмина, М., 1858, გვ. 152—153.

პროფ. ვ. გაიდუკევიჩის ნაშრომში[28]. როგორც ირკვევა, ბოსფორისა და ოლვიის გათხრების თითქმის ყველა ანგარიში, გასული საუკუნის 50-ანი წლებიდან შეიცავს მითითებებს კრამიტების აღმოჩენის შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ცნობილია, რომ არც რომისა და საბერძნეთის და არც რუსეთის არქეოლოგიას ამ მნიშვნელოვანი სახურავი



სურ. 37. მცხეთის შიდაციხე. ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის განაზომები (მარცხნივ) და საერთო ხედი (მარჯვნივ)—შდრ. სურ. 36

მასალის შესახებ ცოტათი მაინც დამაკმაყოფილებელი მასალა არ მოუცია, არა იმის გამო, რომ გათხრებისას არ ჩნდებოდა ასეთი მასალა, არამედ იმის გამო, რომ ყურადღება თითქმის მხოლოდ წარწერებიან, ბეჭდიან ან გამოსახულებების მქონე კრამიტსა და მის ნატეხებს ექცეოდა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნულის გამო ძირითადი სახურავი მასალის შესახებ უკანასკნელ ხანებამდე შეუძლებელი იყო მეტნაკლებად სრული წარმოდგენის შექმნა.

პირველად საბჭოთა არქეოლოგებმა დაიწყეს ფართოდ შესწავლა საამშენებლო კერამიკისა, პირველ რიგში კი სახურავი კრამიტისა. ამ მხრივ პირველ რიგში ვ. გაიდუკევიჩის დასახელებაა საჭირო, რომელმაც უკვე 1935 წელს გამოაქვეყნა კარგი ნაშრომი: ბოსფორის საამშენებლო კერამიკის, კერძოდ კრამიტის შესახებ[29].

ვ. გაიდუკევიჩი კრამიტის შესწავლის ადრინდელ მდგომარეობას განიხილავს და, ჩვენი აზრით, სავსებით საფუძვლიანად ასკვნის, რომ „ვერც ერთ არქეოლოგიურ ანგარიშში ჩვენ ვერ ვიპოვით ვერაფითარ, თუნდაც სქემატურ ნახაზს ან ნახატს, რომლებიც ბოსფორული კრამიტის კონსტრუქციულ ტიპებს წარმოგვიდგენდეს“[30].

ასეთ ვითარებაში მოუხდა ვ. გაიდუკევიჩს არსებითად პირველი ნაბიჯის გადადგმა ამ უმნიშვნელოვანესი მასალის შესწავლის საქმეში. მის მდგომარეობას ნაწილობრივ მაინც ამსუბუქებდა ის გარემოება, რომ რუსეთის ცენტრალურ მუზეუმში დიდი რაოდენობით არის დაცული ბოსფორული მასალა და, ამასთანავე, ავტორს თვითონ სისტემატურად უხდებოდა გათხრების ჩატარება ბოსფორში. ცხადია, მის განკარგულებაში იყო ქერჩის მუზეუმის მრავალრიცხოვანი მასალებიც.

[28] В. Ф. Гайдукевич, Строительные керамические материалы Босфора. Босфорские черепицы ИГАИМК, вып. 104, М.-Л., 1935, გვ. 211—315.

[29] В. Ф. Гайдукевич, იქვე.

[30] В. Ф. Гайдукевич, დასახელებული ნაშრომი, გვ. 216.

სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ვ. გაიდუკევიჩის წარმატებას სახურავი კრამიტის შესწავლის საქმეში. მაგრამ, წინასწარვე შევნიშნავთ, რომ ბოსფორული კრამიტის შესწავლის საქმე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ვ. გაიდუკევიჩის ნაშრომიც არ არის ამომწურავი. აქაც მცირე საილუსტრაციო მასალაა წარმოდგენილი: ნახაზები ძალიან ცოტაა*, ხოლო უფრო მცირერიცხოვანი ფოტოსურათები ძალიან ცუდად გამოსულა და არსებითად ბევრის არაფრის მთქმელია. მცირე მითითებული კრამიტის აღმოჩენის ფაქტები; მაგ., ჩრდილოეთი შენობის გათხრისას (იხ. თხრილი „Н"). ამ შენობის მეტნაწილზე მას დიდი რაოდენობით უნახავს კრამიტის ნატეხები და მთელი ცალებიც — სოლენები (ბრტყელი კრამიტები) და კილიპტერები (ღარისებრი კრამიტები), რომლითაც ეს შენობა ყოფილა გადახურული[31]. ასევე, კრამიტით ყოფილა გადახურული იმავე თხრილის აღმოსავლეთი შენობა, რადგან იქაც მრავლად არის აღმოჩენილი კრამიტის ნატეხები[32]. ანალო-



სურ. 38. მცხეთის შიდაციხე. ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის განახომები(მარცხნივ) და საერთო ხედი (მარჯვნივ)—შდრ. სურ. 36 და 37.

ადგილი აქვს დათმობილი წარმოების ტექნიკურ მხარის შესწავლას და კვლავ შეიმჩნევა გატაცება დამღებითა და წარწერებით, რომელთაც, რა თქმა უნდა, საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ საკითხის კვლევისას.

3. გაიდუკევიჩთან ერთად, თითქმის ერთდროულად სხვა არქეოლოგებმაც მიაქციეს ყურადღება ანტიკურ კრამიტს. ამ მხრივ შეიძლება ოლვიის გათხრების დასახელება. პროფ. ლ. სლავინს თავის ანგარიშებში თითქმის ყოველთვის აქვს გიური სურათი უნახავს ლ. სლავინს სამხრეთ შენობაშიაც. თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ ლ. სლავინის მთელი მსჯელობა მხოლოდ იმის მითითებას შეიცავს, რომ ნაგებობები კრამიტით ყოფილა გადახურული და აღმოჩენიათ ორი სახის კრამიტი — ბრტყელი (ანუ სოლენები) და ღარისებრი (ანუ კალიპტერები).

ლ. სლავინს თავის ანგარიშში გამოქვეყნებული აქვს ერთადერთი ფოტოანაბეჭდი, სადაც ნაჩვენებია კრამიტის ნატეხების გროვა. სურათიდან

* ვ. გაიდუკევიჩის მიერ გამოქვეყნებულ ნახაზთა ერთ ჯგუფს ჩვენც ვაქვეყნებთ მცხეთის ბრტყელ კრამიტებთან შესადარებლად (სურ. 39—41).

[31] Л. М. Славин, Отчет о раскопках Ольвии в 1935 и 1936, Ольвия I, Киев, 1940, გვ. 29.

[32] იქვე, გვ. 32.

ჩანს, რომ ორი ტიპის კრამიტის ნატეხებია აღმოჩენილი; უმთავრესად ე. წ. სოლენები, მაგრამ შენობის მარჯვენა ნახევარში კალიპტერების საკმაოდ მოზრდილი ნატეხებიცაა ნაპოვნი. გამოქვეყნებული სურათის მიხედვით კალიპტერების შესახებ თითქმის არაფრის თქმა არ შეიძლება, სოლენები კი საერთოდ მცხეთურს ჰგავს, მაგრამ დეტალებზე ვერ ვიქონიებთ წარმოდგენას სურათის ხასიათის გამო, მით უმეტეს, რომ ის უმასშტაბოა[33].

ხელოსნური წარმოების საკითხებს ამ შემთხვევაში, საამშენებლო მასალების და, კერძოდ, კრამიტის წარმოების საკითხებს.

სამწუხაროდ, ჩვენი მიზნებისათვის ასე საჭირო და მნიშვნელოვანი მასალები ამ ნაშრომშიაც თითქმის არ არის წარმოდგენილი. არ არის, მაგალითად, არც ერთი რეპროდუქცია კალიპტერებისა და ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელი სურათი სოლენებისა. კერამიკული წარმოების საკითხებიც ძალიან მოკლედ არის განხილული.



სურ. 39. ბოსფორული ბრტყელი კრამიტის (სოლენის) განაზომები (მარცხნივ) და საერთო ხედი (მარჯვნივ)—შდრ. სურ. 35, 37 და 38

1950 წელს გამოქვეყნდა ა. იაკობსონის სქელტანიანი ნაშრომი ბოსფორის არქეოლოგიური მასალების შესახებ. ამ ნაშრომში ავტორი თვალსაჩინო ადგილს უთმობს ხელოსნობის განვითარებას და ჩერდება შუასაუკუნის ბოსფორში კრამიტის წარმოების საკითხებზე.

ცხადია ამ ნაშრომს, რაკი ის გვიან ხანებს ეხება, ჩვენი მიზნებისათვის არ შეიძლება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნიც ადასტურებს თუ რა დიდი ყურადღება ექცევა საქალაქო

რიგი ცნობები და დასკვნები მცდარია, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ქართულ მასალებს შეეხება[34].

თითქმის არავითარ მასალებს არ გვაძლევს გ. ბელოვის, ი. მარტის, ვ. გაიდუკევიჩის, ლ. სლავინის და სხვათა მრავალრიცხოვანი ანგარიშები ბოსფორისა და ქერსონესის გათხრების შესახებ. ამიტომ მათ განხილვას აქ არ შევუდგებით. ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა მცირე მასალას სათანადო გამოცემების მიხედვით[35].

[33] Л. М. Славин, Отчет о раскопках Ольвии в 1935 и 1936, Ольвия I, Киев, 1940, გვ. 29.

[34] А. Л. Якобсон, Средневековый Херсонес (XII—XIV вв.), МИА СССР, 17, М.-Л., 1950, გვ. 117—153.

[35] Ю. Ю. Марти, Отчеты о раскопках Тиритаки в 1932—1934 гг. МИА СССР, 4, М.-Л., 1941; В. Ф. Гайдукевич, Отчеты о раскопках Мирмекии в 1934 г. МИА СССР, 4.

შესწავლილობის მხრივ უკეთესი მდგომარეობა ჩვენშიც არ იყო მოსალოდნელი. მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებამდე ანტიკური ხანის სახურავი მასალისა და ნაგებობათა შესახებ უმთავრესად სტრაბონის გეოგრაფიაში შემონახული ცნობებით სარგებლობდნენ.

ცნობა ანტიკური კრამიტის აღმოჩენის შესახებ მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას ეკუთვნის. პირველად დიდი რაოდენობით ანტიკური კრამიტი ამ ექსპედიციამ აღმოაჩინა, სახელდობრ ამ ექსპედიციის არმაზისხევისა და სამთავროს ჯგუფებმა.



სურ. 40. ბოსფორული სოლენის განაზომები და ხედები—შდრ. სურ. 36, 37 და 38

წერილობითი წყაროების მიხედვით ცნობილი იყო, რომ ძველს საქართველოში ნაგებობათა კრამიტით გადახურვა უძველესი დროიდანვე სცოდნიათ. განსაკუთრებით კარგად ახასიათებდა ამ მხრივ იბერიის ქალაქებს სტრაბონი.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ მხრივ ბაგინეთის არქეოლოგიური ძეგლები, რადგან ისინი ფართოდ გვიხატავენ ამ შესანიშნავი სახურავი მასალის გამოყენების, გავრცელებისა და წარმოების სურათს. ბაგინეთის გათხრებამდე ამ დარგის



სურ. 41. ბოსფორული სოლენის განაზომები და ხედი—შდრ. სურ. 36—40

პირველი, მეცნიერულ ნიადაგზე მოწყობილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული შესწავლა ძნელდებოდა, უმთავრესად იმის გამო, რომ სამთავრო სამარხების ასაგებად გამოყენებულ კრამიტებს გვაძლევდა, ხოლო არმაზისხევისა, ბაგინეთის მასალებთან შედარებით ახალია, ახ. წ.

Г. Д. Белов, Раскопки в северной части Херсонеса в 1931—33 гг. МИА СССР, 4, М.-Л., 1941.

II—III საუკუნეს მიეკუთვნება და არც ისე მრავალრიცხოვანი ჩანს.

ბაგინეთის მაღლობზე გათხრილ ნაგებობათა უმეტესი ნაწილი, როგორც ჩანს, კრამიტით ყოფილა გადახურული. გათხრებისას აღმოჩენილი კრამიტები კარგად ადასტურებენ, რომ კრამიტით გადახურული ყოფილა არა მარტო შიდაციხეში მოთავსებული სამეფო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, არამედ თითონ შიდაციხის გალავნის კოშკებიც კი.

აქ აღმოჩენილია ორი ტიპის კრამიტი, ბრტყელი და ღარიანი ანუ ღარისებრი.

რაკი გამორკვეულია, რომ მცხეთის დედაქალაქობის ხანაში უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი ორი ტიპის კრამიტით ყოფილა გადახურული, ისიც შეიძლება დადგინდეს, რომ ორივე ტიპის კრამიტი თანაბარი რაოდენობით უნდა გამოეყენებიათ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი თანაბარ მოედანს ფარავდნენ სახურავზე. სახურავს ბრტყელი კრამიტი ფარავდა; ღარიანი კრამიტის დანიშნულება იყო ბრტყელ კრამიტთა შეერთების ადგილი დაეხურა და ამ გზით დაეცვა სახურავი და ნაგებობა ატმოსფერული ნალექებისაგან. ცხადია, ასეთივე დანიშნულება ჰქონდა ბრტყელსა და ღარიან კრამიტებს სხვა ქვეყნებშიაც, რის გამოც ძირითადი დანიშნულებისად ბრტყელი კრამიტია ცნობილი, ხოლო ღარიანი კრამიტები (კალიპტერები) დამხმარე მნიშვნელობის სახურავ მასალად არის აღიარებული[16].

ა. ბ რ ტ ყ ე ლ ი კ რ ა მ ი ტ ი. მოყვანილობის მიხედვით მცხეთური ბრტყელი კრამიტი ერთგვარია. ფართო ტრაპეციისებრი, რომელსაც ზედა ნაწილი უფრო განიერი აქვს ვიდრე ქვედა, ხოლო მარჯვენა და მარცხენა გვერდები კი — აკეცილი (სურ. 35—38).

თუ მოყვანილობის მიხედვით ერთნაირია ბრტყელი კრამიტი, იგივე არ ითქმის ამ ტიპის კრამიტთა ზომაზე. შეიძლება აღინიშნოს, რომ ერთნაირი ზომის ბრტყელი კრამიტი არ გვხვდებოდა გათხრებისას, რის გამოც თითონ ეს ფაქტი იქცა ყურადღების საგნად, განსაკუთრებით კრამიტის კეთების თვალსაზრისით.

1948 წელს ერთმა მცირე ფართობმა (200 კვ. მეტრამდე, ბაგინეთი, თხრილი XV), რომლის მხოლოდ ზედაფენა იყო გათხრილი, სახურავი კრამიტის 32.000 ნატეხი მოგვცა. რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი არ არის მათი ზომები აღვადგინოთ და გამოვაქვეყნოთ, მაგრამ ერთნაირი მოყვანილობის ბრტყელ კრამიტთა სიდიდით სხვადასხვაობის დასადასტურებლად ვაქვეყნებთ ზომებს იმ მთელი კრამიტებისას, რომლებიც ბაგინეთის ექსპედიციამ მოიპოვა 1944—1948 წლების განმავლობაში.

ამ ჯგუფიდან ყველაზე დიდია № 1575*-ის სიგრძით 53 სმ, სიგანით: თავში (ზედა ნაწილია)— 44,6 სმ, ბოლოში კი 36 სმ აღწევს. კიდეები ამ კრამიტს დაბალი აქვს; მარჯვენა კიდის ანუ გვერდის სიმაღლე გარედან, კრამიტის თავში — 4,9 სმ, შუაში — 5,3 სმ, ხოლო ბოლოში — 4,9 სმ. რაკი გვერდის ზედაპირი სწორი არ არის, სიმაღლეც ხშირად იცვლება, მაგრამ ყველა ზომის გამოქვეყნება საჭირო არ არის; მარცხენა გვერდი უფრო სწორზედაპირიანი ჩანს. მისი სიმაღლე კრამიტის თავში — 5,1 სმ; შუაში — 4,5 სმ; ხოლო ბოლოში — 5 სმ. ამ მხარის ოდნავ უსწორო ზედაპირი გვერდის სიმაღლის თვალსაჩინო ცვლილებას არც კი გვაძლევს.

ამ ტიპის სახურავი კრამიტის მრჭრის თავისებურებათა გამო ერთნაირი სისქის მიღება თითქმის შეუძლებელი ყოფილა. ეს თავისებურებანი ჩვენ ქვემოთ გვექნება აღწერილი და ახსნილი, მაგრამ, ახლა უნდა აღვნიშნოთ, რომ № 1575 კრამიტიც კი არ არის ყველგან ერთნაირი სისქისა. ასე, მაგ., თავში — 2,5—3 სმ-მდეა, ხოლო ბოლოში — 2,6—2,8 სმ აღწევს. უფრო თვალსაჩინოა სხვადასხვა სისქე მარჯვენა გვერდისა, რომელიც გარდა იმისა, რომ უსწორო ზედაპირიანია, სწორხაზოვანიც არ არის. ამის სურათს შემდეგი ზომებიც დაგვიხატავს: მარჯვენა გვერდის სისქე კრამიტის თავში — გვერდის ძირში — 2 სმ, გვერდის ზედაპირთან — 1,6 სმ; შუაში — გვერდის ძირზე — 3,1 სმ, გვერდის ზედაპირზე — 2,4 სმ (შიგნიდან მომრგვალებულია, გვერდის შიგნითა წიბო არა ჩანს, ამიტომ ზომებიც ზუსტი არაა); კრამიტის ბოლოში — გვერდის ძირზე — 2,7 სმ; გვერდის ზედაპირზე — 2 სმ; ამ უკანასკნელი ზომების გათვალისწინება, ცხადს გახდის კრამიტის გვერდის შიგნითა სიმაღლესაც, რომელიც 2-დან 3 სმ-მდე აღ-

[16] В. Ф. Гайдукевич, Босфорские черепицы зд. 224.

* კრამიტების ნომრები ქვეყნდება მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმის საველე ჩანაწერების შესაბამისად; ე. ი. ქვემოთ ყველგან საველე ნომრები იქნება მითითებული.

წევს. გვერდები ამ კრამიტისა საკმაოდ უსწორად არის აკეცილიც.

ანალოგიურ სურათს იძლევა სხვა კრამიტებიც. ასეთებია, მაგალითად:

ა) № 1278/1 — ბრტყელი კრამიტი
სიგრძე შუაში — 49 სმ
სიგრძე მარჯვენა გვერდის „გასწვრივ, შიგნითა მხარისა — 49,4 სმ
სიფართე — (თავში გვერდების ჩათვლით) — 41,2 სმ
სიფართე ბოლოში — 31,7 სმ.

ბ) № 1278 — ბრტყელი კრამიტი
სიგრძე — 50 სმ
სიფართე თავში — 40,8 სმ
სიფართე ბოლოში — 31,5 სმ

გ) № 131 — ბრტყელი კრამიტი
სიგრძე — 50 სმ
სიფართე — 41,5 სმ
სიფართე ბოლოში — 34 სმ

დ) № 1293 — ბრტყელი კრამიტი
სიგრძე შუაში — 49 სმ. მარჯვენა გვერდის გასწვრივ —
შიგნიდან — 50,3 სმ
მარცხენა — 29,6 სმ
სიფართე თავში — 35,7 სმ
სიფართე ბოლოში — 29,4 სმ.

ე) № 1292 — ბრტყელი კრამიტი
სიგრძე — 46,5 მარჯვენა გვერდის გასწვრივ შიგნიდან — 46,3 სმ, მარცხენა — 46,8 სმ.
სიფართე თავში — 37,5 სმ
სიფართე ბოლოში — 30,5 სმ.

როგორც აქ მოტანილ განაზომებიდან ჩანს, ბრტყელი კრამიტების სიგრძე მერყეობს 46,5 სმ-დან — 52,5 სმ-მდე; სიფართე თავში 35,7 სმ-დან — 44,6 სმ-მდე, ხოლო ბოლოში 29,4 სმ-დან — 36 სმ-მდე.

ამ პატარა ცხრილიდანაც ირკვევა, რომ ბრტყელი კრამიტი სხვადასხვა ზომისა უკეთებიათ; სხვაობა ზოგჯერ ისე თვალსაჩინოა, რომ ერთი ჯგუფის კრამიტის სიფართე უახლოვდება მეორე ჯგუფის კრამიტთა სიგრძეს. ასე, მაგ., № 1292 სიგრძე 46,5 სმ-ია, ხოლო № 1575 სიფართე — 44,6 სმ. ე. ი. სხვაობა 1,9 სმ-ია. ცხრილიდან კარგად ჩანს დიდი განსხვავება ერთნაირ ზომებში. მაგ., № 1575 სიგრძე არის 53 სმ; № 1292 კი — 46,5 სმ; შეიმჩნევა სხვაობა კრამიტების სიფართეში, წონაშიც და სხვ.

ჯერჯერობით ჩვენ არ შეგვხვედრია ერთსა და იმავე ყალიბში მოჭრილი (გაკეთებული) ორი კრამიტიც კი. ამ გარემოებას მეკრამიტეობის შესწავლისათვის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ახლა ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით, რადგან წარმოების პროცესის უკეთ წარმოსადგენად სხვა მონაცემებიც გვექნება ქვემოთ და მათი შეჯამებისას შეეცდებით შევაჩეროთ ყურადღება საამშენებლო კერამიკის ამ ერთი დარგის — მეკრამიტეობის საკითხებზე.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მასალა თითქოს ცხადსა ხდის ქართლის ძველ დედაქალაქში სხვადასხვა სიდიდის, მაგრამ ერთნაირი მოყვანილობის ბრტყელი სახურავი კრამიტი უკეთებიათ.

ზომების სხვაობამ და ბრტყელი კრამიტის არა ერთგვაროვნებამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ მცხეთის ბრტყელი კრამიტი უყალიბოდ არის ნაკეთები. საგანგებო დაზგაზე ან ფიცრთა და გრძელ ფიცრებზე, ისე რომ კრამიტის ქვედა ზედაპირი (ზურგი) გამოყვანილ იქნას დაზგით ან ფიცრით ხოლო ნაპირები ანუ გვერდები ხელითა და სათანადო ხელსაწყო-იარაღით აიკეცოს; კრამიტის სიგრძე-სიგანე, სიფართე და საერთო მოყვანილობა ყალიბით არ განისაზღვროს, არამედ მიჩნეული და გამოცდილი მეკრამიტის თვალითა და, რა თქმა უნდა, საამისოთ აუცილებელი იარაღით (ხის ან ლითონის დანით).

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ა) ბაგინეთის ბრტყელი კრამიტები ტრაპეციისებრი მოყვანილობისაა, მაგრამ მათ სწორი ფორმები არა აქვთ. კრამიტს არა აქვს იმდენად სწორი ფორმა, რომ მოსალოდნელი იყოს ბრტყელი კრამიტების მოჭრა საგანგებოდ ნაკეთებ ყალიბში, ე. ი. ისეთ ყალიბში, რომლის ზურგი და აკეცილი გვერდები კარგად ნათალი და გაშალაშინებული ფიცრებისგანაა შედგენილი, ან ისეთ ყალიბში, რომლის სიგრძე, სიფართე თავსა და ბოლოში, სიმაღლე აკეცილი გვერდებისა წინასწარ შემუშავებულია და ისეა გაკეთებული.

ბრტყელი კრამიტების მოყვანილობის საერთო შემოწმებისასაც კი შეამჩნევს თვალი ნაირ-ნაირობას, რომლის მოლოდინი ყალიბით მოჭრისას გამორიცხულია.

ბ) № 131 კრამიტს ცალი აკეცილი გვერდისა და ზურგის შეერთების ადგილი — წიბო გარედან

სიგრძეზე დაბზარული აქვს. ამ ადგილას რამდენიმე ბზარია მიღებული, თითქოს მას შემდეგ, როდესაც ხელოსანმა გააბრტყელა — „გაიყვანა გუნდა“[37] და დაიწყო აკეცვა გვერდისა. ეს დეტალი, ჩვენის აზრით, საკმაოდ დამაჯერებელია, თუ წარმოდგენილ სურათს გადავსინჯავთ ან თითონ № 131 კრამიტს დავაკვირდებით. რა თქმა უნდა, ბზარი რომ წარმოიშვას, ამისათვის აკეცვა არაა აუცილებელი. ამასთანავე, კარგად შერჩეული და ნაზელი საკრამიტე მიწა არც უნდა გაიბზაროს გადაკეცვისას, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ კრამიტის მასობრივ მოპრასთან გვაქვს საქმე. ჩვენ საკმაოდ დამაჯერებლად მიგვაჩნია დაკვირვება,



სურ. 42. მცხეთის შიდაციხე. მცხეთური ღარისებრი კრამიტის ხედი, განივკვეთი და განაზომები



სურ. 43. მცხეთის შიდაციხე. მცხეთური ღარისებრი კრამიტის ხედი. განივკვეთი და განაზომები—შდრ. სურ. 42

რომლის მიხედვით № 131 კრამიტზე შემჩნეული სიგრძივი ბზარები გვერდების უყალიბოდ აკეცვის მომასწავებელი უნდა იყოს.

ბ) № 1292 კრამიტს აკეცილი გვერდები ერთნაირი არა აქვს. ერთი გვერდი უფრო შეუღია, ვიდრე მეორე. ამასთანავე აკეცილი გვერდების სისქე უცნაურად იცვლება, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ კრამიტის ეს ნაწილი უყალიბოდ არის ნაკეთები და აშკარად ემჩნევა აკეცილი გვერდის შეთხელება ფართო თაეისკენ, რაც თავის მხრივ იმასაც ეჩვენებს თუ როგორ მდგომარეობაში იდო კრამიტი მეკრამიტის წინ ფიცარზე — ფართო ნაწილით ოსტატისაკენ.

ყურადღებას იქცევს ნატეხი კრამიტისა № 1324, რომლის აკეცილი გვერდი მრუდეა იმდენად, რომ ფიცრის ყალიბში გამოყვანას აშკარად გამორიცხავს. თითქმის ასეთივეა № 1322 და № 132 ნატეხებიც.

შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ბრტყელი კრამიტის მხარის ქვედა ნაწილი ყოველთვის თანაბარი არ არის. მაგ. № 131 კრამიტის ეს შევიწროებული ქვედა ნაწილი ერთ გვერდზე 13,5 სმ-ია, მეორე გვერდზე კი — 12,5 სმ. ე. ი. განსხვავება 1 სანტიმეტრია; ასეთ სხვაობას ყალიბში თითქოს არ უნდა მოველოდეთ. ამ აზრს აძლიერებს სხვა კრამიტთა ზომებიც, სადაც აგრეთვე მეტნაკლებად შესამჩნევი სხვაობა ჩანს (შდრ. მაგ. 1321).

დ) შეიძლება გვერდის აკეცვის მაჩვენებელი იყოს, თითქოს თანდათან აწეული ზოლები იმ ადგილას, სადაც კრამიტის ზურგი და გვერდი ერთდება. ასეთ აღუნულ ზოლებს ვამჩნევთ რიგ ნატეხებზე: მაგ. № № 1407, 1321, 1421, 1289 და ა. შ. ყალიბში გამოყვანისას ასე ადვილად შესამჩნევ აღუნულ ზოლებს არ უნდა მოველოდეთ.

აქ ჩამოთვლილი ნიშნები ჩვენ გვაიძულებს დავეეჭვდეთ მცხეთის დედაქალაქობის ხანის ბრტყელი კრამიტის ყალიბით მოპრის შესაძლებლობაში

---

[37] ლ. ბოპორიშვილი, ეთნოგრაფიული ექსპედიცია თელავის რაიონში. ენიმკის მოამბე, II, 3, თბ., 1938, გვ. 356.

და ვივარაუდოთ, რომ კრამიტი კეთდებოდა ბრტყელ დაზგაზე, უყალიბოთ.

დაზგის შედგენილობის შესახებ უფრო დაწვრილებით სურათს გვაძლევს ბრტყელი კრამიტების კიდეებისა და ზურგის შესწავლა. მცხეთურ ბრტყელ კრამიტებს კიდეები ჩამოთლილი აქვს, მას შემდეგ, რაც შეშრა კრამიტი და მისი ფეხზე დაყენება, ხელში დაჭერა არ ძნელდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამოწვის წინ; ჩამოუთლიათ ძალიან გულმოდგინედ ზურგიდან აკეცილ გვერდზე გარდამავალი გარეთა კუთხე — წიბოც. ამ ადგილას დანის კვალი თითქმის ყოველ ნატეხს ეტყობა, ზოგჯერ ისე აშკარადაც, რომ ახალი წიბოა გამოყვანილი (შდრ. № 1311, 1322, 1289 და ა. შ.); ზოგჯერ ნაჩქარევად ჩამოთლილისა და ჩამოსწორებულის შთაბეჭდილებაც იქმნება. უმთავრესად ზემომითითებული გარეთა კუთხეა ნათალი, მაგრამ ხშირად მხარიც, აკეცილი გვერდების ზედაპირიც და უფრო იშვიათად კრამიტის თავი და ბოლო (მაგ. № 1289); არის შემთხვევები შიგნითა კუთხის ამოთლისაც (მაგ. № 1289).

ერთი სიტყვით, ყველა კიდე და ნაწიბური უნდა ჩამოეთალათ და ჩამოესწორებიათ, თუ ამას საჭიროდ დაინახავდნენ, გამოსაწვავად გამზადებული კრამიტების გადარჩევისას. ზედმეტი ან უსწორო ადგილების მოთლა და ჩამოსწორება საკმაოდ შრომატევადი პროცესი უნდა ყოფილიყო ძველ მეკრამიტეობაში; ამ საქმეს შედარებით კვალიფიცირებული მუშახელი უნდა მიჩენოდა და იგი სათანადო იარაღითაც უნდა ყოფილიყო აღჭურვილი; ასეთ იარაღს, როგორც მასალა გვიჩვენებს, ხელსანის დანა წარმოადგენდა. № 1322, 1289, 1311 და სხვ. კრამიტებს კარგად ეტყობათ ხის დანის კვალი; თუმცა № 1289 ისეა გათლილ-„გაშალაშინებული“ რომ უსაფუძვლო არ იქნება ვივარაუდოთ ოსტატს რკინის (ან საერთოდ ლითონის) საკმაოდ პირწმინდა დანაც კი გამოეყენებინა. ჩამოთლასა და ჩამოსწორებას ხელის არაერთგზისი მოძრაობა უნდებოდა.

ჩამოთლა კუთხეებისა, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვის წინ წარმოებდა, მაგრამ შეშრობის შემდეგ. შეშრობამდე კრამიტის შემოსწორება დანით შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, იმის გამო, რომ შეუშრობელი თიხა გაიწელებოდა, მაგრამ არ გაითლებოდა. დანის პირის კვალი სველ თიხაზე სხვაგვარად აღიბეჭდება. ამას გარდა, შეშრობამდე კრამიტის აყენება ან დაჭერა და თლა სახიფათოცაა; კრამიტი, მოყვანილობას ადვილად დაკარგავს და შეიძლება დაზიანდეს კიდეეაც (შეიმჩნევა შეთლისას დეფორმირებული ცალებიც).

ბაგინეთიდან წამოღებულ ნიმუშებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ გათლა და შემოსწორება კრამიტის შეღებვის წინა პროცესია; ე. ი. ჯერ ჩამოითლება, ჩამოსწორდება ბრტყელი კრამიტი და შემდეგ წაესმება მას წითელი საღებავი (ენიქური). საამისო მითითებას გვაძლევს გათლილ ნაწიბურებზე გადმოსული და გადმოღვენთილი საღებავი. ამ სურათის საილუსტრაციოდ შემდეგ ნიმუშებზე მივუთითებთ: № № 1322, 1418, 1457, 1486, 1346, 1445 და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სურათი შეემჩნევა თითქმის ყველა ნიმუშს, რომლის აკეცილი გვერდები ჩამოთლილია, როგორც წესი.



სურ. 44. მცხეთის შიდაციხე. ღარისებური კრამიტის ხედი, განივკვეთი და განაზომები. შდრ. სურ. 42, 43

საღებავი ყველა კრამიტზეა წასმული ან ჩამოღვენთილი.

დაზგა ან ფიცარი კრამიტის ზურგს ბრტყელ მოყვანილობას აძლევდა, რამაც კრამიტის სახელიც განსაზღვრა — ბრტყელი ან ბრტყელზურგიანი კრამიტი. კრამიტს ზურგზე აშკარად ეტყობა, რომ დაზგის ზედაპირი წინასწარ ქვიშით ან ლამით დაუფარავთ, შემდეგ კი გუნდა გაუყვანიათ. ამის გამოა, რომ ქვიშით კარგად არის ხოლმე დაფარული ბრტყელი კრამიტის ზურგი. ქვიშა გაშრობისას და გამოწვისას ჩამოცვივა ხოლმე და ახლა ჩვენამდე მოღწეულ კრამიტებს ზურგზე უმ-

თავრესად ქვიშის კვალი ეტყობა. საფენი ქვიშა ჰაინცდამაინც გულმოდგინედ არ უძებნიათ და არც უსუფთავეებიათ. ამას უნდა ადასტურებდეს საკმაოდ ხშირი შემთხვევა, როდესაც კრამიტის ზურგზე წვრილი კენჭის კვალი ან თითონ კენჭია შემონახული. ასეთი სურათი დადასტურებულია, მაგ., შემდეგ ნიმუშებზე: № № 1375, 1292, 1418, 142 და ა. შ. ჩვენ მიერ ადრე მითითებულ ყველა კრამიტს ზურგის მხარეზე ქვიშის კვალი აშკარად ეტყობა, თანაც ისიც აშკარად ჩანს, რომ სათანადო დაზგაზე მეტნაკლებად სუფთა ქვიშაა მოყრილი გუნდის გაყვანამდე.

ბრტყელი კრამიტის მოსაპრელი დაზგა შედგენილი და შეკრული ყოფილა რამდენიმე, თანაც სხვადასხვა სიფართის ფიცრისაგან. ასე, მაგ., № 1292 კრამიტს ეტყობა, რომ ის ერთფიცრიან დაზგაზეა მოპრილი, ამ შემთხვევაში ფართოფიცრიან დაზგასთანა გვაქვს საქმე; დაზგის ფიცარი თვით კრამიტის სიფართისაა. ასევე ერთფიცრიან დაზგაზე ჩანს მოპრილი № 1278/1, 2 კრამიტებიც. № 131 კრამიტი ორფიცრიან დაზგაზეა მოპრილი. თითოეული ამ ფიცართაგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება სიფართით; ასე, მაგ., ერთი მათგანი — 18,5—20,3 სმ-ია, მეორე კი — 17,5—24,1 სმ. ასევე ორფიცრიანია № 1293 ბრტყელი კრამიტიც და მრავალი სხვა (მაგ., 1278, 1575, 1166, 1167, 1289, 1293, 1311, 1322, 1324, 1327, 1447, 1449, 1457 და ა. შ.). სამფიცრიანი დაზგის კვალი ძალიან იშვიათია, მაგრამ ის მაინც გვხვდება. სამფიცრიან დაზგაზე ყოფილა მოპრილი № 1422 და 1314 კრამიტები, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ნატეხები შემოგვენახა. სამფიცრიანი დაზგის ფართოდ გამოყენების მაჩვენებელი მასალა ჯერჯერობით არ ჩანს. ჩვენის აზრით, სამფიცრიანი დაზგები საერთოდ იშვიათი უნდა ყოფილიყო.

ზემოთ მოტანილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მცხეთაში ბრტყელი კრამიტის მოსაპრელად უმთავრესად ერთფიცრიანი და ორფიცრიანი დაზგა უხმარიათ; ამასთანავე ცხადი ხდება, რომ ამათ შორის მეტნაწილად ორფიცრიანი დაზგა ყოფილა გავრცელებული.

ბ) ღ ა რ ი ს ე ბ რ ი ა ნ ღ ა რ ი ა ნ ი კ რ ა მ ი ტ ი. მეორე ტიპი მცხეთაში გავრცელებული კრამიტისა არის ღარისებრი ან ე. წ. ღარიანი (სურ. 42—46) კრამიტი. ღარისებრი კრამიტი — ანუ, როგორც ამას სამართლიანად უწოდებენ, „ქართული კრამიტი“ — ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. ზოგადად ღარისებრი მოყვანილობის კრამიტს საქართველოში ძალიან ხანგრძლივი ისტორიაცა აქვს და, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სწორედ ამიტომ მიაკუთვნა ხალხმა ამ ტიპის კრამიტს ქართული კრამიტის სახელი. საკმაოდ დიდხანს და მრავალ კუთხეში ღარიანი კრამიტი წარმოადგენდა სახურავი კრამიტის ერთადერთ სახეს. ლ. ბოკორიშვილს თავის ნაშრომში „კახური კერამიკა“, დაწვრილებითა აქვს გარჩეული მეკრამიტეობის საკითხები და ის



სურ. 45. მცხეთის შიდაციხე. ღარისებრი კრამიტის ხედი, განივკვეთი და განაზომები—შდრ. სურ. 42—44



სურ. 46. მცხეთის შიდაციხე. ღარისებრი კრამიტის ზედები

კახეთის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შემდეგს აღნიშნავს: „კახეთში ამჟამად ძველდროიდანვე გაბატონებული ქართული კრამიტი იხმარება და წარმოებაშიც ამის გამო, მხოლოდ ქართული კრამიტი მზადდება“[38].

ქართული კრამიტის თანამედროვე სახე და მოყვანილობა მრავალი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა და მის საერთო წინაპართა შორის ჩვენში ყველაზე უძველესი, ჯერჯერობით ანტიკური ხანის, ღარისებრი კრამიტები ჩანს. ამ გარემოების გამოა, რომ როდესაც მცხეთის არქეოლოგიურ კრამიტს ვიხილავთ და მისი დამზადების ტექნიკას აღვადგენთ, ხშირად ქართულ ეთნოგრაფიულ



სურ. 47. მცხეთური ბრტყელი და ღარისებრი კრამიტებით გადახურვა. ფრაგმენტი—რეკონსტრუქცია

კრამიტს. მივმართავთ და შესაძლო შემთხვევაში მოვიშველიებთ კიდევაც.

ლ. ბოპორიშვილს აღნიშნული აქვს, რომ კახეთში კრამიტი ყალიბისა და ქობუნას საშუალებით იჭრება. ყალიბში გაბრტყელებულ გუნდას კრამიტის გარეგნობა ქობუნას დახმარებით ენიჭება. ავტორი აღწერს კრამიტის ყალიბსა და ქობუნასაც: „კრამიტის ყალიბი ხისაგან გაკეთებულ მოგრძო ჩარჩოს წარმოადგენს, ერთი მხრით ვიწრო და მეორე მხრით კი გაფართოებულს. ქობუნაც ხისაა, ღარივით მოხრილი, ეს უკანასკნელი ერთი ბოლოსკენ ვიწროა და მეორე ბოლოსკენ კი გაგანიერებული; ვიწრო ბოლოს შუა ადგილას პატარა წვერი აქვს გამოთლილი, ფართო ბოლოში კი მრგვალად მოყვანილი ტანი აქვს ზედვე გამოყვანილი“[39].

მსგავსი ცნობები მოეპოვება ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილს ზემო იმერეთის ეთნოგრაფიული მასალებში, რომელიც მას 1937 წელს შეუგროვებია. ნ. რეხვიაშვილს მეკრამიტეობა სოფ. ქვემოზეგანში შეუსწავლია. მისი ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ზეგანში ქართული, ე. ი. ღარიანი კრამიტი უკეთებიათ. კრამიტის მოსაჭრელად იქ „კალაპოტი“ უხმარიათ. ზეგანში რკინის კალაპოტი შეხვედრია ნ. რეხვიაშვილს. მისი სიტყვით, კალაპოტი წარმოადგენს უძირო ჩარჩოს, რომელიც ერთი ბოლოსკენ ვიწროა, ხოლო მეორე ბოლოსკენ გაგანიერებული — ე. ი. მოყვანილობით ის კახური მასალებით დადასტურებულ ჩარჩოს წარმოადგენს. ნ. რეხვიაშვილს დადგენილი აქვს, რომ ხელსაწყოს, რომლის დახმარებითაც „კალაპოტში“ გაბრტყელებულ გუნდას კრამიტის მოყვანილობა — ღარისებურობა ეძლევა, სოფ. ზეგანში „ბ ო ყ ვ ი“ ეწოდება. ჩანახაზების მიხედვით ირკვევა, რომ იმერული „ბოყვი“ და კახური „ქობუნა“ სავსებით ერთნაირი მოყვანილობისაა და,

[38] ლ. ბ ო პ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა, I, თბ., 1946, გვ. 150.

[39] ლ. ბ ო პ ო რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 356; ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, № 8, თბ., 1948.

ცხადია, ორივე მათგანი ერთიმეორის მსგავს ქართულ კრამიტს იძლევა.

ზემოხსენებულ მეცნიერებს კრამიტის მოჭრის პროცედურა კარგად აქვთ შესწავლილი და აღწერილი. ნ. რეხვიაშვილის ჩანაწერების მიხედვით ზემო-იმერეთში კრამიტის მოჭრა შემდეგნაირად ხდება: საგანგებოდ შემზადებულ გუნდას კალაპოტში ათავსებენ და გაიყვანენ („გარვიტანთ მიწას ხელით აქეთ-იქით"), შემდეგ საგანგებოდ გათლილ ჯოხს („ლაღე") გაატარებენ კალაპოტის



სურ. 48. მცხეთის ბრტყელ კრამიტთა განლაგება სახურავზე—სქემა

ზედაპირზე: თუ სადმე „კვირტი" — „ხვინჭკა" აღმოჩნდა, ამოიღებენ და ასუფთავებენ კრამიტს. „წინ გვიდგია საწყლე, რომელშიაც ვისველებთ ხელებს. მერე ავიღებთ კრამიტის გადმოსაღებ ხის ბოყვს და გადმოვიტანთ ამ ბოყვზე კრამიტს. დავკრავთ სოველ ხელს და გავლესავთ, მერე მოვხუჭავთ ბოყვზე, შევასწორებთ თუ სადმე ბრუდეა სოველი ხელით და ამავე ბოყვით წავიღებთ ფიცარზე და დავაჯენთ იქ"[40]. ნ. რეხვიაშვილის ამ ჩანაწერიდან ირკვევა, რომ კალაპოტში კრამიტის ზედაპირის გასასწორებლად საგანგებოდ მრგვალად გათლილი ჯოხი იხმარება, რომელსაც „ლაღე" ეწოდება.

ნ. რეხვიაშვილს ჩახაზული აქვს „ბოყვი" და დაზგის ერთი ნაწილი, სადაც ზედა ფიცარზე ამოჭრილია ბუდე „ბოყვის" წვერის დასამაგრებლად, იმ დროს, როდესაც დაზგიდან კრამიტი. ბოყვზე უნდა გადმოაცურონ.

სავსებით ანალოგიური სურათი აქვს აღწერილი ლ. ბოჭორიშვილს კახეთის მასალების მიხედვით. აი რას წერს ის: „ლ ა მ მ ო შ ლ ი ლ დაზგაზე კრამიტის ყალიბს მოათავსებენ, ისე რომ ყალიბის ფართო ბოლო მომუშავის მხარეს იყოს მოქცეული, ყალიბში გუნდას ჩასდებენ და წყალში



სურ. 49. მცხეთურ ბრტყელ და ღარისებრ კრამიტთა განლაგება სახურავზე. კრამიტების სიგრძივი ჭრილი

დასველებული მარჯვენა ხელით (დაზგაზე წყლით სავსე ხელის ჯამი უნდა ედგათ) გაბრტყელებენ და, ამგვარად, გუნდას ყალიბში გაიყვანენ. გუნდის გაბრტყელების დროს ალაგ-ალაგ სქლად დაკრულ თიხას მარჯვენა ხელის გვერდს გამოუსვამენ, ზედმეტ თიხას გამოაცურებენ და თხლად დარჩენილ ადგილზე დააკრავენ. ყალიბში გაბრტყელებულ გუნდას წყალს მოუსვამენ და უსწორ-მასწორო — „მაღალ-დაბალი" ადგილების გადათანასწორების მიზნით ზემოდან წყალში დასველებულ გადასასმელ ფიცარს „გ ა დ ა ს ა ს მ ე ლ ს" გადაუსვამენ. ყალიბში გაყვანილსა და ზედაპირგასწორებულ თიხას უკანასკნელად სველ ხელებს მოუსვამენ და შემდეგ კი უკვე ქობუნაზე გადმოიტანენ. ქობუნაზე კრამიტის გადმოტანას შემდეგი წესით ახდენენ: ქობუნას წვერს დაზგის გვერდს მიაბჯენენ — ის ადგილი, სადაც ქობუნას წვერი ებჯინება, გა-

[40] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ჩანაწერები ზემო-იმერეთში, 1937 წ.

მოჭრილი უნდა იყოს, რომ ქობუნას წვერმა აქეთ-იქით არ იცუროს და მეკრამიტემ ის უძრავ მდგომარეობაში დაიჭიროს — მის ტარს მუცელზე მიიჭერენ, ქობუნას გასწვრივ მდებარე ყალიბს აქეთ-იქიდან ორივე ხელს მოჰკიდებენ და მეტად ფრთხილად ქობუნაზე გადმოაცურებენ. გადმოცურების შემდეგ ყალიბს თიხა გამოეცლება და ყალიბში გაბრტყელებული თიხა ქობუნაზე დარჩება — „კრამიტი ქობუნას გედეეკვრება", კრამიტი ქობუნას მსგავსად „მოიხრება". ქობუნაზე გადმოტანილ კრამიტს ხელის გადასმ-გადმოსმით ერთხელ კიდევ გაასწორებენ, ქობუნას წვერსა და ტარს ხელებს მოჰკიდებენ და კრამიტს მიწაზე, კალოზე ან ჩარდახში დასვამენ. მიწაზე დასმულ კრამიტს ნელ-ნელა ქობუნაა გამოაცლიან და ახლა სხვა კრამიტის ჭრას შეუდგებიან"[41].

როგორც ჩანს, ზემო იმერეთისა და კახეთის მეკრამიტეები თითქმის ერთნაირად ჭრიან ქართულ კრამიტს. კახური ჩარჩო და იმერული კალაპოტი, ქობუნა და ბოყვი — ეს ძირითადი იარაღები სავსებით ერთგვარია. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ გადასასწორებელი იარაღი — იმერული „ლაღე" ჭრგვალია, ხოლო კახური „გადასასმელი" — ფიცარია, ერთ შემთხვევაში 45 სმ სიგრძისა და 24 სმ სიგანისა.

სურ. 50. მცხეთურ ბრტყელ და ღარისებრ კრამიტთა განლაგება სახურავზე—კრამიტებისგანივი ჭრილი. შიგნითა არე მიწით (ტალახით) იყო ამოვსებული

მოტანილი მასალა ცხადსა ხდის ქართული კრამიტის მოჭრის წესს და კარგად გვისახავს კრამიტის მოჭრის პროცესს.

ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის მნიშვნელობა ექნება კრამიტის ზომებს, ამიტომ რამდენიმე მაგალითს აქვე დავასახელებთ ლ. ბოჭორიშვილის წიგნის მიხედვით. სიგრძე ქართული კრამიტისა — 47 სმ, ფართო ბოლოს სიგანე — 30 სმ, პირდაპირი მანძილი ფართო ბოლოს წვეტს შორის — 24 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე — 22 სმ, პირდაპირი მანძილი ვიწრო ბოლოს წვერებს შორის — 16,5 სმ, სისქე — 1,5 სმ. კრამიტის ზომები ჩარჩოს გულის ზომით განისაზღვრება, მოყვანილობა კი — მოხრილობა — ქობუნას მოყვანილობით. ჩვეულებრივად ქობუნა კრამიტზე პატარაა. რა თქმა უნდა, ერთი ჩარჩოთი მოჭრილი კრამიტები ყოველთვის თანაბარია სიგრძითა და სიფართით; თანაბარია მოხრილობითაც, თუ ის ერთ ქობუნაზე ფორმდება.



სურ. 51. მცხეთურ ბრტყელ და ღარისებრ კრამიტთა განლაგება სახურავზე—სახურავის ფრაგმენტის განივი ჭრილი

ჩარჩოთი (კალაპოტით) და ქობუნათი (ბოყვით) კრამიტის მოჭრა საკმაოდ ადვილია. ლ. ბოჭორიშვილს დამოწმებული აქვს, რომ ერთ მეკრამიტეს დღეში 150—200 კრამიტის მოჭრა შეუძლიაო. რა თქმა უნდა, აქ გასამზადებელი სამუშაოები არ იგულისხმება და პირდაპირ მოჭრაა მიღებული მხედველობაში.

აქ აღწერილი წესითა და ხელსაწყოებით უნდა იყოს მოჭრილი შუასაუკუნეების ქართული ღარისებრი კრამიტი. მსგავსი სურათია შუასაუკუნეების ბოსფორშიაც დადგენილი. ა. იაკობსონს ამასთან დაკავშირებით მითითებული აქვს შემდეგი: „Черепицы формовались при помощи деревянных матриц (отпечатки деревянных плах, из которых сколочены эти формы, постоянно наблюдаются на черепицах); матрицы эти состоят из двух частей: нижней матрицы, на которой раскатывался определенный слой глины, и верхней, придававшей определенную форму бортикам, лепившей водосливные валики; на верхней же матрице вырезалась неглубокая метка, дававшая на черепице слаборельефный оттиск. При формовке черепицы матрицы посыпались крупным песком. После этого черепицы сушились на открытом воздухе"[42].

[41] ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, თბ., 1948, გვ. 152—153.

[42] А. Л. Якобсон Средневек. Херсонес; გვ. 119. В. Ф. Гайдукевич, Босфорские черепицы, გვ. 232. В. Ф. Гайдукевич, იქვე, გვ.260.

ვ. გაიდუკევიჩს გამოთქმული აქვს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრამიტი საგანგებო ფორმებით მზადდებოდა. ავტორი მიუთითებს, რომ კრამიტის მოკრა, რა თქმა უნდა, წარმოებდა სპეციალურ ფორმებში, რომლებიც ალბათ ხისაგან მზადდებოდა. ცოტა ქვემოთ ვ. გაიდუკევიჩი კვლავ ადასტურებს თავის შეხედულებას, როცა აღნიშნავს, რომ დამღის დასმა ან ტვიფვრა ხორციელდებოდა ნედლ თიხაზე, კრამიტის ფორმიდან ამოღების შემდეგ. გამოწვამდე. დაახლოებით ასეთია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი კრამიტის კეთების წესის შესახებ. როგორც მო-



სურ. 52. მცხეთის ანტიკური ხანის ღარისებრი კრამიტის მოკრა: თიხის მილი ხორგვზე (მარცხნივ) და შესაშრობად დასმული (მარჯვნივ)

ტანილი ცნობებიდანაც ჩანს, ავტორები ერთხმად აღიარებენ კრამიტის კეთებას სპეციალური ფორმების დახმარებით.

იმისათვის, რომ ამ მხრივ იყოს შესწავლილი მცხეთის კრამიტი, საჭიროა მისი ზოგიერთი თავისებურებების წინასწარ გათვალისწინება. რა თქმა უნდა, ამჯერად ჩვენ მცხეთის ღარისებრი კრამიტი გვაქვს მხედველობაში.

ღარისებრი კრამიტი საერთოდ უფრო ნაკლებად არის შესწავლილი ვიდრე ბრტყელი, უმთავრესად იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, კრამიტების შესწავლისას მეტი ყურადღება წარწერიან ნიმუშებს ექცეოდა; ასეთებს კი მეტწილად ბრტყელი კრამიტები წარმოადგენენ. ბოსფორის მასალების დაწვრილებით განხილვის შემდეგ ვ. გაიდუკევიჩს აღნიშნული აქვს, რომ, როგორც წესი, იტვიფრებოდა მხოლოდ და მხოლოდ ბრტყელი კრამიტი[43].

ეს წესი არა მარტო ბოსფორისათვის ყოფილა დამახასიათებელი. ვ. გაიდუკევიჩს, მაგ., აღნიშნული აქვს ანალოგიური სურათი პერგამოსშიაც[44].

სწორედ ამიტომ სავსებით ბუნებრივად იყო მიჩნეული პირველ რიგში და უფრო დაწვრილებით ბრტყელი კრამიტების განხილვა. ღარიანი კრამიტები კი (კალიპტერები) როგორც ზემოთ მივუთითეთ, დამხმარე მნიშვნელობის მქონედ იყო ცნობილი. ასე, მაგ. ვ. გაიდუკევიჩს აღნიშნული აქვს, რომ ბრტყელ კრამიტებს ეწოდებოდა „κεραμίδες



სურ. 53. მცხეთის ანტიკური ხანის ღარისებრი კრამიტის მოკრა: შეშრობილი მილი სიმაღლეზეა (შუაზე, მოპირდაპირე ბხარეს) გაკრილი (მარცხნივ) და გამოშრობის შემდეგ გაყოფილი ორ თანასწორ ნაწილად — ორ ღარისებრ კრამიტად (მარჯვნივ)

а для второго сорта черепиц, вспомогательного значения применялся термин καλύπτηρες по смыслу соответствовавший русскому „покрышка"[45].

თავის ახალ ნაშრომში, რომელიც ბოსფორის სამეფოს მიეძღვნა, ვ. გაიდუკევიჩი შენობის სახურავისათვის ძირითად კრამიტად კვლავ ბრტყელ კრამიტს მიიჩნევს[46].

რაკი ძირითადს ბრტყელი კრამიტი წარმოადგენდა და თანაც თითქმის მხოლოდ ეს კრამიტი იდამღებოდა, სპეციალისტებიც მის შესწავლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ღარიანი კრამიტი არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებლად

[43] В. Ф. Гайдукевич, იქვე, გვ. 288.

[44] В. Ф. Гайдукевич, იქვე, გვ. 288—289.

[45] В. Ф. Гайдукевич, იქვე, გვ. 224.

[46] В. Ф. Гайдукевич, Босфорское царство, М-Л., 1950, გვ. 144.

განხილული. ეს ნაკლი, როგორც აღინიშნა, ა. იაკობსონის ნაშრომსაც არ გამოუსწორებია; ე. ი. ჩვენს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ცოტა რამ არის დაწერილი არამარტო ანტიკური ხანის ღარიანი კრამიტის შესახებ, არამედ შუასაუკუნეების მრავალრიცხოვანი მასალის შესახებაც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა არა მარტო შუასაუკუნეების საამშენებლო კერამიკის თვალსაზრისით. შუასაუკუნეების ბოსფორმა კარგად შემოინახა კრამიტების ის ტიპები, რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნიდან იხმარებოდა, ე. ი. შუასაუკუნეების კრამიტის ასეთი ნიმუშების შესწავლა თავისთავად ხელს შეუწყობდა ანტიკური კრამიტის შესწავლის საქმეს. ა. იაკობსონი ამას, რა თქმა უნდა, კარგად გრძნობს, ის პირდაპირ აღნიშნავს კიდევაც ბრტყელი კრამიტების შესახებ, რომ აღწერილი ფორმის კრამიტები (ბრტყელი კრამიტები — ა. ა.), რომელთაც დიდი რაოდენობით პოულობდნენ ქერსონესის ნაქალაქარის ზედა ფენის გათხრისას, წარმოადგენენ უგვიანეს რგოლს ანტიკური კრამიტის, უფრო ზუსტად, რომაული კრამიტის ევოლუციაში. ეს ფორმები თითქმის უცვლელად შეითვისეს ადრეშუასაუკუნეებში, V—VI საუკუნეებში[47].

ა. იაკობსონი ამ ტიპის სახურავი მასალის ევოლუციას სწორად შენიშნავს. არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული აღინიშნოს, რომ ადრეშუასაუკუნეების ქართული ბრტყელი კრამიტი მაინც, მოყვანილობით თითქმის არ განსხვავდება ქართული ბრტყელი კრამიტისაგან ე. ი. წარმოშობით ადგილობრივ კრამიტთან არის დაკავშირებული. ამას ადასტურებს დაკვირვებანი შუასაუკუნეების ქართულ კრამიტზე (აქ ზომების განმეორება არ იგულისხმება).

როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ბაგინეთის (მცხეთის) „ღარიანი კრამიტი“ წარმოადგენს თიხის ღარს, რომლის ქვემო ნაწილი უფრო ფართოა და ზევითკენ თანდათანობით ვიწროვდება. შევიწროვება, მართალია, მკვეთრი არ არის, მაგრამ ძალიან ადვილად შეიმჩნევა, ამიტომ ამ კრამიტის გარეგანი მოყვანილობის დასახასიათებლად ჩვენ ვერ ვიხმართ „ცილინდრულს“ ან „სიგრძეზე გაკვეთილ ცილინდრს“.

[47] А. Л. Якобсон, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

ჩვენს ხელში გაიარა ღარიანი კრამიტის რამდენიმე ათასმა ნატეხმა და საკმაო რაოდენობის მთელმა კრამიტმა, მაგრამ ეს მასალა ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ ამ ტიპის კრამიტების სიგრძე-სიგანის უცვლელი შეფარდება; იმის გამო, რომ კრამიტები სიგრძითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან და სხვა განაზომებითაც. ასე მაგ:

№	სიგრძე	ფართო ნაწილის სიგანე (ქვედა) შიგნითა ზომი	შუაში შიგნითა	ზევით შიგნითა
1) 1164/1(ბ)	48,2 სმ	21,3 სმ	18, სმ	14.6 სმ
2) 1164/2(ბ)	49,5 სმ	20,8 სმ	18,9 სმ	ჩამოტ.
3) 1164/3(ბ)	48,3 სმ	19,5 სმ	18,5 სმ	13,8 სმ.

ანალოგიურ სურათს გვაძლევს მცხეთის კრამიტი საერთოდაც. ასე მაგ.: 1) № 1938 წ. № 926— 42 სმ — 19,6 სმ — 17,1 სმ — 15,4 სმ.

ამრიგად, ბაგინეთის ღარიანი კრამიტები სიგრძით 50 სმ უახლოვდება. ყოველ შემთხვევაში ნახევარ მეტრს არცერთი არ აღემატება. კრამიტების სიგრძეში 1,5—2 სმ სხვაობაა. ასეთივე სურათია სიგანეშიაც.

ეს ცნობები ადასტურებენ, რომ საერთოდ მცხეთის ღარიანი კრამიტი ერთი სტანდარტული ზომით მოჭრილი არ არის.

სიგრძე-სიგანის სხვაობა მათი შეფარდების სხვაობას გვაძლევს, სულ სხვა მდგომარეობა შეიმჩნევა ბოსფორში. ვ. გაიდუკევიჩის მიერ გამოქვეყ-



სურ. 54. ბოსფორული ღარისებრი კრამიტის—კალიპტერის განაზომები

ნებული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ბოსფორული კალიპტერის სიგრძე არის 59,5 სმ, უდიდესი სიფართე ღარის შიგნითა ნაწილისა — 8,8 სმ. ამათი შეფარდება ასეთია 59,5:8,8=6,7:1— ე. ი. 6,7:1. იმავე ავტორის მიერ გამოქვეყნებული კამიშ-ბურუნის ღარიანი კრამიტის სიგრძე-სიგანის შეფარდება ასეთ სურათს გვაძლევს: 1,9:1 და 2,3:1 და ა. შ.

როგორც ვნახეთ, მცხეთის მასალა უცვლელ შეფარდებას არ გვაძლევს. განსხვავება აქ დაახლოებით 2 სმ-ია, მაგრამ ერთსა და იმავე ყალიბში გაკეთებული კრამიტი, რა თქმა უნდა, ისეთ განსხვავებას არავითარ შემთხვევაში არ მოგვცემს. თუ ბოსფორის კრამიტების შესახებ ვ. გაიდუკევიჩის მიერ გამოქვეყნებული ცნობები დამახასიათებელია და შეფარდებაც უცვლელი ჩანს, ეს იმიტომ, რომ ბოსფორის კრამიტები ყალიბით არის მოჭრილი (სურ. 54—56), ხოლო ბაგინეთისა (მცხეთის) — კი არა. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ამ დასკვნას მხარს უჭერს მცხეთის ღარიანი კრამიტების შედარება ბოსფორის კალიპტერებთან, რომლებიც გარედან ისეა დაკუთხული, რომ არაფრით არ გავს მცხეთისას, რომლის გარეთა ზედა-



სურ. 55. ბოსფორული კალიპტერი. ხედი და ჭრილი განაზომებითურთ

პირი თითქმის წესიერ ნახევარ წრეს წარმოადგენს (ტაბ. XXV, XXVI; შდრ. სურათები: 42—46 (მცხეთა) და 54—56 (ბოსფორი).

მცხეთის ღარიანი კრამიტი კიდევ ერთი არსებითი ნაწილით განსხვავდება აქამდე ცნობილი ანტიკური და შუასაუკუნეების კალიპტერებისაგან. ეს განსხვავება, ასე ვთქვათ, კონსტრუქციული ხასიათისაა და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მცხეთის ღარიან კრამიტს მეტად თავისებური ქიმი (ყური) აქვს, რომლის დანიშნულება იყო შეკავება ზედა მწკრივის ღარიანი კრამიტისა. ეს ქიმი მცხეთის ღარიან კრამიტს ზურგზე უკეთდებოდა, ეიწრო ბოლოსთან ახლოს, კიდიდან თითქმის თანაბრად დაშორებით, მაგრამ ზუსტად ერთ ადგილას არა. ასე, მაგ. № 2264/1 ქიმი ვიწრო ბოლოდან 5,5 სმ-მდე იწყება; № 1164/2 იწყება კიდიდან 6,8 სმ, № 1164/3 იწყება კიდიდან 4,5 სმ, № 1378/1 იწყება კიდიდან 5 სმ, № 1378/2 იწყება 6 სმ-ზე; № 1290/1 იწყება 7 სმ-ზე; № 1290/2 იწყება 8 სმ-ზე და ა. შ. შეიძლება ასეთი ცნობების მოტანა დიდი რაოდენობით, მაგრამ მოტანილიც კარგად ამტკიცებს, რომ დამახასიათებელი ქიმი მცხეთის კრამიტს დაახლოებით ერთსა და იმავე ადგილზე უკეთდებოდა. წინასწარ და ზუსტად განსაზღვრული ზომა კრამიტის



სურ. 56. ბოსფორული კალიპტერის ფრაგმენტი—ჭრილი და განაზომები

კიდიდან ქიმის დაშორებისა არ არსებულა. ამის საჭიროება არც იყო. ასეთი ზუსტი ზომები გაართულებდა ქიმის დამაგრებას, შეამცირებდა შრომის ნაყოფიერებას; პრაქტიკულად კი მცირეოდენ სხვაობას მნიშვნელობა არ ენიჭებოდა (სურ. 57—71).

ქიმი უკეთდებოდა კრამიტს გაშრობამდე, ე. ი. ჩარხზე. ქიმის ჩასამაგრებლად სათანადო ადგილას ოსტატი ცერის დაჭერის გზით ფოსოს აკეთებდა,

რომელშიაც ფუძე მრგვალი და ცალკე დამზადებული ქიმი უნდა ჩაესვა. ფოსო, რომ ცერით უკეთებიათ, ამას კარგად ამტკიცებს ნიმუშები, რომელთაგან ზოგიერთს ხელოსნის ცერის ანაბეჭდები და ფრჩხილის კვალიც კი აშკარად ეტყობათ. როცა ოსტატი გარედან ახლად გამოყვანილ კრამიტზე ცერს დააჭერდა და ფოსოს აფართოებდა და აღრმავებდა, კრამიტის შიგნითა მხარე ამ ადგილას ყოველთვის საკმაოდ ფართოდ ამოიზნიქებოდა; ამ ამონაზნექ ადგილს შემდეგ ხელით ოდნავ შეას-



სურ. 57. ერთი ჯგუფი მცხეთური ღარისებრი კრამიტების ქიშბისა. ხედი და განივკვეთი

წორებდნენ; კვლავ თითის დაჭერით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქიმი ფოსოში ჩაჯდებოდა. ქიმის ჩამაგრება და შიგნითა ამოზნექილი ნაწილის შესწორება ერთ და იმავე დროს წარმოებდა. ამიტომაა, რომ ქიმთან (გარეთა მხარეზე) და ამოზნექილ ადგილას (შიგნითა მხარეს) ხელოსნის თითების ანაბეჭდები კარგად ჩანს[48].

ამის შემდეგ კრამიტი უნდა წაეღოთ გამოსაშრობად, ე. ი. ქიმის გაკეთების შემდეგ კრამიტი ჩარხზე აღარ ბრუნდებოდა. ამიტომაა, რომ ჩარხზე ტრიალის კვალი დარღვეულია სწორედ ქიმთან. როგორც გარეთა მხარეზე, ისე შიგნითაც. გარედან. რაკი სანახავი მხარე იყო ეს ზედაპირი, ს

სოდეს არ მიუქცევიათ. ეს ბუნებრივია — შიგნითა მხარე სანახავი არც იყო; ამიტომაა, რომ ხელოსნის თითების ანაბეჭდები შიგნითა ზედაპირზედაც უმეტეს შემთხვევაში კარგად ჩანს.

ფუძემრგვალი ქიმები მიუხედავად იმისა, რომ ისინი საერთოდ ერთგვარი მოყვანილობისა ჩანან, ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებიან. იგრძნობა ეს განსხვავება იმაში, რომ ისინი სხვადასხვა სიმაღლისაა, მეტნაკლები — სიფართისა და სისქისა. მოყვანილობაც თითქმის ყველას ერთმანეთისაგან მცირედ მაინც განსხვავებული აქვს; შეიმჩნევა სხვაობა ქიმის ზურგის დაქანებაში და იმ კუთხე-



სურ. 61

ების სიდიდეშიაც, რომელიც იქმნება კრამიტის ზურგზე ქიმის დამაგრების შემდეგ (სურ. 57—71).

მართალია, ყველა ამ სხვაობას კონსტრუქციული მნიშვნელობა არა აქვს. ზედა მწკრივის დარიან კრამიტს კარგად აჩერებს ყველა მათგანი, მაგრამ ეს სხვაობები ცხადსა ხდის, რომ ქიმისაგანგებოყალიბში კი არ კეთდებოდა; მას ხელით ამზადებდნენ, უთუოდ მაშინ, როდესაც ეს ქიმი კრამიტისათვის უნდა გაეკეთებიათ — მიეძერწათ. ასეთ ვითარებაში არ უნდა მოველოდეთ ორ სავსებით ერთნაირი მოყვანილობისა და ზომის ქიმს, არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც სხვადასხვა ხელოსნის ნახელავთან გვაქვს საქმე, არამედ მაშინაც, როდესაც ერთი ხელოსნის მიერ გაკეთებულ კრამიტსა და ქიმებს ვიხილავთ.



სურ. 62

ერთი სიტყვით ირკვევა, რომ არ იყო სავალდებულო აბსოლუტურად ერთნაირი ქიმების გა-



სურ. 63

მოყვანა. როგორც ითქვა, ამას დანიშნულების თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

მცხეთის ღარიანი კრამიტების მსგავსი ქიმები ცნობილი არ არის სხვა ქვეყნების ანტიკურ კრამიტთა შორის. ყოველ შემთხვევაში არსებული ლიტერატურა ასეთ მითითებებს არ შეიცავს.



სურ. 64

გამოთქმულია მოსაზრება მცხეთის ღარიანი კრამიტისა და 1932 წელს ქამიშ-ბურუნში აღმოჩენილ ღარისებრ კრამიტს და აგრეთვე თანამედროვე სამხრეთის ქვეყნებში გავრცელებულსა და „თათრულის" სახელწოდებით ცნობილ კრამიტებს"[49].



სურ. 65₁

ჩენილი ღარიანი კრამიტის მსგავსების შესახებ ასე, მაგ., ი. ციციშვილი აღნიშნავდა, რომ მცხეთის ღარიანი კრამიტი „თავისი ფორმით უახლოვდება 1932 წელს ქამიშ-ბურუნის გათხრების დროს აღმოჩენილ ღარისებრ ჭრამიტს და აგრეთვე თანამედროვე სამხრეთის ქვეყნებში გავრცელებულსა და „თათრულის" სახელწოდებით ცნობილ კრამიტებს"[50].

ლ. ბოჭორიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ყირიმის მცხოვრებთა შორის ამჟამად ხმარებული და „თათრულას" სახელწოდებით ცნობილი ღარისებური კრამიტი კი ქართული კრამიტისაგან არაფრით განსხვავდება"[50]. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ ზემო იმერეთში (სოფ. შროშაში) დღესაც ინახება ბრტყელი და ღარისებური კრამიტი, რომელიც სამთავროსა და ქამიშ-ბურუნში აღმოჩენილ კრამიტებს ძლიერ მიემსგავსება[51].

სურ. 65₂

ბრტყელ კრამიტზე ახლა არაფერს ვიტყვით, ხოლო რაც შეეხება ღარისებრ კრამიტს, უნდა შეინიშნოს, რომ მ ც ხ ე თ ი ს ა ნ ტ ი კ უ რ ღ ა რ ი ა ნ კ რ ა მ ი ტ ებ ს ა და კ ა მ ი შ-ბ უ რ უ ნ ი ს კ რ ა მ ი ტ ებ ს შ ო რ ი ს, ისევე როგორც შროშაში მოპრილ კრამიტებს შორის ა რ ს ე ბ ი თ ი: გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ა. ჩვენის აზრით, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსება მხოლოდ დანიშნულებაშია და საერთოდ ღარისებრ მოყვანილობაში. სხვა მხრივ მათ საერთო არაფერი აქვთ.

ბაგინეთის და ქამიშ-ბურუნის კრამიტებს შორის არსებითი კონსტრუქციული ხასიათის განს-

[49] ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, № 8, თბ., 1948, გვ. 518.

[50] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა, I, კახური კერამიკა, თბ., 1948, გვ. 241.

[51] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 242.

[52] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა, I, თბ., 1948, გვ. 402.

ხვავებაა. კამიშ-ბურუნის ღარისებრ კრამიტს არა აქვს მცხეთური კრამიტის •ტიპის ქიმი; ის გლუვ-ზედაპირიანია და უდღეაბოდ თავს ვერც შეიკავებდა შენობათა დაქანებულ სახურავზე. ამაში ვხე-



სურ. 66

დავთ ჩვენ არსებით კონსტრუქციულ განსხვავებას მცხეთისა და კამიშ-ბურუნის კრამიტებს შორის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა.



სურ. 67

ასე დაწვრილებით განვიხილეთ ჩვენ ღარიანი კრამიტის ქიმის საკითხი იმიტომ, რომ სწორეღ ქიმი არის ერთ-ერთი ძალიან დამახასიათებელი დეტალი მცხეთის დედალაქობის ხანის ქართული ღარიანი კრამიტისა, რომლითაც უკვე უეჭვოდ დგინდება, რომ ამ ტიპის კრამიტის კეთება ადგილობრივი საქმეა და საქართველოს გარეთ ასეთი კრამიტის კეთება რაკი უცნობი იყო, ცხადია შეუძლებელია, ძველ იბერიელ ხელოსნებს ვინმესგან გადმოეღოთ ის. ასეთი დასკვნა შეიძლება მივიღოთ ზემოთ აღნიშნულის საფუძველზედაც კი. მაგრამ მცხეთის ღარიანი კრამიტი ჩვენ გვაძლევს კიდევ უფრო მეტად დამაჯერებელ მასალებს ზემოთ გამოთქმული მოსაზრების დასამტკიცებლად.

როდესაც მცხეთის ღარიანი კრამიტის ზოგიერთი თავისებურება მივუთითეთ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზუსტად ერთნაირი ზომის ღარიანი კრამიტები გათხრებისას ჩვენ არ შეგხვედრია. ეხლა უნდა მივუთითოთ, რომ ამ ტიპის კრამიტის ღარი ძალიან თავისებურია. ეს თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: ძალიან ხშირად. მეტწილად, თუ ყოველთვის არა. ღარის არც გარეთა და არც შიგნითა ზედაპირი სწორი არ არის. კარგად შეიმჩნევა პარალელური ირგვლივი (განივი) ზოლები, ხშირად წვრილი — თითქოს დაღარული, ხშირად კი — ირგვლივ თითქმის ქედად ამოზნექილი (შდრ. სურ 42—46). ეს არა აქვს კამიშ-ბურუნის კრამიტს (პი-



სურ. 68

სურ. 69

რიქით, მას სიგრძივი ზოლი უფრო ეტყობა), არც ბოსფორის და სინოპის კრამიტებს, რა თქმა უნდა, არც შუასაუკუნეების და ახალ ქართულ კრამიტებს.

მცხეთის ღარისებრ კრამიტს, განსაკუთრებით თავსა და ბოლოში კარგად ეტყობა ეს ირგვლივი, მეტწილად პარალელური ზოლები, როგორც გარეთა ზედაპირზე, ისე შიგნითაც. უფრო თვალსაჩინოა ეს ზოლები სწორედ შიგნითა მხარეს (სურ. 42—46).

ეს განივი პარალელური ზოლები არ არის მოსალოდნელი კრამიტის ყალიბში მოჭრისას და ქობუნაზე გაფორმებისას. მცხეთის კრამიტის საკ-

მაოდ დაწვრილებით და მრავალრიცხოვანი მასალის გათვალისწინება არ იძლევა საფუძველს ვიეარაუდოთ მცხეთის ღარიანი კრამიტის მოჭრა ყალიბში და ქობუნას ტიპის იარაღით მისი გაფორმება. მ ც ხ ე თ ი ს დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ო ბ ი ს ხ ა ნ ი ს ღ ა რ ი ა ნ ი კ რ ა მ ი ტ ი ყ ა ლ ი ბ ი თ ნ ა კ ე თ ებ ი ა რ ა ა რ ი ს. ე. ი. ის ამითაც განსხვავდება კამიშ-ბურუნის, სინოპის, ბოსფორის ანტიკური, შუასაუკუნეების საქართველოს ღარიანი და თანამედროვე ქართული ღარიანი კრამიტებისაგან.

კრამიტის მოსაჭრელი ყალიბის უარყოფამ დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეკეთებინათ მცხეთური ღარიანი კრამიტი.

მასალის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მცხეთის ღარიანი კრამიტი უკეთებიათ კერამიკულ ჩარხზე; ისე როგორც წყალსადენის მილები, ე. ი.



სურ. 70

ასე ვთქვათ „საკრამიტე მილები“ უკეთებიათ (ეს იქნებოდა ნახევარფაბრიკატი), შემდეგ დაახლოებით შუაზე, სიგრძეზე გაუჭრიათ ეს მილები და თითო საკრამიტე მილიდან ორ-ორი ღარისებრი კრამიტი მიუღიათ (ამ ტიპის კრამიტის მოჭრის თანმიმდევრობა იხ. სურ. 52—53). ასეთია დასკვნა მცხეთის (ბაგინეთის, სამთავროს, არმაზისხევის, სარკინეს, წიწამურის) ღარიანი კრამიტის მოჭრის შესახებ.

კრამიტის კეთების პროცესს საქართველოში „მოჭრას“ ეძახიან. ლ. ბოჭორიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ბეჭურჭლები სიტყვა „გაკეთება“-ს ხმარობენ, მეაგურეები და მეკრამიტეები კი — „მოჭრას“[52]. ეს ტერმინი მრავალმხრივ საყურადღებო ჩანს. ეთნოგრაფიული მასალები კრამიტის დამზადებისა თითქოს არ ამართლებენ ამ ტერმინის ასე ვავრცელებას. მართლაც, რაგორც კახეთში, ისე ქართლში და იმერეთშიაც მეკრამიტეებს აქვთ ხელსაწყო, რომელსაც „ყალიბი“, „ჩარჩო“, „ფორმა“ ან „კალაპოტი“ ეწოდება. მოწყვეტენ მრგვალ გუნდას, ჩააგდებენ ამ ყალიბში და გაიყვანენ ისე, რომ ამოიკვეთოს ის. შემდეგ ამ გაბრტყელებულ თიხას „ქობუნაზე“ — „ბოყვზე“ გადაიყვანენ და ბოლოს გასაშრობად დასვამენ. მთელი ეს პროცესი არსად მოჭრას არ გულისხმობს და თითქოს გაუგებარი რჩება, რატომ ხმარობს ხალხი „კრამიტის მოჭრას“, ხოლო „ბურჭლის კეთებას“.

ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იმის გათვალისწინება, რომ ძველად საქართველოში კრამიტი იჭრებოდა — მილის გაჭრის გზით მიიღებოდა და ტერმინი „მოჭრაც“, შესაძლებელია, ისევე ძველი იყოს, როგორც ანტიკური წესი საქართველოში კრამიტის კეთებისა, ე. ი. კრამიტის მოჭრისა. შეიძლება არ იყოს უსაფუძვლო ვივარაუდოთ, რომ შემდეგში, ცხადია, კრამიტის კეთების ხერხი შეიცვალა; კრამიტი უკვე ყალიბში კეთდება, მაგრამ, კეთების პროცესის დასახასიათებლად ძველი დროიდანვე შემუშავებული ტერმინი „კრამიტის მოჭრა“ შემოგვრჩა.



სურ. 71

ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ კრამიტებს ღარები—ზოლები შემოსდევს ზედაპირზე შიგნითა მხარეს და გარედანაც. ეს შერჩენილია ჩარხზე ტრიალის შედეგად. ზოლები წყდება ქიმთან (რადგან ქიმი უკეთდება მაშინ, როდესაც მილი მთელ სიმაღლეზე ამოიყვანებოდა, ე. ი. ჩარხზე უკვე აღარ იქნებოდა საჭირო მილის დამუშავება) და კრამიტის სიგრძივ კიდეებზე (აქ დანის პირი წყვეტს ზოლებს, რადგან მილი სიგრძეზეა ორ ადგილს გაჭრილი).

ამ ზოლებს გარდა მითითებული იყო ამოზნექილი ზოლებიც. ეს ჩვენის აზრით, იმით არის გა-

[52] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი. ქართული კერამიკა, I, თბ. 1948, გვ. 402

მოწვეული, რომ ჩარხზე ტრიალისას არათანაბარი ძალით აწვებოდა ხელოსანი მილის კედელს, განსაკუთრებით შიგნიდან და, მეტწილად იმ შემთხვევაში, როდესაც ახალ-ახალი გრძელი გუნდები უნდა დაემატებია მილისათვის.

ძალიან ხშირად კრამიტის შიგნითა ზედაპირზე კარგად ჩანს ადგილი, სადაც გუნდა მეორე გუნდას უერთდება. თითო გუნდა დაახლოებით 4,5—5 სმ სიმაღლეს უმატებდა მილს; ე. ი. ყოველ საკრამიტე მილს 9—10 გრძელი გუნდა დასჭირდებოდა. გუნდა სხვადასხვა სიგრძისა შეიძლება ყოფილიყო, ან თანაბარიც. უკანასკნელ შემთხვევაში ხელოსანი მოწყვეტდა მისთვის საჭირო სიგრძის გუნდას. ასევე მიახლოვებით გუნდათა სიმსხოც შეიძლება ვიკარაუდოთ.

საკრამიტე მილის ამოყვანისთანავე მას ვიწრო ბოლოში, გარედან ორი ქიმი უკეთდებოდა, რის შემდეგ ეს მილი გასაშრობად უნდა დაეყენებიათ. შეშრობის შემდეგ რკინის მომცრო დანით ან იშვიათად ხის დანითაც მილი სიგრძეზე ორ თანასწორ ნაწილად გაუჭრიათ და, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თითო საკრამიტე მილიდან (სურ. 52) ორ-ორი ღარიანი კრამიტი მიუღიათ (სურ. 53). მითითება იმის შესახებ, რომ ორ თანასწორ ნაწილად გაუჭრიათ მილი, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს ზუსტად თანასწორ ნაწილებთან გვქონდეს საქმე. ხელოსანი მილს შუაზე ჭრიდა და რაკი ზუსტი თანასწორობა აუცილებელი არ იყო, ის საგანგებო ხელსაწყოებს არ ხმარობდა. კიდევ მეტი, ხშირად სწორადაც არ გაუჭრია ხელოსანს მილი, ე. ი. დანა სწორხაზოვნად ვერ გაუტარებია; ამიტომაა, რომ ღარიანი კრამიტები გლუვზედაპირიან საგანზე რომ დაემხოს, მყარად ვერ დგება. ჩვენ არც ერთხელ არ შეგვხვედრია ზუსტად შუაზე გაჭრილი მილი და თანასწორი კრამიტები. ეს ზედმიწევნილობა საჭირო არც იყო, სახურავზე მცირე სხვაობა კრამიტს არ შეეტყობოდა; მით უფრო, რომ კრამიტების დასამაგრებლად სათანადო მიწა (ტალახი) და ხსნარიც ყოფილა გამოყენებული (საილუსტრაციოდ იხ. მავზოლეუმის ტიპის სამარხის სახურავი: ტაბ. XXVI; სურ. 50—51).

რიგ ნიმუშებზე შერჩენილია დანის კვალი. გაღარულია თიხა და ისეა დატოვებული. ასეთი შემთხვევები იმის მაჩვენებელია, რომ გაჭრისას ხაზი ძალიან გამრუდებია ხელოსანს და ხელმეორედ გაუჭრია საკრამიტე მილი. შეცდომით გაღარული არც კი ამოუვსია და ისე გამოუწვავს კრამიტი. ცხადია, ესეც არ გამოჩნდებოდა სახურავიდან. ძალიან ხშირად ჩანს დანისპირის სიფართეც. ირკვევა, რომ ხელოსანი გამოსაშრობად დაყენებულ კრამიტს ჭრიდა ორად, თანაც ქვევიდან აუსვამდა, აატარებდა დანას. კარგად ჩანს, რომ თავსა და ბოლოში დანას შიგნითა მხარეზე არ გაუტანებია — შუა ნაწილას კი. თავსა და ბოლოში მცირე ნაწილი გაუჭრელად რჩებოდა, მაგრამ ეს ისე უმნიშვნელო ყოფილა, რომ კრამიტის ორად გახსნისათვის — გაპობისათვის ხელი არ შეუშლია. ხშირად მთელ ტანზე არსად არ ჩანს დანა მეორე მხარეზე გასული და 1—2 მილიმეტრის სისქის გაუჭრელი შიდაპირია შერჩენილი. ცხადია, როდესაც ხელოსანი დანით სჭრიდა მილს — შიგნითა ზედაპირი დანის კვალდაკვალ აიზნიქებოდა. თითქმის ყოველთვის ხელოსანს ეს აზნექილი ხაზი ხელით (თითით) შეუსწორებია, მას შემდეგ რაც მილი ორად გააპო. იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა ეს აზნექილი ზოლი შეუსწორებელია მთელ სიგრძეზე, ან თავსა და ბოლოში. უფრო ხშირად, ცხადია, ეს უკანასკნელი შემთხვევა გვხვდება.

საკრამიტე მილის გაჭრის პროცესის აქ წარმოდგენილი სურათი შედგენილია არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ეთნოგრაფიული მასალები, რომელსაც შეეძლოს აღმოგვიჩინოს დახმარება და უფრო დაწვრილებით წარმოვადგინოთ მილის გაჭრის — კრამიტის გაფორმების ყველა მომენტი.

ამ პროცესის უფრო ვრცლად წარმოდგენას, ზემოთ მოტანილი არქეოლოგიური დაკვირვების გათვალისწინების შემდეგ, ხელს შეუწყობს, ასე ვთქვათ, არა პირდაპირი ეთნოგრაფიული მასალის მითითება*.

ეთნოგრაფ ლ. ბოჭორიშვილს თავის არაერთხელ მითითებულ ნაშრომში მეთორნეობის განხილვისას აღნიშნული აქვს, რომ თორნე სამ ნაჭრად იჭრება. ეს პროცესი აღწერილია შემდეგნაირად: „თორნე ცოტათი რომ შეშრება, ისე რომ თითის დაჭერით არ შეიდრიკოს და საჭერმა გაუაროს, გარეთა მხრიდან სამ ადგილას დანით ჩასერავენ და კარგად გახმობის შემდგომ კი სამ ნაჭრად გაჭრიან.

* თორნის გაჭრის მასალები იმიტომ მომაქვს, რომ რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, საკრამიტედ მილს ახლა არავინ ჭრის; ამისათვის სპეციალური ყალიბებია — ფორმებია — სახელოსნოებშიც კი.

თორნის გაჭრას შემდეგნაირი წესით აწარმოებენ: თორნეზე შიმშას მიაყუდებენ და შიმშის ასწვრივ, შიმშის ნაპირის მიყოლებაზე, დანას აუტარებენ ისე, რომ კედელი მხოლოდ ნახევარ სისქეზე ჩაიჭრას; როდესაც შესაძლებელი შეიქმნება ნაჭრების განცალკევება, სანახევროდ ჩაჭრილი ხაზის თავსა და ბოლოს დანას გაატარებენ — დანას თორნის კედლებში გაახლდებენ, ჩაჭრილი ზოლის ასწვრივ. შიგნითა მხრიდან, თორნეს ადგილ-ადგილ ჩაქუჩებს შემოკრავენ და ნაჭრებს ერთმანეთისაგან განაშორებენ („ნაჭერი ნაჭერს განშორდება"). გაუხმობელი თორნე რომ გაიჭრას, სიგანეზე დასკდება და სამუდამოდ დაზიანდება"[53].

თორნის დაჭრა ჩვეულებრივად ქურის სიპატარავით არის გამოწვეული, მაგრამ როდესაც თორნეს მექვევრები აკეთებენ, ისინი მის გამოწვასაც ქვევრის ქურაში აწარმოებენ და გაჭრა არ სჭირდებათ.

მკითხველი ადვილად გაიგებს, რომ მე ამ შემთხვევაში თორნის დამზადების საკითხები არ მაინტერესებს; რაკი მილის გაჭრის პროცედურაა შესასწავლი, ჩვენის აზრით, თორნის მაგალითი აქ ყველაზე უფრო გამოსადეგია. სხვა არა იყოს რა თორნეც ხომ თავისებური მილია, ოღონდ მოკლე და დიდი დიამეტრის*.

ზემოთ აღწერილის მსგავსი პროცედურა უნდა წარმოვიდგინოთ საკრამიტე მილის გაჭრის შემთხვევაშიაც. მაგრამ, ცხადია, არა მისი ზუსტად განმეორება.

უეჭველია კრამიტი შეშრობის შემდეგ უნდა ჩაესვათ, მაგრამ არა სამ ადგილას, არამედ ორ ადგილას, რადგან ყოველი საკრამიტე მილიდან 2 კრამიტი უნდა მიეღოთ. კრამიტის ჩასერვისა და ჩაჭრის უსწორ-მასწორობა გვიჩვენებს, რომ შიმშა ან სხვა რამ ხელსაწყო არ გამოუყენებიათ. როგორც ჩანს, მაინც და მაინც არ ცდილან ზედმიწევნით სწორად ჩაეჭრათ მილის გვერდები, ეს გასაგებიცაა: სახურავზე ოდნავ უსწორო ნაპირიანი, ან გაჭრის შემდეგ დამატებით ნაპირებშემოთლილი კრამიტიც კარგად გამოიყენებოდა. თორნის შემთხვევაში სიზუსტე აუცილებელია, რადგან გამოწვის შემდეგ თორნის ნაწილები ერთმანეთს უეჭველად უნდა მიუდგეს.

ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ჩაქუჩის გამოყენება ვივარაუდოთ, რადგან ამის საშუალებას საკრამიტე მილის დიამეტრი არ იძლევა. უნდა ვიფიქროთ, რომ მოპირდაპირე მხარეებზე ჩასერილი მილის გახსნა ხელით წარმოებდა და დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მცირეოდენი უსწორ-მასწორო კიდეები დანით ადვილად შეუსწორებიათ, როგორც ეს კარგად ჩანს თითქმის ყველა ნიმუშზე (მაგ., შეადარეთ № 1164). როგორც აღინიშნა, საკრამიტე მილი დანითაა ჩასერილი, გაჭრილი და შემოსწორებული. დანა მოკლე, თხელ-პირიანი უნდა ყოფილიყო. ბაგინეთზე ნაპოვნი ლარიანი კრამიტის ნატეხთა შორის, როგორც აღინიშნა, ამ მხრივაც საყურადღებო ნიმუშებიც აღმოჩნდა. ამ ნატეხების საშუალებით ჩვენ დანის პირის სისქის დადგენას ვახერხებთ. ამ გზით ჩვენ შემოგვეწახა კვალი დანისა, უთუოდ ოდნავ გაფართოებული სახით, მაგრამ მაინც საკმარისია იმისათვის, რომ დანის პირის სისქე წარმოვიდგინოთ; მრავალრიცხოვანი ჩამონათალებიც დანის პირის მოყვანილობის აღდგენის საშუალებას გვაძლევს. ამრიგად, საკრამიტე მილის გასაჭრელი დანის პირის მოყვანილობის დადგენაც ხერხდება და ვეცნობით ანტიკური კრამიტის წარმოებისათვის საჭირო კიდევ ერთ ხელსაწყოს — რკინის დანას.

კრამიტის კეთების მცხეთური წესი ადასტურებს, რომ ანტიკური ხანის ლარიანი კრამიტის მკეთებელი შესაძლოა თითონ მეჭურჭლე იყო, რადგან მცხეთური კრამიტი მზადდება მეტწილად წითელი ჭურჭლის თიხისაგან და ჭურჭლის მორგვზე, ე. ი. მეკრამიტეობა შესაძლოა ყოველთვის არც კი იყო მეჭურჭლეობისაგან გამოყოფილი მცხეთის დედაქალაქობის ხანაში და მასთან იყო დაკავშირებული ისევე, როგორც გვიან პერიოდში „წყლის მილების მკეთებელობა მეჭურჭლეობასთან არის დაკავშირებული, რადგან მზადდება წითელი ჭურჭლის თიხისაგან და იჭრება ჭურჭლის ჩარხზე. მილის მომჭრელიც მეჭურჭლეა..."[54].

მცხეთაში აღმოჩენილ ზოგიერთ კრამიტს და თიხის ჭურჭელს ან სპეციალურ კერამიკულ ფილებს ხშირად ერთნაირი ნიშნები აქვთ. ამის საფუძველზე ი. ციციშვილი სამართლიანად ფიქრობს, რომ კრამიტისა და კერამიკული ჭურჭლის წარმო-

---

* მე არ ვგულისხმობ „შეპურის თორნეს", რომელიც ქვევრს უფრო წაგავს, ვიდრე მილს. — ეს ტიპები კარგადაა გარჩეული ლ. ბოჭორიშვილის წიგნში (დასახ. ნაშრ., გვ. 144).

[53] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა, I, თბ., 1948, გვ. 142.

[54] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა, I, თბ., 1948, გვ. 344.

ება, შესაძლებელია, ყოველთვის არ ყოფილიყო დიფერენცირებული[55].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მცხეთის ღარიანი კრამიტის კეთების ზემოთ აღწერილი წესი ყველაზე მნიშვნელოვნად განსხვავებს ერთმანეთისაგან მცხეთის დედაქალაქობის ხანის ღარისებრ კრამიტებს და ანტიკურ ქვეყნებში (და აგრეთვე შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე) იმ დროს ან უფრო ადრე გავრცელებულ კრამიტებს.

ეს ადგილობრივი, ქართული წესია ღარისებრი კრამიტის მოკრისა.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, აქამდე ანტიკური კრამიტის კეთების მხოლოდ ერთი წესი, ყალიბში კეთება იყო ცნობილი. ახლა, მცხეთის მასალების გაცნობის შემდეგ ირკვევა მეორე წესი— ქართული (იბერიული) წესი ღარისებში კრამიტის ჩარხზე კეთებისა. ეს უკანასკნელი არა მარტო ქართული კრამიტის წარმოების თავისებურებად უნდა ჩაითვალოს, არამედ მიღებული უნდა იყოს მხედველობაში საერთოდ ანტიკური ხანის კერამიკული საამშენებლო მასალის შესწავლა-გათვალისწინებისას და აღინიშნოს, რომ ანტიკურ ხანაში ცნობილი იყო კრამიტის მოკრის ორი წესი: კრამიტის მოკრა საგანგებო ყალიბებით და კრამიტის მოკრა ჩარხზე. ამრიგად მცხეთაში მიკვლეულ წესს არსებითი მნიშვნელობა ეძლევა საერთოდ ანტიკური ტექნიკის ისტორიაში.

რაკი ჩარხზე მუშაობასთან იყო დაკავშირებული ღარიანი კრამიტის კეთება, ამიტომ საკრამიტე მიწაც განსაკუთრებული სიფრთხილით შერჩევას და მომზადებას მოითხოვდა. მართლაც, როგორც ჩანს, ძალიან სუფთა და კარგი თიხა გამოუყენებიათ საკრამიტედ. კარგი თიხა და ჩარხზე ამოყვანა კრამიტისა დამახასიათებელია მეკრამიტეობისათვის ანტიკური ხანის ქართლის ქალაქებში. ასე სუფთა თიხა და კარგად დამუშავებული ზედაპირი საღებავსაც კარგად იღებდა, ინახავდა და კარგადაც გამოჩნდებოდა; ე. ი. სახურავზე სწორედ ღარიანი კრამიტი გამოირჩევა ყოველთვის. მითუმეტეს, რომ მცხეთური ბრტყელი კრამიტი უფრო პატარაა, ვიდრე ანტიკური (რომაული, ბერძნული, შავი ზღვისპირეთის და დასავლურ-ქართული). ასე უნდა ყოფილიყო ძველ მცხეთაშიაც. ბრტყელი კრამიტი თითქოს ფონი უნდა ყოფილიყო ასე კარგად შეღებილი წითელი ღარიანი კრამიტისათვის (სურ. 47; ტაბ XXV, XXVI).

ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება მცხეთის ღარისებრი კრამიტის კეთების საკითხები. ჩვენ ახლა შეღებვის საკითხი უნდა განვიხილოთ. ჩვენ ეს მხარე ბოლოსათვის მოვიტოვეთ იმიტომ, რომ ამით მცხეთის კრამიტი გავს საერთოდ ცნობილ ანტიკურ კრამიტებს; ე. ი. შეღებვა იმ დროს საერთოდ გავრცელებული წესია, როგორც ეს სამართლიანად აქვს აღნიშნული ვ. გაიდუკევიჩს[56] და წარმოების რომელიმე ცენტრის თავისებურებად არ შეიძლება იყოს აღიარებული. მცხეთის მასალის შესწავლა ჩვენ გვაძლევს საფუძველს უარი ვთქვათ ბ. გრაკოვის დებულებაზე, რომლის მიხედვით შეღებვა არის „ორიგინალური თავისებურება სინოპის მსხვილი კერამიკისა"[57].

ვ. გაიდუკევიჩს მრავალრიცხოვანი მასალა აქვს მოტანილი ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ახლა ამას მცხეთის მასალაც შეიძლება მიემატოს.

შეღებვა დამახასიათებელია ორივე ტიპის კრამიტისათვის. ამიტომ ჩვენ საერთოდ აღვნიშნავთ და დავახასიათებთ ამ მხარეს.

ვ. გაიდუკევიჩს სწორად აქვს დახასიათებული საღებავის დანიშნულება; მას საღებავი „ჭიქურად" მიუჩნევია და უპირატესობას ამ უკანასკნელ ტერმინს აძლევს. ჩვენის აზრით, „ჭიქური" არ არის მთლად შესაფერისი ამ შემთხვევისათვის. მცხეთის, გორისციხის, ურბნისის, ქვაცხელების, დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ვანი, არქეოპოლისი) და რომაული კრამიტების გაცნობა გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს საგანგებო საღებავთან, რომელიც მოწითალო ან მოყავისფრო ელფერს ატარებს და უფრო terra sigillata-ს თხელ ლაკს წააგავს, ვიდრე ჭიქურს. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს კრამიტის წერნაქით შეღებვასთან, რომელიც ცხადია, არა მარტო ალამაზებს თიხის ნაწარმს, არამედ სიმაგრესაც აძლევს მას. როგორც ჩანს, ასეთი მიზნით უნდა წაესვათ წერნაქი მცხეთის ძველი კრამიტებისათვისაც. ანტიკური კრამიტისათვის საერთოდ მიღებული შეხედულება შეიძლება იბერულ კრამიტზედაც გავავრცელოთ და გავიზიაროთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრამიტის შეღებვა წარმოებდა იმ მიზნით, რომ დაეცვათ ისინი ატმოსფერული ნალექების დამშლელი ზე-

[55] ი. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 522.

[56] В. Ф. Гайдукевич, Строительные керамические материалы Босфора. Босфорские черепицы. ИГАИМК, вып. 104, М.-Л., 1935, зз. 235.

[57] Б. Н. Граков, Древнегреческие керамические клейма с именем астиномов. М., 1929, зз. 69.

მოქმედებისაგან, მაგრამ საღებავის ფერის შერჩევისას შესახედაობაც ყოფილა მიღებული მხედველობაში.

ცხადია, წერნაქი გამოწვამდე უნდა წაესვათ, მაგრამ ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც კრამიტი გაშრებოდა და დანით კარგად შემოითლებოდა. წერნაქი რომ შემოთლის შემდეგ წაუსვამთ, ცხადი ხდება კრამიტის კიდეების დათვალიერებისას. ძალიან ხშირად ჩამოთლილ ნაწილზე გადმოღვენთილი საღებავი ჩანს.

საღებავი, როგორც ჩანს, ძალიან თხელი ყოფილა; მეტწილად მუქი-მოწითალო ფერისა. შეუღებიათ მხოლოდ ზედაპირი კრამიტისა, ე. ი. გამოსაჩენი მხარე. როგორც წინ ითქვა, წერნაქი კრამიტსაც იცავდა და სახურავსაც ძალიან ალამაზებდა.

ოსტატს, რომელსაც წერნაქი უნდა წაესვა კრამიტისათვის, ძალიან კარგად უნდა ცოდნოდა ბრტყელი და ღარიანი კრამიტის სახურავზე დაწყობის წესი. აღმოჩენილი ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ ხელოსანი თითქმის ყოველთვის კრამიტის მხოლოდ იმ ნაწილს ფარავდა საღებავით, რომელიც ნამდვილად ჩანდა. როგორც ჩანს, ის საღებავის მომჭირნეობას ეწეოდა. სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ბრტყელი კრამიტის აღუნული გვერდები და ფართო მხარის დასასრული მეტწილად უწერნაქოდ არის დატოვებული. ამ ნაწილების შეუღებავად დატოვება გასაგებიცაა, რადგან აღუნულ გვერდებზე ღარიანი კრამიტი უნდა დაიწყოს, ფართო ბოლო კი ზედა მწკრივის ბრტყელი კრამიტით იფარება; კრამიტი კრამიტს ედება ნაწილობრივ. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ბრტყელი კრამიტის ზედაპირი მთლიანად არ იფარებოდა წერნაქით, შეუღებავი ნაწილები მაინც არ ჩანდა სახურავზე; ეს ნაწილები სხვა კრამიტებით იფარებოდა.

წერნაქი ისე თხელი ყოფილა, რომ წასმისას ჩვრის თუ ფუნჯის მიერ დატოვებული კვალი ბევრგან ახლაც შეიმჩნევა.

წერნაქის გამოყენება დამახასიათებელია შემდეგი ხანის მეჭურჭლეთათვის, მას ახლაც ფართოდ იყენებენ; როგორც ჩანს, ამ ნივთიერების გამოყენების დიდი ტრადიცია აქვთ ქართველ მეჭურჭლეებს და მეკრამიტეებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს წერნაქით შეღებილი ჭურჭელი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც[58].

[58] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, вз. 41.

უკანასკნელ საუკუნეებში წერნაქი თითქმის მხოლოდ ჭურჭლის გასალამაზებლად, მოსახატავად იხმარება. აღსანიშნავია, რომ ეს მოწითალო საღებავი (წერნაქი) მცხეთასთან ახლოს მოიპოვება. ცნობილია, მაგ., წერნაქი აშორიანის მთისა, კასპთან ახლოს. მოსალოდნელია მცხეთელ ოსტატებს უფრო ახლოსაც ჰგულებოდეთ წერნაქი.

როგორც აღვნიშნეთ, წერნაქის გამოყენება ჭურჭლის მოსახატავად სხვაა და ანტიკური ხანის კრამიტის თხლად „მოჭიქვა“ სულ სხვა დანიშნულებისა იყო. მცხეთელმა ხელოსნებმა ჭურჭლის მოჭიქვა რომ კარგად იცოდნენ, ამაში სამთავროს ორმოსამარხების კერამიკის გაცნობითაც ადვილად დავრწმუნდებით. ჭურჭლის მოჭიქვა სამთავროში ისე დაწინაურებული იყო, რომ ანტიკური ხანის კრამიტის „მოჭიქვის“ სირთულის საკითხი არც კი შეიძლება დაისვას. დანიშნულებით და დახელოვნებით ეს ორი სახე ერთმანეთს ვერ შეედრება.

რაკი გამორკვეულია, რომ IV—III საუკუნის მცხეთაში კრამიტის წარმოება განვითარებული ყოფილა და თანაც ადგილობრივი ქართული წესით უკეთებიათ ღარიანი კრამიტი, ახლა შეიძლება იმ ნაგებობაზედაც შევიქმნათ წარმოდგენა, რომლის გადასახურავადაც კრამიტი მზადდებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭირო კრამიტების აღმოჩენის ვითარება გავიცნოთ. ჩვენ უკვე არა ერთხელ მივუთითეთ, რომ ჩვენთვის საყურადღებო ტიპის კრამიტი აღმოჩენილია საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე — არმაზისხევში, ბაგინეთზე, სამთავროში, წიწამურის სერზე და სარკინეს მიდამოებში. ამას გარდა, კრამიტები ნაპოვნია დაბა მცხეთის ტერიტორიაზე, რკინიგზის სადგურთან და ა. შ.

სამთავროში აღმოჩენილი კრამიტები სამარხის ასაგებად იყო გამოყენებული, ე. ი. სამთავროს მოგვცა სამარხად გამოყენებული კრამიტები. ასეთივე სურათია თითონ დაბის ტერიტორიაზე და რკინიგზის სადგურთანაც (ამ მხრივ გამონაკლისს ე. წ. „მავზოლეუმის ტიპის“ სამარხი წარმოადგენს). არმაზის ხევშიც ბევრი სამარხად გამოყენებული კრამიტი, მაგრამ უმთავრესი ნაწილი ნაგებობებშია ნახმარი და ამიტომ დამტვრეულიც. აქ აღმოჩენილი კრამიტები პირველად ალ. კალანდაძემ გამოაქვეყნა. როგორც ა. კალანდაძის ანგარიშიდან ირკვევა, უმთავრესი მათგანი არმაზისხევის აბანოში ყოფილა გამოყენებული. შემდეგში წარმოებულმა გათხრებმა თითო-ოროლა სარწმუ-

ნო საბუთი მოგვცა იმ ნაგებობათა კრამიტით გადახურვის შესახებ, რომლებიც აბანოს კომპლექსთან ახლოს არის და, როგორც წინ ითქვა, ალბად პიტიახშთა სასახლეებთან იყო დაკავშირებული. ეს მოკლე შენიშვნა ამტკიცებს, რომ არმაზისხევში კრამიტი საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან არის აღმოჩენილი, ე. ი. პირველ რიგში ამ ტიპის სახლეულთა გადასახურავად გამოიყენებოდა. ასეთი შთაბეჭდილება შექმნა არა მარტო 1937/38 წლებში ჩატარებულმა გათხრებმა, არამედ მომდევნო არქეოლოგიური კამპანიების შედეგებმაც. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ცნობილი არ არის არმაზისხევიდან ისეთი მასალა, რომელიც ადასტურებდეს რიგითი მოსახლეების საცხოვრებელ ნაგებობათა კრამიტით გადახურვას. ასეთივე სურათია ბაგინეთშიაც. კრამიტით აქ გადახურულია: სასახლის ტიპის ნაგებობანი, აბანო, გალავნის კოშკები და სხვა, უთუოდ სამეფო ან სახელმწიფოებრივი დანიშნულების ნაგებობანი.

უნდა დავუშვათ, რომ კრამიტი კეთდებოდა სახელმწიფოებრივი და საზოგადო დანიშნულების სახლეულთა გადასახურავად. ამასთანავე, დასაშვებია, რომ კრამიტის სახურავიანი სახლები ჰქონდათ წარჩინებულთ, სამეფო ხელისუფლებასთან ახლო მდგომ პირებს, მონათმფლობელებს და თავისთავად ცხადია — ქურუმებს. ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ კრამიტის სახურავიანი სახლები გაბატონებული ფენის საკუთრებას წარმოადგენდა. როგორც წესი, მათ მიუწვდებოდათ ხელი კრამიტის სახურავიან სახლებისათვის.

სხვაგვარად არცკია მოსალოდნელი. კრამიტით გადახურვა საიმედო კონსტრუქციის ნაგებობას გულისხმობს; ასეთი სახლები იბერიის სამეფოს რიგით მოქალაქეებს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნაც: კრამიტი პირველყოვლისა საგანგებო დანიშნულებით, სამეფო, საზოგადო ან გაბატონებული წრისათვის განკუთვნილ ნაგებობების გადასახურავად უნდა ყოფილიყო მოკრილი. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის სამეფო ქარხნებში ან მონათმფლობელთა სახელოსნოებში უნდა ეკეთებიათ.

რაკი მცხეთელ მოქალაქეებს, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, კრამიტის სახურავიანი სახლების აშენება არ შეეძლოთ, დიდ მცხეთაში კრამიტით გადახურული ნაგებობების აღმოჩენა იმდროინდელი მცხეთელი მოქალაქეების კეთილდღეობის მოწმედ ვერ გამოგვადგება.

ბაგინეთზე კრამიტი ძალიან დიდი რაოდენობით არის ნაპოვნი, მაგრამ დაბალი ფენის ნასახლარები ჩვენ იქ არ გვინახავს და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაშიაც, კრამიტით გადახურულ ნაგებობებს არ უნდა მოველოდეთ. ასეთივე სურათია არმაზისხევშიაც და მცხეთის იმ ნაწილში, რომელიც უკვე შესწავლილია.

კრამიტის სახურავიან ნაგებობები რომ გაბატონებული წრის საკუთრებას წარმოადგენდა, ეს მცხეთის მასალებით კარგად მტკიცდება. საუკეთესოა ამ მხრივ კრამიტსამარხთა საკითხიც. ცხადია, კრამიტსამარხები (ე. წ. კრამიტყუთები) ძალიან ხშირი არ არის მცხეთაში; ამიტომ კრამიტებისაგან შედგენილი სამარხები არ შეიძლება ძალიან გავრცელებულ, ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვალოს. კრამიტსამარხების შესწავლა ცხადსა ხდის, რომ ასეთ სამარხებში იმარხებოდნენ ქონებიერი წრის წარმომადგენლები. ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ გავითვალისწინებთ ამ ნაშრომის შესაბამის თავს, სადაც სამარხთა უმთავრესი ტიპებია დახასიათებული და მათ შორის კრამიტყუთებიცა და მათში აღმოჩენილი ინვენტარია გათვალისწინებული (ტაბ. XXV, XLVI, 4, 5, 6, 9).

ცნობილია, რომ ასეთი შეხედულება კრამიტსამარხებზე ადრეც იყო შემუშავებული და არა ქართული მასალის საფუძველზედაც. ასე, მაგ., ბოსფორში ხშირად პოულობდნენ კრამიტის ყუთებს, მათ შორის ძვ. წ. IV საუკუნისას. ამ სამარხებში ხშირად ჩნდებოდა თურმე ძვირფასი ნივთები და ყუთის გამოჩენა მიაჩნდათ ინვენტარის სიმდიდრის მაჩვენებლად. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ ცნობილ კრებულში — „Древности Босфора Коммерийского" — „В черепичных гробницах часто находили драгоценные вещи, так что когда открывали такую гробницу в кургане, то считали это хорошим предзнаменованием"[59].

ცხადია, ასეთი შეხედულება შემუშავებული იყო კრამიტსამარხებში აღმოჩენილი ძვირფასი ინვენტარის საფუძველზე. ამ შეხედულების გასამაგრებლად საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ, რომ სამარხისათვის გამოყენებულ კრამიტთა შორის აღმოჩენილია ისეთებიც, რომლებზედაც არქონტების სახელია დატანილი. ვ. შკორპილს ჩამოთ-

[59] Древности Босфора Кимерийского, I—III, СПБ., 1854, ss. 265.

ელილი აქვს კრამიტებზე ამოკითხული სახელები ბოსფორის მეფეებისა და სპარტოკიდების სამეფო საგვარეულოს სხვა წარმომადგენლების[60].

საყურადღებოა შეინიშნოს, რომ ოლვიის გათხრებისას პროფ. დ. სლავინის მიერ ნაპოვნი კრამიტით გადახურული ნაგებობა გამთხრელს მდიდრის ან შეძლებულის საცხოვრებლად მიუჩნევია. ამის სასარგებლოდ ავტორი მიუთითებს ნაგებობის სიდიდეს, მის კარგად მოწყობას და ადგილმდებარეობასაც კი[61].

ილურატის ნანგრევების გათხრისას, 1949 წლის ზაფხულში ექსპედიციამ ვ. გაიდუკევიჩის ხელმძღვანელობით, მრავალრიცხოვანი საქალაქო ნაგებობანი აღმოაჩინა. მათ შორის რიგითი მოსახლეებისაც, რომელთა სახურავის საკითხზე ვ. გაიდუკევიჩი აღნიშნავს შემდეგს:

„Не совсем пока ясно устройство кровель. Черепицы встречаются единичными обломками. Между тем, если бы столь обширные помещения имели сплошные черепичные крыши, то при разрушении они дали бы огромное количество фрагментов. Поэтому приходится считать возможным, что рядовые илуратские дома имели простые глинобитные кровли, построенные на деревянной основе“[62].

ვ. გაიდუკევიჩს აღნიშნული აქვს, რომ ბოსფორის აყვავების ხანაში მეკრამიტეობა იქცა კომერციულად სასარგებლო წარმოებად; ისე რომ მას ბოსფორის მეფეები და მასთან დაახლოებული წარჩინებული მიწათმფლობელები მისდევდნენ[63]. ჩვენ მივუთითეთ, რომ თითქმის მსგავსი სურათი უნდა გვქონოდა მცხეთაშიაც.

დამახასიათებელია, რომ ქართლში კრამიტი გვხვდება ჯერჯერობით მხოლოდ ქალაქებში, ე. ი. ამ შემთხვევაშიაც ქართლში ბოსფორის მსგავსი სურათია[64].

კრამიტით გადახურული ნაგებობების, კრამიტსამარხების და კრამიტის წარმოების დაკავშირება იბერიის სამეფოს გაბატონებულ წრესთან, მხარდამჭერ პარალელურ მასალებს პოულობს კოლხეთშიაც. ასე, მაგ., პროფ. ბ. კუფტინი განიხილავდა რა მის მიერ ნაპოვნ კრამიტის ნატეხებს, აღნიშნავდა: „Судя по небольшому числу найденных нами в Нижней Гоми фрагментов кровельной черепицы, дома, крытые ею, были лишь у единичных состоятельных лиц, которые только и имели возможность пользоваться здесь также иноземной роскошью, привозной аттической чернолаковой керамикой, найденной нами лишь в небольшом количестве фрагментов“[65].

ეს ერთეული შეძლებულები მმართველი წრის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, შესაძლებელია მონათმფლობელებიც, რომლებიც არსებითად არ ცხოვრობდნენ ადგილობრივი ხალხის ცხოვრებით და ფუფუნებითაც ემსგავსებოდნენ ისინი გაბატონებული წრის უცხოურ წარმომადგენლებს. ეს შეიძლება კრამიტის წარმოებისა და გამოყენების საკითხის განხილვის საფუძველზედაც საკმაოდ გამოირკვეს.

მცხეთის ანტიკური ხანის ნაგებობათა შესწავლა და კრამიტის გავრცელების მასშტაბი აყენებს საკითხს საამშენებლო მასალათა წარმოების ხასიათის შესახებ. განსაკუთრებით იგრძნობა საჭიროება ამ საკითხის დაყენებისა მაშინ, როდესაც ვეცნობით არქეოლოგიურ მასალას, რომელიც მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ დიდი მცხეთა მოფენილია ანტიკური კრამიტით. მცხეთური კრამიტი ამას გარდა, როგორც ითქვა, თავს იჩენს ქართლის სამეფოს სხვა ქალაქებშიაც. ერთი ტიპისა, ერთნაირი ტექნოლოგიით მოჭრილი კრამიტების ასე გავრცელება, და თანაც, მცხეთური ნიშნების აღმოჩენა ურბნისის, გორის და სხვა ქალაქების კრამიტებზე თავისთავად იმდროისათვის მსხვილი წარმოების მანიშნებელი ჩანს.

უკვე იყო ნათქვამი, რომ, როგორც წესი, კრამიტის სახურავი სამეფო ან საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევებთან გვხვდება. ასეთებია, ჩვენის აზრით: დედაქალაქის შიდა — ციხეში აღმოჩენილი საფორტიფიკაციო ნაგებობანი (სურ. 2, 3, 4, 13), „სვეტებიანი დარბაზი“ (სურ. 6), აბანო (სურ. 99) და სხვ.; წიწამურის სერზე აღმოჩენილი გალავნისა და „რგვალი ნაგებობის“ ნანგრევები (ტაბ. LII—LV; სურ. 100); საპიტიახშო უბნის ნაგებობათა კომპლექსი; სარ-

60 Б. Н. Граков, Древнегреческие керамические клейма с именем астиномов, М., 1929, გვ. 267.

61 Л. М. Славин, Отчет о раскопках Ольвии в 1935 и 1936 гг. Ольвия, I, Киев, 1940, გვ. 42.

62 В. Ф. Гайдукевич, Новые исследования Илурата. КС, XXXVII, М., 1951, გვ. 204.

63 В. Ф. Гайдукевич, Босфорские черепицы, ИГАИМК, вып. 104, М.-Л., 1935, გვ. 219.

64 В. Ф. Гайдукевич, იქვე, გვ. 298.

65 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, том II, Тб., 1950, გვ. 145.

კინეს გალავნებისა და სახელოსნოთა ნაშთები; მავზოლეუმის ტიპის სამარხები მცხეთისა; კრამიტ-სამარხები მცხეთისა; გორისციხის ქვათლილებით ნაწყობი გალავანი (ტაბ. XIX, 1—2) და ა. შ.

ერთის სიტყვით კრამიტის სახურავის გამოყენება მოითხოვდა ქონებრივი შესაძლებლობის გარკვეულ დონეს, რომელსაც ღარიბი მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ვერ მიაღწევდა.

ამ გზით თითქოს ჩნდება არაპირდაპირი მითითება საამშენებლო კერამიკული წარმოების სასიათის შესახებ ძველ მცხეთაში. თითქოს საქმე უნდა გვქონდეს მსხვილ სახელოსნოებთან, რომლებიც მეფის ან მონათმფლობელების ხელშია. ე. ი. იბერიის დედაქალაქშიაც შეიმჩნევა თითქმის იგივე სურათი, რაც ელინისტურ-რომაული ხანის სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მცხეთაში საამისო პირდაპირი მითითება არ არის, ხოლო ელინისტურ-რომაული ხანის რიგ ქალაქებში თითონ კრამიტები ატარებენ სამეფო ტვიფრებს[66]. აგრეთვე არაპირდაპირ მითითებას სამეფო მეურნეობის სისტემაში კრამიტის მსხვილ სახელოსნოთა არსებობის შესახებ შეიძლება წარმოადგენდეს იბერიის მეფის ეზოგსმოძღვართა (შეიძლება სამეფო მეურნეობის გამგებლის) მოსენიება არმაზის ბილინგვაში[67].

ერთის მხრივ ტალახით შელესილი საცხოვრებელი მიწურები, მეორეს მხრივ დიდი ტაძრები, სასახლეები, კოშკები, გალავნები, აბანოები. ბაზრები — ასეთი იყო მონათმფლობელური საზოგადოების ერთი მხარე მცხეთის დედაქალაქობის ხანაში, დიდი მცხეთის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით. ეს კონტრასტი მონათმფლობელური საზოგადოებისათვის უცხო არ უნდა იყოს.

მსგავსი სურათის დახატვა შეიძლება სამარხების მიხედვითაც. სამეფო ხელისუფალთა და მათი ოჯახის წევრების ან საერთოდ გაბატონებული წრის სამარხების აღნაგობა და ჩამარხული ინვენტარის სიმდიდრე, სწორედ ღარიბთა ფენის სამარხთა სინათლეზეა განსაკუთრებით თვალსაჩინო. ცხადად ჩანს, რომ ყველაფერს ერთმევს მონათმფლობელი ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი მცხეთელ რიგით მოქალაქეს და, ბოლოს და ბოლოს, ათანასწორებს ამ „თავისუფალ“ მცხეთელს მონა ტყვესთან, რომლის იაფი ძალა აქ კარგა ხანია, როგორც ჩანს, იგემა დაწინაურებულმა მხედრობამ და ხელისუფლებამ.

ამ გზით შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა იმაზე, თუ რას ნიშნავს განვითარებული მონათმფლობელური აღმოსავლურ-ქართული (იბერული) სამეფო. ის ძლიერად გამოიყურება უმთავრესად იმიტომ, რომ ღარიბთა ფენას, მონებს ყველაფერი ერთმევა; ყველაფერი დაწინაურებულ ფენასა აქვს და სახელმწიფოს ეს ფენა წარმოადგენს უცხოეთთან ურთიერთობაში. ამ ფენის მაგალითზე იქმნებოდა საერთო წარმოდგენა ქართლის სამეფოზე. ეს ფენა ქალაქებში ცხოვრობს და, როგორც ჩანს, ფლობს საქალაქო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დარგებს.

მცხეთის კრამიტი არ იქნება განხილული დამაკმაყოფილებლად, თუ არ დადგინდა კრამიტის კეთების და ფართოდ გამოყენების დრო. შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს მიუგნიათ სახურავი მასალის ამ სახისათვის. ბუნებრივია, რომ კერამიკული წარმოებით ცნობილ ტომებს სხვებთან შედარებით ადრე დაუწყიათ კრამიტის წარმოებაც.

კრამიტის წარმოების ადრე დამწყებთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოთ ქართველ ტომებს. როგორც ჩანს, განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილან ქართველი ტომები მაღალხარისხოვანი კრამიტის წარმოებით. ამ მხრივ დამახასიათებელია ცნობები იბერიის შესახებ. როგორც ვნახეთ, ამ ცნობაში მითითებულია კრამიტით გადახურული ნაგებობების არსებობა იბერიის ქალაქებში საერთოდ.

როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, სტრაბონის ცნობა გვიხატავს საქართველოს კულტურული ვითარების სურათს იმ ხანისას, რომელიც წინ უსწრებს რომაელთა ლაშქრობას იბერიაზე, რის გამოც არ უნდა იყოს საფუძვლიანი სტრაბონის მიერ აღწერილი კულტურული ვითარება რომის გავლენით აიხსნას. არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ და სტრაბონის სიტყვებიდანაც ჩანს, რომ საქართველოში მაღალხარისხოვანი ხუროთმოძღვრების ხელოვნება რომაელების მოსვლამდე უნდა ყოფილიყო[68].

---

[66] В. Ф. Гайдукевич, Босфорские черепицы, გვ. 128.

[67] ა. ფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბ., 1959, გვ. 90.

[68] ი. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 3.

ახლა ა. ბოლტუნოვას ხანგრძლივი კვლევის შედეგად საკმაოდ დამაჯერებლად არის გამორკვეული, რომ სტრაბონის ცნობები ასახავს რომაელთა იბერიაში ლაშქრობის შემდეგ არა 2—3 ათეული წლის ამბავს, არამედ ძვ. წ. II საუკუნის ვითარებას მოგვითხრობს; ასეთი დასკვნა მიიღო ა. ბოლტუნოვამ იმის საფუძველზე, რომ მან საკმაო დამაჯერებლობით დაადგინა სტრაბონის წყარო და გაარკვია, რომ ასეთ წყაროს სტრაბონისათვის პოსიდონიუსი წარმოადგენდა[69].

ამგვარად, ჯერ ივანე ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სტრაბონის გეოგრაფიაში აღწერილი იბერიის კულტურული ვითარება რომაელთა ლაშქრობის წინა ხანას ასახავს, შემდეგ კი — ა. ბოლტუნოვამ დაადასტურა, რომ სტრაბონის მიერ აღწერილი ვითარება მეორე საუკუნისათვის არის დამახასიათებელი. ა. ბოლტუნოვას მიერ მიღებულ დასკვნას საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ გვინდა ის მცხეთის კრამიტების დათარიღებისას გამოვიყენოთ, როგორც დამადასტურებელი იმისა, რომ ძვ. წ. II საუკუნის მცხეთაში კრამიტი გამოიყენებოდა თვალსაჩინო ნაგებობათა დასახურავად. ძვ. წ. II საუკუნეში ასე ფართოდ გამოყენებული კრამიტი ძალიან ახალი საქმე არ უნდა ყოფილიყო იბერიაში და არ უნდა მოელოდეთ გამოუცდელ ხელოსანთა მიერ მოჭრილი კრამიტის სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულების, ხუროთმოძღვრული წესების თანახმად აგებული საბლეულის გადახურვას. რაკი ასე მიიქცია უცხოელ მოგზაურთა ყურადღება კრამიტის სახურავმა, უნდა ვიფიქროთ, რომ მაღალხარისხოვანი კრამიტის წარმოება ყოფილა ძვ. წ. II საუკუნეზე უფრო ადრინდელი ხანის იბერიაში. მაღალხარისხოვანი კრამიტის წარმოება უტრადიციოდ არ უნდა განვითარებულიყო. ამრიგად, ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომლის მიხედვით იბერიაში კრამიტის წარმოება ძვ. წ. IV—III საუკ-ბშიაც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

თითქმის ასეთივე აზრისაა არქიტექტორი ი. ციციშვილი მცხეთის კრამიტების თარიღის შესახებ, როდესაც აღნიშნავს: „ამ მასალის (კრამიტის. ა. ა.) წარმოების ტრადიციის დასაბამი კი ეკუთვნის ძვ წ. II ს. და შესაძლებელია ძვ. წ. III საუკუნესაც უახლოვდებოდეს"[70].

[69] А. И. Болтунова, Описание Иберии в «Географии» Страбона, ВДИ, № 4, 1947, გვ. 142—160.

[70] ი. ციციშვილი, მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის, გვ. 524.

რაკი IV—III საუკუნეები კრამიტის წარმოების განვითარების ხანად მიგვაჩნია, აქედანვე უნდა ვიეარაუდოთ კრამიტის ფართოდ გამოყენება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ნაგებობის გადასახურავად.

მცხეთის კრამიტის ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს სამთავროს სამარხთა ის ნაწილი, რომელიც ქვევრსამარხების სახელით არის ცნობილი. როგორც ვნახეთ, მცხეთაში საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა მოზრდილი, გვერდზე დაწვენილი ქვევრები, რომლებსაც პირზე ბრტყელი კრამიტი ჰქონდათ აფარებული. ბრტყელი კრამიტი იყო სამარხის სარქველად გამოყენებული. ქვევრსამარხთა უმეტესობა აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. III ს. ბოლოს და მომდევნო (უფრო II ს.) მიეკუთვნება. აქ უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი განმეორება. სამარხებისათვის (ამ შემთხვევაში ქვევრსამარხებისათვის) მეტწილად ძველი კრამიტი უნდა გამოეყენებინათ, რადგან, როგორც წესი, კრამიტი ნაგებობათა გადასახურავად კეთდებოდა და სამარხში კრამიტის გამოყენება, მეორედ გამოყენებად უნდა იყოს ცნობილი. ზემოთ აღნიშნული საფუძველი გვაძლევს დავასკვნათ, რომ III—II საუკუნეებში ქვევრსამარხის სახურავად გამოყენებული კრამიტი წარმოშობით ადრინდელი უნდა იყოს და შეიძლება სწორედ IV—III საუკუნეებს მივაკუთვნოთ. ე. ი. თითქოს ეს გარემოებაც მიუთითებს, რომ იბერიაში IV—III საუკ-ბში მაღალხარისხოვანი კრამიტი უკეთებიათ.

სამარხებში მოხვედრილი კრამიტები, რომ მეორედ და კარგად მოგვიანო ხანებშია გამოყენებული, ეს ადრეც არა ერთხელ შეუნიშნავთ. ეს გარემოება სადავოდ არც კი ითვლება. საილუსტრაციოდ მე ორიოდე მაგალითს დავასახელებ. პროფ. ვ. გაიდუკევიჩი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: »Во многих случаях черепицы были использованы для сооружения гробниц несколько столетий спустя после своего появления на свет"[71].

სწორედ ამიტომ სამარხის ინვენტარი მეტწილად არ გამომდგარა თითონ კრამიტის დასათარიღებლად. პროფ. ბ. გრაკოვს[72] აღნიშნული აქვს, რომ რიგითი მოსახლის სამარხში აღმოჩენილა კრამიტი, რომელსაც მეფის ბეჭედი აზის[72]. ცხადია, ეს შემ-

[71] Г. В. Гайдукевич, Босфорские черепицы, გვ 217.

[72] Б. Н. Граков, Древнегреческие керамические клейма с именем астиномов, М., 1929, გვ. 208.

თხვევა კრამიტის მეორედ გამოყენებას კარგად ადასტურებს და ისიც უთუოდ კრამიტის მოგვიანებით გამოყენებას. აქ დაახლოებით ისეთი შემთხვევებია, როგორც არმაზისხევში, სადაც დადასტურებულია საფლავის სტელების გამოყენება უფრო გვიანდელი სამარხების ასაშენებლად, ქვისსამარხების კედლებად (მაგ. არმაზისხევის მეოთხე სამარხის გვერდებად უფრო ადრინდელი, წარწერიანი სტელები აღმოჩნდა). ესეც უთუოდ საკმაოდ მოგვიანებით უნდა მომხდარიყო.

ასე მრავალრიცხოვნად გამოყენება სამარხისათვის სხვადასხვა სახის კრამიტისა, ჩვენის აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ პირველადი გამოყენების შემდეგ ძალიან დიდი დრო იყო გასული.

დასასრულ მცხეთის კრამიტის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მცხეთური კრამიტით ყოფილა თავის დროზე გადახურული ბაგინეთზე აღმოჩენილ ნაგებობათა უძველესი ფენა, რომელსაც ჩვენ არმაზციხე I ვუწოდეთ და რომელიც არ შეიძლება III საუკუნეზე აქეთ გადმოვიტანოთ. ასეთივე შთაბეჭდილება იქმნება სარკინეს, წიწამურის და გორისციხის მასალების მიხედვითაც. ამრიგად, ზემოთ აღნიშნული თითქოს იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ მცხეთის კრამიტები IV—III საუკუნეზე გვიან წარმოშობილი არ არის[73]. ამ დროს ისინი უკვე ფართოდ გამოიყენება ნაგებობების გადასახურავად.

ახლა, ამ დასკვნას, ჩვენის აზრით, მხარს უჭერს დაბლაგომის და, განსაკუთრებით კი, ვანის ადრე ანტიკური ხანის ნაქალაქარის თხრისას აღმოჩენილი, კარგად დათარიღებული კრამიტი.

ასეთი თარიღი მოულოდნელიც არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმ სამეფოთა ისტორიას, რომლებიც განვითარების თანაბარ საფეხურზე იყვნენ და რომლებთანაც ურთიერთობის გარეშე იმდროინდელი იბერია და კოლხეთი არ შეიძლება არსებულიყო.

დამღიანი კრამიტის წარმოება ბოსფორში ძვ. წ. IV საუკუნიდან დაწყებული ფართოდაა გავრცელებული[74]. ამასთანავე IV—III სს. ბოსფორში კრამიტის წარმოება მსხვილ სახელოსნოებში იყო თავმოყრილი[75]. ამ აზრს იზიარებს და ადასტურებს პროფ. რ. ახმეროვი, როდესაც აღნიშნავს, რომ: „Период наибольшего подъема черепичного производства на Босфоре относится ко второй половине IV и первой половине III в. до н. э.[76]". ასევეა დათარიღებული უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრებისას პანტიკაპეიაში აღმოჩენილი ნატეხები ბოსფორული კრამიტისა. პროფ. ე. ბლავატსკის მიერ გამოყოფილი მეორე ფენა, რომელიც სხვა მრავალ მასალასთან ერთად კრამიტის ნატეხებსაც შეიცავს, გამთხრელს დათარიღებული აქვს ძვ. წ. IV საუკუნით[77].

ძვ. წ. III ს. დამღიანი კრამიტებია აღმოჩენილი ოლვიაში 1949 წლის გათხრების დროსაც. პროფ. ე. ლევი, სწორედ კრამიტის აღმოჩენის საფუძველზე მიაკუთვნებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სვეტიან ნაგებობას ძვ. წ. III საუკუნეს[78].

ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ჩვენის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმას, რომ მეზობელ სამეფოში — კოლხეთში ამ დროს ფართოდ იყენებდნენ კრამიტს. როგორც ითქვა, განსაკუთრებით საინტერესო ნიმუშებია აღმოჩენილი ვანში. ინტერესს ვანისადმი ისიც აძლიერებს, რომ იქ არმაზციხე I ტიპის ქვათლილებით ნაგები, სხვადასხვა დანიშნულების შენობების ნაშთებია აღმოჩენილი[79].

ამრიგად, კრამიტის წარმოება და ფართოდ გამოყენება იბერიაშიც IV—III სს. თითქოს საეჭვო არ უნდა იყოს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისიც მივუთითოთ, რომ იბერიის ქალაქები აკმაყოფილებდნენ ქვეყნის მოთხოვნილებას საკუთა-

---

[73] ა. აფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველ დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 26—29.

[74] В. Ф. Гайдукевич, Босфорские черепицы, გვ. 217.

[75] В. Ф. Гайдукевич, იქვე, გვ. 244—245.

[76] Р. Б. Ахмеров, Клейменные черепицы древнегреческого Херсонеса. ВДИ, № 1, М., 1948, გვ. 163—168.

[77] В. Д. Блаватский. Раскопки Пантикапея, КС, XXXVII, М., 1951, გვ. 216.

[78] Е. И. Леви, Итоги Ольвийской экспедиции, КС, XXXVII, М., 1951, გვ. 174.

[79] Е. С. Такайшвили, Церковь в Вани, в Имерии и ее древности. Изв. КИАИ, II, Л., 1927, გვ. 108—110; არქეოლოგიური სამუშაოები 1957 წელს (ქრონიკა შედგენილი არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლების მიერ ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით) ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 194.

Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани в 1959 году. Научная Сессия посвященная итогам полевых-археологических исследований 1959 г, Тб., 1960, გვ. 47—50.

რი წარმოების, სხვებისაგან განსხვავებული წესით დამზადებული სახურავი კრამიტით*.

არქეოლოგიური მასალები კარგად ადასტურებენ, რომ სახურავი კრამიტი ფართოდ არის გამოყენებული იბერიაში ახ. წ. პირველ საუკუნეებამდე. მცხეთის დედაქალაქობის უკანასკნელ საუკუნეებში ანტიკური კრამიტი თითქოს არ ჩანს ისე ფართოდ გამოყენებული, როგორც ძველი დედაქალაქობის ზეობის ხანაში. სახურავი კრამიტის გამოყენების შეწყვეტა ან ძლიერ შემცირება ახ. წ. III—IV საუკუნეებიდან, აძლიერებს ამ ხანის შესახებ სხვა რიგის არქეოლოგიური მასალების განხილვისას მიღებულ შთაბეჭდილებას.

მცხეთის კრამიტის დათარიღებისას გასათვალისწინებელია ის მასალა, რომელიც დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი. მაგალითისათვის ეშერის, დაბლაგომის და ურეკის მასალები შეიძლება დავასახელოთ.

მთელი რიგი ნიშნებით პროფ. ბ. კუფტინი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ეშერის კრამიტებს და ბოსფორულსა, პანტიკაპეისა და წინააზიურისაგან. ავტორს ვერ გადაუწყვეტია ამ კრამიტის წარმოების ადგილის საკითხი; თუმცა ადგილობრივი წარმოების არსებობა სავსებით შესაძლებლად მიაჩნია, როდესაც წერს შემდეგს: „Есть основание предположить существование своей собственной, на Восточном Черноморье, выработки черепицы, хотя бы в таком крупном городском центре, каким являлся Фазис в античную эпоху“[80]. პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ ეს წარმოება პროფ. ბ. კუფტინს, როგორც ჩანს, ბერძნული კოლონიზაციის ხანისად მიაჩნია. ის აღნიშნავს, რომ სტრაბონის ცნობა იბერიის შესახებ უფრო გვიანი ხანის ამსახველია, იმ ქვეყნის ვითარებისა, რომელიც ზღვასთან ძალიან დაშორებული იყო[81].

საყურადღებო ცნობები აქვს ურეკის კრამიტის შესახებ გამოქვეყნებული დოც. ო. ჯაფარიძეს. სადაზვერვო გათხრისას, რომელიც საქართველოს მუზეუმის ექსპედიციას ჩაუტარებია „კუჩხის აბანოსთან“ და სოფ. გრიგოლეთის მახლობლად, აღმოჩენილია დიდი რაოდენობის წითელი კრამიტის ნატეხები. ო. ჯაფარიძე წერს, რომ „კრამიტი, ჩანს ღარიანი უნდა ყოფილიყო. იგი ძლიერ განსხვავდება ანტიკურ ხანაში ჩვენში გავრცელებულ ამგვარ კრამიტებისაგან იმით, რომ უფრო თხელია, უხეშად ნაკეთები და უფრო გაშლილი. სამწუხაროდ ვერ მოხერხდა მთელი კრამიტის ამოღება. ბრტყელი კრამიტი არ შეგვხვედრია“[82]. ანგარიშის დასასრულს ო. ჯაფარიძე ურეკის ნამოსახლარის თარიღს ეხება და შესაძლებლად მიაჩნია იგი წინაელინისტური ხანით დაათარიღოს[83].

ეს თარიღი ემთხვევა ჩვენს მიერ მცხეთის კრამიტის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს და ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება ურეკის მასალა. ამრიგად, თითქოს არსებობს საკმაო საფუძველი ვივარაუდოთ, რომ წინაელინისტურ ხანაში ქართველი ტომები იცნობდნენ კრამიტს, როგორც სახურავ მასალას და საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ მას.

როგორც ვნახეთ, ქართლის ქალაქების თხრისას აღმოჩენილი მასალა არ ამტკიცებს კრამიტის წარმოების გადმოღებას სხვა ქვეყნებიდან. პირიქით, იგი ადგილობრივ ჩასახული ჩანს წინაელინისტურ ხანაში.

ნიშნები მცხეთის კრამიტზე. ერთის შეხედვით კრამიტებზე შემჩნეული ნიშნების შესახებ ვრცლად შეჩერება არც კი ღირს, იმის გამო, რომ ნიშნები თითქმის ყველა ქვეყნის იმდროინდელ კრამიტებზეა აღმოჩენილი და მცხეთისათვის ორიგინალურს არაფერს წარმოადგენს.

მცხეთის განათხარ კრამიტებზე მრავალი თავისებური ნიშანია შენიშნული (სურ. 58—71). პირველი, რითაც განსხვავდება მცხეთის კრამიტები იმდროინდელ ბოსფორულ, სინოპურ და სხვა კრამიტებისაგან ისაა, რომ მცხეთელ ხელოსნებს თითქმის ყველა ღარისებრ კრამიტებზე ნიშა-

---

* ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს სათანადო მასალა დაბეჯითებით დავადგინოთ საამშენებლო კერამიკის წარმოების ცენტრები იბერიის სამეფოში, მაგრამ ერთ-ერთი და თანაც ყველაზე უმნიშვნელოვანესი ცენტრი მ ც ხ ე თ ა ში, რომ უნდა ყოფილიყო — ეს უეჭველია.

80 Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1949, გვ. 10.

81 Б. А. К у ф т и н, იქვე, გვ. 10.

82 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია გურიაში. საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XVI-B, თბ., 1950, გვ. 118.

83 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, იქვე, გვ. 121.

ნი დაუსვამთ, ხოლო ბრტყელზე კი — იშვიათად, მაშინ, როდესაც, როგორც ცნობილია, სხვა ქვეყნების იმდროინდელი ხელოსნები ნიშნებს, და ძეტ წილად წარწერებს, უმთავრესად ბრტყელ კრამიტებს უკეთებდნენ და ძალიან იშვიათად კი — კალიპტერებს. არის მეორე, ასე ვთქვათ, გარეგნული მხარე დამახასიათებელი. მცხეთის კრამიტს რელიეფური ნიშნები კი არა აქვს, არამედ ჩაღრმავებული ხაზები ქმნიან ნიშნებს. ანტიკური ქვეყნების და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს კრამიტებზე კი პირიქით — მხოლოდ რელიეფური ნიშნებია და წარწერები[84].

ეს ორი გარემოება ჩვენ მცხეთის კრამიტისათვის დამახასიათებლად მიგვაჩნია.

ირკვევა, რომ ბაგინეთის (მცხეთის) თითქმის ყველა ღარიან კრამიტებსა აქვს სათანადო ნიშნები, ბრტყელს კი ძალიან იშვიათად. მცხეთის კრამიტებს არა აქვთ რელიეფური ნიშნები, ჩაქდეული ნიშნებია დამახასიათებელი.

მცხეთის კრამიტებზე თითო ნიშანია დატანილი სხვადასხვა სახის წვეტიანი იარაღით, რომელთაგანაც მეტი ნაწილი ხისა ჩანს. არის შემთხვევები ნიშნის თითით დატანისა. ნიშნები მარტივია. ესეც ერთგვარი თავისებურებაა მცხეთელი ხელოსნებისა, რომლებიც წარწერებს კი არ უკეთებენ კრამიტს, არამედ მხოლოდ ნიშნავენ მას.

როგორც იმდროინდელი მასალების შესწავლა გვიჩვენებს, სულ სხვაგვარი სურათია ანტიკურსა და შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში. იქ კრამიტს წარწერა უკეთდება სპეციალური სატვიფრავით ან ბეჭდით; ან კიდევ, ნეგატიური წარწერაა ყალიბის ფსკერზე ჩაჭრილი და კრამიტის მოჭრისას უკანასკნელზე წარწერა პოზიტიურად და თანაც რელიეფურად გამოდის. თითონ ნიშნიანი კრამიტი არ შეიძლება იქ ჩვეულებრივ და დამხმარებელ მოვლენად ჩაითვალოს.

რაკი გათხრები მცხეთაში დასრულებული არ არის, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ მცხეთის დედაქალაქობის ხანის კრამიტის ყველა ნიშანი ცნობილია. სადღეისოდ შეიძლება დანამდვილებით მხოლოდ ის ითქვას, რომ მცხეთაში სხვადასხვა მოყვანილობის ნიშნებია აღმოჩენილი მეტნაკლები რაოდენობით[85].

მცხეთის კრამიტებს ნიშნები უკეთდებოდა ზედაპირზე, — თვალსაჩინო ადგილას. ბრტყელ კრამიტს ნიშნები თითქმის შუაგულზე აქვთ, ღარიანს კი, — როგორც წესი, ქიმის ფუძესთან ახლოს.

სხვადასხვა აზრია გამოთქმული ამ ნიშნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში. შესაძლოა, ეს ნიშნები ხელოსნისა იყოს, ან — სათვალავიც. ასეთი ვარაუდი იმით არის გამოწვეული, რომ თითო და ხშირად სქემატური ნიშანია კრამიტზე, მაშინ, როდესაც ვთქვათ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ანტიკურ კრამიტებზე უფრო დაწვრილებითი წარწერებია. მცხეთის კრამიტის ნიშნები განსხვავდება არა მარტო მოხაზულობით, არამედ შინაარსითაც და შესრულების ტექნიკითაც, სხვა ქვეყნების ანტიკური კრამიტისაგან.

თითქოს მსგავსი ტექნიკით უნდა იყოს შესრულებული ლ. ეეტიუხოვას და ვ. ლევაშევას მიერ შესწავლილი კრამიტების ნიშნები. აბაკანას მახლობლად ჩინური სახლის გათხრისას აღმოჩენილ კრამიტებს ავტორების სიტყვით თავისებური ნიშნები აქვთ: «на внутренней стороне черепицы довольно часто встречаются процарапанные по сырой глине различные знаки, вероятно, счетные»[86]. ეს ცნობა ძალიან შორეული რაიონისაა, მაგრამ მცხეთური წესით ნაკეთებ კრამიტს შეეხება და, ისიც, ძვ. და ახ. წ. პირველი საუკუნეებისას. დამახასიათებელია შეინიშნოს, რომ გორში, ურბნისში, სამთავროში, არმაზისხევთან, სარკინეში, წიწამურსა და ბაგინეთში თითქმის ერთნაირი ნიშნიანი კრამიტებია აღმოჩენილი, თანაც — ძალიან დიდი რაოდენობით.

შესაძლოა ეს ნიშნები მოჭრილი კრამიტის სათვალავადაც იყო გამოყენებული; ე. ი. წარმოებდა აღრიცხვა მზაპროდუქციისა, ისევე, როგორც თავის დროზე — აგურისა ურ შ ი[87]. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ვერაფერს ვიტყვით კრამიტის

---

[84] ე. იაკობსონმა შეცდომით ბაგინეთის კრამიტებზე შემორჩენილი ნიშნები რელიეფურ ხაზებად ჩათვალა და თანაც V—VII სს. მიიჩნია.

[85] А. Апакидзе, Г. Гобеджишвили, А. Каландадзе, Г. Ломтатидзе, Археологические памятники Армазисхеви. Мцхета I. Тб., 1958, სურ. 113-ბ.

[86] Л. А. Евтюхова и В. П. Левашева, Раскопки китайского дома близ Абакана (Хакасская АО). КС, XII, М., 1946, გვ. 72—84.

[87] V. Schell, Le calcul des volumes dans en cas particulier à l'epoque d'Ur. Rev. d'Assiriol., XII. 1915, გვ. 161—172.

აღრიცხვის კონკრეტულ სახეთა შესახებ და კვლავ ვარაუდის ფარგლებში ვრჩებით.

ასე, სპეციალურად დატანილ ნიშნებთან ერთად მცხეთის კრამიტებზე გვხვდება, ასე ვთქვათ, შემთხვევითი ნიშნებიც. ყველაზე მეტი რაოდენობით არის ხელოსნის თითის ანაბეჭდები, ორივე ტიპის კრამიტზე, განსაკუთრებით ღარიანზე, როგორც წინ ითქვა, უმთავრესად იმ ადგილას, სადაც ქიმია ჩასმული. იშვიათად გვხვდება თითის ანაბეჭდები კრამიტის ზედაპირზე.

ხელოსნის თითების ანაბეჭდების დიდი რაოდენობა თავისთავად ძალიან საინტერესოა და დაქტილოსკოპიის დარგში მომუშავენი ამ მასალით უნდა დაინტერესდნენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება ეს ანაბეჭდები კრამიტის ნიშნების მიხედვით იქნას შესწავლილი და შედარებული, მაშინ ადვილად გაირკვევა სხვადასხვანიშნიანი კრამიტი სხვადასხვა სახელოსნოდან გამოდიოდა თუ არა. ამას ერთგვარი მნიშვნელობა ექნება წარმოების ორგანიზაციის საკითხის შესწავლისათვისაც. ეს საკითხები დამატებითი მასალის მოზიდვასაც მოითხოვს. ასეთი მასალა უკვე ჩანს გორისციხეზე, ურბნისში, ქვაცხელებზე და ა. შ.

შემთხვევით ანაბეჭდთა შორის აღვნიშნავთ ნიმუშებს, რომლებზედაც წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ჩლიქებია აღბეჭდილი. ამას გარდა, ერთ შემთხვევაში ბრტყელ კრამიტზე 5-6 წლის ბავშვის მარჯვენა ფეხის ტერფია (ხუთივე თითით) გამოსახული. ამ ანაბეჭდს ეტყობა რომ ბავშვს გადაურბენია გასაშრობად დაწყობილ კრამიტზე.

ეს შემთხვევები მარტო ბაგინეთისათვის არ არის დამახასიათებელი, და მაჩვენებელია იმისა, რომ კრამიტი მეტწილად ღია ცისქვეშ შრებოდა[88]; ამასვე ადასტურებენ ეთნოგრაფიული მასალებიც[89].

ასეთია, ჩვენის აზრით, უმთავრესი საკითხები, დაკავშირებული მცხეთის დედაქალაქობის ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საამშენებლო მასალის — კრამიტის შესწავლასთან.

საამშენებლო კერამიკის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მ ე ა გ უ რ ე ო ბ ა ც. ეს დარგი

[88] В. Ф. Гайдукевич, Босфорские черепицы. გვ. 211;
А. Л. Якобсон, Средневековый Херсонес (XII—XIV вв.). МИА СССР, 17, М.-Л., 1950, გვ. 119.

[89] ლ. ბოკორიშვილი, ქართული კერამიკა, I, თბ., 1948, გვ. 111.

ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ ტერმინი „ა გ უ რ ი" ქართულ საისტორიო ძეგლებში XI საუკუნემდე არ გვხვდება. XI საუკუნეში ის ჩვეულებრივი სიტყვა ყოფილა. ამის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა ეს სიტყვა X და IX საუკუნეშიც კი ყოფილიყო, მაგრამ უფრო ადრე არა. ადრე ამ სიტყვის ნაცვლად „ალიზი" იხმარებოდა. ალიზი ორივე სახეს გულისხმობდა — გამომწვარსაც და უმსაც[90]. უკვე „მარტვილობაჲ შუშანიკისი" გვაცნობს ამ ტერმინს: შუშანიკმა „სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის. გარნა ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ"[91]. ყოველ შემთხვევისათვის ჩვენთვის ახლა საინტერესო ხანაში გავრცელებულ საამშენებლო მასალას „ალიზი" უფრო შეეფერება, მიუხედავად იმისა, რომ „უმთან" ერთად „შეცხობილიცა" გვხვდება.

ალიზი მცხეთაში გამოყენებულია უმთავრესად ზღუდეებისა და ციხე-კოშკების მშენებლობაში (შიდაციხე, სარკინე, წიწამური, სავანეთის ქედი და სხვ.). აღმოჩენილია ორგვარი ალიზი: კ ვ ა დ რ ა ტ უ ლ ი და მ ო გ რ ძ ო სწ ო რ კ უ თ ხ ო ვ ა ნ ი (ტაბ. IX, 3). მოგრძო სწორკუთხოვანი ალიზი ჩვეულებრივ კვადრატულის ნახევარს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს შეფარდება (მთელი და მისი ნახევარი) შემთხვევითი არ არის. სწორედ ამგვარი მოყვანილობის ალიზია გამოსადეგი გრანდიოზული კედლების მშენებლობისას, მით უმეტეს, რომ კედლის ტეხილი პროფილი და ხშირი კუთხეები მოითხოვდნენ საიმედოდ გადაბმას, რაც მხოლოდ კვადრატული ალიზებით ვერ ხერხდებოდა. ალიზის თავისებურება გამორიცხავს კვადრატულის გაჭრას ან ორ ნაწილად გატეხვას; ძნელია ეს როცა „უმ ალიზთან" გვაქვს საქმე და მით უფრო რთული, თუ ალიზი გამომწვარია. ერთის სიტყვით, აქაც კარგად ჩანს მცხეთის ზღუდეთ მშენებელთა და ალიზის მომჭრელთა ეამოცდილება.

ასეთი ტიპის ალიზით მშენებლობა მხოლოდ დედაქალაქისათვის არ არის დამახასიათებელი უფლისციხე და გორისციხე ამ მხრივაც მხარს უბამენ მცხეთის ციხე-სიმაგრეებს. ალიზი გორისციხისა და უფლისციხისა არც საერთო მოყვანილობით მცხეთაში უმთავრესად ალიზ-აგურით ან ალიზით არის წარმოდგენილი.

[90] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1949, გვ. 150.

[91] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესთომატია, I; შედგენილი ს. უ ბ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, გვ. 41.

განსხვავდება მცხეთურისაგან, არც ზომით და არც მოპრის ხერხით.

მცხეთის, უფლისციხისა და გორისციხის ალიზს მრავალი პარალელი მოეძებნება. სავსებით მსგავსი ალიზია გამოყენებული, მაგ., ურარტული ციხე-ქალაქის თეიშებაინის მშენებლობისას. კარმირ-ბლურის გათხრისას აღმოჩენილი ალიზი 0,51-0,52 მ სიგრძისაა. ე. ი. თითქმის ზუსტად ემთხვევა ბაგინეთურს, რომლის სიგრძე საშუალოდ 0,52 მეტრია. ამ მხრივ ურარტული და ქართული ალიზი შესამჩნევად განსხვავდება ასირიულისაგან, რომელიც სიგრძივ ზომებში სხვადასხვაგვარია — 0,32—0,44 მ ფარგლებში მერყეობს[92]. ასევე კარმირ-ბლურისა და ქართული ალიზი არ გვაძლევს არც ერთ ნიმუშს ტეიფრისას. მაშინ, როდესაც მესოპოტამიურისთვის ეს დამახასიათებელია[93]. ქართლის ქალაქებში, ისევე როგორც ურარტუში და საერთოდ წინააზიაში, ბზენარევი თიხისგან მოჭრილი ალიზი ყოფილა გავრცელებული, ხოლო წყობაში, ალიზის შემაკავშირებლად, ნაცარნარევი თიხის ხსნარი გამოუყენებიათ; შემდეგ ასეთი წყობის პირი 1,5—2 სმ სისქის თიხის ბათქაშით გაუღესავთ.

როგორც ცნობილია, ურარტულ არქიტექტურაში გავრცელებული სიგრძის საზომი — ურარტული წყრთა — კარმირ-ბლურშიაც გამოუყენებიათ. ასე, მაგ., გამოირკვა, რომ ყველა გათლილი ქვა თანაბარი სიმაღლისაა, დაახლოებით 0,52 მ ალიზიც ასეთივე სიგრძისაა. ამრიგად, გაირკვა ურარტული წყრთისა და „ნიპურის წყრთის" თანასწორობა (ნიპურის წყრთა 0,518 მმ უდრის). ამ გზით, როგორც პროფ. ბ. ბიოტროვსკი აღნიშნავს, ბრწყინვალედ დასტურდება კავშირი და ახლო კავშირი ურარტუსა და სომხეთს შორის[94].

როგორც აღინიშნა, სწორედ ამ მხრივაც საყურადღებოა ქართლური ალიზი და ქვათლილებიც. ალიზი საშუალოდ 0,52 მ სიგრძისაა, ქვათლილთა შორისაც მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალოდ 0,52 მ აღწევს. ამრიგად, თითქოს თავს იჩენს გარკვეული საზომი ერთეული, რომელსაც პირობით შეიძლება „ქართული წყრთა" ვუწოდოთ და რომელიც ნიპურის, ურარტუსა და ეგვიპტურ წყრთას თითქმის უტოლდება.

[92] Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ер., 1944, გვ. 256.

[93] Б. Б. Пиотровский, იქვე, გვ. 256.

[94] Б. Б. Пиотровский, იქვე, გვ. 258.

[95] ი. ციციშვილი, ძველ საქართველოში ხმარებული

არქიტექტორ ი. ციციშვილს ამ მხრივ საყურადღებო დაკვირვება აქვს გამოქვეყნებული. ის ძირითად საზომ ერთეულად 0,52 მ იღებს და ასეთ სურათს წარმოადგენს: „სვეტებიანი დარბაზის" სიგრძე — 20,82 მ არსებითად 40 წყრთაა (+2 სმ); მისი სიგანე — 8,87 მ — 17 წყრთას და 3 სმ უდრის; კარის სიგანე — 1,56 მ — 3 წყრთას უდრის; ამ შენობის ანტისებრი შვერილების ზომაც თითქმის 3 წყრთაა და ა. შ.[95]. ყურადღების ღირსია ისიც, რომ ეს განაზომები გვიჩვენებენ „ქართულ წყრთას" უძველესი ფენის ძეგლებში: ქვათლილები, ალიზი და სვეტებიანი დარბაზი. ამრიგად, ამ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ურარტულ (და საერთოდ წინაზიურ) წყრთასთან ასე დაახლოებული სიგრძის ქართული საზომი — ქართული (ქართლური) წყრთა გამოუყენებიათ მცხეთის დედაქალაქობის ხანის მშენებლობაში „არმაზციხე I"-ის დამახასიათებელ ნაგებობებში. აქაც, ჩვენის აზრით, სრულის უეჭველობით იჩინა თავი წინააზიურმა, ე. ი. ქართველ ტომთათვის არსებითად არა უცხოურმა საამშენებლო ტრადიციამ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ტრადიცია ქართლის ქალაქებში დამკვიდრდა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც, როდესაც ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი ახალ საფეხურზე ადის. ყალიბდება ქართლის სამეფო. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელი ისაა, რომ ამ ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებიათ ძველი ხეთურ-მცირე აზიური კულტურის ტრადიციების მატარებელ ქართველ ტომებს, კერძოდ კი მესხებს (მუშკებს)[96].

საამშენებლო მასალათა წარმოების და ხუროთმოძღვრული ხელოვნების დამახასიათებელ ნიშანთა და თვით ძეგლთა შესამჩნევი სიახლოვე ქართულ-წინააზიური კულტურული ტრადიციების წარმოშობით კავშირსაც უნდა მიუთითებდეს და ქრონოლოგიური სიახლოვე-თანმიმდევრობის მაუწყებელიც უნდა იყოს.

ამრიგად, ჩვენ მოკლედ გავიცანით საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა მშენებლობის ხელოვნების, საამშენებლო მასალათა წარმოებისა და, სა-

სიგრძის საზომის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, № 5, თბ., 1948, გვ. 330—332.

[96] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954, გვ. 421.

ერთოდ, ხუროთმოძღვრული ძეგლების გასათვალისწინებლად დედაქალაქობის ხანის მთელ სიგრძეზე.

როგორც ვნახეთ, ძველი დედაქალაქის უმნიშვნელოვანესი ხუროთმოძღვრული ძეგლები მიეკუთვნება ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერების ხანას — ძვ. წ. IV ს. მიწურულს და მომდევნო საუკუნეებს, ვიდრე რომაელთა სარდლის პომპეუსის შემოკრამდე, რასაც, ცნობილია, ქართლის ციხესიმაგრეთა მოშლა-მორღვევა მოყოლია შედეგად.

ძვ. წ. IV—III საუკუნეებისა ჩანს არმაზციხის უძველესი ნაგებობანი — ქვათლილების საძირკველზე ამოყვანილი ალიზის გრანდიოზული კედლები, კოშკები და კონტრფორსები, რომლებიც აქ 30-ოდე ჰექტარ ფართობს შემოზღუდავდნენ. ზღუდის სიმაღლე 6 მეტრამდე აღწევს, სიგანე კი— 2.6—4.0 მეტრია. საამშენებლო მასალად გამოყენებულია ქვათლილი და სხვადასხვა მოყვანილობის დიდი, მეტწილად გამომწვარი ალიზები. როგორც ირკვევა, უმთავრესი კოშკები და ბურჯები ზღუდე-გალავნისა გადახურული ყოფილა მცხეთური, წითლად შეღებილი კრამიტით, რომლის წარმოება გრანდიოზულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობასთან, და საერთოდ, ქართლის ძლიერების ხანასთან ჩანს დაკავშირებული.

ნაგებობათა ამ ჯგუფში თვალსაჩინოდ გამოიყურება შიდაციხის ე. წ. სვეტებიანი დარბაზი, მასთან დაკავშირებული სახლები და სასახლის ტიპის შენობები. ამათ შორის, როგორც ითქვა, ადრინდელი ფენაა — მშრალად, უდუღაბოდ ნაწყობი, ხის საგანგებო სამაგრებით — უწყვეტით* — გადაბმის წესით ნაგები ქვათლილები (სურ. 2—4—8—10), რომელსაც „არმაზციხე I" შევარქვით (ტაბ. VII—XV) და მომდევნო ხანის (ძვ. წ. III—I სს.), უკვე კირის ხსნარზე ნაწყობი ნაგებობანი (სურ. 11, 12), რომელსაც უძველესი ფენიდან გამოვყოფთ და „არმაზციხე II"-ს ვუწოდებთ (ტაბ. XVI—XVIII).

„არმაზციხე I"-ის ტიპისა და მისი სინქრონული ნაგებობანი აღმოჩენილია დედაქალაქის წიწამურის უბანზე 1953 წელს („წიწამური I"), (ტაბ. LII—LVI), სარკინეში 1954—1955 წლებში (ტაბ. LVII—LXI) და ამას გარდა, გორისციხესა (ტაბ. XIX, 1—2)[97] და უფლისციხეში[98]. ეს მითითებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეფოს საერთო ეითარების წარმოსადგენად. როგორც ჩანს, ქართლის სამეფოს მესვეურები მხოლოდ და მხოლოდ მცხეთის გამაგრებასა და გაშენებაზე არ ზრუნავდნენ და ერთნაირად ამაგრებდნენ მნიშვნელოვან საგაჭრო-სახელოსნო და სტრატეგიულად საჭირო პუნქტებს.

განსაკუთრებული ყურადღება, ცხადია, დედაქალაქს უნდა მიქცეოდა, მისი სამეურნეო-ეკონომიური, საგაჭრო-სახელოსნო, კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ძველი დედაქალაქისადმი ასეთი ზრუნვა კარგად არის ასახული ქართულ საისტორიო წყაროებში და დასტურდება არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიხედვითაც.

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ წელთაღრიცხვათა მიჯნამდელი ხუროთმოძღვრული ძეგლები აღმოჩენილია შიდაციხის ტერიტორიაზე, სარკინეში და წიწამურის უბანზე. ისიც აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი ჯერჯერობით მაინც, არმაზციხის მასალები ჩანს. აქ, შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია: საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სასახლის ტიპის ნაგებობათა ნანგრევები, სამეურნეო ნაგებობანი და სამარხი ნაგებობანი. ზემოთ ჩვენ ვცადეთ ამ ძეგლთა მოკლე მიმოხილვა, რამაც თითქოს ცხადი გახადა უძველესი ფენის ნაგებობებში ქვათლილებისა და ალიზის გამოყენება. ამასთანავე, გაირკვა, რომ ქვათლილები ჩადგმულია კლდეში ამოკვეთილ ფოსოებში საფეხურებისებრ და ამ გზით შექმნილია ქვათლილთა ჰორიზონტული ზედაპირი, რომელზედაც ალიზის კედელია ამოყვანილი. ეს დეტალი ისე გულმოდგინედ არის შესრულებული, რომ ზოგიერთი მონაკვეთზე დიდი კიბის საფეხურების შთაბეჭდილებას ქმნიან კლდეში ამოტეხილ ფოსოებში ჩასმული ქვათლილები, რომელთა დიდი ნაწილი ხანძრისაგან გარუჯულ-

* ტერმინი — უწყვეტი — თანამედროვე ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან მომდინარეობს; უწყვეტით გადაბმა დაუდასტურებია გურიაში ი ლ ი ა ჭ ყ ო ნ ი ა ს. მისი გაიმოცემით უწყვეტი ახლა ხით ხუროობაში, ე. ი. ხის სხვადასხვა ნაწილის გადასაბმელად გამოიყენება, მაგრამ მოყვანილობით ისე ზედმიწევნით იმეორებს ძველებურს — ქვასას, რომ ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ ის გამოგვეყენებია; მით უმეტეს, რომ უწყვეტი ბაგინეთშიაც და წიწამურშიაც ხისაა, მართალია, ქვათლილების გადასაბმელად გამოყენებული.

[97] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 120.

[98] დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური ხანის უფლისციხეზე ახალმოპოვებული მასალების მიხედვით. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, თბ., 1958, № 3.

გაწითლებულია (ტაბ. VII, 3, 5; VIII—XI). ასეთი სურათია, მაგ., შიდაციხის II უბანზე და III უბნის ქვედა მონაკვეთზე. ქვათლილთა წყობა ზოგან ერთფენაა, მეტწილად კი შესამჩნევად მაღლაა ამოყვანილი შესანიშნავად გამოკოდილი და ზოგჯერ კიდეებშემოთლილი დიდი ქვათლილები. ყველაზე უკეთ უკანასკნელი შემონახულია III უბანზე, ქვედა ორ კოშკთან და თხემზე — საძიებო თხრილებში (ტაბ. VIII—X). აქ ყურადღებას იპყრობს ქვათლილთა უწყვეტით გადაბმის წესი, ე. წ. „მერცხლის კუდა" ამონაკვეთებში ჩასმული მუხის სამაგრების — უწყვეტების გამოყენება. ამ ტიპის წყობის არსებობა ქართლში შიდაციხის გათხრამდე არავინ იცოდა. ერთადერთ ქვათლილს, რომელიც პროფ. გ. ნიორაძემ კარსნისსევის ქვისსამარხთა გათხრისას ნახა და, რომელიც მეორედ გამოყენების გზით მოხვდა სამარხის კედელში, არ შეეძლო გამხდარიყო საბაბი მსგავსი წყობის ვარაუდისათვის.

როგორც აღინიშნა, ქვათლილთა მშრალ, უდუღაბო წყობაზეა აშენებული ალიზის კედელი. ალიზი მეტწილად გამომწვარია, მაგრამ მხოლოდ მზეზე გამომშრალიც ბლომად გამოუყენებიათ. ალიზი თიხის ხსნარზეა ნაგები; მას მონოლითური სახე აქვს მიღებული თიხისავე ხსნარით შელესვის წყალობით.

საყურადღებო დეტალია შენიშნული შიდაციხის ზღუდის სამხრეთ ნაწილში, იქ სადაც II უბნის გალავანი სამხრეთ დასავლეთით უხვევს და III უბნისკენ მიემართება. აქ ალიზის კედელს კარგად ეტყობა სიგრძივი კვალი ფიცრებისა და სულაც არ ჩანს არც ცალკეული ალიზები და არც მათი ფენები. როგორც ჩანს, გრძელი ფიცრებისაგან შეკეთილ ყალიბშია აქ გამოუმშრალი ალიზი და თიხის ხსნარი ჩაწყობილი და ჩასხმული. გამოშრობის შემდეგ ფიცრის მოხსნამ კედელს მონოლითური სახე შეუნარჩუნა და ალიზის ფენებისა და მათ შორის შრეების გარჩევა გულმოდგინე დაკვირვების გარეშე გაძნელა.

ქვათლილები ზღუდის პერანგს წარმოადგენს, ე. ი. კედლის ორ მხარეზე მიემართება; ზღუდე ორპირია. ამათ შორის ალიზის დასაწყობად თარაზული, საფეხურებრივ მოწყობილი მოედნები არ არის და ალიზი ტიტველ ციცაბო კლდეზე უნდა დაეწყოთ. ცხადია, ამგვარად აყვანილი კედლის პერანგი უფრო მყარი გამოვიდოდა, ხოლო შუაგულს, მთავარ მასას, შესაძლოა, დალმართზე სიმტკიცე დაეკარგა და მორღვეულიყო. შიდაციხის ზღუდის მშენებლებს ეს გაუთვალისწინებიათ და ალიზის ზღუდე ხშირი, გამჭოლი კონტრფორსებით გაუმავრებიათ. ყოველ ათ მეტრზე არის ქვათლილთა გამჭოლი თარაზული წყობა და სათანადო კონტრფორსიც. კონტრფორსები ქმნიან ალიზის კედლის ერთგვარ წყვეტილობას და სიმყარეს მატებენ ალიზის წყობის ყოველ მონაკვეთს. ამაში ჩანს ზღუდის კონტრფორსთა უმთავრესი, კონსტრუქციული დანიშნულება. შიდაციხის ზღუდის სხვადასხვა მონაკვეთის გაცნობა მკაფიოდ გვიჩვენებს რთულ რელიეფზე ზღუდის მშენებელთა დახელოვნებას. როგორც ჩანს, არ იზოგებოდა საამშენებლო მასალა, არც მუშახელი იმისათვის, რომ სასურველ ადგილას, თუნდაც ციცაბო კლდეზე ათასობით ქვათლილთა ჩასაწყობი ბუდე ამოეკვეთათ, გათლილ-გამოკოდილი ქვათლილები უთვალავი რაოდენობით მოეზიდათ, ათეული ათასობით ალიზი მოეპრათ, გამოეწვათ ან გამოეშროთ, მთაზე აეზიდათ და გრანდიოზული ზღუდეები ეშენებიათ.

ქვათლილთა წყობაზე ამოყვანილ ალიზს მოზრდილი კოპები აქვს დატანებული. კოპებს უნდა გადაება ერთიმეორეზე კედლის ნაწილები, კონტრფორსი და ცალკეული ალიზები და ამრიგად, კედლისთვის მონოლითური ხასიათი მიეცა, დაეცვა ის მორღვევისაგან. ამრიგად დამაგრებული კედელი დარტყმას დიდ მონაკვეთზე ანაწილებს და კედლისსანგრევ იარაღთა ეფექტურობას ამცირებს. კოპებად მუხის მოზრდილი (20×12 სმ) ძელებია გამოყენებული.

ალიზის კედლის სიმაგრისა და გამძლეობის განსამტკიცებლად შიდაციხეში ერთი საყურადღებო დეტალიც შეიმჩნევა. ალიზის კედლის ამოყვანისა და შელესვის შემდეგ, ზღუდის სიგრძეზე ძლიერი ცეცხლი უნთიათ და კედლის გარეპირი ამგვარად გამოუწვავთ. აშკარად ჩანს, რომ ბათქაშიც გამომწვარია და ალიზის ფენებშორის თიხის ხსნარიც.

ეს დეტალი აცხოველებს ზღუდის აშენების სურათს და საერთოდ საინტერესოდ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ არის გამოყენებული აქ გამომწვარი ალიზიც, გამომშრალი ალიზიც და უმი ალიზიც, რომლის შელესვა და გარეთა ნაწილის კარგად გარუჯვა აუცილებელი ჩანს.

არმაზციხე I-ს მიეკუთვნება, როგორც ითქვა, საკულტო ნაგებობის საფუძველი, აგრეთვე ქვათლილებისაგან ნაშენი, არმაზის ქედის აღმოსავლეთ მწვერვალზე. ამ ხანის ნაგებობათა შორისაა

ცნობილი სვეტებიანი დარბაზი, ნათალი ქვის ღარებისაგან შედგენილი .ღია წყალსადენი (ტაბ. XXV, 1) და სხვა ნაგებობათა ნაშთები, შიდაციხის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. უკვე იყო მითითებული, რომ ამ ჯგუფის ნაგებობების გათხრა ჯერ დასრულებული არ არის.

არმაზციხე II სვეტებიან დარბაზთან დაკავშირებით გამოინაკვთა. აქ აღმოჩნდა სასახლის ტიპის მეორე ნაგებობა, ნაშენი კირის ხსნარით (ტაბ. XVII). ამ შენობის ერთი კედელი „სვეტებიანი დარბაზის“ კედელს ზედ გადაუვლის. ამ ადგილას ღუღაბით ნაწყობი კედლის საძირკველი გაძლიერებულია, რადგან ნაყარ მიწაზე (არმაზციხე I კედლის თავზე) გადადის (ტაბ. XVII, 1). ეს არ არის ერთადერთი ნაგებობა მეორე ფენისა. გალავნის სამხრეთ მონაკვეთზე ამ დროის ნაშენი ნაწილები ადვილად შეიმჩნევა. ერთგან „მერცხლის კუდა“ სამაგრიანი ქვათლილიც მოხვედრილა ღუღაბში, ე. ი. ადრინდელი წყობის მასალა აქ ნაგლეჯი ქვის გვერდით გამოუყენებიათ (II უბანი). ამ დროის ზღუდის ნაწილი შიდაციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშიაც ჩანს.

არმაზციხე III წარმოდგენილია მრავალრიცხოვან ნაგებობათა ფრაგმენტებით, რომელთაგან ყველაზე უკეთ შენახული ა ბ ა ნ ო ა (ტაბ. XX—XXIII) და ორსენაკიანი ნაგებობის ზედა სართული, სვეტებიანი დარბაზის ჩრდილოეთით. ამ ჯგუფში უნდა ვიგულისხმოთ „მარნის უბნის“ ნაგებობათა ნაშთებიც (ტაბ. XVI, 5, 6) და ბაზილიკის საფუძველი. აქ ჩამოთვლილი ნაგებობანი მშენებლობის ტექნიკის მიხედვით არმაზისხევურ შენობებს მოგვაგონებენ; სახელდობრ აბანოს და ზღურბლიან ნაგებობას (სამი ქრონოლოგიურად თანმიმდევარი ფენის ნაშთები მკაფიოდ ჩანს ბაგინეთზე — იხ. სურ. 13).

მცხეთური კრამიტი გამოყენებულია სამივე ფენის ნაგებობათა გადასახურავად. უძველესი ფენის ნაგებობათა შორის არ ჩანს მასობრივი საცხოვრებელი შენობები, ამიტომ ჩვენ ვვარაუდობთ კრამიტის კეთებას საზოგადოებრივ და სახელმწიფო დანიშნულების ნაგებობებისთვის. შემდეგ ხანებში, თანდათან ფართოვდება კრამიტით დახურულ ნაგებობათა წრე და ძვ. წ. I საუკუნიდან სახურავ კრამიტს სამარხთა ასაშენებლადაც იყენებენ.

წიწამურის სერის ნაგებობათა ნაშთების განხილვისას მითითებულია ქვათლილთა იქაური წყობის შესახებ (ტაბ. LII—LVII). ისიც არის აღნიშნული, რომ იქ არმაზციხისაგან განსხვავებული და თითქოს უფრო არქაული სამაგრებია აღმოჩენილი (სურ. 101—103). წიწამურის სერზე არქეოლოგიური ძიებისას აღმოჩენილ ნაგებობათა ხასიათი საფუძველს გვაძლევს იქ ა რ მ ა ზ ც ი ხ ე I ტიპის ნაგებობანი ვივარაუდოთ. ამრიგად, ჩნდება არქეოლოგიური საფუძველი სტრაბონისეულ სისამორას ლოკალიზაციისა და ამ სერის ნაგებობათა ძირითადად არმაზციხე I-ის სინქრონულად მიჩნევისათვის.

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები მშენებლობის ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისითაც იქცევენ ყურადღებას.

უკვე აღინიშნა, რომ აქ ქვითა და აგურით, ე. ი. შერეული მასალით მშენებლობაა გაბატონებული; შესაბამისად ძირითად საამშენებლო მასალას დედაქალაქობის ხანის პირველ ეტაპზე წარმოადგენს ქვა და ალიზი; სახურავ მასალას — კრამიტი; დედაქალაქობის ხანის მეორე ეტაპზე ძირითადი საამშენებლო მასალა მეტწილად „უჯიშო“ ქვაა და აგური, მაგრამ არა მშრალად ნაწყობი, არამედ ღუღაბით შემტკიცებული; სახურავი ისევ კრამიტისაა.

კრამიტი ორი სახისა გვხვდება: ღარისებრი და ბრტყელი, გვერდებაკეცილი. „დიდი მცხეთის“ ანტიკურ კრამიტს ხელოსნის თუ სახელოსნოების ნიშანი აზის. ერთი და იგივე ნიშნიანი კრამიტი გვხვდება დედაქალაქის სხვადასხვა უბანზე; აგრეთვე, სხვადასხვა ქალაქებშიაც, რაც კრამიტის დიდი მასშტაბის საწარმოთა არსებობას, სამეფო ან მსხვილ მონათმფლობელურ სახელოსნოთა არსებობას გვავარაუდებინებს. შესაძლოა ამ მსხვილ სახელოსნოებში საცხო დანაწილებასთანაც კი გვქონდეს საქმე. ორგვარია მოყვანილობის მიხედვით ალიზიც: კვადრატული და მისი ნახევარი, ე. ი. მოგრძო სწორკუთხოვანი. ნაირნაირია უძველესი ფენის ქვათლილები; საზოგადოდ მოგრძო, სწორკუთხოვანი მოყვანილობაა გაბატონებული, მაგრამ გვხვდება თითქმის კუბური ფორმისა და აგრეთვე ტრაპეციისებურებიც (მაგ., წიწამურის სერზე. ტაბ. LII—LVI).

ქვის სათლელად და საკოდელად სხვადასხვა მოყვანილობის იარაღია გამოყენებული. ერთ-ერთი ასეთი ხელსაწყო ნაპოვნია წიწამურის სერზე, ქვის წყობაში (სურ. 104, ტაბ. LV, 1). როგორც

ჩანს, ეს ქვისსაკვეთია (ტაბ. LV, 1) ჩარჩენილი დიდი ქვათლილის გაჭრისას. ქვისსათლელ-საკოდელთა ნაირნაირობის მაჩვენებელია ქვათლილთა სხვადასხვაგვარად დამუშავებული ზედაპირები, ამოკვეთილ-ამოტეხილი ფოსოები, ჩათლილი კიდის ზოლები და ა. შ. ერთის სიტყვით, აღმოჩენილი ქვათლილები გვიჩვენებენ, რომ არა ერთი წესია დადასტურებული ქვის დამუშავებისა და ნაირნაირი იარაღი ჩანს გამოყენებული. სათხარი, წერაქვი, წალკატი, ორთოხი, ეჩო, ოწინარი, კეკო, საკოდელი, მართხაფი, ძალაყინი ან ,ახარმაცი და მრ. სხვა იარაღია გამოყენებული დიდ მცხეთაში უკვე ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან. სვეტებიანი დარბაზის მშენებლობისას „კედელთა სიმაღლისათვის გალატოზთა ფერჯის სადგმელის“ ანუ ფ ა ლ ა ხ გ ი ს გამოყენებაც არის შენიშნული. საგანგებო ხელსაწყოები უნდა ჰქონოდათ ჩუქურთმის მჭრელებს. სარკინე უბნის ჩუქურთმოვანი ფრაგმენტები და იონური რიგის, ვოლუტებიან-იონიკებიანი სვეტისთავი ჩვეულებრივი კეკოთი ან საკოდელით არ გამოიკვეთებოდა (ტაბ. LVIII—LX; LXI, 1). სარკინე უბნის თხრისას აღმოჩენილი სვეტის ფრაგმენტები გვარწმუნებს, რომ ეს ხუროთმოძღვრული დეტალები სპეციალურ ჩარხზეა გამოყვანილი (ტაბ. LVIII, 2). ეს იმდენად ხშირად და მკაფიოდ ჩანს, რომ სათანადო ტრადიციასაც გვაგულისხმებინებს. რკინის სახელოსნოში აღმოჩენილი ნამზადების განხილვისას იყო მითითებული, რომ ზოგი მათგანი ქვისსათლელი იარაღისა უნდა ყოფილიყო. საამშენებლო საქმეში, კერძოდ რთულსახოვანი ჩუქურთმის გამოყენისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული შიდაციხეში (სვეტებიან დარბაზში) აღმოჩენილი ბრინჯაოს ფარგალი.

შიდაციხეში, წიწამურის სერზე, საკუთრივ მცხეთის უბანში, საპიტიახშო უბანზე და სარკინეში გათხრილი ნაგებობანი მიუთითებენ მშენებლობის ხელოვნების მაღალ დონეს დედაქალაქობის ხანის მცხეთაში. პირველყოვლისა ირკვევა გულმოდგინედ „შემზადება ადგილისა“, მისი „დავაკებაჲ“. საამისო საილუსტრაციო მასალას ყოველი ნაგებობა წარმოადგენს, მაგრამ უადრესი არმაზციხის საფორტიფიკაციო ნაგებობები, სვეტებიანი დარბაზი, წიწამურის და სარკინეს თხრისას აღმოჩენილი ნანგრევებია. აშკარა ხდება, რომ შუასაუკუნეების წერილობით ძეგლებში დადასტურებული „შემზადება ადგილისაჲ“ ანუ „დავაკებაჲ“ სათავეებს არმაზციხის, წიწამურისა და სარკინეს უძველეს ფენებში პოულობს.

ჩვენ ზემოთ მივაქციეთ ყურადღება ერთ დეტალს — შიდაციხის ერთ-ერთი ნაგებობის საძირკვლის გაძლიერების შემთხვევას (ტაბ. XVII, 1— ცენტრში). ეს დეტალი მშენებლობის ხელოვნების თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება იმის გამო, რომ ძველი დედაქალაქის მშენებლებს, როგორც ირკვევა, წინასწარ შეუსწავლიათ ნიადაგი, სადაც საძირკველი უნდა ჩაეყარათ და რაკი ნიადაგის სისუსტე შეუმჩნევიათ, ნაგებობის საძირკველი გაუძლიერებიათ, გაუფართოვებიათ და გაუღრმავებიათ. ეს ხდება ძვ. წ. III—II საუკუნეებში. ასე შორეული ფესვები უჩნდება აბუსერიძე ტბელის ცნობას იმის შესახებ, რომ ბოლოკ-ბასილმა ჭაობიან ადგილზე დაიწყო ეკლესიის აგება და ნიადაგის სისუსტის გამო „თხარა ესეოდენი სიღრმე ქუეშე მიწასა, ვითარცა ჩანს ზედაჲთ ტაძარი ესე და მათ სიღრმეთაჲგან იწყო შენებად“[99].

ჩვენ მიერ ადრე განხილული ნაგებობანი ყურადღებას იქცევენ შესრულების ზედმიწევნილობით და „წინასწარ გამოსახვის“ დიდად დაწინაურებას გვაფიქრებინებენ. როგორც არა ერთხელ აღინიშნა, თვით სახელგანთქმული ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი ერთგვარი განცვიფრებით აღნიშნავს იბერიის ქალაქებში ხუროთმოძღვრული ხელოვნების მიხედვით აშენებულ სახლებს, საზოგადოებრივ ნაგებობებს და თანაც კრამიტის სახურავს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. სტრაბონის წყაროს განცვიფრების საფუძველი მცხეთის ყოველ უბანში ჩანს. აქ ჩამოთვლილთ მავზოლეუმის ტიპის აკლდამა რომ დაეუმატოთ, ეს საფუძველი კარგად მოიხაზება.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერს მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის თანამდებობის არსებობა ძველ დედაქალაქში. ეს თანამდებობა, როგორც აღვნიშნეთ, დედაქალაქობის ხანის დასასრულს არ უნდა იყოს გაჩენილი.

დედაქალაქობის ხანის ადრინდელი ეტაპის მშენებლობის დამახასიათებელი გრანდიოზულობა, კედლების ქვათლილებით წყობა, თლის თავისებური ტექნიკა, ალიზის ფართოდ გამოყენება, კლდეში ათასობით ბუდეების და საფეხურების ამოტეხა, ქვის ამოღება, გათლა და გადმოტანა ძა-

[99] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 155.

ლიან დიდი, შრომატევადი სამუშაო უნდა ყოფილიყო. საქმე ეხება არაერთ ციხე-სიმაგრეს ან ზღუდეს თვით დედაქალაქშიაც კი. არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ, რომ მიმდინარეობდა სამეფოს ყველა მისადგომის გამაგრება, გზებისა და გადასასვლელების ჩაკეტვა. იქმნებოდა ნამდვილად გრანდიოზული სისტემა სიმაგრეებისა. ასეთი მშენებლობანი იაფფასიანი სამუშაო ძალის — მონის შრომის გამოყენების საჭიროებას ქმნიდნენ. სწორედ აქ უნდა ვივარაუდოთ საფუძველი მმართველობის ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა, რომელიც უზრუნველყოფდა მონების შრომის ფართოდ გამოყენებას ამ სამუშაოებში.

მშენებლობის ხელოვნების მაღალი დონის მცხეთაში აღმოჩენილი მაჩვენებლები, როგორც ჩანს, თავის მხრივაც უტრადიციოდ არ აღმოცენებულა. ამ მხრივ საყურადღებო მასალას გვაძლევს კლდეში ნაკვეთი ქალაქის უფლისციხის გამოქვაბულები. ვარაუდობენ, რომ იქ ქალაქური ტიპის მოსახლეობის გაჩენასთან ერთად ძალიან დიდი სამუშაოები განხორციელდა კლდე-სამოსახლოს შესაქმნელად, სწორედ მონური შრომის გამოყენების გზით.

როგორც ირკვევა, დედაქალაქობის ხანის მცხეთასა და მის მიდამოებში აღმოჩენილი ხუროთმოძღვრულ ხელოვნებას, როგორც ჩანს, ისევ ქართლის სამეფოში აქვს ფესვები გადგმული და ქართლის ქალაქები დიდხანს ინახავენ ამ ტრადიციას.

ამრიგად, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მცხეთასა და მის მიდამოებში აღმოჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები აჩენენ საქალაქო მშენებლობის ორ უმთავრეს საფეხურს, პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი — დაწყებულია ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნისათვის; განსაკუთრებული გაძლიერება მას ემჩნევა III საუკუნისათვის, როდესაც მკვეთრი გარდატეხა ხდება მშენებლობის ტექნიკაში — იწყებენ დუღაბის ფართოდ გამოყენებას. დუღაბის აღმოჩენა საქალაქო მშენებლობის დიდი მ:ითხოვნილებით უნდა აიხსნას.

მ ე ო რ ე ს ა ფ ე ხ უ რ ი ძვ. და ახ. წ. პირველ საუკუნეებს ემთხვევა. რომაელთა ლაშქრობისას მორღვეულ ციხე-სიმაგრეთა აღდგენა და გამაგრება მიმდინარეობს. ამ საქმეში ზოგან, როგორც ჩანს, რომაელებიც მონაწილეობენ*. ეს საფეხური ქართლის (იბერიის) სამეფოს ხელახალი გაძლიერების შედეგია და მისი მომასწავებელიც, მაგრამ ის იმდროინდელ საგარეო ვითარებასაც შეესაბამება.

შიდაციხის ანუ არმაზციხის, წიწამურის და სარკინე უბნის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, როგორც აღინიშნა, დედაქალაქის ძლიერების ხანას მიეკუთვნება და თითონაც არის მანიშნებელი ამ ძლიერებისა. შემდეგში, დიდი მცხეთის ციხე-სიმაგრეები ძლიერი ხელისუფლების წყაროც უნდა გამხდარიყვნენ, რადგან ისინი დიდი მცხეთისკენ მიმავალ უმთავრეს სავაჭრო გზათა ყელზე იდგნენ, გზას თავისკენ ეწეოდნენ და ასე თანდათანობით იზრდებოდა „დიდი მცხეთის“ ციხე-სიმაგრეთა ეკონომიური მნიშვნელობა. შესაბამისად, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა დედაქალაქის ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ქართლის მაგისტრალური სავაჭრო გზები მცხეთას იყრიან თავს, ე. ი. ამ ქვეყანაში გამვლელი უცხოელი მცხეთის ციხე-სიმაგრეებს გვერდს ვერ აუვლის. მცხეთის ციხე-სიმაგრეთა სისტემა იცავს და მეთვალყურეობს სასოფლო-სამეურნეო რაიონებს — ე. ი. ქალაქის სასოფლო უბანს, მის დაბნებს თუ აგარანთ. ქალაქის სასოფლო რაიონიც ამ ციხეებისკენ მიიწევს, მას ემორჩილება, რადგან ქალაქის ეკონომიური სიძლიერე მისი სასოფლო უბნის დაწინაურების გარეშე შეუძლებელი იყო. ამ მხრივაც „დიდი მცხეთის“ ციხე-სიმაგრეები თვალსაჩინო როლს ასრულებენ ქალაქის ეკონომიური სიძლიერის საქმეში. ამიტომ არის, რომ ძველი ქართული და უცხოური საისტორიო მწერლობა ქალაქებს ყოველთვის მათს დაბებთან კავშირში განიხილავს[100].

ანტიკური ხანის მცხეთის, როგორც ქალაქის მნიშვნელობას, დიდი მცხეთის მცველი ციხე-სიმაგრეები კარგად გვიჩვენებენ. შეცდომა იქნებოდა ამ ციხე-სიმაგრეთა დანიშნულება მხოლოდ იმ ტერიტორიის დაცვით შემოგვეფარგლა, რომელსაც გამაგრებული, ზღუდის შიგნით მოქცეული

* ყოველ შემთხვევაში წერილობითი (ეპიგრაფიკული) ძეგლები მიუთითებენ რომაელთა გარკვეულ წვლილს ახ. წ. 75 წლისათვის მაინც.

[100] შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. „მიმომხილველი“, II. თბ., 1951, გვ. 102.

დიდი მცხეთა მოიცავდა. ამიტომ, როდესაც მიუთითებენ მცხეთის და საერთოდ იბერიის ქალაქების, როგორც სამხედრო-სტრატეგიული ცენტრების მნიშვნელობაზე[101], რა თქმა უნდა, უნდა ვიგულისხმოთ ეკონომიური მხარე, რომელსაც მნიშვნელოვნად აპირობებდა ქალაქი, გარშემორტყმული ციხე-სიმაგრეთა რთული სისტემით. ციხე-სიმაგრეთა სისტემა ძლიერი იარაღი იყო ქალაქის ეკონომიური სიძლიერისათვის. იგი ხელს უწყობდა ქალაქის და მისი სასოფლო რაიონ.ს მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობას, რომლის გარეშე ანტიკური ხანის ქართლის ქალაქს არსებობა არ შეეძლო. ასეთ ვითარებაში აშკარაა განსაკუთრებული როლი ანტიკური ხანის ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის — ციხე-სიმაგრისა: ციხე თავისკენ ეწევა გზას; ციხე თავისკენ ეწევა ქალაქის სასოფლო რაიონს — დაბებს; ციხე თავისკენ ეწევა ხელოსნებსა და ვაჭრებს; ციხე იცავს სავაჭრო სახლებს და ა. შ. ამიტომ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების ცხოვრების უმთავრესი მხარეები და ხასიათი ამ ქალაქების ციხე სიმაგრეთა შესწავლის გარეშე გაუგებარი იქნებოდა. ჩვენ სრულიად კანონზომიერად გვეჩვენება, რომ სტრაბონის წყარომ ქართლის (იბერიის) ქალაქების მითითებისას პირველ რიგში ციხე-ქალაქები არ მოზიკე და სისამორა, ე. ი. ფართო გაგებით, ქალაქის ეკონომიური სიძლიერის ერთ-ერთი საფუძველი დაასახელა. ამ მხრივ, ანტიკური ხანის ტრადიციის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ ქართული საისტორიო მწერლობის მითითება, სადაც მცხეთასთან არმაზციხეა ნახსენები, ხოლო თბილისთან — კალა. ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების არქეოლოგიური გათხრა-დაზვერვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ციხის გარეშე ქალაქი წარმოუდგენელია. ჩვენის აზრით, ამ ვითარების ამსახველია ქართული საისტორიო წყაროების ცნობა ქალაქებისადმი ციხეების მიკუთვნების ან დამორჩილების შესახებ (შდრ. მაგ., „სარკინე ქალაქი: კასპი: ურბნისი: და ოძრკჷ და ციხენი მათნი: ციხჷ დიდ სარკინისაჲ: უფლის ციხჷ კასპისაჲ: ურბნისისაჲ და ოძრკჷსაჲ“)[102].

ასეთ ვითარებაში სულ უფრო და უფრო იზრდება არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მნიშვნელობა მცხეთის და საერთოდ ქართლის სამეფოს საქალაქო ცხოვრების დახასიათებისათვის.

---

[101] შდრ. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1956, გვ. 161—162.

[102] თ. ჟორდანია, ქრონიკები..., თბ., 1892, გვ. 11.

მეოთხე თავი

მცხეთის დედაქალაქობის ხანის სამარხთა ძირითადი ტიპები, აღნაგობა და დაკრძალვის წესი

იბერიის სატახტო ქალაქად მცხეთის გადაქცევას, როგორც ჩანს, თან მოჰყვა მოსახლეობის ზრდა ქალაქსა და მის გარეუბნებშიც. ვიდრე ნაქალაქარის ნაშთები დედაქალაქის მთელ ტერიტორიაზე არაა გათხრილი, მოსახლეობის სწრაფი ზრდის მაჩვენებლად ამ ხანისათვისაც უმთავრესად სამარხები და მათში აღმოჩენილი მასალები უნდა იყოს გამოყენებული. დედაქალაქობის ხანის სამაროვანთაგან დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ახლა უკვე ცნობილია: სამთავროს, საკუთრივ მცხეთის, კოდმანის, არმაზისხევის, კარსნისხევის, კარსნის, მუხათგვერდის, ზემო-ავჭალის, წიწამურის (კამარახევის) და სხვა სამაროვნები. ამასთანავე, ძალიან ხშირია შემთხვევები სამარხების აღმოჩენისა ქ. მცხეთის დასახლებულ ტერიტორიაზე, მცხეთის რკინიგზის სადგურთან და ა. შ. ზემოთ ჩამოთვლილიდანაც კარგად ჩანს სიმრავლე მოსახლეობისა, რომელიც იძულებული იყო ასე ფართოდ გაეშალა სამარხები ძველ დედაქალაქსა და მის ახლო მიდამოებში. თუ აქვე გავითვალისწინებთ, რომ სამარხები ზოგჯერ ერთი მეორეზე, თითქმის სართულებად არის დადგმული, მაშინ მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე, უფრო ადვილად შესამჩნევი უნდა ვახდეს.

დედაქალაქობის ხანის მცხეთაში ექვსი ტიპის სამარხი გვხვდება: ორმოსამარხები, ქვისსამარხები, ქვევრსამარხები, კრამიტსამარხები, აგურითა და თიხის ფილებით ნაგები სამარხები. სამარხთა აქ ჩამოთვლილ ტიპები სხვადასხვა დროს მიეკუთვნება ან დედაქალაქობის ხანისათვის საერთოდ დამახასიათებელი ჩანს. ასე, მაგ., ორმოსამარხები და ქვისსამარხები გვხვდება დედაქალაქობის ხანის მთელ სიგრძეზე; ქვევრსამარხები — ძვ. წ. III—I საუკუნეებში; კრამიტსამარხები — ძვ. წ. I — ახ. წ. III საუკუნეებში; აგურითა და კერამიკული ფილებით ნაგები სამარხები — ახ. წ. I—III საუკუნეებში.

ზემოთ აღნიშნული, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ტიპის სამარხი უცვლელია საუკუნეების მანძილზე; პირიქით, ცვლილება ხშირად შესამჩნევად მკაფიოა; ასეა, მაგ., ორმოსამარხების შემთხვევაში. ძირითადად უცვლელი რჩება ანტიკურ ხანაშიაც საკუთრივ ორმოს მოყვანილობა (მოგრძო ოთხკუთხა ან ოვალური), მაგრამ იცვლება მისი სიგრძე. ანტიკური ხანის ორმოსამარხთა ერთი ჯგუფი დედაქალაქობამდელი ხანის ორმოსამარხებთან შედარებით მოკლეა. დედაქალაქობის ხანის ორმოსამარხების სიახლე უფრო მკვეთრად შეიმჩნევა სახურავის მიხედვით. ამ ხანის ორმოსამარხთა უმეტესობა ერთი ან რამდენიმე ლოდითაა გადახურული; არის შემთხვევები ორმოსამარხთა ქვაყრილით გადახურვისა (დაფარვისა) ან საერთოდ „უსახურავოდ" დატოვებისა. ამ დეტალებში ჩანს სიახლე დედაქალაქობის ხანის ორმოსამარხთა აღნაგობაში. როგორც ვნახეთ, უფრო მკვეთრია სხვაობა სამარხეული ინვენტარისა. ანტიკური ხანის ორმოსამარხები უფრო მცირე-

რაოდენობის ნივთებს შეიცავენ და თანაც არაძველებური იერისას (თითქმის არ ჩანს იარაღი). მიცვალებული მკვეთრად ხელფეხმოკეცილია.

ყველაფერი ეს, ჩვენის აზრით, საფუძველს იძლევა დედაქალაქობის ხანის ორმოსამარხებს გვიანდელი ორმოსამარხები ვუწოდოთ, განსხვავებით ბრინჯაო-რკინის ხანის, ე. ი. ადრინდელი ორმოსამარხებისაგან.

გვხვდება ე. წ. გვიანდელ ორმოსამარხებთან ერთად. ძვ. წ. პირველ საუკუნეებში გვიანდელი ორმოსამარხები და ქვევრსამარხები თანაარსებობენ. ქვევრსამარხები მცხეთაში ძვ. წ. III საუკუნის შემდეგ ჩნდება, ე. ი. სამოდე საუკუნით უფრო გვიან, ვიდრე დასავლეთ საქართველოში; მაგ., დაბლა-გომისა და ფარცხანაყანევის ქვევრსამარხები. დამახასიათებელია, რომ ამ ტიპის სამარხები



სურ. 72. მავზოლეუმის ტიპის აკლდამის წინხედი (მცხეთა)

თითქმის ანალოგიური სურათი შეინიშნება ქვის სამარხებშიაც. ძვ. წ. V—II საუკუნეებში შედარებით იშვიათად გვხვდება ქვის სამარხები (ძველი დედაქალაქის უბანთა შორის ამ მხრივ ძეგვის და კამარახევის სამაროვანი გამოირჩევა). ამასთანავე, მითითებული ხანის ქვისსამარხები მარტივად არის შედგენილი და მცირე ზომისაც ჩანს (ამ მხრივ შეესაბამება სამეფოს სხვა თემებში ცნობილ, სინქრონულ ქვისსამარხებს). უფრო გვიან კი, სახელდობრ ახ. წ. I—II საუკუნეებიდან სხვადასხვა სახის ქვისსამარხები გვხვდება და განსხვავებული ზომებისაც. ეს ვითარება, როგორც ჩანს, თავისებურად პასუხობს სამეფოს ძლიერების ახალ საფეხურს, რომელიც რიგი სხვა ნიშნებითაც ხასიათდება.

ქვევრსამარხები. (ტაბ. XXIV). უშუალოდ მოსდევს დედაქალაქობის წინახანაში ფართოდ გავრცელებულ ორმოსამარხებს და ერთხანს

მცხეთაში მაინცდამაინც ფართოდ გავრცელებული არ არის. დიდი საველე სამუშაოებისას, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე წარმოებდა მცხეთაში, აღმოჩენილია სულ ასიოდე ქვევრსამარხი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამათგან მხოლოდ თორმეტში იყო ორ-ორი მიცვალებული ჩასვენებული, ერთში — სამი და დანარჩენებში კი თითო, ადვილად დავრწმუნდებით ამ ტიპის სამარხთა მცირერიცხოვნებაში. როგორც ჩანს, დედაქალაქის მოსახლეობას მაინცდამაინც არ უცდია გადასვლა სამარხთა ამ ახალ ტიპზე. იმდროინდელ მცხეთაში ორმოსამარხებიც არის ცნობილი და პირველ საუკუნეებში კრამიტის სამარხებიც ვრცელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, სამარხად გამოყენებული თითქმის ყველა ქვევრი გვერდზეა დაწვენილი. მიცვალებული ქვევრში ჩვეულებრივ ხელფეხმოკეცილი წევს. ეს, როგორც ცნობილია, ორმოსამარხებში გავრცელებული წესია და თანაც

ქვევრის ზომითა და მოყვანილობით ნაკარნახევი მდგომარეობა მიცვალებულისა.

ქვევრსამარხთა წარმომავლობისა და გავრცელების საკითხში სპეციალისტთა შორის აზრთა სხვაობაა. არ შეიძლება, როგორც ჩანს, ამ საკითხის (ამ შემთხვევაში ქვევრის) მოყვანილობით არის ნაკარნახევი და, ამასთანავე, სინქრონულ ორმოსამარხებში კარგად ცნობილი მდგომარეობაა განმეორებული; ე. ი. ხელფეხმოკეცილი და გვერდზე დასვენება მიცვალებულისა შეიძლება დაკრძალ-



სურ. 73. იმავე აკლდამის გეგმა

ხების გადაჭრა ჯერჯერობით ცნობილი მასალის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ჩვენის აზრით, არსებობს რამდენიმე საყურადღებო დაკვირვება, რომელიც ხელს უწყობს მითითებულ საკითხების გაშუქებას.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მიცვალებულის მდგომარეობა ქვევრსამარხში სამარხის ტრადიციულ წესისადმი დამორჩილებაც იყო და, თანაც, ქვევრის მოყვანილობითაც ნაკარნახევი.

ტრადიციას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს, ეს კარგად გამოჩნდა კამარახევის სამაროვანზე, სადაც ხელფეხმოკეცილი მდგომარეობა ქვისსამარხებშიაც იყო დადასტურებული; თანაც

ორმოსამარხების გვერდით; ე. ი. ერთ და თანაე ზოგადად ერთდროულ სამაროვანზე[1].

ამრიგად, დაკრძალვის წესის ერთი დამახასიათებელი მხარე ადგილობრივია, დიდი ხნის წინათ გავრცელებულია, ტრადიციულია, მაგრამ, ჩვენის აზრით, ქვევრსამარხთა წარმომავლობის საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობისა მაინც არ არის, იმის გამო, რომ ასეთი მდგომარეობა მიცვალებულისა დამახასიათებელია არა მარტო საქართველოსათვის.

ერცელდება. უფრო გვიან გვხვდება ქვევრსამარხები თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. იქ ძვ. წელთაღრიცხვის ბოლო ხანებისა და ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ქვევრსამარხებია აღმოჩენილი[2]. ასეთ ვითარებაში თითქოს შესაძლებელია ვივარაუდოთ ქვევრსამარხთა გავრცელება კოლხეთიდან კასპიისაკენ — დასავლეთ საქართველოდან აზერბაიჯანისაკენ. მაგრამ, როგორც აღინიშნა, აზერბაიჯანელი არქეოლოგები ამ საკითხზე განსხვავებული აზრისა არიან. ზოგი



სურ. 74. იმავე აკლდამის განაკვეთი. შიგნითა ხედი კარისაკენ

რჩება საკითხი თვით ქვევრის, როგორც სამარხის გავრცელების შესახებ. ცნობილია, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ქვევრსამარხები ძვ. წ. VI—V საუკუნეებიდან ჩნდება. იბერიაში კი, როგორც აღინიშნა, ძვ. წ. III საუკუნის შემდეგ

მათგანი თვლის, რომ ქვევრსამარხები სამხრეთი რაიონებიდან უნდა შემოსულიყო აზერბაიჯანში და, ყოველ შემთხვევაში, არა დასავლეთ საქართველოდან ან საერთოდ საქართველოდან[3].

ცხადია, ახლა ჩვენი მიზანი არ არის აზერბაიჯანში ქვევრსამარხთა გავრცელების გზები განვიხილოთ, მაგრამ კვლავ აღვნიშნავთ, რომ ამ საკით-

[1] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოს. და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, თბ., 1958, გვ. 1—11.

* კამარახევის მაგალითი იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ ის მცხეთის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა.

[2] М. М. Ивашенко, Кувшинные погребения Азербайджана и Грузии, ИАН Аз.ССР, № 1, 1947, стр. 11.

С. М. Казиев, Об археологических памятниках Мингечаура; Труды объединенной научной сессии по общественным наукам, Баку, 1957, стр. 359—360.

[3] იქვე, გვ. 359; 377—378; 392.

ხის შესწავლისას საქართველოს მასალების გათვალისწინება აუცილებელია[4].

რაც შეეხება ქართლის სამეფოს და საკუთრივ მცხეთას, აქაური ვითარება საკმაოდ კარგადა აქვს გათვალისწინებული მ. ივაშჩენკოს[4a], რომელმაც პირველმა მიუთითა, რომ როგორც მცხეთაში, ისე ბორშიაც სამარხებად გამოყენებული სამეურნეო ქვევრები[5].

მე ისაა, რომ ელინისტურ ხანამდეც ჰქონდა მიღებული იბერიაში მეღვინეობას სასაქონლო წარმოების ხასიათი[7]. ამით უნდა იყოს შეპირობებული მცხეთაში მექვევრეობის განვითარებაც. ეს პირდაპირი მაჩვენებელია მევენახეობის კიდევ უფრო დაწინაურებისა ქართლის სამეფოში IV—III საუკუნეებში. ახლა არქეოლოგიური მასალებიც მხარს უჭერენ აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრებას იმის შესა-



სურ. 75. იმავე აკლდამის განაკვეთი. შიგნითა ხედი დასავლეთი კედლისაკენ

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ადრე საღვინედ გამოყენებული ქვევრები ქვევრსამარხებად უქცევიათ სოფ. ფარცხანაყანევში, დაბლა-გომში, მცხეთაში, საგარეჯოში, ურბნისში, ბორში, ბანძაში, ქუთაისში და ა. შ.[6]. ამ მომენტს შეიძლება ექნეს მნიშვნელობა ქვევრსამარხთა წარმომაელობის საკითხის განხილვისას. საქ-

ხებ, რომ „ბუნებრივია, თავდაპირველად აქ (მევენახეობაში — ა. ა.) მონის შრომა გამოეყენებიათ"[8]. ჩვენის აზრით, ასევე ბუნებრივია, მონური შრომის ფართოდ გამოყენება კერამიკული წარმოების სათანადო დარგში—მექვევრეობაში, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან. ამასთან, დამახასია-

[4] ი ბ ი ვ ე, გვ. 387.

[4a] М. М. И в а щ е н к о. Кувшинные погребения Азербайджана и Грузии, ИАН Аз.ССР, № 1, 1947; მისივე Кувшинные погребения Самтавро, ისტორიის ინსტიტუტის არქივი.

[5] ი ბ ი ვ ე.

[6] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე, თბ., 1956, გვ. 25. — ა ფ ა ქ ი ძ ე, არქეოლოგიური მასალები სამხარეთმცოდნეო მუზეუმების ექსპოზიციაში, თბ., 1955, გვ. 71.

[7] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 202.

[8] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ი ბ ი ვ ე.



სურ 76. არმაზციხე. ბაგინეთის კლდეკართან_აღმოჩენილი მაუზოლეუმის ტიპის აკლდამის გეგმა და დასავლეთი კედლის ხედი—განაკვეთი

თებელია, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ქვევრები (მარნებიც კი — მაგ. ბაგინეთისა და არმაზისხევის) მცხეთაში გვხვდება ძვ. წ. II საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე; ე. ი. თითქოს მონური შრომის შემოსვლის შესაბამისად ვრცელდება და შრომის შეკვეცისთანავე თანდათან ქრება. ეს გარემოება უთუოდ სიმპტომური გვეჩვენება. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საღვინეთ უკვე უვარგისი ქვევრები, სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოუყენებიათ და მათ შორის სამარხებისათვისაც. სამარხ ნაგებობათა ტიპების ცვლა ყოველთვის არ არის იმასთან დაკავშირებული, რომ სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები რელიგიურ წარმოდგენებში აისახოს. ეს შეეხება ქვევრსამარხებსაც. მექვევრეობის განვითარებას, რაც თავის მხრივ მეღვინეობის დაწინაურებით იყო გამოწვეული, უნდა უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა ქვევრები; მით უფრო — დაზიანებული, ღვინის შესანახად გამოუსადეგარი. უკვე იყო აღნიშნული, რომ სამარხად გამოყენებულ ქვევრთა ერთ ნაწილს მაინც კარგად ეტყობა ტყავკორას კვალი — ქვევრი შიგნიდან გახეხილია. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ჯერ არცერთი შემთხვევა არ არის დადასტურებული სამარხად სულ ახალი ქვევრის გამოყენებისა. უნდა ვიფიქროთ, რომ საღვინედ უვარგისი ქვევრი შესაძლოა სხვებზე ადრე და უფრო ადვილადაც იმათ ჩავარდნოდა ხელში, ვისაც მეღვინეობაში ედგა ფეხი. თუ ასეა, მაშინ საფუძვლიანად უნდა მივიჩნიოთ ვარაუდი, რომლის მიხედვით ქვევრსამარხებში დაკრძალულებად მევენახე-მეღვინეები იგულისხმებიან.



სურ. 77. არმაზისხევი. გეგმა მავზოლეუმის ტიპის ნაგებობისა, რომელშიაც ჩადგმული იყო ერისთავთა სამაროვნის პირველი და მეორე სამარხები

მცხეთაში მხოლოდ ასიოდე ქვევრის აღმოჩენა, თანაც ისეთ ვითარებაში, რომ, როგორც ირკვევა, ისინი თითქმის სამი საუკუნის მანძილზეა ჩადგმული სამარხებად, იმის მაჩვენებელია, რომ სამარხის ეს ტიპი რელიგიურ საფუძველზე კი არ არის შემოსული, არამედ დაკავშირებულია უფრო იმასთან, რომ საღვინედ უვარგისი ქვევრის გამოყენება სამარხად შეიძლებოდა. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ უფრო გვიან სამარხად კრამიტის ნატეხებიც კი არის გამოყენებული, მაგრამ ამის საფუძ-

ველზე რაიმე წესის შესახებ საუბარი უსაფუძვლო იქნებოდა.

ზემოთ აღნიშნული, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ქვევრსამარხთა მეზობელ ტერიტორიიდან შემოსვლა-გავრცელება გამოირიცხოს. რას უნდა შეეშალა ხელი იმისათვის, რომ დასავლეთ საქართველოში ორიოდე საუკუნით უფრო ადრე გავრცელებული წესი სამარხად ქვევრების გამოყენებისა ქართლის სამეფოშიც ცნობილი გამხდარიყო? სხვა არა იყოს რა, დიდი სავაჭრო გზის მთელ სიგრძეზე კულტურის ყოველგვარი მონაპოვარი ინაცვლებდა ადგილს და ფაზის—მტკვრის სავაჭრო გზას ხომ შეიძლება ქვევრსამარხებიც გაყოლოდა. ასე, რომ ქვევრსამარხთა განხილვისას ეს ორი გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული[9].

უფრო დაწვრილებით ამ რიგის საკითხებზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით; ახლა კი იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ქვევრსამარხების გავრცელება ქართლის სამეფოში ან მის დედაქალაქში დაკავშირებული უნდა იყოს მეურნეობაში მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებულ როლთან. ასეთი წონა მეურნეობის ამ დარგმა წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაიმკვიდრა სწორედ ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან. შესაბამისად, თითქოს ბუნებრივია ამ დროიდან ქვევრსამარხების გაჩენაც ქართლში და საკუთრივ მცხეთაში. როგორც არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებენ, ეს ასეც მოხდა. ასეთ ვითარებაში ქვევრსამარხთა წარმოშობისა და გავრცელების საკითხები უნდა გადაწყდეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა დროიდან ხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამა თუ იმ სამეფოში მეურნეობის ეს დარგი — მევენახეობა-მეღვინეობა. კოლხეთის და იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ ეს მითითებულ სამეფოებში წინა და ადრე ელინისტურ ხანაში ხდება; აზერბაიჯანში კი — მხოლოდ რომაულ ხანაში. ამრიგად, არქეოლოგიური მასალის მიხედვით თითქოს შესაძლებელია ვივარაუდოთ ქვევრსამარხთა გავრცელება კოლხეთიდან აღმოსავლეთისაკენ — დასავლეთიდან აზერბაიჯანისაკენ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ქვევრსამარხთა გავრცელების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ძვ. წ. VI—V საუკუნიდან (კოლხეთი) — III—I საუკუნეებში (ქართლი) და ძვ. წ. II, ახ. წ. I—III საუკუნეებამდე (აზერბაიჯანი).

ძვ. წ. I და ახ. წ. I—II საუკუნეების მცხეთაში კრამიტსამარხები გვხვდება (ტაბ. XXIV; ტაბ. XXX, 3). სამარხის ასაგებად ორი სახის კრამიტია გამოყენებული: ბრტყელი, გვერდებაკეცილი (სოლენის ტიპისა) და ღარისებრი (კალიპტერის ტიპისა) (სურ. 86). უურადღებას იქცევს მიცვალებულის მდგომარეობა კრამიტსამარხებში: ძვ. წ. პირველი საუკუნის სამარხებში ხელფეხმოკეცილი მდგომარეობაა დადასტურებული, უფრო გვიან კი — გულაღმა გაშოტილი. აღნაგობის მიხედვით, კრამიტსამარხთა შორის გამოირჩევა: ოთხკუთხა ეექვსკუთხოვანი მოყვანილობის კრამიტსამარხები; სახურავის მოყვანილობის მიხედვით — ბანურსახურავიანი და ორფერდასახურავიანი.



სურ. 78. არმაზისხევი. ერისთავთა სამაროვნის მეექვსე სამარხი—ბანურსახურავიანი სარკოფაგი

კრამიტი ძვირფასი საამშენებლო მასალა იყო, რის გამოც მცხეთელ ღარიბ მოქალაქეთ, როგორც აღინიშნა, არ შეეძლოთ სამარხის ასაგებად საჭირო კრამიტის ადვილად შოვნა. ალბათ, ამიტომაც სამარხთა ეს ტიპი მცხეთაში მაინცდამაინც არ გავრცელებულა და მით უფრო არ გაბატონებულა.

ზემოთ, ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ინვენტარი კრამიტსამარხისა საერთოდ მდიდრულია, მაგრამ გვხვდება შემთხვევები მცირე და ღარიბულ

---

9 З. И. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1956, გვ. 173.



სურ. 79. არმაზისხევი. იმავე სამარხ-სარკოფაგის გეგმა და განაკვეთები

ინვენტარიანი სამარხის აღმოჩენისაც. კრამიტსამარხების ინვენტარის პირველ რიგში მინის და ბრინჯაოს ჭურჭლებით გამოირჩევა. ესაა წინახნის სამარხებთან შედარებით აშკარა სიახლე და თანაც კრამიტსამარხთა სიმდიდრის მანიშნებელიც. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ძვირფასი სამკაულების (მათ შორის ოქროს დიადემის, საშუბლე გვირგვინის ოქროს ფურცლების და სხვ.) აღმოჩენის შემთხვევები.

წყვილთა დასაფლავება კრამიტსამარხებშიაც დასტურდება. შეიძლება აღინიშნოს სიახლე მიცვალებულის მდგომარეობაშიც. როგორც წესი, დიდ მცხეთაში მოზრდილი კრამიტსამარხებია აღმოჩენილი. ზოგიერთი სამარხის ასაგებად ორმოცდაათამდე კრამიტია გამოყენებული. ასე შედგენილ



სურ, 80. არმაზისხევი. ერისთავთა სამაროვნის ხეშვიდე სამარხი—ორფერდასახურავიანი სარკოფაგი

დიდ სამარხებში მიცვალებული პირაღმა გაშოტილი წევს, თავით დასავლეთისაკენ. ე. ი. პირველად კრამიტსამარხებში იჩენს თავს მკაფიო ცვლილება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მიცვალებულს ხელფეხ მოკეცილს და გვერდზე დაწვენილს კი აღარ ასაფლავებენ, არამედ პირაღმა გაშოტილს კრძალავენ. დაკრძალვის წესის ეს ცვლილება მკაფიოდ ჩანს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვ. წ. I საუკუნის კრამიტსამარხებში მიცვალებულები ძველი ტრადიციის შესაბამისად, ხელფეხმოკეცილი და გვერდზე დასვენებული აღმოჩნდა. ამრიგად, ირკვევა, რომ დაკრძალვის წესის ეს ერთი მხარე ყოველთვის არ იყო დამოკიდებული სამარხ ნაგებობათა აღნაგობა-მოყვანილობაზე. უპირატეს როლს, როგორც ჩანს, ტრადიცია ასრულებდა. ეს დასკვნა ახლა კრამიტსამარხთა მაგალითზეა ილუსტრირებული, მაგრამ ადრე, ქვისსამარხთა მიხედვითაც გაირკვა.

ქვევრსამარხები და კრამიტსამარხები ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ მცხეთაში ფართოდ გავრცელებულ, შეიძლება ითქვას, გაბატონებულ სამარხთა შორის; სახელდობრ დედაქალაქობის წინა ხანის ორმოსამარხთა და დედაქალაქობის ხანის ქვისსამარხთა შორის.

„დიდ მცხეთაში" ყველაზე მეტი რაოდენობით არის აღმოჩენილი ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ე ბ ი. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ასეთი სამარხები აქ უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ახ. წ. პირველი საუკუნიდან ვრცელდება და იმ დროისათვისაა დამახასიათებელი, როდესაც მცხეთა-არმაზისა და მისი გარეუბნის მოსახლეობა მეტად მრავალრიცხოვანი და მჭიდროდ დასახლებული უნდა ყოფილიყო. ყველაზე აშკარა სურათს ამ მხრივ ქმნიან ძველი დედაქალაქის ერთ-ერთ უბანზე, სახელდობრ არაგვის კარის მიდამოებში — სამთავროს ველზე აღმოჩენილი ქვისსამარხები. შეიძლება ითქვას, რომ ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ო ბ ი ს ხ ა ნ ი ს მ ც ხ ე თ ი ს ა თ ვ ი ს ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ე ბ ი ა, ი ს ე ვ ე, რ ო გ ო რ ც დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ო ბ ი ს წ ი ნ ა ხ ა ნ ი ს მ ც ხ ე თ ი ს ა თ ვ ი ს — ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი.

ქვისსამარხები არა მარტო რაოდენობით სჭარბობენ დედაქალაქობის ხანის სხვა სამარხებს, არამედ თავისი ნაირსახეობითაც გამოირჩევიან და ყველაზე ხანგრძლივადაც ჩანან გავრცელებული და გაბატონებულიც კი. ქვისსამარხთა შორის მცხეთაში აღმოჩენილია და შესწავლილი: ა) ქ ვ ი ს დ ი დ ი დ ა ბ რ ტ ყ ე ლ ლ ო დ ე ბ ი ს ა გ ა ნ შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ა ნ უ ფ ი ლ ა ქ ვ ი თ ნ ა გ ე ბ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი; ბ) მ თ ლ ი ა ნ ა დ კ ვ ე თ ი ლ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი — ს ა რ კ ო ფ ა გ ე ბ ი; გ) მ ა ვ ზ ო ლ ე უ მ ი ს ტ ი პ ი ს, კ ა რ გ ა დ დ ა მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ ი ქ ვ ა თ ლ ი ლ ე ბ ი თ ნ ა შ ე ნ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი — ა კ ლ დ ა მ ე ბ ი; დ) წ ვ რ ი ლ ი ნ ა ტ ე ხ ი ქ ვ ი თ ნ ა გ ე ბ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი (ამ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს სამარხები, რომლებსაც ერთ ან ორ კედლად ძველ ნაგებობათა საძირკველი აქვთ, ე. ი. ასე ვთქვათ „მიშენებულ სამარხებს" წარმოადგენენ).

დასასრულ, ამ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს სამთავროში აღმოჩენილი მცხეთის დედაქალაქობის ხანის ბოლო დროის ქვისსამარხები, რომლებშიაც მიცვალებულები თიხის კუბოებით ჩაუსვე-

ნებიათ; ცხადია, იმის გამო, რომ სამარხ ნაგებობას ქვისსამარხი წარმოადგენს და არა შიგ ჩადგმული თიხის კუბო.

აქ ჩამოთვლილ ქვისსამარხთა შორის არის დედაქალაქის სხვადასხვა სოციალური ფენისათვის განკუთვნილი სამარხები: სამეფო კარის მოხელეთა თუ მეფის ოჯახის წევრთა სამარხები, ერისთავთა სამარხები, ერისთავების ოჯახის წევრთა და სხვა წარჩინებულთა სამარხები. ქვისსამარხთა შორის აღმოჩენილია ღარიბი მოსახლეობის სამარხებიც. რა თქმა უნდა, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთათვის განკუთვნილი სამარხები ინვენტარითაც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და თვით სამარხთა აღნაგობა-აგებულებითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით მკაფიოდ ღარიბთა სამარხები გამოირჩევა. სხვა ფენებში განსხვავება ასე თვალშისაცემი არ არის, უნდა ვივარაუდოთ იმის გამო, რომ ყველა ისინი მეტ-ნაკლებად ქონებიერ წრეს მიეკუთვნება.

ქვის დიდი და ბრტყელი ლოდებისაგან შედგენილი ანუ ფილაქვითნაგები სამარხები საკმაოდ მარტივი აგებულებისაა. კირქვის ან ქვიშაქვის მეტ-ნაკლებად კარგად გათლილი ბრტყელი ლოდებისაგან შედგენილია (ან შეკრულია) მოგრძო, ოთხკუთხა მოყვანილობის ნაგებობა, რომლის სახურავად, აგრეთვე დამუშავებული, ოღონდ უფრო ხშირად ტლანქად ნათალი და უსიამოვნო შესახედავი ლოდებია გამოყენებული. ასეთი სამარხის ოთხივე კედლად უმეტესად თითო-თითო ლოდია ჩაყენებული, სახურავად კი — სამი (იშვიათად ოთხიც) — თითქმის ყოველთვის კედლის ფილებთან შედარებით მცირე ზომისა.

სამარხის შემადგენელი ლოდების თუ ფილაქვების დამუშავების ხარისხი და სამარხის შეკვრის ღონისძიება საერთოდ ერთგვარია, მაგრამ



სურ. 81. არმაზისხევი. იმავე სამარხი-სარკოფაგის სახურავის ხედები და განაკვეთი

ცალკეულ სამარხთა გამართვისას გამოჩენილი საგანგებო მონდომებაც ხშირად შეიმჩნევა. აშკარაა მაგ., ლოდების ერთიმეორეში ჩასადგმელად ნაპირების ზედმიწევნით ზუსტად ამოკვეთის ცდა; ფილაქვის ზედაპირთა დამუშავება პირწმინდა კეკოს თუ სხვა იარაღთა დახმარებით; კირით ამოლესვა და ამოგოზვა სამარხის კუთხეებისა; რკინის სამაგრებით (სურ. 88) შეკვრა სამარხის სახურავი ლოდებისა და ა. შ. (ტაბ. XXVII, 1).

ეს დეტალები ყოველთვის არ შეიმჩნევა, მაგრამ დედაქალაქობის ხანაში ძალიან გაერცელებულია და ქვისსამარხთა ამ სახეობისათვის, — ფილაქვით ნაგებ სამარხთათვის საერთოდ დამახასია-

თებლად შეიძლება მივიჩნიოთ. ამის თქმა უყოყმანოდ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, წარჩინებულთა და ქონებიერთა სამარხების მიმართ მაინც (ტაბ. XXVIII, 1—2; XXX, 1—2).

უფრო ნაკლებად არის გავრცელებული იატაკმოგებული ქვისსამარხები. ფილაქვითნაგებ სამარხთა უმრავლესობას საგანგებო იატაკი არა აქვს; ნატკეპნი მიწაა იატაკად გამოყენებული. ძლიერ იშვიათად ქვისსამარხის ფსკერი მოფენილია ბრტყელი, კუთხოვანი კრამიტებით, აგურით ან საგანგებოდ საამისოდ დამზადებულ კერამიკული ფილებით. იატაკის მოსაფენი ფილები სხვადასხვა ზომისაა და, შესაბამისად, სხვადასხვა ქვისსამარხის ფსკერზე ერთიმეორისაგან განსხვავებული რაოდენობის ფილებია აღმოჩენილი (მოზრდილები — 6—8 ცალი; პატარები — 10—12 ცალი). ამ საგანგებო ფილებს ორ ან სამ წყებად განლაგებული ნაჩვრეტები აქვთ, რიცხვით 6, 8, 10. ნაჩვრეტთა დანიშნულების ზუსტად განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ის მაინც შეიძლება ითქვას, რომ სამარხთა იატაკის მოსაფენად დამზადებულ ფილებს და თიხის კუბოების ფსკერს ნაჩვრეტები ალბათ ერთნაირი მიზნით უკეთდებოდა.

სამარხის ფსკერს ხშირად ბრტყელი ფილა-



სურ. 82. არმაზისხევი. იმავე სამარხი-სარკოფაგის სახურავის გეგმა და გვერდხედი.



სურ. 83. არბაზისსტვი. მეშვიდე სამარხი-სარკოფაგის გეგმა და განაკვეთები

წრეს? საკითხის ამგვარად დასმის საფუძველს გვაძლევს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამარხები, აღმოჩენილი „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე. ასეთთა შორის უნდა დავასახელოთ: სამთავროს ველის სამხრეთ უბანზე 1940 წელს გათხრილი ორფერდასახურავიანი 212-ე ქვისსამარხი; სამთავროს ქალთა მონასტრის წინ (ხუბიეროვის ეზოში) შემთხვევით აღმოჩენილი ორფერდასახურავიანი სამარხი; მცხეთის ბიბლიოთეკის წინ, წყალთამეურნეობის შენობის საძირკველის გათხრისას 1947 წელს აღმოჩენილი[10] ორფერდასახურავიანი სამარხი № 1: არმაზისხევის შესართავთან აღმოჩენილი[11] სამარხები № № 1, 2, 3, 5, 8, 9, 28, 35, 40, 41, 43; არმაზისხევის სარკოფაგები (№ 6 და 7); ბაგინეთის სარკოფაგი; და ბოლოს, ბაგინეთსა და, აგრეთვე, მცხეთის ძველი ხიდის პირდაპირ, არმაზის ქედის ჩრდილო კალთაზე, რკინიგზის სადგურთან 1951 წელს აღმოჩენილი აკლდამებიც ხომ საგანგებო იატაკის მქონე სამარხებია. მართალია, ჩამოთვლილ სამარხთა მნიშვნელოვან ნაწილს აქვს სხვა ნიშნებიც, რომლებიც მდიდრულ სამარხთათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ამჟამად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა მდიდრულ სამარხს საგანგებო იატაკი აქვს (ქვის ლოდები ან თიხის ფილები).

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები საკმარისია იმისათვის, რომ საგანგებო იატაკი წარჩინებულთა სამარხების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნიოთ.

ამრიგად, ფილაქვით ნაგებ სამარხთა შორის გამოიყოფა ერთი წყება — საგანგებო იატაკიანი. ე. ი. მდიდრული სამარხები. საგანგებო იატაკის მქონე; ფილაქვით ნაგებ სამარხთა ტიპიურ წარმომადგენლებად შეიძლება დავასახელოთ: არმაზისხევის ერისთავთა სამარხთაგან № 1 და № 3. პირველს (ე. წ. ასპარუგ ერისთავის სამარხს) იატაკად ქვის ოთხი დიდი ლოდი აქვს (ტაბ. XXVIII, 2); მეორეს (ე. წ. ბერსუმა ერისთავის სამარხს) იატაკი დიდი კერამიკული ფილებით ჰქონდა მოფენილი (ტაბ. XXVIII, 1). ასეთივეა სამთავროს ქვისსამარხთაგან № 212, რომელიც იმავ დროს თავისი ორფერდა სახურავითაც გამოირჩევა. განცალკევებით დგას არმაზისხევის 35-ე ქვისსამარხი, რომელსაც ფსკერი სწორკუთხოვანი მოყვანილობის მოგრძო აგურებით ჰქონდა მოფენილი. ამ სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა, რის გამოც მხოლოდ გარეგნული ნიშნებით, ე. ი. პირობით, უნდა მივაკუთვნოთ ის ე. წ. მდიდრულ სამარხთა ჯგუფს.

ფილაქვითნაგებ ქვისსამარხთა შორის სახურავის მოყვანილობის მიხედვით ორი ქვეჯგუფი გამოირჩევა; ესენია: ა) ბანურ სახურავიანი სამარხები და ბ) ორფერდასახურავიანი სამარხები. ამასთანავე, ფილაქვითნაგებ სამარხთა უმეტესობა ბანურ სახურავიანია, თუმცა გავრცელებული ჩანს ორფერდასახურავებიანებიც. ორფერდასახურავიანია, მაგ., როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სამთავროს 1940 წლის № 212 ქვისსამარხი (ტაბ. XXX, 1—2); სამთავროს ტაძრის წინ 1942 წელს აღმოჩენილი სამარხი; წყალთამეურნეობის შენობის ადგილას აღმოჩენილი პირველი ქვის სამარხი; არმაზისხევის № 2, 5, 18, 40 და 43 სამარხები[12].

განსახილველი ხანის ფილაქვითნაგებ სამარხებში თითო მიცვალებული დაუსაფლავებია ასეთია საერთო სურათი, მაგრამ გამონაკლისის გარეშე არა. ყოველ შემთხვევაში ახ. წ. III საუკუნიდან უკვე შეიმჩნევა ამ ტიპის სამარხებში ორი ან მეტი მიცვალებულის დამარხვის შემთხვევებისა გარეშოობაც არ ცვლის საერთო სურათს, რადგან მესამე საუკუნის მომდევნო ხანა საკმაოდ აშკარად ამჟღავნებს ახალ, დედაქალაქობის შემდეგ ხანისათვის უფრო მკაფიოდ დამახასიათებელ ნიშნებს. ეს პირველყოვლისა საოჯახო ან ჯგუფურ სამარხთა თანდათანობით გავრცელებაშა გამოიხატება.

ფილაქვითნაგებ სამარხთა ამ მხრივ დახასიათებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ადრინდელ სამარხთა მეორედ გამოყენების შემთხვევები. ასეთ მაგალითებს მცხეთის მიდამოში საკმაოდ ხშირად ვხვდებით. მაგალითისათვის არმაზისხევის 1940 წლის მერვე სამარხი შეიძლება დავასახელოთ. ასეთივეა ბერსუმა ერისთავის სამარხად მიჩნეული მესამე სამარხი და ა. შ. მეორე შემ-

---

[10] ალ. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამარხები მცხეთაში. „მიმომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 261—262.

[11] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ღომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა I, თბ., 1955, გვ. 21—23, 40; 47; 63 და სხვ.

[12] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ღომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა I, თბ., 1955, გვ. 40, 63, 102, 110, 119.



სურ. 84. არმაზისხევი. ერისთავთა სამაროვნის მეორე სამარხის გეგმა და განაკვეთები

თხვევაშიც სამარხი ნაგებობის მეორედ გამოყენებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. მერვე სამარხში აშკარად გვიან ორი მიცვალებულია ჩასვენებული, რა თქმა უნდა, ყოველგვარი სამარხი ინვენტარის გარეშე. საყურადღებოა, რომ ორივე კარგად იყო დაცული და თითქოს ერთსა და იმავე დროს დაკრძალულის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ცხადსა ხდის, რომ მდიდრულ ინვენტარიანს თითქმის ყოველთვის კარგად ნათალი ლოდებისაგან შეკრული სამარხი წარმოადგენს; ე. ი. ცხადი ხდება, რომ მდიდართა წრეს კარგად ნაგები, გულმოდგინეთ დამუშავებული ლოდებით შედგენილი სამარხები ჰქონდა და ეს წრე თავისი მდგომარეობისათვის შესაფერის ინვენტარსაც ატანდა მიც-



სურ. 85. არმაზისხევი. ბერსუმა ერისთავის სამარხის ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

სამთავროში, არმაზისხევთან, ავჭალასა და კარსნისხევთან აღმოჩენილ ფილაქვითნაგებ სამარხთა შორის ძალიან ბევრია ჯგუფური სამარხი, მაგრამ ისიც კარგად შეიმჩნევა, რომ ამ სამარხებში მიცვალებულები სხვადასხვა დროს დაუკრძალავთ. ამ შემთხვევებში ადრე დაკრძალულის ჩონჩხი „შევიწროებულია", კედელთან „მიხვეტილია"; ე. ი. განთავისუფლებულია ადგილი სხვა მიცვალებულის დასაკრძალავად. ხშირად ისიც შეიმჩნევა, რომ თავიდანვე ნავარაუდევი ყოფილა სამარხის ჯგუფური დაკრძალვისათვის გამოყენება. ასეთი სამარხები მოყვანილობითაც თვალსაჩინოდ დიდია და, თანაც, მათში პირველად დაკრძალული მიცვალებული კედელთან არის მისვენებული, ე. ი. თავიდანვე შენახულია ადგილი სხვებისათვის. ამრიგად შენახული ადგილი მეტწილად გამოყენებულია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს წინასწარ მომზადებული ადგილი გამოუყენებელიც კი დარჩენიათ. ამ უკანასკნელი სურათის საილუსტრაციოდ შეიძლება ჩვენ მიერ 1941 წელს 1 ივნისს არმაზისხევის შესართავთან გახსნილი მე-19 სამარხი დავასახელოთ.

ფილაქვითნაგებ სამარხთა ინვენტარის შესწავლისა და თვით სამარხი ნაგებობის გაცნობა

ვალებულებს. ლარიბებს კი პირიქით, რიგიანი ქვისსამარხის კეთებაც არ შეეძლოთ და ბევრი-არაფერიც არ ჩაუტანებიათ თავიანთი მიცვალებულებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი რწმენა, როგორც ჩანს, საგანგებოდ დამარხვას მოითხოვდა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლისაგან (ე. ი. ყველანი ცდილობდნენ მიღებული დაკრძალვის წესის დაცვას).

შედგენილ ქვისსამარხთა დამხრობა ახლა კარგად არის შესწავლილი. ძირითადი მიმართულებაა აღმოსავლეთიდან დასავლეთზე. საველე არქეოლოგიური მუშაობისას შემჩნეული და სათანადოდ აღრიცხული ოდნავ შესამჩნევი გადახვევები (SOO—NWW) არ შეიძლება განსხვავებულ დამხრობად იქნას ცნობილი. დამხრობის მხრივ ნეტად თავისებურია არმაზისხევის მეხუთე სამარხი (ტაბ. XXVII, 1); ის სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ იყო ორიენტირებული. თითქმის ასევე იყო ჩადგმული ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგიც (ტაბ. XXIX, 3). ეს ორი გამონაკლისი საერთოდ მიღებულ შეხედულებას, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის და ზოგიერთ სხვა სამარხთან ერთად გამონაკლისის სახით უნდა იყოს განხილული და ცნობილი.

მთლიანადქვეთილი ქვის სამარხები — სარკოფაგები საერთოდ ცოტაა აღმოჩენილი (სულ — 5—6); ისიც ყველა არქეოლოგიური გათხრებისას არაა ნაპოვნი. ასეთს საერთო ვითარებაშიც კი საქართველო არ შეიძლება ამ ტიპის სამარხებით ღარიბ ქვეყნად ჩაითვალოს. საკუთრივ მცხეთაში აღმოჩენილია ოთხი მთლიანადქვეთილი ქვის სამარხი, ანუ ე. წ. სარკოფაგი; ორი მათგანი 1940 წელს აღმოჩნდა არმაზისხევთან (ტაბ. XXVII, 2) და მესამე ბაგინეთის კლდეკართან 1946 წლის სექტემბერში; მეოთხე— 1958 წლის ბოლოს ქ. მცხეთაში, არაგვის ქუჩაზე. ამას გარდა, ერთი სარკოფაგი ნაპოვნია დიღომში და ერთიც — თითქოს ისევ არმაზისხევის შესართავთან, თითქმის იქვე, სადაც მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არმაზისხევის რაზმი საველე სამუშაოებს ატარებდა[13].

სურ. 86. მცხეთა-სამთავრო. კრამიტსამარხი № 120 (1939 წ.) ზედაპირი საბურავის ახდამდე

მცხეთის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი სამარხი-სარკოფაგები ორი ნაწილისაგან არის შედგენილი (სურ. 78, 80; ტაბ. XXVII, 2; XXIX, 1, 3). ქვედა ნაწილი მთლიანი ლოდისაგან გამოკვეთილი ოთხკუთხი მოყვანილობის მოგრძო და საკმაოდ მაღალი პარალელოპიპედისებრი (სურ. 79, 83) ყუთია. ეს ნაწილი ოთხივე შემთხვევაში საგანგებოდ არის გამოკოდილი შიგნიდან და გარედანაც კარგად დამუშავებულია. ესაა სამარხის ძირითადი ნაწილი, რომელშიაც მიცვალებული უნდა ჩაესვენებიათ. და დასაკრძალავად გადარჩეული სამკაული თუ სხვა ინვენტარი უნდა მოეთავსებინათ. მიუხედავად ერთნაირობისა ამ ტიპის სამარხთა ქვედა ნაწილები ერთიმეორისაგან სიდიდით მცირედ მაინც განსხვავდება.

მცხეთის სარკოფაგთა უმთავრესი განაზომები ასეთია:

1) № 6 სამარხი-სარკოფაგის შინაგანი სიგრძე — 1,67 მ; სიგანე — 0,69 მ; სიღრმე — 0,48 მ.

2) № 7 სამარხი-სარკოფაგისა შესაბამისად: 1,70 მ × 0.75 მ × 0,63 მ.

3) 1958 წელს ქ. მცხეთაში არაგვის ქუჩაზე აღმოჩენილი სარკოფაგისა შესაბამისად: 1,90 მ × 0,80 მ × 0,66 მ.

4) ბაგინეთის სარკოფაგისა: 1,85 მ × 0,60 მ × 0,65 მ.

ამრიგად გაირკვა, რომ დაახლოებით ერთი ხანის, ასევე ერთნაირი საერთო მოყვანილობის სამარხ-სარკოფაგთა ქვედა, ძირითადი ნაწილები ზომებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თუმცა ეს განსხვავება ხშირად არც არის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი. სარკოფაგთა აქ გამოქვეყნებული გა-



სურ. 87. არმაზისხევის მეექვსე სამარხი-სარკოფაგის დეტალი—რკინის კავებით შეკრული კუთხე სამარხისა

ნაზომების შედარება ფილაქვითნაგებ სამარხთა განაზომებთან მეტად თვალსაჩინო სხვაობას გვაძლევს. ასე, მაგალითად: არმაზისხევის ერისთავთა ნეკროპოლის მეორე სამარხის შიგნითა ნაწილის (სურ. 84) სიგრძე 2,20 მ უდრის; სიგანე — 1,10 მ; ხოლო სიმაღლე ქვედა ნაწილისა — 0,93 მ; თუ ამ სამარხის და ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგის შიგნითა განაზომებს შევადარებთ ერთი მეორეს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

[13] ლიტერატურაში ამ სარკოფაგის აღმოჩენა ზეპირი ცნობის, გადმოცემის საფუძველზეა შესული.

შდრ. ს. კაკაბაძე, ქალ. მცხეთა — ქალ. არმაზი. საისტორიო კრებული, III, თბ., 1928, გვ. 7. შდრ., აგრეთვე, მ ც ხ ე თ ა I, გვ. 16.

1. შიგნითა განაზომები	სიგრძე	სიგანე	სიმაღლე
ბაგინეთის სარკოფაგისა...	1,85 მ	0,60 მ	0,65 მ.
2. შიგნითა განაზომები არმა-ზისხევის ერისთავთა ნეკროპოლის მეორე სამარხისა	2,20 მ	1,10 მ	0,93 მ.
სხვაობა განაზომთა შორის	0,35 მ	0,50 მ	0,28 მ.

მოტანილი მასალა სავსებით ცხად სურათს გვიხატავს და საკმაოდ დამაჯერებლად არკვევს, რომ სამარხ-სარკოფაგთა შიგნითა



სურ. 88. არმაზისხევის ერთ-ერთი ქვისსამარხის სახურავის ლოდთა რკინის გადასაბმელი

ფართობი მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ფილაქვით ნაგებ ქვისსამარხთა შიგნითა ფართობი. შიგნითა ფართობი კი, როგორც ცნობილია, სამარხთა შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფილაქვით ნაგებ სამარხის აქ მოტანილი ნიმუში სიდიდით მაინცადამაინც არ გამოირჩევა. ცნობილია, რომ არმაზისხევის მეორე სამარხს სიდიდით დიდად სპარბობენ ე. წ. საოჯახო ან ჯგუფური ქვისსამარხები.

მთლიანადკვეთილ სამარხთა (სარკოფაგთა) შედარებითი სიპატარავე, რა თქმა უნდა, დამარხვის წესის რაიმე თავისებურების შედეგი არ არის. სარკოფაგთა საერთო სიპატარავე და განსაკუთრებით შიგნითა ფართობის თუ მოცულობის სიმცირე მასალის ზომებით, ე. ი. იმ ლოდის სიდიდით არის შეპირობებული, რომლისგანაც სარკოფაგი უნდა გამოეკვრათ. ძალიან დიდი ლოდის მოკვრაც ძნელი უნდა ყოფილიყო და გადაზიდვაც — სახიფათო. ამიტომაა სარკოფაგები უფრო პატარები, ფილაქვით ნაგებ სამარხებთან შედარებით. სარკოფაგი დიდი არ არის იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მასში ორი მიცვალებული უნდა ყოფილიყო ჩასვენებული. ჩვენის აზრით, ასეთი უნდა ყოფილიყო არმაზისხევის სამარხი-სარკოფაგი № 6 (ტაბ. XXVII, 2 — მარჯვენა სარკოფაგი).

ამგვარად, ახლა უკვე სავსებით გასაგები ხდება სარკოფაგის სიპატარავის ნამდვილი მიზეზები. ამ გარემოებას შეუძლია ახსნას სარკოფაგებში ზოგიერთი საგნის ძალიან თავისებური მდებარეობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სარეცლის თუ საკარძლის ფეხების სამარხში ჩაწყობის შემოხვევები, დამოწმებული განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ბაგინეთსა და, აგრეთვე, არმაზისხევთანაც, დამახასიათებლად კი მეექვსე სამარხში (სარკოფაგში)[14]. სამარხთა გათხრისას სავსებით ცხადი გახდა, რომ საკარძელი თუ მიცვალებულის დასასვენებელი მდიდრულად მორთულ-მოჩუქურთმებული და ვერცხლის ფურცლით გარშემოჭედილფეხებიანი სარეცელი სამარხში დაშლილი სახით მოუთავსებიათ. მაგ., ბაგინეთის სარკოფაგში სარეცლის ოთხივე, ძვირფასად მოჭედილი, ჩუქურთმოვანი ფეხი სამარხის სამხრეთ კედელთან იყო დაწყობილი. სარკოფაგების შიგნითა ფართობის გათვალისწინება ცხადსა ხდის, რომ სწორედ სამარხთა შიგნითა ნაწილის სიპატარავე აიძულებდა მიცვალებულის ჭირისუფლებს დაემტვრიათ, დაეშალათ და ისე ჩაეტანებინათ მიცვალებულისათვის მისი კუთვნილი საკარძელი, ტახტი თუ მისთვის საგანგებოდ დამზადებული სარეცელი.

ამრიგად, ბაგინეთის და არმაზისხევის სარკოფაგებსა და მდიდრულ სამარხებში საკარძელ-სარეცელთა დაშლილი სახით ჩატანება უნდა აიხსნას თვით სამარხნაგებობათა სიპატარავით და არ უნდა ჩავაქსოვოთ სარეცელთა დაშლის ფაქტში რაიმე მაგიური მნიშვნელობა, როგორც ამას ვარაუდობენ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც სამარხებში პოულობენ განზრახ დამტვრეულ ჭურჭლეულს, რა თქმა უნდა, ჩატანებულს არა იმ მიზნით, რომ მიცვალებულმა „საიქიო ცხოვრებაში" გამოიყენოს[15].

რაკი მეორე საუკუნის იბერიის მეფე და პიტიახშები იძულებულნი გამხდარან თავიანთი მიცვალებულებისათვის შედარებით პატარა სამარხი-სარკოფაგი გაეკეთებიათ, აქედან ცხადად უნდა დავინახოთ სირთულე და სიძნელე დიდი სასარკო-

[14] შდრ. მცხეთა I, გვ. 65, სურ. 34, ტაბ. LXV.

[15] Karsten R., The Civilisation of the South American Indians, L. 1926, გვ. 244—245.

ფაგე ლოდების მოკრისა და სასურველ ადგილამდე გადმოზიდვისა. დამახასიათებელია, რომ მცხეთის ოთხივე სარკოფაგი თავიდანვე დაზიანებული ყოფილა: ბაგინეთისა — დაბზარული (ტაბ. XXIIX, 1). არმაზისხევის მეექვსე — დაბზარული და ორგან რკინის გამირებით გამაგრებული (სურ. 87). არმაზისხევის მეშვიდე სარკოფაგი საერთოდ მეტად კარგ. შესახედავია, მაგრამ როგორც ნასაზი გვიჩვენებს, სარკოფაგის ქვედა ნაწილს ჩრდილო დასავლეთის მხარეზე ქვედა კუთხე (სურ. 80) წატეხილი ჰქონია თავიდანვე. ასევე გაბზარულია მცხეთის სარკოფაგის ჩრდილოეთი კედელი. ასე ნაკლოვან სარკოფაგთა გამოყენება სამეფოს მეთაურთა თუ წარჩინებულ მოხელეთა წრისათვის, ამ ტიპის სამარხთა კეთების დიდი სიძნელის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ისევე როგორც ფილაქვითნაგები სამარხები, სახურავის მოყვანილობის მიხედვით მთლიანქვეთილი სამარხი-სარკოფაგები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ესენია: ა) ორფერდასახურავიანი (ბაგინეთის კლდეკრისა და არმაზისხევის მეშვიდე. ტაბ. XXVII2, მარცხენა და XXIX, 1, 3), ბ) ბანურსახურავიანი (არმაზისხევის მეექვსე*. ტაბ. XXVII, 2 მარჯვენა; XXIX, 4).

როგორც აღვნიშნეთ, სამ სარკოფაგს სახურავი მთლიანი ქვისა აქვს. ორფერდასახურავები გარედან საგანგებოდ გათლილ-გამოკოდილია. ეს განსაკუთრებით არმაზისხევის მეშვიდე სამარხის სახურავზე ითქმის, რომელსაც მეტად აშკარად ეტყობა კბილანა კეკოს და სხვა იარაღთა პირწმინდად ერთმანეთის მიმყოლი კვალი (სურ. 80—82). ამასაც და ბაგინეთის სარკოფაგის სახურავსაც შიგნითა ნაწილი ამოკვეთილი აქვთ, რაც სარკოფაგთა შიგნითა მოცულობას ერთგვარად ზრდის კიდევაც (სიმაღლე ემატება). ბაგინეთის და არმაზისხევის ორკალთასახურავიანი სარკოფაგები გარეგნულად მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავება პირველყოვლისა სახურავია მოყვანილობაში იჩენს თავს. ბაგინეთის სარკოფაგის სახურავი უფრო ფართო ქედიანია, ვიდრე არმაზისხევისა; კალთები ბაგინეთისას უფრო ნაკლებად დაქანებული აქვს, ვიდრე არმაზისხევისას და სხვა (შდრ. ტაბ. XXVII, 2 და XXIX, 1, 3). ამ ორი სარკოფაგის შესახებ სრულ წარმოდგენას ქმნის უკვე გამოქვეყნებული ნახაზები, რის გამოც მათ დაწვრილებით აღარ განვიხილავთ[16] (შდრ. ტაბ. XXVII, 2 — მარცხენა და ტაბ. XXIX, 3).

ბანურსახურავიანი სარკოფაგის შესახებ ბევრი არაფერი ითქმის. სახურავად ამ შემთხვევაში დიდი, ბრტყელი, მხოლოდ ქვედაპირგათლილი და სხვა მხრივ დაუმუშავებელი ლოდია გამოყენებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თავდაპირველად ამ სარკოფაგსაც ორკალთასახურავს უკეთებდნენ, მაგრამ ალბათ გამოთლისას ან უფრო გადმოტანისას გაუტყდათ და ბრტყელი ლოდი დაახურეს მას, ამ მიზეზისა გამო.

სარკოფაგთა დამხრობის მხრივ ასეთი მდგომარეობაა: როგორც ზემოთ მივუთითეთ, ბაგინეთის სარკოფაგი ისე, როგორც არმაზისხევის მეხუთე სამარხი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. არმაზისხევის (ორივე) და მცხეთის სარკოფაგიც დამხრობილია ჩვეულებრივ ქვისსამარხთა მსგავსად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

საყურადღებო გამოდგა სარკოფაგების ორი ნაწილის: ქვედა — ყუთისა და სახურავის ერთმანეთთან გადაბმის წესი. ბაგინეთის სარკოფაგის შემთხვევაში ამ მიზნით რკინის მოზრდილი გამირება გამოყენებული (ტაბ. XXIX, 1). სამარხის ყოველ გვერდზე ორი ან სამი ასეთი გამირია ტყვიით ჩადღებული, საამისოდ საგანგებოდ ამოჭრილ ფოსოებში და ამრიგად სახურავი და ქვედა ნაწილი მჭიდროდ და საიმედოდ არის ერთიმეორესთან გადაბმული (ტაბ. XXVII, 1).

ქვედა ნაწილისა და სახურავის ერთიმეორეზე გადაბმა მსგავსი გამირებით, როგორც ჩანს, არმაზისხევის მეშვიდე სამარხის მკვეთებელთაც განუზრახავთ (სურ. 80, 81 და 82). საამისოდ რკინის გამირთა ბოლოების ტყვიით ჩასადღებლად სამარხის სამხრეთ გვერდზე ოთხი ფოსო ამოუჭრიათ, დასავლეთ გვერდზე ცალმხარეს — 2 ფოსო, მაგრამ ფოსოების ამოჭრა აქ შეუწყვეტიათ და უკვე ამოჭრილ ფოსოებშიც გამირები არ ჩაუსვამთ (ტაბ. XXVII, 2 — მარცხენა — ორფერდასახურავიანი სარკოფაგი). რატომღაც გადაწყვეტილება შეუცვ-

* მცხეთაში 1958 წლის ბოლოს აღმოჩენილ სარკოფაგს სახურავი არ აღმოაჩნდა;როგორც ჩანს, ის გაძარცვისას დაუმსხვრევიათ და შემდეგ უთლელი ლოდები დაუფარებიათ. ასეთ ვითარებაში ამ სარკოფაგის პირვანდელი სახურავის შესახებ ჯერჯერობით არაფერი გვეთქმის.

[16] მ ცხ ე თ ა, I, გვ. 83—84, სურ. 45—48.

ვლიათ[17]. არმაზისხევის მეექვსე სამარხს ასეთი ღონისძიება სულაც არ ეტყობა (ტაბ. XXVII, 2; მარჯვენა — ბანურსახურავიანი სარკოფაგი).

არმაზისხევის მეშვიდე სამარხი — სარკოფაგის გარშემოთხრისას გამოირკვა, რომ უკვე გამოთლილი სამარხი თავის ადგილას ჩაუტანიათ აღმოსავლეთის მხრიდან, საკმაოდ ფართო თხრილის — თავისებური „დრომოსის" საშუალებით.

როგორც ირკვევა, მთლიანად კვეთილი სამარხი-სარკოფაგი ფილაქვითნაგებთაგან განსხვავებით მხოლოდ სამეფოს მმართველი წრის წარმომადგენელთა და მათი ოჯახის წევრთა დასაკრძალავ ნაგებობას წარმოადგენდა დედაქალაქობის ხანის მცხეთაში. ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევს ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი, რომელშიაც მეფე თუ მეფის ასული იყო დაკრძალული და არმაზისხევის მეექვსე და მეშვიდე სამარხები, რომლებშიაც პიტიახშთა ასულები (ერთში შეიძლება სერაფიტა) იყვნენ დაკრძალულნი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ სარკოფაგთა მცირერიცხოვნება (სულ ოთხია აღმოჩენილი ჯერჯერობით „დიდ მცხეთაში") და ისიც, რომ სამში მეტად მდიდრული ინვენტარია აღმოჩენილი (მეოთხე გაძარცული იყო).

როგორც ფილაქვითნაგები სამარხები, ისე სამარხი-სარკოფაგები თავის დროზე მიწით ყოფილა დაფარული. ეს სურათი დასტურდება, როგორც „დიდ მცხეთაში", ისე მის ახლო მიდამოებსა და საერთოდ მთელს სამეფოში. ასეთი დასკვნისათვის მეტად დამახასიათებელ საფუძველს სამთავროს სამაროვანი გვაძლევს. აქ ფილაქვითნაგები სამარხები სხვადასხვა სიღრმეზეა ჩადგმული, ზოგჯერ ერთიმეორეზედაც კი, ისე, რომ უსაფუძვლო იქნებოდა სამარხნაგებობათა მიწისზედა არსებობა გვევარაუდნა.

ამგვარი დასკვნისათვის სავსებით მტკიცე საფუძველს არმაზისხევთან აღმოჩენილი პიტიახშთა წრის სამარხები გვაძლევს. ამ სამაროვნის უმნიშვნელოვანეს სამარხთა სიღრმე ასეთია: პირველი სამარხის სახურავი მიწის ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა; მეორე სამარხისა — 70 სმ-ზე; მესამე სამარხისა — 100 სმ-ზე; მეოთხე სამარხისა — 80 სმ-ზე; მეხუთე სამარხისა — 5 სმ-ზე; მეექვსე სამარხისა — 220 სმ-ზე; მეშვიდე სამარხისა — 185 სმ-ზე; მეცხრე სამარხისა — 75 სმ-ზე და ა. შ.

ამ მონაცემებთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გათხრისას კარგად ჩანდა სამარხის ჩასადგმელად ჩაჭრილი თხრილები და ერთ შემთხვევაში (მეშვიდე სამარხი), როგორც აღვნიშნე, სარკოფაგის ჩასატანი „დრომოსიც" გამოჩნდა. სამარხის აღმოსავლეთ მხარეზე, მაშინ სავსებით ცხადი გახდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ დედაქალაქობის ხანის ქვისსამარხები მიწაში სხვადასხვა სიღრმეზე ჩაუდგამთ, თანაც ისე, რომ მათი სახურავი მიწის მეტ-ნაკლები სისქის ფენით ყოფილა დაფარული.

1941 წლის მუშაობამ არმაზისხევთან მეტად საყურადღებო მასალები მოგვცა სხვათა შორის ამ საკითხისათვისაც; IV საუკუნის ნაგებობათა ქვეშ, საკმაოდ ღრმად აღმოჩნდა სამარხები ჩადგმული, ისე რომ ჩადგმისას სამარხის სიგანეზე ჩაუჭრიათ ანტიკური კერამიკის ფრაგმენტების შემცველი კულტურული ფენა[18].

მიწის ზედაპირზე, როგორც ჩანს, სხვადასხვა გამოსაცნობი ნიშანი იყო, ზოგჯერ წარწერიანი სტელებიც კი. მაგ., ავრელის სამარხზე, სერაფიტას სამარხზე და ა. შ. გამოსაცნობი ნიშნები მით უფრო საჭირო იყო დედაქალაქობის ბოლო ხანებში, იმ სამარხთათვის მაინც, რომლებშიაც რამდენიმე მიცვალებულია დაკრძალული, როგორც გამოირკვა უთუოდ სხვადასხვა დროს. ჯერჯერობით გამორკვეული არ არის როგორი სახისა იყო ეს გამოსაცნობი ნიშნები (სტელების გამოკლებით).

სათანადო ადგილას დაწვრილებითი საუბარია იმის შესახებ, რომ ფილაქვით ნაგები სამარხები და სარკოფაგები, ისევე, როგორც კრამიტსამარხები დედაქალაქობის ხანისათვის დამახასიათებელ ხუროთმოძღვრულ ძეგლებსაც, იმ დროის მონუმენტალური ხუროთმოძღვრების მინიატურულ ფორმებს წარმოადგენდნენ.

მავზოლეუმის ტიპის აკლდამები მცხეთაში და საერთოდ საქართველოში ცნობილი არ იყო უკანასკნელ ხანებამდე. ამჟამად, მცხეთაში სამი ასეთი სამარხი გვაქვს. პირველი 1947 წელს აღმოაჩინა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმმა, დედაქალაქის შიდაციხის ტერიტორიაზე (სურ. 76; ტაბ. XXIX, 4; მეორემ კი — 1951 წლის 11 ივნისს იჩინა თავი „რკინიგზის სადგურ მცხეთის აღმოსავლეთით,

[17] მ ც ხ ე თ ა, I, სურ. 45.

[18] მ ც ხ ე თ ა I, სურ. 69.

300-ოდე მეტრის მანძილზე, კლდოვანი მთის ციცაბო კალთის ძირას"[19] (სურ. 72—75; ტაბ. XXVI).

ბაგინეთის აკლდამა ძველი დედაქალაქის შიდაციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია აღმოჩენილი. კლდეკარის სარკოფაგსა და აბანოს ნანგრევებს შორის, „მარნის უბნის" ჩრდილოეთით, ციცაბო კლდეშვერილის თავზე, იქ, სადაც ბაგინეთის კლდეკარის დასაწყისთან, მარჯვენა მხარეზე — გამოქვაბული ჩანს.

აკლდამის საფუძველი კლდეშია ჩადგმული; ამ მიზნით კლდისთავი დავაკებულია, საერთოდ მოსწორებული და შემდეგ ჩაჭრილი, დაახლოებით აკლდამის მოყვანილობის მიხედვით. ამგვარად მომზადებულ ნიადაგზე თვით აკლდამა აუშენებიათ (სურ. 76 — განაკვეთი).

აკლდამის ნაგებობა ექსპედიციას საფუძვლიანად დანგრეული დახვდა. თავის ადგილზე აღმოჩნდა მხოლოდ წყობის მეტად მცირე ნაწილი. კედლის თლილი ლოდებიც წაუღიათ, როგორც ჩანს, აკლდამის გაძარცვის შემდეგ. შემონახული ნაწილი საკმაო საფუძველს გვაძლევს ნაგებობის გეგმის წარმოსადგენად. ირკვევა, რომ აკლდამა ორ ნაწილისაგან შედგებოდა: წინა ნაწილისაგან, რომელიც 5.4 მ² ფართობისა იყო, და ძირითადი, მიცალებულის დასაკრძალავი სენაკისაგან, რომლის ფართობი 7,4 მ² აღწევდა. ეს ძირითადი სენაკი კვადრატულია; წინა ნაწილი კი — მოგრძო და მას აღმოსავლეთით კლდეში ვამოკვეთილი სამსაფეხურიანი ვიწრო შესასვლელი უნდა ჰქონოდა (სურ 76 — გეგმა).

როგორც აღვნიშნეთ, ექსპედიციას ხელუხლები დასვდა აკლდამის საფუძველი — პირველი ქვედა და ნაწილობრივ მეორე რიგიც, კლდეზე დადგმული, კარგად დამუშავებული, სხვადასხვა ზომის ქვათლილებისა. ნაგებობის დარჩენილი ნაწილი საკმაო მასალას გვაძლევს მშენებელთა დახელოვნების შესახებ წარმოდგენის შესამუშავებლად. ქვები ძალიან კარგად არის გათლილი და მეტად მჭიდროდ მორგებული ერთმანეთთან. ეს უკანასკნელი იმდენად ოსტატურად არის შესრულებული, რომ ქვებშორის ნაკერები ოდნავ შეიმჩნევა. ასეთი სურათია მთელ რიგზე, მათ შორის კუთხეებშიაც, სადაც საგანგებოდ გამოთლილ კუთხურ ქვებს („ს ა კ ი დ უ რ ი") ეხედავთ[20].

ასე გათლილ-გამოკოდილი ქვები ერთი მეორეზე ლითონის სამაგრებით ყოფილა გადაბმული სამაგრებს ბოლოები ტყვიით ჰქონიათ ჩადუღებული ქვათლილების კიდეებზე ამოტეხილ ფოსოებში. ამჟამად სამაგრები შემონახული არ არის. მძარცველებს ამოუგლეჯიათ და წაუღიათ, მაგრამ ფოსოების მიხედვით ადვილად ირკვევა, რომ ქვათლილები ერთი მეორეზე ორ-ორი სამაგრით ყოფილა დაბმული; ამიტომაა, რომ ყოველ ქვაზე ოთხი სამაგრის ბუდე შეიმჩნევა, ქვათლილის ორ კიდეზე ორ-ორი (ტაბ. XXIX, 4).

ერთიმეორეზე ამგვარად გადაბმული ქვათლილები ნაგებობის პერანგს, მის მოპირკეთებას წარმოადგენენ; აკლდამის კედლის ნაწილი კი — კირითნაშენ ნატეხიქვის წყობას, თუ კლდისა და აკლდამის პერანგშორისი ადგილის შევსებას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ექსპედიციამ ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე ნახა. აქ კედლის საერთო სისქე თითქმის ერთ მეტრს აღწევს. ეს ნაწილი შეიძლება ქვითკირად მივიჩნიოთ. ქვითკირის ვერტიკალურ ზედაპირზე კარგად ჩანს კვალი ზედა რიგის (ახლა უკვე გადანგრეულის) ქვათლილებისა თითქმის 1,5 მეტრის სიმაღლეზე, ე. ი. ქვითკირის შემონახული ნაწილის მთელ სიმაღლეზე. შესაძლებელია ეს იყოს დაახლოებითი სიმაღლე თვით აკლდამის კედლებისა (ტაბ. XXIX, 4).

აკლდამის ძირითად სენაკს კარგად დატკეპნილი იატაკი აქვს. უკანასკნელი სამი ფენისაგან შედგება: კირისა, ქვიშისა და კირის ხსნარიანი ფენისაგან, რომელშიაც დანაყილი აგურის თუ კრამიტის ფხვნილია გარეული. ამგვარად მოფენილი იატაკის სისქე 4 სმ აღწევს.

თუ ნაგებობის შემონახული ნაწილის საფუძველზე აკლდამის გეგმის წარმოდგენა ხერხდება, იგივე არ ითქმის მთელი ნაგებობის შესახებ, სახელდობრ, აკლდამის კედლებისა, ფასადისა და, განსაკუთრებით, გადახურვის შესახებ. მცირეოდენი დახმარება ამ მხრივ შეიძლება იმ მცირერიცხოვანმა ნივთებმა აღმოგვიჩინოს, რომლებიც მძარცველებს გადარჩენია და ახლა ექსპედიციის განკარგულებაშია. ეს ნივთები ნაგებობის ხნოვა-

[19] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", ტ. XII, № 10, თბ., 1951, გვ. 641.

[20] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ., 1946, გვ. 146.

ნობის გარკვევაში გვეხმარება და თუ აკლდამის ხნოვანობა დაახლოებით მაინც დადგინდა, მაშინ სხვა ქვეყნებში გავრცელებულ იმდროინდელ ნაგებობათა გათვალისწინებით შეიძლება ბაგინეთის აკლდამის საერთო მოყვანილობაც წარმოვიდგინოთ.

სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის ჭურჭლის მცირე ნატეხები; მინის ჭურჭლის ნატეხები; ოქროს კილიტები; ნახევრადძვირფასი თვლები; მათი ოქროს ბუდეები და ოქრომკერდის ნაწყვეტები. ეს ინვენტარი ახ. წ. I—III საუკუნეებს მიეკუთვნება. ამრიგად, ჩნდება ერთი სახის საფუძველი ნაგებობის ხნოვანების გასარკვევად, მაგრამ, ცხადია, ეს არ კმარა. საჭიროა შევიხსენოთ, რომ ძვ. და ახ. წ, პირველ საუკუნეებზე მიუთითებს მშენებლობის ტექნიკაც; კერძოდ რკინის სამაგრების გამოყენება. ცნობილია, რომ ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ბაგინეთში და წიწამურზე ასეთ სამაგრებს არ იყენებდნენ; ბაგინეთზე გავრცელებული იყო უწყვეტი (ე. წ. „მერცხლის კუდა") და ისიც არა რკინისა, არამედ ხისა. სწორედ ამიტომ ბაგინეთის აკლდამის რკინის სამაგრები ძვ. და ახ. წ. მიჯნას უნდა დავუახლოვოთ. უფრო ჩვენსკენ გადმოიწევა ეს დრო თუ გავითვალისწინებთ რკინის სამაგრებს ბაგინეთის სარკოფაგზე (ახ. წ. 150—160 წლები), ბერსუმა პიტიახშის სამარხზე (ახ. წ. III საუკუნე) და არმაზისხევის მეხუთე სამარხზე (დაახლოებით II—III საუკუნეები).

ამ გზით თითქოს ირკვევა, რომ ბაგინეთის აკლდამის აშენების ხანად I—II სს. უნდა ვივარაუდოთ.

იმ ხანებში და, უფრო ადრეც, გავრცელებული ძავზოლეუმის ტიპის აკლდამების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მრავალი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ — ბ. ფარმაკოვსკის მიერ ოლვიაში 1901 წლის აგვისტოში გათხრილი მავზოლეუმის ტიპის სამარხი, რომელიც ცნობილია „ევრისივიუსის და არეთას" აკლდამად[21]. ეს ნაგებობა, როგორც გამთხრელსა აქვს გამოქვეყნული, სამარხში აღმოჩენილი ნივთებისა და აკლდამის არქიტექტურის მიხედვით ახ. წ. II საუკუნის ბოლოს ან III საუკუნის დასაწყისს უნდა მიეკუთვნოს[22], ე. ი. თითქმის ერთი საუკუნით შორდება ბაგინეთის აკლდამას. ოლვიის აკლდამის გეგმა შესამჩნევად უახლოვდება ბაგინეთისას. პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ ოლვიისა და ბაგინეთის აკლდამებს თითქმის ერთნაირი აქვთ: კვადრატული მოყვანილობის ძირითადი ნაწილი ანუ მიცვალებულის დასაკრძალავი სენაკი; წინა უფრო მოგრძო და ვიწრო ნაწილი, რომელიც კიდევ უფრო ვიწრო კარით უერთდება ძირითად სენაკს და ამ წინა ნაწილში შესასვლელი (უფრო სწორად ჩასასვლელი) საფეხურები[23]. ძალიან ჰგავს ეს აკლდამები ერთი მეორეს მშენებლობის ტექნიკითაც; კერძოდ იმით, რომ აკლდამის კედლები თითქმის ერთნაირად გამოყვანილი, ოთხკუთხი ქვათლილებით არის მოპირკეთებული[24]. რა თქმა უნდა, ქვათლილები სხვადასხვა ზომისაა: ოლვიისა უფრო გრძელია, ბაგინეთისას უფრო სწორი ფორმები აქვს — უფრო მოკლეა და უფრო განიერიც. ეს განსხვავება უფრო ოლვიის აკლდამის თაღის ქვებს შეეხება. მითითებულ მსგავსებასთან ერთად საყურადღებო განსხვავებაა ამ ორ აკლდამას შორის. ასე. მაგ., ბ. ფარმაკოვსკის აღნიშნული აქვს, რომ: «Склеп выстроен в два ряда камней. Только внутренняя сторона постройки сделана из тесанного камня. Наружная сторона, прилегающая к земле, не имеет правильной кладки и состоит из простых нетесанных камней разной величины, скрепленных между собою глиной. Плиты, облицовывавшие стены и потолок склепа, приложены одна к другой без всякого цемента и, кажется, не имеют никаких скреп»[25].

ოლვიის აკლდამის ეს დახასიათება, რომ შევადაროთ ბაგინეთის აკლდამის ზემოთ მოცემულ აღწერილობას, მივიღებთ შემდეგ სურათს: ა) ბაგინეთის და ოლვიის აკლდამებს ძირითადად თითქმის ერთნაირი გეგმა აქვთ; ბ) ნაგებობის შიგნითა ნაწილი ბაგინეთშიც და ოლვიაშიც კარგად ნათალი ოთხკუთხა მოყვანილობის ქვათლილებით არის ჰოპირკეთებული; გ) ბაგინეთის აკლდამის კედლის ძირითადი ნაწილი ქვითკირია, ე. ი. ნატეხი ქვის წყობაა კირის სსნარზე; ოლვიის აკლდამაში კ. ქვითკირის კედელი სულაც არ არის. კედლის გარეთა, ე. ი. ის ნაწილი, რომელიც მიწას უერთდება სხვადასხვა ზომის, დაუმუშავებელი, ერთიმეორესთან თისით შემტკიცებული ქვების წყობას წარმოადგენს; დ) ბაგინეთის ქვათლილები ერთი-

[21] Б. Б. Фармаковский. Склеп Евресивия и Ареты в Ольвии, ИАК, вып. 3, 1902, გვ. 1—20.

[22] იქვე, გვ. 15.

[23] იქვე, ტაბ. 1.

[24] იქვე, გვ 7.

[25] იქვე, გვ. 8.

მეორესთან რკინის სამაგრებით ყოფილა გადაბმული, ოლვიისას კი, როგორც ბ. ფარმაკოვსკი აღნიშნავს, არ უნდა ჰქონდეს არავითარი სამაგრები.

აქ ჩამოთვლილი სხვაობანი მეტად მნიშვნელოვანია, იმის წარმოსადგენად, თუ რა მონდომებითა და როგორის დახელოვნებით უშენებიათ ბაგინეთის აკლდამა. ამასთანავე, თუ გაეითვალისწინებთ თვალსაჩინო განსხვავებებს ნაგებობის ცალკეულ ელემენტების შედარებისას, მაშინ სავსებით ცხადი გახდება, რომ ბაგინეთის აკლდამა ადგილობრივ ხუროთმოძღვართა და მშენებელთა შემოქმედების ნაყოფია და, რა თქმა უნდა, არ მიგვითითებს სხვა ქვეყნებიდან მზამზარეული ფორმის გადმოტანაზე.

ასეთ დასკვნას ვიღებთ ბაგინეთის აკლდამის შედარებიდან სხვა აკლდამებთან.

მავზოლეუმის ტიპის მეორე აკლდამამ, როგორც აღვნიშნეთ, 1951 წლის ივნისში იჩინა თავი მცხეთის რკინიგზის სადგურის მიდამოებში. უფრო სწორად, მცხეთის ძველი ხიდის სამხრეთით, ბაგინეთის (არმაზის) ქედის ჩრდილო კალთის ძირას, რკინიგზის ლიანდაგთან ახლოს (სურ. 72—75; ტაბ. XXVI)*.

მცხეთის ეს აკლდამა ერთსენაკიან ნაგებობას წარმოადგენს. იგი აშენებულია ქვიშაქვის დიდი ქვათლილებით. ამგვარი ქვებითაა გამოყვანილი აკლდამის ნახევარწრიული სახურავი ნაწილი. შიგნიდან აკლდამის კედლები და ნახევარწრიული კამარა შელესილია, როგორც ჩანს. კირხსნარით, რომელსაც დანაყილი აგური თუ კრამიტი ურევია და ამის გამო, თითქოს მოწითალო ელფერი გადაჰკრავს. აკლდამის გარეთა ნაწილთაგან მხოლოდ ფასადი — აღმოსავლეთი ნაწილი ჩანს. ეს ნაწილი ეტყობა საკმაოდ დიდხანს იყო გამოსაჩენად და სწორედ ამის გამოა ასე დამუშავებული. აკლდამის შიგნითა ფართობი დაახლოებით 4,2 კვ. მეტრს აღწევს; სიგრძით 2,33—2,37 მეტრია, სიგანით კი — 1,75—1,80 მეტრი. როგორც ფილაქვითნაგებ სამარხთა უმრავლესობა, ისე ეს აკლდამაც დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. კარგად გათლილი ქვის ფილები უგია მას იატაკადაც. აკლდამის აღმოსავლეთი ფასადი შემოსილია ძოყვითალო ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის ქვათლილებით. ეს კედელი ფუძეს დაბალ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე და ზემოთ თავდება ფრონტონით, რომელიც დაგვირგვინებულია მარტივი, მოხდენილი პროფილის მქონე ლავგარდნით. ფასადს ნაპირები უსწორმასწორო აქვს, ვინაიდან გვერდის კედლები ფრონტონის მიმართულებით თანდათან, საფეხურებრივ ვიწროვდება. შუაში არის კარი, რომელსაც დაბალი ზღურბლი და მკაფიო-პროფილიანი საპირე აქვს. კარში მჭიდროდ იყო ჩასმული საკმაოდ დიდი (1,03×0,68×0,20 მ) სწორკუთხოვანი ლოდი, გამოჭრილი კირქვიანი ქვიშაქვისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ფასადის ქვათლილები გულდასმითაა ერთიმეორეზე მორგებული, აქაიქ სიმწყობრე დარღვეულია (ჩამოტეხილია კუთხეები, შესამჩნევად ფართოა ნაწიბურები) და ასეთი ადგილები კირითაა ამოლესილი. წყობაში კარს აქეთ-იქით ჩანს რკალისებრი ნაკერები, რომლებიც თითქოს შეესაბამება კამარის მოხაზულობას. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ფრონტონის ლავგარდანთა დამაგრების ხერხი: ორივე მხარეზე ქვედა კუთხე და ფრონტონის ტიმპანის ქვეშ მდებარე ქვათლილი ერთისა და იმავე დიდი ქვისგანაა გამოჭრილი. ასე რომ ეს კუთხის ქვები გვერდიდან ამაგრებენ ფრონტონის შუა ნაწილს[26] (ტაბ. XXVI, 2; სურ. 72).

აკლდამა გადახურულია მცხეთაში კარგად ცნობილი ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტით. კრამიტის სახურავი დიდად სცილდება აკლდამის კედლებს. აკლდამის ნახევარწრიულ კამარაზე კრამიტები კირის ხსნარით არის დამაგრებული; კედლებს გარეთ კი — როგორც გამმთხრელები მიუთითებენ, კრამიტები დანდობილი ყოფილა ხის ლარტყებზე (შდრ. ტაბ. XXVI, 1).

აკლდამის ირგვლივ საკმაოდ მოზრდილი ფართობია (9,10×4,858) შემოზღუდული ნატეხი ქვითა და თიხით ყორულად ამოყვანილი, შიგნიდან თიხით შელესილი კედლებით. კედლის სიმაღლე 1,6—2,1 მ აღწევს.

---

* ამ აკლდამის გათხრის სრული ანგარიში ჯერ არ არის გამოქვეყნებული, ამიტომ წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა გ. ლომთათიძის და ი. ციციშვილის სტატიას და „მცხეთა I"-ში გამოქვეყნებულ მასალებს. სილუსტრაციო ნაწილს ჩვენ მხოლოდ აკლდამის გეგმა და ჭრილები დავუმატეთ. ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ საშუალება გვექნება დავუბრუნდეთ ამ საკითხს, უფრო დაწვრილებით განხილვის მიზნით.

[26] შდრ. გ. ლომთათიძე, ი. ციციშვილი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 10, თბ., 1951, გვ. 642.

მითითებული სტატიის ავტორები გ. ლომთათიძე და ი. ციციშვილი საგანგებოდ შეჩერდნენ საკითხზე: თაეის დროზე ამ აკლდამას თავზე მიწა ეყარა, თუ იგი ჩანდა მიწის ზედაპირზე, თუნდაც ნაწილობრივ. პალელური მასალის გათვალისწინების შემდეგ ისინი მივიდნენ ასეთ დასკვნამდე. „...შეიძლება უეჭველად მივიჩნიოთ მხოლოდ ის, რომ აკლდამას მიწა დაყრილი ჰქონია სამი მხრიდან (სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან) — კამარის ქუსლის ან, უფრო სწორედ, კრამიტის სახურავის დონემდე. ამ სამ მხარეზე გამოჩნდა ნატეხები. მიწა ფარავდა აგრეთვე ფასადის ნაპირებს, რომელთაც საფეხურისებრი პროფილი ჰქონდათ დატოვებული, ეტყობა იმ ვარაუდით, რომ ისინი არ გამოჩნდებოდა"[27].

ამ საინტერესო საკითხის გადაწყვეტისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახურავს. როგორც ჩანს, გადახურვითაც დაამსგავსეს ეს სამარხი ნაგებობა იმ დროს ცნობილ საცხოვრებელ თუ სამეფო ან საზოგადოებრივ ნაგებობებს. საეარაუდოა, რომ ეს აკლდამა მისი მფლობელის სიცოცხლეშივე იყოს აგებული (ისევე, როგორც ევრისივიუსისა და არეთას აკლდამა ოლვიაში) და, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ის თავიდანვე არ შეიძლებოდა მიწით დაეფარათ. ასეთი წესი ქართლში უცხო რომ არ ყოფილა, ეს კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრების" შემდეგი ცნობიდანაც: მ ი რ ი ა ნ მეფის მოქცევის „მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რ ე ვ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადავე მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა. და დაფლეს ა კ ლ დ ა მ ა ს ა ვ ე, რ ო მ ე ლ ი თ ჳ თ მ ა ს ვ ე რ ე ვ ს ა ღ ე შ ე ნ ა"[28]. რაკი არ იყო გამორიცხული ღია ცისქვეშ კარგახანს მდგარიყო ეს აკლდამა, მისი კრამიტით გადახურვა გადაუწყვეტიათ.

ამ აკლდამის აღმოჩენასთან დაკავშირებული სხვადასხვა ცნობები საკმაოდ დაწვრილებით არის გარჩეული ზემოთ მითითებულ სტატიაში, რის გამოც აკლდამის აღწერას აღარ გავაგრძელებთ და აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ გარემოებას, დაკავშირებულს მიცვალებულის დაკრძალვასთან. როგორც ჩანს, მიცვალებული ხის სარეცელზე ყოფილა დასვენებული, რაზედაც მიუთითებს სამარხში აღმოჩენილი ფიცრები და მათთან დაკავშირებული რკინის სალტეები, ლურსმნები, ბრინჯაოს საკეტები და სხვ.

ასეთია ძალიან მოკლე დახასიათება მცხეთის 1951 წლის მავზოლეუმის ტიპის აკლდამისა. აკლდამის ნაგებობა და, მიუხედავად გაძარცვისა, მასში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი, სრულიად აშკარად არკვევს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ძველი დედაქალაქის მეტად მაღალი ხელისა და დიდი სიმდიდრის მქონე პირის სამარხთან, რომლის ზუსტ ვინაობას ჯერჯერობით ვერ ვარკვევთ. ასეთ ვითარებაში სავსებით სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ სტატიის ავტორთა დასკვნა იმის შესახებ, რომ „მცხეთის სადგურთან მდებარე აკლდამა ეკუთვნის ქართლის მმართველთა წრის წარჩინებულს[29]". ამ დასკვნის სისწორეში ჩვენ სამარხი ნაგებობის მოკლედ გაცნობამ დაგვარწმუნა, მაგრამ იქ აღმოჩენილი ინვენტარის განხილვა ამ დასკვნას სავსებით ცხადსა და უყოყმანოს ხდის.

ზემოთ ჩვენ გამოვყავით ფილაქვითნაგები სამარხთა ერთი ჯგუფი კარგად გათლილი ლოდებისაგან გულმოდგინედ შეკრული ბანურსასურავიანი და ასევე ნაშენი, ოღონდ ორფერდა სახურავიანი ქვისსამარხები და, უმთავრესად მათში აღმოჩენილი მასალის მიხედვით ეს სამარხები სამეფოს მმართველი წრის კუთვნილებად მივიჩნიეთ. ასევეთვე დასკვნაა მიღებული მთლიანადკვეთილი სამარხების — სარკოფაგების მიმოხილვისასაც.

უფრო ბუნებრივია დაისვას ეს საკითხი მავზოლეუმის ტიპის აკლდამების შესახებ და შეძლებისამებრ გაირკვეს თუ ვის, რომელ სოციალურ ფენას ან წრეს უნდა ეკუთვნოდეს ისინი.

ამ საკითხის გარკვევისას ჩვენს მდგომარეობას ერთგვარად ამსუბუქებს ის გარემოება, რომ მავზოლეუმის ტიპის აკლდამებისდროინდელი ფილაქვითნაგები სამარხები მრავლადაა მცხეთაში. მეტი წილი ფილაქვითნაგები სამარხებისა მდიდრულ ელფერს არ ატარებს და ამათი შედარება მავზოლეუმის ტიპის აკლდამებთან ერთბაშად ცხადსა ხდის, რომ უკანასკნელები (მავზოლეუმის ტიპის სამარხები) ქართლის სამეფოს უმდიდრეს და უმაღლეს მოხელეთა წრეს უნდა ჰკუთნებოდა. ასე-

[27] შდრ. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", ტ. XII, № 10, თბ., 1951, გვ. 642.

[28] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ა.ბ., 1955, გვ. 129.

[29] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 10, თბ., 1951, გვ. 647.

თი დასკვნის გაზიარება გაადვილება, თუ სხვა მომენტებსაც გავითვალისწინებთ, სახელდობრ მდიდრულობის მაჩვენებელია: ა) ნაგებობის ხასიათი: არა მარტო გრანდიოზულად მოფიქრებული გეგმა, არამედ სახელმწიფოებრივ ნაგებობათათვის დამახასიათებელი ქვათლილები, ქვების ერთიმეორესთან პირწმინდად მიყენება, საგანგებო რკინის სამაგრები, რომელთა ბოლოები სათანადო ქვათლილებში ამოკვეთილ ფოსოებშია ტყვიით ჩადუღებული; ბ) საგანგებოდ შეკრული სახურავი — ავრეთვე, სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისათვის ასე დამახასიათებელი კრამიტებით გადახურვა; გ) აკლდამის შიგნითა პირის შელესვა საგანგებოდ შეზავებული ვარდისფერი ხსნარით; დ) ამ ტიპის სამარხთა იშვიათობა; სულ ორია, როგორც აღვნიშნეთ, მცხეთაში აღმოჩენილი; ე) აკლდამების აშენება მეტად თვალსაჩინო ადგილას და რაც, რა თქმა უნდა, ავრეთვე სიმდიდრის პირდაპირი მიმთითებელია — აკლდამებში აღმოჩენილი ინვენტარის საერთო ხასიათი.

აქ ჩამოთვლილი მონაცემები საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ მავზოლეუმის ტიპის სამარხები ქართლის სამეფოს უმაღლესი და უმდიდრესი მოხელეების დასაკრძალავ ნაგებობად მივიჩნიოთ. ამ დასკვნას მხარს უჭერს ისიც, რომ ბაგინეთის აკლდამა ძველი დედაქალაქის შიდაციხის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი; ე. ი. იქ, სადაც სამეფო რეზიდენცია უნდა ყოფილიყო და, როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, მეფეთა სამარხები იყო მოსალოდნელი.

მაგრამ ყველაფერი ეს ნათქვამია მხოლოდ და მხოლოდ მცხეთის მასალების საფუძველზე. მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებაც. მაგალითისათვის კვლავ ევრისივიუსის და არეთას აკლდამას დავასახელებთ, იმიტომ, რომ ეს აკლდამა მტკიცედ უკავშირდება ისტორიულ პირებს, რომელთა სოციალური მდგომარეობა ცნობილია. ბ. ფარმაკოვსკის გამორკვეული აქვს, რომ ევრისივიუსიცა და არეთაც წარმოშობილნი იყვნენ ძველი, მდიდარი და წარჩინებული გვარებიდან[30]. ასეთ წარჩინებულთათვისაც რომ სასახელო ყოფილა მავზოლეუმის ტიპის აკლდამის აშენება სიცოცხლეშივე და ისიც საკმაოდ სწრაფად, ცნობილია წარწერიდან, რომელიც, როგორც ბ. ფარმაკოვსკისა აქვს დადგენილი, სწორედ ოლვიის ზემოთ აღნიშნულ აკლდამას უკავშირდება[31]. ბ. ფარმაკოვსკის გამორკვეული აქვს, რომ ასეთი დანიშნულების ნაგებობები ხშირად უფრო მკვიდრად შენდებოდა და მხატვრულადაც უფრო გაფორმებულად, ვიდრე საცხოვრებელი სახლები[32]. ეს დასკვნა მცხეთის მასალებითაც კარგად მტკიცდება. რა თქმა უნდა, არამდიდართა საცხოვრებელი სახლები ხომ მით უფრო ვერც შეედრებოდა ზემოთ ნაგულისხმევ სამარხ ნაგებობებს.

ვ. ლატიშევსაც ევრისივიუსი და არეთა წარჩინებულად და მდიდრებად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ: «Срок в 17 дней для такого сооружения, каким является описанный Фармаковским великолепный склеп, нельзя не признать весьма коротким и потому требовавшим значительного количества рабочих рук и большой затраты денежных средств"[33].

მოტანილი მასალა ამტკიცებს, რომ ოლვიაშიაც ამ ტიპის აკლდამები უყოყმანოდ მდიდრების კუთვნილებად არის მიჩნეული; ე. ი. მცხეთა ამ მხრივ არავითარ გამონაკლისს არ უნდა წარმოადგენდეს. მცხეთის მდიდრული სამარხები არა მარტო შავიზღვისპირეთის ჩრდილო სანაპიროზე პოულობენ ანალოგებს. პროფ. გ. ღაფანციანი სთვლიდა, რომ არმაზში აღმოჩენილ ქართლის ხელისუფალთა სამარხებს იმეორებენ ქალაქ ანისის სომეხთა მეფეების სამარხთა აღწერილობანი[34]. გ. ღაფანციანს მხედველობაში აქვს ფავსტოს ბუზანდაცის „სომხეთის ისტორიის" ის ადგილი, სადაც მოთხრობილია სანათრუქის სამარხის არაჩვეულებრივი სიდიდისა და საგანგებო ნაშენობის შესახებ[35]. ბუზანდაცის ეს ცნობა სომეხთა მეფეების სამარხთა აღწერილობას არ წარმოადგენს და ამის გამო, ძნელია გ. ღაფანციანის მოსაზრება გავიზიაროთ არმაზის და ანისის სამეფო სამარხთა მსგავსების შესახებ, მაგრამ თავისთავად ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ ავტორს შესაძლებლად მიაჩნია არმაზისხევის ერისთავთა სამარხები ანისის სამეფო სამარხებს გაუტოლდეს.

---

[30] Б. В. Фармаковский, დას. ნაშრ., გვ. 19.
[31] იქვე, გვ. 4.
[32] იქვე.
[33] В. В. Латышев, Надписи, найденные в 1901, ИАК, вып. 3, 1902, გვ. 56.

[34] Гр. Капанцян, Историко-лингвистические работы, Ер., 1957, გვ. 107—109.
[35] История Армении Фавстоса Бузанда. Ер., 1956, გვ. 112.

აქ მოტანილი მასალების საფუძველზე უკვე შეიძლება ითქვას, რომ ქართლის სამეფოს მესვეურთა, წარჩინებულთა და მდიდართა დასაკრძალავად ძველ დედაქალაქში უშენებიათ მავზოლეუმის ტიპის აკლდამები; უკეთებიათ მთლიანად ქვეთიღი სამარხები — სარკოფაგები და შეუდგენიათ საგანგებოდ გათლილი ლოდებისაგან ფილაქვით ნაგები სამარხები, რომლებშიც მიცვალებულთან ერთად შესაფერისი სიმდიდრეც ჩაუმარხავთ.

ამ ტიპის სამარხთა და მათში აღმოჩენილი ინვენტარის შესწავლის საფუძველზე ცხადი წარმოდგენა იქმნება ქართლის სამეფოს მაღალი, მმართველი წრის მდგომარეობის შესახებ. ამ წრის დახასიათების სისრულისათვის საჭიროა რამდენიმე ტიპიური სამარხის ინვენტარიც გავიცნოთ: ე. ი.

სურ. 89. ბერსუმა ერისთავის სამარხში ნაპოვნი ვერცხლის ლანგრის არშია

განვიხილოთ მცხეთაში აღმოჩენილი ის სამარხები, რომლებშიაც მეფის ოჯახის წევრები, პიტიახშები, პიტიახშთა ოჯახის წევრები (მეუღლე, ქალიშვილი, ბავშვი) თუ პიტიახშებთან დაახლოებული, სამეფო კარის მოხელეები იყვნენ დაკრძალულნი. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ჯგუფის გამოყოფის შემდეგ უნდა მოხერხდეს სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა სამარხების გამოყოფა და ამ გზითაც უნდა ვცადოთ შეიქმნას წარმოდგენა დედაქალაქობის ხანის მცხეთის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის შესახებ.

მეფის და მეფის ოჯახის წევრების სამარხთა დამახასიათებლად ჩვენ მივიჩნევთ: ა) ბაგინეთის მავზოლეუმის ტიპის აკლდამას, ბ) მცხეთის სადგურთან 1951 წელს აღმოჩენილ აკლდამას და გ) ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგს.

პიტიახშთა ტიპიურ სამარხებად განვიხილავთ: ა) ე. წ. ასპარუნ პიტიახშის და ბ) ე. წ. ბერსუმა პიტიახშის სამარხებს.

პიტიახშთა ოჯახის წევრების თუ მათთან გათანაბრებული სხვადასხვა თანამდებობის პირთა ოჯახის წევრთა სამარხებად წარმოვადგენთ: ა) არმაზისხევის მეექვსე სამარხს, ბ) არმაზისხევის მეშვიდე სამარხს, გ) არმაზისხევის მეორე სამარხს, დ) არმაზისხევის მეცხრე სამარხს.

ცალკე ჯგუფად დგანან III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის პირველნახევრის მდიდრული სამარხები, როგორც ერთგვარი გარდამავალი ხანის დამახასიათებელი ძეგლები; ე. ი. ისეთი მასალა, რომელიც უფრო საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზაციის ხანისათვის არის დამახასიათებელი. ასეთები შეიძლება იყოს, მაგ.: ა) 1941 წელს არმაზისხევში გათხრილი 13, 18, 19 სამარ-



სურ. 90. ბერსუმა ერისთავის სამარხში ნაპოვნი ვერცხლის ლანგრის მედალიონი

ხები; ბ) 1944—46 წლებში გათხრილი № 40 და № 43 სამარხები; გ) სამთავროს № 211 და ხუბეროვის ეზოში აღმოჩენილი სამარხი და ა. შ.

იმის გამო, რომ სხვა სამარხებთან ერთად არმაზისხევის აქ ჩამოთვლილ სამარხთა ინვენტარიც ვრცლად არის განხილული მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების პირველ ტომში[36], ჩვენ არმაზისხევის სამარხთა მხოლოდ ზოგად დახასიათებას წარმოვადგენთ.

პიტიახშთა მდგომარეობის გასათვალისწინებლად მეტად მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს, როგორც აღვნიშნეთ, ძველი დედაქალაქის ერთ-ერთი უბნის — საპიტიახშოს ტერიტორიაზე 1940 წელს

[36] მცხეთა I, თბ., 1955; Мцхета I, Тб., 1958.

აღმოჩენილი სამარხები. ამ რიგის მოხელეთა ტიპიურ სამარხად არმაზისხევის პირველი სამარხი უნდა მივიჩნიოთ; ე. ი. სამარხი, რომელიც ასპარუგ პიტიახშის სამარხის სახელითაა ცნობილი, იქ წარწერიანი საერისთავო ბეჭდის აღმოჩენის საფუძველზე. პიტიახშის სამარხის მეორე მაგალითს შეიძლება არმაზისხევის მესამე — ბერსუმა პიტიახშის სამარხი წარმოადგენდეს. განვიხილოთ ეს ორი სამარხი:

ა) პირველი სამარხი მავზოლეუმის ტიპის ნაგებობაშია ჩადგმული. ესაა ორსენაკიანი ქვითკირის ნაგებობა, რომლის წინა ნაწილს წარმოადგენს დასავლეთის მხარეზე მოთავსებული პატარა სენაკი, ხოლო ძირითადს, მიცვალებულის დასაკრძალავი მოზრდილი, კვადრატული სენაკი (სურ. 77) აღმოსავლეთის მხარეზე. სწორედ ამ უკანასკნელის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან იყო ჩადგმული ფილაქვით ნაგები სამარხი, როგორც აღვნიშნეთ, სამარხს ოთხი ლოდისაგან შედგენილი ბანური სახურავი აღმოჩნდა. მიწის ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე; ე. ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ეკვდერი მიწისზედა ნაგებობას წარმოადგენდა, საკუთრივ სამარხი თავიდანვე მიწაში ყოფილა ჩადგმული, თანაც საკმაოდ ღრმად. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ის გარემოება, რომ მავზოლეუმის თუ ეკვდერის საძირკველი ჩადის სამარხის სახურავის დონემდე. როგორც ითქვა, ამ მავზოლეუმის აღმოსავლეთის განყოფილებას კვადრატული მოყვანილობა აქვს. მისი ფართობი 36 კვ. მეტრს აღწევს. მეორე განყოფილება — დასავლეთის პატარა სენაკი — სწორკუთხოვანი მოყვანილობისაა. მისი კედლების შეფარდება ასეთია: 6 მ × 4,8 მ; ე. ი. მისი ფართობი 18,25 მ აღწევს[37] (სურ. 77).

ნაგებობის გეგმა საფუძველს გვაძლევს შევადაროთ ის ბაგინეთის და ოლვიის მავზოლეუმის ტიპის ნაგებობებს. საერთო მოყვანილობა მსგავსია და II—III საუკუნეებისათვის, როგორც ჩანს, დამახასიათებელი. არაფერი გვეთქმის ნაგებობის კედლების მოპირკეთების შესახებ, რადგან მხოლოდ საძირკველია შემონახული. განსხვავება მითითებულ სამარხ ნაგებობებს შორის ადვილად შესამჩნევია. პირველ ყოვლისა დამხრობაა განსხვავებული. ძველი დედაქალაქის საპიტიახშო უბანში გათხრილ ნაგებობას მიცვალებულის დასაკრძალავი განყოფილება აღმოსავლეთითა აქვს; ბაგინეთისას სამხრეთ-დასავლეთით, ოლვიისას — დასავლეთით. ამას გარდა საპიტიახშოში ფილაქვით ნაგები ქვის სამარხებია ჩადგმული; მცხეთის რკინიგზის სადგურთან აღმოჩენილ აკლდამაში, როგორც ჩანს, ხის კუბოა თუ სარეცელი; ასეთივე სურათია მოსალოდნელი ბაგინეთში და ბოლოს, ოლვიაშიც.

ამ შემთხვევაში შეიძლება ორ გარემოებას ჰქონდეს მნიშვნელობა: ა) სამარხთა გამართვის დროს, ე. ი. იმას, რომ თუ არმაზისხევისა იქ მეორე სამარხის ჩადგმის შემდეგ მოეწყო, მაშინ ის III ს. 60-იან წლებამდე არ შეიძლება იყოს აშენებული. ბაგინეთისა და მცხეთის კი II საუკუნის შუახანისად უნდა იყოს მიჩნეული. ცნობილია,

სურ. 91. ბერსუმა ერისთავის სამარხში ნაპოვნი ვერცხლის თასის ფსკერის შიგნითა ზედაპირზე ამოკვეთილი გამოსახულება—ცხენი სამსხვერპლოს წინ

რომ ევრისიციუსის და არეთას აკლდამასაც II საუკუნის ბოლოს ან III საუკუნის დასაწყისისად თვლიან;

ბ) დაკრძალულის სოციალურ მდგომარეობას. ე. ი. იმას, რომ მიუხედავად პიტიახშთა დიდი წარჩინებისა, ისინი უფრო მაღალ ხელისუფლებთან დაკრძალვის წესითაც არ თანასწორდებიან. პიტიახშთა სამარხები მეტწილად მიწაშია ჩადგმული და დაფარული, მაშინ, როდესაც უფრო მაღალ თანამდებობათა პირების სამარხებს მავზოლეუმის სახე აქვს; იქ მიცვალებული საგანგებოდ მორთულ და მოჭედილ სარეცელზე ან კუბოშია ჩასვენებუ-

[37] მცხეთა I, გვ. 163—164, ტაბ. XXXV, 2.

ლი. თანაც არ არის გამორიცხული, რომ უკანასკნელთა სამარხები ყოველ შემთხვევაში, ერთის მხრიდან მაინც სანახავად იყო დატოვებული, ე. ი. მიწით მთლად დაფარული არ იყო. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ მცხეთის მავზოლეუმის ტიპის აკლდამები იქნებ სამეფო სამარხებადაც კი მივიჩნიოთ.

მეორე გარემოება უფრო მნიშვნელოვან მომენტად უნდა იყოს მიჩნეული. რაც შეეხება ნაგებობის დაკავშირებას იქ ჩადგმულ სამარხებთან. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ იგი პირველი სამარხის ჩადგმისას აშენებულად მივიჩნიოთ, ხოლო მეო-

-სურ. 92. ბერსუმა ერისთავის სამარხში ნაპოვნი ვერცხლის თასის ჭფსკერთან შეგნითა ზედაპირზე ამოკვეთილი გაბრასახულება—ტორაწეული ცხენი საბსხვერპლოს წინ

რე სამარხი, შემდეგ ჩადგმულად ჩავთვალოთ. ისევე, როგორც შემდეგ არის იქ ჩადგმული ბავშვის კრამიტსამარხიც. ეს, როგორც ვალერიანეს მონეტა გვაფიქრებინებს III საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ უნდა მოვხდარიყო; ე. ი. იმ დროს, როდესაც ჯგუფური სამარხები შეიძლება უკვე იყოს მოსალოდნელი. იქნებ ამის ერთგვარი მომასწავებელიც იყოს ასპარუგის დასაკრძალავად აგებულ შენობაში სხვა სამარხის ჩადგმა, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ[38].

თვით პირველი სამარხი, როგორც მივუთითეთ. ფილაქვითნაგებია. იგი 13 კარგად გათლილ ლოდისაგანაა შედგენილი. ოთხი ლოდი იატაკსა ქმნის, ოთხიც — ბანურ სახურავს; ერთიმეორესთან რკინის სამაგრით გადაბმული ორი ლოდისგანაა შედგენილი სამარხის ჩრდილოეთი კედელი. აღმოსაელეთის, დასავლეთის და სამხრეთის კედლებით თითო ფილაქვაა დაყენებული. ამ 13 ფილაქვის გარდა სამარხის იატაკზე კიდევ ერთი ლოდი აღმოჩნდა, მაგრამ ის სამარხის შედგენაში, ასე ვთქვათ. უშუალოდ არ მონაწილეობს. მას თავსა და ბოლოში ნატეხი ქვები ჰქონდა ამოდებული და ამრიგად ოდნავ შემაღლებული იყო სამარხის იატაკის დონიდან. ამ ლოდზე ეყარა სამარხში აღმოჩენილი ნივთების უმეტესი ნაწილი (ტაბ. XVIII, 2).

როგორც ცნობილია, სამარხმა თითქმის არ შემოინახა ადამიანის ძვლების მეტ-ნაკლებად სრული ფრაგმენტები, მაგრამ სამარხის დასავლეთ კედელთან ნაპოვნი თავის ქალის ნატეხების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მიცვალებული სამარხში წოლილა თავით დასავლეთისაკენ, სავარაუდოა პირაღმა და გაშოტილ მდგომარეობაში[39].

ამ სამარხის გარეგნული აღწერილობა ცხადსა ხდის, რომ ის ფილაქვითნაგებთა ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ ამ ჯგუფის ტიპიური დამახასიათებელი არ არის. იგი ამ ჯგუფიდან გამოირჩევა, როგორც საგანგებოდ შერჩეულ-გათლილი ლოდებისაგან შედგენილი, და თანაც, სხვებთან შედარებით დიდი (ტაბ. XXVIII).

სამარხში სამეფოს დიდი ხელისუფლების (ერისთავის — პიტიახშის) შესაფერისი ინვენტარი აღმოჩნდა. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ:

ა) ოქროს საპიტიახშო (საერისთავო) ბეჭედი, რომლის თვალბუდეში ზის ოვალური მოყვანილობის სარდიონის თვალი, რომელზედაც ამოკვეთილია პიტიახშის პროფილი. მამაკაცის გამოსახულებას გარსშემოუყვება ბერძნული ნეგატიური წარწერა, რომელიც ანაბეჭდზე იკითხება ასე: Ασπαυρούκις πιτιάξης ასპარუგ პიტიახში[40] (ტაბ. XLIX₂).

---

[38] შესაძლოა მავზოლეუმში თუ ეკედერში სხვა სამარხის ჩადგმა თაღდანვე ივარაუდებოდა. საამისო მითითებას შეიძლება ისიც წარმოადგენდეს, რომ ე. წ. ასპარუგ პიტიახშის სამარხი თაღდანვე ეკედრის ჩრდილო ნახევარშია ჩადგმული.

[39] მ ცხ ე თ ა I, გვ. 22—23.

[40] იხ. დაწერილებით: მცხეთა I, გვ. 23—25; იქვეა ლიტერატურა ამ ბეჭდის თვალზე ამოკვეთილი წარწერის შესახებ.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ეს ბეჭედი საერისთავო საბეჭდავია და იგი ერისთავის (პიტიახშის) ხელისუფლების ნიშანს უნდა წარმოადგენდეს[41]. ბეჭდის თვალზე ამოკვეთილი წარწერა დაკრძალულის სახესაც, სახელსაც და თანამდებობასაც გვამცნობს. ამ მხრივ ეს ყველაზე უმნიშვნელოვანესი ნივთია საპიტიახშო უბნის პირველ სამარხში.

ბ) საპიტიახშო (საერისთავო) სარტყლის მორთულობა და ნაწილები ოქროსი. ამათ შორისაა: ოქროს მოზრდილი ამზინდა, სარტყლის ენა, რომელიც ცალმხარეზე თვლებით და ოქროს სამკაულით მორთულ მოგრძო, სწორკუთხოვან, ბრტყელ „კოლოფს" წარმოადგენს, და 8 ბალთა. ბალთებიც სხვადასხვა ფერის თვლებითა და ოქროს სამკაულით არის მორთული. შვიდი მათგანი მრგვალია, ერთი — სწორკუთხოვანი. უკანასკნელი სხვებისაგან მორთულობით, შუათანა დიდ თვალზე ამოკვეთილი წყვილის გამოსახულებითა და წარწერით გამოირჩევა (ტაბ. XLIX, 3). სარტყლის ბალთებზე ამოკვეთილ გამოსახულებებზე საუბარი სხვაგან გვექნება, სადაც დედაქალაქობის ხანის ქვისმჭრელთა ნახელავს განვიხილავთ, რის გამოც ახლა სარტყლის სწორკუთხოვან ბალთის თვალზე ამოკვეთილი ქალ-ვაჟის გამოსახულების ირგვლივ გაკეთებულ წარწერას შევეხებით. როგორც ცნობილია, წარწერა ასე იკითხება: Ζευάχης ζοή μου Καρπακ ჯავახი — სიცოცხლე ჩემი — კარპაკი. აკად. ს. ჯანაშია ვარაუდობდა, რომ ზევახი და კარპაკი ასპარუგის შვობლები შეიძლება იყვნენო[42]. ეს მოსაზრება ახლა უკვე ფართოდ არის გავრცელებული და თითქოს გაზიარებული[43]. ეს წარწერა პირველად ს. ყაუხჩიშვილმა[44] გამოაქვეყნა, შემდეგ ვ. წერეთელმა[45], H. S. Nyberg-მა[46], B. M. Metzger-მა[47], თ. ყაუხჩიშვილმა[48] და სხვ. 1955 წელს, არმაზისხევის არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად, ეს წარწერაც გამოქვეყნდა „მცხეთა I"-ში[49] (იგივე განმეორებულ იქნა რუსულად 1958 წელს[50]).

მიუხედავად იმისა, რომ წარწერის შინაარსი აზრთა სხვაობას არ იწვევს, თარგმნისას სიტყვათა განსხვავებული თანმიმდევრობა იჩენს თავს. ასე მაგ., ს. ყაუხჩიშვილის, ვ. წერეთლის და თ. ყაუხჩიშვილის ნაშრომებში ასეთი თარგმანია გამოქვეყნებული: კარპაკი, ზევახი, სიცოცხლე ჩემი; კარპაკი, ძევახი ჩემი სიცოცხლე; კარპაკ. ზევახ, ჩემი სიცოცხლე; Карпак, Зевах, жизнь моя. ამათგან განსხვავებულია თანმიმდევრობა, გამოქვეყნებული „მცხეთა I"-ის ავტორების მიერ. ჩვენ ვარჩიეთ ასეთი თანმიმდევრობა: ზევახი — სიცოცხლე ჩემი, კარპაკი.

ამა თუ იმ თანმიმდევრობისათვის უპირატესობის მიცემის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ განხილული პორტრეტული წყვილი და მათ გარშემო წარწერა საერისთავო სარტყლის ბალთის მოზრდილ თვალზეა ამოკვეთილი; ე. ი. აღმოჩენილი სახით ის სარტყლის სამკაულია და არა საბეჭდავი. ამ სამკაულზე, უფრო სწორად სამკაულის მოზრდილ თვალზე, მარჯვენა მხარეს ახალგაზრდა მამაკაცია გამოსახული, მარცხნივ კი — ქალი, — ერთმეორის პირისპირ. მამაკაცის გამოსახულების ქვეშ იწყება პოზიტიური წარწერა, რომელიც მიემართება საათის ისრის საწინააღმდეგოდ და შემოუყვება ამ გამოსახულებას ქვემოდან ზემოთ. ამ ერთ გაყოლებაზე კარგად იკითხება: Ζευάχης ζοή μου — ზევახი სიცოცხლე ჩემი. აქ მას უერთდება მეორე წარწერა. ეს უკანასკნელი იწყება პორტრეტული წყვილის გამოსახულების ქვედა კიდეზე, თითქმის ზუსტად შუაში და წარმოადგენს საათის ისრის საწინა-

[41] მცხეთა I, გვ. 24.

[42] С. Джанашиа, Мцхета—древняя столица Грузии.

მოხსენება, წაკითხული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის I სესიაზე, 1941 წლის 2 მარტს.

[43] შდრ. მცხეთა I, გვ. 25.

[44] ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, თბ., 1941, გვ. 169—170

[45] Г. В. Церетели, Армазская билингва, Тб., 1941; ვ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 34; Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета. ВДИ, № 2, М., 1948, გვ. 50.

[46] Nyberg H. S., Quelques iscriptiones antiques découvertes récemment en Géorgies. Eranos, Acta philologica suecana. XLIV, 1946, გვ. 231.

[47] Bruce. M. Metzger, A Greek and Aramaic inscription discoverid at Armazi in Georgia. Journal of Near Eastern studios, vol. XV, 1956, გვ. 18.

[48] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 260—261.

[49] იხ. — მცხეთა I, გვ. 25.

[50] Мцхета, I, Тб., 1958.

აღმდეგოდ მიმართულ ნეგატიურ წარწერას, Καρπακ — კარპაკი.

ამრიგად, წარწერა გაბმულად არ იკითხება; ის ორად გაწყვეტილი ჩანს, ისე, რომ პირველი ნაწილი თუ მას ბალთის თვალზე წავიკითხავთ (და არა ანაბეჭდზე, როგორც ზოგჯერ ამას აკეთებენ) პოზიტიურია, ე. ი. იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ. მეორე კი — ნეგატიურია, ე. ი. იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. ასეთი სურათი, ჩვენის აზრით საფუძველს გვაძლევს უპირატესობა მივცეთ თანმიმდევრობას — ჯავახი — სიცოცხლე ჩემი, კარპაკი. ამას გარდა, მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ Ζοή μου არის Ζευάχης გაგრძელება; ე. ი. ეს გამოთქმა ეხება მეორე პირს, ძევაქს[51]. ასეთ შემთხვევაშიაც ბუნებრივია Ζευάχης შემდეგ წავიკითხოთ ის, რაც მას ეხება და ამიტომაც უშუალოდ მოსდევს მას — Ζοή μου და არა ის, რაც მას არ მოსდევს და რაც პირიქით, საწინააღმდეგო მიმართულებით არის დაწერილი, ე. ი. Καρπακ — კარპაკი.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული თანმიმდევრობა მაშინაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა თუ ვივარაუდებდით, რომ ეს გამოსახულება თავის დროზე შეიძლება კარპაკის საბეჭდავი ყოფილიყო[52].

ადრე გამოქვეყნებულ თანმიმდევრობას: კარპაკი, ზევახი — სიცოცხლე ჩემი. ჩვენის აზრით, შეიძლებოდა უპირატესობა მიეღო იმ შემთხვევაში თუ ჩავთვლიდით, რომ ეს თვალი ეკუთვნოდა პორტრეტული წყვილის ან ერთ-ერთი მათგანის მშობლებს. ასეთ შემთხვევაში ასპარუგი ზევახის მამად უნდა მიგვეჩნია და გვევარაუდნა მამის სარტყლის ბალთაზე ვაჟიშვილისა და რძლის გამოსახულება სათანადო წარწერითურთ. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ასპარუგი უფრო ჯავახის მამა შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე კარპაკისა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს სახელი — ჯავახი (ზევახი — ძევაქი) ადგილობრივი, ქართული ჩანს და დადასტურებულია მცხეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში არა ერთ გზის; კარპაკი კი, როგორც ნიბერგი აღნიშნავს, მართალია პირველად ამ წარწერაში გვხვდება, მაგრამ ირანული წარმოშობის სახელია[53]. ამასთანავე, ვაჟიშვილისა და რძლის გამოსახულებით შემკობა საერისთავო სარტყლისა უფრო ბუნებრივია, ვიდრე ქალიშვილისა და სიძის გამოსახულებით. ეს უკანასკნელი ვარაუდი, ჩვენ თავისთავადაც, ე. ი. მითითებული წარწერის თარგმნის ამა თუ იმ ვარიანტის მიუხედავადაც, საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან თუ ადრე გამოთქმული იყო მოსაზრება, იმის შესახებ, რომ შეიძლება კარპაკი და ჯავახი ასპარუკის მშობლები ყოფილიყვნენ[54], ახლა დასაშვებად არის მიჩნეული მეორე შესაძლებლობა: შესაძლოა ასპარუგი იყო მამა ზევახისა.

გ. წერეთელი შეუძლებლად არ მიიჩნევს ეს ზევახი იდენტური იყოს ბილინგვის ზევახისა — სერაფიტის მამისა[55], მაგრამ გემის წარწერაში მოხსენებული ზევახის გაიგივება პირველი წარწერის ზევახთან მას შეუძლებლად მიაჩნია. იმის გამო, რომ მათ შორის ერთი საუკუნის ქრონოლოგიური განსხვავებაა[56].

სამარხი, რომელშიაც ეს წარწერიანი სარტყლის ბალთა აღმოჩნდა ახ. წ. II საუკუნის შუა ხანებს ან მეორე ნახევარს მიეკუთვნება[57]; ხოლო ბილინგვა, რომელშიაც სერაფიტის მამა ზევახია მოხსენებული, უნდა მიეკუთვნოს II საუკუნის ბოლოს, ან უფრო სწორად, II საუკუნის მეორე ნახევარს[58]. ამრიგად, ბილინგვა და ჯავახ-კარპაკის გამოსახულებიანი გემა სინქრონული გამოდის. ეს კი, თავის მხრივ, მხარს უჭერს გ. წერეთლის დასკვნას, იმის შესახებ, რომ არაა შეუძლებელი ბილინგვის და გემის ზევახი იდენტური იყოს. თუ ასეა, შეიძლება ისიც ითქვას, რომ გემის წარწერაში მოხსენებული ჯავახი ფარსმან მეფის პიტიახშია, ე. ი. ჯავახ მცირეა (Zewaḫ the yeunger) — მეტცგერის მიხედვით. ასე მივიღებთ, რომ გემაზე კარპაკის პირისპირ ჯავახ მცირეა გამოსახული. როგორც წინ ითქვა, არსებობს მოსაზრება გემის წარწერის ზევახისა და ასპარუგის ნათესაური დამოკიდებულების ვარაუ-

---

[51] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

[52] შდრ. იქვე, გვ. 260.

[53] Nyberg, H. S., დასახ. ნაშრომი, გვ. 231; შდრ. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

[54] შდრ. ს. ჯანაშია, საქართველოს ძველი ისტორიული ძეგლები. გაზეთი „კომუნისტი", 1.IV, 1941.

მცხეთა I, გვ. 25. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

[55] ვ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, თბ., 1943, გვ. 34.

[56] იქვე, გვ. 34.

[57] მცხეთა I, გვ. 40.

[58] გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 14.

დის თაობაზე. ახლა ეს მოსაზრება უნდა გავრცელდეს, ბუნებრივად, ჯავახ მცირესა და ასპარუგის ურთიერთობაზე; ამ გზით ასპარუგიც როგორღაც ფარსმან მეფის ხაზს დაუკავშირდება; ე. ი. თუ ჩვენს ვარაუდს გავიზიარებთ, მივიღებდით, რომ ასპარუგის ვაჟიშვილი — ჯავახ მცირე — იყო ფარსმან მეფის პიტიახში.

ასეთი თანმიმდევრობა, როგორც არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებენ არ არის მოულოდნელი. წინთქმულში თარიღის შესახებ ხაზგასმული გვაქვს, რომ ახ. წ. II საუკუნის შუახანებს ან მეორე ნახევარს მიეკუთვნება პირველი სამარხი. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ განხილული წარწერიანი გემაც ამ დროისაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გემა შეიძლება უფრო ადრინდელიც იყოს, ისევე როგორც თვით ასპარუკის ბეჭედი. ისიც არ არის გამორიცხული, რომ ეს ორი ნივთიც არაერთდროული იყოს და მცირე ხნით მაინც უფროს-უმცროსიც. ყოველ შემთხვევაში ასპარუგის საერისთაო საბეჭდავი, ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება უფრო ადრინდელი იყოს, ვიდრე ჯავახ-კარპაკის გემა.

ასპარუგის საერისთავო საბეჭდავი უნდა იყოს ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრისა ან უფრო II საუკუნის I ნახევრისა, ე. ი. იმ დროისა, რომელსაც არმაზისხევის ერთენოვან წარწერას მიაკუთვნებენ[59]. ამის შემდეგ, ბუნებრივია, შესაძლებლად მივიჩნიოთ პირველი სამარხის საერისთავო ბეჭდის თვალზე ამოკვეთილი წარწერის ასპარუგის და ერთენოვან წარწერაში მოხსენებული ასპარუკის[60] იდენტურობა. ამგვარად, მივიღებდით, რომ ერთენოვან წარწერაში მოხსენებულია ფარსმან მეფის ერისთავის ჯავახ მცირის მამა — ასპარუგ ერისთავი, ე. ი. ის ასპარუგი, რომლის სახელს აქამდე ჩვენ პირველ სამარხს ეუკავშირებდით. ამას გარდა, კიდევ ერთი საბუთი გამოჩნდებოდა ერისთავობის მემკვიდრეობითი ხასიათის საჩვენებლად — ერისთავ ასპარუგის შვილიც (ჯავახ მცირე) ერისთავია ფარსმან მეფისა. აქ არავითარი, მათ შორის არც ქრონოლოგიური, შეუსაბამობა არა ჩანს, ოღონდ, რჩება საკითხი არმაზისხევის პირველი სამარხის შესახებ; უფრო სწორად, იმის შესახებ, თუ ვის შეიძლება ეკუთვნოდეს ეს სამარხი ან შეიძლება თუ არა ის ეკუთვნოდეს ასპარუგ ერისთავს?

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია არმაზისხევის პირველი სამარხი არ ეკუთვნოდეს ასპარუგ ერისთავს. ჩვენის აზრით, უფრო სამართლიანია არმაზისხევის პირველი სამარხი ერისთავ ჯავახ მცირის სამარხად მივიჩნიოთ. ასეთ შემთხვევაში, ჯავახ მცირის ან ჯავახ უმცროსის სამარხში მამისეული საერისთავო საბეჭდავის აღმოჩენა სრულიადაც არ უნდა იყოს მოულოდნელი. ჩვენ თვით მცხეთაშივე გვაქვს ასეთი შემთხვევები. ასე მაგ., არმაზისხევის მეორე სამარხში აღმოჩენილ ერთერთ ბეჭდის თვალზე ამოკვეთილია სამი ბერძნული ასო — ZVX — ზეს, რაც ჯავახის სახელს უნდა გადმოსცემდეს[61]. ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგში აღმოჩენილია ვერცხლის კოვზი წარწერით: მეფი-



სურ. 93. ბერსუმა ერისთავის სამარხში ნაპოვნი ვერცხლის თასის ფსკერის შიგნითა ზედაპირზე გამოყვანილი ოქროფერილი გამოსახულება — ოდნავ ფრთებგაშლილ ორბს კლანჭებით კვერთხი უჭირავს

ს ა, მაგრამ სამარხს ჩვენ მეფის ასულის სამარხად მივიჩნევთ. საყურადღებოდ მიგვაჩნია თვით არმაზისხევის VI სამარხი — სარკოფაგიც, იმ მხრივ, რომ მასში აღმოჩნდა ბეჭედი, რომლის თვალზე ამოკვეთილია წარწერა: Ζευάχης ჯ ა ვ ა ხ. ი. ეს სამარხი II საუკუნის მიწურულს მიეკუთვნება

[59] გ. წ ერ ე თ ე ლ ი. არმაზის ბილინგვა, გვ. 14.

[60] ერთენოვან წარწერაში რომ ასპარუგი არის მოხსენებული, ეს დიდი ხანია აღნიშნული და გამოქვეყნებული აქვს პროფ. გ. წერეთელს თავის ნაშრომში: Эпиграфические находки в Мцхета—древней столице Грузии, ВДИ, № 2, М., 1948, გვ. 52.

[61] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 42.

და არ არის ვამორიცხული ჯავახ მცირის ერთ-ერთ შვილს ეკუთვნოდეს. ასეთ შემთხვევაშიაც მივიღებდით, რომ მამის სახელი იქნებოდა ამოკვეთილი ბეჭედზე, რომელიც შვილის სამარხში მოხვდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯავახ მცირის ასულს სერაფიტას შეიძლება არმაზისხევის VII სამარხი ეკუთვნოდესო, მაგრამ გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობაც, რომ სერაფიტის სამარხად VI სარკოფაგიც კი ვივარაუდოთ. „მცხეთა I"-ის სათანადო ადგილას აღნიშნულია კიდევაც, რომ „იმ უსახელო სამარსთა შორის, რომელნიც ინვენტარისა თუ აღნაგობის მიხედვით შეგვეძლო წარჩინებულ ქალთა სამარხებად მიგვეჩნია, ყველაზე მეტად არმაზისხევის ორი სარკოფაგი შეეფერება „სწორუპოვარი სილამაზის" მქონე სერაფიტს — ერისთავის ასულს და ეზოსმოძღვრისა და მხედართუფროსის მეუღლეს... მეექვსე და მეშვიდე სამარხებისა და ბალინგვის სტელის გამოსაკვეთად გამოყენებული ქვის ლითოლოგიური მსგავსება თითქოს აგრეთვე ერთი საბუთთაგანია ამ მოსაზრების სასარგებლოდ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ორივე სარკოფაგი იმავე დროით — ახ. წ. II საუკუნით — თარიღდება, რომლითაც ბელინგვა"[62]. მართალია, იმავ გვერდზე ჩვენ სასწორი მაინც VII სამარხისაკენ გადავხარეთ მაშინ, მაგრამ, როგორც წინ ითქვა, არ გამორიცხულა შესაძლებლობა VI სამარხი ყოფილიყო სერაფიტისა.

ახლა ჩვენთვის მთავარი მაინც ისაა, რომ VI სამარხში აღმოჩნდა ბეჭედი წარწერით: ჯავახი. არმაზისხევის არქეოლოგიურ ძეგლთა გამოცემისას გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ სერაფიტისა შესაძლებელია უფრო VII სამარხი იყოს, გულისხმობს, რომ VI სამარხი ჯავახისა, რა თქმა უნდა, არ არის. ე. ი. შეუძლებლად არ მოგვეჩვენა, რომ „ზევახის" წარწერიანი ბეჭედი აღმოჩნდა არა ჯავახის, არამედ სხვის სამარხში. ასე, რომ ასპარუგ პიტიახშის ბეჭდის და ჯავან-ყარპაკის გამოსახულებიანი ბალთის აღმოჩენა ჯავახ მცირის, ე. ი. ასპარუგის მემკვიდრის და, უნდა ვივარაუდოთ, უფროსი ვაჟიშვილის სამარხში, მოულოდნელად არ უნდა მივიჩნიოთ.

რა თქმა უნდა, ამ წარწერის ინტერპრეტაციისას მრავალი საკითხი წამოიჭრება, მაგრამ ახლა ჩვენ საშუალება არა გვაქვს მათ შესახებ დაწვრილებით შევჩერდეთ. ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ დაკვირვებებს, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, რომელთა საფუძველზე საყურადღებო ისტორიული შინაარსი უჩნდება ამ მოკლე წარწერის ინტერპრეტაციას და თითქოს უფრო ზუსტად ირკვევა სამარხში დაკრძალულის ვინაობა.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ ჯავახ მცირე (ან ჯავახ უმცროსი) შეიძლება ასპარუგის შვილი იყო, მიგვითითებს ასპარუკის მშობლებისაკენაც. უნდა ვიფიქროთ, რომ თვით ასპარუკი იყო ძე ერთენოვან წარწერაში ნახსენები ჯავახ უფლისა. ამის შემდეგ კი მივიღებდით, რომ ასპარუგის მამასაც ჯავახი ერქვა და შვილსაც; ე. ი. I საუკუნის ბოლო მეოთხედში იბერიაში იყო ასპარუგ ერისთავი, ძე ჯავახ უფლისა; ხოლო II საუკუნის მეორე ნახევარში იყო ერისთავი ჯავახ



სურ. 94. არმაზისხევის მეშვიდე სამარხ-სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის დეზი და აბზინდები

უმცროსი, ძე ასპარუგ ერისთავისა. ამრიგად, ჯავახების დინასტია იჩენს თავს, წერილობით წყაროებში მაინც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან. ახლა თუ ქართულ საისტორიო წყაროების ცნობას გავითვალისწინებთ მცხეთოსის ძის ჯავახოსის შესახებ, მაშინ ჯავახთა დინასტიის სათავე ადრეელინისტურ ხანაში გადაინაცვლებს. ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ჯავახოსი ძეა ქართლოსის უფროსი ვაჟიშვილის — მცხეთოსისა.

შესაძლებელია ჯავახ უმცროსის შთამომავალია ამიანე მარცელინთან მოხსენებული ასპარუგი, თუმცა მათი უშუალო თანმიმდევრობა არ უნდა ვივარაუდოთ.

ერთენოვანი წარწერა მიგვითითებს, რომ ჯავახ უფალს ჰყავდა სხვა შვილიც, ისიც პიტიახში. ეს იყო შარაგასი, ძე ჯავახ უფლისა, პიტიახში მეფის მითრიდატესი (შდრ. შარაგასის სიტყვა). ამ გზით მივიღებდით, რომ შარაგასის ძმისწულია ჯავახ უმ-

[62] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 97.

ცროსი, ე. ი. ასპარუკის ბადეშია სურაფიტი. ასე რთულდება და იხლართება სამეფო კართან ნათესაურობისა ურთიერთობა.

ჩვენის აზრით, წინთქმულის უარსაყოფად ბევრს არაფერს ამბობს პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შესიშნული აღრევა ომეგისა და ომიკრონისა, ან კიდევ ჰეტასი და სიგმისა, რაც ახ. წ. II საუკუნეზე ადრე არ არის მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაშიაც, ეს წარწერა შესაძლოა II საუკუნის დასაწყისშივე იყოს შესრულებული და პირველ სამარხში გვიან მოხვედრილიყო. ამრიგად II საუკუნისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენის გათვალისწინებაც არ უშლის ხელს ჩვენს სქემას ასპარუგ-ჯავახის ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ასეთი მორფოლოგიური ნიშანი, სახელდობრ I—III საუკუნეებისათვის დამახასიათებელია -ios ბოლოკიდურის შეცვლა — is ბოლოკიდურით, როგორც წინთქმულიდან ჩანს, ხელს არ გვიშლის ასპარუგის ბეჭედი I საუკუნის მეორე ნახევარს მივაკუთვნოთ.



სურ. 95—97. არმაზისხევის მოგვიანო ხანის ქვისსამარხში აღმოჩენილი სარტყლის მასივური ბრინჯაოს აბზინდა

გ) ასპარუგის სამარხში აღმოჩენილ მრავალ სხვა ნივთთაგან საერისთავო ხელისუფლების ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ საშუბლე გვირგვინი და სატევარი (ტაბ. XXXIII).

საშუბლე გვირგვინი ოქროს მრავალ ნაწილედ სამკაულს წარმოადგენს. სხვადასხვა ფერის ქვებით არის მორთული მისი ორი მთავარი ბალთა: აბზინდები და ძეწკვი კი სადაა[63]. რკინის სატევარი ძლიერ დაჟანგულიცაა და დაშლილიც. ყურადღებას იპყრობს სატევრის ქარქაშის მოქედილობა, რომელიც ოქროს საკმაოდ სქელი ფურცლისაგანაა გამოკეერილი. იგი შემკულია სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის თვლებით. გარსაკრავის წვერზე დარჩილულია „ოვალური ბუდე, რომელშიაც ტიხროვანი მინანქრის მედალიონია, ფერაც მორუხო-ცისფერი (გახუნებული უნდა იყოს). მედალიონის შუა გულში, ოქროს თხელი ტიხრით შემოფარგლულ ოვალში, თითქოს ხარის ან ეგეპ ცხვრის თავის მარჯვენა პროფილია გამოსახული, ძლიერ სქემატურად. მის წინ და უკან ტიხარ-ფირფიტებისაგან შემდგარი ორნამენტებია"[64].

ამ ჯგუფს შეიძლება დაუკავშირდეს ოქროს მძივების ყელსაბამი. იგი შედგება ხუთი მრგვალი, ბურთისებრი, ფუყე მძივისა და ნალისებრი მოყვანილობის 7 საკიდისაგან, რომელთაც ჩამოსაკიდი ყუნწიცა აქვთ და საწკარუნო ღერაკებიც (ტაბ. XXXIII, 2).



სურ. 96

მითითებულ ბურთისებრ, ფუყე მძივებს მეტად საყურადღებო მსგავსი მასალა მოეპოვება საქართველოშივე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს თრიალეთის VIII ყორღანში აღმოჩენილი მძივები და XXXVI ყორღანის ვერცხლის საკინძთა თავები[65]. ეს მსგავსება მეტად მკვიდრი ჩანს და ხანგრძლივი ადგილობრივი ტრადიციის მანიშნებელია.



სურ. 97

ჩვენის აზრით, უკვე ჩამოთვლილი ჯგუფი ცხადსა ხდის პიტიახშის (ერისთავის) განსაკუთრებულ მდგომარეობას II ს. იბერიის (ქართლის) სა-

[63] მ ცხ ე თ ა I, გვ. 29—30, სურ. 10; ტაბ. I, 7.

[64] მ ცხ ე თ ა I, გვ. 28, სურ. 9; ტაბ. I, 1.

[65] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, სურ. 97.

მეფეში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის მხრივ ახასიათებს პიტიახშს — პიტიახშებს. ესაა მისი სახელმწიფო ხელისუფლებრივი, უფლებრივი მხარე, რომელსაც არ შეიძლება უკვე თითონ არ გამოეწვია პიტიახშთა მდგომარეობის სხვა მხარეების, კერძოდ, მეტად თვალსაჩინო ქონებრივი მდგომარეობის ხაზგასმა სამარხეულ ინვენტარშიაც.

როგორი სურათია ამ მხრივ არმაზისხევის პირველ სამარხში? ზემოთ ჩამოთვლილი მხედველობაში რომ არც მივიღოთ პიტიახშის სიმდიდრის მაჩვენებლად გამოდგება ნივთები, რომლებიც პიტიახშის ხელისუფლების ნიშნებს არ წარმოადგენენ და, მაშასადამე, პიტიახშის სიმდიდრის სხვა რიგის მანიშნებელია. ასეთებია, მაგალითად: ოქროს სამაჯურები, გაკეთებული მსხვილი გულსავსე ბავთულისაგან, ოქროს კილიტები; ძვირფასი წამოსასხამი, რომელიც სხვადასხვა მოყვანილობის კილიტებითა და ოქრომკედით ყოფილა მორთული; ოქროს და ვერცხლის ფულები; ვერცხლის პინაკები (მათ შორის ანტინოეს გამოსახულებით შემკული — მედალიონიანი — ტაბ. XXXVIII); ვერცხლის ორყურა ჭურჭლები; ვერცხლის საღვინე სურები (ტაბ. XLVII, 2); სარეცლის ჩუქურთმოვან ფეხთა ვერცხლის გარსაკრავები, შემკული ნაირნაირი გამოსახულებებით და მრავალი სხვადასხვა სახის წვრილი ნივთი[66].

ეს მეტად მოკლე ჩამოთვლა პირველ სამარხში აღმოჩენილი ნივთებისა, ჩვენის აზრით, საესებით ცხადსა ხდის ასპარუგ (თუ ჯავახ პიტიახშის) მეტად წარჩინებულ მდგომარეობას იბერიის სამეფოში ახ. წ. II ს. შუაწლებში.

მაგრამ არ იქნებოდა სამართლიანი ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ერთ-ერთ პიტიახშის დამახასიათებელად გვეცნო და თავი შეგვეკავებინა განზოგადოებისაგან, ე. ი. არ მიგვეჩნია ეს პიტიახშთა წრის საერთოდ დამახასიათებელ მდგომარეობად.

იმისათვის, რომ განზოგადების მეტი საფუძველი იყოს, საჭიროა სხვა პიტიახშის სამარხ ინვენტარს გავეცნოთ. ამ შემთხვევაში ბერსუმა პიტიახშის სამარხში აღმოჩენილ ინვენტარს განვიხილავთ, რადგან ჩვენ გვაქვს წერილობითი მითითება იმის გამოსარკვევად, თუ ნამდვილად ვის ეკუთვნის ეს სამარხი და, უნდა ვივარაუდოთ, შესაბამისად ინვენტარიც. წინასწარვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბერსუმას შემთხვევაში საქმე გვაქვს „მეორედ დამარხვის“ მეტად თავისებურ შემთხვევასთან. როგორც ცნობილია, ბერსუმა პიტიახშის სამარხში (სურ. 85) აღმოჩნდა: ოქროსტარიანი სატევარი რკინისა[67]; უნდა ვივარაუდოთ, რომ ესეც პიტიახშის ხელისუფლების ნიშანია. სატევრის ტარი წახნაგოვანია და სხვადასხვა მოყვანილობის წითელი ალმანდინის ფირფიტოვანი თვლებით მორთული; ტარზე 77 ასეთი თვალია. ამას გარდა 5 ფირუზის ფირფიტაა; ოქროს ბეჭედი[68], რომლის მუქ თვალზე ამოკვეთილია მამაკაცის მარჯვენა პროფილი და ამოკრილია თითქოს ქვისმჭრელის სახელი: პლატონ (Πλατων); მიცვალებულის საშუბლე გვირგვინის ოქროს 25 ფურცელი; ოქროს საყურეები; ოქროს მოწკარუნე საკიდები; ოქროს კილიტები ნაირნაირი ზომისა და მოყვანილობისა; ოქრომკერდის ნაწყვეტები; ოქროს და ვერცხლის ფულები; ვერცხლის დიდი ლანგარი, მორთული არშიითა და მედალიონით (ტაბ. XLIII). ამ ლანგრის ფსკერზე წერტილოვანი წარწერაა გამოყვანილი (ტაბ. XLIX, 1; სურ. 89—90), საიდანაც, სხვათა შორის, ლანგრის მფლობელის ბერსუმა პიტიახშის სახელიც ირკვევა (—მე, მეფე ფლ დადემან ვაჩუქე (მივუძღვენ) ბერსუმა პიტიახშს)[69]; ვერცხლის პინაკები, რომელზედაც სამსხვერპლოს წინაშე მდგარი თითო ცხენია გამოსახული (სურ. 91—92), ვერცხლის პინაკი, რომლის ფსკერის შიგნითა ზედაპირზე ორბის ოქროსფერი გამოსახულებაა (სურ. 93); სარეცლის ჩუქურთმიანი ფეხების ვერცხლის განსაკრავები და მრავალი სხვა[70].

როგორც ამ ჩამოთვლილიდანაც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ „მეორედ დამარხვასთან“ გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე, პიტიახშთათვის დამახასიათებელი ინვენტარი აშკარად ჩანს.

---

[66] მცხეთა I, გვ. 23—40.

[67] მცხეთა I, გვ. 48, ტაბ. III.

[68] იქვე, სურ. 24; მ. ლორთქიფანიძე, ქვისმჭრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, თბ., 1953, გვ. 243—250; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, თბ., 1958, გვ. 52.

[69] მცხეთა I, გვ. 53; ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, თბ., 1941, გვ. 170—171; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 264—261; Г. В. Церетели Эпиграфические находки в Мцхета — древней столице Грузии. ВДИ, № 2, М., 1948, зз. 50.

[70] მცხეთა I, გვ. 48—59.

ამრიგად, ორი პიტიახშის სამარხის ინვენტარი, ისიც არა თანადროული, ზოგადად ერთგვარ სურათს ხატავს იბერიის ხელისუფალთა ამ წრის, პიტიახშთა ქონებრივი მდგომარეობის გასათვალისწინებლად.

არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს ამ წრის მდგომარეობაზე წარმოდგენა ვიქონიოთ პიტიახშების ოჯახის წევრთა სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვითაც.

ერთ-ერთ მაგალითს ამ შემთხვევაში საპიტიახშო სასაფლაოს მეექვსე სამარხი შეიძლება წარმოადგენდეს. ჩვენ თავის დროზე მივუთითეთ, რომ არმაზისხევის შესართავთან აღმოჩენილი ორი სამარხი-სარკოფაგი (№ № 6, 7) ქალის სამარხს უნდა წარმოადგენდეს. ე. ი. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მდგომარეობის საილუსტრაციოდ ქალის სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი იქნება გამოყენებული. ეს რა თქმა უნდა მდგომარეობას არ ცვლის და მაგალითის მნიშვნელობას სრულიადაც არ ამცირებს. შეიძლება წინასწარვე ითქვას, რომ მცხეთის მდიდრულ სამარხებთან შედარებით ნივთების სიმრავლით სწორედ მეექვსე სამარხი გამოირჩევა. უმთავრესი აქაც ოქრო-ვერცხლის ნივთებია (ტაბ. XXXIV, 1; XXXVI), რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ოქროს ჭვირული, სამნაწილედი ყელსაკიდი, რომლის ცენტრს წარმოადგენს მრგვალი კოლოფი; კოლოფის ფსკერი და სახურავი ოქროს სქელი ფირფიტისგანაა გამოჭრილი. სახურავის ანუ სარქველის ზედაპირი წვეტით კოლოფის ცენტრისაკენ მიმართული ნუშისებრი, ნაირფერად თვლებითაა მოქედილი. მრავალი ნაირფერადი ქვითა და ოქროს ბურთულებით შემკობილი ზედაპირი კოლოფის სარქველისა მეტად მაღალხარისხოვანი ნახელავის შთაბეჭდილებას ქმნის. კოლოფის გვერდებად ოქროს წვრილი მავთულით „მოქსოვილი“ ბადეა. ასეთივე ბადისებრი აღნაგობა აქვს ყელსაბამის ორ დანარჩენ ნაწილს — მარჯვენა და მარცხენა დიდ რკალებსა და მათ შემადგენელ მუხლებსაც; ოღონდ უკანასკნელები ალმანდინის წითელი, კონუსისებრ წაწვეტილი თვლებით არის შემკობილი და ქვედა ნაწილით ოქროს გლუვ ზედაპირიან ფირფიტაზეა დარჩილული; ოქროს მრავალნაწილედი შუბლსამკაული (ტაბ. XXXIV, 1 — ქვემოთ), რომელიც 18 მეტ-ნაკლებად ოვალური, ერთიმეორეზე გადაბმული თვალბუდისაგან შედგება. ყოველ თვალბუდეში თითო გლუვზედაპირიანი ლვინისფერი ალმანდინის მოზრდილი თვალი ზის; ოქროს ორი წყვილი სამაჯური. ყოველი მათგანი ორ-ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ერთი, უმცირესი, ასე ვთქვათ, სამაჯურის გასახსნელ რკალს წარმოადგენს და სათანადო საკეტ-მოწყობილობის მქონეა. ერთი წყვილი გარედან ძლიერ დაკუთხულ-დაწახნაგებულია. ამ სამაჯურთა შესამკობად ორ-ორი თვალია გამოყენებული: ერთი მათგანი (მოზრდილი) დიდ რკალზეა დარჩილული, მეორე (მომცრო) კი — პატარაზე. არსებითად განსხვავდება მითითებულისაგან სამაჯურთა მეორე წყვილი. ამათ განივკვეთი მრგვალი აქვთ, ზედაპირი — გლუვი და შეუმკობელი; ოქროს წყვილი სამკლაური, ფუყე, გლუვზედაპირიანი; განივკვეთში საერთოდ მრგვალი, მაგრამ შიგნითა ნაწილი გაბრტყელებული აქვს. თითო თვალბუდე აქვს ორივეს. სამკლაურად მიჩნეულია უმთავრესად სიდიდის გამო. სამკლაურთა დიამეტრი 9,5 სმ აღწევს, მაშინ, როდესაც იმავე სამარხში აღმოჩენილი სამაჯურების დიამეტრი 6 სმ-მდე ადის; ოქროს საკანეურები, წყვილი, ფუყე; ფირფიტისგანაა ნაკეთები. ორნაწილედია და სათანადო საკეტ-სახსნელი მოწყობილობა აქვს. განივკვეთში დაკუთხულია; ოქროს 9 ბეჭედი, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის. ყოველი მათგანი ნახევრადძვირფასი თვლით არის შემკული. ამათგან ზოგზე გამოსახულებაა ამოკვეთილი. სილამაზით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პატარა, გულსავსე მავთულის ბეჭედი, რომელთაც დაკეჭნილ-დაწახნაგებული ზედაპირი აქვს. ერთ ასეთ ბეჭედს ალმასის (?) თვალი აქვს. ერთ-ერთი ამათგანის თვალზე, როგორც აღინიშნა, ამოკვეთილია წარწერა ZEVAXHC — -ჯავახი; ოქროს საყურეები — სამი წყვილი. საერთოდ ერთგვარი მოყვანილობისაა: შემკულია თვლებით, ოქროს

ხეიათა და ბურთულათა ლამაზი ფიგურებით; ოქროს სხვადასხვა სამკაულები: ნაპირებშემოკეცილი და ხშირად დაჩვრეტილი მრგვალი ფირფიტა; მედალიონი, რომლის ზედაპირი დატიხრულია და წითელი ალმანდინის ფირფიტებითა და ფირუზისებრი ნივთიერებით არის მორთული; საკიდი „ტახის" გამოსახულებით; ოქროს საავგაროზე კოლოფები. ცილინდრული მოყვანილობისა სამი ცალი. ყოველ მათგანს თავებში ყუნწი აქვს მირჩილული. ე. ი. ჰორიზონტულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული. ერთ მათგანში აღმოჩნდა ოქროს 8 ძალიან თხელი და დაკეცილი ფირფიტა. ამ ფირფიტებზე „არმაზული" ასოები აღმოჩნდა ამოკაწრული; წინასწარი ვარაუდით იგი რაღაც მაგიურ ტექსტს, შელოცვას უნდა წარმოადგენდეს[71]. ოქროს წვრილი საკიდი, სხვადასხვა ტიპისა, მათ შორის მოწკარუნეც. ნაირნაირი ღილაკები და კილიტები ოქროსი. ოქროს და ვერცხლის ფულები; ოქროს მძივები; ოქრომკედის ნაწყვეტები და მრავალი სხვ.

ნივთების ასეთი ჩამოთვლა და საერთო რაოდენობა აშკარასა ხდის მეექვსე სამარხში დაკრძალულის დიდ სიმდიდრეს. სურათის უფრო ნათელსაყოფად მნიშვნელოვანია სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ნივთებიც გავიცნოთ: უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა შემდეგი:

1) ვერცხლის პინაკი, რომლის ფსკერზე შიგნიდან დარჩილულია ვერცხლის მედალიონი. უკანასკნელი ახალგაზრდა ქალის წელზედა გამოსახულებას წარმოადგენს (ტაბ. XXXV). ქალს მარცხენა ხელში ჯიხვის (?) დიდი რქა უჭირავს. ამ რქის — „ყანწის" პირიდან გადმოკიდებულია ყურძნის მტევნები, ვაშლი, პურის თავთავები და სხვ. გამოსახულება თითქოს ქალღმერთისაა, რომელსაც მარცხენა ხელში, კარგად ცნობილი „სიუხვის ყანწი" უჭირავს. ქალის წამოსასხამი, მხარზე გადმოვარდნილი თხის ტყავის ნაწილი, ყანწი, შუბლზე გადაჭერილი ლენტი და გულმკერდი ოქროფერილია (ტაბ. XXXV, 2).

[71] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 71.

გამოსახულება ცვილის მოდელით არის ჩამოსხმული და შემდეგ საოცარი სიფაქიზით ნაკვერნაპრიალები.

2) ვერცხლის პინაკი, რომლის ფსკერის შიგნითა ზედაპირზე აგრეთვე მრგვალი მედალიონი — მაშაკაცის ბიუსტია დარჩილული (ტაბ. XXXVI).

3) ვერცხლის საღვინე სურები, 2 ცალი, სავსებით ისეთივე, როგორიც ასპარუგ პიტიახშის სამარხში იყო ნაპოვნი.

4) პატერა ვერცხლისა, რომლის კალთები შემკულია ფარშევანგთა გამოსახულებებით, ხოლო ტარი მირჩილულია ჭურჭლის კალთაზე ვაზის ფოთლისებრი მოყვანილობის ვერცხლის სქელი ფირფიტით. ტარი 4 ნაწილედია და ვერძის თავის გამოსახულებითაა დასრულებული (XLIV, 1).

5) ვერცხლის მაღალი, მრავალნაწილედი სასანთლე; 6) სარეცლის ჩუქურთმოვან ფეხთა განსაკრავები ვერცხლისა (ტაბ. XLII). ამათგან 4 დიდია და 4-ც პატარა; 7) ლაგამი ვერცხლისა; 8) ბრინჯაოს დეზები და საღვედე აბზინდები (სურ. 94); 9) ლამბაქი აქატისა; 10) მინის ჭურჭლები; 11) ფეხსაცმლის ძირები.

ამათ გარდა სამარხში აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი წვრილი ნივთები (ტაბ. XXXIV, 1). რომელთა ჩამოთვლა და აღწერა ახლა ჩვენი მიზანი არ არის[72].

ამრიგად, ძველი დედაქალაქის საპიტიახშო უბნის ტერიტორიაზე 1940 წელს გახსნილი მეექვსე სამარხი მეტად თვალსაჩინოდ გვიჩვენებს დაკრძალულთა წრის ქონებრივ მდგომარეობას და საკუთრებით ცხადსა ხდის, რომ ამ შემთხვევაშიაც ჩვენ სამეფოს მაღალი წოდების მოხელეთა წრესთან გვაქვს საქმე. ამ დასკვნას ვერ. შეცვლის ეჭვები, რომლის მიხედვით მოსალოდნელია, რომ ამ სარკოფაგში ორი მიცვალებული იყოს დაკრძალული და შესაბამისად, იქ აღმოჩენილი ინვენტარი შეიძლება ორი პირის კუთვნილებად მივიჩნიოთ. ასეთ შემთხვევაშიაც დაკრძალულთა არაჩვეულებრივი სიმდიდრე უტყუარ ფაქტად რჩება.

ახლა ვნახოთ, როგორი სურათი იქმნება იმ სამარხის მიხედვით, რომელშიაც ნამდვილად მხო-

[72] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 65—82.

ლოდ ერთი მიცვალებულია დაკრძალული. ასეთია არმაზისხევის მეშვიდე სამარხი-სარკოფაგი. ამ სამარხმა, როგორც ცნობილია, ანტიკური ხანის ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშები მოგვცა (შდრ. ტაბ. XXXIV, 2). ასეთებია, მაგალითად: ოქროს სამნაწილედი ყელსაბამი ანუ, როგორც უკვე ცნობილია მისი სახელი „ვერძისთავიანი ყელსაბამი". ყელსაბამის ცენტრალურ ნაწილს ოქროს მრგვალი კოლოფი წარმოადგენს. მისი ფსკერი გლუვზედაპირიანია, ზედაპირი და გვერდი კი — ბრწყინვალედ მორთული. კოლოფის ზედაპირის საერთო კოლორიტს ქმნის და ყელსაბამს უბადლო იერს აძლევს კოლოფის შუაგულის თვალბუდეში ჩასმული, ამეთვისტოს ქვისაგან უნაკლოდ ვამოთლილი და გაკრიალებული ვერძის თავი, რომელსაც შესაფერისად მორკალული და ღრმა ჭდეებიანი რქები აქვს. მეორე ნაწილი ყელსაბამისა არის ამ კოლოფის ჩამოსაკიდებელი, მეტად რთული და ოსტატურად აწყობილი ძეწკვი. მესამე ნაწილს წარმოადგენს ამ ყელსაბამზე სხვაგვარი ძეწკვით ჩამოკიდებული სანელსაცხებლე, რომელსაც. კოსტა მოყვანილობასთან ერთად, ფაქიზად გათლილ-გაკრიალებული, 38 ალმანიდის და 1 ფირუზის კონუსისებრი თვლებით მოჭედვა მეტად საამო შესასედავსა ხდის. ჯერჯერობით ასეთი ხელობით და ბრწყინვალედ ნაკეთები ყელსაბამი არსად ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცალკეული ელემენტების ანალოგები კარგადაა ცნობილი; ოქროს აბზინდები — წამოსასხამის შესაკრავი — დედალ-მამალი (ტაბ. XXXIV, 2 — ზემოთ, ცენტრში). თითოეული მათგანი ფრთა გაშლილ ფრინველს მოგვაგონებს. ზედაპირზე დარჩილულ ბუდეებში ალმანდინისა და ფირუზის თვლებია ჩასმული. ამათ შორის დარჩენილი არე ოქროცვარითაა დაფარული. აბზინდის კიდეებს თითქოს დაკეკნილი მავთული თუ ოქროს უფრო მსხვილი ბურთულების წყება შემოუყვება; ოქროს შუბლსამკაული, ჭიკვედი, იგი თითქმის ერთნაირი მოყვანილობის ოქროს ოვალური ბუდეებისა და მათში ჩასმულ-გლუვზედაპირიანი ალმანდინის თვლებით მორთული. ერთიმეორესთან გადაბმული 23 მეხლისაგან შედგება; პატარა ლამბაქისებრი ნივთი, რომლის ფსკერს კარგად გაპრიალებული აქატი წარმოადგენს, ხოლო კალთებს და გადაშლილ კიდეებს (ფაქტიურად აქატისათვის ჩარჩოს) კი — ოქროს ფურცლოვანი ზოლი აქატის ფსკერის კიდეებს სამკუთხოვნად დაბილული ფარავს. ეს ნივთი პიტიახშის ასულის თავსამკაულის ან თავსაბურავის ნაწილად არის მიჩნეული; ორი წყვილი საყურე, მეექვსე სამარხში აღმოჩენილი ტიპისა; წყვილი სამაჯური ოქროსი, ორნაწილედი, გარედან დაკუთხული, რთულზედაპირიანი. მთავარი რკალის შუა ნაწილას, გარეთა ზედაპირზე თითოეულ სამაჯურს თითო მოზრდილი თვალბუდე აქვს მირჩილული, რომელშიაც ალმანდინის ამობურცული თვალი ზის; ოქროს ექვსი პატარა ბეჭედი. ერთ მათგანს ამეთვისტოს თვალი აქვს, რომელზედაც ა ქ ტ ე ო ნ ი ს დაღუპვის სცენაა გამოსახული; მეორეში ქალის სახის გამომსახველი კამეა არის ჩასმული: წამოსასხამის მოსართავი ოქროს ეარდულები, რომელთაც შუაში წვეტიანი ალმანდინი უზის — სულ 111 ცალი; მრავალრიცხოვანი წვრილი კილიტები, სხვადასხვა საკიდები; ოქროს და ვერცხლის ფულები; ოქრომკედის ნაწყვეტები და სხვ. (ტაბ. XXXIV).

ამას გარდა სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის პინაკი, რომლის კალთები შემკულია ვაზის და ბროწეულის სახეებით; ვერცხლის ორი სერა და მრავალი სხვა წვრილი ნივთი[73].

ამრიგად, მეშვიდე სამარხში აღმოჩენილმა ნივთებმა ცხადყვეს, რომ აქაც დაკრძალული ყოფილა წარჩინებული მანდილოსანი, ერისთავთა ოჯახური წრის კიდევ ერთი წარმომადგენელი, რომლის ვინაობა დანამდვილებით ცნობილი არ არის, მაგრამ ექსპედიციის წევრთა შორის სამარხის აღმოჩენისთანავე წარმოიშვა მოსაზრება, რომ იგი უნდა ეკუთვნოდეს სერაფიტს[74]. როგორც ჩანს, პიტიახშთა (ერისთავთა) ოჯახის წევრთა სამარხები სიმდიდრით არ ჩამოუვარდება თვით ერისთავთა სამარხებს. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მოტანილ მასალასთან ერთად მეორე სამარხის დასახელებაც შეიძლებოდა. კერძოდ, იქ აღმოჩენილი ოქროს სამაჯურის, ოქროს ყელსაბამის, ოქროს ბეჭედთა, ვერცხლის ეურეელთა და სხვ. მითითება შეიძლებოდა, მაგრამ, ჩვენის აზრით, უკვე ჩამოთვლილი საკმარისია ჩვენთვის საინტერესო

[73] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 84—96.

[74] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 97.

სურათის შესაქმნელად; სახელდობრ მცხეთის სამეფოს პიტიახშთა ქონებრივი მდგომარეობის დასახასიათებლად.

საყურადღებოა მიეთითოს, რომ ეს მმართველი წრე უხვად ატანს ძვირფას ინვენტარს არა მარტო გარდაცვლილ პიტიახშს და პიტიახშის რანგის პირს ან მათ მეუღლეს. თითქმის ასეთივე „გულუხვობაა" გამოჩენილი ბავშვის დაკრძალვის შემთხვევაშიაც. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ არმაზისხევის მეცხრე სამარხს დავასახელებთ. აქაც ჩვეულებრივი სურათია. აღმოჩენილ ნივთთა შორის უნდა დავასახელოთ: ოქროს წყვილი თავებგადახვეული სამაჯური, მრგვალგანივკვეთიანი. გულსავსე მავთულისაგან ნაკეთები. პიტიახშთა სამარხებში აღწერილთაგან განსხვავდება იმით, რომ თავები ერთიმეორეზე გადატანილი და გადახვეული აქვს. ე. ი. ბაგინეთის კლდეკარის მეფის ასულის სამარხში აღმოჩენილი სამაჯურების ტიპისაა, წყვილი საყურე, ბერსუმა პიტიახშის სამარხში აღმოჩენილ საყურეთა მსგავსი; მიცვალებულის საშუბლე გვირგვინის ოქროს ფურცლები. სამკუთხა და დაკბილული სულ 20 ცალი; ოქროს საავგაროზე (?) კოლოფი; ოქროს და ვერცხლის ფულები; ვერცხლის ჭურჭლები და სხვა[75].

ერთი სიტყვით, აშკარად ჩანს პიტიახშთა სამარხებისათვის დამახასიათებელი მდიდრული ინვენტარი ბავშვის სამარხშიაც.

ასეთია საერთო სურათი ძველი დედაქალაქის საერისთავო უბნის (სპიტიახშოს) მიდამოებში აღმოჩენილი მდიდრული ნეკროპოლისა. მოტანილი მასალა ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია პიტიახშთა, მათთან ახლომდგომ ხელისუფალთა, მათი ოჯახის წევრებისა და მათ შორის ბავშვთა ტიპიური სამარხები წარმოვიდგინოთ. ტიპიურ სამარხთა გაცნობა ქმნის საკმაოდ ცხად სურათს იბერიის სამეფოს ამ გავლენიან მოხელეთა ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობის უკეთ წარმოსადგენად. იქ

[75] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 98—102.

[76] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. თბ., 1956, გვ. 29—53.

გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I—III საუკუნეებში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955, გვ. 329—375.

ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 43—44.

დიდი და ღრმა სოციალური დიფერენციაციის გასათვალისწინებლად, რომელიც დიდი ხნის ფაქტ. წარმოადგენდა უკვე I—II საუკუნეების ქართლის დედაქალაქში. ამ სურათს უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ქართლის დედაქალაქის, და საერთოდ სამეფოს, იმდროინდელი ცხოვრების გასათვალისწინებლად და შესასწავლად[76].

ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ აქ მოტანილი მასალით დახატული სურათი არ შეიძლება სრულად ჩაითვალოს. მოტანილი მასალა გვაცნობს სამეფო კარის სამარხებს, მეფის ოჯახის წევრთა საშარხებს და ქმნის ერთგვარ წარმოდგენას მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ; ქმნის პიტიახშთა, მათ მეუღლეთა, ბავშვთა სამარხებისა და ამ სამარხებში დაკრძალულთა ქონებრივი მდგომარეობის სურათს. ამას გარდა, სამარხებში აღმოჩენილი ნივთების ერთი ჯგუფი საყურადღებო მითითებებს გვაძლევს ამ პირთა ხელისუფლების შესახებაც.

ანალოგიური სურათი შეინიშნება ძველი დედაქალაქის სხვა უბნებზედაც. ასეა, მაგ., საკუთრივ მცხეთაში, სადაც სხვადასხვა დროს ანტიკური ხანის მრავალი სამარხი აღმოჩენილა. ის რაც გადარჩა ამ სამარხებში აღმოჩენილ ნივთთაგან და სიძველეთ საცავებში მოხვდა, აშკარად მიგვითითებს, რომ მტკვრის მარცხენა მხარესაც არა ერთი ბუდე ყოფილა ანტიკური ხანის მდიდრული სამარხებისა[77]. ეს მოსაზრება შემთხვევით აღმოჩენილ სამარხთა გარდა მხარდაჭერას პოულობს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სხვადასხვა დროს სამთავროს ველზე და საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალებშიაც (შდრ. მაგ. ტაბ. XLVI). ასეთია, მაგ. მდიდრული სამარხები სამთავროს ველის სამხრეთ უბანზე, წყალთა მეურნეობის სასისტემო ნაგებობის ეზოში[78] და სხვ. განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი

[77] П. С. У в а р о в а, Коллекции Кавказского Музея, V, Археология, Т., 1902, გვ. 89—90.

ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში... მუზეუმის მოამბე, ტ. XI-B, თბ., 1941;

ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. საქართველოში 1920—1927 წლებში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბ., 1928, გვ. 89—93;

A. Amiranaschwili, Zwei Henkel eines silbernen Gefässes aus Mzcheth (Georgien). Arch. Anzeiger, 1—2, 1934.

[78] ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში. „მიმომხილველი", ტ. I, თბ., 1949, გვ. 259—287.

ᲛᲓᲘᲓᲠᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲑᲣᲓᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲭᲣᲠᲩᲐᲖᲔ 1958 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲗ, ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲚᲘᲡ ᲗᲮᲠᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲥ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲑᲐᲗᲐᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲚ. ᲙᲘᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲬᲛᲘᲚ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲬᲔᲚᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲗᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲙᲝᲤᲐᲒᲘ. ᲔᲡ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓᲙᲔᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ ᲡᲐᲠᲙᲝᲤᲐᲒᲘᲐ Ქ. ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ, ᲛᲓ. ᲛᲢᲙᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲠᲔᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ.

ᲛᲓᲘᲓᲠᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲗᲐ ᲑᲣᲓᲔ ᲩᲐᲡᲜ ᲐᲕᲭᲐᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲐᲜᲐᲪ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ, ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ „ᲖᲐᲠᲔᲡᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ[79].

ᲐᲛᲠᲘ�გᲐᲓ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲣᲑᲜᲔᲑᲨᲘ (ᲡᲐᲘᲢᲘᲐᲜᲨᲝ, ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲩᲘᲡ, ᲮᲘᲓᲘᲡᲣᲤᲐᲜᲘ, ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ, ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡ ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲐᲕᲭᲐᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ) ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲑᲣᲓᲔᲔᲑᲘ ᲛᲔᲢ-ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲓᲘᲓᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘᲡᲐ. ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲰᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ (ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲣᲤᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ) ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚ-ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲔ ᲤᲚᲝᲑᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲔᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲗ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲗ.

ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲣᲑᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲛ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲡᲐᲪ ᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ. ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲗᲥᲛᲔᲚᲘᲐ; ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲒᲔᲒᲐᲠᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘᲐ, ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲐᲤᲘᲝᲓ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲣᲚ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲨᲘ. ᲐᲛ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲔᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲥ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲡᲘᲪ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲔᲢᲧᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲘᲕᲔᲜᲢᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, Ე. Ი. ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲗᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝᲓ ᲓᲐᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ.

ᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲠᲘᲕᲐᲪ ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲗᲐ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲣᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲜᲐᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲗᲮᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲡᲜ, ᲐᲠᲪ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ. ᲐᲛ ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲘᲗ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲕᲔᲚᲔ-ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ-ᲫᲘᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲕᲡᲔᲑᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲒᲐᲬᲕᲘᲗᲘᲚᲝᲗ ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲡᲬᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ; Ე. Ი. ᲯᲒᲣᲤᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲩᲜᲔᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲓᲘᲦᲠᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲐᲓ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲡᲬᲔᲕᲘᲡᲐ ᲙᲘ ᲗᲘᲗᲝᲛ ᲝᲠᲝᲚᲐ. ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲝᲛᲨᲘ, ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ „ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘ“[80]. ᲐᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ: ᲝᲠᲘ ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲪ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔ. ᲣᲙᲕᲔ ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲐ ᲓᲐᲛᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲚᲘ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲞᲘᲠᲝᲑᲗᲘᲗ ᲛᲘᲘᲩᲜᲘᲔᲑᲓᲜᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚᲐᲓ ᲡᲣᲚ ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ. ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲗᲐ ᲛᲘᲪᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ ᲦᲐᲠᲘᲑᲣᲚᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲐᲛᲐᲡ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲒ., № 3 ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ. ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ: ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲔᲡ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ (ᲓᲔᲜᲐᲠᲘ); ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲪᲣᲚᲘ; ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ, ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲧᲣᲠᲘ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲢᲘ�პᲘᲡᲐ; ᲞᲐᲡᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲨᲠᲘᲡ ᲛᲫᲘᲕᲔᲑᲘ, ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲪᲘᲚᲘᲜᲓᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲐᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 86-ᲛᲓᲔ ᲒᲘᲨᲠᲘᲡᲐ, 10 ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲘᲐ ᲞᲐᲡᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲭᲪᲔᲕᲔᲡ ᲢᲘᲞᲘᲣᲠᲘ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲛᲒᲠ: Ა) ᲭᲝᲩᲘᲗᲐᲚᲝ ᲤᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲢᲐᲜᲘᲐᲜᲘ, ᲧᲔᲚᲘ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕᲘ ᲬᲘᲑᲝᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲐᲓᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘᲪᲐᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ. Ბ) ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲤᲔᲠᲘᲡ ᲡᲣᲠᲐ ᲗᲘᲗᲘᲡᲐ; ᲛᲐᲡ ᲞᲘᲠᲘ ᲡᲐᲛᲢᲣᲩᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲭᲣᲡᲚᲘ, ᲛᲣᲪᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲠᲘᲑᲐᲓ ᲓᲐᲦᲐᲠᲣᲚᲘᲐ; ᲧᲣᲠᲘ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘ. ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲞᲘᲪᲘᲐᲮᲗᲨᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲕᲘᲜᲔ ᲡᲣᲠᲔᲑᲡ.

ᲐᲛᲠᲘ�გᲐᲓ, ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲘᲪᲘᲐᲮᲗᲨᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲔᲔᲑᲘ, ᲝᲠᲝᲜᲓ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲝᲭᲠᲝᲡᲘ; ᲡᲐᲦᲕᲘᲜᲔ ᲡᲣᲠᲐᲪ, ᲝᲠᲝᲜᲓ ᲗᲘᲗᲘᲡᲐ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲐ. ᲐᲮᲚ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲡᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲧᲣᲠᲔᲔᲑᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲐᲪ ᲞᲘᲪᲘᲐᲮᲗᲨᲗᲐ ᲡᲐᲛᲙᲐᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲣᲠᲭᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲐᲕᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲓᲠᲝᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ; ᲗᲐᲜᲐᲪ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲗᲐ ᲬᲠᲔᲡ ᲐᲠ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲫᲜᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲩᲜᲔᲕᲐ „ᲛᲪᲮᲔᲗᲔᲚ ᲛᲓᲐᲑᲘᲝᲓ“. ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲢᲐᲙᲘ ᲛᲪᲮᲔᲗᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲞᲘᲪᲘᲐᲮᲗᲨᲗᲐᲜ ᲐᲡᲔ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲩᲐᲡᲜ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲦᲐᲠᲘ-

79 ᲛᲪᲮᲔᲗᲐ I, ᲒᲕ. 5.

80 ᲛᲪᲮᲔᲗᲐ I, ᲒᲕ. 129—134.

ბული. ამ ფენის სამარხიდან საკმაოდ კარგად ნაკეთები ნივთებიც არის ცნობილი (სურ. 95—97). გავიხსენოთ თუნდაც 1951 წლის ივნისში აღმოჩენილი მავზოლეუმის ტიპის აკლდამა, რომელშიაც ტიპიური ანტიკური კერამიკაც აღმოჩნდა, ძვირფას ნივთებთან ერთად.

საყურადღებოა ამ მხრივ რკინის ცულის აღმოჩენაც. ეს უჩვეულო მოვლენაა ანტიკური ხანის სამარხებში; ყოველ შემთხვევაში ასეა ეს მცხეთის მასალების მიხედვით. ამიტომ საეჭვოა ასეთი გამონაკლისი ღარიბული სამარხის დამახასიათებლად გამოდგეს. რკინის იარაღი საერთოდ იშვიათია მცხეთის მოქალაქეთა სამარხებში, მითუმეტეს ცული, რომელიც მიცვალებულის (შესაძლოა ქალის) თეძოზე აღმოჩნდა დადებული. როგორც ბრინჯაოს ალბინდა გვიჩვენებს, მიცვალებულს სარტყელიც ჰქონია. ყველაფერი ეს იქნებ უფრო იმის მიმთითებლად გამოდგეს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა რიგითი მოქალაქის ტიპიურ ღარიბულ სამარხთან, არამედ, შესაძლოა, ისეთი ფენის წარმომადგენელთან, რომელიც ცდილობს დაემსგავსოს და მიუახლოვდეს პიტიახშთა წრეს. ამის მიმთითებლად შეიძლება მივიჩნიოთ კრამიტის სამარხიც კი.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ჩვენს წინაშეა მცხეთელი რიგითი მოქალაქეების სამარხები. აღმოჩენილი მცხეთაში, სამთავროში, არმაზისხევსა და სხვა უბნებზე. ე. ი. არსებითად სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა სამარხები. შეიძლება ამავე ფენის სამარხად მივიჩნიოთ მე-2 კრამიტსამარხიც. ამ უკანასკნელში ნაპოვნია დამახასიათებელი კერამიკა: ა) პატარა ხელადა, წნულ ყურიანი, სამტუჩაპირიანი და მუცელკოპებიანი; ბ) აგრეთვე მოვარდისფრო მოზრდილი და სადა ხელადა; ბრინჯაოს ალბინდა; რკინის სამი ბეჭდის ნატეხები, რომელთაგან ორს სარდიონის თვალი უზის. ამათგან ერთზე ამოკაწრულია პერის თავთავიანი ღეროების გამოსახულება, მეორეზე კი ცხრაფეხა ხოჭო; დანის პირი რკინისა და მინისებრი პასტის მძივები. ამ შემთხვევაში უფრო თამამად შეიძლება მითითება თითონ კრამიტსამარხისა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამარხს უჩვეულო, ექვსკუთხა მოყვანილობა აქვს და ორფერდასახურავი ჰქონია. ესეც უთუოდ შემძლებელი ფენისათვის არის დამახასიათებელი.

მითითებულ ქვისსამარხთაგან ერთი ბავშვისაა (№ 87). სამარხში აღმოჩნდა ღია მოვარდისფრო ხელადა, ცალყურა, ყელწიბოიანი, და პასტის 40-ოდე მძივი. არც ეს უნდა იყოს ბავშვის სამარხისათვის მაინცდამაინც აშკარა სიღარიბის მაჩვენებელი. რა თქმა უნდა, პიტიახშის ბავშვის სამარხის სიმდიდრე მხედველობაში არაა მისაღები. 87-ე ქვისსამარხში შესაძლებელია სწორედ საშუალო ფენის ბავშვის სამარხ ინვენტართან გვქონდეს საქმე.

უფრო აშკარად ღარიბულს უნდა მიეკუთვნოს 88-ე სამარხი. იქ აღმოჩენილ მიცვალებულებს, უფრო სწორად, პირველ მიცვალებულებს მიეკუთვნებენ თიხის 3 ხელადას. სხვა იქ არაფერი აღმოჩენილა.

ზემოთ მითითებულ სამარხთა სინქრონულობა სადავო არ ჩანს. მაგრამ ამ სამარხებს ჩვენ უფრო საშუალო შეძლების მოქალაქეთა დამახასიათებლად მივიჩნევთ.

ასეთია სურათი მიღებული რიგითი მცხეთელი მოქალაქეების სამარხეული მასალების საფუძველზე. უკვე იმასა აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ სამეფოს მმართველი წრის სამარხებთან ერთად ჩვენ მივიღეთ საყურადღებო მასალა სხვა სოციალური ფენის საერთო მდგომარეობის გასათვალისწინებლადაც, და თუ არა ვცდებით, სამარხეული ინვენტარის განხილვამაც დაგვიდასტურა შესამჩნევად შორს წასული ქონებრივი დიფერენციაცია, შენიშნული სხვა რიგის (არასამარხეული) ძეგლების განხილვისას.

მესამე თავი

მცხეთის დედაქალაქობის ხანის ეპიგრაფიული ძეგლები

სამარხთა დახასიათებისა და სამარხებში ნაპოვნ ნივთების განხილვისას უკვე აღვნიშნეთ, რომ მათთან არის დაკავშირებული წარწერების მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც დაგვეხმარება ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის შესახებ უფრო სრული წარმოდგენის შემუშავებაში. მცხეთაში აღმოჩენილი წარწერები უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ დედაქალაქის და მასთან ერთად, საერთოდ აღმოსაელურ-ქართული სამეფოს საქალაქო ცხოვრების ისტორიისათვის. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ თავი მოგვეყარა ჩვენი მიზნისათვის აუცილებელ წარწერათა უმთავრესი ჯგუფისათვის მაინც.

წარწერებს ჩვენ აღმოჩენის თანმიმდევრობის მიხედვით განვიხილავთ; ეს აადვილებს სათანადო მითითებასაც. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ.— „მცხეთის პირველი წარწერა" და დავაღწიოთ თავი ამ წარწერის (იგულისხმება 1867 წელს აღმოჩენილი წარწერა) სხვადასხვა სახელწოდებებს: „ვესპასიანეს წარწერა", „ნაქულბაქევის წარწერა", „მითრიდატის წარწერა", „ახ. წ. აღრიცხვის 75 წლის წარწერა" და ა. შ. „მცხეთის წარწერას" ვუწოდებთ იმიტომ, რომ აქ განხილული ყველა წარწერა „დიდი მცხეთის" ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

სამარხთა ინვენტარის გარჩევისას ჩვენ ამ ნაშრომის ინტერესების შესაბამისად მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნივთები განვიხილეთ. ასევე უნდა მოვიქცეთ დედაქალაქობის ხანის წარწერების განხილვისასაც, რადგან მცხეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებიც თავისთავად დიდად მნიშვნელოვანსა და სათანადო დარგის სპეციალისტთა ხანგრძლივი კვლევის საგანს წარმოადგენენ, ჩვენი ნაშრომისათვის, ცხადია, არ შეიძლება უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდეს, თუნდაც იმის გამო, რომ მცხეთაში ჯერჯერობით აღმოჩენილი ყველა წარწერა დედაქალაქობის ხანის მეორე ნახევარსა და ზოგიც თითქმის დასასრულს ეკუთვნის. ამას გარდა, წარწერების გამოქვეყნება თავისთავად არ არის წინამდებარე ნაშრომის მიზანი. ასეთი მიდგომის გამო მკითხველი ამ თავში ვერ ნახავს მოკლე წარწერათა ჯგუფს; მაგ., ბეჭდის თვლებზე ამოკვეთილ წარწერებს (Πλάτων, εὐτύκι, ἠχαρίστι, Κουάκ და სხვ.); მინის ფიალაზე გამოყვანილ წარწერას (πιε, ζήσης) და სხვ., რომლებიც სპეციალურ ნაშრომებშია თავმოყრილი ან გაფანტული[1].

ამ რიგის წარწერათა საგანგებო განხილვა არ გვეჩვენება აუცილებლად საქალაქო ცხოვრების დახასიათებისას, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ვაჭრობისა და უცხოური საქონლის შემოსვლის საკითხების განხილვისას ყველაფერი ეს გათვალისწინებული უნდა იყოს.

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 257 და შმდ.

მ. ლორთქიფანიძე, ქვისმჭრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, თბ., 1953, გვ. 243—250.

ნ. უგრელიძე, ფარშევანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან. ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველი", ტ. II. თბ., 1951, გვ. 303—304.

მცხეთა, I, გვ. 49.

პირველი წარწერა. 1867 წელს საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისსა და მცხეთას შორის, მცხეთიდან 6 ვერსის მანძილზე, გზის მოსახვევთან, მტკვრის ციცაბო და ვიწრო ნაპირზე, რომელშიაც გამოქვაბულები ჩანს, გზის გასაფართოებლად კლდეს აფეთქებდნენ. ამ სამუშაოების დროს აღმოჩნდა მოზრდილი, მუქი ნაცრისფერი ქვიშაქვის ლოდი, რომელზედაც ბერძნული წარწერაა ამოკვეთილი (ტაბ. XLVIII, 4).

წარწერის აღმოჩენის ადგილი ი. ბართოლომეის მაშინვე დაუთვალიერებია და ხატისიანის მიერ გაკეთებული აღწერილობა და ნახატიც მიუღია.

წარწერის შესახებ პირველად ი. ბართოლომეიმ წაიკითხა მოხსენება რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე, 1867 წლის 11 დეკემბერს და მანვე გამოაქვეყნა ის 1868 წელს[2].

1868 წლის შემდეგ მცხეთის პირველი წარწერა მრავალჯერ გამოიცა და თითქმის საკმაოდ დაწვრილებით აღინიშნა მისი ისტორიული მნიშვნელობა. ამ წარწერის გამომცემელთა მოსაზრებანი ვრცლადა აქვთ განხილული ა. ამირანაშვილს და თ. ყაუხჩიშვილს. მათ ნაშრომებში დაინტერესებული მკითხველი იპოვის საკმაოდ ვრცელ ბიბლიოგრაფიულ ცნობებსაც[3]. უკანასკნელ ხანებში ამ წარწერას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა აკად. გ. წერეთელმა, რომელმაც როგორც ქვემოთ ვნახავთ, წარწერის ცნობილი სადავო ადგილების ახლებური წაკითხვა და ინტერპრეტაცია მოგვცა[4].

როგორც აღვნიშნეთ, წარწერა ამოკვეთილია მუქი-ნაცრისფერი ქვიშაქვის მოზრდილ ლოდზე. რომელსაც ოთხკუთხოვანი მოყვანილობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ზედა ნაწილი მოტეხილია და მოტეხის შემდეგ ძლიერ ჩამოშლილი, ლოდის პირვანდელი მოყვანილობის შესახებ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება.

წარწერიანი ლოდის სიმაღლე 1,22 მეტრია, სიგანე — 1,15 მ, ხოლო სისქე 20,5 სმ. ლოდს კიდეებზე მაღალი და საკმაოდ ფართო (13,5—16,5 სმ) ზოლი შემოუყვება, წარწერით დაფარული ზედაპირი კი ჩაღრმავებულია თითქმის 3,8 სმ; ე. ი. შუაგული დადაბლებულია და აქ წარწერაა ამოკვრილი.

წარწერა საკმაოდ მკვეთრია; ასოები ღრმად ამოუკვრიათ, მაგრამ რაკი ლოდის ზედაპირი საერთოდ საგრძნობლად არის გადარეცხილი, ზოგი ასო ძალიან ძნელად იკითხება, ზოგიც — მთლად წაშლილია (განსაკუთრებით ქვედა მარჯვენა კუთხეში). მოტეხილია, გამოფიტულა და დაზიანებულა წარწერიანი ლოდის ზედა ნაწილი და ამიტომ წარწერას დასაწყისი აკლია, ხოლო მთლიანად ლოდს — ზედა შემაღლებული ზოლი და ზედა კუთხეებიც.

შემონახულია ტექსტის 17 სტრიქონი. ზედა ხაზებში უფრო მსხვილი და, იშვიათად, უფრო მაღალი ასოებია, ქვევით კი ასოები თანდათანობით ოდნავ დაბლდება და წვრილდება; ყველაზე მაღალი ასო 5,5 სმ, ყველაზე დაბალი კი — 4 სმ. აშკარაა, რომ ამოკვეთისას ტექსტი ადგილთან წინასწარ გულდაგულ არ შეუფარდებიათ და არ გაუნაწილებიათ, რის გამოც ხელოსანი იძულებული გამხდარა ქვედა ნაწილში უფრო წვრილი და დაბალი ასოები ამოეკრა, თანაც — შესამჩნევად მჭიდროდ.

ცნობილია, რომ ამ წარწერის ამოკითხვასა და ინტერპრეტაციისას დავას უმთავრესად მე-15 და მე-17 სტრიქონები იწვევდნენ. გორგი წერეთლის ახალი გამოკვლევის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ მეთხუთმეტე სტრიქონში ფარსმანის შემდეგ ამოკვეთილი საკუთარი სახელი წაკითხული უნდა იქნეს ამგვარად: ΙΑΜΑΣΑΣΠΟΙ. გ. წერეთელმა გამოარკვია, რომ „წარწერის ΙΑΜΑΣΑΣΠΟΙ უნდა იყოს დედაკაცის სახელი — ამაზასპუჰი". ამის შემდეგ ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მითრიდატე (იბერთა მეფე) არის მეფე ფარსმანის და მისი მეუღლის იამასასპოის ძე.

მთლიანად წარწერას გ. წერეთელი თარგმნის შემდეგნაირად:

„იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტოსმა, დიდმა პონტიფექსმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ იმ-

[2] А. И. Бартоломей, Две классические надписи, найденные в Закавказском крае. Особые приложения к «Кавказу», 1869.

[3] А. И. Амиранашвили, Греческие надписи Музея Грузии. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბ., 1928, გვ. 191—196.

А. И. Амиранашвили, О греческой надписи из окрестностей Мцхета, ИГАИМК, т. V, Л., 1927.

თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., თბ., 1951, გვ. 234—238.

[4] გ. წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958; იქვეა სათანადო ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვა.

პერატორად გამოცხადებულმა, ექვსჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა, მამამ მამულისამ, ცენზორმა",

„და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა, მეხუთეჯერ დეზიგნირებულმა, ცენზორმა",

„და დომიციანე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ, სამჯერ კონსულმა, მეოთხეჯერ დეზიგნირებულმა, იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთ მოყვარულს, და ხალხს, ეს კედლები განუმტკიცეს".

თარგმანის მცირედ განსხვავებულ ვარიანტებს ვხვდებით ჩვენ მიერ მითითებულ გამოცემებში (მაგ., ზოგი ავტორი არჩევს კედლებს, ზღუდეს, ზოგი — გალავანს, ციხეს და სხვ.), მაგრამ მათ, ჩვენის აზრით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. ისინი არ ცვლიან შინაარსს და ამიტომ ყურადღებას ვაჩერებთ მხოლოდ მეჩვიდმეტე სტრიქონის თარგმნაზე. წარწერის ბოლო, როგორც ვ. წერეთლის გამოკვლევიდან ჩანს, ასე იკითხება: „იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანის და ამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს, ეს კედლები განუმტკიცეს"[5]. უკანასკნელ სიტყვებს ა. ბართოლომეი ასე თარგმნიდა „... выстроили крепость"[6]. ი. პომიალოვსკიმ უკანასკნელი სიტყვები წარწერისა ასე თარგმნა: „...укрепили стены". როგორც ჩანს, ა. ნატროევმა გაიზიარა ბართოლომეის თარგმანი და გაიმეორა ის[7]. ვ. ლატიშევს ამ წარწერის ზუსტი თარგმანი არა აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ აღნიშნული კი აქვს წარწერის მნიშვნელობა და გადმოცემული შინაარსი, რომლის მიხედვით უკანასკნელი სტრიქონის წაკითხვაში უფრო ბართოლომეის ემხრობა და აღნიშნავს, აღმოჩნდაო

«... Камень с весьма интересной и исторически важною надписью 75 г. по Р. Хр., гласящей о построении римским императором Веспасианом крепости для иверского царя Мифридата, сына Фарсмана». ვ. უვაროვამ 1902 წელს კავკასიის მუზეუმის კატალოგში გამოაქვეყნა აღნიშნული წარწერა და ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე თარგმნა: укрепили стены[9]. ივ. ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნში გამოაქვეყნა სრული თარგმანი ამ წარწერისა და ახლა ჩვენთვის საინტერესო სტრიქონი ასე თარგმნა „ეს ზღუდე გაუმაგრეს"[10]. აკად. ს. ჯანაშია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში წერდა: „75 წელს იმპერატორ ვესპასიანეს არმაზის გალავანი გაუმაგრებია და წარწერაც ამოუჭრეინებია... მასში ნათქვამია, რომ იმპერატორმა და რომის მთავრობამ „ფარსმან მეფისძეს მითრიდატს... კეისრისა და რომაელების მეგობარს, და ხალხს, ეს ციხე გაუმაგრეს"[11]. გაკვრით შეეხო ამ წარწერას პროფ. კ. ტრევერი გარნისში აღმოჩენილი ბერძნული წარწერის გამოცემისას[12].

პროფ. კ. ტრევერი პომიალოვსკის გამოცემას ეყრდნობა და იზიარებს პომიალოვსკის თარგმანს. იმ ადგილსაც; ე. ი. კ. ტრევერის მიხედვითაც მცხეთის პირველ წარწერაში ზღუდის გამაგრებაზეა საუბარი. თარგმანის იმ ვარიანტს, რომელიც კედლების გამაგრებას გულისხმობს, ემხრობა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგიც[13]. სიმაგრის აშენებასა და გამაგრების შესახებ მოგვითხრობს ეს წარწერა პროფ. ი. მარკვარტის განმარტებითაც[14].

უკანასკნელ ხანებში, სხვათა შორის, ეს წარწერა ახსენა ლ. ელნიცკიმ: «Известно, что в правление Нерона для поддержки римского ставленника на армянском престоле Митрида-

---

[5] გ. წერეთელი მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ სიტყვა ἐξωχύρωσαν დავას იწვევს. მისი აზრით, აქ სიტყვა ἐξοχυρόω, საფიქრებელია, იხმარება როგორც სპეციალური არქიტექტურული ტერმინი, მნიშვნელობით „снабжать мощными укреплениями" (მდრ. მცხეთის ბერძნული წარწერა..., თბ., 1958, გვ. 19).

[6] А. И. Бартоломей, Две классические надписи...,

[7] А. Натроев, Мцхета и его собор Светицховели. Т. 1900, გვ. 16.

[8] В. В. Латышев, Заметки о кавказских надписях, ИАК, вып. 10, გვ. 101.

[9] П. С. Уварова, Коллекции Кавказского Музея, том V, Археология, Т., 1902, გვ. 194, ტაბ. XII.

[10] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 158.

[11] საქართველოს ისტორია; აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 82.

[12] К. В. Тревер, Надпись о построении армянской крепости Гарни. Л., 1949, გვ. 27.

[13] Л. Меликсет-Беков, Армазни, Тб., 1937, გვ. 28.

[14] J. Marquart, Skizzen zur historischen Topographie und Geschichte von Kaukasien. Wien, 1928, გვ. 14 და 15.

та (Tac., Ann. XII, 44) в крепости Горнее (Гарни) был помещен римский гарнизон. Подобная же связь Рима с Иберией иллюстрируется известной надписью из Мцхета, датируемой 75 г. н. э. (время Веспасиана) и сообщающей о постройке римскими военными силами оборонительных стен для иберийского царя Митридата, сына Фарсмана, в Гармозике».[15]

რა თქმა უნდა, ლ. ელნიცკისეული გადმოცემა მცხეთის პირველი წარწერის შინაარსისა სინამდვილეს ძლიერ დაშორებულია. მცხეთის პირველ წარწერაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ არმაზციხეში რომაული გარნიზონი იდგა; პირდაპირ არც იმაზეა საუბარი, რომ კედლები მაინცადამაინც რომაელმა სამხედრო ძალებმა ააშენეს ჰარმოზიკაში; არც რომაელთა სამხედრო ძალები და არც არმაზციხე წარწერაში ნახსენები არაა. ლ. ელნიცკი პომიალოვსკის თარგმანს იმოწმებს: უკანასკნელს კი, როგორც უკვე მივუთითეთ, თარგმნილი აქვს, ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე: „укрепили стены". ასეთ ვითარებაში ლ. ელნიცკი წერს, რომ წარწერა მოგვითხრობსო „...о постройке... в Гармазике".

ა. ამირანაშვილმა 1928 წელს მეთხუთმეტე სტრიქონის ახალი წაკითხვა გამოაქვეყნა და უკანასკნელი სტრიქონი ასე თარგმნა: „... укрепили стены"[16]; ხოლო ათი წლის შემდეგ შეცვალა ეს ადგილი და გამოაქვეყნა[17] „...построили крепость".

თითქმის ასეთივე დამოკიდებულება გამოამჟღავნა ამ საკითხზე პროფ. შ. ამირანაშვილმა. აკად. ი. ჯავახიშვილისეული თარგმანის ბოლო ნაწილს „ზღუდე გაუმაგრეს" თან აახლა განმარტება — „ე. ი. აუშენეს ციხეო"[18].

ამრიგად, მცხეთის პირველი წარწერის უკანასკნელი ნაწილის თარგმნისას ერთი ნაწილი სპეციალისტებისა თვლის, რომ ზღუდის (კედლების, გალავნის ან ციხის) გამაგრებაზეა საუბარი. ხოლო მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ — კედლების ზღუდის ან ციხის აშენებაზე.

ამ საკითხის მცხეთის პირველი წარწერის თარგმნისას არსებითი მნიშვნელობა მიენიჭა იმის გამო, რომ ა. ბოლტუნოვამ თავისი უკანასკნელი თარგმანი („построили крепость") საყრდენ მოსაზრებად აქცია ახალი დებულებისათვის, რომლის მიხედვით, იბერებმა თურმე სიმაგრეების მშენებლობა არ იცოდნენ; ისინი ამ საქმეში გამოუცდელნი იყვნენ და ამიტომ საჭიროებდნენ რომაელთა დახმარებას. ა ბოლტუნოვა წერს ამ საკითხებზე შემდეგს: «Иберия являлась важнейшим союзником Рима к северу Парфии. Будучи неопытны в строительстве крепостей, они нуждались в надежной защите со стороны Армении и Парфии»[19].

ამრიგად, ერთის შეხედვით ძლიერ უმნიშვნელო მომენტი იქცა პრინციპულ ხასიათის საკითხად, რომელიც ქართლის სამეფოს მშენებლობის ხელოვნების განვითარების დონეს ცალმხრივად წარმოგვიდგენს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოტანილი ამონაწერის ავტორი საქართველოს არქეოლოგიას კარგად იცნობს და მითითებული წერილი მან გამოაქვეყნა 1948 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც დასრულებული იყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის დიდად მნიშვნელოვანი ეტაპი და არსებობდა ნივთიერი საფუძველი იბერთა მშენებლობის ხელოვნების დონე წარმოგვედგინა ძვ. წ. IV საუკუნიდან მაინც.

ერთ-ერთ ასეთ საფუძველს ჩვენ მიერ ბაგინეთში გათხრილი ნაგებობანი და პირველყოვლისა გრანდიოზული ზღუდეები შეიძლება წარმოადგენდნენ. ნაგებობათა ამ ჯგუფს, როგორც წინ ითქვა, ჩვენ ვაერთიანებთ არმაზციხე I-ში.

არმაზციხის უძველესი ფენა, როგორც ვნახეთ, ძვ. წ. IV—III საუკუნეებს მიეკუთვნება, ე. ი. არმაზციხეში აღმოჩენილი ზღუდეები და ნაგებობანი ოთხასი წლით მაინც უსწრებენ მცხეთის პირველ წარწერას, რომელიც, როგორც ცნობილია, ახ. წ. 75 წელს არის ამოკვეთილი[20]. მაშასადამე,

---

[15] Л. Ельницкий, Северопричерноморские заметки. ВДИ, № 1, 1950.

შდრ. ა. აფაქიძე, შენიშვნები Scythica et Caucasica-ს გამოცემის გამო, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ., 1948, გვ. 181—193.

[16] А. И. Амиранашвили, Греческие надписи. Музея Грузии. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV თბ., 1928, გვ. 193.

[17] А. И. Амиранашвили, Иберия и римская экспансия в Азии (К истории древней Иберии) ВДИ, № 4, М., 1938, გვ. 172.

[18] შ. ამირანაშვილი, თბილისის გარეუბნები. თბილისი—სიიუბილეო კრებული, თბ., 1946, გვ. 206.

[19] А. И. Амиранашвили, Иберия и римская экспансия..., ВДИ, № 4, 1938, გვ. 172.

[20] ჯერ კიდევ ი. პომიალოვსკიმ აღნიშნა, რომ მცხეთაში 1867 წელს აღმოჩენილი წარწერა ამოკვრილია ახ. წ. 75 წლის 1 ივლისს შემდეგ; შდრ. И. Помяловский, Сборник греческих и латинских надписей Кавказа, СПб., 1881, გვ. 68.

თუნდაც ამის გამო არ შეიძლება (იბერებს) ახ. წ. პირველ საუკუნეში სიმაგრეთა მშენებლობის გამოცდილება არ ჰქონოდათ.

კლასიკურმა მწერლობამ შემოინახა ცნობა რომაელი სარდლის პომპეუსის ლაშქრობის შესახებ საქართველოში (იბერიაში). დიონ კასიოს კოკკეიანი, როდესაც იბერიაში პომპეუსის ლაშქრის შემოჭრას აღწერს, აღნიშნავს, რომ ადგილი, რომელიც ხეობის კარად ითვლებოდა, რომაელმა სარდალმა ხელში ჩაიგდო და ციხეში თავისი მეციხოვნენი ჩააყენაო. დიონის თხრობის მთელი მსვლელობა სავსებით ცხადსა ხდის, რომ იბერთა სატახტო ქალაქს ციხე-სიმაგრეები უკვე ჰქონია მტკვრის აქეთა (მარჯვენა — ა. ა.) მხარეს[21]. პომპეუსს აქ დახვდა ციხე-სიმაგრეები, რომელშიაც ქართველთა მეციხოვნე ჯარი იყო. სწორედ პირველ რიგში ამ გამაგრებულ ქალაქში და მხოლოდ შემდეგ „დიდ მცხეთაში“ შეაკლა თავი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში პომპეუსის ჯარს, პლუტარქეს ცნობის მიხედვით, 9 ათასმა ქართველმა[22]. შემდეგ, როგორც ცნობილია, პომპეუსმა დაანგრია და ცეცხლს მისცა ეს სიმაგრეები. ეს ცნობაც აშკარად ადასტურებს, რომ ქართველებს ახ. წ. 75 წელზე გაცილებით ადრე ჰქონიათ ციხე-სიმაგრეები მცხეთაში; ე. ი. უკვე საკმაო გამოცდილებაც უნდა ჰქონოდათ მათ სიმაგრეების მშენებლობაში.

წინ უკვე ითქვა, რომ არსებობს სტრაბონის მიერ შემონახული ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიაში „გეხვდება კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული ხელოვნების წესების თანახმად აშენებული ბინები და საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი შენობები“[23]. ეს ცნობები თვით ა. ბოლტუნოვას ახალი გამოკვლევის მიხედვით, ძვ. წ. აღრიცხვის მეორე საუკუნეს მაინც ასახავს; მაშასადამე, მცხეთის პირველი წარწერის ამოკვეთამდე ორიოდე საუკუნით ადრე არა მარტო გამოცდილი, არამედ შესანიშნავად დახელოვნებული ყოფილან ქართველები კედლებისა და ციხე-ქალაქების მშენებლობის საქმეში, როგორც ეს, ამ შემთხვევაში, სტრაბონის ცნობიდან ჩანს. ე. ი. იბერთა ამ მხრივ გამოუცდელობაზე საუბრის საფუძველი აქაც არ ჩანს. ამასვე ამტკიცებს „მეფეთა ცხოვრებაც“..., რომლის ავტორი ქვითკირით მშენებლობას ძვ. წ. აღრიცხვის III საუკუნისათვის ჩვენში გავრცელებულად თვლის[24].

დაახლოებით იმ ხანის სხვა წარწერებში მოხსენებული სიტყვა ałxtisev, აორისტი სიტყვისა xtiζw — „ვაშენებ“ — „ვაარსებ“, ყოველთვის ნამდვილად ახალშენებლობას ან დაარსებას კი არ გულისხმობდა, არამედ აღდგენას ან გამაგრებასაც[25]. ასე მაგ., ახლა სავსებით ცხადია, რომ გარნისში აღმოჩენილი ახ. წ. 77 წლის ბერძნული წარწერა ეხება ციხე-სიმაგრის აღდგენას და არა აშენებას, თუმცა წარწერაში აშენება იკითხება სავსებით უეჭვოდ. გარნისის შემთხვევაში ałxtiζev — „აშენება“ რომ „აღდგენას“ გულისხმობს, ეს უკანასკნელად კარგად გაარკვია პროფ. კ. ტრევერმა, რომელიც ჩვენის აზრით სამართლიანად მიუთითა, რომ: «Гарнийская надпись сообщает, что Тиридат строит в 77 г. крепость и усадьбу в Гарни, но уже в 52—53 гг., то-есть, за двадцать пять лет до этого в Гарни имелись и стены и царское жилище, судя по рассказу Тацита (Аналы. кн. XII, гл. 45—56) и в этой крепости (castellum) сидел царь Митридат и обороняся от напавшего на него племянника иберийского царевича Радамиста. В этом сообщении Тацита для нас важно, что в 52—53 гг. Гарни был крепостью».[26]

საალმშენებლო საქმეში ქართველთა დიდი გამოცდილების საილუსტრაციოდ ბაგინეთში აღმოჩენილ ძეგლებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ არმაზციხე I-ისათვის დამახასიათებელი სიმაგრეებისა და ნაგებობათა ნაშთის აღმოჩენა წიწამურში[27], სარკინე-ქალაქის მიდამოებში და გო-

---

21 Дион Кассий Коккеиан, Римская история, XXXVII, 1, ВДИ, № 2, М., 1948, გვ. 270.

22 Плутарх, «Сравнительные жизнеописания». Помпей, XXXIV, ВДИ, № 4, 1947 გვ. 342.

23 Страбон, «География» XI 3, I; ВДИ, № 4, 1947, გვ. 217.

თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 127.

24 ლეონტი მროველი, „მეფეთა ცხოვრება...“, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 8.

25 ს. ჯანაშია, ბარამიშვილთა გენეალოგიისათვის შრომები, II, თბ., 1952, გვ. 471.

26 К. В. Тревер, Надпись о построении армянской крепости Гарни. Л., 1949, გვ. 29.

27 ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროების Σευσάμορα — წიწამური—ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1958, გვ. 131 და შემდ.

ა. აფაქიძე, მცხეთა—ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბ., 1959, გვ. 58—61.

რის ციხეზე. აქ IV—III საუკუნეების, ე. ი. არმაზ-ციხე I ტიპისა და მისი თანადროული ძეგლების, კერძოდ ზღუდისა და კოშკების ნაშთების აღმოჩენა იმასაც ადასტურებს, თუ რა სიძლიერით დაუწყიათ ქართლის სამეფოს მეთაურებს, არამარტო დედაქალაქის, არამედ სამეფოს უმთავრეს ციხე-ქალაქთა გამაგრება, უეჭველია მტკვრის ორივე მხარეზე. სარკინე იმიტომაც იპყრობდა ყურადღებას, რომ აქ დასავლეთის ჭიშკარია დედაქალაქისა; გორი კი დიდი ქალაქი და გზაჯვარედინის კვანძი იყო, რომელიც ერთნაირად უყრიდა თავს მტკვრისა და ლიახვის ხეობებს, ე. ი. ჰკეტავდა მნიშვნელოვან გზას.

ჩვენის აზრით, აქ მთავარი ის კი არ იყო, რომ იბერები გამოუცდელნი იყვნენ და რომის დახმარებას საჭიროებდნენ ციხე-სიმაგრეების მშენებლობაში. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა თითონ რომის ინტერესებს ჰქონდა; რომაელებს ციხე-ქალაქთა და გალავან-ზღუდეთა გამაგრებით უნდოდათ ე. წ. მეგობრობისათვის გაესვათ ხაზი. მათ იბერიის დაცვა მხოლოდ იმდენად აინტერესებდათ. რამდენადაც ქართველები ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ იმ სიტუაციაში, როგორც სპარსელთა, ისე რომაელთა წინააღმდეგ და, განსაკუთრებით, ძლიერად გამოიყურებოდნენ სპარსელთა და რომაელთა დაუსრულებელი ქიშპობის სინათლეზე.

ვესპასიანეს ეს ნაბიჯი იყო გაგრძელება რომაული პოლიტიკისა, რომლის თავისებურება საქართველოში, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველები ნეიტრალური მაინც ყოფილიყვნენ, თუ რომაელთა დამხმარე არა, მათ აღმოსავლურ პოლიტიკაში. ამაზე ამბობდა აკად. ს. ჯანაშია: „პირველი საუკუნის მეორე ნახევარშიაც, როცა ქართლში ფარსმან პირველის შვილი მითრიდატი მეფობდა, რომაელები კვლავინდებურად ცდილობდნენ ქართლის მეფისა და ხალხის გულის მონადირებას“[28].

ამ თვალსაზრისით ისიც არის დამახასიათებელი, რომ რომაელები დედაქალაქის ზღუდეს ამაგრებენ. როგორც ჩანს, იმპერატორმა ვესპასიანემ და მისმა სარდლებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართლის დედაქალაქს საფრთხე უფრო სამხრეთიდან ემუქრებოდა; ალბათ მათთვის ყველაზე ცოცხალი იყო მოგონება პომპეუსის ლაშქრობისა ამ მხრიდან. ის, რაც ძვ. წ. 65 წელს პომპეუსმა დაანგრია და ცეცხლს მისცა რომაელებთან მტრულად განწყობილ იბერთა (ქართველთა) დედაქალაქში, 140 წლის შემდეგ გაამაგრა ვესპასიანემ, რომელიც ყოველღონეს ხმარობდა ქართველთა მეფის და ხალხის გული მოეგო. რაკი ძალით დაპყრობა უიმედო შეიქმნა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამაში აირეკლა რომაელთა საკმაოდ ელასტიური პოლიტიკა ჩვენში; მცხეთის გალავნის გამაგრებაც ვესპასიანეს დიპლომატიური ნაბიჯი უფრო იყო, ვიდრე თავდაცვითი ღონისძიება.

ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ. რომ სიმაგრეები მცხეთაში. ამ ადგილასაც კი, პირველად რომაელებს არ აუშენებიათ. შესაბამისად მცხეთის პირველი წარწერის ბოლო ნაწილის თარგმნისას ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ და კედლების „განმტკიცებას-გამაგრებას“ მივანიჭოთ უპირატესობა. ზემოთ მოტანილ საბუთები, ჩვენის აზრით, ადასტურებენ, რომ მითითებულ წარწერაში გ ა მ ა გ რ ე ბ ა ზ ე უნდა იყოს საუბარი და არა ახალ მშენებლობაზე — აშენებაზე. ამასთანავე. დაუსაბუთებელი რჩება ა. ბოლტუნოვას მოსაზრება სიმაგრეთა მშენებლობის საქმეში ქართველთა ჩამოუცდელობის შესახებ.

წარწერის საერთო დახასიათებისას ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ 17 სტრიქონიდან 13—ვესპასიანეს და ნერონ თანამებრძოლთა ტიტულების ჩამოთვლას მოიცავს. სხვათა შორის. ბევრი არაპირველხარისხოვანი ამბებია აღნიშნული, მაშინ. როდესაც ქართლის მეფეთა ტიტულები („დიდი მეფე“, „მეფე დიდი“) ერთხელაც არ არის აღნიშნული. როგორც ვიცით, წერილობითი წყაროები (მათ შორის ეპიგრაფიკული არაქართულიც) ადასტურებენ, რომ ქართლის მეფეები „დიდი მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა — ხომ არ არის ესეც იმის დამატებითი მაჩვენებელი, რომ წარწერა შედგენილია განსაზღვრული განწყობილებით აღჭურვილი უცხოელის მიერ?

ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის ტოპოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს მითითებული წარწერის აღმოჩენის ადგილი, რადგან წარწერაში მითითებული ზღუდე მცხეთა ქალაქის ტერიტორიას საზღვრავდა სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე.

ა. ბართოლომეის ცნობა იმის შესახებ, რომ წარწერიანი ქვა აღმოჩნდა თბილისი-მცხეთის გზა-

[28] საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 82.

ტაეცილზე, მცხეთიდან 6 ვერსზე. გზის მოსახვევში, მტკვრის ნაპირას, სადაც ციცაბო კლდეებში გამოკვეთილი გამოქვაბულები ჩანს, ჩვენის აზრით, საკმაოდ ზუსტია. ჩვენ ამ წარწერის განხილვის ღაწყებისთანავე აღვნიშნეთ, რომ ეს არის ზემო ავჭალის რკინიგზის ახალი ხიდის მიდამო.

ჩვენზე უფრო ადრე ამ წარწერის აღმოჩენის ადგილას განსაზღვრა სცადა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა და ის აზრი გამოთქვა, რომ წარწერიანი ქვა 1867 წელს აღმოჩნდაო თბილისიდან მცხეთამდე რკინიგზის გაყვანისას, კლდის აფეთქების დროს. არმაზის ანუ ბაგინეთის ქედის ცხვირთან[29]. ლ. მელიქსეთ-ბეგის ეს განსაზღვრა არ ემთხვევა აღნიშნული წარწერის პირველი გამომცემლის ა. ბართოლომეის ცნობას იმის შესახებ, რომ წარწერა აღმოჩნდა მცხეთიდან 6 ვერსის დაშორებით, იმ ადგილას, სადაც კლდეში გ ა მ ო ქ ვ ა ბ უ ლ ე ბ ი ა გამოკვეთილი. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრება ეწინააღმდეგება ა. ბართოლომეის საკმაოდ დამაჯერებელ ცნობას, იმიტომ, რომ: ა) არმაზის ანუ ბაგინეთის მთის ცხვირიდან მცხეთამდე 6 ვერსი კი არა. დაახლოებით 1 კილომეტრია ახლანდელი გზით, რომელიც ასიოდე მეტრით უფრო გრძელია ძველ გზასთან შედარებით, იმის გამო, რომ ახალი ხიდი აშენებულია უფრო ზევით, ვიდრე 1867 წელს მოქმედი ძველი ხიდი; ბ) არმაზის ან ბაგინეთის ქედის ცხვირთან გამოქვაბულები კი არ არის, არამედ ერთადერთი პატარა გამოქვაბულია.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს დაწვრილებით არა აქვს განხილული საკითხის ეს მხარე და, რა თქმა უნდა, არც სათანადო საბუთები აქვს მოხსენებული თავისი მოსაზრების დასადასტურებლად.

როგორც ჩანს, ლ. მელიქსეთ-ბეგი არც დ. ბაქრაძის სათანადო ცნობას უწევს ანგარიშს. დ. ბაქრაძეს წარწერის აღმოჩენის ადგილი მკაფიოდ აქვს მითითებული და თანაც სწორედ შოსე-გზის (და არა რკინიგზის) მშენებლობასთან დაკავშირებული. ეი რას წერდა ამ საკითხზე დიმ. ბაქრაძე 1875 წელს: დიმის ველის დასასრულს გზა შედის «В дикое, скалистое ущелье... где многие утесы покрыты остатками укреплений и башень и где, не доезжая 6-ти верст до Мцхета, на самом берегу Куры, в 1867 г., при проложении шоссейной дороги, случайно открыт замечательный песчаниковый камень... скатившийся с вершины от крепостцы... с греческою надписью 75 г. по Р. Х.»[30]

რაკი მცხეთის პირველი წარწერის აღმოჩენის შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული და ამასთანავე, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად უნდა მდგარიყო ეს სტელა, საჭიროა უფრო დანამდვილებით გაირკვეს და შესაძლებლად ზუსტად დადგინდეს ამ წარწერის აღმოჩენის ადგილი. ამ საკითხის გარკვევას მცხეთის ისტორიის მკვლევარისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, იმიტომაც, რომ წარწერა ქართლის (იბერიის) ტერიტორიაზეა კედელში ჩადგმული; ე. ი. უნდა დავუშვათ, რომ ის ადგილი, სადაც 1867 წლის მაისში წარწერა ნახეს, ახ. წ. 75 წელს ქართლს (იბერიას) ეკუთვნოდა. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ სიმაგრე, რომლის გალავანში წარწერა იყო ჩასმული, ქართლის ქალაქის სიმაგრე იყო, ე. ი. ახ. წ. აღრიცხვის 75 წლისათვის ქართლის — აღმოსავლურ-ქართული სამეფოს დედაქალაქის მიდამოები იმ ადგილამდე მაინც ვრცელდებოდა, სადაც 1867 წლის მაისში წარწერიანი ქვა აღმოაჩინეს. ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს არმაზის ციხის — დედაქალაქის შიდაციხის ლოკალიზაციისათვისაც.

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ა. ბართოლომეის გამოქვაბულები აქვს ნახსენები; ისიც მცხეთიდან მეექვსე ვერსზე. სად უნდა იყოს მეექვსე ვერსი მცხეთიდან ადვილად ირკვევა. მანძილის დასახელებისას მაშინ გამოსავალ პუნქტს საფოსტო სადგურები წარმოადგენდნენ. ასე იყო მცხეთაშიაც მაშასადამე, მეექვსე ვერსი მცხეთის საფოსტო სადგურიდან უნდა ვიანგარიშოთ. საკმაოდ კარგადაა ცნობილი მცხეთის საფოსტო სადგურის ადგილმდებარეობა. საკმარისია დავასახელოთ ე. ვაიდენბაუმის „Путеводитель по Кавказу“, რომელიც 1888 წელს გამოიცა. იქ ნათქვამია: «Мцхетская почтовая станция находится на правом берегу Куры, близ станции Поти-Тифлисской железной дороги»[31]. ე. ვაიდენბაუმის ამ ცნობას საარქივო მასალებიც კარგად ადასტურებენ. თბილისი-მცხეთის შოსე-გზის ტექნიკურ აღწერილობაში აღნიშნულია, რომ თბილისიდან მცხეთამდე გეგმით 18,6 ვერსია და ამაში შედის

---

29 Л. Меликсет-Беков, Армазци, Тб., 1937, ss. 28.

30 Д. З. Бакрадзе, Кавказ в др. пам. христианства; ЗОЛКА, 1, Т., 1875, ss. 107.

31 Е. Вайденбаум, Путеводитель по Кавказу. Т., 1888, ss. 302.

იმ შტოს სიგრძე, რომელიც მცხეთის ქვის ხიდიდან საფოსტო-სადგურამდეა; დოკუმენტში ნათქვამია, რომ მცხეთის ხიდიდან საფოსტო სადგურამდე 65 საჟენიაო[32].

ახლა, რაკი საფოსტო სადგურის ადგილი ცნობილია, შეიძლება პირდაპირ გაიზომოს მეექვსე ვერსი და დადგინდება წარწერიანი ქვის აღმოჩენის ადგილი. ვიდრე ეს გაკეთდებოდეს, საყურადღებოა გაირკვეს მცხეთის შემთხვევაში მანძილის აღნიშვნისას გამოსავალ პუნქტს საფოსტო სადგური წარმოადგენდა თუ სხვა რამ? იმ ხანად, როგორც ეს საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, მანძილი მხოლოდდამხოლოდ საფოსტო სადგურებიდან იზომებოდა. თბილისი-მცხეთის შოსეგზის მშენებლობის უფროსის იაკუბოვსკის 1807 წლის საქმეებში და, აგრეთვე, შემდეგი წლების მასალებში, აშკარად ჩანს, რომ გზის გაფართოების, ახალი გზის გაყვანის თუ შეკეთების დროს მანძილი საფოსტო სადგურებს შორის აღინიშნებოდა. ეს დადასტურებულია ნახაზებითაც[33].

ამ მოსაზრების დასადასტურებლად ჩვენ ვაქვეყნებთ ს. ესაძის არქივში დაცულსა და ამ მხრივ საყურადღებო შემდეგ ცნობას: «От Мцхета шоссе идет по ущелью Куры, все более и более суживающемуся, и у подножья правобережных гор, с первой же версты подойдя к полотну железной дороги, идет подле него до 6-й версты, где близ прекрасного железного моста пересекает его. Тут железная дорога переходит на левый берег Куры, а шоссе остается на правом.

На крутых обрывах хребта, возвышающегося над уровнем Куры на 650—808, ф. в вышине утесов в диком камне высечены пещеры, не имеющие четырехугольные отверстия»...[33]

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ მცხეთიდან პირველ ვერსზევე შოსე გზა მიყვება რკინიგზის ხაზს, ე. ი. გზის სათვალავი იწყება სადღაც იმ ადგილას, სადაც შოსე გზა რკინიგზის ხაზს უახლოვდება. ჩვენის აზრით, ეს საფოსტო სადგური უნდა იყოს და ამრიგადაც, აშკარავდება, რომ სათვალავი საფოსტო სადგურიდან იწყებოდა. ამ ცნობაში ჩვენ მიერ ხაზგასმული ადგილი ადასტურებს, რომ შოსე გზა გადაკვეთს რკინიგზას მეექვსე ვერსზე მცხეთიდან. შოსე გზისა და რკინიგზის გადაკვეთის ადგილი ყველასათვის კარგად არის ცნობილი; ეს რკინიგზის ძველი ხიდის მიდამოებია, ზემოთ მოტანილი ცნობითაც და ფაქტიურადაც; სხვანაირად, ეს მიდამოები მცხეთის საფოსტო სადგურიდან მეექვსე ვერსზეა. ჩვენ ვცადეთ ამ ცნობის შემოწმება და გავზომეთ მანძილი მცხეთამდე იმ ადგილიდან, სადაც შოსე გზა გადაკვეთდა რკინიგზას. დადასტურდა, რომ მეექვსე ვერსზე მცხეთის ძველი ქვის ხიდია და ამ ხიდიდან 65 საჟენით დაშორებული მცხეთის საფოსტო სადგური. ამრიგად დადასტურდა, რომ შოსე გზის მონაკვეთთა სათვალავი მცხეთის საფოსტო სადგურიდან იწყებოდა და მეექვსე ვერსი ახლანდელი ზემო ავჭალის ხიდის მიდამოებში მიდიოდა.

ამრიგად, აშკარაა, რომ ბართოლომეის მიერ მითითებული მეექვსე ვერსი ნაქულბაქევზე მოდის; აქვეა გამოქვაბულებიც. საყურადღებოა, რომ ს. ესაძე მცხეთის სადგურიდან მეექვსე ვერსის ხსენების შემდეგ მოგვითხრობს წარწერიანი ქვის აღმოჩენის ამბავს და აღნიშნავს: „При разработке шоссейной дороги в 1867 г. на 6 версте от Мцхета, случайно найден посчанниковый камень, скатившийся с вершины от крепости, с надписью 75 г., по РХ"[34]. ცხადია, რ. ესაძე ორსავე ცნობაში ერთსა და იმავე მიდამოს გულისხმობს; მეექვსე ვერსზე მცხეთიდან თბილისისაკენ შოსე გზა გადაკვეთს რკინიგზას, იქ. სადაც ხიდია[35] და მეექვსე ვერსზე მცხეთიდან თბილისისაკენ წარწერიანი ქვაა აღმოჩენილი[36].

ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის საარქივო მასალები საკმაოდ ცხადად ადასტურებენ, რომ 1867 წლის მაისში მცხეთა-თბილისს შორის კლდეს რკინიგზის მშენებლები არ ანგრევდნენ. ამასვე ადასტურებს ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ნაშრომი: „История сооружения и эксплоатации Закавказской железной дороги...». შოსე გზაზე კი სწორედ 1867 წლის აპრილიდან გაშლილი მუშაობა იყო და კლდის აფეთქებაზეც ინტენსიურად მუშაობდნენ. ამას ამტკიცებს თბილისი-მცხეთის შოსე გზის სამუშაოების უფროსის საარქივო მასალებიც. მეათე საქმე იხსნება ვინმე იშხანოვის თხოვნით. ეს თხოვნა იშხანოვს გაუგზავნია VIII ოლქის უფროსისათვის და სამუშაოების უფროსთან — იაკუბოვსკისთან ანგარიშსწო-

[31] ცენტრ. ისტ. არქივი, ფონდი 333, ანაწერი 1, ფურც. 16.

[32] იქვე, ფონდი 333, 317 და სხვ.

[33] იქვე, ფონდი 1438, ფურც. 54, № 450.

[34] იქვე, ფურცელი 55.

[35] იქვე, ფურც. 54.

[36] იქვე, ფურც. 55.

რების საფუძველზე შექმნილ უკმაყოფილებას აგვიწერს. ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით თხოვნის პირველ გვერდზე აღნიშნულია შემდეგი: «В настоящем году в апреле месяце я заключил условие с инженером Штабс-капитаном Якубовским, который взял на себя обязанность разработать от Дигомского поля до Михетской почтовой станции дорогу и в скалистых местах по утвержденным и составленным во время производства работ профилям скалы в 5 т. к. с...[37] აქედან უკვე აშკარად ჩანს, რომ კლდის აფეთქების მთავარი სამუშაოები 1867 წლის აპრილს შემდეგ უწარმოებიათ. თავის საპასუხო რაპორტში იაკუბოვსკი წერს შემდეგ: «С разрешения Вашего Высокоблагородия, для более выгодной операции работ, по устройству Тифлисо-Михетского шоссе, мною было заключено и представлено на рассмотрение Ваше условие, от 25 апреля сего года, с туренкоподанным греком Феодором Ишхановым на следующие работы:

а) на разработку скалистых мест дороги от белого духана до Михетской почтовой станции; б) постройку поддерживающих стенок и с) устройство каменных парапетов и фундаментов под шные»[38].

ამის შემდეგ იაკუბოვსკი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს მუშაობის მსვლელობას, საიდანაც ირკვევა, რომ მაისში მრავალრიცხოვანი ჯგუფები მუშაობდნენ გზის აფეთქებაზე. ხოლო შემდეგ იშსანოვმა პირობა არ შეასრულა და ჯერ შეასუსტა მუშაობა, ხოლო შემდეგ შეწყვიტა კიდევაც. ჩვენთვის ახლა ისაა საინტერესო, რომ 1867 წლის მაისში ინტენსიური მუშაობა წარმოებდა კლდის ასანგრევად მცხეთასა და თბილისს შორის; თუ ახლა გავიხსენებთ ცნობას იმის შესახებ, რომ წარწერიანი ქვაც 1867 წლის მაისში აღმოჩნდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ წარწერა შოსე გზის მშენებლობისას აღმოჩენილა და არა რკინიგზის მშენებლობისას, როგორც ფიქრობდა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი. რაკი წარწერა შოსე გზის მშენებლობისას აღმოჩნდა და არა რკინიგზის გაყვანისას, სხვა საბუთებთან ერთად, ეს გარემოებაც იმის სასარგებლოდ ამბობს, რომ წარწერა ბაგინეთთან, არმაზის მთის ცხვირთან არ აღმოჩენილა, არამედ — ნაქულბაქევთან, სადაც აუცილებელი იყო კლდის აფეთქება შოსე გზისათვის, და არა რკინიგზისათვის, რომელიც ამ ადგილას მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სწორ მინდორზე გადის. ცნობილია, რომ ნაქულბაქევთან კლდის სამუშაო რკინიგზამ პირველად მხოლოდ 1939 წელს დაიწყო, ახალი ხიდის მშენებლობისა და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის გადატანასთან დაკავშირებით.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომების გამოქვეყნებამდე მცხეთის პირველი წარწერის აღმოჩენის ადგილის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არც არსებულა. მას შემდეგ, რაც ლ. მელიქსეთ-ბეგმა იბერიის და სამხრეთი სახელმწიფოს საზღვარი მცხეთასთან მტკვარზე დადო, როგორც ჩანს, დაეჭვდა 75 წლის წარწერის აღმოჩენის ადგილის განსაზღვრაში და ამ წარწერის აღმოჩენის ადგილი შეუფარდა თავის დებულებას ჩრდილოეთის და სამხრეთის სახელმწიფოთა საზღვრის შესახებ და ასეთ ადგილად არმაზის მთის ცხვირი აღიარა; ისე, რომ არც უარყო და, საერთოდ, არც მოიხსენია ა. ბართოლომეის, პ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, ს. ესაძის და სხვ. საკმაოდ ზუსტი და პირდაპირი ცნობა ამ წარწერის აღმოჩენის ადგილის შესახებ.

იმას გარდა, რომ ბართოლომეის მანძილი მცხეთიდან საკმაოდ ზუსტადა აქვს მითითებული, ის აღწერს იმ ადგილს, სადაც მისი აზრით ეს ციხე უნდა მდგარიყო: „В настоящее время на площадке, где надо предполагать место крепости, видны остатки не так давно бывшей здесь грузинской деревни, — остатки саклей и развалины маленькой церкви[39]". ა. ბართოლომეის თხოვნით 1867 წელს, მისი ნაშრომის ამ ადგილისათვის პ. იოსელიანს გაუკეთებია შენიშვნა, რომელიც ბართოლომეიმ მაშინვე გამოაქვეყნა. პ. იოსელიანი განმარტავს: „Местность эта известна в географии и в истории Грузии под именем Накулбакеви (ნაქულბაქევი), т. е. бывшее торговое место. Словно древнее ქულბაქი და ქულა значит лавку, ряд лавок, рынок. Древняя Армастика Плиния и Страбона, как город древний, оканчивалась в Накулбакеви"[40].

ამრიგად: მცხეთის 75 წლის წარწერის აღმოჩენის ადგილის სწორი განსაზღვრა პირველად ა. ბართოლომეიმ მოგვცა. ა. ბართოლომეის ცნობას აღმოჩენის ადგილის შესახებ სავსებით სწორად განმარტავს პ. იოსელიანი. ეს ადგილია — ზემო ავჭალის ახალი ხიდის — ე. ი. ნაქულბაქევის მიდამოები. ა. ბართოლომეის და პ. იოსელიანის განსაზღვრას, ადასტურებს სათანადო საარქივო მასა-

[37] იქვე, ფონდი 333, საქმე 10, ფურცელი 7.
[38] იქვე.

[39] А. И. Бартоломей, Две классические надписи, 83. 5.
[40] იქვე, პ. იოსელიანის შენიშვნა, გვ. 5.

ლებიც. ა. ბართოლომეის, პ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, ს. ესაძის, ე. ვაინდენბაუმის ნაშრომებისა და გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების საფუძველზე და, აგრეთვე, ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა გათვალისწინების შემდეგ, ჩვენ ვერ ვპოულობთ საფუძველს ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრების სასარგებლოდ და დადგენილად მიგვაჩნია, რომ მ ც ხ ე თ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი წ ა რ წ ე რ ა აღმოჩენილი იყო 1867 წლის მაისში, საქართველოს სამხედრო გზის გაფართოების დროს, ნაქულბაქევთან კლდის აფეთქებისას.

ამ წარწერის აღმოჩენის ადგილის დაზუსტებას სხვა მნიშვნელობაც აქვს. ირკვევა ქ ა რ თ ლ ი ს ძ ვ ე ლ ი დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი ს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი, სადაც ზღუდე ყოფილა აღმართული და რომლის გამაგრების შესახებ 75 წლის წარწერა მოგვითხრობს.

დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ზღუდის აღმოჩენის მნიშვნელობა უფრო ცხადი გახდება, თუ ამ საკითხზე ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს გავიხსენებთ[41].

მ ე ო რ ე წ ა რ წ ე რ ა (ტაბ. XLIX, 3) აღმოჩნდა 1872 წელს მცხეთის ჩრდილოეთ მხარეს; სამთავროს არქეოლოგიური გათხრების დროს. ეს ებრაული ეპიტაფია გვიანდელი ქვისსამარხის შესადგენად ყოფილა გამოყენებული. 1875 წელს თბილისში კაკაესის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების მეცნიერულ წერილთა I ტომში გამოქვეყნებულ იქნა ი. ჩორნის თარგმანი, ხოლო 1884 წელს დ. ხვოლსონმა ამ წარწერას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა თავის ცნობილ „ებრაულ წარწერათა კრებულში“.

დ. ხვოლსონს საკმაოდ დაწვრილებითა აქვს განხილული წარწერის მცხეთაში მოხვედრის ვითარება, ქალაქში ებრაელთა კვარტალის არსებობის საკითხი, წარწერის ამოკითხვისა და თარგმნის სირთულე და სხვ.

დ. ხვოლსონმა მცხეთაში 1872 წელს აღმოჩენილი წარწერა ეპიტაფიად მიიჩნია და ასეთი თარგმანი გამოაქვეყნა: „Это гроб дорогого (почтенного?) отца Иегуды, прозванного Гурк. Место его покоя да будет с благочестивыми, его воскресение с (в общение) праведными“[42].

[41] ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 71—98; იქვეა სათანადო ლიტერატურის განხილვა მოცემული; იხ. აქვე, არმაზციხის უბანი.

შინაარსი წარწერისა არ იძლევა რაიმე მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობას. ის მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ მცხეთაში მართლაც ისმოდა ებრაული ენა და შესაძლოა არსებობდა ებრაელთა კვარტალიც. ეს კი წინამდებარე ნაშრომისათვის გარკვეული საბუთია, ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის დასახასიათებლად.

დ. ხვოლსონი აღნიშნავდა, რომ წარწერის შინაარსსა და ენას არ შეუძლია რაიმე მითითება მოგვცეს ეპიტაფიის დასათარიღებლად, მაგრამ საამისო პასუხს გვაძლევს დამწერლობის ფორმა. ამ მონაცემებისა და იმის მიხედვით, რომ სახელი Гурк უფრო გვიან არა გვხვდება, ამ წარწერას ავტორი IV—V საუკუნეს აკუთვნებს.

მ ე ს ა ნ ე წ ა რ წ ე რ ა. 1938 წლის ოქტომბერში მცხეთაში არაგვის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზის დასავლეთით, სამთავროს ველზე, შენობის საძირკვლისათვის მიწის გაჭრისას ქვისსამარხები აღმოჩნდა. სამარხები მუშებს გაეხსნათ და მათი ყურადღება სამარხთა კედლებად გამოყენებულ, წარწერიან ქვებს მიუქცევია. აღმოჩნდა ქვიშაქვის ორი წარწერიანი ლოდი. ერთ მათგანზე ბერძნული წარწერაა ამოკვეთილი (ტაბ. XLVIII, 3), მეორეზე კი — ებრაული

ბერძნული წარწერა ამოკვეთილია ქვიშაქვის ლოდზე, რომელიც თავიდანვე მცხეთის მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის საფლავზე მდგარა, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მეორედ გამოუყენებიათ — უკვე სამარხის კედლად, ისევე, როგორც არა ერთი აქ განხილული წარწერიანი ლოდი. ბერძნული წარწერა 15 სტრიქონიანია. მიწიდან ამოღებისას ლოდი ორად გატეხილა, რის გამოც ტექსტი დაზიანებულია, ქვა გადატეხილია მე-11 და მე-12 სტრიქონებს შორის; შესაბამისად, უმთავრესად ეს ორი სტრიქონია დაზიანებული, მაგრამ თავი და ბოლო აკლია მე-9—12 სტრიქონებსაც; განსაკუთრებით ეს ითქმის მეთერთმეტე სტრიქონის შესახებ. თავისთავადაც წარწერა კარკად შენახული არაა. ადვილად შლადი ქვიშაქვა ჰაერზე დიდხანს ვერ ძლებს. ის ნიადაგში მოხვედრის შემდეგაც იშლება. ისიც შეიძლება აღი-

[42] Д. А. Хвольсон, Надгробная надпись из Мцхета..., Сборник еврейских надписей, содержащий надгробные надписи из Крыма и надгробные и другие надписи из иных мест... СПБ., 1884, გვ. 132.

ნიშნოს, რომ ასოები მაინცდამაინც ღრმად არ ამოუკვეთიათ, რის გამოც რამდენიმე ასო თითქმის გადალესილია და ცხადია, ძნელად იკითხება. წარწერის შემსრულებელიც მაინცადამაინც დახელოვნებული არ ყოფილა; ასოები თანაბარი და ზომიერი არაა, სტრიქონებიც ზოგჯერ აღუნულია. სტელა სიმაღლით 64 სმ-ია, სიგანით 34-დან 37,5 სმ-მდე აღწევს, ე. ი. ქვედა ნაწილი უფრო ფართოა, ხოლო ზედა ნაწილი დასაწყისიდან 14,5 სმ-მდე უფრო თხელიცაა.

წარწერის პალეოგრაფიული ანალიზისა და ტექსტის დაწვრილებით განხილვისა და შესწავლის შემდეგ პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა ასეთი თარგმანი:

„აქ განვისვენებ მხატვართ-უხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი — ჩემი მეუღლითურთ, ბევრაზურიათურთ. ვთხოვ მეგობრებსა და გამვლელებს ყური უგდონ (....), რათა არავინ და/აზიანოს ?..... თუ (ვინმე) გაბედავს დასაფლავებას/ჩვენთან ერთად, ან ჩვენი ტომისანი ან სხვა უცხოელი, პასუხს აგებს თავისი აღდგომის დროს“[43].

ამ წარწერის თ. ყაუხჩიშვილისეული თარგმანი შესამჩნევად განსხვავდება პირველი თარგმანისაგან და ამიტომ ვაქვეყნებთ მასაც. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი ასეთია:

„ავრელი აქოლისი, მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქ განვისვენებ ჩემ მეუღლე ბევრაზურიასთან ერთად. ვთხოვ მეგობრებსა და გამვლელებს, რომ ყური უგდონ ერთმანეთის... დაახლებით მეათიათასამდე, ისე, რომ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენთან ერთად (დასაფლავებას—?) ან (ჩვენი) ტომისა ან სხვა უცხოელი, პასუხი აგოს თავისი აღდგომისას“.

ტექსტის აღდგენა-შევსებისა და თარგმნისას შეიძლება საყურადღებო იყოს ზოგიერთი არქეოლოგიური დაკვირვებაც; ასე მაგ., ცნობილია, რომ სამთავროს ველზე (ასევე დიდ მცხეთაში საერთოდ) ერთ სამარხში რამდენიმე მიცვალებულს ასაფლავებდნენ და ისიც არა ერთდროულად. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადრე დამარხულის ჩონჩხი მიყრილია ერთ კედელთან და სამარხის შუაგულში ახალი მიცვალებულია ჩასვენებული. ასეთი წესი ფართოდ ჩანს გავრცელებული IV საუკუნიდან, მაგრამ შეიმჩნევა უფრო ადრეც II—III საუკუნეებშიაც.

როგორც მცხეთის მესამე წარწერიდან ირკვევა, მოსალოდნელი ყოფილა ერთ სამარხში არა მარტო ოჯახის წევრის, ახლობლის ან ერთი ტომის მიცვალებულის დამარხვა, არამედ — უცხოელისაც კი. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს წარწერის ბოლო ნაწილი.

ამ ცნობას ჩვენთვის არაპირდაპირი მნიშვნელობაც აქვს. ის კარგად ასახავს III—IV საუკუნეებიდან გავრცელებულ დამარხვის წესს და შეიძლება იყოს სამარხთა გაძარცვის ერთ-ერთი ამხსნელი მომენტთაგანიც. მცხეთის დედაქალაქობის ბოლო ხანებში ძველ სამარხთა ხელახალი გამოყენება ისე გავრცელებულა, რომ ადრე დამარხულის „შევიწროებით“ აღარ დაკმაყოფილებულან და სამარხად გამოყენებული ნაგებობები „გაუთავისუფლებიათ“ ძველი მიცვალებულის ჩონჩხისა და თანმხლები ნივთებისაგან. შემდეგ საფეხურზე ქვისსამარხებში თიხის კუბოებიც კი ჩაუდგამთ, უკვე ახალი მიცვალებულებით.

დამარხვის წესის ეს თავისებურება, დამახასიათებელი III საუკუნისა და უფრო კი მომდევნო ხანისათვის, საერთოდ მხარს უჭერს პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვით ტექსტის ენობრივი ფორმებისა და წარწერის შინაარსის საფუძველზე, მხატვართუხუცესის წარწერა ახ. წ. აღრიცხვის მეოთხე საუკუნეს მიეკუთვნება.

ამრიგად, უკვე ზემოთ აღნიშნულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მხატვართუხუცესის წარწერა III—IV საუკუნეში გავრცელებული დამარხვის წესის შესახებ დამატებით და საკმაოდ საინტერესო წერილობით მითითებას გვაძლევს და ამ მხრივაც მას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ რა თქმა უნდა, ამაში არ არის მაინც მთავარი მნიშვნელობა წარწერისა. პროფ. ს. ყაუხჩიშვილს გამორკვეული აქვს, რომ ტექსტში მოხსენებული ავრელი აქოლი პროფესიით არის — ἀρχζωγράφος და ἀρχιτέκτων; ე. ი. აქოლი უფროსი, უხუცესი ხუროთმოძღვარი ყოფილა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე არ უნდა გვქონდეს ἀρχιτέκτων-ის ჩვეულებრივ ბერძნულ გაგებას-

[43] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, გვ. 581—582.

[44] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 255.

თან, როდესაც ეს ტერმინი სააღმშენებლო სამუშაოთა უფროსს გულისხმობს. იგი რიგით ხუროთმოძღვარს კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ დედაქალაქის ხუროთმოძღვართა (სააღმშენებლო სამუშაოთა უფროსების) საერთო მოძღვარს, ქალაქის მთავარ ხუროთმოძღვარს და მიღებული უნდა იყოს ქართული მთავარი — უფროსი ხუროთმოძღვრის, ხუროთმოძღვართუხუცესის ბერძნულად გადმოცემის გზით. ამრიგად, შესაძლოა აქოლი მცხეთის მთავარი არქიტექტორიც ყოფილიყო[45]. ასეთი დასკვნა შეიძლება სამართლიანად ჩავთვალოთ თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველად „არქიტექტორის“ წოდება მხოლოდ იმას შეიძლება ჰქონოდა, ვინც ნამდვილად უფროსი ხურო იყო ან ხუროთა უფროსი იყო. ძველ საქართველოში სხვადასხვა დარგის ხუროები იყვნენ — მაგ., კვერით ხურო, ქვით ხურო, ხით ხურო, და ა. შ. ამიტომ ამ რიგის ხელოსანთა უფროსი უნდა ყოფილიყო არქიტექტორი, ე. ი. ეს წოდება თანამდებობასთან, უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და არა მხოლოდ პროფესიასთან, როგორც ეს უკანასკნელ საუკუნეებში, როდესაც არქიტექტორის წოდებას ატარებდა სათანადო სპეციალობის პირი, რომელიც შეიძლება არავისი უფროსი არ ყოფილიყო. აქ თითქოს ისეთი სურათია, როგორც ბოსფორში. სადაც იყვნენ სახელმწიფო მწერლები (γραμματεῖς) და მათი უფროსი (მთავარი მდივანი, მდივანთუხუცესი) ἀρχιγραμματεὺς[46] ან კიდევ უფრო ადრე, ძველ შუმერში — უ გ უ ლ ა (მწერალთა უფროსი), ისევე, როგორც მათი წოდება dur—sar — maḫ — დიდი (მთავარი) მწერალი[47].

პროფ. ს. ყაუხჩიშვილს გარკვეული აქვს, რომ „მეორე ტერმინი ἀρχιζωγράφος ბერძნულ სამწერლო ძეგლებში არ გვხვდება, არც ძველ ბერძნულში, არც ბიზანტიურში XII საუკუნემდე; არ გვხვდება იმიტომ, რომ ამ ტერმინის გამოსახატავი ცნება ბერძნულ სინამდვილეში არ არსებობდა. როგორც ამ სიტყვის შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობიდან ჩანს (ζωγράφος — მხატვარი, ἀρχι — უფროსი), ის უნდა ნიშნავდეს „მხატვართ-უხუცესს“; ასეთი თანამდებობა და წოდება კი საბერძნეთში არ ყოფილა: ერთადერთი დასკვნა, რომელიც აქედან გამომდინარეობს, არის ის, რომ ეს ბერძნული ტერმინი ა რ ქ ი ძ ო გ რ ა ფ ო ს — ადგილობრივი საჭიროებისათვის არის სპეციალურად შექმნილი მცხეთაში არსებული თანამდებობის პირის წოდების („მხატვართუხუცესის“) გამოსახატავად“[48].

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქოლი დედაქალაქის მთავარი ხუროთმოძღვარი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ამაგრებს მეორე ტერმინის განსაზღვრა; მართლაც, მოულოდნელია, დედაქალაქის მხატვართუხუცესი ყოფილიყო ერთ-ერთი სააღმშენებლო სამუშაოს უფროსი ან რიგითი ხუროთმოძღვარი. ცხადია, ყოველ მცხეთელ ხუროს საფლავზე მსგავსი სტელაც არ დაუდგამთ — აქოლი ამითაც გამოირჩევა.

წარწერის ს. ყაუხჩიშვილისეული დათარიღება არ უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს თანამდებობანი იბერიის დედაქალაქში IV საუკუნემდე უცნობი იყო. პირიქით, განვითარებული საქალაქო ცხოვრება ამ რიგის მოძღვართა ხანგრძლივ ტრადიციას უნდა გულისხმობდეს. ამ თანამდებობის მოხელეთა ფართო ასპარეზი სწორედ წინა საუკუნეებში იყო; სახელდობრ, ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან[49] მაინც და — ახ. წ. I—III საუკუნეებში.

ბერძნული ტერმინის ჩვენში შექმნა მოულოდნელი არაა. ბერძნულისათვის უცნობ თანამდებობათა და წოდებათა გამოსახატავად ტერმინები ითარგმნებოდა, ან პირდაპირ შედიოდა ბერძნულში. ამ შემთხვევაში ტერმინის ქართულიდან თარგმნასთან, ტერმინის ადგილობრივი, ქართლის სამეფოს დედაქალაქის საჭიროებისათვის შექმნასთან უნდა გვქონდეს საქმე[50], რაც ჩვენის აზრით, მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო საქართველოსა და ანტიკური სამყაროს ქვეყნების განვითარებული ურთიერთობის პირობებში.

მხატვართუხუცესისა და არქიტექტორის თანამდებობისა და წოდების არსებობა ჩვენს ძველს დედაქალაქში, ქართლის სამეფოში საქალაქო ცხოვრების განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელთაგანია. როგორც ჩანს, მხატვართუხუცე-

---

45 ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით. თბ., 1946, გვ. 72.

46 Πωγτικα..., გვ. 126.

47 А. И. Тюменев, Государственное хозяйство древнего Шумера, М., 1951, ხვ. 422.

48 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთა-სამთავროს ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერები, გვ. 582.

49 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 32.

50 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 256.

სთან ერთად დედაქალაქში მხატვრებიც უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა მეძღვარი აქოლი, წარწერის თანახმად, მხატვართუხუცესის ტიტულს ატარებდა. ასევეა საკითხი ხუროებისა და მცხეთის ხუროთმოძღვრისა — დედაქალაქის მთავარი არქიტექტორისა.

ზემოთ ვნახეთ, რომ წარწერაში ნახსენები არიან „უცხოელები"; ისიც აღსანიშნავია, რომ წარწერა პირველ პირშია, თითონ აქოლი ამბობს — აქ განვისვენებო; ამის მიხედვით ცხადი ხდება, რომ აქოლი თავს უცხოელად არ გრძნობს; იგი ადგილობრივი ან მცხეთის დიდი ხნის მკვიდრი ჩანს; ე. ი. უკიდურეს შემთხვევაში, ის გაქართველებული უცხოელი შეიძლება იყოს. მას ადგილობრივი მცხოვრებნი (ცხადია, იბერები) დასახელებული ყავს, როგორც „ჩვენი ტომისანი" და თავისი ტომის ხალხს კარგად არჩევს „სხვა უცხოელი"-საგან. გამოდის, რომ აქოლი ავრელი იბერიელია — ის თავისთავს თითონაც იბერიელად თვლის. ამასთანავე მნიშვნელოვანია ისიც აღინიშნოს, რომ მხატვართუხუცესის მეუღლის სახელი— ბევრაზურია — პროფ. ს. ყაუხჩიშვილს ქართულ ნიადაგზე წარმოშობილად მიაჩნია[51]. პროფ. ე. აბაევიც აქოლის მეუღლის ბევრაზურიას სახელს კავკასიურ სამყაროს უკავშირებს; სახელდობრ, ალანური ჰგონია მას ეს სახელი და შესაძლებლად მიაჩნია შეადაროს ის ოს. დიგ. „მრავალმეტყველს": ბეურ—ბევრი და ზურ ნ—ლაპარაკი[52].

ძალიან საყურადღებო პარალელი მოუძებნია ამ სახელს თ. ყაუხჩიშვილმა „სვანურ საისტორიო ძეგლებში", სადაც XIV—XV საუკუნეების აქტები ასახელებენ ბევრაზ ბეჩიანს, ხოლო XIII საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლში „მატიანე სუანეთისა კრებისა" მოხსენებულია: ბეურაზ გაჟანიანი. ამრიგად, ასკვნის თ. ყაუხჩიშვილი „სახელი „ბევრაზ" და „ბევრაზურიაც" ჩვენი სამყაროს კუთვნილებაა და არა ბერძნულ-რომაული.

[51] ს. ყაუხჩიშვილი, მცხეთა-სამთავროს... ბერძნული წარწერები, გვ. 583.

[52] ვ. აბაევი, არმაზის ბილინგვის გარშემო. საქ-ს მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 8, თბ., 1944, გვ. 823.

ახლა თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წარწერაში უცხოელები და გამვლელებია მითითებული, იქნებ არ იყოს საფუძველს მოკლებული ვივარაუდოთ, რომ იმ დროს სამთავროს ველზე, არაგვის მარჯვენა ნაპირას, გზა ყოფილა ჩრდილოეთიდან, რომელზედაც უცხოელებს და სხვა გამვლელებსაც უვლიათ. ეს დასკვნაც უეჭველია, რადგან წარწერის მიხედვითაც საფლავთან ახლოს გზაა საგულისხმებელი, ხოლო წარწერიანი ლოდის შორიგზიდან გადმოტანა ეჭსალოდნელი არ არის. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას მივუთითებთ, როგორც ახალ დოკუმენტს არაგვის ხეობიდან საქართველოს დედაქალაქისაკენ მომავალი გზის შესახებ; ამასთანავე, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გზა არაგვის მარჯვენა ნაპირზე ყოფილა შემბული. სხვა მხრივ გზის არსებობა, ამ გზით მიმოსვლა არაერთხელ ყოფილა დადასტურებული და გაცილებით უფრო ადრინდელი ავტორების მიერ.

მეოთხე წარწერაც (ტაბ. XLIX, 4) 1938 წელს აღმოჩნდა, მცხეთის მხატვართუხუცესისა და მთავარი არქიტექტორის აქოლის წარწერასთან ერთად და სავსებით ისეთსავე ვითარებაში, რის გამოც ცხადია, რომ: ა) წარწერიანი ლოდი არ ეკუთვნის იმ სამარხს, რომლის კედლად გამოუყენებიათ; ბ) ის საფლავის სტელაა, რომელიც სადღაც ახლო მიდამოებში მდგარა.

წარწერიანი ქვის ზომა ასეთია: სიგრძე — 82 სმ; სიგანე უფრო ფართო (ზედა) ნაწილისა 46 სმ; ქვედა ვიწრო ნაწილისა 36 სმ; სისქე ლოდისა — 12 სმ. ლოდის ზედაპირზე, წარწერის ქვემოთ, ამოკვეთილია პურის, თასისა და სურის გამოსახულება. პური მრგვალია და საკმაოდ მოზრდილი (21×21 სმ); თასი 10 სმ სიმაღლისაა; სურა კი — 19 სმ. ამას გარდა „ქვის ზედა ნაწილში გამოსახული უნდა იყოს ხონჩა, რომლის ფარგლებშიაც წარწერაა მოთავსებული"[54].

[53] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ., 1951, გვ. 256.

[54] გ. წერეთელი, მცხეთის ახლად აღმოჩენილი ეპიტაფიული წარწერა. ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 419.

ლოდზე ამოკვეთილია 5 სტრიქონიანი ებრაული წარწერა, რომელსაც მცირე ფართობი (21×28 სმ) უკავია. სტრიქონები თანაბარი სიგრძისა არ არის; პირველი ორი 24 და 23 სმ-ია; მესამე — 22, მეოთხე — 16, ხოლო მეხუთე — 12 სმ.

გ. წერეთელმა 1940 წელს[55] გამოაქვეყნა ტექსტის შემდეგი თარგმანი:

1. ეს საფლავი (არის) იოსებ
2. ბარ ჰაზანისა (?) ხსენებულ (იყავნ იგი)
3. ნეტარად; და აგრეთვე შალლუმ,
4. ძმა მისი, ხსენებულ (იყავნ)
5. მშვიდობით.

წარწერის პირველ გამომცემელს წარწერის ზუსტად დათარიღება ვერ მოუხერხებია. სამარხის საერთოდ დათარიღებაც ვერ ხერხდება, რადგან სპეციალისტებმა სამარხის გახსნის შესახებ ცნობა დაგვიანებით მიიღეს. ასეც რომ არ ყოფილიყო, სამარხის მასალა წარწერის მხოლოდ შედარებითი თარიღისათვის თუ გამოდგებოდა, რაკი წარწერიანი ლოდი ამ სამარხის კედლად მეორედ იყო გამოყენებული.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა პროფ. გ. წერეთელი წარწერას ახ. წ. IV—V ს-ით ათარიღებს, უმთავრესად იმ საფუძველზე, რომ მცხეთაში გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ნაპოვნი ებრაული წარწერა პროფ. დ. ხვოლსონმა IV—V საუკუნეებს მიაკუთვნა. „ჩვენი წარწერაც აღნიშნავს გ. წერეთელი — შესრულებულია იმავე ხანებში (ან შეიძლება უფრო ადრეც), რომელსაც ეკუთვნის წინათ აღმოჩენილი ძეგლი. ყოველ შემთხვევაში დიდი განსხვავება ქრონოლოგიური მხრით ამ ორ წარწერას შორის არ უნდა იყოს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზუსტი თარიღი წინათ ნაპოვნი ძეგლისათვისაც არ არის გამორკვეული და, ვიდრე ახალი მასალები არ მოგვიპოვებია, ამ ძეგლების უფრო დაახლოებით დათარიღება ძნელი იქნება“[56].

გ. წერეთლის დასკვნის მიხედვით „ენა და შინაარსი წარწერისა არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ეს ძეგლი. წარწერაში მოხსენებული სახელები არ იძლევა საკმაო მასალას გამოვარკვიოთ, ებრაელია თუ არა ის პირი (აჰ პირები), რომლისთვისაც საფლავის ქვა იყო განკუთვნილი“[57].

ამ წარწერის ისტორიული მნიშვნელობის შესახებაც ძნელდება რაიმეს თქმა, იმის გამო, რომ წარწერა უთარიღოა და შინაარსით ძლიერ ღარიბი. ერთადერთი, რაც საყურადღებო ჩანს, ესაა ებრაული წარწერის აღმოჩენის ფაქტი. ეს იმას უნდა მიუთითებდეს, რომ მცხეთაში იმ ხანადაც ებრაულიც ყოფილა გავრცელებული, ე. ი. ხორცი ესხმის ეროვნულ საისტორიო წყაროების ცნობას იმის შესახებ, რომ „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუს ენა: სომხური, ქართული, ხახარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს მეფეთა ქართლისათა“[58].

მ ე ხ უ თ ე წ ა რ წ ე რ ა. არმაზისხევის ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოს პირველ სამარხში, რომელიც 1940 წლის 21 ოქტომბერს გაიხსნა, სხვა ნივთთა შორის, აღმოჩნდა ოქროს მოზრდილი ბეჭედი. ბეჭდის ოვალურ თვალბუდეში ჩასმულია ძვირფასი ქვა, რომელზედაც მოკრილია წვეროსანი მამაკაცის მკერდს ზედა გამოსახულება. გამოსახულებას თითქმის ირგვლივ შემოუყვება ბერძნული, ორსიტყვიანი წარწერა (ტაბ. XLIX, 2).

ანაბეჭდზე წარწერა იწყება აქ გამოსახული მამაკაცის შუბლთან და ჩამოუყვება ქვევით — საათის ისრის მიმართულებით*. ამრიგად, ანაბეჭდზე ვკითხულობთ: ΑCΗΑΥΡΟΥΚΙC ΗΙΤΙΑΞ — ΗC — ასპარუგ ერისთავი. პ ი რ ვ ე ლ ი სახელია იბერიის (ქართლის) სამეფოს ერთ-ერთ მმართველი პირის, სამეფო კარის მოხელისა, მ ე ო რ ე კ ი — თანამდებობაა მისი. ამრიგად, ჩვენთვის ცნობილი გახდა კიდევ ერთი მაღალი თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც აღმოსავლურ ქართული სამეფოს მართვის საქმეში მეფის შემდეგ უთუოდ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა თავის საერისთაოში.

ეს ცნობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წერილობით წყაროებში ასპარუგ ერისთავი (პი-

---

[55] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, იქვე, გვ. 420.

[56] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, იქვე, გვ. 424.

[57] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, იქვე, გვ. 422.

[58] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა I, 1955, გვ. 11; შდრ. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არ-ქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე, თბ., 1956, გვ. 50; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 110, 112; მცხეთა I, თბ., 1955, გვ. 206.

* შესაბამისად საწინააღმდეგო სურათია თითონ თვალზე.

ტიახში) ჩვენთვის ცნობილი არ იყო. გ. წერეთელს აღნიშნული აქვს, რომ მითრიდატ მეფის ერისთავის შარაგასის წარწერაში: „Упоминается имя «Аспарука», знакомое нам по греческой надписи на гемме из Армази, а также на основании сведений классических авторов (например, Аммиана Марцеллина)»[59]. ამიან მარცელინს, XXVII წიგნში, სადაც რომაელთა და სპარსელთა 368 წლის ომია აღწერილი (ეს ომი სომხეთისა და იბერიისათვის წარმოებდა), რამდენჯერმე აქვს დასახელებული ასპაკური (Aspacurae). ეს ის ასპარუკია, რომელსაც ამმიან მარცელინის ცნობით რომაელთა მიერ იბერიის მმართველად დანიშნული საურმაგის განდევნის შემდეგ დაკისრა შაბურმა ქართველ ტომთა მართვა. მარცელინს, როგორც ცნობილია, საურმაგის და ასპარუკის მომხრეთა ბრძოლა საკმაოდ დაწვრილებითა აქვს აღწერილი და მიუთითებს რომ ასპარუკმა მტკვართან მოახლებულ საურმაგს სამეფო ხელისუფლების მშვიდობიანი განაწილება შესთავაზა. ეს საურმაგმაც მიიღო და რომმაც შეიწყნარა. სპარსელები კი ამას ვერ ურიგდებოდნენ და რომისაგან მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლება იბერიაში მხოლოდ ასპაკურს — სპარსეთის მიერ დაყენებულ მმართველს ჰქონოდა[60]. ეს ასპარუკი ცნობილია ქართული საისტორიო წყაროებითაც. იე. ჯავახიშვილის მიხედვითაც ალბათ ეს ასპარუგი იგულისხმება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მატიანეში „ვარაზ-ბაკურის“ სახელით[61].

ცხადია, კლასიკური ავტორისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ასპარუკს ჩვენ ვერ გავაიგივებთ ვერც შარაგასის წარწერაში მოხსენებულ „ასპარუკთან“, და ვერც პირველ სამარხის ბეჭდის თვალზე ნახსენებ ასპარუგ ერისთავთან, იმის გამო, რომ არმაზისხევის წარწერებში მოხსენებული ასპარუგი უთუოდ I—II საუკუნეებში ცხოვრობდა, ხოლო მარცელინის ცნობაში მითითებული Aspacurae და ქართული წყაროს ასპარუგი ახ. წ. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის — მესამე მესამედის მოღვაწეებია. „მეფეთა ცხოვრებაში“ მოხსენებულია მსგავსი სახელი: ასფაგორ, ასფაგური. ესაა ქართველთა მეფე, ძე მითრიდატისაᲜ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით საერისთავო ბეჭდის აღმოჩენის ფაქტს, რადგან ეს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამ ბეჭდის აღმოჩენამდე „პიტიახშობა“ ითვლებოდა საქართველოში გვიან გაჩენილ და თანაც არა ადგილობრივი წარმოშობის ინსტიტუტად. ივარაუდებოდა, რომ მეორე საუკუნეში ეს ინსტიტუტი, რა თქმა უნდა, უცნობი იყო. ამ ბეჭდის აღმოჩენით დგინდება, რომ ერისთავის ინსტიტუტი, რომელსაც უცხოელები თავიანთ ენაზე პიტიახშად თარგმნიდნენ, ადგილობრივ წარმოშობილი და ძველი ინსტიტუტია, რომლის გადმოსაცემად უცხოელები მათთვის გასაგებ ტერმინს — „პიტიახშს“ იშველიებენ. ეს უკანასკნელი — უცხოური, მაგრამ ყველასათვის გასაგები ტერმინი გახდა და ამიტომაა, რომ ისეთ ოფიციალურ დოკუმენტებშიაც, როგორც საერისთავო ბეჭედია „პიტიახში“ არის მოხსენებული.

ბეჭდის თვალზე მოკრული წარწერის ნეგატიური ხასიათი ადასტურებს, რომ ეს ბეჭედი ნამდვილად საბეჭდავია — ოქრო-ბეჭედია — სატვიფრავი ბეჭედია ასპარუგ ერისთავისა; ე. ი. ის საერისთავო ბეჭედია და, ამრიგად, სახელმწიფო ხელისუფლების ნიშანს წარმოადგენს[Ნ].

ამ წარწერის გამოცემისას პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა შენიშნა, რომ ფორმა საკუთარი სახელისა Ασπαυρούκις — ასპავრუკი დამახასიათებელია I—III საუკუნისათვის. ამგვარი მოსაზრების საილუსტრაციოდ მას მიაჩნია ბოლოკიდურ ις-ის შეცვლა-შემოკლება — ις — ბოლოკიდურით. არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ეს განსაზღვრა. პირველ სამარხში ამ ბეჭედთან ერთად აღმოჩენილია მონეტები, რომლებიც ახ. წ. აღრიცხვის 138 წელს არ სცილ-

---

[59] Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета — древней столице Грузии. ВДИ, № 2, М., 1948, გვ. 52.

[60] Аммиан Марцеллин, История, XXVII, 12, 1; 12_{16}; 12_{17}. ВДИ, № 3, М., 1949, გვ. 295, 297, 301.

[61] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 216.

[62] შდრ. ქართლის ცხოვრება I ,1955, გვ. 36—39.

[63] მცხეთა I, გვ. 23—24; იქვეა ლიტერატურა ამ საკითხზე.

[64] ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, თბ., 1941, გვ. 169.

დება. ე. ი. პირველი სამარხი ახ. წ. II ს. მეორე მეოთხედით უნდა დათარიღდეს (დაწვრილებით პირველი სამარხის თარიღის საკითხი იხ. ქვემოთ).

ასპარუგ ერისთავის ბეჭდის აღმოჩენის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა საკითხი ქართული წარმოშობის მეორე ბეჭდისა, რომელიც ლუვრის მუზეუმში ინახება და რომლის თვალზე აგრეთვე ერისთავის გამოსახულებაა ამოკვეთილი; როგორც ჩანს, დიდად უფრო გვიანდელწარწერიანი, ვიდრე ასპარუგისა.

უკანასკნელ ხანებში ეს ბეჭედი განიხილეს: პროფ. ე. თაყაიშვილმა[65], პროფ. გ. წერეთელმა[66], პროფ. კ. კეკელიძემ[67] და პროფ. ბ. კუფტინმა[68].

ლუვრში დაცული ბეჭდის ანაბეჭდი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ამ ანაბეჭდზე კარგად ჩანს შემდეგი OVCAC ПІТІАЖНС ІВНГ̄ΩN ЌАРХНДΩN.

გ. წერეთელი პირველ სიტყვას აღადგენს და ასე კითხულობს — ACOYCAC — ა შ უ შ ა და მიიჩნევს მას იბერიის პიტიახშად — ქართლის ერისთავად[69]. V საუკუნის დასაწყისში პიტიახში ერთია და იგი „სასანიანთ იმპერიის საქეთმპყრობელის მიერ ინიშნება ვითარცა მმართველი სავალალო ტერიტორიისა ან თანამმართველი ქართველი მეფეებისა. სწორედ ეს მდგომარეობაა ასახული მერმინდელ მრავალრიცხოვან ცნობებში „ქართლის პიტიახშთა“ შესახებ. ალბათ ამავე ეპოქაში იპოვებს გაბატონებულ მდგომარეობას ქართულ მწერლობაში უცხოური წარმოშობის სიტყვა „პიტიახში“, რადგან ამგვარად უწოდებენ თავიანთ თავს თვით მატარებელნი ამ ტიტულისა, უმეტეს შემთხვევაში სპარსელნი“[70]. სპარსელთა წარმოგზავნილი „ქვეყნის უფროსი“ — „პიტიახში“ ახალი პიტიახშია ქართლში[71]. ის არც უფლება-მოვალეობით და არც წარმოშობით არ არის რაიმენაირი გაგრძელება იმ ერისთავებისა, რომლებიც ქართლის მეფეებს აღრეც ყავდათ; ქართლის მეფეების პიტიახშები, რა თქმა უნდა, ადგილობრივი წარჩინებულები იყვნენ; მათ ქართლის მოსახლეობა „ერისთავს“, „ერისმთავარს“, ან „უფალს“ უწოდებდა, ე. ი. ადრინდელი ე რ ი ს თ ა ვ ი ქართული წარმოშობისა და ქართული სახელის მქონე ინსტიტუტია. ამ ტერმინების გვერდით, როგორც საისტორიო წყაროები და ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ, არსებობდა უცხო ტერმინი „პ ი ტ ი ა ხ შ ი“; ეს უცხო ტერმინი კი იმ დროს, რომელსაც არმაზის ძეგლები ეკუთვნის, როგორც ეს ჩვენი წარწერებიდან ჩანს, გამოყენებული იყო სათანადო ცნების აღსანიშნავად ბერძნულს ან სხვა უცხოენოვან ტექსტში[72]. ქართლის მეფის მმართველი წრეები ქართული წარმოშობის სახელმწიფო ინსტიტუტების ადგილობრივი სახელწოდებას უცხოელებთან ურთიერთობისას, უკანასკნელთათვის გასაგებად, ე. ი. უცხო ენაზე, ბუნებრივია, უცხოური ტერმინით გადმოსცემდნენ.

ასეთია ვითარება ერისთავის, ერისმთავრის ან პიტიახშის ინსტიტუტისა ქართლის სამეფოში I—III საუკუნეებში და შემდეგ, როდესაც ქართლის მეფე სპარსეთის ვასალი გახდა...

ამრიგად, განსახილველი წარწერის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: ჩვენთვის ცნობილი გახდა ქართლის სამეფოს საქეთმპყრობელის თანამმართველი ა ს პ ა რ უ გ ი. გაირკვა, რომ I—II საუკუნეში ქართლის მეფეს ერისთავები ყავდა, რომელთა ტიტული უცხოურად აღინიშნებოდა ცნებით — პ ი ტ ი ა ხ შ ი. ერისთავი, როგორც ჩანს, თავის სამფლობელოში მეფის შემდეგ პირველი პირია, აღმურვილი ხელისუფლების ნიშნებით, მაგრამ ის არ არის მსგავსი შემდეგი დროის პ ი ტ ი ა ხ შ ი ს ა.

მ ე ე ე ქ ვ ს ე წ ა რ წ ე რ ა (ტაბ. XLIX,3). ასპარუგის საერისთავო სარტყლის განხილვისას მითითებულია ოქროს ოთხკუთხოვანი, სქელი და კა-

[65] ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველების სახელმწიფოდ? ჟურნ. „მნათობი“, № 8, თბ., 1948.

[66] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „საქართველოს ძველი ეთნო და ტოპონიმიკის ზოგიერთი გაურკვეველი შემთხვევის“ გამო. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 6, თბ., 1949, გვ. 377—384.

[67] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „შუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის. ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 147—154.

[68] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, საქართველოს ძველი ეთნო და ტოპონიმიკის ზოგიერთი გაურკვეველი შემთხვევებზე უცხო წყაროებით. აკადემიის მოამბე, ტ. X, № 6; თბ., 1949, გვ. 318—321.

[69] აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს საცილობლად მიაჩნია წარწერის სიტყვა (ϰαρχηδων). აღნიშნულ სიტყვაში რეალურად უნდა გვქონდეს სახელწოდება ირანის ერთ-ერთი დინასტიისა. ამასთან დაკავშირებით წარწერის აზრი ასეთი იქნება: „აშუშა, პიტიახში ირანის (სპარსეთის) იბერებისა“.

[70] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა. ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 41.

[71] საქართველოს ისტორია, აკად. ს. ჯანაშიას რედ. თბ., 1946, გვ. 106.

[72] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 41.

რგად მოკიაფე ქვებით მოჭედილი ბალთა, რომელსაც კიდეებზე ოქროს წვრილი მავთულისაგან წნული, თვალსაჩინოდ რელიეფური ზოლი შემოუყვება. ეს წნული სამკაული ანტიკური ხანის ქართლშიაც ისე ფართოდ გავრცელებული ჩანს, როგორც ბრინჯაოს და რკინის ხანაში და, უფრო გვიან, ფეოდალურ ხანაშიაც. ამ ბალთის შუაგულში წითელი მოზრდილი და ოვალი თვალი ზის, რომლის ბუდეს ირგვლივ ოქროცვარას წყება შემოსდევს. ამ თვალზე ქალისა და მამაკაცის პირისპირა გამოსახულებაა მოქრილი. საკმაოდ კარგად შესრულებულ პორტრეტულ წყვილს ირგვლივ შემოსდევს ბერძნული წარწერა, რომელსაც მთლიანად უკავია ქვის კიდეები. ტექსტის გაცნობისას ცხადი ხდება, რომ მთელი წარწერა ორ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველია ZCYAXHC ZOH MOY, რომელიც ანაბეჭდზე მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება (ოვალურ თვალს საათის ისრის მიმართულებით ასდევს)*; მეორე ნაწილი წარწერისა ერთ სიტყვას შეიცავს — КАРПАК. ქართულად — ჯავახი სიცოცხლეა ჩემი — „კარპაკი"[73].

ამგვარი თარგმანი მხოლოდ სიტყვათა სხვაგვარი თანმიმდევრობითა და ბერძნული Z-ის, ქართულ ჯ-ანად გადმოცემით განსხვავდება ამ წარწერის პირველი გამომქვეყნებლის პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ მოცემული თარგმნისაგან, სადაც ვკითხულობთ: „კარპაკი, ძევახი, ჩემი სიცოცხლე"[74]. ს. ყაუხჩიშვილისებრი თანმიმდევრობითა აქვს დაბეჭდილი თაეიანი თარგმანი პროფ. გ. წერეთელს, რომელთანაც შემდეგს ვკითხულობთ: „კარპაკი — ზეევახ, ჩემი სიცოცხლე"[75] და თ. ყაუხჩიშვილს, ოღონდ უკანასკნელი ძ ე ვ ა ქ ს არჩევს და შესაბამისად მთელ წარწერას ასე თარგმნის, კარპაკი, ძევაქი ჩემი სიცოცხლე[76]. წარწერის გარჩევისას ს. ყაუხჩიშვილმა მიუთითა ომეგისა და ომიკრონის აღრევაზე, რომელიც მეორე საუკუნიდან იწყება[77]. ასეთივე სურათია ს და E-ს ხმარებისას. ამრიგად, ზემოაღნიშნული მონაცემები მიუთითებენ, რომ წარწერა II საუკუნეზე ადრინდელი არ არის.

წარწერის თარიღს ნაწილობრივ ნუმიზმატიკური მასალა აზუსტებს. ე. წ. ასპარუგ ერისთავის სამარხში აღმოჩენილია ტიტეს (79—81), ტრაიანეს (98—117) და ადრიანეს (117—138) ოქროს მონეტები; ამრიგად, სამარხიც II საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება; ამას წარწერის ტექსტის ანალიზიც ეთანხმება.

ამ წარწერამ გაგვაცნო ორი პირი — ერისთავი ჯავახი და მისი მეუღლე კარპაკი, რომლებიც, როგორც ჩანს, ახლო ურთიერთობაში არიან იბერიის (ქართლის) სამეფო წრესთან, როგორც ეს სხვა წარწერებიდან ირკვევა*.

მ ე შ ვ ი დ ე წ ა რ წ ე რ ა (ტაბ. L). 1940 წლის 21 ოქტომბერს არმაზისხევში მეორე სამარხიც გაიხსნა; ის ორფერდა სახურავიანი იყო, ე. ი. ქალის სამარხი ივარაუდებოდა. ამ სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილას აღმოჩნდა ვერცხლის მოზრდილი პინაკი, რომლის ფსკერზე, მედალიონში, ამოკვეთილია მამაკაცის მკერდზედა გამოსახულება. ყურადღებას იქცევს მამაკაცის მეფური თავსაბურავი და სამოსელი.

პინაკის გარეთა ზედაპირზე, ოქროფერილი კიდის ქვეშოთ წერტილოვანი წარწერაა გამოყვანილი (ტაბ. L).

გ. წერეთელმა გამოაქვეყნა ამ წარწერის შემდეგი თარგმანი: ...„პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა, ღვთაებრივ (პაპაკის?) ძისა"[78]. შემდეგ მეორდება სიტყვა პიტიახში და მითითებულია ქვეყანა, შეიძლება იბერია (საქართველო). ბოლოს წონაა აღნიშნული. ავტორის გამოკვლევის თანახმად „ვერცხლის პინაკის წარწერა, არმაზში მოპოვებული სხვა წარწერებისაგან განსხვავებით, შესრულებულია საშუალო სპარსულ (სასანურ-ფალაური) ენაზე, სპარსული (ფარსული) ასოებით"[79]

* შესაბამისად შებრუნებულ სურათია ბალთის თვალზე.

[73] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 25.

[74] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები. გვ. 169.

[75] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 34.

[76] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 260.

[77] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, გვ. 170.

* ამ წარწერასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია ზემოთ, სამარხ ნაგებობათა დახასიათებისას — პირველი სამარხის ინვენტარის მიმოხილვისას.

[78] Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета — древней столице Грузии, ВДИ, № 2. М., 1948, გვ. 55.

[79] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის სასანური წარწერა. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. სახ. მეცნ. განყ-ბის 28-ე სესიის. თ ე ზ ი ს ე ბ ი. თბ., 1948, გვ. 9.

გ. წერეთელმა მიაქცია ყურადღება წარწერაში მოხსენებულ მეფის სახელს და მიუთითა, რომ ეს უნდა იყოს სასანიანთა იმპერიის დამაარსებელი არდაშირ I"[80]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ პინაკის შიგნითა ზედაპირზე (მედალიონზე) თვით არდაშირ I უნდა იყოს გამოსახული, ამის მიხედვით პინაკი III საუკუნის მეორე მეოთხედით უნდა დათარიღდეს და წარწერის თარიღი გამოიყოს მეორე სამარხის თარიღისათვის, რადგან უკანასკნელში, ამ პინაკთან ერთად, აღმოჩენილია ოქროს ფულები, მათ შორის ვალერიანუსისა (253—260), რომელმაც შეიძლება დაადგინოს სამარხის ჩადგმის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი.

თუ მივიღებთ, რომ პინაკზე არდაშირია გამოსახული და წარწერაშიაც არდაშირ I არის ნახსენები, მაშინ გამოვა, რომ მესამე საუკუნის მეორე მეოთხედის (ან 226 წელთან ახლო ხანის) ვერცხლის პინაკი იმავე საუკუნის 50—60 წლების სამარხში მოხვედრილა. ამაში შეუძლებელი არაფერი არ არის. ისიც დასაშვებია, რომ ქართლის მეფის ერისთავს (პიტიახშს), რომელმაც შეიძლება ვერცხლის პინაკი საჩუქრად მიიღო, მესამე საუკუნის 50—60 წლებამდე ეცხოვრა კიდევაც. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამარხი ქალისაა და ამიტომაც არ არის გამორიცხული პიტიახშის ოჯახში ადრე შემოსული საჩუქარი პიტიახშის მეუღლისათვის, იქნებ მოგვიანოდ გარდაცვლილისათვის, სამარხში ჩაეტანებიათ.

ისიც შესაძლებელია, რომ ქართლის ერისთავს ეს ლანგარი წარწერაში ნახსენები ფაფაკისაგან — არდაშირ I-ის ძისაგან მიეღო საჩუქრად. ასეთ შემთხვევაშიაც უფრო ბუნებრივია მედალიონზე არდაშირი იყოს გამოსახული, ხოლო უფრო გვიანდელი წერტილოვანი წარწერა მის შვილს ფაფაკს გულისხმობდეს. თითქოს უფრო მოსალოდნელიც არის არდაშირის ძის ფაფაკის დროს ასე დაახლოება ქართლის მეფის ერისთავისა სასანელთა დინასტიის დამაარსებლის ძესთან. ასეთ ვითარებაში III ს. ორმოცდაათიანი წლების მონეტების აღმოჩენაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა.

ამ გზით თითქოს ირკვევა, რომ არდაშირ I-მა ან მისმა ძემ ფაფაკმა აჩუქა ვერცხლის პინაკი ქართლის მეფის ერისთავს იმ დროს, როდესაც იბერია რომთან უფრო მეგობრულ ურთიერთობაშია და, რა თქმა უნდა, სასანიანთა იმპერიის ვასალს ჯერ კიდევ არ წარმოადგენს. თუ ეს ასეა, არდაშირის ან ფაფაკის ეს ნაბიჯი უნდა შეეფასოთ, როგორც დიპლომატიური ნაბიჯი მაჩვენებელი იმისა, რომ ქვეყნის მმართველობის სათავეების ხელში ჩაგდებასთან ერთად, სასანელები ცდილობენ რა იბერიის რომისაგან მოწყვეტას და თავისი ქვეყნის სავასალოდ გადაქცევას, იმავე დროს მიზნად ისახავენ პირველ რიგში ქართლის მეფის ერისთავების (პიტიახშების) გულის მოგებას. ამიტომ პინაკის წარწერის თარგმნისას უნდა იყოს ეს გარემოებაც გათვალისწინებული.

საყურადღებოა შეინიშნოს, რომ იბერიის მეფის თანამმართველი არმაზელი ერისთავი (პიტიახში) ბერსუმა რომის ორიენტაციის მომხრე და რომის ორიენტაციის მეფისაგან იღებს საჩუქარს; ხოლო უფრო გვიან, არდაშირის გამეფების შემდეგ, არდაშირ პირველი თუ ფაფაკი იბერიის მეფის თანამმართველს უგზავნის თითქმის ანალოგიურ საჩუქარს — სასანური წარწერით და თითონ არდაშირის გამოსახულებით. ეს ნაბიჯი სასანელებს უთუოდ უნდა დაეჩქარებიათ, რადგან კარგად იყო ცნობილი თუ რა დიდ დახმარებას უწევდა იბერია რომს სპარსეთის წინააღმდეგ და როგორ ცდილობდნენ იბერიის მეფეების გულის მოგებას რომის მმართველი წრეები.

არდაშირ პირველის გამეფების დღიდანვე ნელნელა იზრდება მისი გავლენა იბერიაზე. ამასთან ერთად სხვა გარემოებამაც დააჩქარა ამ გავლენის ზრდა და 368 წლის შემდეგ ეითარება ერთბაშად შეიცვალა, როდესაც სპარსეთის მეფე შაბური შემოესია ქართლს და ქართლის მეფე საურმაგი, რომელსაც რომაელების მხარე ეჭირა, განდევნა და ქართლის მეფედ საურმაგის ნათესავი, ვარაზ-ბაკური (ასპარუკი)[81] დასვა.

სპარსეთის ინტერესებს ვარაზ-ბაკურის გამეფება უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე საურმაგისა. უნდა ვიფიქროთ, რომ შაბურის დროს იბერიის სამეფო კარზე სასანელთა მომხრე წარჩინებულნი მოულოდნელად კი არ გაჩენილა; როგორც ჩანს, ქართლის მეფის კართან ძლიერდებოდა რაოდენობა წარჩინებულთა, რომლებსაც სასანელთა მხარე ეჭირა დიდი ხნის განმავლობაში. მათი სურვილების ყველაზე აშკარა გამომხატველის როლში ვარაზ-ბაკური ჩანს, მაგრამ ყველაზე პირველ წარ-

[80] გ. წერეთელი, იქვე.

[81] Аммиан Марцеллин, История, XXVII, 12, 1. ВДИ, № 3, М., 1949, გვ. 295.

ჩინებულად, რომელსაც სასანელთა მხარე ეჭირა. უთუოდ ის ერისთავი შეიძლება ყოფილიყო, რომელსაც არდაშირ პირველმა ზემოთ აღნიშნული ვერცხლის პინაკი აჩუქა.

ეს მომენტი შუქსა ფენს ქართლის სამეფო კარის შინაგან მდგომარეობასაც და ნათლად გვიჩვენებს სასანელთა მისწრაფებასაც. კერძოდ მათსა და რომაელთა დიპლომატიურ ბრძოლას იბერიისათვის.

სხვა მხრივ გაძნელდებოდა აგვეხსნა არმაზის-ხევში არდაშირ I-ის გამოსახულებით ვერცხლის პინაკის აღმოჩენა, რომლის წარწერაც არდაშირს მოგვაგონებს. ამ თვალსაზრისით არ იქნება მოულოდნელი თუ პინაკს ირანულ კულტურულ სამყაროსთან დავაკავშირებთ. ზემოაღნიშნულის მიხედვით სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება გ. წერეთლის დებულება იმის შესახებ, რომ „ირანული კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროსთან დაკავშირებულ ძეგლებზე წარწერები ჩვეულებრივ სპარსულ ენაზე იწერებოდა, მაშინ, როდესაც იბერიის (ქართლის) მეფეებისა და მათი მოხელეების წარწერები არმაზულზეა შესრულებული. აქედან ცხადია, რომ არმაზული დამწერლობა და ენა, რომელზედაც წარწერებია ნაწერი, თავისებური, ადგილობრივი ტრადიციების მატარებელია და არ შეიძლება საშუალო სპარსულის მოდიფიკაციის წარმოადგენდეს“[82].

სულ სხვაგვარი სურათი გვაქვს უფრო გვიან, როდესაც ქართლი სასანელთა სავასალოდ იქცა. სასანელებმა ქართლის მეფეთა ერისთავების უფლება-მოვალეობანი კარგად იცოდნენ და ამიტომ თავიანთი წარმომადგენელი პიტიახშები მცხეთას კი არ გაგზავნეს, არამედ თბილისს დასვეს: „მოვიდა ქრამ ხუარბორ ზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შეუდგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“[83]. როგორც ივ. ჯავახიშვილსა აქვს გამორკვეული ეს მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო[84].

ისიც საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მეორე სამარხში აღმოჩენილი ერთ-ერთი რომაული მონეტა სამკაულად არის გამოყენებული; შეიძლება ისიც იყოს დამახასიათებელი, რომ სეპტიმიუს სევერუსის (193—211) ამ მონეტაზე ყური ისევ მირჩილული, რომ იმპერატორის გამოსახულება თავდაყირაა მოქცეული. რაკი ეს სურათი დადგინდა მეორე სამარხში, რომელიც ეკუთვნოდა იბერიის პიტიახშთა ისევ ოჯახს — შტოს, რომელსაც სასანელთა მხარე ეჭირა, შესაძლებელია სევერუსის მონეტის მდგომარეობაც ერთგვარად მაინც გამოხატავდეს მიცვალებულის დამოკიდებულებას რომაელებთან.

ამრიგად, მეორე სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკის წარწერა და მისი წარმომავლობის დადგენა ხელს გვიწყობს უკეთ წარმოვიდგინოთ სასანელთა ბრძოლა იბერიისათვის, რომისა და იბერიის ურთიერთობის გაწყვეტისათვის, არდაშირ პირველის გამეფების პირველივე წლებიდან. როგორც ჩანს, ეს ბრძოლა ჯერ ფარული და დიპლომატიური იყო, მაგრამ მას უკვე, შესაძლოა, თანაუგრძნობდნენ იბერიის (ქართლის) სამეფო კარის წევრები; შემდეგ კი მან აშკარა და შეიარაღებული თავდასხმის ხასიათი მიიღო, იგი აშკარა ძალადობად იქცა. მეოთხე საუკუნის დასასრულიდან ქართლი სასანელთა ძალადობისაგან ვერ იხსნა ვერც საკუთარმა ძლიერებამ და სპარსელებს იბერიის დაპყრობაში ხელი ვერ შეუშალა რომის იმპერიამაც.

ამ წარწერის განხილვის შემდეგ თითქოს უფრო ნათელია, რომ ძლიერი და რომთან დამეგობრებული იბერიის ხელში ჩაგდება არდაშირ პირველმა და მისმა მემკვიდრეებმა ერთბაშად ვერ მოახერხეს; ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ დაიწყო სასანელთა მომხრეების გაჩენა იბერიის მეფის კართან, კერძოდ ერისთავთა შორის. შემდეგში თანდათან უნდა გამრავლებულიყვნენ ისინი. შეიძლება ზოგ მათგანს სასანელთა დახმარებით ქართლის მეფის ტიტულის მიღების სურვილიცა და იმედიც გაუჩნდა. ამგვარად, ჩანს საფუძელი ვიფიქროთ, რომ იბერიის სამეფოში მომზადდა ნიადაგი რომაელებთან მეგობრობის გაწყვეტისა და სასანელებთან დაკავშირებისათვის. ამ მოძრაობას ადგილობრივადაც ჰქონდა საფუძველი, მაგრამ ხელს უწყობდა და აძლიერებდა მას

---

[82] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 9.

[83] Е. С. Такайшвили, Описание рукописей Общ. расп. грам. среди грузинского населения, т. II, გვ. 720; ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 42—43; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 278.

[84] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 257.

არდაშირ პირველისა და მის შემდეგ მოადგილეთა ღონისძიებანი. ასეთი მომზადების შემდეგ იბერიის ბედი თითქმის გადაწყვეტილი აღმოჩნდა და ის დროებით სასანელთა იმპერიის სავასალო ქვეყნად იქცა.

როგორც ჩანს, „პიტიახშებს“ შედარებით ადრე უნდა აეღოთ სპარსეთის ორიენტაცია. ამ მხრივ ისიც არის მნიშვნელოვანი, რომ სპარსეთის პირველი წარმომადგენელი იბერიაში სწორედ პიტიახშია და, ამასთანავე, სულ მალე ეს თანამდებობა ქართლის აზნაურების ხელში აღმოჩნდა მემკვიდრეობით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ III ს-ში უკვე დაწყებულია ერისთავთა განდგომა. ისინი ინტერესით უთვალყურებენ მეზობელთა საშინაო ვითარებას. ეს არ არის სამეფოს შინაგანი ერთიანობის სიმტკიცის მომასწავებელი. ასეთმა შინაგანმა მდგომარეობამ და რომის საერთო სისუსტემ გზა გაუხსნა სასანელებს, შეასუსტა სამეფო ხელისუფლება იბერიაში. პირველ ხანებში ეს თითქოს ხელსაყრელი ჩანდა ერისთავთათვის და, ცხადია, დიდად მნიშვნელოვანი — სპარსეთისათვის.

უკანასკნელ ხანებში აკად. შ. ამირანაშვილმა ახალი გამოკვლევა გამოაქვეყნა არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვნის მეორე სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის თასის შესახებ. ავტორის მტკიცებით „არმაზის თასზე ჩვენ გვაქვს ისეთი პირის გამოსახულება, რომელსაც სასანიანთა სახელმწიფოში უმაღლესი პოსტი ეჭირა და უეჭველად დიდებულთა წრეს, როგორც ჩანს, მმართველ დინასტიურ გვარეულობას ეკუთვნოდა“[85].

ამ მნიშვნელოვან დასკვნასთან ერთად შ. ამირანაშვილი აქვეყნებს თასზე გამოყვანილი წერტილოვანი წარწერის ახლებურ წაკითხვასა და თარგმანს: „ფაფაკ პიტიახში ღვთაებრივი არდაშირასა ღვთაებრივ ფაფაკის ძისა გურზან ქვეყნის პიტიახშს არზამესს უძღვნისს“[86]. ავტორი მიუთითებს, რომ „ამ წარწერის თანახმად ფაფაკის შვილის არდაშირ I-ის (226—241) პიტიახშმა ფაფაკმა თასი უბოძა საქართველოს (ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს) პიტიახშს. თასზე გამოსახულია არა ირანის მფლობელი არდაშირ I, არამედ თვით ფაფაკი, რომელიც უთუოდ დიდგვაროვანთა წრეს ეკუთვნოდა, შესაძლოა ნათესაურ კავშირშიც იმყოფებოდა ირანის ახალი დინასტიის დამაარსებელთან. აღმოსავლეთ საქართველოს სახელწოდება „გურზანი“ წარმოადგენს პირველ ყველაზე უფრო ადრინდელ ცნობას, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება“[87].

მ ე რ ვ ე წ ა რ წ ე რ ა (ტაბ. XLIX,1). არმაზისხევის ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოს მესამე სამარხში 1940 წლის 23 ნოემბერს აღმოჩენილი ვერცხლის ფართო ლანგარი, გარდა იმისა, რომ მან ყურადღება მიიქცია მასზე საგანგებოდ დაწყობილი ადამიანის ძვლებითა და ზედაპირის შემკულობით, საყურადღებო გამოდგა ფსკერის გარეთა ზედაპირზე გამოყვანილი წარწერებითაც. აქ, ქუსლის შიგნით ჩაჩხვლეტილი წერტილებით გამოყვანილია ექვსი სიტყვა და ცალკეა ამოკაწრული ერთი. ამას გარდა, ფსკერის შუაგულზე ამოკაწრულია კიდევ ორი ნიშანი (ლიგატურა).

ლანგრის წარწერები ბერძნულ ენაზეა შესრულებული და მათ ასეთი სახე აქვს: Ἐγὼ βασιλεὺς Φ᾽λ Δάδης ἐχαρισάμην Βερσουμᾷ πιτιάξῃ; — ქ ა რ თ უ ლ ა დ — „მე, მ ე ფ ე ფ ლ ა ვ ი ო ს დ ა დ ე მ, ვ ა ჩ უ ქ ე ბ ე რ ს უ მ ა ე რ ი ს თ ა ვ ს“. პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა ეს წარწერა დაწვრილებით გაარჩია და დამწერლობის თვალსაზრისით მასში I—III საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნიშნები დაადასტურა[88]. ამ თარიღს საკმაოდ აზუსტებს არქეოლოგიური მასალა: სახელდობრ მესამე სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფულები გორდიანესი, ფილიპე უფროსისა, ტრაიანე დეციისა და სხვა. ყველაზე უფრო ახალი მონეტა (ჰოსტილიანესი) ახ. წ. აღრიცხვის 253 წელს აქეთ არ გადმოდის, და ამრიგად, საკმაო მტკიცე საფუძველს გვაძლევს სამარხი მესამე საუკუნის შუაწლებით დავათარიღოთ. ეს უკანასკნელი გარემოება არ გამორიცხავს პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილ თარიღს, მაგრამ აზუსტებს მას. პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული თარგმანი: „მე მეფემან ფლავიოს დადემან გიწყალობე (ეს ლანგარი) ბერცუმ პიტიახშსა“[89], ოდნავ, მაგრამ მაინც განსხვავ-

[85] შ. ამირანაშვილი, არმაზისხევის გათხრებნი დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი. იხ. კრებული: თბილისი — 1500, თბ., 1958, გვ. 89.

[86] იქვე, გვ. 90.

[87] იქვე, გვ. 90—91.

[88] ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, თბ., 1941, გვ. 170—171.

[89] პ. ინგოროყვა, ქართული დამწერლობის ძველები ანტიკური ხანისა. ენიმკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 411.

დება პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ უფრო ადრე გამოქვეყნებულისაგან: „მე, მეფე ფლავიოს დადესმა, ვაჩუქე (ეს თასი) ბერსუმა პიტიახშს“[90]. განსხვავება აქ უმთავრესად შემდეგშია: პროფ. ს. ყაუხჩიშვილი სახელს მეფისას Δάδης გადმოსცემს ქართულად — დადესი, ხოლო პ. ინგოროყვა — დადე (შესაბამისად — დადესმა“ და „დადემან“). ერისთავის სახელი — Βερσούμα ს. ყაუხჩიშვილმა გადმოსცა ქართულად, როგორც „ბერსუმა“, პ. ინგოროყვამ კი — „ბერცუმი“; გ) ბერძნული სიტყვა ἐχαρισάμην ს. ყაუხჩიშვილმა თარგმნა „ვაჩუქე“, ხოლო პ. ინგოროყვამ — „გიწყალობე“. ს. ყაუხჩიშვილმა წარწერის ქართული თარგმანი შეავსო ორი სიტყვით: „ეს თასი“; ასევე, პ. ინგოროყვამ შეავსო ქართული თარგმანი, აგრეთვე, ორი სიტყვით — „ეს ლანგარი“[91].

ს. ყაუხჩიშვილმა მიუთითა, რომ Δάδης-ში ης ჩვეულებრივი ბერძნული ბოლოკიდურია პირთა სახელებისათვის და ქართულში მას „დადი“ შეესატყვისებაო. უკანასკნელი კი „მოგვაგონებს ძველი ქართული მეფეების სახელებს: თრ-დატი, ბალ-დადი და სხვა“[92]. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ საკუთარი სახელი — Βερσούμα წაკითხული უნდა იქნას „ბერცუმი“, რადგან ძველს ქართულში ამ სახელის შემდეგი სახესხვაობა არის დამოწმებული: ბორცომი და ბარაცმანი[93].

პროფ. გ. წერეთელი ამ ერისთავის სახელს არამეული წარმოშობის სახელად მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს შემდეგს: „Здесь всплывает имя иберийского царя «Флавий Дадес», и какого-то питиахша, носящего хорошо известное имя арамейского происхождения Барсума (Bar Sauma)[94].

მიუხედავად იმისა, რომ ამ პატარა წარწერის გამოქვეყნებულ თარგმანთა შორის მცირედი განსხვავება აღინიშნება, წარწერის ისტორიული მნიშვნელობა სპეციალისტთა მიერ საერთოდ აღიარებულია. ამ პატარა წარწერამ გაგვაცნო კიდევ ორი მაღალი თანამდებობის პირი, ესენია: მეფე ფლავიოს დადეანუ ფლავიოს დადი და ერისთავი ბერსუმა[95].

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ წარწერის მონაცემები და ნუმიზმატიკური მასალა ამ სამარხს ახ. წ. მესამე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებით ათარიღებენ. ეს თარიღი ჯერჯერობით პირობითად უნდა მივიღოთ სამარხისათვის და არ გავავრცელოთ სამარხში ნაპოვნ ყველა ნივთზე, მათ შორის, და. პირველ რიგში, წარწერიან ლანგარზე.

წინამდებარე ვერცხლის დიდი ლანგრის ძირითადი წარწერის გარჩევისას პ. ინგოროყვამ დაწვრილებით განიხილა ორი ნიშანი, რომელიც ფსკერის შუაგულზეა ამოკაწრული, და სცადა მათი გახსნა და განმარტება.

ავტორი ამ ნიშანს ლანგრის მფლობელის ქართულ ინიციალებად მიიჩნევს[96]. ამრიგად, ამონაკაწრის გახსნის შემდეგ პ. ინგოროყვა თვლის, რომ ლიგატურის პირველი ასო „ბ“ არის, ხოლო მეორე არქაული სახეა ასოსი „პ“. ავტორის შემდეგს მსჯელობაში ირკვევა, რომ ეს ორი ასო (ბ, პ) უნდა იყოს ქართული ინიციალები „ბერცუმა პიტიახშისა“.

პ. ინგოროყვას ნაშრომიდან ისიც ირკვევა, რომ ლიგატურის ამგვარი თანმიმდევრობით გახსნას მნიშვნელობა აქვს ვინაობის აღნიშვნის თანმიმდევრული სურათის აღსადგენად. იგი აღნიშნავს, რომ პირველად სახელია აღნიშნული, შემდეგ კი თანამდებობა (ტიტული)[97]. ამ ბარცომს ავტორი მიიჩნევს სრულიად იბერიის მეფის თანამმართველად — არმაზელ პიტიახშად და ასკვნის, რომ წარწერაში მოხსენებული ბერცუმი და ქართული მატიანეებში ცნობილი ბარცომი იდენტურია. ამრიგად, წარწერიანი ლანგარი პირველი საუკუნის ბოლოს უნდა მიეკუთვნოს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეორე საუკუნის დასაწყისს. ლანგრის ძირითადი წარწერის მიხედვით, პ. ინგოროყვას მიერ ლიგატურად მიჩნეული ნიშნების გახსნის და განმარტების გარეშეც, ყველაზე უფრო საფუძვლიანია, რომ მეფე ფლავიოს დადის მოღვაწეობა (ე. ი. ბერსუმასაც) პირველი საუკუნის ბოლოს ან მეო-

[90] ს. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 171.

[91] შდრ. მცხეთა I, გვ. 52—54.

[92] ს. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 171.

[93] პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 411.

[94] Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета..., გვ. 50.

[95] მცხეთა I, გვ. 52—54.

[96] პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 414.

[97] პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 414.

[98] პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 417.

რის დასაწყისს მივაკუთვნოთ. დასაშვებია ეს იმიტომ, რომ ფლავიოსის სახელწოდების მიღება პირველი საუკუნის ბოლო ათეულწლეულებში მოსალოდნელი და ამას გარდა, ამ ხანებშია ცნობილი ქართულ მატიანეებში ბარცომი, რომლის სახელმა ბერძნულად გადაცემისას სახე ოდნავ იცვალა (ბარცომი—ბერსუმა).

ამ უკანასკნელი მოსაზრების საწინააღმდეგოდ არაფერს ამბობს თვით წარწერის ანალიზი, რომლის მიხედვით წარწერაში I—III საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია დადასტურებული. ეს ნიშნები მოსალოდნელია პირველი საუკუნის ბოლოს და, რა თქმა უნდა, მეორე საუკუნის დასაწყისშიაც.

ამის მიხედვით, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამარხის თარიღი უნდა განვასხვავოთ ლანგრის წარწერის თარიღისაგან. გამოდის, რომ მეფე ფლავიოს დადეს და ბერსუმა ერისთავს III საუკუნეში კი არ უცხოვრიათ, ან სხვაგვარად, ბ ე რ ს უ მ ა III საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კი არ დაუმარხავთ, არამედ უფრო ადრე; — ან პირველი საუკუნის ბოლო წლებში, ან მეორე საუკუნის დასაწყისში. ჯერჯერობით ჩვენ ამ თარიღს ვერ გავიცლიდებით, მაგრამ ეს არ არის თარიღი იმ (მესამე) სამარხისა, რომელშიაც ლანგარი და სხვა ნივთები აღმოჩნდა.

ამგვარ მოსაზრებებს მხარს უჭერს კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება. თავის დროზე აღინიშნა, რომ მიცვალებულის ჩონჩხის დიდი უმრავლესობა ვერცხლის დიდ ლანგარზე ეწყო. ჩვენ ამ გარემოებას ვთვლიდით მეორედ დამარხვის დამადასტურებელად და ამ ფაქტის ამხსნელ ილუსტრაციად ამაზასპის შემთხვევას ვასახელებდით[99]. მითითებული ვითარება დამარხვის წესის დადგენის საშუალებას გვაძლევს და ამ მხრივაც არის საყურადღებო. მაგრამ ახლა დამატებით უნდა შეენიშნოთ, რომ მეორედ დამარხვას, რომელიც მიცვალებულის არმაზისხევში გადმოსვენებასთან არის დაკავშირებული, შეიძლება მნიშვნელობა ექნეს მესამე სამარხის წარწერების შესწავლის თვალსაზრისითაც. მან, შესაძლოა, ახსნას ის გარემოება თუ III საუკუნის მასალებთან ერთად როგორ მოხდა ასე ძველი ნივთი — ბერსუმას ლანგარი. ვითარება დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ: არმაზისხევის ერისთავთა საგვარეულო სამაროვნის მესამე ს ა მ ა რ ხ ი შეიძლება III საუკუნის 50-იანი წლებით დათარიღდეს, მაგრამ ამასთანავე უნდა ვივარაუდოთ, რომ მეფე ფლავიოს დადი და ბერსუმა ერისთავი I საუკუნის ბოლოს და II საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ. ე. ი. წარწერებიც იმ დროისად უნდა მივიჩნიოთ. ბერსუმას ლანგრის აღმოჩენა ამ სამარხში მეორედ დამარხვის ფაქტით უნდა აიხსნას. თუ მივიღებთ, რომ ლანგარზე დაწყობილი ძვლები ბერსუმა ერისთავისა უნდა იყოს, მაშინ უნდა მივიღოთ აქედან გამომდინარე დასკვნაც და ბერსუმა ერისთავის გადმოსვენება III საუკუნის 50 წლებს უნდა მივაკუთვნოთ.

გადმოსვენებისას ბერსუმა ერისთავის ლანგარი III საუკუნისათვის კარგად დამახასიათებელ ქვისსამარხში მოუთავსებიათ და თან იმ ხანის ფულები ჩაუტანებიათ.

თუ პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებულ დებულებას მივიღებთ და ლიგატურას ბერსუმა ერისთავის ქართულ ინიციალებად ჩავთვლით, მაშინ უნდა ეს უკანასკნელი მივიჩნიოთ ქართული დამწერლობის დღემდე ცნობილ ძეგლთაგან უძველესად. ე. ი. I—III სს. ქართული დამწერლობის ნიმუშად; მაგრამ ამ დასკვნისათვის ჯერჯერობით მტკიცე საფუძველი არ გვეგულება და პ. ინგოროყვას მიერ ამ მიმართულებით გამოთქმულ მოსაზრებათა გაზიარების გაძნელების მაჩვენებელი რამდენიმე მომენტი უნდა აღვნიშნოთ.

ძნელია დაშვება იმისა, რომ პირველ საუკუნეში ქართული „ბ"-ს თავგახსნილი ვარიანტი შესაძლებელია ცნობილი ყოფილიყო. მართალია, იმდროინდელი ნიმუშები ჩვენ ჯერ არა გვაქვს, მაგრამ ქართული პალეოგრაფიის ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით „ბ"-ს თავგახსნილი ვარიანტი უძველესი არ არის. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში, რომელსაც პ. ინგოროყვა იშველიებს, საკმაოდ დამაჯერებლად არის დადასტურებული, რომ „ბანის" პირი თანდათან ფართოვდებოდა და იღებოდა[100]. თავშეკრული აღმოჩნდა ბოლნისის 506 წლის წარწერის „ბანი". თემისტიას წარწერიდან ირკვევა, რომ „ბანი" თავშეკრულია მეექვსე საუკუნის დამ-

[99] შდრ. მ ც ხ ე თ ა I, გვ. 48;

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 236—237;

А. И. Амиранашвили, Иберия и римская экспансия., зз. 162.

[100] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1929, გვ. 207.

ლევსაც. იგივე დადასტურდა VI საუკუნის ახლად აღმოჩენილ ხელნაწერებშიაც. ამრიგად, სრულიადაც არ არის .მოულოდნელი, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ ტაბულაშიაც თავგახსნილი ბანი VII—VIII საუკუნეზე ადრე ნაჩვენები არ არის[101]. საესებით ასეთივე შეხედულებაა გატარებული აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომში და გამოქვეყნებულ ტაბულაზედაც[102].

ივ. ჯავახიშვილის მითითებულ ნაშრომში საკმაო საფუძველი არ ჩანს იმისათვის, რომ პ. ინგოროყვას წერილის იმ ნაწილის გაზიარება გაადვილდეს, სადაც ასოები „პ“ და „ქ“ არის განხილული. ამ საგანზე, ჩვენთვის აზრით, დამატებითი დაკვირვებაა საჭირო.

ბერსუმა ერისთავის ლანგრის წარწერათა გარჩევისას და გამოქვეყნებისას ყურადღება არ შეუჩერებიათ ფსკერზე ამოკაწრული სიტყვაზე Makedóni — თითქოს „მაკედონი“?

თ. ყაუხჩიშვილის მიხედვით „სიტყვა Makedóni უნდა იყოს სახელი Makedóv ან Makedónis მიცემით ბრუნვაში, ე. ი. როგორც მიუძღვნა ნივთი ბერსუმას, ასევე მიეძღვნა, თუ შესაძლებელია ეკუთვნოდა ის მ ა კ ე დ ო ნ ი ო ს[103].

ამოკაწვრის შედარებითი განხილვა მიუთითებს, რომ ეს სიტყვა შემდეგ და ნაჩქარევად უნდა იყოს შესრულებული.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ წერტილოვანი წარწერა ძირითადია და იგი შესრულებულია, შემკვეთის მითითებით. ამიტომ იგი შემკვეთის წარწერად უნდა იყოს ცნობილი. მისი ტექსტი სრულია და არსებითი შინაარსისა. რა თქმა უნდა, ივივე არ ითქმის ამოკაწრულ ნიშნებზე და სიტყვაზე. ყოველ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ამოკაწრული წარწერა ოქრომჭედლის ხელობა არ არის.

მ ე ც ხ რ ე წ ა რ წ ე რ ა (ტაბ. XLVIII,2). 1940 წლის 18 ნოემბერს არმაზისხევის ერისთავთა სასაფლაოზე ახალი სამარხი აღმოჩნდა, მიწის ახლანდელი ზედაპირიდან 0,8 მეტრის სიღრმეზე, თხრილში, რომელიც 1937/38 წლებში ნათხარ ფართობს იმ ადგილთან აკავშირებდა, სადაც ე. წ. ასპარუგ ერისთავის სამარხი იყო ჩადგმული. ეს იყო მეოთხე სამარხი, იგი 25 ნოემბერს გაიხსნა[104]. გარეგნულად ის ერისთავების სამარხს არაფრით არ გავდა. სახურავის გადაცლის შემდეგ გამოჩნდა სამარხის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებად ჩაყენებული ლოდები. გარედან ამ ლოდებს მხოლოდ კარგად გათლა ემჩნეოდა, მაგრამ სამხრეთის კედლის მოხსნისას გამოირკვა, რომ ამ ლოდის მეორე, შიგნითა მხარეზე, ორენოვანი წარწერა იყო ამოკვეთილი (ტაბ. XLVIII,2). არამეული ასოებით შესრულებული ე. ი. ერთენოვანი წარწერა აღმოჩნდა ამ სამარხის ჩრდილოეთის კედლად გამოყენებულ ლოდზედაც. ამრიგად, გამოირკვა, რომ მეოთხე სამარხის ორ კედლად გამოყენებული ყოფილა ორი სტელა, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ამ სტელებმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგეს.

ორენოვანი წარწერის ბერძნული ტექსტი ათსტრიქონიანია და მას უჭირავს ფართობი 61×62 სმ. ამის ქვემოთ ამოჭრილია ტექსტი არამეული ასოებით, რომელიც 11 სტრიქონს შეიცავს და მოთავსებულია თითქმის თანაბარ ფართობზე — 63×61,5 სმ. წარწერიანი ლოდის თავი მომრგვალებულია.

ორენოვანი წარწერა საერთოდ კარგად არის ამოკვეთილი, ასოები თითქმის თანაბარია, ადვილად იკითხება; ოდნავ დაზიანებულია, ატკეცილია, არმაზული ტექსტის მეცხრე სტრიქონი.

ამ წარწერის ბერძნული ტექსტი უკვე რამდენჯერმე გამოიცა. ჯერ კიდევ 1941 წლის 10 თებერვალს აკად. ა. შანიძეს წარუდგენია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ორგანოს „მოამბის“ რედაქციაში წერილი, რომელშიც იგი არმაზის ორენოვან წარწერას განიხილავს, წარწერაში ნახსენები ტერმინის — ეზოძს მოძღვარის განმარტებასთან დაკავშირებით[105]. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ იმავე ნომერშია დაბეჭდილი პროფ. ს. ყაუხჩიშვილის წერილი, არმაზში აღმოჩენილი

---

[101] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, ტაბ. I.

[102] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 92—93 და ტაბულა ქართული დაწერილობის განვითარებისა.

[103] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 265; მცხეთა I, გვ. 53.

[104] მ ც ხ ე თ ა, I, გვ. 59—63.

[105] А. Г. Шанидзе, Данные греко-пехлевийской билингвы из Армази для истории термина эзоцмодзгвар-и в древне-грузинском. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2. თბ., 1941, გვ. 181—186.

ბერძნული წარწერების შესახებ[106]. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი აქვეყნებს ტექსტს, თარგმანს და კომენტარებს.

პროფ. გ. წერეთელმა სპეციალური მოხსენებები წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (1940 წლის 7 დეკემბერს) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველ სესიაზე (1941 წლის 1 მარტს). შემდეგ კი პროფ. გ. წერეთელმა არა ერთი გამოკვლევა გამოაქვეყნა ამ წარწერების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორენოვანი წარწერის ბერძნული ტექსტის ერთიმეორისგან მცირედ განსხვავებული თარგმანი გამოაქვეყნეს ა. შანიძემ, პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა და გ. წერეთელმა. ამ განსხვავებათა უფრო ნათლად წარმოდგენის მიზნით ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ პროფ. ა. შანიძის, ს. ყაუხჩიშვილის და გ. წერეთლის მიერ გამოქვეყნებულ თარგმანს: ა. შანიძეს, თავის ზემოთ მითითებულ ნაშრომში, რომელიც რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული, მოცემული აქვს ბერძნული ტექსტის შემდეგი თარგმანი[107].

> «Серапита, дочь нового питиахша Зеваха, жена Иодмангана (сына питиахша Публикия Агриппы), победоносного (букв. одержавшего много побед) прокуратора великого грузинского царя Ксепарнуга, скончалась молодая, 21-го года, имея неподражаемую красоту».

ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი: „სერაპიტი, ასული ახლანდელის პიტიახშის ძევახისა, მეუღლე იბერთა მეფის (დიდი) ქსეფარნუგის მრავალი გამარჯვებების მომპოვებელი ეპიტროპოსის იოდმანგანისა, პიტიახშ პუბლიკიოს აგრიპას ძისა. გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 21 წლისა, მქონებელი უბადლო სილამაზისა“.

გ. წერეთლის თარგმანი: „სერაფიტი, ასული ზევახ მცირისა პიტიახშისა, მეუღლე პუბლიკიოს აგრიპა პიტიახშის ძის ,ოდმანგანისა, ივერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალთა გამარჯვებათა მომპოვებელი ეპიტროპისა. გარდაიცვალა ახალგაზრდა, 21 წლის, მქონებელი შეუდარებელი სილამაზისა“[108].

როგორც ვხედავთ, აზრთა სხვაობა გამოიწვია თარგმნამ ბერძნული გამოთქმისა: τοῦ νεωτέρου. ს. ყაუხჩიშვილი ამ სიტყვას თარგმნის ასე — ახლანდელის (нынешнего); ა. შანიძე — нового— და გ. წერეთელი — მცირისა. შესაბამისად განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სიტყვას თითეულ ავტორთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის პროფ. გ. წერეთლის მიერ გამოქვეყნებული თარგმანის კომენტარიებისას, რადგან ავტორი დიდი და მცირე პიტიახშების ინსტიტუტის არსებობას ვარაუდობს.

ვ. აბაევის მიხედვით ეს ტერმინი „ახალგაზრდას“ ნიშნავს...[109] აკად. კ. კეკელიძემ თვალსაჩინო ადგილი დაუთმო სწორედ ამ საკითხსაც. როგორც აკად. კ. კეკელიძე არკვევს, სინამდვილეში არსებობდა „ცოტა ერისთვისაც“; ხელნაწერებში ნახსენებია სამი ხარისხის ერისთავი: ცოტაჲ ერისთავი, ერისთავი და ერისთავთ-ერისთავი“[110]. არსებობს „ცოტა ერისთავის დადგინების წესიც“[111]. ახლა ჩვენი მიზნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ კ. კეკელიძე ამ ცნობას არმაზის წარწერებთან დაკავშირებით იხილავს და აღნიშნავს: „მცხეთა-არმაზის წარწერებიდან ვტყობილობთ, რომ ყოფილან დიდი და პატარა პიტიახშები. თუ პიტიახში მართლა ქართული „ერისთავის“ შესატყვისია, როგორც ახლა ფიქრობენ, უნდა დავუშვათ, რომ (დიდ) ერისთავთან ერთად, „ცოტა“ ან „პატარა ერისთავის ინსტიტუტიც არსებობდა“[112].

ორენოვანი წარწერის მეორე, არამეული ასოებით შესრულებული ტექსტი პირველად გ. წერეთელმა და ა. შანიძემ გამოსცეს. აკაკი შანიძეს ორენოვანი წარწერის ტექსტები განხილული და გამოცემული აქვს, როგორც აღინიშნა, უმთავრესად ერთი ტერმინის — ეზოჲს მოძღვარი-ს ისტორიის აღდგენის თვალსაზრისით და ტექსტის ვრცელი განხილვისაგან თავს იკავებს, — „Здесь,

---

106 ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, გვ. 169—175.

107 А. Г. Шанидзе, დასახ. ნაშრ. გვ. 165.

108 გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1941, გვ. 17.

109 В. Абаев, Вокруг армазской билингвы. გვ. 21.

110 კ. კეკელიძე, „მთავართა“ და „ერისთავთა“ დადგენების წესი ძველ ქართულ მწერლობაში. ეტიუდები, III, თბ., 1955, გვ. 158.

111 კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 161, 165.

112 კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 159.

естественно, — აღნიშნავდა ა. შანიძე — возникают большие проблемы исторического характера, но мы ограничиваемся освещением лишь одного вопроса[113]».

პროფ. გ. წერეთელმა, როგორც აღნიშნული იყო, მცხეთის ახალ ეპიგრაფიკულ ძეგლებს მრავალი ნაშრომი უძღვნა. ამ ნაშრომებში პროფ. გ. წერეთელი იძლევა არა მარტო ამოკითხვას და თარგმანს, არამედ ფართოდ იკვლევს წარწერათა ისტორიულ მნიშვნელობას და ახალი მასალებით არკვევს აღმოსავლურ-ქართული სამეფოს სახელმწიფო წყობის საკითხებს და ქართული დამწერლობის ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო დასკვნებს აკეთებს.

პროფ. გ. წერეთლის ნაშრომებში გამოქვეყნებულია ორენოვანი წარწერის მეორე, არამეული ასოებით შესრულებული ტექსტის შემდეგი ქართული თარგმანი:

„მე (ვარ) სერაფიტი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა — ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოგასმოძღურისა ხსეფარნუგ მეფისა — ძისა აგრიფა ეზოგასმოძღურისა ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის რაც (=ის ვინც) იყო არა დასრულებული (ე. ი. ახალგაზრდა?) და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით. და გარდაიცვალა 21 წლისა«[114].

1948 წელს აკად. გ. წერეთელმა გამოაქვეყნა ორენოვანი წარწერის არამეული ტექსტის ახალი რუსული თარგმანი: «Я Серафита, дочь Зеваха, младшего питиахша царя Фарсмана, жена Иодмангана — победоносца. (военачальника) и много побед одержавшего (сделавшего) двороуправителя царя Хсепарнуга — сына Агриппы, двороуправителя царя Фарсмана. Горе, горе тебе, которая была молодая. И столь хорошая и красивая была, что никто не был ей подобен по красоте. И умерла на 21-м году (жизни)».[115]

1946 წელს H. S. Nyberg-მა გამოაქვეყნა საცილობელი ადგილის ასეთი თარგმანი[116]: Serapeitis fille de Zeouakhes le plus jeune (ou: le second quant à son rong?) pitiaxe, femme du fils du pitiaxe Publicius Agrippa, Jodmanganos... და ა. შ.

1956 წელს ბილინგვა კელავ გამოაქვეყნა Bruce M. Metzger-მა. მის თარგმანში სადავო ადგილი ასე გამოიყურება[117]: Serapitis, daughter of Zewah the younger, pitiax, wife of the son of pitiax Publicius Agrippa, Jodmangan... და ა. შ.

ბერძნული ტექსტის გარჩევის საფუძველზე პროფ. ს. ყაუხჩიშვილი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ამ წარწერის ენობრივი თვისებების განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ წარწერა I—III საუკუნეების ხანას უნდა ეკუთვნოდეს (სახელი პუბლიკიოს აგრიპაც ხომ რომაულ ხანას მიუთითებს)[118]. ს. ყაუხჩიშვილი იქვე აღნიშნავს: „კერძოდ, უკანასკნელი წარწერა რომ II საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს ამას ადასტურებს ტერმინი ἐπίτροπος-ის ხმარება«. ამრიგად, არმაზისხევის ბერძნულ წარწერათა საერთო თარიღს (I—III სს.) ს. ყაუხჩიშვილი უფრო აზუსტებს ორენოვანი წარწერისათვის და, როგორც მისი სტატიიდან ჩანს, შესაძლებელი ხდება წარწერა II—III საუკუნეს მიეკუთვნოს.

არქეოლოგიური მასალა ამ წარწერათა დათარიღებისათვის არა გვაქვს. ჩვენ არ ვიცით რომელი სამარხის თავზე იდგა მითითებული სტელა, ამიტომ წარწერის დასათარიღებლად სამარხის ინვენტარს ვერ გამოვიყენებთ. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მაინცდამაინც, არ ართულებს წარწერის დათარიღებას. წარწერაში მოხსენებული ფარსმანი ქართლის დიდი მეფეა, რომელიც მეორე საუკუნეში მოღვაწეობდა. მისი მომდევნო ჩანს დიდი ქსეფარნუგი, რომელიც აგრეთვე მოხსენებულია წარწერაში; ეს კი საშუალებას იძლევა ორენოვანი წარწერა „მივაკუთვნოთ II საუკუნის მეორე ნახევრის ახლო ხანას ან იმავე საუკუნის მე-

---

[113] А. Г. Шанидзе, Данные греко-пехлевийской билингвы из Армази для историк терминаґъоґасмоґдґу-ари эзойсмодзґвар-и в древне-грузинском.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 186.

[114] გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 16.

[115] Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета—древней столице Грузин. ВДИ, № 2, М., 1948, გვ. 70.

[116] H. S. Niberg, Quelques inscriptiones antiques... გვ. 131.

[117] Bruce M. Metzger, A Greek and Aramaic inscription... in Georgia..., გვ. 18.

[118] ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, თბ., 1941, გვ. 173.

ხამე მეოთხედის ბოლოს"[119]. ეს თარიღი ეთანხმება ს. ყაუხჩიშვილის მიერ წარწერის ენობრივი თვისებების მიხედვით დადგენილ თარიღს.

წარწერის ამოკითხვის შემდეგ პროფ. ვ. წერეთელმა წარწერაში მოხსენებულ პირთა ურთიერთობა შემდეგნაირად წარმოადგინა[120]:

ხევახ მცირე პიტიახშიი=ფარსმან მეფე=ავრიპა ეზოგს მოძღუარი ფარსმან მეფისა
↓ ↓ ↓
სერაფიტი, ასული ზევახ პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგან ეზოგს მოძღუარისა. =ხსეფარნუგ მეფე=იოდნანგანი, მეუღლე სერაფიტისა, ძე ავრიპასი, ეზოგს მოძღუარი ხსეფარნუგ მეფისა.

როგორც პროფ. ვ. წერეთლის თარგმანი გვიჩვენებს, ორენოვანი წარწერის ორივე ტექსტი პარალელურია, მაგრამ ერთმანეთის სიტყვა სიტყვით განმეორებას არ წარმოადგენს. ა. შანიძემ შენიშნა, რომ მეფე ფარსმანი მხოლოდ ფალაურშია[121] ნახსენები; ქსეფარნუგი კი ნახსენებია ქართველთა მეფედ მხოლოდ ბერძნულში. ბერძნულში ორი პიტიახშია ნახსენები და ერთი პროკურატორი; ფალაურში კი — ერთი პიტიახში და ორი პროკურატორი. ამრიგად, ავრიპა ბერძნულში პიტიახშის ტიტულს ატარებს, ხოლო ფალაურში — პროკურატორისას[122].

ბერძნული და არამეული ტექსტების თარგმანთა შედარება ცხადს ხდის, რომ წარწერის ავტორს ძირითად ტექსტად არც ერთი ამათგანი არ მიუჩნევია და არ ცდილა ერთიდან სიტყვასიტყვით ეთარგმნა მეორე ენაზე. პროფ. ვ. წერეთელმა წარწერის ამოშიფვრის, დათარიღების, ტექსტის თარგმნის, წარწერის ენის, კომპოზიციის და მომქმედი პირების განხილვის შემდეგ მიიღო დასკვნა, რომლის მიხედვით გამოიყოფა სემიტური დამწერლობის ახალი და დამოუკიდებელი შტო „არამაზული დამწერლობა", ხოლო ამ ტიპის ძეგლებს „არამაზული წარწერები" ეწოდება[123]. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. წერეთელს ამ წარწერის ხასიათი ჯერ კიდევ არ მიაჩნია საბოლოოდ დადგენილად. ამას ადასტურებს მისი ერთ-ერთი ნაშრომი, სადაც აღნიშნულია, რომ არამაზისხევის ორენოვან წარწერაში: „Текст изложен одновременно на греческом языке и на языке характер которого окончательно ещё не установлен"[124].

ორენოვანი წარწერის განხილვისას ამ წარწერათა ენის საკითხს შეეხო პროფ. ვ. აბაევიც. იგი უარყოფს წარწერის ირანულ ხასიათს და აღნიშნავს: «Говорить об иранском языке там, где нет ни одной иранской формы и только два иранских слова (из 32) было бы крайне рискованно. Мы не можем также удовольствоваться признанием, что надпись написана на «плохом» арамейском языке. Встаёт вопрос, почему на плохом, а не на хорошем? Не сказалась ли в дефектах языка надписи какая-то специфика местных условий, местной эпиграфической манеры? Выразим нашу мысль яснее: надпись исполнена в Грузии, и если допустить, что писец был грузином, то не могло ли его грузинское языковое мышление выявиться невольно сквозь арамейский языковый инвентарь? И не отсюда ли проистекает если не все, то хоть некоторые из «несуразностей» надписи?».[125]

პროფ. ვ. აბაევის მოსაზრებები კარგად ითვალისწინებენ სიძნელეებს, რომლებიც ჩნდება „სხვათა" ენაზე წერისას. სპეციალისტთა ასეთი მოსაზრებანი და ორენოვანი წარწერის ზემოთ მითითებული სხვაობები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ როგორც ბერძნული, ისე არამეული ტექსტი ითარგმნებოდა საერთო ორიგინალიდან. ასეთ დედანს ალბათ ადგილობრივი — ქართული ტექსტი წარმოადგენდა. ამ მხრივ ისიც არის ყურადღების ღირსი, რომ ქართველი მეფეები პატივითა და მთელი ტიტულით (დიდი მეფე — მეფე დიდი) მოიხსენიება, განსხვავებით ახ. წ. 75 წლის ბერძნული წარწერისგან, სადაც დიდი მე-

---

119 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, თბ., 1941, გვ. 34.

120 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, იქვე, გვ. 339.

121 ფალაურად მიიჩნევს ა. შანიძე ბილინგვის მეორე ტექსტს.

122 А. Г. Шанидзе, Данные греко-пехлевийской билингвы из Армазн., გვ. 185—186; მ ცხ ე თ ა I, გვ. 61.

123 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 5 და 31.

124 Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета.., გვ. 80.

125 В. Абаев, Вокруг армазской билингвы. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 8, თბ., 1944, გვ. 828.

ფის სახელით ქართველთა მეფე არც ერთხელ არაა ნახსენები.

საკითხის ასეთი დაყენება კიდევ ახალ საფუძველს პოულობს პროფ. გ. წერეთლის სხვა ნაშრომებში, სადაც არმაზული დამწერლობის სინათლეზეა განხილული საკითხი ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ[126]. ამ ნაშრომებში გ. წერეთელი ადგენს მთელ რიგ შეხვედრებს ქართულისა და არმაზულ დამწერლობას შორის. ავტორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1926 წელს ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა თეორია ქართული დამწერლობის ფინიკიურ-არამეულიდან წარმოშობის შესახებ[127]. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მთავარ სიძნელეს ხედავდა იმაში, რომ ქართული და ფინიკურ-არამეული ქრონოლოგიურად დიდად არიან ერთმანეთისაგან დაშორებული და შორს არიან ტერიტორიალურადაც. „Теперь — აღნიშნავს გ. წერეთელი — это затруднение устранено, ибо появилось в виде армазского письма промежуточное звено, к которому в хронологическом отношении непосредственно примыкают древнейшие памятники грузинского письма. Устранено также затруднение иного порядка. В Мцхета, древней столице Грузии, открыто своеобразное письмо, отличное от всех известных до сих пор других алфавитов. Уже сам этот факт даёт возможность предположить существование какой-либо связи этого алфавита с грузинским. Поэтому при установлении сходства той или иной буквы этого алфавита с грузинским будет иметь больше оснований для утверждения о родстве между ними».[128]

აღნიშნავს რა ქართული დამწერლობის აშკარა ნათესაობას არმაზისხევის არამეულთან გ. წერეთელი იმავ დროს მიუთითებს, რომ ქართული ბ, გ და ზოგიერთი სხვა ასო „ამჟღავნებენ გაცილებით უფრო მეტს არქაულობას, ვიდრე არმაზული ნიშნებია და თვით წარმოადგენენ პროტოტიპს, საიდანაც წარმოიშვა სათანადო არმაზული ნიშნები. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ ქართული დამწერლობა, როგორც არმაზული დამწერლობის შემდეგი განვითარება. ის მხოლოდ მონათესავეა მისი და მასთან ერთად წარმოდგება ერთი საერთო წყაროდან — არამეულიდან"[129].

ამ თვალსაზრისის განვითარებამ პროფ. გ. წერეთელი მიიყვანა აგრეთვე დიდად მნიშვნელოვან დასკვნამდე იმის შესახებ, რომ იბერიის მმართველთა ოფიციალურ დოკუმენტებში გამოიყენებოდა არამეული წარმოშობის, მაგრამ თავისებური ხასიათის ენა, რომელიც ქართულთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს[130].

მ ე ა თ ე წ ა რ წ ე რ ა (ტაბ. XLVIII): მეოთხე სამარხის სამხრეთის კედლის შიგნითა ზედაპირზე ორენოვანი წარწერის აღმოჩენის შემდეგ ჩვენი ყურადღება ჩრდილოეთის კედლად გამოყენებულმა ლოდმა მიიპყრო (ტაბ. XLVIII,1). ამ ლოდის შიგნითა ზედაპირის მიხედვით ძნელი იყო მტკიცება, რომ ამ ლოდზედაც წარწერა იყო ამოკვეთილი. წარწერის კვალი ოდნავ მოჩანდა, ამასთანავე, როგორც პროფ. გ. წერეთელი შენიშნავს. წარწერა თავიდანვე არ ყოფილა გულმოდგინედ შესრულებული[131]. ამ გარემოებამ და, ამასთანავე, სტელის თავზე ამოკვეთილმა ნიშანმა კიდევ უფრო გაზარდა ახალი წარწერებისადმი ინტერესი. წარწერის შესწავლა მაშინვე დაიწყო პროფ. გ. წერეთელმა, რომელმაც უკვე 1940 წლის ბოლოს აღნიშნა, რომ წარწერაში ნახსენებია მეფე მითრიდატი, ძე ფარსმან მეფისა დიდისა; ერისთავი მითრიდატ მეფისა — იგივე ძე ზევახ უფლისა და სხვ.[132].

პროფ. გ. წერეთელი რიგი წლების განმავლობაში განაგრძობდა წარწერის შესწავლას და 1948 წელს მან გამოაქვეყნა ჩატარებული მუშაობის შედეგები. გ. წერეთლის ეს ახალი ნაშრომი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ წარწერის შინაარსი. გ. წერეთელმა გამოაქვეყნა წარწერის დასაწყისის რუსული თარგმანი: «Царь Михридат, царь великий, сын царя Фарсмана, царя великого. Я Шарагас, сын Зеваха владыки, я

---

126 Г. В. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита. II. Эпиграфика Востока, III, Л., 1949, გვ. 59—71.

127 ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობისმოძღვრება ანუ პალეოგრაფია. თბ., 1929, გვ. 189.

128 Г. В. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита. II. Эпиграфика Востока, III.. Л., 1949, вв. 63.

129 იქვე, გვ. 68; გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 47—48.

130 Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета, вв. 57.

131 Г. В. Церетели, იქვე, вв. 52.

132 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, вв. 42.

Шарагас, питиахш царя Михридата, слово и такое слово произнес[133]. შემდეგ აღნიშნავს გ. წერეთელი, — ტექსტში შარაგასის სიტყვის შინაარსია გადმოცემული; ის მოგვითხრობს იმ გამარჯვებათა შესახებ, რომელიც მოიპოვა „ჩვენმა მეფემ". წარწერაში ჩამოთვლილია გამარჯვებები, რომლებიც მოუპოვებია „ჩვენს მეფეს" საქართველოს მეზობელ ქვეყნებზე. დასახელებულია სამი გამაგრებული ადგილი, კიდეე რომელიღაც სხვა სიმაგრეები და აგრეთვე სომხეთი. თითოეული ლაშქრობისა ანუ „გამარჯვების" გადმოცემა სრულდება სიტყვებით: „ეს გამარჯვებები ჩვენმა მეფემ მოიპოვა". ამას გარდა წარწერაში მოთხრობილია „ხალხის მღელვარების" შესახებ და ნახსენებია ასპარუგი[134].

წარწერის ენისა და დამწერლობის ხასიათის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. წერეთლის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „მეფე" ერთსა და იმავე ფრაზაში სხვადასხვაგვარად არის აღნიშნული; ერთ შემთხვევაში ის გადმოცემულია არამეულით mlk, სხვა შემთხვევაში — სიტყვებით Bzls ან Bzys, რაც ავტორის მიხედვით ბერძნული Βασιλεύς-ის შემოკლებული გადმოცემა უნდა იყოს[135].

პ. ინგოროყვამ ეს წარწერა არამეული დამწერლობით შესრულებულად აღიარა[136]. მაგრამ სტელის სპეციალურ ნიშნებს მიაქცია ყურადღება და ძირითად ტექსტზე თითქმის არ შეჩერებულა. ნიშნების ამოკითხვამდე პ. ინგოროყვამ სცადა სტელის თავდაპირველი სახის აღდგენა და აღნიშნა, რომ ეს ნიშნები „არ შეიძლება იყოს და არც არის შემთხვევითი რაიმე ნიშნები, ანდა ორნამენტი (ნუ დაგვავიწყდება ამასთან, რომ ეს ნიშნები წარმოდგენილია არა შემთხვევითს საფლავის ქვაზე, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალის — პიტიახშის სტელაზე)"[137]. პ. ინგოროყვა დაწვრილებით იხილავს ამ ნიშანს და თვლის, რომ ქვაზე შერჩენილი გამოსახულების სახით ჩვენ გვაქვს ორი ნიშანი და რომ „ეს ორი ნიშანი წარმოადგენს ასოებს"[138]. ავტორი ამ ნიშნებს ქართულ ასოებად მიიჩნევს და აღიარებს, რომ პირველი მათგანი არის ქართული ასო — ჳ, ხოლო მეორე არის აგრეთვე ქართული — ს.

პ. ინგოროყვას გამოკვლევის მიხედვით ხერხდება გახსნა ქარაგმისა და ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ხომ არ იმალება ამ დაქარგმების სახით „ჭ-ს „სახელი" „ჭევახოს", ადრინდელი სახეობა სახელისა „ჯევახოს" „ჯავახოს" (I·I—ჯავახ)"[139].

არამეული ტექსტის დასაწყისი ნაწილის გაცნობის შემდეგ პ. ინგოროყვა არკვევს თუ რა სახელს აღნიშნავდა ძეგლის ვენზელი „ჭ"-ს და შესაძლებლად მიიჩნევს დაინახოს სახელი „ჭარგას", რომლისგანაც შემდეგ წარმოშობილია ფორმა „ჩარგას", მაგრამ ის ამავე დროს შესაძლებლად თვლის აღნიშნოს მეორე შესაძლებლობაც: „ჩვენი ვენზელი შესაძლოა აღნიშნავს არა თვით ჩარგას— ჭარგასის პირადს სახელს, არამედ სახელს პიტიახშთა ახალი შტოის მამამთავრისა: „ჭევახოს"[140].

გ. წერეთელი ვარაუდობს, რომ წარწერაში I საუკუნის მოვლენები უნდა იგულისხმებოდეს და იქ მოხსენებული ფარსმანი უნდა იყოს იბერიის ცნობილი მეფე, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა რომაელთა და სპარსელთა ომში სომხეთისათვის. წარწერაში მითითებული „მღელვარება" და „ომები" ავტორის მიხედვით ფარმანის ძის მითრიდატეს დროინდელ ვითარებას გულისხმობს[141]. ამით წარწერის თარიღიც ზუსტდება, ეს I ს. ჩანს[142]. წარწერის ასეთ თარიღსა და ინტერპრეტაციას სხვა სპეციალისტებიც იზიარებენ[143].

საყურადღებოა მ. ინაძის ცდა, განსახილველ წარწერაში იბერთა მეფის მითრიდატეს ლაშქრობათა და დიდი გამარჯვების შესახებ მოთხრობილი, დაუკავშიროს ლეონტი მროველის ცნობას „იბერების ლაშქრობის შესახებ სომხეთში ოვსებთან ერთად... ფარსმან I-ის შემდგომ დროს (ე. ი. დაახლოებით I საუკუნის 70—80-ან წლებს)"[144].

---

133 Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета, გვ. 52.

134 Г. В. Церетели, იქვე, გვ. 52.

135 Г. В. Церетели, იქვე.

136 პ. ინგოროყვა, ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, გვ. 418.

137 პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 419.

138 პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 420.

139 პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 422.

140 პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 423.

141 Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета.., გვ 53.

142 Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета... Доклады на общем собрании АН СССР, М.-Л., 1948, გვ. 360.

143 მცხეთა I, გვ. 62; მ. ინაძე, იბერიის და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955, გვ. 316

144 მ. ინაძე, იქვე.

ასეთია უმთავრესი ნაწილი მცხეთაში აღმოჩენილი წარწერებისა, რომელთაც იბერიის ძველი დედაქალაქის და, საერთოდ, ქართლის სამეფოს ქალაქების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

მცხეთაში აღმოჩენილი წარწერების მიხედვით ირკვევა, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს მმართველ წრეებს უცხოელებთან ურთიერთობა ჰქონდათ მათთვის გასაგებ ენაზე. საურთიერთო ენას წარმოადგენდა ბერძნული და არამეულის ის თავისებური შტო, რომელსაც არმაზულს უწოდებენ. როგორც ირკვევა, იმის გამო, რომ საურთიერთო ენას არმაზული და ბერძნული წარმოადგენდა, ეს ენები იყო მიღებული ქართლის სამეფოს მმართველი წრეების მიერ ოფიციალურ დოკუმენტების ენად. ამიტომ მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ასპარუგის საერისთავო ბეჭედზე ერისთავის სახელიცა და ტიტულიც ბერძნულ ენაზეა ამოკვეთილი. ამასთან ისიც ივარაუდება, რომ ქართული წარმოადგენდა დედანს, რომლის მიხედვით ბერძნული ან არმაზული ტექსტი უნდა ამოეკვეთათ. წარწერათა განხილვა იმასაც გვიჩვენებს თუ როგორ ძნელდებოდა „სხვათა" ენაზე წერა და მიუხედავად დახელოვნებულ „წამწერელთა" არსებობისა, წარწერები ყოველთვის უნაკლოდ არ არის შესრულებული და თარგმნილიც (შდრ. არმაზისხევის ორენოვანი წარწერა).

არმაზული დამწერლობა, რომელსაც პროფ. გ. წერეთელი გამოყოფს და რომელიც, როგორც ჩანს, ქართლის (იბერიის) სამეფოს ოფიციალური დოკუმენტების ენას წარმოადგენდა, წარმოშობით ყველა სხვა ენაზე უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო ქართულთან. იგი ქართული კულტურის ნიადაგზე გადამუშავებული და ალბათ ქართლის (იბერიის) სამეფოს ქალაქებში და, განსაკუთრებით, მის დედაქალაქში შექმნილი თავისებური სახეობაა არამეული დამწერლობისა. არმაზული დამწერლობა რომ დედაქალაქის გარეთაც ყოფილა გავრცელებული, ეს არქეოლოგიური მასალითაც კარგად მტკიცდება. ჩვენ მითითებული გვაქვს ბორის ვერცხლის თასი, რომელზედაც არმაზული წარწერაა გამოყვანილი, რომლის სწორი წაკითხვა მხოლოდ არმაზისხევის წარწერათა დახმარებით გახდა შესაძლებელი. ამასვე მიუთითებს არამეული წარწერის აღმოჩენა ურბნისში.

ბორის და ურბნისის წარწერის აღმოჩენის შემდეგ ცხადი ხდება, რომ არმაზული დამწერლობა საურთიერთო და ოფიციალური დოკუმენტების ენა იყო არა მარტო დედაქალაქისათვის. მცხეთის, ბორის და ურბნისის მაგალითზე ირკვევა, რომ ქართლის სამეფოს, პირველ რიგში მისი ქალაქების მესვეურთათვის უცხოეთთან ურთიერთობისას საჭირო ოფიციალურ დოკუმენტების ენა არმაზულიც ყოფილა, ახ. წ. აღრიცხვის I—III საუკუნეებში მაინც.

საერთოდ კი, მცხეთაში აღმოჩენილი წარწერების საფუძველზე შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ, რომ ქართლის სამეფოს საურთიერთო და ოფიციალური დოკუმენტების ენა I—III საუკუნეებში ბერძნული და არამეული იყო.

როგორც ვნახეთ, მცხეთის წარწერები მნიშვნელოვანია ქართული დამწერლობის ისტორიის თვალსაზრისითაც. ქართულთან ახლო მდგომი არმაზული დამწერლობის ძეგლების მცხეთაში აღმოჩენამ გაუმაგრა საფუძველი თეორიას, რომლის მიხედვით ქართული დამწერლობის წარმოშობა ფინიკურ-არამეულს უკავშირდება.

უკვე არაერთხელ იყო მითითებული, რომ მცხეთაში აღმოჩენილ წარწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართლის სახელმწიფო წყობილების შესასწავლად.

არმაზისხევის პირველ სამარხში აღმოჩენილი საერისთავო ბეჭდის წარწერის ამოკითხვის შემდეგ უკვე ცხადი იყო ასპარუგის საერისთავო ბეჭდის აღმოჩენის ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ იმ დღეებში ერისთავთა (პიტიახშთა) ინსტიტუტის წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლებოდა, იმის გამო, რომ აღმოჩენილ ბეჭედზე მაინც არ იყო წერილობითი მითითება იმაზე, თუ ვისი ერისთავი (პიტიახში) უნდა ყოფილიყო ასპარუგა, იბერიის მეფისა თუ სპარსეთისა? ასე იდგა საკითხი, რადგან ითვლებოდა, რომ პიტიახშატი სპარსული ინსტიტუტია და პიტიახშად იწოდებოდა სპარსეთის მეფის წარმომადგენელი სავასალო იბერიაში, როგორც ფაქტიური მმართველი ქართლისა (იბერიისა). წერილობითი წყაროების მიხედვით ხერხდებოდა ამ ინსტიტუტის გაჩენის დათარიღება და მიღებული იყო მოსაზრება, რომლის მიხედვით პიტიახშობის დამკვიდრება ქართლში ახ. წ. აღრიცხვის მეხუთე საუკუნის საქმეა. ეს მოსაზრებები იმდენად გავრცელებული და მიღებული იყო ქართულს საისტორიო წყაროებში, რომ საკითხის სხვაგვარად გადაჭრა ასპარუგის ბეჭდის აღმოჩენამაც ვერ გადაწყვიტა,

რომ არაფერი ითქვას „ქართლის ცხოვრების“ მი. თითებებზე.

ასპარუგის ბეჭდის აღმოჩენა საფუძველს ქმნიდა პიტიახშობის შესახებ შემუშავებული შეხედულება უკვე შერყეულად მიგვეჩნია. ცხადი გახდა, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი მზად იყო საანალიზო მასალის აღმოჩენისთანავე გადაესინჯა ადრე მის მიერაც მიღებული დებულება.

პიტიახშობის ჩვენში გაჩენის საკითხს ვერ წყვეტდა საბოლოოდ მესამე სამარხში აღმოჩენილი ბერსუმა პიტიახშის ლანგრის წარწერაც. მართალია, ამ სამარხში აღმოჩენილმა წარწერამ კიდევ ერთი ადრე უცნობი ერისთავი (პიტიახში) — ბ ე რ ს უ მ ა გაგვაცნო, მაგრამ ისიც ასპარუგის მდგომარეობაში იყო და არც აქ აღმოჩენილი წარწერა იყო საკმარისი პიტიახშატის წარმოშობის საკითხის გასაშუქებლად.

ეს იყო მხოლოდ დაყენება საკითხისა. საკითხის ამგვარ დაყენებაში ჩანს ასპარუგის და ბერსუმას სამარხებში აღმოჩენილ წარწერათა ისტორიული მნიშვნელობა.

ქართლში პიტიახშატის წარმოშობის საკითხი შეიძლება ითქვას საფუძვლიანად გადაისინჯა მას შემდეგ, რაც წარწერათა ახალი ჯგუფი აღმოჩნდა არმაზისხევში. ეს საკითხი გადაჭრა მეოთხე სამარხის კედლებად გამოყენებულმა სტელებმა, რომელთაგან ერთზე, როგორც ვნახეთ, ორენოვანი წარწერაა ამოკვეთილი, ხოლო მეორეზე — არამეული. ამ წარწერებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაერთხელ არიან ნახსენები პიტიახშები: შ ა რ ა გ ა ს ი, ჯ ა ვ ა ხ ი, პ უ ბ ლ ი კ ი ო ს ა გ რ ი პ ა. ამასთანავე, კარგად ირკვევა ისიც, თუ ვისი პიტიახშებია წარწერებში მოხსენებული. შდრ. მაგ., „მე შარაგასი, ძე ჯავახ უფლისა, მე შარაგასი, პიტიახში მეფის მითრიდატისა“; „მე (ვარ) სერაფიტი, ასული ჯავახ მცირისა (უმცროსისა), ერისთავისა ფარსმან მეფისა“; სერაფიტა „მეუღლე პუბლიკიოს აგრიპა ერისთავის ძის იოდმანგანისა, იბერთა მეფის ქსეფარნუგის მრავალთა გამარჯვებათა მომპოვებული ეზოჟსმოძღვრისა (ეპიტროპისა)“ და სხვ.

ამ ამონაწერებიდან ირკვევა, რომ დასახელებულია იბერთა მეფეების ერისთავები. ისიც ირკვევა, რომ ერისთავები მემკვიდრეობითაც ყოფილან. შარაგას ერისთავი ძეა ჯავახ უფლისა; ჯავახი ძეა ასპარუგ ერისთავისა (პიტიახშისა) და ა. შ. ამ უკანასკნელ გარემოებას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოს სახელმწიფო წყობილების ისტორიისათვის.

ასეთ ვითარებაში უნდა გვეფიქრა, რომ ასპარუგიცა და ბერსუმაც ქართლის მეფეთა ერისთავები უნდა ყოფილიყვნენ.

ამრიგად, არმაზისხევის წარწერათა ამოკითხვამ ცხადი გახადა, რომ ახ. წ. პირველი საუკუნიდან ქართლის მეფეთა ერისთავები იყვნენ: შარაგასი, ჯავახი, პუბლიკიოს აგრიპა, ასპარუგი, ბერსუმა და სხვ. ყველაზე ადრინდელი ერისთავი ამ წარწერის მიხედვით ჯავახი, ასპარუგი და შარაგასი უნდა იყვნენ, რადგან წარწერაში ისინი იხსენიება, ქართველთა დიდი მეფის მითრიდატის ერისთავად და იმ ხანის მოღვაწენი ჩანან.

რაკი გამოირკვა, რომ ქართლის (იბერიის) მეფეებს ყოლიათ ერისთავები ახ. წ. I საუკუნიდან მაინც, ახლა ბუნებრივი იქნება დაისვას საკითხი იმის შესახებ თუ რა როლს ასრულებდნენ ისინი და როგორი წარმოშობისაა ეს ინსტიტუტი ქართლში?

ერისთავთა ინსტიტუტის წარმოშობის შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ იმდროინდელი ქართლის ვითარება, მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა.

წერილობითი წყაროების საფუძველზე I—III საუკუნეების ქართლის ისტორია საკმაოდ კარგად არის ცნობილი. ქართლი იმ ხანად კავკასიის უძლიერესი სამეფოთაგანი იყო. რომს მასთან ხელი ადვილად არ მიუწვდებოდა და, როგორც ვნახეთ, რომაელები შემდეგშიაც სულ იბერიასთან, მათ მეფეებთან და იბერებთან „მეგობრობაზე“ ლაპარაკობდნენ. რომისა და იბერიის ურთიერთობაში იმ დროს მთავარი ის იყო, რომ იბერია რომაელთა სამხედრო მოკავშირე ყოფილიყო. ეს კავშირი, როგორც წინ ითქვა, საჭირო იყო რომისათვის, განსაკუთრებით სპარსელების წინააღმდეგ. რომისათვის მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სამხედრო კავშირს და „მეგობრობას“, არამედ იბერიის ნეიტრალურ მდგომარეობასაც კი, რადგან იბერიის მეგობრობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნეიტრალობა, ათავისუფლებდა აღმოსავლეთში რომის სამხედრო ძალებს სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპ. ვ ე ს პ ა ს ი ა ნ ე ს დიპლომატიური ნაბიჯები (მაგ., მცხეთის გალავნის გამაგრება).

როგორც ჩანს, ქართლის მეფეები კარგად ერკვეოდნენ რომის საგარეო მისწრაფებებში და თავის სამეფოს ძლიერებაში დარწმუნებულნი საკუთარ საგარეო პოლიტიკას ანხორციელებდნენ. ისინი კარგად სარგებლობდნენ რომის „მეგობრობით" და კიდევ უფრო აძლიერებდნენ და აფართოებდნენ თავიანთ სამეფოს. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ფარსმან პირველის და მითრიდატეს მოღვაწეობა. ცნობილია, რომ ფარსმან პირველმა პართელების მიერ 35 წელს დაკავებული სომხეთი გაათავისუფლა და რომაელებთან შეთანხმებით 36 წელს სომხეთის ტახტზე თავისი ძმა მითრიდატე დასვა.

მცხეთის პირველი წარწერის მიხედვით კარგად ჩანს რომაელთა დამოკიდებულება ქართლის (იბერიის) სამეფოსთან. ამ წარწერაში ვესპასიანე თავისი და რომის მეგობრად აცხადებს მითრიდატე ფარსმანის ძეს. ეს ის მითრიდატე უნდა იყოს, რომელიც არმაზისხევის წარწერაში ნახსენებია ტიტულით: მ ე ფ ე მ ი თ რ ი დ ა ტ ე, მ ე ფ ე დ ი დ ი. ძ ე ფ ა რ ს მ ა ნ ი ს ა, მ ე ფ ი ს ა დ ი დ ი ს ა[145].

კიდევ უფრო უკეთ ჩვენს ცნობილი წერილობითი წყაროებით ფარსმან მეორის ხანა. მის დროს იბერიის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერებულა. ცნობილია, რომ ტრაიანე და ადრიანე დიდძალ საჩუქარს უგზავნიდნენ ქართლის მეფეებს: „მაინც არც ერთ მეფეს არ უგზავნიდა ადრიანე თურმე იმდენ საჩუქრებს, რამდენსაც ქართლის მეფეს ფარსმან მეორეს. როგორც ცნობილია, მეფე ფარსმანი რომში ორჯერ ჩასულა თავისი ცოლშვილითა და დიდი ამალით; ფარსმანს იმპერატორისათვის დიდი ძღვენი ჩაუტანია, სხვათა შორის ოქროთი შემკული წამოსასხამიც. სამაგიეროდ, მას კეისრისაგან კიდევ უფრო მდიდრული საჩუქრები მიუღია, მათ შორის სპილო და 500 მეომარი. გარდა ამისა კეისარმა ახალი მიწა-წყალი აჩუქა ფარსმანს და ნება მისცა რომის ტაძარ კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, რაც უცხოელის დიდ პატივისცემად ითვლებოდა... იმპერატორის ბრძანებით, ცხენზე მჯდომარე ქართველი მეფის ქანდაკება გააკეთეს და მარსის მოედანზე დადგეს რომში"[146].

ეს მოკლე მითითებებიც საკმაო წარმოდგენას გვაძლევს ქართლის მდგომარეობის შესახებ I—II საუკუნეებში. აქ მოტანილი მასალიდანაც კარგად ჩანს, რომ იბერია იმ დროს ძლიერი სამეფო იყო, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევდა რომი. ამაზე იყო დამყარებული „მეგობრული ურთიერთობა". თავის დროზე კი პომპეუსი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო ალბანელებისა და იბერების მიერ რომთან დამოკიდებულების წმინდა ფორმალური აღიარებით[147]. ამ ხანის იბერიაზეც უნდა გავაგრძელოთ ცნობილი ისტორიკოსის თ. მომზენის შემდეგი სიტყვები: «Кавказ еще раз обнаружил свое всемирно-историческое значение; подобно персидским и греческим завоеваниям, и римское нашествие нашло здесь предел».[148]

იბერიისა და რომის მეგობრული ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სპარსეთის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა, მაგრამ თავიანთი ქვეყნის შინაგანი მდგომარეობისა და რომის სიძლიერის მიზეზით სპარსელები იბერიისათვის ვერ მოიცლიდნენ. ყოველ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ხანად სპარსელთა იბერიისკენ მისწრაფება ქართლის დამორჩილების სურვილებს არ გასცილებია. ყველაზე მტკიცედ იბერიისაკენ თვალი დაიჭირა სასანელთა დინასტიის დამაარსებელმა, მაგრამ მისი ღონისძიებანი, როგორც ჩანს, ფარული და ე. წ. დიპლომატიურ ხერხებით იფარგლებოდა.

ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ იყო იბერია-სომხეთ-ალბანიის ურთიერთობა. ეს სამეფოები, მიუხედავად ზოგიერთი წინააღმდეგობისა, საერთო მტრის წინააღმდეგ იმ დროსაც ხშირად ერთად გამოდიოდნენ.

ამ მიმოხილვით ჩვენ იმის შეხსენება გვინდოდა, რომ ქართლი I—III საუკუნეში ძლიერი და დამოუკიდებელი სამეფოა, რომლის საშინაო საქ-

---

[145] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 42; Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета. გვ. 53.

[146] დიმიტრი ბაქრაძის მიხედვით ფარსმანი უნდა იგულისხმებოდეს იული კაპიტოლინის შემდეგ ადგილში: „მეფე ფარაზმანი შემოვიდაო რომში და კეთილ-მოწიწებას მიაპყრობდაო უფრო ანტონინ პიის (შვილობილს იმპერატორის ადრიანესას), ვიდრე ადრიანეს (117—138)", (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ტფ., 1885, გვ. 49).

[147] Н. А. Машкин, История древнего Рима, М., 1947, გვ. 273.

[148] Т. Моммзен, История Рима, том. III, გვ. 109.

მეებში თავისუფლად ჩარევის საშუალება არც რომსა აქვს* და არც სპარსეთს.

ქართლის სამეფოს ასეთი ვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიტიახშატის წარმოშობის საკითხის გასაშუქებლად. ქართლის ზემოთ დახასიათებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ I—II საუკუნეების ქართლის სამეფოში არ შეიძლება უცხოელი და მით უმეტეს სპარსელთა პიტიახშები ყოფილიყვნენ.

წარწერების აღმოჩენის შემდეგ, გამოირკვა, რომ I—II საუკუნეებში დასახელებულია მხოლოდ ქართლის მეფეთა პიტიახშები.

არმაზისხევის წარწერებში ქართლის მეფეების პიტიახშთა ხსენებას სამეფოს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ირკვევა, რომ ქართლის მეფეებს ყოლიათ საკუთარი ერისთავები (პიტიახშები), რომლებიც მეფის შემდეგ ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფო მოხელეებს წარმოადგენდნენ.

მცხეთის წარწერების საფუძველზე გამორკვეულია, რომ ქართლის სახელმწიფოს სათავეში დგას შეფე, რომელიც ატარებს ტიტულს „მეფე დიდი"...: მეფესთან არსებობს ინსტიტუტები ერისთავებისა (პიტიახშისა); ეზოისმოძღვრისა. პიტიახშებს ყავთ მონები, მსახურნი და ხელქვეითები[149].

ქართლის მეფის პიტიახშების თავისებური მდგომარეობა სავსებით ადვილად შესაძლებელს ხდის გავიზიაროთ ს. ჯანაშიას და გ. წერეთლის მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით ქართლის მეფეების ამ მოხელეებს ქართულად ერისთავები ან ერისმთავრები უნდა რქმეოდათ. ოფიციალური დოკუმენტების ენაზე კი ამ ერისთავებს — ქართველთათვის, რომაელთა და სპარსელთათვის გასაგები — „პ ი ტ ი ა ხ შ ი" ეწოდებოდა[150].

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე პიტიახშობის ისტორია ქართლის სამეფოში ორ საფეხურად უნდა იყოს განხილული. სხვაგვარად, ქართლის პიტიახშატის წარმოშობასა და განვითარებაში ორი საფეხური უნდა გავარჩიოთ. ესენია: პირველი — უძველესი პიტიახშები ქართლისა ანუ ქართლის მეფის ერისთავები. ამ დროს ქართლის მეფეს არა ერთი პიტიახში შეიძლება ყავდეს. ეს ხდება ძვ. წ. IV—III საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე.

ამასთანავე, ერისთავის (პიტიახშის) ხელი მემკვიდრეობითი გამხდარა და მამიდან შვილზე გადადის (შარაგას ერისთავი ძეა ჯავახ ერისთავისა: ჯავახ ერისთავი — ასპარუგისა; ასევე მემკვიდრეობითი ხასიათი აქვს მიღებული ეზოასმოძღვრის თანამდებობას (აგრიპა ფარსმან მეფის ეზოასმოძღვარია, ხოლო აგრიპას ძე იოდმანგანი ქსეფარნუგის ეზოასმოძღვარი გამხდარა). თუ ახლა იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „მეფე მითრიდატე, მეფე დიდი" არის „ძე ფარსმან მეფისა დიდისა", ხოლო ბილინგვის ფარსმან მეფის ძეა იბერთა დიდი მეფე ქსეფარნუგი, მაშინ ცხადი გახდება მაღალი დონე ქართლის სამეფოს პოლიტიკური განვითარებისა. ირკვევა, რომ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები გარკვეული დინასტიის ხელშია ჯერ ღრმად ფესვგამდგარი მემკვიდრეობითი ხასიათი აქვს. ამ თვალსაზრისით ისიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რომ პოლიტიკური იერარქიის უფრო ქვედა საფეხურზე მდგომი მოხელეები ცდილობენ ნათესაური კავშირები გააბან ერთმანეთთან. სხვას არაფერს ნიშნავს ბილინგვის მიხედვით გარკვეული ვითარება, როდესაც ფარსმანის ეზოასმოძღვრის ძემ იოდმანგანმა ცოლად შეირთო ფარსმანის ერისთავის (პიტიახშის) ასული

---

* დაუსაბუთებელია ო. სევასტიანოვას მიერ 1950 წელს გამოქვეყნებული განმარტება ამიანეს „რომის ისტორიის" წინასიტყვაობის მე-7 პარაგრაფისა, სადაც ამიანეს ნათქვამი აქვს შემდეგი: «Вообще же, владея лучшей частью земли и моря, они по мудрому решению предпочитали сохранять уже приобретенное, чем распространять свою власть до бесконечности на варварские бедные народы, которые не могли бы принести им никакой выгоды, из которых некоторых я видел в Риме, прибывавших в качестве послов и отдававших себя в подданство, причём император не принимал их, так как видел, что ни в чём ему они не будут полезны» (გვ. 266).

ო. ს ე ვ ა ს ტ ი ა ნ ო ვ ა ფიქრობს, რომ ამ ამონაწერში „კავკასიის სამეფოები და, კერძოდ, იბერები იგულისხმება". ავტორს კლასიკური მწერლების ცნობები რომ გაეთვალისწინებია (მაგ., დიონი), შეუძლებელია ამიანეს ამ ცნობაში იბერები ეგულისხმნა და ასეთი განმარტება დაერთვა მითითებული ადგილისათვის: «Вероятно, имеется ввиду, в частности, прибытие в Рим царя кавказских иберов Фарсмана получившего из императорских рук свою корону с некоторым территориальным приращением» (ВДИ, № 2, М., 1950, გვ. 266).

[149] შდრ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 46.

[150] ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ქართული „ერისთავი" უცხო ენაზე ცნობილი ტერმინით (პიტიახში) გადაეთარგმნათ. ყოველ შემთხვევაში არა ჩანს საკმაო საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ე რ ი ს თ ა ვ ი თარგმანია პიტიახშისა.

სერაფიტი. ამ ნაბიჯმა ნათესაური კავშირი გაიბა ჯავახ მცირისა და აგრიპას თაობიდან მაინც.

მეორე საფეხური პიტიახშატისა III—IV საუკუნიდან იწყება და მკაფიოდ ჩანს V საუკუნეში, როდესაც ქართლში ვარაუდობენ სპარსეთის მეფის წარმომადგენელ პიტიახშს, უკვე სავასალო ქვეყანაში. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს სპარსეთის წარმომადგენლის — პიტიახშის გვერდით, ჯერ კიდევ არსებობენ ქართლის მეფის პიტიახშები, რომლებისგან განსხვავებით სპარსელთა მიერ დანიშნულ პირს სრულიად ქართლისა პიტიახშის ან „პიტიახში ქართლისაჲს“ ტიტულით ვიცნობთ. ამ დროიდან მაინც სულ უფრო და უფრო მტკიცდება ერისთავის ან ერისმთავრის წოდება ქართლის მეფის პიტიახშისათვის და ჩნდებიან „ნათესავით პიტიახშნი“.

როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავდა, ამ მხრივ დამახასიათებელი უნდა იყოს ისიც, რომ ახალი პიტიახშის საჯდომი უკვე თბილისია და არა მცხეთა. როგორც ჩანს, სპარსეთის წარმომადგენელ პიტიახშს ამითაც ანსხვავებდნენ ქართლის მეფის ერთ-ერთი პიტიახშისაგან, რომელიც მართალია, სამეფო კარიდან მოშორებით, მაგრამ მაინც დედაქალაქში იჯდა, ისევე, როგორც მეფე ქართლისა.

ამრიგად, არმაზისხევის წარწერებმა მოგვცა საფუძველი ერისთავთა (პიტიახშთა) ინსტიტუტის საესებით ახლებური განმარტებისათვის და გამოარკვია, რომ ეს პოლიტიკური ინსტიტუტი სპარსული, საერთოდ უცხოური, წარმოშობის სახელმწიფო ინსტიტუტი არ არის. იგი წარმოშობით ადგილობრივია და ქართული ერისთავის ან ერისმთავრის ინსტიტუტიდან უნდა იყოს განვითარებული. რაც შეეხება ისტორიას ამ ინსტიტუტისას, ირკვევა, რომ ქართლში პიტიახშობა ყოველ შემთხვევაში ძვ წ. IV—III საუკუნიდან მაინც არსებულ.

პროფ. გ. წერეთელმა „უფალი“ მიიჩნია ტექნიკურ ტერმინად, რომელიც გარკვეული სოციალური ან პოლიტიკური ინსტიტუტის აღსანიშნავად იხმარებოდა იმ დროს. ამ საფუძველზე გ. წერეთელმა შესაძლებლად ჩათვალა I—II საუკუნეებზე გაევრცელებინა ივ. ჯავახიშვილის მიერ V საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების დასახასიათებლად ნათქვამი სიტყვები: „თუ დიდნი აზნაურნი უფალნი იყვნენ, მაშ მათ ჰყავდათ თავიანთი მონები, თავიანთი მსახურნი, თავიანთი აზნაურები, ამალა. ყველაფერი ეს ახალი საბუთია დებულებისათვის, რომელიც ჩვენი წარწერების აღმოჩენამდის დიდი ხნით ადრე იყო წარმოდგენილი, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში საქართველოში არსებობა კლასობრივი სოციალ-პოლიტიკური ინსტიტუტები“[151]. ასეთი დებულება, როგორც ცნობილია, მცხეთის წარწერათა აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე წამოაყენა აკად. ს. ჯანაშიამ. გათხრებმა და განსაკუთრებით აქ განხილულმა წარწერებმა გამოარკვიეს, რომ მითითებული სახელმწიფო ინსტიტუტები უკვე პირველ საუკუნეებში დიდად განვითარებული იყო. ეს გარემოება ზემოხსენებულ ინსტიტუტთა წარმოშობის ძველი ტრადიციის მაჩვენებელია და მათი წარმოშობის ძირები ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეზე დიდად ადრეა საძიებელი.

მცხეთაში აღმოჩენილი წარწერების მნიშვნელობის დახასიათებისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენ საუფალება მოგვეცა ქართლის სახელმწიფო მოღვაწეთა სია ახალი მასალებით შეგვევსო. ცნობილნი არ იყვნენ ჩვენთვის მეფე ქსეფარნუგი, ფლავიოს დადი, პიტიახშები— შარაგასი, აგრიპა, ჯავახი, ბერსუმა. ასპარუგი. ცნობილნი გახდნენ აგრეთვე სამეფო კარის ახლო მოხელეები: ეზოგსმოძღუარი იოდმანგანი, ჯავახის ასული სერაფიტა, ფარსმან მეფის მეუღლე იამასასპოი; ქალაქის მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქოლი; ქვისმჭრელი პლატონი და სხვ. ფარსმან მეფისა და მითრიდატეს მეფობის შესახებ ჩვენ ხელთარსებული მასალები კიდევ უფრო გამდიდრდა. საყურადღებოა, რომ ქართლის მეფეები ფარსმანი, მითრიდატე და ქსეფარნუგი ატარებენ ტიტულს „დიდი მეფე — მეფე დიდი“.

როგორც გ. წერეთლის ნაშრომებიდან ირკვევა, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მითრიდატე მეფის პიტიახშის შარაგასის წარწერა, რომელიც ავტორს, მართალია, მთლიანად ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია, მაგრამ უკვე თარგმნილი და გამოქვეყნებული ნაწილი წარწერისა ცხადსა ხდის, რომ წარწერა მოგვითხრობს მღელვარების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა I საუკუნის იბერიაში[152].

მცხეთის დედაქალაქობის ხანის წარწერაია მიმოხილვა რომ უფრო სრული იყოს და ამ წარ-

[151] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 44.

[152] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, იქვე, გვ. 52—53.

წერების მნიშვნელობაც მეტად დახასიათებული, საჭიროა 1867 წელს აღმოჩენილ წარწერაზე კვლავ შევჩერდეთ. წარწერის მიმოხილვისას ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ა. ბართოლომეიმ თითქმის ვრცლად დაახასიათა მისი ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ ახლა ამ წარწერის მიხედვით, ჩვენის აზრით, დაზუსტდა ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი და გაირკვა, რომ ეს საზღვარი ახლანდელი ზემოავჭალის ახალი ხიდის მიდამოებში გადიოდა: ე. ი. ამ გზითაც დადასტურდა ქართულ საისტორიო წყაროთა მითითებანი, რომლის თანახმად ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი ნაჭულბაქევამდე აღწევდა. ამ დასკვნის მნიშვნელობა უფრო ცხადი გახდება თუ შევიხსენებთ, რომ არაერთხელ იყო გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით მდ. მტკვარი მცხეთასთან წარმოადგენდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის, ე. ი. მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე არსებულ, თითქოს სხვადასხვა, სახელმწიფოთა საზღვარს ახ. წ. აღრიცხვის IV საუკუნემდე და, მაშასადამე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარე თითქოს იბერიის ტერიტორიას არ წარმოადგენდა.

ყველაფერი ის, რაც ჩვენ აქ აღვნიშნეთ, ამომწურავი სრულიადაც არ არის, მაგრამ ზემოთ აღნიშნულიც ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ქართლის (იბერიის) დედაქალაქის მცხეთის ისტორიისათვის წინაფეოდალურ ხანაში.

მეოთხე თავი

ქალაქის გარეგნული სახე, მისი უმთავრესი ნაწილები და უბნები

ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები საყურადღებო ცნობებს შეიცავენ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების გარეგნული სახის წარმოსაღგენადაც. პირველ რიგში ეს ითქმის მცხეთის, მისი უმთავრესი ნაწილებისა და უბნების შესახებ. ჩვენ ზემოთ მივაქციეთ ყურადღება იმას, რომ ეროვნული საისტორიო წყაროები არჩევენ ძველი დედაქალაქის ორ უმთავრეს ნაწილს: არმაზით კერძ ქალაქს და მუხნარით კერძ ქალაქს. ისიც აღინიშნა, რომ ადრე ელინისტური ხანის ქართლის ქალაქებს უნდა ჰქონოდათ „უბანნი მისნი". ასევე გარკვეული მითითებებია დაცული უცხოელი ავტორების თხზულებებში: სტრაბონი საქალაქო ხუროთმოძღვრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის და ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის ორ უმნიშვნელოვანეს ნაწილს — არმაზციხესა და სისამორას ასახელებს, როგორც კლდეზე გამაგრებულ ქალაქებს; დ ი ო ნ ი დედაქალაქის შიდაციხეს — აკროპოლისს იცნობს და ა. შ. უკვე ამ ცნობებით ისახება კონტურები „დიდისა ქალაქისა მცხეთისანი". ქალაქის უმთავრესი ნაწილებია: არმაზით კერძი ქალაქი და მუხნარით კერძი ქალაქი; თითოეული მათგანი თავის მხრივ უბნებად ჩანს დაყოფილი. ასეთია ზოგადი გარეგნული სახე ანტიკური ხანის ქართლის დედაქალაქისა. ანტიკური ხანის ქართლის ქალაქის გარეგნული სახის წარმოსადგენად გამოყენებული ტერმინებიც ძველია; ისინი უძველესი ქართული საისტორიო წყაროებიდან მომდინარეობენ, თუმცა ზოგი მათგანი შესაძლოა უფრო ადრინდელ უცხოურ წყაროებიდანაც იყოს შემოსული. ჩვენის აზრით, ეს პირველ რიგში შეეხება ტერმინებს „ქ ა ლ ა ქ ი" და „უ ბ ა ნ ი".

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ტერმინი „ქალაქი" სირიული წარმოშობისა ჩანს და ქართულში სომხური ენის მეშვეობით უნდა იყოს შემოსული[1].

თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში ივ ჯავახიშვილი კვლავ დაუბრუნდა ამ ტერმინის ეტიმოლოგიის საკითხს და აღნიშნა, რომ „ქალაქის ეტიმოლოგია გარკვეული არ არის. თავის დროზე აკადემიკოსმა ნ. მარმა წამოაყენა დებულება, რომ ეს ასურულ ქ ა რ ქ ა-სთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებულიო, რომელიც ერთგვარად მოზღუდვილობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. შემდეგში ეს თავისი ეტიმოლოგია მანვე თვითონ უარყო და იმ დებულებას იცავდა, რომ ეს სიტყვა ნასესხები არ უნდა იყოსო. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელდება, რადგან ეტიმოლოგია არც პირველსა და არც მეორე შემთხვევაში მაინცადამაინც ისეთი დამაჯერებელი არ არის, რომ დანამდვილებით რისამე თქმა შეიძლებოდეს. არც ასურულში მოეპოვება მას თავისი ეტიმოლოგია და ჯერჯერობით არც ქართულში უჩანს სრულებით დამაჯერებელი ეტიმოლოგია"[2]. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ამ ტერ-

[1] И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении; Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VIII, Спб., 1905, გვ. 41.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 32—33.

მინის რეალური მნიშვნელობა მაინც ირკვევა და ჩანს, რომ ქალაქის ნაგებობათა გარეგნულ თავისებურებას მოზღუდვილობა წარმოადგენდა[3].

პროფ. შ. მესხიას მიხედვით ტერმინი „ქალაქი“ ძველ ქართულში თავდაპირველად გამაგრებულ დასახლებას აღნიშნავდა და შეესაბამებოდა ბერძნულ „Ἀκρόπολις“-ს, ეტრუსკულ, ლათინურ და გალურ „oppida“-ს, გერმანულ „Burg“-ს და სლავურ „град“-ს[4].

პროფ. ს. ერემიანი თვლის, რომ იბერიის ქალაქის ცენტრალური ნაწილია საკუთრივ „ქალაქი“, რომელსაც ჰქონდა გალავანშემოვლებული („ზღუდიანი“) ციტადელი („ციხე“) და გარეუბანი („უბანი“)[5].

ამრიგად, ტერმინ „ქალაქი“-ს რეალურ მნიშვნელობაში თითქოს მკაფიოდ ჩანს გალავნით შემოზღუდულობა. ეს ისე დამახასიათებელი ჩანს ქართლის სამეფოსათვის, რომ ეროვნული საისტორიო წყაროები, ადრე ელინისტურ ხანიდან მაინც, ქართლის ქალაქებს „ციხე-ქალაქებს“ უწოდებენ. „ციხე-ქალაქი“ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის ადგილობრივ შექმნილი ტერმინია და ის მონათმფლობელური ხანის ქართლის ქალაქების თავისებურების ერთგვარი დამახასიათებელი ნიშანი ჩანს. ანალოგიური სურათი შეინიშნება მეზობელ სომხეთშიაც. მონათმფლობელური ხანის სომხური ქალაქი თავდაპირველად იყო „ბ ე რ დ“, ე. ი. ციტადელი, შემოზღუდული გალავანით. თავდაპირველი დანიშნულებით და წარმოშობითაც სომხური „ბერდ“ ქართულ „ციხეს“ — „ქართს“-„ქართლს“ შეესაბამება. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ არინ-ბერდის გორაზე ა რ გ ი შ თ ი I-მა ციხე-ქალაქი ირ(ე)ფ უ ნ ი ააგო. როგორც ჩანს, სწორედ არინ-ბერდი იქცა ერევნის საფუძვლად, ე. ი. ერევანიც გ ო რ ა ზე აღმართული უძველესი ციხის გარშემო წარმოქმნილი ქალაქი ჩანს.

ასეთს ვითარებაში, ტერმინ „ქალაქის“ უცხოურ წარმომავლობას თუ ვივარაუდებთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ის შედარებით გვიანდელია. „ქალაქზე“ უწინარესი ადგილობრივი ტერმინი გალავნით შემოზღუდული უძველესი დასახლების აღსანიშნავად ქართული „ციხე“, „ქართი“—„ქართლი“ უნდა ყოფილიყო. „ციხე“, „ქართი“—„ქართლი“ ადრევე უნდა ქცეულიყო მის გარშემო თავმოყრილი მოსახლეობის ციტადელად — შიდაციხედ, დედაციხედ. ტერმინი დედა-ციხე გვიჩვენებს, რომ ის განსაზღვრული ტიპის დასახლების საფუძველია, დედაა. მოსახლეობის შემდგომი ზრდა დედაციხის გარშემო ამ უკანასკნელს აქცევს შიდაციხედ. ხოლო როდესაც დედაციხის (შემდგომ საფეხურზე შიდაციხის) გარშემო წარმოქმნილი ქალაქის შემოზღუდვაც საჭირო ხდება და უკვე დიდ მოსახლეობას გალავანს შემოავლებენ, ამ ახალი ციხისაგან განსასხვავებლად შიდაციხეს ც ი ხ ი ს ც ი ხ ე ს ა ც უწოდებენ. ციხექალაქს ციხეცა (მთელი ქალაქის სიმაგრე) აქვს და შიდაციხეც (ციხისციხე). ამ გზით იქმნებოდა უძველესი ქალაქური ტიპის დასახლებანი საქართველოში. ძვ. წ. I ათასეულის შუა ხანებისათვის კი, ქართლის სამეფოს ახლო ურთიერთობას მახლობელი აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ქვეყნებთან, შესაძლოა უკავშირდებოდეს ქალაქური ტიპის მოსახლობის აღმნიშვნელი ტერმინის — „ქალაქის“ შემოსვლა. ტერმინ „ქალაქის“ შემოსვლამ, როგორც ჩანს, ვერ განდევნა ადგილობრივი ტერმინი „ციხე“; ალბათ იმიტომაც, რომ „ციხე“ და „ქალაქი“ არსებითად ერთგვარი დასახლების აღმნიშვნელი ტერმინები იყო იმ ხანებში (შდრ. მაგ., სახელი ქართლის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი სამეფო ქალაქისა — უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე; ავრეთვე, სახელი ერთ-ერთ უძველესი დასავლურ ქართული ქალაქისა — ქ უ ჯ ი ს ც ი ხ ე (ე. წ. ც ი ხ ე გ ო ჯ ი) და ა. შ. შესაძლოა სწორედ აქამენიდურ ან ადრეელინისტურ ხანაში ხდება ამ ტერმინების ერთგვარი შერწყმა და ვრცელდება ჩვენში ტერმინი „ ც ი ხ ე-ქ ა ლ ა ქ ი“, რომელიც მონათმფლობელური ხანის შემდეგშიაც, ფართოდ გავრცელებული ჩანს. რა თქმა უნდა, იმ ხანაში, როდესაც ტერმინი „ციხე-ქალაქი“ იქმნებოდა, ძველი ქართული „ციხის“ შინაარსიცა და გარეგნული სახე უკვე ძლიერ შეცვლილი —გაფართოებული უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად მისი ასე შეთვისება სავსებით განსაზღვრული ტიპის მოსახლობის აღმნიშვნელ ტერმინთან — „ქალაქთან“, წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო. ასევე უნდა აიხსნას სომხური ტერმინის „ბერდაქალაქ“-ის წარმოშობაც.

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 40.

[4] Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, вв. 24.

[5] С. Т. Е р е м я н, Развитие городов и городской жизни в древней Армении, ВДИ, 1953, № 3, вв. 17.

ციხე მიუხედავად შესამჩნევი განვითარებისა და გარდაქმნისა დიდხანს ინარჩუნებს მისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშანს; ქალაქი კი შემოზღუდული პუნქტის მნიშვნელობას უფრო ადრე კარგავს. ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი გაგება ქართული ტერმინის — ციხე —, დაცულია სტრაბონთანაც. მცხეთა — ქალაქის ორი უმნიშვნელოვანესი უბანი არმაზ-ციხე და წიწამური სტრაბონის მიხედვით გამაგრებული ქალაქებია (... Πόλεις ἐρυμνάς ...[8]) [6]. ე. ი. ციხე-ქალაქებია და არა მხოლოდ ციხეები, ამ უკანასკნელის გვიანდელი, აშკარად შეკეწროებული ზოგებით და არც ორი დამოუკიდებელი ქალაქი. ე. ი. დამახასიათებელია, რომ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქები ციხე-ქალაქები არიან; მათს ციტადელს — შემოზღუდულ ნაწილს ძველ ქართულში დედაციხე, შიდა ციხე ან ციხე ეწოდება; ხოლო თუ მთელი ქალაქიც შემოზღუდულია ან გამაგრებული, მის ციტადელს — შიდა-ციხე, დედა-ციხე, თავადი ციხე ან ციხის-ციხე.

ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო „უბანი". ამ ტერმინის წარმომავლობა ჯერჯერობით არ არის გამორკვეული. პროფ. გ. ღოფანციანი შესაძლებლად მიიჩნევდა ქართული „უბანი" დაეკავშირებინა ქვეყნის აღმნიშვნელ ურარტულ სიტყვასთან — ebani და სომხურთან —awan[7]. უფრო გვიან პროფ. ს. ერემიანიც თვლიდა, რომ «Армянский термин «аван» является буквальным соответствием грузинского «убани».[8] როგორც არ უნდა გადაწყდეს ამ ტერმინის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის საკითხი, ის მაინც აშკარაა, რომ ტერმინი „უბანი" უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება და ადრეელინისტურ ხანაშიაც გავრცელებული ჩანს.

წერილობითი წყაროები გვიჩვენებენ, რომ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქები მრავალუბნიანები ყოფილან. ამ მხრივ, ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ქალაქები თითქმის არ გამოირჩევიან ელინისტური ხანისა და ძველი აღმოსავლეთის ქალაქთაგან. მაგ. ძველი შუმერის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ქალაქის — ლაგაშის უძველესი უბანი გირსუ თავის დროზე დამოუკიდებელი ქალაქი იყო, მაგრამ მეორე ძველ მოსახლობასთან — ურუაზაგგთან შეერთების შემდეგ გირსუ და ურუაზაგგი იქცნენ ქალაქ ლაგაშის უბნებად (კვარტალებად)[9]. ქალაქის შემადგენელ ნაწილთა მსგავსებასთან ერთად, აქ საქმე გვაქვს სინოიკიზმის ადრინდელ, მაგრამ ქართულთან მსგავს შემთხვევასთან. სხვებზე უფრო მკაფიოდ მრავალუბნიანობა მცხეთას ახასიათებდა. მცხეთის უბანთა შორის უმნიშვნელოვანესი ჩანან: შიდა-ციხე, ქართლი, საერისთავო, მუხათგვერდ-ნაქულბაქევი — არმაზის კერძ ქალაქში; ამას გარდა, დიდი მცხეთის მნიშვნელოვანი ნაწილებია: გარეუბანი, აგარები, სასოფლო რაიონი, ძველი დედაქალაქის გარშემო და თვით მცხეთა, წიწამური, სარკინე და სხვ. მუხნარით კერძ ქალაქში.

არც წერილობითი წყაროები გვაქვს მცხეთის ყველა უბნის დასახასიათებლად და არც საკმაო არქეოლოგიური მასალებია მოპოვებული, მაგრამ მცხეთაში, ბაგინეთზე, არმაზისხევთან, წიწამურში, სარკინეთში და დიდი მცხეთის ზოგ სხვა უბანზე ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევები, საფუძველს ქმნიან გარკვეული წარმოდგენა შევიმუშაოთ ქალაქის გარეგნული სახის, მისი ნაწილებისა და უმთავრესი უბნების შესახებაც.

არმაზით კერძი ქალაქი — ძველი დედაქალაქის ეს ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. როგორც ვნახეთ, ამ ნაწილის უმთავრესი უბნები უნდა ყოფილიყვნენ: შიდა-ციხის უბანი (ქართლის უბანი), მუხათგვერდ-ნაქულბაქევი და საერისთავო უბანი.

არქეოლოგიური გამოკვლევები მეტ-ნაკლები მასშტაბით არმაზით კერძი ქალაქის თითქმის ყველა უბანს შეეხო, მაგრამ სხვაზე უფრო — შიდა-ციხისა და საერისთავო უბნებს. ამ ორ უბანზე გათხრითი სამუშაოების დროს მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი მასალაა მოპოვებული, სხვაგან კი — საძიებო სამუშაოთა შედეგად მიღებული სურათით უნდა დავკმაყოფილდეთ.

---

[8] სტრაბონი, გეოგრაფია, XI, III, § 5.

[7] Гр. Капамцян, Историко-лингвистические работы, Ер., 1957, გვ. 215.

[8] С. Т. Еремян, Развитие городов в древней Армении, ВДИ, 1953, № 3, გვ. 17.

[9] Б. А. Тураев, История древнего Востока, 1. Л., 1935, გვ. 120; Г. А. Меликишвили, Мусасир и вопрос о древнейшем очаге урартских племен, ВДИ, 1948, № 2, გვ. 39.

შიდა-ციხე—არმაზციხის უბანი

არმაზით კერძი ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის ა რ მ ა ს ციხის ან არმაზციხის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული „მეფეთა ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ავტორებთან.

ლეონტი მროველის მიხედვით „ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვ მტკვარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი... მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი. და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე“[10]. შემდეგ მროველი მოგვითხრობს ქართლოსის ძის მცხეთოსის მოღვაწეობის შესახებ: „ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ისე დარჩა საყოველთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა, და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა, და დაიპყრა ქუეყანა ტფილისიდგან და არაგვთგან დასავლით ვიდრე ზღუადმდე“[11]. ამ ცნობების მიხედვით გამოდის, რომ ციხე-ქალაქი არმაზი უფრო ადრე ყოფილა დაარსებული, ვიდრე მცხეთა ქალაქი. ამასთანავე, მროველი გარკვევით მიუთითებს, რომ არმაზისაგან განსხვავებით მცხეთა არის „შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა“. ამ თვალსაზრისით, აგრეთვე, მნიშვნელოვანია მშენებლობის ხელოვნების საკითხების განხილვისას მოტანილი ცნობები, რომლებიც ა რ დ ა მ ი ს სამშენებლო მოღვაწეობის დახასიათებას შეიცავენ. იქ სახელდობრ, ნათქვამია, რომ ა რ დ ა მ მ ა „მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვთკირითა... ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არაძაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდა ცხვრი არმაზისი ვიდრე მტკურამდე“.

სხვაგვარად აქვს დახასიათებული მროველს ა ზ ო ს მოღვაწეობა. როგორც ჩანს, ა ზ ო მთავარ შესასვლელებს აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას და ქალაქის მთლიანი ზღუდით გამაგრებისათვის მას არც უზრუნვია; ამას, ცხადია, ზღუდეების მოშლა უნდა მოყოლოდა შედეგად. ამის ანარეკლი უნდა იყოს მროველის ცნობის ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია, რომ აზომ ზღუდეები მოარღვიაო.

ამასთანავე, მოსალოდნელია, რომ ამ ცნობაში მცხეთის გაფართოებაც იგულისხმებოდეს; სახელდობრ — ძველი მცხეთის ზღუდის მოშლა და ახალი, გაფართოებული ქალაქის მთავარ შემოსასვლელთა გამაგრება. ამ დროს უნდა იყოს მოხსაზული ე. წ. „დ ი დ ი მ ც ხ ე თ ა“, რომლის გალავნით შემოზღუდვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, და ამის საჭიროებაც არ ჩანდა. ასეთ დიდსა და ბუნებრივი სიმაგრეებით აღჭურვილ ქალაქს სჭიროდა მთავარი შესასვლელი კარების გამაგრება. ასე უნდა იყოს გაგებული მროველის შემდეგი ცნობა: „ხოლო ამან აზონ მოარღვენა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ, და დაუტეკნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი; და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხვრისასა; და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა; მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკურარსა ზედა. და ესენი მომტკიცნა, და განავსნა იგინი ლაშქრითა“[12]. ამ ისტორიკოსის მიხედვით ფარნაოზმა „აღმართა კერპი დიდი ცხვრსა ზედა და დარდვა სახელი მისი არმაზ და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და ჰქვიან არმაზ“. მდინარის ამ მხარეს მოღვაწეობდა „არიკ რომელმან შ ი დ ა-ც ი ხ ე აღაშენა არმაზსა“[13]. დედაქალაქი რომ მდინარის ორივე ნაპირზე ყოფილა გაშლილი, ამას, სხვათა შორის, შემდეგი ცნობაც ამტკიცებს: „ადერკი, მეფემან უმატა სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მოამტკიცა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი. წყლისა იმიერ და ამიერ“[14]. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ მხრივ მეორე ადგილი ლეონტი მროველის თხზულებიდან: „ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თჳსი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკურარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი

---

[10] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, 1955, გვ. 8; ეს „დ ე დ ა ც ი ხ ე“, უნდა ვიფიქროთ, შემდეგში გავრცელებულ „ც ი ხ ი ს-ც ი ხ ე ს“ — ე. ი. შიდაციხეს უდრის და ქალაქის ამ ნაწილის თავისებურებას მიუთითებს (შდრ. „რამეთუ მარადის დედაქალაქსა და ციხის-ციხესა და ვოდოლთა იმსტ-

[10] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, 1955, გვ. 9.

[12] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, 1955, გვ. 19.

[13] Описание, т. II,გვ. 709.

[14] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, 1955, გვ. 38.

ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა — ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თუსსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითვან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თუსსა[15].

ამ ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ თითქოს ორად გაუყვიათ „ყოველი ქართლი“ ე. ი. ქართლის სამეფო; გამყოფ ხაზს მდინარე მტკვარზე გაუვლია, რასაც შედეგად მოყოლია დედაქალაქის გაყოფაც ორ ნაწილად. ბარტომს მიუღია ქართლის სამეფოს ის ნაწილი, რომელიც ჰერეთიდან მტკვრის სათავემდეა გაშლილი, ამ მდინარის ჩრდილოეთით; ე. ი. დედაქალაქის ის ნაწილი, რომლის მშენებლობა მცხეთოსს მიეწერება „შესაკრებელსა შორის მტკუარისა და არაგვსათა“. ცნობაში კარგად არის მოხაზული ქართლის სამეფოს ქართამის წილხვდომილი; ესაა: მტკვრის მარჯვენა მხარე — „არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან, ვიდრე თავამდე მტკურისა, და კლარჯეთი...“. „არმაზით კერძი ქალაქი“ დედაქალაქის ის ნაწილი ჩანს, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ყოფილა გაშლილი. ადრე მოტანილი ცნობების თანასმად ეს დედაქალაქის უძველესი ნაწილი უნდა იყოს.

ამ ცნობებში ყურადღებას იპყრობს ქართლის ხსენება: „ადერკი უმატა სიმაგრეთა ქართლისათა“, „ყოველი ქართლი“, „მტკუარსა სამხრით ქართლი ყოველი“, „არა იყო ქართლსა შინა საქმე ქუთკირისა“ და სხვ. ირკვევა, რომ ქართველი ისტორიკოსი კარგად ანსხვავებდა ერთმანეთისაგან დედაქალაქის ყველაზე ძველი ნაწილის სახელს — „ქართლი“, სამეფოს საერთო სახელისაგან — „ქართლი ყოველი“ ან „ყოველი ქართლი“; ან სამეფოს ერთი ნაწილისაგან — მტკუარსა სამხრით ქართლი ყოველი“ — „ყოველი ქართლი მტკუარს ჩრდილოეთ“. საისტორიო გეოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესოა „ქართლის მოქცევის“ ის ადგილიც, სადაც ნათქვამია, რომ აზო „დაჯდა ძველ მცხეთას“[16]. აქ უნდა იგულისხმებოდეს უძველესი ნაწილი მცხეთისა ან ძველი დედაქალაქისა.

სამეფოს სახელად „ყოველი ქართლი“ „ქართლი ყოველი“, უფრო ადრინდელ ძეგლებშიაც გვხვდება: ასე მაგ., მეხუთე საუკუნის (476—486) ქართულ ძეგლში „მარტვილობაჲ შუშანიკისი“, ნათქვამია შუშანიკის შესახებ: „...განითქუა ყოველსა ქართლსა საქმეჲ მისი“[17].

ამრიგად, ქართულმა საისტორიო მწერლობამ ქართლის სამეფოს და მისი ძველი დედაქალაქის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შემდეგი სახელები შემოგვინახა[18]: „ქართლი“, „ძველი მცხეთა“, „ძველი ქალაქი“, „არმაზი“, „ქართლი ყოველი“, „მტკუარსა სამხრით ქართლი ყოველი“ და ა. შ.

„ქართლი“ — დედაქალაქის უძველესი სახელი ჩანს. მის ნაწილებს შეადგენენ ამ შემთხვევაში: „პირველ მცხეთა“, „ძველი მცხეთა“, „ძველი ქალაქი“, „არმაზი“, „არმაზის ციხე“, „არმაზით კერძი ქალაქი“ და „მუხნარით კერძი ქალაქი“.

ჩვენი მიზნისათვის ახლა არსებითი მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ ეროვნული საისტორიო წყაროს ცნობით დედაქალაქი მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე გაშლილი ქალაქია. მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა დედაქალაქის სამხრეთ ნაწილი ანუ „არმაზით კერძი ქალაქი“, ხოლო მარცხენა ნაპირზე — დედაქალაქის ჩრდილოეთი ნაწილია ანუ „მუხნარით კერძი ქალაქი“. უკვე ეს მითითება უნდა გამოდგეს დედაქალაქის სიდიდის მაჩვენებლად, მაგრამ ჩვენ საამისოდ უფრო პირდაპირი ცნობებიცა გვაქვს. ასეთია, მაგ., ერთი ეპიზოდი წმ. ნინოს ცხოვრებიდან, როდესაც წმ. ნანომ თავის კითხვაზე „რომლისა სოფლისანი ხართ?“ თაფარავნელ მწყემსებისაგან შემდეგი პასუხი მიიღო — „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი...“[19]. ამასთანავე, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა დროინდელ ვითარების ამსახველ ერთ-ერთ ცნობაში ნაჟვამია, თითქოს ალექსანდრემ „პოვნა... ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა...“[20]. ამ თვალსაზრისით

[15] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 43.

[16] Е. С. Такайшвили, Описание рукописей, т. II, вв. 709.

[17] იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, გამოცემული ილ. აბულაძის მიერ. თბ., 1938, გვ. 33.

[18] შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 285.

[19] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 85—86.

[20] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 17.

მნიშვნელოვანია ცნობა იმის შესახებ, რომ აზომ „დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგომდეს პირსა ქართლისასა“[21]. ქ ა რ თ ლ ი აქ ქალაქის სახელი ჩანს. ქალაქი დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი და მას ოთხი ციხით ამაგრებენ. თუ ამ ციხეთა სავარაუდო განლაგებას გავითვალისწინებთ, მაშინ არ გაძნელდება წარმოვიდგინოთ სანამდე აღწევდა პირი ქალაქ ქართლისა. მოსე ჯანაშვილიც მიუთითებდა, რომ „ქართლი, აშენებული ქართლოსისაგან, მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არაგვის შესართავთან“[22].

ამრიგად, ქართული საისტორიო წყაროები მიუთითებენ, რომ ძველი დედაქალაქი მრავალტბნიანი იყო და თანაც გაშლილი მდ. მტკვრისა და არაგვის ორივე ნაპირზე, შესამჩნევად დიდ მაწაწყალზე.

როგორც ცნობილია, ქართლის (იბერიის) მოკლე დახასიათებას და აღწერას ვეცნობით სტრაბონის გეოგრაფიაში.

სტრაბონი აღწერს ჩრდილოეთიდან იბერიისაკენ მიმავალ გზას, რომელსაც, როგორც ჩანს, იბერიის სატახტო ქალაქამდე 7 დღის მგზავრობა უნდა; ამათგან სამი დღე თერგის ხეობის ძნელ აღმართს უნდება და ოთხი — არაგვის ვიწრო ხეობას, რომლის ბოლოს მიუდგომელი კედელი იცავს[23]. ახლანდელი ბებრის ციხის ნანგრევები უნდა იყოს ნაწილი იმ მიუდგომელი სიმაგრისა, რომელიც სტრაბონს აქვს ამ ადგილას დასახელებული. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ძვ. წ. III—II საუკუნეებში ქართლის ძველი დედაქალაქის ა რ ა გ ვ ი ს კ ა რ ი მიუდგომელი კედლით ყოფილა გამაგრებული. ეს ცნობა, ჩვენი აზრით, კარგად ეხმაურება ქართულ წყაროთა მითითებას მცხეთის მისასვლელებში ოთხი ციხის არსებობის შესახებ, რომელთაგანაც ერთ-ერთს სწორედ არაგვის ხეობის დასასრული უნდა ჩაეკეტა.

არაგვის ხეობიდან იბერიის დედაქალაქისაკენ მიმავალი გზის დახასიათების შემდეგ სტრაბონს აღნიშნული აქვს: „ხოლო არმენიიდან (შემოსასვლელი) არის მტკვრის ვიწროებზე და არაგვისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერწყმიან (ეს მდინარეები) ამ ადგილას კლდეებზე მდებარეობენ გამაგრებული ქალაქები, რომლებიც დაცილებულნი არიან ერთმანეთს დაახლოებით 16 სტადიონით, მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე (არაგვზე) სისამორა.

ამ შემოსასვლელებით პირველად ისარგებლა პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო მის შემდგომ კანიდიოსმა“[24].

ამრიგად. „ჰარმოზიკა“ — არმაზის ციხე — მტკვართან და კლდეზე გაშენებულ პუნქტად არის ცნობილი, ხოლო „სისამორა“ — წიწამური — არაგვის ხეობის ჩამკეტ სისტემაში ექცევა და, ასევე, კლდეზეა გაშენებული.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის მწერლის — პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს ი ს „გ ე ო გ რ ა ფ ი ა ში“ იბერიის ქალაქთა შორის დასახელებულია ჰ ა რ მ ო ზ ი კ ა და მ ე ს ტ ლ ე თ ა. პტოლემაიოსის რუკაზე ჰარმოზიკა მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზეა დატანილი[25].

ყველაზე ვრცელი ცნობებია ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დიონ კასიოს კოკეიანის „რომის ისტორიაში“. ამ ნაშრომიდან ვგებულობთ, რომ ალბანელებთან დაზავების შემდეგ, წინააღმდეგ თავისი სურვილებისა, პომპეუსი იძულებული იყო ომი გადაედო ზამთრის დადგომის გამო.

შემდეგ წელს, დ ი ო ნ ი ს ცნობით, პომპეუსს უომნია როგორც ალბანელებთან, ისე იბერებთან. იბერებთან მას უფრო ადრე გაუმართავს ომი და თანაც სრულიად მოულოდნელად. ამასთან დაკავშირებით დიონი წერს შემდეგს: „იბერები ცხოვრობენ კიროსის (მტკვრის) ორივე მხარეზე ისინი ემეზობლებიან, ერთის მხრივ, ალბანელებს, მეორეს მხრივ, არმენიელებს. იბერთა მეფემ არტოკეპ პომპეუსს ელჩები გაუგზავნა, თითქოს მეგობრობის დასამყარებლად, ხოლო იმავე დროს ემზადებოდა მასზე მოულოდნელად თავდასასხმელად. პომპეუსმა ეს შეიტყო და თითონ დაესხა თავს მოულოდნელად. მივიდა ქალაქამდე, რომელსაც ა კ რ ო პ ო ლ ი ს ი ე წ ო დ ე ბ ა, უფრო ადრე, ვიდრე არტოკე ამის შესახებ რასმე შეიტყობდა. აკროპოლისი ვიწროებში იყო, ერთ მხარეს კავკასიონი იყო გადაკეტილი. აქვე იყო ის საგუშაგოთი გამაგრებული. იბერთა მეფეს არა ჰქონდა საკმაო დრო მომზადებულიყო და ამიტომ უკან დახევა ირჩია. გადავიდა მდინარე კიროსზე და დასწვა ხიდი; იბერთა მეცხოვნე ჯარი ბრძოლაში ძლეულ

[21] ი ქ ვ ე, გვ. 19.

[22] ვ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მოკლე ისტორია, თბ., 1884, გვ. 10—11.

[23] ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, XI, III, 5, თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1957.

[24] ს ტ რ ა ბ ო ნ ი, იქვე, XI, III, 5.

[25] В. В. Л а т ы ш е в, Scythica et Caucasica, I, შდრ. რუკა; შდრ. აგრეთვე, ВДИ, 1948, № 2, გვ. 252.

იქნა, თანაც მათ გაქცეული მეფე რომ დაინახეს, დანებდნენ პომპეუსს. პომპეუსმა დაიკავა გასასვლელები, იქ მცველები დააყენა და თითონ წავიდა და დაიპყრო მდინარის მთელი აქეთა მხარე"[26].

მოტანილი ამონაწერიდან ირკვევა, რომ იბერები მდ. მტკვრის ორივე მხარეზე ცხოვრობდნენ; პომპეუსი შემოიჭრა დედაქალაქში იბერთა მეფის არტოკის სათანადოდ მომზადებამდე და ვიდრე იბერთა მეფე უკიდურესად ძნელ გასასვლელს დაიკავებდა; პომპეუსმა მოასწრო საკუთრივ ქალაქამდე მისვლა; ამ ქალაქს აკროპოლისს ეძახდნენ; ეს ქალაქი ხეობასთან მდებარეობდა; მის ერთ მხარეზე კავკასიონის ქედია; ქალაქი ამ ადგილას გამაგრებული ყოფილა; სიმაგრეებში იბერთა მეფის გარნიზონი მდგარა; მას შემდეგ, რაც არტოკი მტკვრის მეორე ნაპირზე გავიდა და ხიდი დასწვა, პომპეუსმა გასასვლელებსა და სიმაგრეებში თავისი მცველები ჩააყენა. აქ გამაგრების შემდეგ რომაელი სარდალი დაიძრა და დაიპყრო მდინარის მთელი მარჯვენა მხარე.

პლინიუსი იბერიის მთავარ ქალაქთა შორის ასახელებს ჰერმასტუს, რომელიც მდინარესთან ახლო არის. იმავე წიგნის მეოცდაათე თავში მითითებული კარები[27], როგორც პლინიუსის თხრობიდან ჩანს, არაგვის ხეობის ჩამკეტია და სტრაბონის სისამორასა და ბებრისციხე-ახალციხის ხევის ხაზზე უნდა იყოს. ეს ადგილი სწორედ არმაზის ციხის პირდაპირ გამოდის და ეთანხმება პლინიუსის პირველ ცნობას იმის შესახებ, რომ არმასტიკა მდინარესთან (მტკვართან) მდებარეობდა.

ასეთია უცხოური წყაროების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის გამოყენებას არმაზის ციხის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელობა აქვს.

ეს ცნობები, რა თქმა უნდა, თითქმის ყველა ისტორიკოსს ჰქონდა ხელთ, როდესაც არმაზის ციხის საკითხი ირკვეოდა, მაგრამ წყაროების თავისებურ ანალიზს მეტწილად ერთმანეთისაგან განსხვავებულ დასკვნებამდე მიჰყავდა მკვლევრები.

იმ ავტორთა შორის, რომლებიც არმაზის ციხის ადგილმდებარეობას იკვლევდნენ და ამ საკითხს საგანგებო ნაშრომები უძღვნეს, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ პროფესორები: ლეონ მელიქსეთ-ბეგი და სარგის კაკაბაძე.

ლეონ მელიქსეთ ბეგი 1921 წელს მცხეთა ქალაქის დაარსების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით წერდა: „თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თვით „ქართლის მოქცევის" ცნობებით საწარმართო დროის მთელი რიგი ქართველი „მეფეები", როგორც მაგ., ფარნავაზ, საურმაგ, მირიან, არსოკ საერთოდ ცდილობდნენ მხოლოდ და მხოლოდ არმაზის დასამაგრებლად და დასამშვენებლად, მცხეთის არსებობა კი მათ ფიქრად არ მოსდით, უეჭველად ის დასკვნა უნდა მივიღოთ, რომ შეუძლებელია მცხეთა „ქალაქი" არსებულიყო არამც თუ „პირველ საუკუნეზე (ქრ. წინ) გაცილებით უფრო ადრე", როგორც ფიქრობს ბ. ივ. ჯავახიშვილი, არამედ ქრისტეს შემდეგ ერთი საუკუნის განმავლობაშიაც და ასეთი დანასკვი აუცილებელი უნდა იყოს ჩვენთვის მით უმეტეს, თუ ჩვენ უპირატესობას მივცემთ ქრისტეს თანამედროვე და ყოველ შემთხვევაში პირველი საუკუნეების კლასიკურ მწერლების ცნობებს წინაშე მე-9—11 საუკუნეთა ქართულ წყაროების ზღაპრულ ნაამბობთა"[28].

მცხეთის დაარსების შესახებ ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული მოსაზრება უარყო პროფ. სარგის კაკაბაძემაც, იმ მოტივით, რომ „მცხეთა, როგორც იბერიის სატახტო ქალაქი, არა აქვს მოხსენებული სტრაბონსაც კი და როგორც ასეთი არ იხსენება კარგა ხანს მის შემდეგაც[29]. ამის შემდეგ ს. კაკაბაძე აქვეყნებს ამონაწერს ლ. მელიქსეთ-ბეგის ზემოთ მითითებული წერილიდან და ასკვნის: „თავისთავად იგულისხმება, რომ რეალურად კლასიკურ მწერალთა ცნობებზე დამყარებით სხვანაირი დასკვნის გამოტანა შეუძლებელიაო"[30] „რასაკვირველია — წერდა ს. კაკაბაძე — ამ შემთხვევაში პირველ წყაროდ მატიანე ვერ გამოდგება თუნდაც იმიტომ, რომ კ. პატკანოვის შემდეგ ჩვენი მატიანეს უძველეს ნაწილს, როგორც საისტორიო წყაროს, სახელი გატეხილი აქვს და ბოლოს

[26] იქვე, ВДИ, № 2, 1948, გვ. 270.

[27] იქვე, ВДИ, № 2, 1939, გვ. 297, VI, 26.

[28] ლ. მელიქსეთ-ბეგი, მცხეთა ქალაქის დაარსების გამო. ჟურნ. „მომავალი", № 2, თბ., 1921.

[29] ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 3.

[30] იქვე, გვ. 4.

დრომდის ის ითვლება მე-11 საუკუნის ნაწარმოებად. საჭიროა, მაშასადამე, ამ მიზნით გამოყენებული იქნნას კლასიკურ მწერალთა ცნობები[31].

თავის ნაშრომში „არმაზნი" ლ. მელიქსეთ-ბეგი აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ ნამდვილად სად მდებარეობდა ისტორიული არმაზციხე და ზუსტად როგორ უნდა განისაზღვროს მისი ადგილსამყოფელი.

ავტორი მიუთითებს, რომ ლიტერატურასა და საზოგადოებაში დამახინჯებული წარმოდგენაა იმაზე, რომ თითქოს არმაზციხე იყოს ის ციხე, რომლის ნანგრევები არმაზის ხევის ვიწროებში შემოინახა დღემდე. ასეთი მცდარი წარმოდგენის მიზეზი ისევ ეროვნული საისტორიო წყაროები ყოფილა. აი რას წერს ავტორი: «Для возникновения подобного представления имеются, конечно, определенные предпосылки, которые, главным образом, основываются на древнем Житии св. Нины. Именно. После того, как были сокрушены идолы с Армазской горы, следствием чего было якобы появление страшной грозы, Житие это устами самой Нины говорит следующее: «Когда минула гроза, я вышла из расселины скалы... и направилась к оконечности той скалы, где прежде был старый город; на том самом месте прежде была также крепость...»[32].

ავტორი მართლაც ამ ცნობაში აღნიშნულ ყველა დეტალს ხედავს არმაზის ხევში, მაგრამ შეუძლებლად თვლის ამის საფუძველზე რაიმე დასკვნა გაკეთდეს ისტორიული არმაზის ციხის ადგილმდებარეობის შესახებ და შესაძლებლად მიაჩნევს წმ. ნინოს ცხოვრების ავტორს შეეთხზა ყველაფერი ეს: «Стою главным образом, целью, чтобы, воздействовав таким приёмом на психологию читателя, свой рассказ о сокрушении идолов и последствиях, такового сокрушения, сделать в его глазах более убедительным».[33]

ჩვენის აზრით, აქ სულ სხვაგვარი ვითარებაა საგულისხმებელი. წმ. ნინოს ცხოვრების ავტორი აღწერს არა არმაზისხევს და იქ მდგარ ციხეს, როგორც ფიქრობს ლ. მელიქსეთ-ბეგი, არამედ არმაზის მთის აღმოსავლეთ ნაწილს, ბ ა გ ი ნ ე თ ი ს ქედს.

---

[31] იქვე, გვ. 41.

[32] Л. Меликсет-Беков, Армазни, Тб., 1937, გვ. 49.

[33] იქვე, გვ. 49—50.

მიუხედავად ქართულ საისტორიო წყაროებთან თავისებური დამოკიდებულებისა, ჩვენის აზრით, ლ. მელიქსეთ-ბეგი ძალიან დაუახლოვდა არმაზისციხის ადგილმდებარეობის საკითხის სწორად გადაჭრას. მან თითქმის სწორად მიუთითა, რომ ისტორიული არმაზციხე მტკვართან უნდა ყოფილიყო, მტკვრისა და არაგვის შესართავს ზემოთ. ამ შემთხვევაში ლ. მელიქსეთ-ბეგი მთლიანად იმეორებს სტრაბონის ცნობას და თანაც ლეონტი მროველს იშველიებს. მოსე ხორენელის ცნობების საფუძველზე მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ ისტორიული არმაზის ციხე ძველი მცხეთის მოპირდაპირე მთაზე უნდა ყოფილიყო. ძველი მცხეთა კი მას ე. წ. „პომპეუსის ხიდთან" ახლო მაღლობზე ეგულება, ზეგანზე, რომელსაც კოდმანი ეწოდება, რომელიც „Приходится как раз против той скалы, на обрывистой вершине которой стоял идол „Армаз"[34].

ლ. მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, რომ ისტორიული არმაზციხე უნდა მდგარიყო ისეთ მთაზე, რომელიც თავისი სიდიდით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მეზობელ სიმაღლეებს და, ამასთანავე, თავისი სტრატეგიული მდგომარეობით მას უნდა შეძლებოდა დაეცვა შესასვლელები სამხრეთიდან შიდა ქართლში. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ციხისათვის საჭიროა და ავტორი ამაში სავსებით მართალია.

თავის ადრინდელ ნაშრომში ლ. მელიქსეთ-ბეგი „არმაზნის" ასეთ ლოკალიზაციას იძლეოდა: «Под «Армазами» следует разуметь весь тот район по правому берегу р. Куры, против Мцхета, который замыкается: с севера и востока р. Курой, с запада — так называемым Армазским ущельем, и, наконец, с юга — ущельем Карсанским, причем местоположение самой Армазской твердыни, собственно Армазцихэ (Ἀρμοζίκη), приурочивается мною к вершине той высокой горы, так называемой Армазской, как раз против ст. Мцхет Закавк. ж. д., где расположена древняя церковь во имя св. Нины, местоположение же города Армази приурочивается к склонам Армазского гребня со стороны Карсанского ущелья».[35] გამოდის, რომ არმაზი ნაწილია „არ-

---

[34] Л. Меликсет-Беков, Армазни, Тб., 1938, გვ. 50—51.

[35] Л. Меликсет-Беков, В поисках Страбоновой Семсаворы..., Т., 1917, გვ. 3.

მაზით კერძი ქალაქისა“, ხოლო არმაზციხე — ნინოს მთაზეა. ეს უკანასკნელი, ჩვენის აზრით, მცდარია, ხოლო ქალაქი არმაზი (ე. ი. ქალაქი ქართლიც) არსებითად სწორად არის განსაზღვრული, ოღონდ თითქოს გამორიცხულია ბაგინეთის ტერასოვანი დიდი სამკუთხედი.

რას წარმოადგენდა არმაზის ციხე (შიდაციხე) და რამდენად სამართლიანია ის ერთ რომელიმე მწვერვალზე ან სიმაღლეზე ვეძებოთ?

ჩვენ უკვე მიეუთითეთ, რომ ქართული საისტორიო წყაროები ასახელებენ: თავად ციხეს, შიდა-ციხეს, დედაციხეს. დ ი ო ნ ი აკროპოლისს ასახელებს, ხოლო სტრაბონი გამაგრებული ქალაქის შესახებ მიუთითებს და ა. შ. რა თქმა უნდა, ქართული წყაროების თავადი ციხე, დედაციხე, შიდა-ციხე არ შეიძლება ისეთი ციხე-სიმაგრის მსგავსად მიეიჩნიოთ, როგორც არმაზის ხევის ციხეა ან ბებრის ციხე; ასევე, არ შეიძლება ამ უკანასკნელებთან გავათანასწოროთ სტრაბონის „კლდეზე გამაგრებული ქალაქები“ და დიონის „აკროპოლისი“.

ამრიგად, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი გამაგრებული ქალაქის (აკროპოლისის, შიდაციხის, დედაციხის) ნაცვლად ეძებდა არმაზის ციხეს, ისიც ერთ-ერთ მწვერვალზე. რა თქმა უნდა, საკითხის ამგვარი დაყენება იყო მიზეზი, იმისა, რომ მან საკითხი საბოლოოდ ვერ გადასწყვიტა.

თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ლ. მელიქსეთ-ბეგი უფრო ფართოდ აყენებდა საკითხს და არმაზს წარმოადგენდა ვრცლად — — Кодыан. — это предместье древнего Мцхета по левому берегу Куры, а Карсан — это тотже древний Аргаз, Армозика Страбона, Harmastis Плиния и Armaktika Птоломея, лежащие на правом берегу той же Куры».[36] აქ არმაზის ციხის არა ზუსტი ლოკალიზაციაა, მაგრამ ისტორიული ა რ მ ა ზ ი ვრცლადაა წარმოდგენილი. არმაზის ამგვარი ლოკალიზაცია ლ. მელიქსეთ-ბეგს არ უარყვია მერმინდელ ნაშრომებში. ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობდა, რომ ე. წ. ვესპასიანეს წარწერაში ნახსენები 'Αμασδα — იყო იმ ძველი ქალაქის სახელი, რომელსაც სტრაბონი ეძახოდა 'Αρμοζίκη, პლინიუსი — Harmastis, პტოლემაიოსი—Armaktika და დიონი 'Ακρόπολις.

[36] Л. Меликсет-Бегов, К скифской проблеме,... გვ. 539.

სავსებით განსხვავებულია ლ. მელიქსეთ-ბეგის განსაზღვრისაგან პროფ. ს. კაკაბაძის მოსაზრებანი. პროფ. ს. კაკაბაძეს აქვს ცდა ახსნას სახელი Αρμακτικα. ავტორის მიხედვით დაბოლოება τικα — წარმოადგენს მეგრული ჯ ი ხ ა ს ტრანსკრიპციას, ე. ი. იქნებოდა თითქოს ა რ მ ა ზ ჯ ი ხ ა[37]. ს. კაკაბაძე ქალაქ არმაზის მდებარეობას ასე განსაზღვრავს: „ცხადია, რომ ქალაქი არმაზიც, რომელიც კერპის ქვევით დაბლობზე იყო გაშენებული, მდებარეობდა მტკვრის ხეობაში მცხეთის ძველი ხიდის დასავლეთით, ვიდრე არმაზის ხევამდის. აქ ორ ადგილას, მცხეთის ხიდთან და, მეორე მხრივ, არმაზის ხევიდან 300—400 მეტრზე აღმოსავლეთით, არმაზის მთის კალთა ძლიერ უახლოვდება მტკვარს და მდინარეს ებჯინება. ასე, რომ ეს ადგილები ქმნიან მათ შორის მდებარე ველს ბუნებრივად ადვილად ჩასაკეტ არედ. ეს ველი, ვიწროდ გაშლილი იმ ადგილას, სადაც ახლა არის მცხეთის რკინიგზის სადგური და ამ სადგურის დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის სიგრძეზე, უნდა იყოს ის რაიონი, სადაც მდებარეობდა ძველი ქალაქი არმაზი“[38]. „კერპი არმაზი დადგმული უნდა ყოფილიყო არმაზის მთის „ცხვრსა ზედა“ და აქვე უნდა „შოქნილი“ ყოფილიყო „ზღუდე წულით კერძო“, ჩვენი აზრით, არმაზის ქალაქის დასავლეთით, ქალაქის დასაცავად დასავლეთიდან. ამ ზღუდის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ფრიად ვიწრო ხაზზე მდებარეობდა ქალაქი და ციხე, რომელიც უნდა ყოფილიყო არტაგ მეფის შიერ აშენებული „შიდა ციხე“. ეს ქალაქი და შიდა ციხე IV საუკუნეში უკვე დაცარიელებულად არის ნაგულისხმევი („სადა ძუელ ქალაქი ყოფილიყო და მის ადგილსა ყოფილ არს ციხე“), ხოლო რაც შეეხება არმაზის „წულით კერძო მოქნილ“ ზღუდეს, თვით არმაზის კერპს და მის ზღუდეს (ციხეს) ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, ნიადაგის გეოლოგიური თვისების გამო ჩაქცეულა IV ს-ის პირველ ნახევარში“[39]. ს. კაკაბაძეს სტრაბონის ცნობა ისე აქვს განმარტებული, თითქოს ქალაქის ცენტრალურ ნაწილად სტრაბონი ციხეს გულისხმობდეს[40].

[37] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 35.

[38] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქალ. არმაზი — ქალ. მცხეთა, გვ. 7.

[39] ი ქ ვ ე, გვ. 7.

[40] ი ქ ვ ე, გვ. 7.

ამრიგად, პროფ. ს. კაკაბაძის მიხედვით გამოდის, რომ: ქალაქი არმაზი მცხეთის რკინიგზის ახლანდელი სადგურის ვიწრო ზოლზე იყო გაშლილი; ქალაქის დასავლეთით იყო „ზღუდე წყლით კერძო მოქნილი", ქალაქის დასავლეთიდან დასაცავად; შიდაციხე სტრაბონის მიხედვით ქალაქის პირდაპირ ცენტრში იყო; კერპი არმაზის ხევთან ახლო დგას. იქვე იყო „ზღუდე წყლით კერძო".

ჩვენის აზრით, ს. კაკაბაძის ეს მოსაზრებანი არ გამომდინარეობენ ქართულ და კლასიკურ საისტორიო წყაროთა მითითებებისაგან; ასეთ დასკვნებს მხარს არც არქეოლოგიური აღმოჩენები უჭერენ.

1939 წელს ს. ერემიანმა გამოთქვა მოსაზრება არმაზის ადგილმდებარეობის შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ ავტორს ძველი სავაჭრო გზების განხილვა მოუხდა. მისი განსაზღვრა ნაწილობრივ ემთხვევა სარგის კაკაბაძის მოსაზრებას. ს. ერემიანი წერს: «Армази находится в узкой равнине на правом берегу реки Куры, в районе нынешней железнодорожной станции Мцхета».[41] ამასთანავე, ავტორი იქვე სამართლიანად უმატებს, რომ არმაზი ნაქულბაქევამდე ვრცელდებაო.

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა კიდევ ერთი განსხვავებული მოსაზრება ამ საკითხზე. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალში, სტრაბონის „გეოგრაფიის" იმ ადგილის განმარტებისას, სადაც კლდეზე გამაგრებული ქალაქი არის ნახსენები, კომენტატორი შენიშნავს შემდეგს: «Гармазика локализуется по эпиграфическим, археологическим и топонимическим данным к северу от Тбилиси на месте средневековой столицы грузинских царей Мцхета».[42]

არმაზციხის ასეთი ლოკალიზაცია, ცხადია, ზუსტი არაა. კომენტატორს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ: შუასაუკუნეებში მცხეთა ქართველი მეფეთა სატახტო ქალაქი არ ყოფილა; მცხეთა აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქად იყო მეოთხე საუკუნემდე; მეოთხესა და მეხუთე საუკუნეებში ქართლის მნიშვნელოვან ცენტრს უკვე თბილისი წარმოადგენდა. მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა მეფემ ის მეორე სატახტო ქალაქად აქცია, ხოლო VI საუკუნის დასაწყისიდან თბილისი საბოლოოდ იქცევა ქართლის დედაქალაქად.

ისიც აღსანიშნავია, რომ შუასაუკუნეების მცხეთა (უკვე არა დედაქალაქი) ახლანდელი დაბის ადგილზე იყო გაშლილი და მას უფრო ფართო ზეგანებიც ეჭირა, ე. ი. შუასაუკუნეების მცხეთა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო. კომენტატორის მიხედვით არმაზციხე შუასაუკუნეების მცხეთის ადგილზე ყოფილა, ე. ი. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. არც ეპიგრაფიკული, არც არქეოლოგიური და ტოპონიმიკური მონაცემები არმაზციხის ასეთ ლოკალიზაციას მხარს არ უჭერენ. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას ანალოგიური მოსაზრება, რომლის მიხედვით რომის იმპერიის რუკაზე, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1948 წელს, არმაზციხე მტკვრის მარცხენა ნაპირზეა მოთავსებული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტრაბონის გეოგრაფიის ზემოხსენებულ კომენტატორს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად არმაზციხის და თვით ქალაქის არაზუსტი და ზოგ ავტორთან მცდარი ლოკალიზაციისა, უმრავლესი მათგანი არმაზსა და არმაზციხეს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გულისხმობს. ასე, მაგალითად, სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავდა: „ნაქულბაქევს ზეით არს დევის ნამუხლი — კლდე, გაჭრილი გზად. მას ზეით, მცხეთის ხიდის სამხრით, არს მონასტერი ახალქალაქური, ყოველად წმიდისა, უგუნბათო, კეთილს ადგილს; იდგნენ მოწესენი. მის დასავლეთით მცირე ხევი ქართლისა, სდის მისსავე მთას და მოდის ჩრდილით. აქა არს ციხე, რომელი აღაშენა ქართლოს დაუწოდა სახელი თვისი, არაოდეს შემუსვრილი მტერთაგან, რომელი დადგა ყრუს მოსვლასაცა. ამ ადგილის გამო უწოდა ამ ქვეყანათა ქართლი. ა-მეფემან ფარნაოზ ' აღმართა აქა კერპი არმაზ, სახელისა თვისისა, და მის გამო უწოდა არმაზი ადგილსა ამას, და დაეუფლა ქართლოს აქავე, და ფარნაოზსა წინაშე კერპისა თვისისა. არამედ კერპისა ამის მსახურნი, რომელნი იყუნენ, იგინი იყუნენ საქართველო. ხოლო შემდგომად შემუსრა კერპი ესე წმინდამან ნინომ. არამედ იყო ქალაქი არმაზი აქითგან, ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუსაგან და

[41] С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья. ВДИ, № 1, М., 1939, გვ. 86.

[42] სტრაბონის კომენტარები. ВДИ, № 4, М., 1947, გვ. 218 (სქოლიო).

შემდგომად მისა მოოხრდა, ხოლო აწ არს დაბნები"[43].

როგორც მცხეთის პირველი წარწერის განხილვისას აღინიშნა, 1868 წელს, როდესაც ა. ბართოლომეის წერილი გამოქვეყნდა, 1867 წელს აღმოჩენილი ბერძნული წარწერის შესახებ, პ. იოსელიანმა ბართოლომეის წერილს განმარტება დაურთო, სადაც აღნიშნავდა შემდეგს: «Древняя Армастика Плиния и Страбона, как город древний — оканчивалась в Накулбакеви и была раскинута по горной отлогости... Вахушт пишет о ней следующее:» Город Армаз продолжался до Накулбакеви. Он разрушен Мурваном глухим и после него он уже не восстановлен».[44]

ასევე მნიშვნელოვანია ვახუშტის ცნობა: „ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის, და მუნ შეერბებიან, აღაშენა მცხეთოს, ძმან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდნენ დედაქალაქსა. მერმე მოზღუდა არდამ, ერისთავმან სპარსთამან; მანვე აღაშენა ხიდსა ზედა ციხე და ჩრდილოთ ციხე. კეალად არმაზიდამ წამოზღუდა მტკვარამდე"[45].

ამ ცნობაშიც ვახუშტი მცხეთისა და არმაზის იმ დროისათვის საკმაოდ სწორ განსაზღვრას გვაძლევს. ყოველ შემთხვევაში არმაზი რომ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე უნდა ყოფილიყო, ეს სახელგანთქმულ გეოგრაფს კარგადა აქვს გარკვეული.

საყურადღებო ჩანს ამ მხრივ მცხეთის ტაძრის „სვეტისცხოველის" ფრესკებიც; სახელდობრ — „სვეტის" მოხატულობის ერთ-ერთი სცენა — წმ. ნინოს ლოცვა არმაზის მთასთან. XVII ს. ბოლო წლებში მხატვარ გრიგოლ გულჯავარასშვილს გამოუხატავს იმ დროს მიღებული შეხედულება იმ ადგილის შესახებ, სადაც წმ. ნინო მივიდა საღოცველად. წმ. ნინო არმაზის მთის დასასრულთან — მის აღმოსავლეთ კალთასთან დგას, თითქოს — ბაგინეთის ერთ-ერთ ტერასზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გრიგოლ გულჯავარისშვილს ეს სცენა აღმოსავლეთის მხრიდან უხატავს. სავსებით სამართლიანად შენიშნა პროფ. ვახტანგ ბერიძემ, რომ „ის ადგილი, რომელიც კომპოზიციაში მთას უჭირავს და ის ურთიერთობა, რომელსაც მხატვარი წმინდანსა და პეიზაჟს შორის ამყარებს, მოწმობს, რომ მთა აქ მარტო ფონი კი არ არის, არამედ ამ სცენის „მოქმედი პირიც"[46]. დამახასიათებელია, რომ აქ გამოხატულია ციცაბო, წვეტიანი კლდეები და მდინარე, რომლის მარჯვენა ნაპირზე წმ. ნინოა და არმაზის მთის აღმოსავლეთის ნაწილი — დასასრული ამ ქედისა.

ამრიგად, XVII საუკუნის ბოლოს გავრცელებული წარმოდგენის მიხედვით არმაზიხე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, არმაზის ქედის აღმოსავლეთ ნაწილზე, იმ ადგილას, რომელიც ბ ა გ ი ნ ე თ ი ს სახელითაა ცნობილი.

არმაზციხის ტერიტორიის გვიან გავრცელებული სახელი ბ ა გ ი ნ ე თ ი, როგორც ჩანს, ღვთაებასთან არის დაკავშირებული. ცნობილია, რომ „Baga" ძველ სპარსულში ღვთაებას ნიშნავდა; Bagastāna ღვთაებრივ (საღვთო) ადგილს; ისევე, როგორც სომხური Bagawan — საღვთო დასახელებას[47].

ერთ დროს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს „ბაგინეთი" მიაჩნდა მცხეთის მიდამოების ტოპონიმიკაში „ირანიზმის" მაჩვენებლად[48], ან თვლიდა, რომ თავიდან შეიძლება „სკვითური წარმოშობის ტოპონიმიკური ტერმინი „ბაგნიტი" ირანიზებული კლასობრივი საზოგადოების მიერ „ირანულ ყაიდაზე" იყო გადაკეთებული[49]. შემდეგში, ლ. მელიქსეთ-ბეგმა, როგორც ჩანს, შეიცვალა აზრი; ბაგინეთის შესახებ თავის ნაშრომებში გამოთქმული შეხედულება ამ ნაშრომთა რედაქტორის ზემოქმედებას მიაწერა და ბაგინეთი XX საუკუნეში შექმნილ სახელად მიიჩნია. მცხეთელებმა კარსნის ბაგნიტური სადგურის აშენების შემდეგ „ბაგნიტი"— „ბაგნითად" გადააკეთესო[50].

---

[43] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 55.

[44] А. И. Б а р т о л о м е й. Две классические надписи..., გვ. 5.

[45] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე. გვ. 60.

[46] ვ ა ხ ტ. ბ ე რ ი ძ ე, მცხეთის კათედრალის „სვეტი ცხოველი" და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV—B, თბ., 1948, გვ. 153.

[47] Гр. К а п а н ц я н, Историко-лингвистические работы, Ер., 1957, გვ. 226.

[48] Л. М е л и к с е т-Б е к о в, Армазин. Т., 1937. с. 43.

[49] Л. М е л и к с е т-Б е к о в, К скифской проблеме, стр. 43. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. VII, ტფ., 1937, გვ. 536.

[50] შეადარეთ: უნივერსიტეტის ისტორიის, იურიდიულ და ფილოსოფიურ ფაკულტეტთა გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს 1960 წლის 11 იანვრის სხდომის სტენოგრამა.

„ბაგინეთის“ ასეთ ეტიმოლოგიას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რადგან სხვა არა იყოს რა, ქართული სიგელ-გუჯრები, ყოველ შემთხვევაში, XVIII—XIX საუკუნეებში იცნობენ ასეთ გეოგრაფიულ სახელს. ასე მაგ., XVIII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ „ერთ წილად ერგო ფარსადანს ბაგნეთი“[51]; ასევე, ურბნისის ეკლესიის გუჯრების სიაში, რომელიც შედგენილი უნდა იყოს XIX საუკუნის ოციან წლებში, ნახსენებია „კეთბის შემოწირულების სიგელი სადგრისა და ბაგინეთ-გუჯარეთის“[52].

ამას გარდა, ბ ა გ ი ნ ფუძიანი გეოგრაფიული სახელის სიძველის მანიშნებელია ამ სახელის გავრცელება საქართველოში: ბაგინეთი — მცხეთასთან; ბაგინეთი — ვანის რაიონში; ბაგინი — ურბნისში, ბაგინი — ქსნის ხეობის სათავეებში[53] და ა. შ.

ა რ მ ა ზ ი ხშირად იხსენიება ქართულ სიგელ-გუჯრებში. ჯერჯერობით მაინც უძველესი მათგანი მეთოთხმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებს ეკუთვნის; იგი „მეფე ალექსანდრეს“ სახელითაა ცნობილი. ამ გუჯარში ნახსენებია სოფელი ქართლი და მონასტერი არმაზის ციხითა. უფრო საყურადღებო ჩანს ქართლის მეფის ალექსანდრე I-ის გუჯარი, გაცემული კათალიკოს თეოდორეს სახელზე, სადაც აღნიშნულია: „მკუიდრი და უცვლელი მცხეთისა არმაზისციხე“ — ე. ი. ხაზგასმულია, რომ არმაზის ციხე და მისი მიდამო მუდიროდ იყო დაკავშირებული მცხეთასთან. იმავე მეფის 1434 წლის გუჯარში კვლავ განმარტებულია, რომ კათალიკოსი თედორე „გუეაჯა, რათაძცა მ ც ხ ე თ ი ს ა ს ა ყ ო ფ ლ ი ს ა მ კ უ ი დ რ ი ც ი ხ ე ა რ მ ა ზ ი და მონასტერი მათუეისვე მოგუეკსენა და ვქენით მოკითხული და დ ა ს ა ბ ა მ ი თ ა გ ა ნ ა რ მ ა ზ ი ც ი ხ ე მ ც ხ ე თ ი ს ა (იყო)“[54]. ეს ცნობა განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გამო, რომ იგი გადმოგვცემს იმ დროს მიღებულ შეხედულებას არმაზის ციხის დასაბამიდან მცხეთის კუთვნილებად მიჩნევის შესახებ. ამრიგად, სიგელ-გუჯრები გარკვეული მნიშვნელობისა აღმოჩნდნენ არა მარტო არმაზის ციხის ლოკალიზაციისათვის, არამედ მცხეთა-არმაზის დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. გუჯრებში მოხსენებული არმაზის ციხე ისტორიული არმაზციხე არ არის; თითქმის ყველა გუჯარი იმ ციხეს უნდა გულისხმობდეს, რომელიც ახლაც დგას არმაზის ხევში და იმ მონასტერს, რომლის ნანგრევები ამ ციხის ქვემოთ დღემდე შენახულა.

არმაზის ციხის ლოკალიზაციის საკითხზე გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა, რომ მეტნაკლებად სრული და ამომწურავი იყოს, საჭირო იქნება განვიხილოთ ზოგიერთი სპეციალისტის მოსაზრებანი მცხეთისა და არმაზის ციხის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ეს საკითხი ორგანულად უკავშირდება ქართლის სამეფოს საშინაო საზღვრის საკითხებს მცხეთის დედაქალაქობის ხანაში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მცირეოდენ გამონაკლისის გარდა, სპეციალისტები აღიარებენ, რომ არმაზის ციხე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო გაშენებული. ეს ასეა, მაგრამ სადავოდ იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა არმაზციხე და როგორ ურთიერთობაში იყო ის მცხეთასთან?

სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ გაიდგა ფესვები მოსაზრებებმა, რომელთა მიხედვით არმაზი სხვა ქალაქია და მცხეთა კიდევ სხვა. მცხეთა განიხილება მტკვრის მხოლოდ მარცხენა ნაპირზე და არმაზი და არმაზციხე ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ასე მაგალითად, სკვითების პრობლემის გარჩევისას ლ. მელიქსეთ-ბეგი ქართლის სამეფოს დედაქალაქის საზღვრებს იხილავდა და აღნიშნავდა შემდეგს: «Тот факт, что Кура на самом деле была и долго оставалась границей между северным и южными государствами, таковою оставалась в эпоху т. н. «двоецарствия» в архаичной Грузии или пра—Грузия(!) до и после Р. Х. И, наконец, таковою была, в частности между Иверией и Арменией во II в. до н. э. (согласно Страбону), ведь остаётся фактом»...[55]

პროფ. გ. ნათაძის ერთ-ერთ ნაშრომში ნათქვამია, სხვათა შორის, ამ საკითხზე შემდეგი:

. «Вообще по всему побережью Куры, по крайней мере до I-го ст. — было такое положение, что народы, двигавшиеся или жив-

---

[51] ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები, Hd, 806.

[52] იქვე, Ad. 680.

[53] ვ. ბ ე ქ ი ნ ა ი ა, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, თბ., 1950, გვ. 189.

[54] Л. М. М е л и к с е т - Б е к о в, Армазии, გვ. 87, 93.

[55] Л. М. М е л и к с е т - Б е к о в, К скифской проблеме..., გვ. 540.

ше на правом берегу Куры, затруднялись переходить на левый берег, и переход мог состояться только в виде нашествия целых племен или укрепления уже более или менее прочного государства на обеих берегах. Так, например, у Месхов, живших на правом берегу, была крепость Армази, выдвинутая для защиты страны, очевидно, от народов, живших на противоположном берегу, и только после переселения иберов или картов, усиливших, быть может, после долгих, подчас кровавых трений, картвельские племена, последние смогли перейти на тот берег и захватить Мцхет».[56]

ლ. მელიქსეთ-ბეგი, იზიარებს რა პროფ. გ. ნათაძის ამ მოსაზრებას, აღნიშნავს:

«В своих работах Г. Я. Натадзе совершенно правильно указывает на значение р. Куры, как межи, отделявшей народы и государства друг от друга». «Считая мнение Г. Я. Натадзе в основном правильным, несмотря на некоторые неточности в деталях, нам только остается отметить тут те выводы, к которым мы лично пришли в другой нашей работе в связи с тем же вопросов о Куре, где у места слияния с нею Арагви, на протяжении нескольких столетий до н. э. (до IV в.) сталкивались интересы Юга с интересами Севера, таким образом, что Армази попадал в границы Южного государства, а Мцхета — Северного...».[57]

ლ. მელიქსეთ-ბეგსა და გ. ნათაძეს არ მოაქვთ საბუთები იმის დასადასტურებლად, რომ არმაზი თითქოს სამხრეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფილიყოს; აუხსნელია, დაუსაბუთებელია აგრეთვე ქართველისა და მესხების, მცხეთისა და არმაზის ურთიერთობა. ასეთი მდგომარეობა ყოფილა ლ. მელიქსეთ-ბეგის მიხედვით მცხეთის დედაქალაქობის მთელ სიგრძეზე.

ძნელია გაზიარება პროფ. ე. თაყაიშვილის უკანასკნელი მოსაზრებისა ამავე საკითხებზე. ე. თაყაიშვილი იხილავდა საკითხს იმის შესახებ, თუ როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ და აღნიშნავდა, რომ „იბერთა უკანასკნელი მეფე გურგენი 523 წელს თავისი ოჯახითა და ფრიად დიდი ამალითურთ გადასახლდა ბიზანტიაში. ამის შემდეგ სპარსელების პოლიტიკის მეოხებით და მათი შეგნებული დახმარებით, ძალაუფლება ქართლის აზნაურებმა ანუ ერისთავებმა იგდეს ხელში. აქედან იწყება ქართლის პერიოდი ჩვენს ისტორიაში“[58]. მართალია, ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ქართები იბერთა სახელმწიფოს ისტორიისა და კულტურის ქვეშევრდომნი და მონაწილენი იყვნენ, მაგრამ თურმე 523 წლის შემდეგ იბერთა ლიტერატურას თანდათანობით გადმოქართულება დასჭირვებია[59].

ამგვარი თვალსაზრისით ე. თაყაიშვილი ქართლის სამეფოს ორ ნაწილად ყოფს იმგვარად, რომ მსაზღვრელ ხაზად მდ. მტკვარი გამოდის. ე. თაყაიშვილის მიხედვით ამ ნაპირებისათვის დამახასიათებელია: ერთისთვის ხან-მეტობა ენაში, ხოლო მეორისათვის ჰაე-მეტობა. ე. თაყაიშვილი არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილის დებულებებს იბერია-ქართლის იგივეობის საკითხზე და აღნიშნავს: „ჩვენის აზრით კი, როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოში მეექვსე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლომდის იბერთა სახელმწიფო სუფევს და ქართლელების ჰეგემონია მეექვსე საუკუნიდან იწყება — პირველად „ქართლის სამთავროს, საერისთავოს სახით“ და მეცხრე საუკუნის დასასრულიდან კი ქართველთა სამეფოს სახით“[60]. ჩვენთვის საინტერესო ხანაში იბერთა და ქართების ტერიტორიის საზღვარი ე. თაყაიშვილს ჯერ კიდევ საძიებლად მიაჩნია, მაგრამ „ის კი უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ქართების საცხოვრებელი მოქცეული იყო იბერთა, მესხთა და სომეხთა ტერიტორიებს შორის. მესხებს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მიჯნაზე უკვე ის ტერიტორია ეჭირათ, რომელიც მათ შერჩათ საქართველოს ჩამოყალიბების შემდეგ, ე. ი. ზემო ქართლი; ხოლო ქართებს იბერებისაგან ყოფდა, საზოგადოდ, მტკვარი: იბერებს ეპყრათ ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე მხარე... მცხეთა იყო იბერთა თავი ქალაქი, ხოლო არმაზი ქართლის ტერიტორიას ეკუთვნოდა და უძველესი დროიდან მას თითონ ქართლი ეწოდებოდა“[61]. როგორც

[56] Г. Натадзе, Этюды: по истории Тифлиса... Тифлис и его окрестности; Тб., 1925, გვ. 73—75.

[57] Л. М. Меликсет-Беков, Армазин, გვ. 59

[58] ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ. ეურნ. „მნათობი“, № 8, თბ., 1948, გვ. 90.

[59] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 90.

[60] ი ქ ვ ე, გვ. 95.

[61] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 101.

ვხედავთ, ავტორი ქართებს და იბერებს უპირისპირებს ერთიმეორეს და თანაც იმ აზრს ატარებს, რომ მტკვარი საზღვრის ხაზი იყო; მცხეთა იბერთა ქალაქი იყო, ხოლო არმაზი — ქართლის — ქართლელების ქალაქი და სიმაგრე.

როგორც ცნობილია, ყველა წერილობითი ძეგლი, რომლებშიც იბერია, იბერები და იბერთა მეფეები ან სამეფო კარის მოხელეები მოხსენებული, აღმოჩენილია შემთხვევით ან არქეოლოგიური გათხრებისას მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ე. ი. იმ მიწა-წყალზე, რომელიც ეკუთვნოდა, ე. თაყაიშვილის მიხედვით, არა იბერებს, არამედ ქართლელებს. ე. თაყაიშვილის მოსაზრება რომ გავიზიაროთ, აუხსნელი დარჩება თუ როგორ მოხდა, რომ რომაელებმა ი ბ ე რ თ ა მეფეს მითრიდატეს, ფარსმან მეფის ძეს და იბერიის ხალხს ზღუდე სხვის (ე. თაყაიშვილის მიხედვით ქართლის) მიწა-წყალზე გაუმაგრეს და ამ ზღუდეზე დიდი წარწერაც დააყენეს? როგორ მოხდა, რომ იბერებმა და მათმა პიტიახშებმა თავიანთი სამეფოს საგვარეულო სასაფლაო სხვის ტერიტორიაზე და ისიც მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე შექმნეს და იქ დააყენეს დიდად მნიშვნელოვანი წარწერებიანი სტელები. თუ მცხეთა იბერების თავი ქალაქი იყო, ხოლო არმაზი ქართლელებისა, სხვა საკითხებს, რომ არ შეეხოთ, ზემოთ აღნიშნული უთუოდ აუხსნელი რჩება. იბერიისა და ქართლის დასაპირისპირებლად, ჩვენი აზრით, არც ის გამოდგება, რომ უძველესი ქართული წყაროები იბერიას სულ არ იხსენიებენ. აქ არაფერია გაუგებარი. ქართულ ენაზე ამ ქვეყანას იბერია არ ერქვა და ქართულ წყაროებში „იბერია" არც უნდა იყოს ნახსენები. ქართველები თავიანთ ქვეყანას „ქართლს" უწოდებდნენ და, ბუნებრივია, რომ ქართულ წყაროებში ეს სახელია დაცული.

ბერძნები ქართლს იბერიის სახელით იცნობენ და ასეც იხსენიებენ. ასეა ქართლი ნახსენები მცხეთის ბერძნულ წარწერებშიაც. ეს სავსებით ბუნებრივია და სრულიადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სტრაბონი, დიონი. პტოლემაიოსი, პლინიუსი და სხვა ავტორები და, აგრეთვე, მცხეთის ბერძნული წარწერები სულ არ ახსენებენ „ქართლს".

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებთ ე. თაყაიშვილის „მოგონებებში" ამ საკითხზე გაცემულ პასუხს: სწორედ იმიტომ, სულ არ ახსენებენ ქართული წყაროები იბერიას, რომ ძველი წყაროები დაკარგულ-მოსპობილია ქართების მიერ იბერთა დაძლევისა და პოლიტიკურად დაჯაბნის შედეგად გამარჯვებულთა მიერ დამარცხებულთა ხსენების აღმოფხვრის მიზნით, შეგნებულად"[62].

იბერია რომ მტკვრის მარჯვენა მხარეზეც შორს ვრცელდებოდა, ამას მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან ერთად ქართული საისტორიო წყაროები და კლასიკურ მწერალთა ცნობებიც კარგად ადასტურებენ. საკმარისია შევახსენოთ დიონის ცნობები პომპეუსის იბერიაზე ლაშქრობის შესახებ. როგორც ზემოთაც ვნახეთ, დიონის მიერ აღწერილი ამბები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ხდება, აქეთა მხარესაა აკროპოლი და იბერთა მეფე არტაგი თავისი ჯარით. დიონს ხომ პირდაპირ აქვს ნათქვამი: „იბერები ცხოვრობენ კირნოსის ორივე მხარეზე, ემეზობლებიან ერთის მხრივ ალბანელებს, მეორეს მხრივ არმენელებსო"[63].

ზემოთ უკვე იყო საუბარი იმაზე თუ როგორი შეხედულების ჩანს ამ საკითხზე ლეონტი მროველი და მისი წყაროები. სქემა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ასეთია: არსებობს: „ქართლი ყოველი" — ქართლის სამეფო, რომლის დედაქალაქი გაშლილია მდინარის ორივე ნაპირზე; მისი ერთი ნაწილია „არმაზით კერძი ქალაქი", ხოლო მეორე — „მუხნარით კერძი ქალაქი".

ამრიგად, ქართული და კლასიკური წერილების მითითებები, ჩვენი აზრით, არავითარ საპირისპირო ცნობებს არ შეიცავენ.

ასეთია ვითარება, რომელიც ადასტურებს, რომ იბერთა ტერიტორია მტკვრის ორივე ნაპირზე იყო გაშლილი. ზემოთ აღნიშნული, ჩვენი აზრით, საკმაო დამაჯერებლობით უარყოფს ს. კაკაბაძის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, გ. ნათაძისა და ე. თაყაიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებებს მცხეთისა და არმაზის, ქართლისა და იბერიის ურთიერთობის შესახებ.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვნიშნა, რომ ივ. ჯავახიშვილს იბერები და ქართლელები, იბერია და ქართლი სხვადასხვა ერთეულად არ მიაჩნდა. ის ამტკიცებდა, რომ იბერია ქართლის სახელია კლასიკურ მწერლებთან და იბერი ქართლელის აღმნიშვნელია მათთან.

დაწვრილებით გაარჩია ივ. ჯავახიშვილმა კლა-

---

[62] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მოგონებები. ჟურნ. „მნათობი", № 9, თბ., 1959, გვ. 169.

[63] Scythica et Caucasica, ВДИ, № 2, 1948, გვ. 270.

სიკურ მწერალთა ცნობები იბერიის საზღვრების შესახებაც. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით იბერიის და სომხეთის საზღვრების დადგენისას სტრაბონს მთლად ვერ დავეყრდნობით, რადგან მასთან ვხვდებით წინააღმდეგობის შემცველ ცნობებს. სტრაბონის სიტყვით: „იბერიაში სომხეთთან გადასავალებად მტკვართან და არაგვთან მდებარე ვიწროებია... ისე გამოდის, რომ თითქოს არაგვთან ცალკე გარდასავალები უნდა ყოფილიყო სომხეთიდან იბერიაში; ეს ცნობა რომ სწორე ყოფილიყო, მაშინ იბერიასა და სომხეთს შორის საზღვრად არაგვიც უნდა ყოფილიყო, ე. ი. არაგვის აღმოსავლეთით მდებარე კახეთიც მთლად თუ არა მისი უფრო სამხრეთისაკენ მდებარე ნაწილი სომხეთის ხელთ უნდა გვეგულისხმა. ეს იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, თითქოს იბერიასა და სომხეთს შორის საზღვარი მტკვრის ჩრდილოეთითაც კი უნდა ყოფილიყო წაწეული, რაც ყველა არსებულ ცნობებს ეწინააღმდეგება. ამიტომ საფიქრებელია, რომ სტრაბონის ეს ცნობა დროთა განმავლობაში გადამწერთაგან დამახინჯებული უნდა იყოს"[64].

ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით გაარჩია პტოლემაიოსის ცნობა იმის შესახებ, რომ მტკვარი უნდა ითვლებოდეს საზღვრად სამეფოთა შორის. „ის გარემოება, რომ — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, — თვით იბერიის საზღვრების აღწერილობაში სომხეთსა და იბერიას გამსაზღვრელ ხაზად მტკვარი იხსენიება და ამავე დროს მტკვრის შესართავის ხაზი მას სწორედ ალბანიასა და სომხეთს შორის მყოფ საზღვრად აქვს დასახელებული, თანაც სომხეთის საზღვრების აღწერილობაშიც ცნობა მტკვრის ხაზის შესახებ უშუალოდ სწორედ ალბანიის სახელს მისდევს, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პტოლემაიოსს მტკვარი გამსაზღვრელ ხაზად, ისიც შესართავთან ალბანიასა და სომხეთს შორის უნდა ჰქონოდა ნაგულისხმევი"[65]. სტრაბონის და პლუტარქოსის ცნობათა შედარებითმა შესწავლამ ივ. ჯავახიშვილის წინაშე წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიხსნას, რომ სტრაბონის მიხედვით, მდ. მტკვარს სათავე სომხეთის მთებში აქვს, ხოლო პლუტარქოსის მიხედვით მტკვრის სათავე იბერთა მთებშია. ჩვენ სავსებით საფუძვლიანი გვეჩვენება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით ძვ. წ. I საუკუნეში კოლა სომხების ხელში ყოფილა, ამიტომ მტკვრის სათავე სტრაბონისათვის სომხურ მთებად იყო ცნობილი; შემდეგ ისტორიულ სიტუაციის შეცვლას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მოჰყვა შედეგად და პლუტარქოსს მტკვრის სათავე კვლავ იბერიის მიწა-წყალზე ეგულება. კლასიკურ მწერალთა ცნობების ანალიზმა ივ. ჯავახიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ზოგიერთი მათგანი შემდეგი დროის გადამწერთაგან დამახინჯებულია და ხელაღებით სარგებლობა ამ ცნობითაც არ შეიძლება.

ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით განიხილავს პტოლემაიოსის სომხურ შევსებულ თარგმანს, ე. წ. VII ს. უსახელო გეოგრაფიის ცნობებს, ამავე საკითხზე და აღნიშნავს, რომ ამ გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში მტკვარი იბერიისა და ალბანეთის შორის არის მოსაზღვრე ხაზად დასახელებული; ხოლო ამავე ძეგლის ვრცელ რედაქციაში კი მტკვარი სომხეთის საზღვრად არის მიჩნეული: „ამგვარად ის, რაც მოკლე და უძველეს რედაქციაში ალბანიასთან მოსაზღვრე ხაზად არის აღნიშნული, ვრცელსა და მერმინდელ რედაქციაში სომხეთის განსაზღვრელად არის ქცეული და ამნაირად მტკვარი იბერიისა და სომხეთის მიწა-წყლის გამყოფელ ხაზად არის მიჩნეული"[66]. ამ საკითხზე შემდეგი მსჯელობისას ი. ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნია სწორად იყოს ცნობილი მარკვარტის აზრი და საქართველოსა და სომხეთის საზღვარი სოფელ კოტ-თან ეიგულისხმოთ. თვით სომხურივე ძველი წყაროების მიმოხილვის შემდეგ ი. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ „სომხური უსახელო გეოგრაფიის მიხედვით სომეხთაგან დაკავებული ტერიტორიის ჩრდილოეთის უკიდურეს ზოლს თითქოს ბოლნისმანგლისის ხეობები შეადგენს. სომხური უსახელო გეოგრაფიის ზემოთ ხსენებული იმდროინდელი საზღვარი — კი, როდესაც სომხებს იბერიის ზოგიერთი თემი ჰქონდათ დასაკუთრებული, სრულებით მტკვრის გასწვრივ არ მიმდინარეობდა"[67].

ზემოთ აღნიშნულიდან სავსებით აშკარად ჩანს თუ სად უნდა ვეძებდეთ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით იბერია-სომხეთის საზღვრებს და რატომ მიაჩ-

---

[64] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 21—22.

[65] ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 21.

[66] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, თბ., 1950, გვ. 2.

[67] ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 29—31.

ნია მას სავსებით უსაფუძვლოდ საზღვრის მტკვარზე გატარება, ისიც მცხეთასთან.

ქართლის (იბერიის) სამეფოს უძველესი დროის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები ვრცლად განიხილა აკად. ს. ჯანაშიამ თავის ნაშრომებში. „იბერია (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში"; „აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის"; „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე" და სხვ.

სიმონ ჯანაშიას მიხედვით ქართული და კლასიკური წყაროების ანალიზის გზით ირკვევა, რომ ძვ. წ. II საუკუნისათვის იბერიის (ქართლის) სამეფოს მიწა-წყალი სამხრეთისაკენ უფრო ვრცელი იყო, ვიდრე მომდევნო ხანაში, როდესაც ტიგრან მეორემ იბერიის ის ტერიტორია დაისაკუთრა, რომელიც არაქსის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ჩვენს წელთაღრიცხვის პირველი საუკუნისათვის იბერიის (ქართლის) სამხრეთი საზღვარი, ს. ჯანაშიას მიხედვით, მტკვრისა და არაქსის აუზებს შორის მდებარე წყალგამყოფ ქედზე გადიოდა.

ქართლის სამეფოს სამხრეთისა და აღმოსავლეთის საზღვრის დადგენისას ს. ჯანაშიამ გვიჩვენა იმ მოსაზრებათა უსაფუძვლობა, რომლის მიხედვით (იბერიის) სამხრეთი საზღვარი ქ. მცხეთასთან თითქოს მტკვარზე გადიოდა, ხოლო აღმოსავლეთისა — არაგვზე; „თუ იბერიის პოლიტიკური საზღვრების ამგვარ განმარტებას დავეთანხმებით, — აღნიშნავდა ს. ჯანაშია, — მივიღებდით ორიგინალურს, — უთუოდ უნიკალურს მსოფლიო ისტორიაში, — ვითარებას, როცა ერთი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში იბერიის) დედაქალაქის (მცხეთის) უდიდესი ნაწილი ორი უცხო სახელმწიფოს ფარგლებში მდებარეობს: ერთი მესამედი, სამეფო რეზიდენციის (არმაზი) შემცველი — არმენიაში, მეორე მესამედი კი — არაგვის მარცხენა ნაპირზე — (ალბანიაში)"[68].

აღმოსავლურ-ქართული სამეფოს შიგნითა ტერიტორიალურ ერთეულებად დაყოფის საკითხების განხილვისას ს. ჯანაშია შემდეგ დასკვნამდე მივიდა „აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ის დაყოფა, რომლის მიხედვითაც ფეოდალური ხანის „შიდა ქართლი" „ზედა სოფელს" წარმოადგენს და ეს ზენა სოფელი ზემო ქვეყანა, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ვრცელდებოდა, ვიდრე (ყოველ შემთხვევაში) თბილისამდე, წინ უსწრებს მცხეთის სატახტო ქალაქად გადაქცევის მომენტს"[69]. ამრიგად, არა თუ მცხეთასთან მტკვარი არ არის სამეფოს საზღვრად აღიარებული, არამედ მიჩნეულია, რომ სამეფოს ერთი ნაწილის — შიდა-ქართლის — სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ყოველ შემთხვევაში თბილისამდე აღწევდა; ხოლო „ქართლი ყოვლის" სამხრეთი საზღვარი ს. ჯანაშიას როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაცილებით უფრო სამხრეთით ეგულებოდა.

წერილობითი წყაროები გვიჩვენებენ, რომ ანტიკური ხანის კავკასიის სამეფოთა საზღვრები უცვლელი არ ყოფილა. ცალკეული თემების თუ ოლქების დაკავება მეზობელ სამეფოთა მესვეურების მიერ ხშირი, მაგრამ ეს მეტწილად დროებითი მოვლენა იყო. ყოველ სამეფოს მეტ-ნაკლებად მკვიდრი სასაზღვრო ზონა ჰქონდა, მეტ-ნაკლებად მტკიცედ განსაზღვრული მიწა-წყალი ეკავა. ამიტომ, სამეფოთა საზღვრად ეს მტკიცე ზონები უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ეპიზოდური ცვლილებანი გარკვეულ ისტორიულ სიტუაციასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ. ეპიზოდური ცვლილებანი განსაზღვრული პერიოდის დამახასიათებელია; ის უფრო ამა თუ იმ საომარი ოპერაციის შედეგების ამსახველია და საზოგადო ვითარებას არ გვიჩვენებს. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ არ გაჭირდება ავხსნათ საისტორიო წყაროების თითქოს ერთიმეორის საწინააღმდეგო მითითებანი.

განხილული მასალების გათვალისწინების შემდეგ ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ეროვნული და უცხო საისტორიო წყაროების კრიტიკული შესწავლის შემდეგ არ რჩება არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ იბერიის (ქართლის) და სომხეთის საზღვარი მცხეთასთან, მდ. მტკვარზე დავდოთ; არმაზი სამხრეთის სახელმწიფოს მიწა-წყალზე ვიგულისხმოთ, მცხეთა — ჩრდილოეთისაზე და, ამრიგად, ერთი ქალაქის ეს ორი ნაწილი ერთმანეთს ასე მოვწყვიტოთ; პირიქით, წერილობითი (ქართული, ბერძნული და სხვ.) წყაროები მტკიცე საფუძველს გვაძლევენ იბერიის (ქართლის)

---

68 ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. შრომები. ტ. II, თბ., 1952, გვ. 249.

69 ს. ჯანაშია. აღმოსავლეთ-ქართული სამეფოს უძველესი კულტურული პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის. ენიმკის მოამბე. ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 257.

დედაქალაქი წარმოვიდგინოთ ვრცლად გაშლილი, მდინარე მტკვრის და არაგვის შესართავთან, ამ მდინარეთა ორივე ნაპირზე[70]. ქართული საისტორიო წყაროები საშუალებას გვაძლევენ ქართლის სამეფოს დედაქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაქულბაქევამდე გავრცელებულად წარმოვიდგინოთ და ამის საფუძველზე კვლავ აღვნიშნოთ, რომ მდ. მტკვარზე მცხეთასთან არა მარტო იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვარი არ იყო, არამედ თითონ დედაქალაქის საზღვარი ნაქულბაქევთან გადიოდა, ისე, რომ მუხათგვერდის დაბლობი და ზეგანი ქალაქურად დასახლებული, დედაქალაქის აკროპოლისს ესაზღვრებოდა და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დედაქალაქის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა. ქართლის ძველი დედაქალაქის „არმაზით კერძი ქალაქი" შიდა ქართლის ტერიტორიაზე იყო; ეს უკანასკნელი ყოველ შემთხვევაში, თბილისამდე ყოფილა გავრცელებული, იმ დროსაც კი, რომელიც მცხეთის დედაქალაქად გადაქცევის ხანას წინ ესწრებს. წერილობითი წყაროების შესწავლა თითქოს უდავოს ხდის ქალაქი ქართლის, დედაქალაქის ამ უძველესი ქალაქური ტიპის მოსახლეობის არსებობას მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ქ. ქართლი გაშლილი ჩანს არმაზისხევიდან, ქართლის ქედსა და მის სამხრეთ კალთაზე კარსან-მუხათგვერდ-ბაგინეთის ზეგანებზე და ქედის ჩრდილოეთით მტკვრამდე მდებარე ბოლზე არმაზის ხევიდან ბაგინეთამდე. ქართლის ციტადელი ბაგინეთზე იყო, იქ, სადაც ქართლის (შემდეგში არმაზის) ქედი მთავრდება — ამ ქედის აღმოსავლეთის კალთებზე და სამკუთხა ზეგანზე, რომელსაც მცხეთის მოსახლეობა ახლაც ბაგინეთს უწოდებს. შემდეგში, როდესაც ეს ნაწილი დედაქალაქის შიდა ციხეს ანუ აკროპოლისს წარმოადგენს, იგი იღებს არმაზის ციხის (არმაზციხის) სახელწოდებასაც. ქართლის სახელი რჩება მთელ სამეფოს და, აგრეთვე, დედაქალაქის გარეუბანს — კარსან-არმაზის ხევის ხაზზე. ეს ადგილები ქართლის სახელს ისე დიდხანს ინარჩუნებენ, რომ ისტორიულ საბუთებში დასახელებული პუნქტები ხშირად არის ნახსენები „ქართლის" სახელით; ეს სახელი შეინარჩუნა ბოლო დრომდე ქედმაც და ხევმაც, რომელსაც ახლა არმაზის ხევსაც უწოდებენ.

ასეთია, ჩვენი აზრით, სურათი მცხეთის დედაქალაქობის ხანის არმაზის ციხისა და მცხეთის ურთიერთობისა.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სახელებისა ცნობილია წერილობითი წყაროების მიხედვით: ქ ა რ თ ლ ი და მ ც ხ ე თ ა. ამასთანავე, მცხეთის სახელის გაჩენამდე დედაქალაქის ის ნაწილი, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, არმაზის სახელითაც არის ცნობილი. როგორც ვნახეთ, ჩნდება სახელები: „არმაზით კერძი ქალაქი" — „არმაზის ციხე" — და შესაბამისი სახელწოდებანი იჩენს თავს კლასიკურ წყაროებშიაც. ქალაქის ამ ნაწილის სახელების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ასეთია: ქ ა რ თ ლ ი და ა რ მ ა ზ ი.

საიდან გაჩნდა მეორე სახელი, რასთანაა ის დაკავშირებული და რა გზით შეჰოვიდა ქართლში, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გამორკვეული.

ლეონტი მროველის მიხედვით სახელი ა რ მ ა ზ ი უკავშირდება ფარნავაზის მოღვაწეობას: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზ სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და ამიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს"[71]. ადრევე იყო გავრცელებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ არმაზის კულტი აპურამაზდას უკავშირდებოდა. ივ. ჯავახიშვილი იზიარებდა მ. წერეთლის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ქართველთა არმაზი არის არა აპურამაზდა, არამედ „მცირე აზიის ღვერთი ციისა და სინათლისა, ატმოსფერისა, წვიმისა და ელვა-ჭექისა — თეშუბ"[72]. ივ. ჯავახიშვილმა გადასინჯა გავრცელებული აზრი და მივიდა არმაზის კულტის არსებობის უარყოფამდე. „ბოლოს და ბოლოს ალმოს. საქართველოში ა რ მ ა ზ ი ს კ ულ ტ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ე რ თ ა დ ე რ თ ი თ ი თ ქ ო ს ს ა ნ დ ო გ ა რ ე ვ ო ე ბ ა დ მ ხ ო ლ ო დ გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ი ს „ა რ მ ა ზ ი ს ც ი ხ ი ს" ა რ ს ე ბ ო ბ ა-ღ ა რ ჩ ე ბ ა, მ ა გ რ ა მ ა მ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ა რ ა ვ ი თ ა რ ი უ ფ ლ ე ბ ა ა რ გ ვ ა ქ ვ ს დ ა ვ ა ს კ ვ ნ ა თ, რ ო მ ა რ მ ა ზ ი ს კ ე რ პ ი ც ა რ ს ე ბ ო ბ დ ა..."[73].

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „ჯერ კიდევ ის

---

70 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 78.

71 ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, გვ. 25.

72 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი I, თბ., 1951, გვ. 105.

73 ი ბ ე ვ ე, გვ. 109; ივ. ჯავახიშვილს იქვე (გვ. 99—112) განხილული აქვს დაწერილებით არმაზის სადაურობის საკითხი და ლიტერატურა ამ საკითხზე.

გარემოებაც-კი გამოსარკვევია, მართალია თუ არა, თითქოს „არმაზ-ციხე“ სწორედ აჰურამაზდას სახელთან იყოს დაკავშირებული? იქნებ აქ ქალდურ მეფეთა შორისაც მიღებულ სახელ „არამე“-ს ნაშთთან გვქონდეს საქმე და არა აჰურამაზდასთან?“[74]. ამ საკითხის გადაჭრას ივ. ჯავახიშვილი მომავალი კვლევა-ძიების საქმედ მიიჩნევდა. ივ. ჯავახიშვილის მითითებული ნაშრომის შემდეგაც არა ერთი სპეციალისტის ყურადღება მიიპყრო ამ საკითხმა. პროფ. შ. ამირანაშვილი ასკვნის, რომ „არმაზის ღვთაების კულტს ერანულ აჰურამაზდას ღვთაებასთან არავითარი კავშირი არა აქვს“. ასეთ დასკვნას საფუძვლად უდევს თავისებურება არმაზის გამოსახულებისა — ანთროპომორფული სახე ღვთაებისა, რაც წარმოუდგენელია ირანული აჰურამაზდისათვის. არმაზის გამოსახულების ნიშანდობლივი თვისებები ავტორს ქალდური ხელოვნების წრიდან მოდინარედ მიუჩნევია და ელინისტური ხანის მომთითებლად წარმოუდგენია[75].

1949 წელს ა. ბოლტუნოვამ გამოაქვეყნა ლურსმნული ტექსტებიდან გოეტცეს მიერ ამოკრებილი მასალები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ სახელი **ა რ მ ა ზ ი** — **Armas** დადასტურებულია ხეთურ ტექსტებში; სახელდობრ ბოღაზკოეში აღმოჩენილ წარწერებში, რომლებიც ხატუშილ II-ის გამეფების ისტორიას მოგვითხრობს. ირკვევა, რომ ხეთები მთვარის ღვთაებას უწოდებდნენ **Armaš** ან **Armas** (ძირი — arma). **Arma** ფუძიდან ნაწარმოები ჩანს, ა. გოეტცეს მიხედვით, მრავალი სახელი ხეთურ წარწერებში: მაგ., **Armaš, Armati, Armatallis, Armatanšaš** და ა. შ.[76]

ა. ბოლტუნოვა შესაძლებლად მიიჩნევს ძვ. წ. I ათასწლეულის მესამე მეოთხედში ვივარაუდოთ არსებობა სახელისა, რომელიც ნაწარმოებია ღვთაების — **Arma** სახელისაგან. მაგ., ბერძნული — ჰერმესი.

მითითებული მასალა საფუძველს გვაძლევს განსხვავებულად შევხედოთ ლეონტი მროველის ცნობას ფარნაოზის მიერ არმაზის კერპის აღმართვის შესახებ, რადგან ქართლის სამეფოს ოფიციალურ ღვთაების სახელი ხეთურ-მცირეაზიული ჩანს და არა მაინცდამაინც სპარსული. არმაზის სახელწოდების ხეთურ-მცირეაზიურობას იზიარებენ პროფ. გ. მელიქიშვილი[77] და პროფ. კ. გრიგოლია[78].

ლეონტი მროველის თხზულების მითითებული ადგილი, შესაძლოა, ფართოდ იყოს გაგებული. არაა გამორიცხული, რომ მროველი ან მისი წყარო საერთოდ წინააზიურს — სპარსულად მიიჩნევს. ეს შესაძლოა იყოს იმის მაუწყებელიც, რომ ლეონტის ზოგიერთი წყარო წარმოშობით სპარსეთის ზეობის დროინდელია.

ამასთანავე, სავარაუდოა როგორც „არმაზის“, ისე ზოგიერთი სხვა საღვთო სახელთა წინააზიური წარმოშობა, მიუხედავად იმისა, რომ ტრადიცია ზოგ მათგანს დაბეჯითებით სპარსულს უკავშირებს. უკვე არაერთხელ იყო მითითებული, რომ მთვარის კულტი განსაკუთრებით ვრცელდება ქართველ ტომებშიც და მცირე აზიასა და მესოპოტამიაშიც. უძველეს ღვთაებათა წინაააზიური სახელები „ნანა“, „ნინი“, „ინანა“ დაცულია ძველი ქართული კერპის „აინინა“-ს სახელში, ხოლო შემდეგში ის იქცა ეროვნულ სახელად ქართველი ქალებისა: „ნანა“, „ნინო“[79]. ანალოგიური მდგომარეობაა „დარი“ — „ტაროსი“ — სახელთა შემთხვევაშიაც. ეს სახელებიც ხეთურ სამყაროსთან ჩანან დაკავშირებული, სახელდობრ **Daru** — სიტყვის ეტიმოლოგიას სპეციალისტები ხატტურ ლექსიკაში პოულობენ[80]. დაახლოებით ასე დგას საკითხი ტერმინ „პიტიახშის“ წარმოშობის შესახებ[81].

მთავრის ღვთაების ხეთურ-მცირეაზიული სახელის შემოსვლა დაკავშირებული უნდა იყოს მცირე აზიიდან მუშკების (მესხების) ჩრდილო-აღმოსავლეთით გადმონაცვლებასთან და მათ მიერ სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაკავებასთან[82].

---

[74] იქვე, გვ. 101.

[75] შ. ამირანაშვილი, ქართული რელიეფური ტანდაკების უძველესი ნიმუში. საქ-ლოს მუზეუმის მოამბე, XII-B, თბ., 1944, გვ. 123.

შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, გვ. 56.

[76] А. И. Болтунова, К вопросу об Армази. ВДИ № 2, М., 1949, გვ. 236—240.

[77] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954, გვ. 420—421. Г. А. Меликишвили, Происхождение грузинского народа, Тб., 1953, გვ. 44.

[78] კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 71.

[79] С. Н. Джанашиа, К вопросу о языке и истории хеттов. Труды, III, გვ. 204.

[80] С. Н. Джанашиа, იქვე; Г. Г. Гиоргадзе, К вопросу о локализации и языковой структуре каскских этнических и географических названий. Переднеазиатский сборник, გვ. 205—206.

[81] Г. Капанцян, О двух социально-политических терминах... ВДИ, № 3, 1949, გვ. 11—12.

[82] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 420.

გვიან, სამეფოს პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთით გადმონაცვლებასთან და მტკვრისა და არავის შესაყართან არსებული ქალაქის — ქართლის დედაქალაქად გამოცხადებასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ოფიციალურ ღვთაებად გამოცხადებულ იქნა „ა რ მ ა“. უნდა ვიფიქროთ, რომ მთვარის ღვთაების ხეთურ-მცირეაზიულ სახელს ქართლში ძვ. წ. V—IV საუკუნემდე არ იცნობდნენ და თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაებას ადგილობრივი სახელით. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი ტომები — მუშქები (მესხები) და მათ მიერ ჩრდილოეთისკენ შევიწროებული, აგრეთვე, ქართველი ტომები — სასპერ-იბერები, ცნობდნენ მთვარის ღვთაებას — პირველნი —Armas-ს სახელით, მეორენი კი რას უწოდებდნენ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით. თუ ეს ვანი[83]; აქ და ზოგ სხვა დოკუმენტში „არმა“ იქცევს ყურადღებას).

თითქმის ანალოგიური ვითარება იყო ქრისტიანობის გამოცხადებისას. ქრისტიანობამ არმაზი განდევნა ქართლის პანთეონიდან. არსებითად განიდევნა სახელი „ა რ მ ა ზ ი“, მაგრამ მთვარის თაყვანისცემა დიდხანს იყო ქართველ ხალხში, ოღონდ უკვე „წმ. გიორგის“ სახითა და სახელით.

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ გზით შემოიჭრა ქართლში „არმა“ — „ა რ მ ა ს“, რამაც შემდეგ მოგვცა ქართულში გავრცელებული ფორმა „არმაზი“ და „არმაზცისე“.

ქართულში ხ-ის განვითარება ზ-დ მოულოდნელი არ არის. ს. ჯანაშიას (სანებისა და ზანების საკითხის განხილვისას) შეუძლებლად არ მიაჩნია ს-ის გადასვლა ზ-ში, ოღონდ ეს მიჩნეული აქვს



სურ. 98. მცხეთის შიდაციხის მეორე და მესამე უბანი—რეკონსტრუქცია

რაუდი საფუძვლიანია, მაშინ აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ „არმა“-ს ოფიციალურ ღვთაებად გამოცხადებით ქართლის პანთეონში არსებითად არაფერი შეცვლილა. შესაძლოა, ამიტომ იყო, რომ ადგილობრივმა მკვიდრებმა ის კარგად მიიღეს; ყოველ შემთხვევაში სხვაგვარი ცნობა ჩვენ არა გვაქვს. ადგილობრივნი მთვარის კულტს ადრევე სცემდნენ თაყვანს და ამ კულტის ოფიციალურ ღვთაებად გამოცხადებას დაუკავშირდა აღიარება მისი ხეთურ-ფინაააზიური წარმოშობის სახელისა — ა რ მ ა ს (შდრ. სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის „მაღალნი დადნეს არმაზადე-

[83] Н. Я. Марр, Описание рукописей Синайского монастыря. М.-Л., 1941, გვ. 11.

მეორე საფეხურად. პირველ საფეხურზე ბერძნული Σάνοι და რომაული Sanni ს. ჯანაშიას მიხედვით, უნდა წავიკითხოთ „ს ა ნ ნ“, მეორე საფეხურზე კი ადგილობრივი ზ ა ნ-ია[84]. მსგავსი ვითარება ჩანს ქართლშიაც. ადრინდელ საფეხურზე უნდა გვქონოდა ა რ მ ა-ს-ც ი ხ ე; შემდეგში (უკვე ძვ. წ. პირველ საუკუნეებში) მივიღეთ ა რ მ ა-ზ-ც ი ხ ე, რაც ტრადიციამ უფრო გვიან ორმუზდს დაუკავშირა.

ა. ბოლტუნოვამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ქართულში სიტყვა Armas გვხვდება ფუძის სახით და ბრუნვათა დაბოლოება ეპატება სწორედ

[84] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, აბერი. შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 29.

ამ ფორმას და არა ნამდვილ ფუძეს — ხეთურში Armа. ეს გარემოებაც ამ სიტყვის ნასესხობას უნდა მიუთითებდეს[55].

ქართლში, იმ დროს უკვე შესამჩნევად განვითარებული მიწათმოქმედებისა და მეტალურგიის ქვეყანაში „არმაზი" და ქართლის პანთეონის სხვა ღვთაებები სასარგებლო თვისებების მქონენი ჩანან — „სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომცემნი. ქვეყნის ნაშობთა გამომზრდელნი და თანაც „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთა"[56]. ასეთ ღვთაებებს შეეძლოთ მიეღოთ აღიარება და თაყვანისცემა დაწინაურებული მიწათმოქმედი და მეტალურგი ქართლელებისა. იქნება ამ მხრივ დამახასიათებელი სწორედ ის იყო, რომ შედარებით თვალსაჩინო კვალი არმაზმა დედაქალაქში დატოვა, ხოლო სამეფოს ტერიტორიაზე ფართოდ არ გავრცელდა, რაკი არსებითად ახალს არაფერს წარმოადგენდა პერიფერიისათვის, სადაც არმაზის ოფიციალურ გამოცხადებას, არ შეიძლებოდა ფართო ხასიათი ჰქონოდა. ეს უფრო საქალაქო ან დედაქალაქის მოვლენა ჩანს, რომელსაც მმართველი წრეები გარკვეულ პოლიტიკურ ამოცანასაც უსახავენ. ამ მოსაზრებას ვერ შეცვლის ქსნის ხეობაში დაცული გეოგრაფიული პუნქტი — არმაზი — და არმაზის მონასტერი[57].

დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ ახლანდელ ეტაპზე ქართლის ძველი დედაქალაქის სამხრეთი ნაწილის ერთ-ერთი სახელწოდების გაჩენა-გავრცელების ვითარება.

ამრიგად, ქართული და კლასიკური საისტორიო წყაროების საფუძველზე ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქი ისახება მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ამ მდინარეთა ორივე ნაპირზე ფართოდ გაშლილი. დედაქალაქს აქვს შიდაციხე, რომელსაც გარკვეული დროიდან არმაზის ციხე ან არმასციხე ეწოდება. არმაზციხე გაარღვეულია, როგორც შიდაციხე უცხოელ ავტორებთანაც და, შესაბამისად, აკროპოლისად არის ცნობილი. არმაზციხის სახელწოდება დაკავშირებული ჩანს აქ მთვარის ღვთაების ოფიციალურ კულტად აღიარებასთან. მისი სახელი სპარსულ ჰურამაზდას

[55] А. И. Болтунова, К вопросу об Армази, ВДИ, № 2, М., 1949. გვ. 239.

[56] ქართლის ცხოვრება, I. გვ. 106.

[57] Г. Н. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII—IX веков в Ксанском ущелье. Ars Georgica, 1, თბ., 1942, გვ. 1—30.

კი არ უკავშირდება, არამედ ხეთურ-მცირეაზიული წარმოშობისა უნდა იყოს და, შესაბამისად, მთვარის აღმნიშვნელი ჩანს. წყაროების ანალიზი ცხადსა ხდის, რომ სამეფოს ცენტრი ქალაქი ქართლი იყო; მან მისცა სახელი მთელ სამეფოს — ქართლი ყოველი; ქალაქი ორ ძირითად ნაწილად გაყოფილი ჩანს — მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე „არმაზით კერძი ქალაქი", ხოლო მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე — „მუხნარით კერძი ქალაქი". ქალაქ ქართლის (შემდგომ მცხეთის) მნიშვნელოვანი უბნებია აგრეთვე — წიწამური (სისამორა), სარკინე, ციხე-დიდი, ურიათუბანი, მოგუთა და ა. შ., თვალსაჩინო როლს ასრულებს ქალაქის ცხოვრებაში მისი გარეუბანი და მასთან დაკავშირებული დაბები და სოფლები, მდ. მდ. მტკვრისა და არაგვის ორივე ნაპირზე (ე. წ. დიდი მცხეთა).

ქართლის ძველი დედაქალაქის შიდაციხის აღგილმდებარეობის ზემოთ მოცემულ განსაზღვრას ეხმაურება უპირველეს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბაგინეთის მაღლობზე 1944—1947 წლებში აღმოჩენილი ძეგლები*.

1937—1947 წლებში განხორციელდა დაზვერვითი და გათხრითი სამუშაოები მცხეთაში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედაც. აქ უურადღებას იქცევდა ნანგრეევები, როგორც ჩანს ძველი ციხე-ქალაქისა, რომელიც დღევანდელი მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე — ბაგინეთის მაღლობზე ყოფილა განფენილი. ექსპედიციამ აქ აღმოაჩინა სამი სხვადასხვა დროის კულტურული ფენა და სათანადო ნაგებობათა ნაშთები. ქვედა, ე. ი. პირველი ფენა, უნდა მივიჩნიოთ უძველესი ქალაქის ნაშთად და ძვ. წ. IV—III საუკუნეებს მივაკუთვნოთ. ამ ხანის ნაშთთაგან აღსანიშნავია აღმოჩენა შიდაციხის გალავნისა, სასახლის ტიპის „სვეტებიან დარბაზისა" და სხვა შენობათა ნაშთებისა. შიდაციხის გალავნის შიგნით უძველესი ფენის ნაგებობათა აღმოჩენამ, განსაკუთრებით ე. წ. „სვეტებიანი დარბაზის" გათხრამ, შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ აქ ქართლის სამეფო რეზიდენციის არსებობა ყოფილიყო ნავარაუდევი. მომდევნო ხანის ნაგებობათა და სამეფო წრის საბარხთა აღმოჩენამ, აბანოსა და „ბარნის უბნის"

* შიდაციხის — საკუთრივ არმაზციხის ერთ-ერთი მონაკვეთის რეკონსტრუქცია გააკეთა არქიტექტორმა ი. ციციშვილმა, გათხრებისას გამოვლენილ ნანგრეევთა საფუძველზე (სურ. 98).

გათხრამ გამოამჟღავნა სამი სხვადასხვა დროის ქალაქის ნაშთები და შუქი მოჰფინა შიდაციხის ცხოვრებას ადრეფეოდალურ ხანამდე ჩაინც.

შიდაციხის აღმოჩენამ — ქვათლილებით ნაშენმა გრანდიოზულმა გალავანმა კოშკებმა და კონტრფორსებმა სურ. 2—5; ტაბ. VII—XI). აგრეთვე, შიგნითა ტერიტორიაზე გათხრილმა ნაგებობებმა თავიდანვე ცხადი გახადეს, რომ ბაგინეთის მაღლობი ინახავდა საისტორიო წყაროებით კარგად ცნობილ შიდაციხეს, არმაზციხეს, აკროპოლისს ძველი დედაქალაქისას. აქ, არმაზის ანუ ქართლის ქედის დასასრულთან შემოზღუდული აღმოჩენა დაახლოებით 30 ჰექტარი ფართობი. ეს ადგილი, როგორც ჩანს, ყურადღებას იქცევდა ამ 50 წლის წინათაც. ბაგინეთის ქვედა ტერასაზე შემორჩენილი ნანგრევების გათხრა უცდია დ. ქუთათელაძეს და მითითებულ ნანგრევებს გარდა უნახავს „დიდად საყურადღებო ძველი შთენილი კიბის ხუთი თვალი, რომელი ადის კარსანზე"[88].

ამრიგად, ბაგინეთის ზეგანზე უკვე ცხრაასიან წლებში არა მარტო მიწისზედა მოზრდილი ოროთახიანი ნაგებობის არსებობა სცოდნიათ, არამედ შიდაციხის გალავნის საძირკვლის ქვათლილებიც უნახავთ. კლდეში ამოკვრილ ფოსოებში მართლაც კიბის საფეხურებრივ ჩასმული. აღნიშნული ძეგლთა სისტემატიური შესწავლა მაშინ არ განხორციელებულა და 30 წლის შემდეგ ის ხელახლა აღმოსაჩენი გახდა.

ამრიგად, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები იყო ცნობილი ბაგინეთის მიდამოებში და მისი წინასწარული შესწავლა დ. ქუთათელაძეს განუხორციელებია. ორსენაკიანი ნაგებობის გათხრისას 3 ფენაა აღმოჩენილი: ზედა, შუა და ქვედა. პირველ ორ ფენაში გამთხრელს უპოვნია: ჯამის ნამტვრევები, შიგნით ფერად მოხატული; ჩუქურთმიანი ქვა; პაუწმენდავი მარმარილო; მინის ნატეხები, მინის რგოლის (სამაჯურის თუ ყურჭლის ყურის) ნატეხი; კრამიტის ნატეხები და სხვ. ქვედა ფენაში გამთხრელს „საარქეოლოგიო სიმდიდრე" შეუმჩნევია. ასეთად არის მიჩნეული; ორფა, უკირო, ათი ქვათლილისაგან უკიროდ ნაწყობი კედელი; „ქვები ერთმანეთზე დამაგრებულია იმით, რომ მათ აქვთ ფოსოები ერთმანეთის პირდაპირ, რომლებშიც შემჩნეული იყო ზოგან ქვის სოლი". ნაპოვნია გათლილი ქვა; გათლილი და პირგაწმენდილი მარმარილოს ფილაქნები, რკინის სამი კეტი; აღმოჩენილია „კირით შენალესის ნატეხი, შეფერადებული წითელ-თეთრ-მწვანედ და მათ შორის ქალის პატარა ნატეხი გულის ზევით გვარიანლამაზად დახატული; გაშავებული ქოთანი, რომელშიაც ქათმის ძვლები უპოვნიათ; სპილენძის ნაჯახი, ყურსაკიდი, მძივები, სპილენძის ოთხკუთხა ფირფიტა და მრავალი სხვა.

გამთხრელი დასასრულ აღნიშნავს, რომ „ცეცხლის გავლენა ეტყობოდა ქვებსაც: ზოგი გაალულგარუჯულია, ბევრი მათგანი შედუღებულია ერთმანეთში, კირის ქვა, სადაც კი შეხებია ცეცხლი დამშვარა და წმინდა კირი ქცეულა"[89].

ასეთია ბაგინეთის სიძველეთა პირველი გამთხრელის დ. ქუთათელაძის აღმოჩენების მოკლე შედეგები. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილი არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით ჩვენს მუზეუმებში არა ჩანს და ამის გამო, მათ შესახებ დაწვრილებით არაფერი ითქმის.

როგორც ვნახეთ, ბაგინეთის არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლის პირველ საფეხურზე არის აღმოჩენილი ორი საამშენებლო პერიოდის ძეგლები: ა) უძველესი — დიდრონი ქვათლილებით მშრალად ნაწყობი და ბ) ზედა — ქვიტკირისა. მტკიცედ ნაგები, უშუალოდ უძველეს ფენაზე და თანაც, ამ უკანასკნელის ქვათლილების შემცველი. შემდეგში იქ მუშაობა არ გაგრძელებულა, ხოლო აღმოჩენილი მასალა არავის ვამოუყენებია არმაზისა და არმაზის ციხის ლოკალიზაციის საკითხების კვლევისას.

ბაგინეთის არქეოლოგიური შესწავლის მეორე საფეხური იწყება 1937 წელს, როდესაც ს. ჯანაშიას ინიციატივით მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო ზოლზე არქეოლოგიური ძიება დაიწყო ალ. კალანდაძის მეთაურობით. ინსტიტუტის ასეთი ნაბიჯი იმით იყო გამოწვეული და იმავე დროს, სწორედ ამ მხარეზე ივარაუდებოდა ძველი წერილობითი წყაროების ცნობებით არმაზი — არმაზის ციხე ანუ შიდაციხე ძველი დედაქალაქისა[90].

როგორც ამ ნაშრომის პირველ თავში ვნახეთ ინსტიტუტის ეს ვარაუდი გაამართლა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმის მიერ განხორციელებულმა გათხრებმა. გათხრებმა

[88] დ. ქუთათელაძე, რაპორტი, ბაგინეთზე განხორციელებული გათხრების შესახებ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივი.

[89] დ. ქუთათელაძე, იქვე, გვ. 2.

[90] მცხეთა I, გვ. 123.



სურ. 99. შიდაციხის აბანო. გეგმა და განაკვეთები

გვიჩვენა, რომ გალავნით შემოუზღუდავთ ქართლის (არმაზის) ქედის დასასრული, აღმოსავლეთის ბოლო მაღლობი. ქედის ეს ნაწილი ჯერ ციცაბოა, შემდეგ კი ტერასებად დასერილი და შესამჩნევად მოვაკებული ზეგანებია შექმნილი ტერასების შესაბამისად. მოვაკებული შემაღლებები ქვედა ნაწილში (აღმოსავლეთისკენ) თანდათან ფართოვდება. ამ შემაღლებას აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდ. მტკვარი ჩაუდის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან პატარა ქედი გასდევს. ამ უკანასკნელს მწვერვალზე უერთდება ჩრდილოეთიდან ამყოლი ქედი. ამ ორ პატარა ქედს აუყვება შიდაციხის გალავანი. როგორც ჩანს, გალავანი მიუყვებოდა მაღლობს მტკვრის პირასაც. ასე შეკრული ტერიტორია მოგვაგონებს დიდ, თითქმის თანასწორფერდებიან სამკუთხედს, რომლის საერთო ტერიტორია 30-ოდე ჰექტარს აღწევს. გათხრები გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებულ გამაგრებას ამ სამკუთხედის სამხრეთი მხარე საჭიროებდა. სწორედ ამ მხარეს არის აღმოჩენილი ზღუდის ორი რიგი. როგორც ვნახეთ, ზღუდე მაღალია (შემონახული ნაწილის სიმაღლე ზოგ ადგილას 6 მეტრამდე აღწევს) და განიერიც (2,9—3,0 მ). ზღუდის ქვედა ნაწილი და მისი კოშკები ქვათლილების კარგ წყობას წარმოადგენს (სურ. 2—6). ქვათლილები ერთიმეორესთან ქვის ან ხის უწყვეტით იყო გადაბმული. ქვათლილების წყობა კლდეზეა ამოყვანილი. ციცაბო კლდის ზედაპირზე ღრმა ფოსოები თუ ბუდეებია ამოკვეთილი ქვათლილების ჩასადგმელად. ამ გზით ბუდეებში ჩამჯდარი ქვათლილები საფეხურებრივი წყობის შთაბეჭდილებას ქმნიან. ჰორიზონტალურ ზედაპირიანი ცოკოლი შესაძლებელსა ხდის აყვანილ იქნას ალიზის მაღალი და საკმაოდ მყარი კედელი, რომელსაც ხშირი კოშკები და კონტრფორსები აქვს[91].

გალავნის საფუძვლის ქვათლილთა რიგების რაოდენობა იცვლება ქედის დაქანების შესაბამისად. ქვათლილები გალავნის ქვედა ნაწილის პერანგს წარმოადგენს ზღუდის მთელ სიგრძეზე.

შემოზღუდული ტერიტორიის უმაღლეს წერტილზე დიდრონი ქვათლილების ნაგებობის ნაშთია აღმოჩენილი (ტაბ. VII, 1—2). ამ წყობის მოყვანილობა საფუძველს იძლევა სწორედ აქ ვივარაუდოთ საკერპო ადგილი. ამ ვარაუდს ისიც უწყობს ხელს, რომ ის უმაღლესი წერტილია ქართლის (არმაზის) ქედის ცხვირთან და იქიდან შესანიშნავად მოჩანს ძველ დედაქალაქში მიმავალი გზები — სამხრეთიდან მტკვრის ხეობით, ჩრდილოეთიდან— არაგვის ხეობით და დასავლეთიდან — კვლავ მტკვრის ხეობით (ტაბ. V, 1—2).

შიდაციხის შიგნითა ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნაგებობათა შორის, როგორც პირველ თავშია მითითებული, გამოირჩევა ე. წ. სვეტებიანი დარბაზი — სასახლის (ტაძრის) ტიპის ნაგებობა, აბანო, მარანი, წყალსადენის ნაშთები და სხვ. ყველაფერი ეს საფუძველს ქმნიდა, სწორედ აქ ყოფილიყო ნავარაუდევი სამეფო რეზიდენცია. ეს ვარაუდი კიდევ უფრო საფუძვლიანი შეიქმნა მას შემდეგ, რაც შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მავზოლეუმის ტიპის აკლდამა და სარკოფაგი (ტაბ. XXIX, 1, 3, 4), რომელშიც, როგორც მასში აღმოჩენილი ვერცხლის კოვზის წარწერიდან გაირკვა, მეფე ან მეფის ასულია მოხსენებული.

გათხრებმა გამოავლინა მრავალრიცხოვანი საამშენებლო და არქიტექტურული დეტალი, დამახასიათებელი შიდაციხის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აშენებული ნაგებობებისა.

ამრიგად, ბაგინეთის მაღლობზე გათხრილი გალავანი და გალავნის შიგნითა ნაგებობები, სამარხები, აბანო, მარანი და წყალსადენი — არმაზის ქედის ამ დასასრულს მეტად საყურადღებოს ხდის. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება თუ აქ აღმოჩენილ წარწერებს გავითვალისწინებთ და იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ტერიტორიის დასაცავად ნაქულბაქევთან, როგორც მცხეთის პირველი წარწერის განხილვისას ვნახეთ, საგანგებო ზღუდე იყო აშენებული (ტაბ. XIX, 3—4).

ამრიგად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ისახება ძველი დედაქალაქის შიდაციხის მთელი სისტემა. მას იცავს ბუნებრივი სიმაგრეები (მდ. მტკვარი, ვიწრო გასასვლელები, ნაქულბაქევის შემაღლება), დიდი გალავანი ნაქულბაქევთან და რთული საფორტიფიკაციო ნაგებობანი ბაგინეთის მაღლობზე. შიდაციხის ტერიტორიაზე სახელმწიფო მნიშვნელობის ნაგებობებია აღმოჩენილი, რომელ-

[91] ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა სინათლეზე. საქართველოს მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ. 28-ე სესიის თეზისები. თბ., 1948.

ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. I, თბ., 1958, გვ. 93—98.

თა შორის, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა: არმაზციხე I, არმაზციხე II და არმაზციხე III. დანიშნულების მიხედვით გაირჩევა: საფორტიფიკაციო, სასახლის (ტაძრის) ტიპის, სამეურნეო (მარანი), კომუნალური (აბანო, წყალსადენი) და სამარხი ნაგებობანი (ტაბ. VII—XVIII, XXVI, XXIX).

შიდაციხეს ფართო ტერიტორია უკავია და საჭირო შემთხვევაში ის მოსახლეობის თავშესაფარსაც შეიძლება წარმოადგენდეს. საამისოდ უნდა იყოს გაჭრილი საგანგებო კლდე-კარი არმაზციხის ჩრდილოეთ კიდეზე, მეფის ასულის სარკოფაგისკენ ჩამავალ გზასთან. კლდე-კარი ბაგინეთისა საჭირო შემთხვევაში საიდუმლო შესასვლელს წარმოადგენდა შიდაციხეში, ქალაქის ჩრდილო ნაწილიდანაც, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, მაგრამ მარჯვენა ნაპირთან ხიდითაც იყო დაკავშირებული.

ყველაფერი ეს ახალ საფუძველს გვაძლევს არმაზციხე მივიჩნიოთ დედაქალაქის შიდაციხეთ, რომელსაც შეუძლია შეიხიზნოს ქალაქის მოსახლეობა, იყოლიოს მეციხოვნე ჯარი, იყოს სამეფო რეზიდენცია. ასეთი თვალსაზრისის გამოთქმის საფუძველს ქმნიან არქეოლოგიური ძეგლები, აღმოჩენილი ბაგინეთის მაღლობზე, ე. ი. ნივთიერი საბუთებითაც დასტურდება ის, რაც წერილობითი წყაროების საფუძველზე იყო გაკეთებული.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის გათვალისწინების საფუძველზე ირკვევა, რომ არმაზის ციხე, შიდაციხე ან აკროპოლისი ბაგინეთის მაღლობზე მდებარეობდა, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. ამ მხარეს იყო მნიშვნელოვანი ნაწილი ძველი დედაქალაქისა — არმაზით ბერძი ქალაქი, რომელიც ნაქულბაქევამდე გრძელდებოდა. შესაბამისად, ქართლის (იბერიის) დედაქალაქი გაშლილი იყო დიდ ტერიტორიაზე — მდ. მტკვრისა და არაგვის შესაყართან, ამ მდინარეების ორივე ნაპირზე. ქალაქის ცალკეული უბნები ერთმეორესთან ხიდებით იყო დაკავშირებული— წყაროებში ცნობილია 2 ხიდი — ერთი მტკვარზე და მეორე — არაგვზე. სამეფო რეზიდენციიდან მოშორებით, მაგრამ მაინც შიდაციხის მხარესაა საერისთაო რეზიდენცია და ერისთავთა სამაროვანიც.

წინ თქმული, ჩვენის აზრით, გამორიცხავს მტკვრისა და არაგვის შესართავთან ორი დამოუკიდებელი ქალაქის არსებობას. არმაზი ან არმაზის ციხე დედაქალაქის (ქართლის, შემდეგ მცხეთის) ერთ-ერთ (შეიძლება უმნიშვნელოვანეს) ნაწილს— უბანს წარმოადგენდა, მაგრამ არ იყო ის დამოუკიდებელი ქალაქი.

ძველი დედაქალაქის ფიზიკურის უბანი

მიუხედავად შიდაციხის თხრის საყურადღებო შედეგებისა და ძველი დედაქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ხანის სამაროვანთა შესწავლისა, ქალაქის ცხოვრების მრავალი საკითხი ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. ცხადია, მხოლოდ შიდაციხის უკვე გათხრილ ნაწილში აღმოჩენილი ძეგლების და მცხეთის დედაქალაქობის ხანის სამაროვანში აღმოჩენილი მასალების გათვალისწინება სრულიადაც არ არის საკმარისი ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის კარგად დაწინაურებული საქალაქო ცხოვრების სწორი და მეტ-ნაკლებად სრული სურათის შესაქმნელად.

საქალაქო ცხოვრების სწორი სურათის შესამუშავებლად საჭირო არის, პირველ ყოვლისა, იმ რაიონების შესწავლა, რომლებიც ქალაქის მიდამოებს წარმოადგენენ, მაგრამ ანტიკურ ხანაში ქალაქის განუყოფელი ნაწილები იყვნენ.

„დიდი მცხეთა“, როგორც აღინიშნა, ერთი, მტკიცედ შეკრული ქალაქი არ იყო განვითარების იმ საფეხურზედაც კი, როდესაც ის ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად იქცა. „დიდი მცხეთა“ წარმოადგენდა კომპლექსს, რომელიც ცალკეული დასახლებებისაგან, მათი გაერთიანების შედეგად შეიქმნა. ქალაქად და, შემდეგ, სატახტო ქალაქად გადაქცევა ცალკეულ დასახლებათა გაერთიანებისშემდეგ უნდა მომხდარიყო, თავი ქალაქის — ქართლის მეთაურობით. რაკი სისტემას ქალაქი ქართლი მეთაურობს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი სახელი ჰქვია არა მარტო ქალაქს, არამედ სამეფოსაც. ამის გამო, ქალაქის შესწავლა ფართოდ, ე. ი. „დიდი მცხეთის“ შესწავლის გზით უნდა წარმართულიყო. ამის შესაბამისად მცხეთის ექსპედიცია დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში სამაროვნების თხრასთან ერთად „დიდი მცხეთის“ დაზვერვასაც ახორციელებდა. ამ მიზნით იყო დაწყებული ძიებანი ნაქულბაქევთან, სარკინე — გრძელ-მინდორთან (ტაბ. II, 3) და სხვ.

როგორც ვნახეთ, წერილობითი წყაროების ანალიზმა და არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ახა-

ლი შუქი მოჰფინა შიდაციხის — არმაზციხის, ანტიკური წყაროების პარმოზიკე-აკროპოლის ადგილმდებარეობის საკითხს, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე სადავო იყო ანტიკური წყაროების ცნობებში მოხსენებული გამაგრებული ქალაქის — „სისამორას“ ადგილმდებარეობა. არქეოლოგიამ თითქმის არაფერი იცოდა „სისამორას“ შესახებ და საამისოდ ერთადერთ წყაროს სტრაბონის „გეოგრაფიის“ მოკლე მითითება წარმოადგენდა. სისამორა იმ მხრივაც აღმოჩნდა განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში, რომ ის ძველი წყაროებიდან მხოლოდ სტრაბონთან არის მოხსენებული.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ის ადგილი, სადაც სომხეთიდან იბერიაში ხეობებით გადასასვლელ გზაზეა საუბარი, მნიშვნელოვან მითითებას შეიცავს აღმოსავლურ-ქართული სამეფოს (იბერიის) ძველი დედაქალაქის შესახებ. იქ ნათქვამია: „ხოლო არმენიიდან (შემოსასვლელი) არის მტკვრის ვიწროებზე და არაგვისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერწყმიან (ეს მდინარეები) იმ ადგილას კლდეებზე მდებარეობენ გამაგრებული ქალაქები, რომლებიც დაცილებულნი არიან ერთმანეთს დაახლოებით 16 სტადიონით, მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე (ე. ი. არაგვზე) სისამორა“[92].

ამ შემოსასვლელებით პირველად ისარგებლა პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო ამის შემდგომ კანიდოსმა“[93].

ახლა ჩვენი ყურადღების საგანი მეორე ქალაქია — სისამორა, იმის გამო, რომ იგი, ჩვენი აზრით, არმაზციხესთან ერთად ძველი დედაქალაქის მნიშვნელოვანი უბანი უნდა ყოფილიყო ძვ. წ. IV საუკუნიდან მაინც. სისამორას მნიშვნელობა ამითაც არ ამოიწურება. მისი ადგილმდებარეობის გარკვევა მნიშვნელოვანია ქართლის სამეფოს საზღვრის საკითხების კვლევისთვისაც. სისამორას უფრო დაწვრილებით შესწავლას და მის მართებულ ლოკალიზაციას, დაბოლოს, მნიშვნელობა აქვს თვით სტრაბონის წყაროების შემოწმებისათვის.

არ შეიძლება ითქვას, რომ წიწამურ-სისამორას საკითხი საისტორიო მეცნიერებაში უყურადღებოდ ყოფილიყო დატოვებული. ამ საკითხს იხილავდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში პლატონ იოსელიანი. იგი „სისამორას“ აწინდელი მცხეთის დასავლეთით ეძებდა და სარკინეს მიდამოებში გულისხმობდა[94].

უფრო გვიან ა. ნატროევმა მიაქცია ყურადღება სისამორას შესახებ სტრაბონის ცნობას და თავის სქელტანიან წიგნში მივიდა შემდეგ დასკვნამდე: «Севсамора — нынешняя деревня Цицамури (წიწამური), находящаяся на левом берегу р. Арагви, со стороны горы Зедазенской»[95]. ა. ნატროევს სისამურას ადგილმდებარეობის ასეთნაირი განსაზღვრისას, როგორც ჩანს, არქეოლოგიური მასალებიც გაუთვალისწინებია «Здесь же сохранились следы древних строений, требующих продолжительных изысканий[96]», წერდა ავტორი.

ამრიგად, პ. იოსელიანი და ა. ნატროევი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული შეხედულებისანი იყვნენ სისამორას ადგილმდებარეობის განსაზღვრის საკითხებზე. ორივე მკვლევარი, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა სენ-მარტენის მოსაზრე-

---

[92] სტრაბონის „გეოგრაფიის“ უკანასკნელი გამოცემები, რომლებშიაც ტექსტი ახლადაღმოჩენილი ხელნაწერების, სახელდობრ ძველი პალიმპსესტების მიხედვით არის დადგენილი, საფუძველს გვაძლევს ახლა ჩვენთვის სიინტერესო პუნქტის განსხვავებული დაწერისათვის. პალიმპსესტების სახით მოღწეული ნაწყვეტი საფუძველს გვაძლევს სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ თაში „სისამორა“ Σεσάμορα წაიკითხოთ. ეს უძველესი ვარიანტი უფრო ახლოა ქართულ წიწამურთან, ვიდრე ადრე ცნობილი („სევსამორა“). ამრიგად, ახალი საფუძველი გაჩნდა იმის ასახსნელად, რომ სტრაბონის წყაროს ქართული „წიწამური“ ბერძნულად „სისამორა“-ს ფორმით შეუთვისებია.

ამის გამო, როდესაც „წიწამურ-წიწამურას“ ბერძნულ ფორმას გადმოვცემთ „სისამორა“-ს უნდა მივცეთ უპირატესობა „სევსამორასთან“. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ახალ გამოცემას და „სისამორას“ შემოთავაზებულ წაკითხვას ჩვენი ყურადღება მიაქცია თ. აუეხნიშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ. შდრ. De Strabonis Codice Rescripto cuius reliquiae in codicibus Vaticanis vat. Gr. 2306 et 2061 A servate sunt-scripsit W. Aly Corollarium adiecit Franciscus Sbordone.

Studi e Testi, 188. Citta del Vaticano. Biblio Apostolica Vaticana, 1936, გვ. 193.

[93] გეოგრაფია, XI, III, 5.

[94] П. Н. Иоселиани, Описание Шиомгвимской пустыни. Т., 1845, გვ. 4.

[95] А. Н. Натроев, Мцхет и его собор Свети-Цховели. Т., 1900, გვ. 5.

[96] იქვე, გვ. 9.

ბასაც ამ საკითხზე. ცნობილია, რომ როგორც ჯერ კიდევ დ. ბაქრაძე აღნიშნავდა[97], სენ-მარტენმა 1812 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში შეუძლებლად მიიჩნია სტრაბონის „სისამორას“ მცხეთის ადგილას ვარაუდი; ამ ავტორის ვარაუდით სამთავროს სიმაგრე უნდა იყოს იგივე, რაც სტრაბონის „სისამორა“[98]. უნდა ვიფიქროთ, რომ სამთავროს სიმაგრეში სენ-მარტენს უნდა ეგულისხმა სწორედ დასასრული ველისა, რომელსაც, მის დროს მაინც, ჰქეტავდა ე. წ. „ბებრის ციხე“ (ტაბ. II, 2). განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს სენ-მარტენის მოსაზრებისა ლ. მელიქსეთ-ბეგს; იგი დარწმუნებულია იმაში, რომ სენ-მარტენი სამთავროს სიმაგრეში სამთავროს მონასტრის სიმაგრეს გულისხმობდა[99].

ძველი „სევსამორას“ ადგილსამყოფელის საკითხს სხვადასხვა დროს იხილავდნენ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი და პროფ. ს. კაკაბაძე.

პირველი ნაშრომი ამ საკითხზე ლ. მელიქსეთ-ბეგმა 1916 წელს გამოაქვეყნა. ეს იყო მისი მოხსენება: «В поисках Страбоновой Севсаморы (К вопросу о древнегрузинских местообитаниях»).

ამ ნაშრომში ლ. მელიქსეთ-ბეგი იხილავს, პირველ რიგში, სტრაბონის ცნობას, შემდეგ სენ-მარტენის მოსაზრებებს; აფასებს ვახუშტის, პლ. იოსელიანის და ივ. ჯავახიშვილის „დუშილს“ ამ საკითხზე და უარყოფს ა. ნატროვის მოსაზრებას „სისამორა“-წიწამურის იგივეობის შესახებ. ამას გარდა, ნაშრომის პირველ ნაწილში საკმაოდ დაწვრილებითაა გარჩეული „წიწამურის“ ეტიმოლოგია.

ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებლად და საფუძვლიანად იყენებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბერძნულ „სევსამორაში“ ჩვენ ნამდვილად „წიწამური“ — გვაქვს; იგი წერს: «Не подлежит сомнению, что в Севсаморе Страбона мы имеем груз. წიწამური «Цицамури».[103] Предположение о том, что в Севсаморе мы имеем Цицамури, становится особенно вероятным, если принять во внимание, что греч. Σευσάμορα и груз. წიწამური в отношении всех звуков покрывают друг-друга, подобно тому, как Ἀρμοξίχη покрывает არმაზ-ციხე: как Σευσάμορα, так и Ἀρμοξίχη представляются варварскими искажениями соответственных названий წიწამური Цицамури и არ-მაზციხე Армазцихе».[101]

ლ. მელიქსეთ-ბეგის მთელი ეს მსჯელობა ეხება მხოლოდ სახელწოდებათა დამთხვევას და არ გულისხმობს ბერძნულ სისამორას და აწინდელი წიწამურის ერთ ადგილას ლოკალიზაციას. როგორც აღვნიშნეთ, ლ. მელიქსეთ-ბეგი ასეთ ლოკალიზაციას არ იზიარებს.

სისამორას ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრისათვის ლ. მელიქსეთ-ბეგს მაშინ სავსებით საკმარისად მიაჩნდა სტრაბონის ცნობა.

სტრაბონის ცნობის მიხედვით ჩვენ შეგვეძლო გვემტკიცებინა, რომ: «Историческая Севсамора должна была находиться выше слияния Арагвы с Курой, при Арагве, на удобной для стратегических целей скале, которая остояла от исторической Армазики (Армазцихе) на расстоянии 16-ти стадиев».[102] ავტორის აზრით, ასეთ შემთხვევაშიც პუნქტი საძებნია. უნდა ვეძებნოს ის არაგვის მარცხენა თუ მარჯვენა ნაპირზე? — ასე იდგა საკითხი ლ. მელიქსეთ-ბეგის წინაშე. ამ საკითხის გადასაწყვეტად ავტორს, ერთის მხრივ, საკმარისად მიაჩნდა აეღო რუკა და არმაზციხიდან ცირკულით არაგვისაკენ სათანადო მასშტაბით 16 სტადიონი მოეზომა; მეორე მხრივ, საკითხის დასაზუსტებლად არქეოლოგიური მონაცემები შეესწავლა. როგორც ავტორის განცხადებიდან ჩანს, საკითხის გადასაწყვეტად მას ორივე ღონისძიება განუხორციელებია. აი რას წერს ის ამ სამუშაოთა ჩატარების შესახებ: «За последнее время я имел возможность произвести тщательные археологические разведки в районе Арагвского ущелья по правому и левому берегам реки выше Мцхета, для определения точного местонахождения древнейшей Севсаморы—Цицамури, и подобные разведки, в связи с ранее произведенными мною в том же районе изысканиями, привели

---

[97] Д. З. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства. Записки Общества любителей кавказской археологии, Т., 1875. გვ. 129.

[98] M. Sant-Martin, Memoire historique et geographique sur l'Armenie, II, Paris, 1819, გვ. 178.

[99] Л. М. Меликсет-Беков, В поисках Страбоновой Севсаморы, Т., 1917, გვ. 7.

[100] იქვე, გვ. 4.

[101] იქვე, გვ. 5

[102] იქვე, გვ. 7.

меня к тому убеждению, что искать Севсамору—Цицамури можно только по правому берегу р. Арагвы, так как левый берег этой последней не представляет из себя таких природных скалистых образований, которые, будучи увенчаны крепостными сооружениями, могли бы выполнять роль стратега, охранявшего проход «со стороны Армении» в Арагвское ущелье».[103]

არასაკმაოდ დამაჯერებლად მიაჩნია ლ. მელიქსეთ-ბეგს ა. ნატროევის განსაზღვრის ის ადგილი, სადაც მითითებულია წიწამურთან ძველი ნანგრევების არსებობაზე. ასეთი ნანგრევები შეიძლება იყოს ნაშთი არა ძველი სევსამორასი, არამედ რომელიმე პატარა სოფლისა, რომელმაც თვითნებურად მითვისაო ძველი ქალაქის „წიწამურის“ სახელი.

სენ-მარტენის მოსაზრებების განხილვისას ლ. მელიქსეთ-ბეგი აზუსტებს თავის განსაზღვრას და აღნიშნავს, რომ: «Во взглядах моем и М. Сен-Мартена получается лишь та разница, что Севсамору М. Сен-Мартен искал по одну сторону впоследствии раскопанного Байерном древнего Самтаврского кладбища, т. е. в крепости Самтавро, тогда как я искал и продолжаю искать её в районе от Самтавро до так называемой крепости Нацхор или Нацихвари, resp. Бебрис—цихе».[104]

ციხე-ქალაქისათვის შესაფერისი ადგილი ლ. მელიქსეთ-ბეგს არაგვის მარცხენა ნაპირას (აწინდელი წიწამურის) მიდამოებში არ ეგულებოდა და ამ თვალსაზრისითაც უპირატესობას ბებრისციხის მიდამოებს აძლევდა. ეს ადგილი მიაჩნდა მას ერთადერთ შესაფერის პუნქტად ძველი წყაროების „სევსამორისათვის“. ამ პუნქტის მნიშვნელობას, მკვლევრის აზრით, აძლიერებს ყოველმხრივ მთებით შემოფარგლული დიდი ქვაბული, რომელიც ბებრისციხის დასავლეთით არის, თითქოს საგანგებოდ ჩაღრმავებული.

ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მიაჩნია ავტორს თვითონ ამ ადგილის თუ სიმაგრის სახელწოდებაც — ნაცხორ-ნაციხვარი და ბებრისციხე; ეს სახელწოდებანი უნდა განხილულ იქნენ არა როგორც ძირითადი (ე. ი. ძველი, თავდაპირველი), არამედ როგორც გვიანდელი, რომელმაც შესცვალა პირვანდელი სახელწოდება ამ პუნქტისა; ე. ი. ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობდა, რომ სახელში „ბებრისციხე“ — ძველი ციხის, ნაციხვარის შინაარსი ჩაუდეიათო.

კიდევ ერთი საბუთია წამოყენებული ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ ამ ნაშრომში. ესაა საკვირო გზის ტრასა, რომელიც ავტორის მტკიცებით ე. წ. „პომპეუსის ხიდით“ მცხეთას გადიოდა და არაგვის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა. სწორედ აქ იყო საჭირო სიმაგრის არსებობა. «Роли одной из таких позиций, — წერს ლ. მელიქსეთ-ბეგი по выслеживанию прохода со стороны Армении в Арагвское ущелье, и притом, наиболее приближённых к месту слияния Арагвы с Курой, в до михетскую эпоху, несомненно могла выполнять Севсамора—Цицамури, которая, таким образом, должна быть представлена лежавшей именно по правому берегу р. Арагвы».[105]

ამრიგად აქვს სტრაბონის Σεισάμορα — ქართული წიწამურის ადგილმდებარეობის საკითხი გადაჭრილი ლ. მელიქსეთ-ბეგს თავის პირველ ნაშრომში ამ საკითხზე.

„წიწამურის“ ეტიმოლოგიის საკითხებს შეეხო ლ. მელიქსეთ-ბეგი სხვაგანაც. 1917 წელს ავტორმა გამოაქვეყნა კიდევაც თავისი შენიშვნები ამ საკითხზე წერილში, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში «Христианский Восток»[106].

ლ. მელიქსეთ-ბეგის ეს ნაშრომი წარმოადგენს გ. ბრეგაძის წერილის რუსულ გადმოცემას და შეიცავს „წიწამურის“ ეტიმოლოგიას ქართული „ციცაბო“ (კლდის) და მისი მრავლობითის — ციცაბოების გზით მოცემულს; თანაც იმ შემთხვევაში, როდესაც მთა ძალიან ციცაბოა. აი როგორ გადმოსცემს ლ. მელიქსეთ-ბეგი ბრეგაძის აზრს: «Если же, наконец, гора отличается чересчур отвесными и оголёнными склонами или, что тоже, Цицабо-ами («Цицаи»-ами), то такую гору называют წიწამური — цицамур-и или წიწამურმთა цицамур мта, т. е. «цицамур-гора»[107]. ამ ბოლო შენიშვნიდან ჩანს, რომ მისი მიზანი იყო ბრეგაძის „მცირე განმარტების“ შინაარსის გადმოცემა. საკუთარი მსჯელობა ამ საკითხზე ავტორს

[103] Л. М. Меликсет-Беков, დასახ. ნაშრ., გვ. 9.
[104] იქვე, გვ. 10.
[105] იქვე, გვ. 13.

[106] Л. М. Меликсет-Беков. К этимологии названий „Мцхета“ и „Цицамури“. Христианский Восток, т. VI, вып. I, М., 1917, გვ. 90—92.
[107] იქვე, გვ. 91.

არ გაუმართავს და მხოლოდ შენიშვნით დაკმაყოფილდა: Вопрос о происхождении названия «Цинамур-и» до поры до времени всё-таки должен оставаться открытым»[108].

ამ წერილში არსებითად განვიხილულია „წიწამურის“ ეტიმოლოგიის საკითხში ის, რაც ავტორმა 1916 წლის მოხსენებაში გამოაქვეყნა და რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე საკმაოდ დაწვრილებით განვიხილეთ.

ნაშრომში „ქართული სახელმწიფოებრივობის გენეზისის საკითხები“, რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა, ს. კაკაბაძე იხილავს: მცხეთის, ქართლის — ქართის, არმაზციხისა და წიწამურის ლოკალიზაციისა და სახელწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

სტრაბონის სისამორას ადგილმდებარეობა ავტორს დაწვრილებით გარჩეული არა აქვს, მაგრამ ის იშველიებს ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ მოცემულ განსაზღვრებებს და, როგორც ჩანს, ძველ სევსამორას „ბებრის-ციხის“ ადგილს გულისხმობს[109].

შედარებით ვრცლად იხილავს ს. კაკაბაძე ამ პუნქტის სახელწოდების საკითხს. აი რას წერს ამის თაობაზე ავტორი: „შემდეგდროინდელ ქართული სახელის წიწამურის შესატყვისი სახელი, თავისი ძირით ენათესავება ეხლაც ხუნძახურში წარმოდგენილ ძირ წეწ, რაც ნიშნავს კორძს, ბებერას. წიწამური წარმოადგენს არსებ. სახელს ორმაგი მრავლობითი რიცხვით წეწ-ამ (-ან)-ორ. ამ დაბოლოებათაგან სიტყვა წეწ-ამურ-ში ერთი ამ წარმოადგენს დეგრადიულ ან-ს, რომელიც ახლაც იხმარება, თუმცა არა საყოველთაოდ, ხუნძახურში. ხოლო მეორე დაბოლოება — შემდეგდროინდელი ურ (წიწამ-ურ-ი) არის იგივე ორ, რომელიც წარმოადგენს პარალელურს ფორმას შედარებით სვანურ მრავლ. რიცხვის დაბოლოებასთან ან... ზემომოყვანილი განმარტების შემდეგ ცხადია, რომ ქართული სახელწოდება ამ პუნქტისა — ბებრის ციხე წარმოადგენს თარგმანს წინად არსებულ სახელისას — წეწ-ამ-ორ-ბებერაები ანუ ბებრის-ციხე. შემდეგს დროებში ამ სტრაბონის დროს ცნობილ ქალაქის ადგილს შერჩა ქართული სახელი (ბებრის-ციხე), წინად არსებული სახელი კი მიეთვისა არაგვის აღმოსავლეთ ნაპირას მდებარე სხვა პუნქტს, რომელიც ეხლაც ცნობილია სოფელ წიწამურის სახელით.

...არმაზის ახლოსვე, 3 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე, მდებარეობდა პატარა ქალაქი Σευσάμορα წეწ-ამორი, რომელიც ჯერ კიდევ ატარებდა თავისს ძველს, აწინდელს ხუნძახურთან დაახლოებულ სახელს ორმაგი მრავლობითი რიცხვით, რომელთაგან მეორე სუფიქსი მრავლ. რიცხვისა შემდეგ დროინდელ სვანურთან ახლომდგარ კილოს მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. სტრაბონის წეწ-ამორ-ი ამგვარად წარმოგვიდგენს ჩვენ იბერიის ტერიტორიის ლინგვისტურ გარდაქმნის ორ ფენას“[110].

1928 წელს გამოქვეყნებულ წერილში ს. კაკაბაძემ საგრძნობლად შესცვალა, შეასწორა და დააზუსტა თავისი მოსაზრებანი ძველი ციხე-ქალაქის წიწამურის ადგილ-სამყოფელის შესახებ.

თავის წერილში „ქალ. არმაზი — ქალ. მცხეთა“, სარგის კაკაბაძე აღნიშნავს: — „არმაზ — ქართლის ქალაქიდან დაახლ. 3 კილომეტრზე, მაგრამ უკვე არაგვზე და ისიც კლდეზე მდებარეობდა სტრაბონის სიტყვით ქალაქი (იგულისხმება ციხე) Σευσάμορα, რომელიც უნდა იკითხებოდეს ქართული გამოთქმით როგორც წიწამური. არაგვზე ციხე IV საუკუნეში იგულისხმებოდა გარკვეულ ადგილას, სახელდობრ ეგრეთ წოდებულ ანტიოქიის ეკლესიის ახლოს და მის ჩრდილოეთით კლდოვან ნაპირას. საფიქრებელია, რომ სტრაბონის დროსაც სიმაგრე ამ ადგილას უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ არმაზის ქალაქიდან დაახლოებით 3 კილომეტრის მანძილი არაგვის სანაპირომდის შეიძლება მხოლოდ იმ ადგილის მიმართულებით იქნეს ნაგულისხმევი. არმაზის ხევიდან ანტიოქიის ეკლესიამდე ითვლება 3½ კმ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არმაზის ქალაქი ციხით თავდებოდა არმაზისხევის აღმოსავლეთით კილომეტრზე მეტს ადგილს, მაშინ მივიღებთ სტრაბონის წიწამურის დაახლ. ქართული წყაროს „არაგვის კარის“ ადგილას[111]. ამრიგად, ს. კაკაბაძე თვლის, რომ სტრაბონის სევსამორა ე. წ. ანტიოქიის ეკლესიასთან და მის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ე. ი. მტკვრისა და არაგვის შესართავთან, პირველის მარცხენა და მეორის მარჯვენა ნაპირების სამკუთ-

---

108 Л. М. Меликсет-Беков, იქვე, გვ. 92, შენიშვნა 1.

109 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრივობის გენეზისის საკითხები, გვ. 12.

110 ს. კაკაბაძე, იქვე, გვ. 12—13.

111 ს. კაკაბაძე, ქალ. არმაზი — ქალ. მცხეთა, გვ. 9.

ხოვან კონცხზე, იქ სადაც ჩვენ დრომდე შემოინახა „ანტიოქიის ეკლესიის“ ნანგრევები.

იმავე წერილში ს. კაკაბაძე წიწამურის სახელწოდებასაც განიხილავს. „წიწამურის სახელის მატარებელი (მხოლოდ უკვე ქართული თარგმანით) აღნიშნავს ს. კაკაბაძე, უნდა იყოს ბებრის-ციხე, მოღწეული შენობებით შემდეგდროინდელი აღმშენებლობის ნაშთი... შესაძლებელია, რომ პომპეუსის დროს წიწამური ერქვა შემდეგდროინდელი მცხეთის არაგვის კარის რაიონსაც“[112]. პროფ. ს. კაკაბაძე მიიჩნევ ასევეს მცხეთის არაგვის კარის ძველ სახელწოდებას და ბებრის-ციხის ძველ სახელწოდებას ერთმანეთისაგან. ის შესაძლებლად მიიჩნევს მცხეთის არაგვის კარი, ე. ი. ანტიოქიის ეკლესიის მიდამოები ეწოდებოდა, „ქვემო წიწამური“, განსასხვავებლად ზემო წიწამურისაგან — „ბებრის-ციხე“[113]. მაშასადამე, პროფ. ს. კაკაბაძის მიხედვით, ძველი წიწამური მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, ისე, რომ ქვემო წიწამურს „ანტიოქიის ეკლესიის „მიდამოები ანუ მცხეთის არაგვისკარი წარმოადგენდა, ხოლო ზემო წიწამურს ბებრის-ციხე.

წიწამურის საკითხს დაუბრუნდა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი 1938 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, სადაც გაიმეორა თავისი ადრე გამოთქმული მოსაზრება: «по нашему же мнению, она есть не что иное, как древний Цицамури (წიწამური), который, в отличие от настоящей деревни, носящий то-же название, локализуется нами к району крепости Нацхор—Беброцихе»[114].

ამასვე იმეორებს ავტორი ნაშრომში მეგალითური კულტურის შესახებ. სისამორა-წიწამური მას ეგულება მცხეთაში, სამთავროს სასაფლაოზე, სამხედრო გზის პირას, ნაცხორ-ბებრისციხემდე[115].

მოკლედ შევეხეთ ჩვენ წიწამურის საკითხს 1945 წელს საეურნალო წერილში „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში“, სადაც ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობები გვაქვს გადმოცემული არმაზციხისა და წიწამურის (ჰარმოზიკე და სისამორა) ადგილმდებარეობის შესახებ. სხვათა შორის ვახსენეთ მაშინ სისამორა იმიტომ, რომ ამ ხანებში ჩვენ არმაზციხეს ვთხრიდით, ხოლო სისამორას შესახებ არაფერი გვეთქმოდა არქეოლოგიური მასალების უქონლობის გამო. აი რას ვწერდით მაშინ: „ბერძენი გეოგრაფი სტრაბონის გადმოგვცემს, „რომ მტკვრისა და არაგვის შესართავთან კლდეზე ორი გამაგრებული ქალაქია აშენებული, ისინი ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან 16 სტადიონით, 3154 მეტრით, დახლოებით ამდენი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთს სტრაბონისეული სისამორა, თანამედროვე წიწამური და ის ადგილი, სადაც არმაზციხეა საგულისხმოელი. სტრაბონი ასახელებს კიდევაც ამ ქალაქებს. მტკვართან ჰარმოზიკა, არაგვთან კი სისამორაა დასახელებული“[116]. ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ სტრაბონისეული სისამორა ჩვენ სწორედ თანამედროვე წიწამურის მიდამოებში გვეგულებოდა; სხვა აღგილას ჩვენ მას საერთოდ არაგვის კარის ჩამკეტადაც წარმოვიდგენდით[117]. ასეთი მოსაზრებები უსაფუძვლოდ მიიჩნია და უარყო ლ. მელიქსეთ-ბეგმა 1948 წელს გამოქვეყნებულ წერილში[118].

სევსამორას შესახებ თავისი პირველი ნაშრომის გამოქვეყნებიდან 32 წლის თავზე, 1948 წელს ლ. მელიქსეთ-ბეგმა ახალი, სპეციალური სტატია დაბეჭდა, რომელშიც წინანდელისაგან არსებითად განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვა. ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა შეცვლის მიზეზად ლ. მელიქსეთ-ბეგი არქეოლოგიურ აღმოჩენებს ასახელებს: Положение это (საუბარია იმის შესახებ, რომ სისამორა მას ბებრის-ციხის ადგილზე ეგულებოდა — ა. ა.) однако, ныне, в свете результатов археологических раскопок и открытий последних лет, требует коренного пересмотра, в смысле максимального согласования с указанием Страбона, заслуживающего, безусловного доверия».[119]

---

[112] იქვე.

[113] იქვე, გვ. 9.

[114] Л. М. Меликсет-Беков, Армазни, Тб., 1938, გვ. 45.

[115] ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938, გვ. 76.

[116] ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში. ჟურნ. ბოლშევიკი. თბ., 1945, № 6, გვ. 62.

[117] ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროების Σεουάμορα — წიწამური. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. 1, თბ., 1958, გვ. 138.

[118] Л. Л. Меликсет-Беков, К вопросу о местоположении Севаморы. ВДИ, № 4, М., 1948, გვ. 230—235.

[119] იქვე, გვ. 203.

ამ ახალ ნაშრომში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ამტკიცებს, რომ ანტიკური სევსამორა იყო მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ჯვრის მონასტრის ადგილას — ბორცვის ჯვარზე. ამ მოსაზრების შესაბამისად ავტორმა მორიგი ამოცანა დაუსახა მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას: «Очередная задача Мцхетской археологической экспедиции АН Грузинской ССР — заняться вопросом по выяснению скрытых в земле пластов—остатков античной Севсаморы на холме Борцвис-джвари и озерного бассейна за ним».[120]

რის საფუძველზე მივიდა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ანტიკური სევსამორას ასეთ ახლებურ ლოკალიზაციამდე?

პირველყოვლისა ავტორი მიიჩნევს, რომ აწინდელი „წიწამურის" ანტიკურ „სევსამორასთან" გაიგივება ხალხური გადმოცემებით გატაცებაა და მისი აზრით არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ «В вопросе локализации Севсаморы несколько поумерить пыл увлечения народными преданиями.[121] ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველს ავტორის მიხედვით არმაზციხის მაგალითი გვაძლევს: «Пример Армазцихе, которое на протяжении веков усматривали в небольшом замке, расположенном на противоположном конце так наз. Армазского протяжения, между тем как античный город-крепость под этим названием следовало бы искать на другом конце — ближе к месту слияния Арагви с Курой...».[122]

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი აწინდელ ს. წიწამურს ამჯობინებს „ახალი წიწამური" შეარქვას.

ამ წერილშიაც ლ. მელიქსეთ-ბეგი დიდ ყურადღებას უთმობს სახელწოდება „წიწამურის" სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ და მორფოლოგიურ მხარეს. არსებითად ამ მხრივ ახალი ამ სტატიაში არაფერია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ავტორი ძალიან ამახვილებს ყურადღებას ე. წ. „ძუძუს-წყაროს" სახელწოდებაზე, მცხეთის ჯვრის მონასტრის ქვემოთ, ბორცვის დასავლეთ კალთაზე რომ არის. ამ სახელწოდებით ცნობილ ადგილს ახალი მნიშვნელობა აქვს ავტორთან მიღებული იმასთან დაკავშირებით, რომ ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დააზუსტეს არმაზციხის ადგილმდებარეობა. ახლა სწორედ ამ „ძუძუს წყაროს" შეუძლია: «Приоткрыть нам новую страницу в деле изучения истории древнейшей столицы Иберии — Мцхеты и её предместий — пригородов, в частности по выяснению местоположения укреплённого города при Арагве — античной Севсаморы, который никак уже нельзя индентифизировать ни с Самтавро (M. Sant-Martin), ни с Саркине (П. Иоселиани), ни с урочищем Цицамури (А. Натроев и др.), ни с Нацхор, Бебрисцихе (как полагали мы в 1961 г.), а только лишь с Борцвис-джвари, где в христианскую эпоху возникли церковные сооружения, в частности монастырь креста (джвари)».[123]

„ძუძუს წყარო" ავტორს „წიწამურის" დერივატად მიუჩნევია და მას „ძელ პატიოსანთან" ერთად უკავშირებს ბორცვის ჯვარს, რომელზედაც წინაქრისტიანულ ეპოქაში «Надо полагать, возвышался на педъестале или базисе менгир, впоследствии увязанный с культом фаллуса, а ещё позднее, с IV в. н. э. заменённый деревянным крестом».[124]

რაკი „ძუძუს წყარო" ბორცვის ჯვარს უკავშირდება და თანაც ის „წიწამურის" დერივატად მიიჩნია ავტორმა — ამის შემდეგ წიწამურის-სევსამორას ახლებური (ჯვრის აწინდელი მონასტრის ადგილას) ლოკალიზაციისათვის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს დაბრკოლება აღარ ეჩვენება. ამ ადგილის სახელწოდება „ძუძუს წყარო" მას დაკავშირებული აქვს ძუძუს სომხურ სახელთან, რომლის ფუძედ ასახელებს „ціцій" რაც სომხურად გამოითქმის „ціц" ძუძუს მნიშვნელობით; ამას ავტორი უმატებს „ამიურ" „амиур"-ს რასაც მიიჩნევს მრავლობითის ორმაგ მაჩვენებლად და საერთოდ ამ გზით მიღებულ სახელწოდებას — „წიწამური" — თვლის ტიპიურ-იაფეტურ სახელწოდებად, თანაც მას მიიჩნევს არაგვის ხეობაში იაფეტიდების მოძრაობის ნაკვალევად.

ამგვარად ლ. მელიქსეთ-ბეგი 1948 წელს კვლავ იმ მოსაზრებისა იყო, რომ „ძუძუს წყარო"

---

120 ლ. მელიქსეთ-ბეგი, იქვე, გვ. 206.

121 იქვე, გვ. 203.

122 იქვე, გვ. 203.

123 იქვე, გვ. 203.

124 იქვე, გვ. 203.

სომხურ „ციც“-თან დაეკავშირება და ამ უკანასკნელის მეშვეობით აწინდელი ქართული სახელის „წიწამურის“ წარმოქმნა აეხსნა; თანაც ისე, რომ ეს სახელი ჯვრის მიდამოებისათვის მიეკუთვნებია და არა აწინდელი წიწამურისათვის, რომელსაც ავტორი ახალ წიწამურს უწოდებს. ამგვარი მტკიცებისა და ვარაუდების შემდეგ ავტორი სტრაბონის ცნობის იმ ადგილს არჩევს, სადაც ჰარმოზიკესა და სევსამორას შორის მანძილია ნაჩვენები და ასკვნის: «Страбон определяет расстояние между скалами, увенчанными городами Армазцихе и Севсамора, не по прямой линии, как мы думали раньше (1916), когда Севсамору приурочивали к Нацхор—Бебрисцихе, или как ныне утверждает А. Апакидзе, уверенный в идентичности античной Севсаморы и нынешнего урочища Цицамури, а по кратчайшему пешеходному пути, по косогорам и вброд или на плотах — навтиках через р. Куру, по Куре».[125] ასე რომ სტრაბონის მიერ მითითებული მანძილი (დაახლოებით 3154 მეტრი) მეტ-ნაკლებად ზუსტად იფარება პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მარშრუტით; ე. ი. ამ მხრივაც ბორცვის ჯვარი შესაფერისია, ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, ციხე-ქალაქის — სისამორის ლოკალიზაციისათვის. რაც შეეხება ერთგვარ უხერხულობას, დაკავშირებულს იმასთან, რომ აწინდელი სოფელი წიწამური ორიოდე კილომეტრით არის დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც ავტორს ძველი სევსამორა ეგულება, იგი აგრეთვე ახსნილია მითითებულ სტატიაში არმაზციხის მაგალითის მიხედვით; აი რას წერს ამ საკითხზე ლ. მელიქსეთ-ბეგი: «Если Армозике (Армазцихе), будучи расположено на Багнити и питаясь источниками Карсанского ущелья и Карсанской речки давало резонанс до так наз. малого Армазского замка («замка у оконечности Армазского протяжения»), на который с течением времени перешло название «Армазцихэ», донесенное до наших дней, то и Севсамора (Цицамури), будучи раскинуто на плато и в котловине Борцвис-джвари и питаясь ближайшими источниками, что за озером, а также Дзудзускаро, давала не меньший резонанс до нынешнего «урочища» Цицамури, за которым это название «Цицамури» и закрепилось на протяжении веков, одновременно будучи вытеснено с Борцвис-джвари или, вернее говоря, предано здесь забвению».[126]

ასეთია პროფ. მელიქსეთ-ბეგის უკანასკნელი სტატიის ძირითადი დებულებები, რომელთა დასამტკიცებლად არსებითად არც ერთი ახალი არგუმენტი არაა მოტანილი. ავტორმა უარი თქვა „სისამორას“ ადგილმდებარეობის ადრე გამოქვეყნებულ განსაზღვრაზე და სცადა ამ პუნქტის ლოკალიზაცია აწინდელი ჯვრის მონასტრის მიდამოებში.

„სისამორას“ ლოკალიზაციის ცდა მოცემულია სტრაბონის „გეოგრაფიის“ სათანადო ტექსტის ახალი გამოცემისას ჟურნალში „Вестник древней истории“. ტექსტის კომენტატორი ნ. ელნიცკი „სევსამორასთან“ დაკავშირებით განმარტავს: «Упомянутая крепость стоявшая «при другой реке, т. е. Арагве (Арагоне) охраняла дорогу через Сарматские ворота (Военно-Грузинскую дорогу). Локализуется по археологическим и топонимическим данным, связанным с группой развалин, именуемых Цикамури(!), и местностью (с древним некрополем) называемой Самтавро».[127]

პირველი ნაწილი ამ განმარტებისა არაა უსაფუძვლო. წიწამურის სიმაგრეთა სისტემა, უეჭველია, დედაქალაქში არაგვის ხეობით შემოსასვლელს ჰკეტავდა, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირიდან ზედაზენის მისადგომებამდე. არაგვის მარჯვენა ნაპირზე კი ამ გზას ჰკეტავდა ბებრის ციხის ვიწროები და თითონ, უნდა ვივარაუდოთ, ციხეც, — ღართისკარ-ბებრისციხის ხაზზე. წიწამური იმავ დროს, როგორც მივუთითეთ, ალბანიიდან ზოგიერთ გადმოსასვლელს მეთვალყურეობდა; სახელდობრ იმ გზას, რომელიც ალაზანს მიყვებოდა და შემდეგ, მდ. იორზე გადასვლით, თიანეთიდან ძველ დედაქალაქს მოადგებოდა, გლდანის მისადგომებიდან თუ გურამიანთ კარიდან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გზის განსაზღვრული მონაკვეთით ისარგებლეს წმიდა ნინომ, ეპისკოპოსმა იოანემ და ქართლის მეფის ერისთავმა, როდესაც მთიულეთში ქრისტიანობას ქადაგებდნენ. ეს გზა უნდა ვიგულისხმოთ ფალდონის მარშრუტშიაც, როცა ლაპა-

[125] ლ. მელიქსეთ-ბეგი, იქვე, გვ. 204—205.

[126] იქვე, გვ. 205.

[127] ВДИ, № 4, 1947, М., გვ. 277—278.

რაკი მის ერწოში გადასვლაზე: „მიეხვა პირსა არაგვსასა, და გაკდა ნარღუევთა გზით ერწოდ“[128].

ამრიგად, სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ სტრაბონის გეოგრაფიის XI წიგნის მე-3 თავის მე-5 პარაგრაფში ნახსენები Σεισάμορα-ს ქართულ „წიწამურთან“ გაიგივებას ყველა მკვლევარი უდავოდ მიიჩნევს; Σεισάμορα ქართული „წიწამურის“ ბერძნული გადმოცემაა; დღემდე არაა სპეციალისტთა შორის შეთანხმებული აზრი ძველი Σεισάμορα — წიწამურის ადგილმდებარეობის საკითხზე. სპეციალურ ლიტერატურაში ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავებული და საწინააღმდეგო მოსაზრებებია ამ საკითხზე წამოყენებული; ასე, მაგალითად, სენ-მარტენს ეს პუნქტი მცხეთაში, სამთავროს მიდამოებში ეგულებოდა; ლ. მელიქსეთ-ბეგს პირველ ხანებში ეგონა, რომ სევსამორა აწინდელ ბებრის-ციხის მიდამოებში იყო; შემდეგში მან შეეცვალა ეს აზრი და საკითხი ბორცვის ჯვრის — აწინდელი ჯვრის მონასტრის მიდამოების სასარგებლოდ გადაწყვიტა. სარგის კაკაბაძე ამტკიცებდა, რომ სტრაბონის სევსამორა აწინდელი ანტიოქიის (მცხეთაში) მიდამოებში უნდა ეძებოთ და მას „ქვემო წიწამური“ უნდა რქმეოდა; პლ. იოსელიანი ამ პუნქტს მცხეთის დასავლეთით, ე. წ. სარკინეს მიდამოებში გულისხმობდა.

ამათგან განსხვავებით ა. ნატროევი, ს. ჯანაშია და შემდეგ ამ სტრიქონების ავტორი სტრაბონის „სისამორას“ აწინდელ წიწამურს უკავშირებდნენ, არა მარტო სახელწოდების მიხედვით, არამედ გეოგრაფიულადაც. „სისამორა“ აწინდელი წიწამურის მიდამოებშია საგულისხმებელი, ე. ი. არაგვის მარცხენა ნაპირზე.

საკითხის შესწავლის ასეთს დონეზე აუცილებელი იყო არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლა. ძველი წიწამურის ძიება.

„სისამორას“ ადგილსამყოფელის ძებნას წინ უსწრებდა, როგორც ითქვა, არმაზციხის დაზვერვა და მისი არქეოლოგიური გამოკვლევა[129].

„არმაზციხის“ შესწავლას თუ მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საფუძველი ჯერ კიდევ 1937 წელს ჩაუყარა „სისამორას“ ძებნა და სადაზვერვო გათხრა ამ ექსპედიციამ მხოლოდ 1953 წელს განახორციელა. მოპოვებული ახალი არქეოლოგიური მასალა საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ კვლავ დავუბრუნდეთ სისამორას ლოკალიზაციის საკითხს და მოპოვებული მასალის შესაბამისად, ცოტა რამ ამ ციხე-ქალაქის შესახებაც ვთქვათ.

ძირითადი არქეოლოგიური მასალა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ანტიკური წყაროების „სისამორას“ საკითხის ხელახალი წამოჭრა და განხილვა, 1953 წლის მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოიპოვა „წ ი წ ა მ უ რ ი ს ს ე რ ზ ე“*. პირველ მითითებას ამ სერის სამხრეთ კალთაზე ნაპოვნი ანტიკური ხანის მცხეთური კრამიტის ნატეხები გვაძლევდნენ. სერზე გაჭრილმა სადაზვერო თხრილებმა გაამაგრა დაზვერვისას მიღებული შთაბეჭდილება და ჩვენ მოგვცა საფუძველი სწორედ ამ ადგილას გვევარაუდნა, უკვე არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ანტიკური წყაროების „სისამორა“. საანგარიშო წელს წიწამურის სერზე სამი თხრილი იყო გაჭრილი, რომელთაგან წინამდებარე ნაშრომისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მეორე თხრილი აღმოჩნდა. ამ თხრილში სამი სხვადასხვა დროის ნაგებობათა ნანგრევები გამოვლინდა და მან მშენებლობის ხელოვნებისა და საამშენებლო მასალათა შესახებ ჩვენი წარმოდგენებიც თვალსაჩინოდ გააფართოვა.

თხრილები თითქმის ერთსა და იმავე დროს იჭრებოდა. რაკი გაჭრილ თხრილთან სხვაზე უფრო მეტის მოქმედი მეორე თხრილია, დაზვერვის მასალებიც სწორედ ამ თხრილის დახასიათებით გვინდა წარმოვიდგინოთ.

მეორე თხრილი — ძირითადი და უმნიშვნელოვანესი უბანი — ახლა ჩვენს ყურადღებას იპყრობს აღმოჩენილი არქიტექტურული ძეგლებით. აქ ყველაზე უძველესი ფენაა „წ ი წ ა მ უ რ ი I“ — ქვედა ფენა. ამ ფენის დასახასიათებლად, ისევე როგორც ზედა ფენებისა, ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ნაგებობათა ნაშთები, მართალია მოზრდილი, მაგრამ ძლიერ დაზიანებული ნაწილები უძველესი შენობისა, რომელიც დიდრონი ქვათლილებით არის ნაშენობი.

წ ყ ო ბ ი ს ხ ა ს ი ა თ ი არმაზციხე I-ის ტიპისაა: დიდი, კარგად გამოყვანილი ქვათლილები ნაცრისფერი ქვიშაქვისა. მასალა ალბათ წიწამურის

[128] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა I, გვ 311. შდრ. გეოგრაფიული სახელი „პალდო“.

* ასე უწოდებენ ამ ადგილს აწინდელი წიწამურის მცხოვრებნი.

[129] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 1958, გვ. 94.

სერის კალთებზეევა მოჭრილი, ანდა, შესაძლოა, „საქოთნიანის ხევიდან“ იყოს მოზიდული; ეს ხევი წიწამურის სერის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა — ფოსოების სამხრეთით, ჯვრის მონასტრის უკან; იმ მიდამოებში, სადაც „ჯაკვის წყალი“ გამოდის.

ქვათლილები ერთიმეორეზე საგანგებო სამაგრებით — უწყვეტებით ყოფილან გადაბმული თარაზულად და შვეულადაც (სურ. 100—103). უწყვეტების ან სამაგრო სოლების მასალის დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება, მაგრამ ხის სოლების გამოყენება ერთი ნაწილისათვის სრულიად

ქვათლილების ორმხრივი გადაბმა წიწამურის უძველესი ფენის ნაგებობის ერთ-ერთი თავისებურებაა და თანაც განმასხვავებელი, მაგ., ბაგინეთის უძველესი ფენის, ან იმავე ტიპის წყობისაგან, რომელიც გორის ციხეზე აღმოჩნდა 1946 წლის თებერვალში. დასახელებულ შემთხვევებში (განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ჩანს არმაზციხის გალავნის და „სვეტებიანი დარბაზის“ კედლების მაგალითზე) ქვათლილები, ზოგჯერ უფრო დიდებიც კი, ვიდრე წიწამურისა არის, ერთიმეორეზე გადაბმულია მხოლოდ თარაზულად. აქ ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ წიწამურის სერის უძველესი



სურ. 100. წ ი წ ა მ უ რ ი. მრგვალი ნაგებობის საძირკველი — არმაზციხე პირველის დროისა

უეჭველია (ტაბ. LII, 1—2; LIII, 1—2; LIV, 1; LV, 2).

დანიშნულების მიხედვით ეს უწყვეტები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

უ წ ყ ვ ე ტ ე ბ ი ერთი მწკრივის (რიგის) ქ ვ ა თ ლ ი ლ თ ა ე რ თ ი მ ე ო რ ე ზ ე თ ა რ ა ზ უ ლ ი (ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ი) გ ა დ ა ბ მ ი ს ა თ ვ ი ს და უ წ ყ ვ ე ტ ე ბ ი ერთიმეორეზე დ ა წ ყ ო ბ ი ლ ი ქ ვ ა თ ლ ი ლ ებ ი ს შ ვ ე უ ლ ი (ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ი) გ ა დ ა ბ მ ი ს ა თ ვ ი ს (სურ. 101).

ფენის ქვათლილთა შვეული სამაგრებიც თარაზულად მუშაობს, ე. ი. გაძლიერებულია თარაზულად გადაბმის ძალა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ დიდ ქვათლილებს თავიანთი სიმძიმე აძლევს საიმედო ვერტიკალურ სიმტკიცეს, ხოლო ზედა მწკრივის ქვები შეუძლებელს ხდიან ლოდების შვეულ მოძრაობას და გამოღებას წყობიდან. მაშინ უფრო ცხადი გახდება საფუძვლიანობა ორგვარი სამაგრის გაკეთებისა, არსებითად ერთგვარი მუშაობისათვის. ორივე სახის სამაგრი ნაგებობის სიმტკიცეს და ურღვევლობას ემსახურებოდა (ტაბ. LII—LV).

შვეულად დაყენებული ყოველი სამაგრი ერთიმეორესთან ამაგრებს სამ ქვათლილს მაინც, ჰორიზონტალური კი — ორს (ტაბ. LV, 2).

ამგვარად, ორი სახის (თარაზული და შვეული) უწყვეტების გამოყენება განასხვავებს წიწამურის უძველესი ფენის წყობას ბაგინეთის და გორისციხის სათანადო წყობისაგან. წიწამურის სერის I ფენის წყობა ამ სამაგრებით ძლიერ უახლოვდება ძვ. წ. VII—VI სს. საბერძნეთში გავრცელებულ წყობას და ქვათლილების გადაბმის ხერხებს[130]. ამ მომენტს მნიშვნელობა აქვს „წიწამურ I" ხნოვანობის გარკვევისათვის, რის გამოც უფრო დაწვრილებითი განხილვაა საჭირო ორივე ტიპის სამაგრებისა.

თ ა რ ა ზ უ ლ ი (ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ი) უ წ ყ ვ ე ტ ე ბ ი მოყვანილობის მიხედვით შეიძლება ერთ ჯგუფში გაერთიანდეს. ესაა — ი ს რ ი ს ‑ პ ი რ ი ს ე ბ რ ი უ წ ყ ვ ე ტ ე ბ ი. ერთიმეორესთან მიდგმულ ქვათლილებზე ამოტეხილია ისრისპირისებრი ბუდეები, ერთმანეთის მოპირდაპირე მიმართულებით. ასეთ ბუდეებში უნდა ჩაესვათ შესაბამისი უწყვეტი (ტაბ. LVI,1).

თუ მოყვანილობით თითქოს ერთნაირია თარაზული უწყვეტი ბუდეები, იგივე არ ითქმის ამ ბუდეების ზომების შესახებ. ისინი სხვადასხვა სიდიდისანი არიან. ასე მაგ., მეორე მწკრივის ცოკოლზედა ქვათლილზე ამ ბუდეების სიგრძე 22—24 სმ აღწევს (იგულისხმება მთელი ბუდის, ე. ი. ორ ქვათლილზე ამოკვეთილი ბუდის სიგრძე), ზოგჯერ კი 40—50 სმ. შესაძლოა ეს იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ამ დიდრონ ბუდეებში ხის სიმაგრეებს ჩასვამდნენ ხოლმე და კირხსნარით ჩაამტკიცებდნენ მას; ისე, როგორც შემდეგში დასტურდება რკინის გამირების ჩატყვივის საკმაოდ ხშირი შემთხვევები. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ წიწამურის უწყვეტების თავისებურებას კონსტრუქციულს გარდა, ნაგებობის ასაკის განმსაზღვრელი მნიშვნელობაც უნდა ექნეს. როდესაც სამაგრები ან მათთვის განკუთვნილ ბუდეთა. სიდიდეზე მივუთითებთ, რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს წიწამურის ქვათლილები, რომელზედაც ესა თუ ის სამაგრია ამოკვეთილი, თორემ ციკლოპური ტიპის ლოდებისათვის ან თუნდაც გარნისის გალავნის ბლოკებისათვის აქ მითითებული სიდიდის სამაგრები სრულიადაც არ იქნება შეუფერებელი და არც ასე დიდად მოგვეჩვენება ისი-







სურ. 101. წ ი წ ა მ უ რ ი. უძველესი ფენის ქვათლილების გადაბმა შვეული და თარაზული უ წ ყ ვ ე ტ ე ბ ი თ.

ნი. ასე, მაგ., გ ა რ ნ ი ს ი ს გალავნის ბაზალტის უზარმაზარ ბლოკებს, რომელთა წონა ხშირად 5—6 ტონას აღწევს, ერთიმეორესთან რკინის ბრტყე-

[130] О. Шуазн, История архитектуры, I, გვ. 29, სურ. 12.

ლი გამირები ამაგრებს; მათი მოღუნული ბოლოები სათანადო ფოსოებშია ტყვიით ჩადუღებული[131]. მიუხედავად იმისა, რომ სამაგრები გარნისში რკინისაა, ისინი სიგრძით 30 სმ აღწევენ. ასევე დიდია რკინის სამაგრები ბაგინეთის სარკოფაგისა, მაგრამ







სურ. 101. წიწამური. უძველესი ფენის ქვათლილების გადაბმა შვეული და თარაზული უწყვეტებით.

ისინი სპეციალური დანიშნულებისაა და წყობაში გამოყენებულ გამირებთან მათი შედარება, ალბათ, არ იქნებოდა გამართლებული.

შ ვ ე უ ლ ი უ წ ყ ვ ე ტ ე ბ ი „დიდი მცხეთის" სხვა უბნებზე არ შეგვხვედრია. წ ი წ ა მ უ რ ი ამითაც გამოირჩევა.

[131] Б. Н. Аракелян, Гарни I. Результаты раскопок 1949—1950 гг., Ереван, 1952, გვ. 29—30, სურ. 20, 22.

შვეული სამაგრები გამოყენებული ყოფილა წიწამურის უძველესი ფენის ცოკოლისა და მასზე დაწყობილი პირველი მწკრივის ქვათლილთა ერთიმეორეზე გადასაბმელად. შემონახული ბუდეების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ შვეული სამაგრები ბრტყელი, პრიზმული მოყვანილობისა ყოფილა (ტაბ. LII, 1).

შვეული სამაგრის დაყენების წესი ასეთი ჩანს: სამაგრი უნდა ჩაჯდეს ქვათლილის შუაგულში, იმ ხაზზე, სადაც ზედაწყობის ორი ქვა უნდა შეერთდეს — მჭიდროდ მიუჯდეს ერთიმეორეს. ამ ორ ქვას იმ ადგილას, სადაც ცოკოლის შუაგულში ამოკვეთილ ბუდეში ჩასმული სამაგრი უნდა მოხვდეს, ამოკვეთილი აქვს ბუდე, სამაგრის მოყვანილობისა, რომელშიაც ცოკოლის ქვაზე ჩასმული სამაგრის ზედანაწილი ჩაჯდება და, ამრიგად, ერთიმეორესთან 3 ქვათლილს გადაბამს; ერთს ქვედას — ცოკოლისას და ორს — ზედა მწკრივისას (ტაბ. LIII, 2; LIV, 2).

შვეულ სამაგრთა ბუდეები ერთნაირი მოყვანილობისაა. სამაგრების ბუდეებში აღმოჩნდა ხის ვერტიკალურად მდგარი სამაგრების ძლიერ დაშლილი ნაწილები. ხის და ქვის უწყვეტები აღმოჩნდა ადრე ბაგინეთშიაც.

როგორც ირკვევა, უწყვეტისთვის ბუდეებს ამოკვეთდნენ ხოლმე ლოდების ერთიმეორესთან პირწმინდად მიყენების შემდეგ. ამ შემთხვევაში ამოკვეთდნენ ბუდეს ცოკოლის ლოდის შუაგულში და ზედა მწკრივის ლოდთან — ნაპირებზე. ირკვევა, რომ ყოველი ზედა ქვათლილი ცოკოლის ლოდთან ორჯერ გადაუბამთ; გამონაკლისი იშვიათია; ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ცოკოლის ქვის კიდე, სოლისებრი მოყვანილობის გამო, მოხვდება ზედა ლოდთა შეერთების ადგილას.

ამრიგად, გამოდის, რომ ცოკოლის ქვები ერთიმეორეზე თარაზული დიდრონი სამაგრებით ყოფილა გადაბმული ორჯერ მაინც, და ამას გარდა, ისინი ე. წ. შვეული სამაგრებით მტკიცედ დაკავშირებული ჩანან კედლის ზედა რიგის ქვებთან. ამ გზით ცოკოლის და კედლის წყობის ურყევობა და სიმტკიცე უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

ნაგებობის სიმტკიცეს ხელს უწყობდა ისიც, რომ ცოკოლი მიწის ზედაპირზე მხოლოდ ოდნავ ჩანდა. მას მიყრილი და მიტკეპნილი ჰქონდა თიხა — მიწა; მტკიცე და ერთგვაროვანი მასა, რომელიც თხრისას ალიზის მასის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ასეთი მონდომება ცოკოლის ქვათლილთა გადაბ-

მისა და განმტკიცებისა შესაძლოა ნაგებობის თავისებური მოყვანილობითაც იყოს ნაკარნახევი. შემორჩენილი ცოკოლის მიხედვით გარედან მორგვალებული შენობაა საგულისხმებელი (ტაბ. LIV, 1). ამგვარ ნაგებობას ცოკოლსა და კედელზე ზოგადად სოლისებრი მოყვანილობის ქვათლილურა" და „ჰარმოზიკე", რომ დიდხანს და ერთად არსებობდნენ, ეს წერილობით წყაროებიდანაც კარგად ჩანს.

„ჰარმოზიკე" და „სისამორა" რომ ერთნაირი ქვათლილებით ნაწყობი ყოფილა, ამას უკანასკნელის საამშენებლო მასალის გაცნობაც ამტკიცებს.



სურ. 102—103. წიწამურის სერი. ქვათლილები, უწყვეტით გადასაბმელი ბუდეები და უწყვეტების სახეობანი.

ბის წყობა სჭირდება. სოლისებრი ქვათლილების ფართო თავები ნაგებობის გარეთა — ფასადის მხარეზე რჩება, ე. ი. მათი გამოღების საფრთხე უფრო რეალური ჩანს, რაკი მშრალ წყობასთანა გვაქვს საქმე. ამ საფრთხეს ამშენებელი იცილებს თავიდან ცოკოლის ფენის მიწაში ღრმად ჩასმისა და შემდეგ, ასე გამაგრებულ ცოკოლთან ზედაფენის ქვათლილთა შვეული და თარაზული გადაბმით.

ამრიგად. წიწამურის სერის მეორე თხრილის I ფენის ნაგებობა დიდი და კარგად გათლილი ლოდებით ყოფილა ნაშენი; წყობა მშრალია, ლოდები ერთიმეორესთან გადაბმული ორი სახის სამაგრებით. წყობის ასეთი ხასიათი არქაულია და ძვ. წ. VII—VI საუკუნეებს შემდეგ იყო გავრცელებული. წიწამურის სერის მეორე თხრილის I ფენის ქვათლილები ბაგინეთური ქვათლილების იერს ატარებს. ეს ბუნებრივიც არის. შესაძლოა, „სისამორას" უძველესი ფენის ნაგებობის აშენება ქრონოლოგიურად წინ უსწრებდეს ძველი დედაქალაქის შიდაციხის მშენებლობას, — მაგრამ „სისამორა" და „ჰარმოზიკე" ერთ ეპოქაში ეკუთვნიან. ეს წიწამურის ქვათლილები ადვილად შლადი ქვიშაქვისაა, ნაცრისფერია; მოყვანილობის მხრივ ზოგიერთი თავისებურება და ბაგინეთისაგან სხვაობა ნაგებობის ხასიათით უნდა აიხსნას (სურ. 100—103). აქაური ლოდები მეტ-ნაკლებად სწორი მოყვანილობის პრიზმებს ან ტრაპეციებს წარმოადგენენ. იმიტომ, რომ ლოდები რგვალი ნაგებობისათვის არის გამოთლილი: უფრო მკვეთრ სურათს ცოკოლის ქვათლილები გვიხატავს. აქ მომრგვალება ძალიან მკაფიოა და ლოდებიც შესაბამისად, — უფრო სოლისებრი მოყვანილობისა. სხვაობა ქვათლილების თავსა და ბოლოში 10 სმ აღწევს (შდრ. ტაბ. LII, 2; LIV, 1; სურ. 100).

ნაგებობის ფასადის მორგვალებული მოყვანილობა ლოდების ზუსტ დამუშავებას მოითხოვს, რადგან ქვათლილის მოყვანილობის მცირეოდენი შეცვლაც კი ააცდენდა მშენებელს ნაგებობის გეგმას და დაარღვევდა ნაგებობის განზრახულ საერთო მოხაზულობას. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლოდების საბოლოო გამოყვანა საამშენებლო

მოედანზეევ უნდა მომზდარიყო. ამას მხარს უჭერს თხრილის ცენტრში ქვაში ჩარჩენილი ლითონის ქვის საკრელი იარაღის აღმოჩენაც (ტაბ. LV, 1; სურ. 104).

გადმოზიდვის შემდეგ ნაგებობისათვის საჭირო ლოდები გულმოდგინედ უთლიათ. ზედმიწევნით არის გათლილი ლოდის გამოსაჩენი გვერდები. ცოკოლის ქვებზე უკეთ არის ნათალი კედლის ლოდები. ცოკოლისას ცალწვეტა იარაღის, შეიძლება საგანგებო წერაქვის, წვერის კვალი კარგად ეტყობა; კარგად ჩანს სიმეჩხრე საკრეთელის წვეტისა; ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ცოკოლის ლოდები გამოსაჩენად არც ითვლებოდა (ტაბ. LII, 2, LIV, 1).



სურ. 104. წ ი წ ა მ უ რ ი. წყობაში ნაპოვნი ქვის საკეთი რკინისა

შენობის კედლის ლოდების გარეთა ზედაპირი ზედმიწევნით წმინდად არის დამუშავებული, თუმცა ცალწვეტა საკოდელის გამოყენება აქაც კარგად შეიმჩნევა (ტაბ. LVI). ლოდების ზედაპირს ეტყობა საკრეთელის სხვადასხვა მხრიდან მოპარჯვების კვალი; ზოგჯერ ეს კვალი თითქმის ე. წ. თევზიფხურ სახეს იღებს. ქვის ნაპირების თლისას დარტყმა ნაპირიდან შუაგულისაკენ მიმართება; სხვაგვარად მჭადა ქვა სულ ჩამოემტვრეოდა კიდეები.

ცოკოლის ერთ ლოდს შერჩენია ცალწვეტის მიჯრით და სწორხაზოვნად ნაცემი კვალი; თითქოს ამ ადგილას ლოდის გადაკრა სდომებია თავიდანვე ხელოსანს, მაგრამ რატომღაც შეჩერებულია.

[132] **И. М. Дьяконов, Законы Вавилонии, Ассирии и Хеттского царства, ВДИ, № 4, М., 1952, გვ. 273.**

ამრიგად, წიწამური I-ის მაგალითზედაც კარგად ჩანს ქვის დამუშავების მაღალი დონე და ტრადიცია, რომლითაც ქართლის ძველი დედაქალაქი იყო ცნობილი. ასე გათლილ-გამოყვანილი ქვათლილებით მშენებლობა ძლიერი ხელისუფლების საქმეა. უნდა ვიფარაუდოთ, რომ სამეფო მეთაურობდა ასეთ მშენებლობებს და შემდეგ, იცავდა მათ სახელმწიფოს სახელით. როგორც შორეული ილუსტრაცია შეიძლება მიეთითოს, რომ ხეთების კანონები საგანგებოდ იცავდნენ სამშენებლო მასალას და სამეფო თუ საზოგადოებრივ ნაგებობებს: «Если кто-нибудь украдет кирпичи, то сверх того, что украдет, он должен столько-же дать. Если кто-нибудь украдет камни из фундамента, то он должен дать за 2 камня 10 камней» — ნათქვამია ხეთურ კანონთა 128 §-ში[132]. სასჯელის ამ ზომის სიმკაცრე რომ კარგად წარმოვიდგინოთ, ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ქვის ახოები სამეფოს უნდა კუთვნებოდა და შრომის იარაღიც სამეფოს მესვეურთა ხელში იყო ან მონათმფლობელთა საკუთრებას შეადგენდა.

წიწამურის გორაზე საძიებო თხრისას აღწერილი სურათი საკმაოდ მკაფიოდ ამტკიცებს საამშენებლო მოედნის წინასწარი მომზადების მნიშვნელოვან სამუშაოებს, რომლის შესახებ ჩვენ არმაზციხის საამშენებლო მასალისა და მშენებლობის ხელოვნების დახასიათებისას გვქონდა საუბარი. ახლა, მაშინ გამოთქმული მოსაზრებანი წიწამურის მაგალითით კიდევ უფრო ცხადი და საფუძვლიანი ხდება. წიწამურის ასეთი მნიშვნელობა რომ ცხადი გახდეს, ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთი გარემოება აღვნიშნოთ.

სერის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც ეს ნაგებობა იდგა, დაქანებულია აღმოსავლეთისაკენ — სერის დასაწყისისაკენ. რაკი ნაგებობის თავდაცვითი ხასიათი მოითხოვდა სიმაგრის სწორედ აქ აგებას, მშენებლებს სერის დასასრულით გამოწვეული დაფერდებისათვის უნდა მოევლოთ. ეს ამოცანა წარმატებით არის გადაჭრილი. „დავაკებაᲐ“ ანუ „ადგილის შემზადებაᲐ“, რომლის შუასაუკუნეებში შექმნილი ნიმუშებიც იმ დროის მაღალი საამშენებლო ხელოვნების მაჩვენებლად არის მიჩნეული[133], წიწამურის ხუროთმოძღვრებს ამ 2500-ოდ წლის წინათაც კარგად გამოუყენებიათ. სწორედ ამ ხერხით არის უზრუნველყოფილი ნაგებობის სამ-

[131] ივ. ჯ ავ ახ ი შ ვ ი ლ ი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ., 1946, გვ. 155.

ყარე და მიუვალობა. აღმოსავლეთით დაწეულ სერს დახრილობა ხელოვნურად აქვს შეცვლილი და ნაგებობის იატაკი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ადგილი, სადაც შენობა დგას, თითქოს აღმოსავლეთით მცირედ შემაღლებულიც კია. ადგილის შემზადება ისე გულმოდგინედ არის განხორციელებული, რომ ნაგებობის საძირკველს დეფორმაცია სრულიადაც არ განუცდია: არ დამჯდარა და არც დაბზარულა.

უკვე იყო მითითებული, რომ შენობის კედელი არ შემონახულა. მხოლოდ დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია დარჩენილი ცოკოლის ზედაფენის მოზრდილი ფრაგმენტი. რა იყო ზემოთ — გაურკვეველი რჩება. თუ ეს ნაგებობა ნამდვილად კოშკია, მაშინ კედლები შესაძლოა აყვანილი ყოფილიყო დიდი ქვათლილებით. გათხრილ ფართობზე საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა ასეთი ლოდები. ნაწილობრივ — ადგილიდან დაძრული, ამოღებულ-ამოყირავებული, ნაწილობრივ — ისეთები, რომელთაც შემდეგშიაც გამოყენება ეტყობათ (მეორე ფენის, ე. ი. მომდევნო ხანის ნაგებობებშია გამოყენებული). უნდა ვივარაუდოთ, რომ ძალიან ბევრი ლოდი წაღებულია. ძალიან ადვილად ხელმისაწვდომი იყო ეს საამშენებლო მასალა იმათთვის, ვინც შემდეგში წიწამურის სერის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე დასახლდა; ქვათლილები ახლოც იყო, ადვილად გადმოსაზიდიცა და კარგიც.

აწინდელ წიწამურელებს სერის თავიდან და საერთოდ სერიდან ნათალი საამშენებლო ქვების ჩამოზიდვის შემთხვევები არ ახსოვთ. ასეთი კვადრები მათ ამ 35-ოდე წლის წინ უფრო ახლოს გულვებიათ; წიწამურიდან ზემო-ავჭალისაკენ მიმავალი გზის პირას, ბებრისციხის გასწვრივ, ახლა რომ პურის ყანებია, იმის თავში. ამოთხრილი გათლილი ლოდები ახლაც მრაველად აქვთ ჩატანებული კუთხის ქვებად წიწამურელ კოლმეურნეთა ორსართულიან სახლებს. აქ ზოგ ქვას უწყვეტის ბუდეც კი შერჩენია.

ასეთ ვითარებაში წიწამურის სერის I ფენის ნაგებობის კედლებად ზემოთ აღწერილის მსგავსი ლოდების გამოყენება სრულიადაც არ გამოიყურება შეუძლებლად. ამასვე მიუთითებს სამაგრთა ბუდეების არსებობა კედლის კვადრების ზედაპირზედაც.

წიწამურის სერის სამხრეთი კალთების დაზვერვისას პირველად ზედაპირულად იყო ნაპოვნი მრავალრიცხოვანი ნატეხები მცხეთური ანტიკური კრამიტებისა, მათ შორის მრავალი შეღებილი იყო და თითქმის იმეორებდა ბაგინეთის, არმაზისხევის. სამთავროს, საერთოდ „დიდი მცხეთის" და გორისციხის კრამიტებს. სწორედ ეს იყო პირველი ნამდვილად საიმედო ნიშანი წიწამურის სერზე ანტიკური ხანის ნაგებობათა ძიების დროს.

აქ აღმოჩენილია ორი ტიპის კრამიტი: ა) ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ბ) ღარისებრი, რომელსაც დამახასიათებელი ქიმი აქვს ვიწრობოლოსთან. როგორც პირველ თავში ვნახეთ, სწორედ ამ ორი სახის კრამიტია აღმოჩენილი ქართლის სამეფოს სხვა სინქრონულ და მომდევნო ხანის ძეგლში (ქართლი-არმაზციხე, სარკინე-ქალაქი, გორისციხე, სავანეთი, არმაზისხევი, მცხეთა, ურბნისი და რუსთავი). უკანასკნელ წლებში მოპოვებული მასალა გვიჩვენებს, რომ ამ ორი ტიპის კრამიტი დიდხანს ყოფილა გავრცელებული არა მარტო „დიდ მცხეთაში", არამედ ქართლის სამეფოში საერთოდ; უფრო ზუსტად ქართლის სამეფოს ქალაქური ტიპის ნამოსახლარებში.

ახლა ჩვენ არ შევუდგებით წიწამურში აღმოჩენილი კრამიტების ვრცელ დახასიათებას, მაგრამ შეიძლება ზოგი რამ მაინც ახლავე შეინიშნოს:

ა) „დიდი მცხეთის" სხვა უბნებში აღმოჩენილ კრამიტებზე დადასტურებული ზოგი ნიშანი (სახელოსნო, საქარხნო თუ საცხო) წიწამურის კრამიტებზედაც შეიმჩნევა. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ კრამიტით ასეთს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულების მშენებლობებს ამარაგებს სამეფო ქარხანა თუ მსხვილი სახელოსნოები, სადაც მრავალრიცხოვანი მუშახელია (მათ შორის მონებიც) კონცენტრირებული. ბ) მითითებული ნიშნები ღარისებრ კრამიტებსა აქვთ ქიმთან ან ზედ ქიმზე; ესეც საერთოდ დამახასიათებელი ჩანს; გ) ბრტყელ, გვერდებაკეცილ კრამიტებს როგორც სხვაგან, ისე წიწამურშიაც ნიშანი ძალიან იშვიათად უკეთდება; დ) წითლად შეღებვითაც წიწამურის კრამიტი „დიდი მცხეთის" სხვა უბნის კრამიტთაგან არ გამოირჩევა.

ამრიგად, 1953 წელს წიწამურის სერზე აღმოჩენილი ძეგლები საფუძველს გვაძლევს ისინი საამშენებლო მასალებისა და მშენებლობის ხელოვნების უმთავრესი ნიშნებით ქართლის ძველი დედაქალაქის სხვა უბანთა სინქრონულ ძეგლებს შევადაროთ. სახელდობრ, არმაზციხისას — წიწამურ I-ის ნაგებობანი და, საერთოდ, მცხეთისას — წი-

წამურის სერზე აღმოჩენილი „მცხეთური ანტიკური კრამიტი". ჩვენ ზემოთ გაკვრით მივუთითეთ, რომ მსგავსება ამ შემთხვევაში საკმაოდ, იქამდეც კი, რომ ხშირად ცალკეულ ელემენტთა გარჩევა თითქმის შეუძლებელია.

ყურადღებას იქცევს ნაგებობათა გრანდიოზული ხასიათი და ამ ნაგებობათა კრამიტით გადახურვა; ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ წიწამურის სერზედაც ისეთი რიგის ნაგებობებთანა გვაქვს საქმე, რომელთაც საგანგებოდ მოიხსენიებენ კლასიკური წყაროები იბერიის ქალაქების დახასიათებისას. არმაზციხის აღმოჩენის შემდეგ გვქონდა საფუძველი იმისა, რომ გვევარაუდნა არმაზციხე I ტიპის ნაგებობანი წიწამურშიაც. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლეოდა თვით სტრაბონი, რადგან მას ერთნაირად აქვს დახასიათებული არმაზციხე და წიწამური: იმ ადგილას, სადაც ეს მდინარეები (მტკვარი და არაგვი) ერთმანეთს უნდა შეერწყან, კლდეებზე მდებარეობს ორი გამაგრებული ქალაქი, რომლებიც ერთმანეთს 16 სტადიონით არიან დაცილებული. მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე (არაგვზე) „სისამორა". როგორც არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებენ სტრაბონის წყაროს ჰქონდა საფუძველი ზოგადად ერთნაირად დაეხასიათებინა ეს ციხე-ქალაქები. ასეთ საფუძველს წარმოადგენდა: გამაგრების ერთნაირი სისტემა; ერთნაირად დამუშავებული ქვათლილები და ერთი არქიტექტურული წესით ნაგები შენობები; სავსებით ერთნაირი სახურავი კრამიტის გამოყენება და თითქმის ერთნაირ სიმაღლეზე განლაგება ამ უბნებისა: არმაზციხე — ბაგინეთის მაღლობზე — მტკვართან, ხოლო წიწამური — წიწამურის სერზე — არაგვთან.

თავის მხრივ წიწამურის სერზე არმაზციხე I-ის რიგის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა აღმოჩენა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქ დედაქალაქის დიდად მნიშვნელოვანი უბანი არის სავარაუდებელი. ასეთ უბანს სტრაბონის დროსაც (ისევე როგორც ალბათ უფრო ადრე) წარმოადგენდა სტრაბონთან არმაზციხის გვერდით მითითებული სისამორა. ასეთი დასკვნის საფუძველი არქეოლოგიური მასალებითაც კი გვექნებოდა ჩვენ, რომ არც იყოს შემონახული დღემდე ამ ადგილის ძველი სახელწოდება — წიწამური და „სისამორა" სტრაბონსაც რომ არ ჰქონოდა ნახსენები. ახლა კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ ბერძენ გეოგრაფს, ამ შემთხვევაში მაინც, საიმედო წყარო ჰქონია ხელთ.

წიწამურისა და არმაზციხის ერთ კონტექსტში მითითებაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. არაა გამორიცხული, რომ წიწამურის სერზე გალავნის შიგნით აღმოჩენილი მრგვალი მოყვანილობის, შესანიშნავად ნათალ და ორმაგი სამაგრებით ერთიმეორეზე გადაბმული ქვათლილების წყობის ნაშთები საკულტო ნაგებობის ნანგრევიც კი იყოს. შესაძლებელია სწორედ ეს ადგილი იგულისხმებოდეს ლეონტი მროველთან ფარნაჯომის საამშენებლო მოღვაწეობის დახასიათებისას: „იმან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს"[134].

ამ თვალსაზრისით საყურადღებო გვეჩვენება „იოვანე ზედაზნელის ცხოვრების" ერთი ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ იოვანე ზედაზნელი „აღვიდა მთასა მას მაღალსა, რომელსა ჰქვან ზედა ზადენ, სადა — იგი აწ მონასტერი მისი აღშენებულ არს"[135]. არ არის გამორიცხული, რომ აქ ნახსენებ „ზედა ზადენს" შემდეგში მოეცა აწინდელი სახელი ცნობილი პუნქტისა — ზედაზენი[136]. „ზედა ზადენის" ხსენებასთან დაკავშირებულ ინტერესების ერთგვარ საფუძველს თითქოს ეპოულობთ იმავ თხზულებაში, სადაც ნათქვამია, რომ იოვანე ზედაზნელი „მეორედ ამისთჳს დაეყუდა ადგილსა მას, რამეთუ გოდოლი აღეშენა წარმართთა და ეშმაკნი ფრიად დამკჳდრებულ იყენეს და ჰმსახურებდეს კუამლითა ნაზორევთაჲთა"[137].

ჩვენ ახლა შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ მითითებული ადგილიდან შორს მიმავალი დასკვნები გამოვიტანოთ, მაგრამ შესაძლებლად მიგვაჩნია მივუთითოთ იმ ინტერესზე, რომელსაც იწვევს ხსენება: ზადენის, ზედა ზადენის და წარმართობის დროინდელი გოდლისა. ეს ვარაუდიც ამართლებს სტრაბონის წყაროს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წიწამურის გამაგრებული სისტემა მდ. არაგვის მარცხენა ნაპირამდე ჩამოდიოდა —

---

[134] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 29.

[135] ასურელ მამათა ცხოვრება. ილია აბულაძის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 26.

[136] ა. აფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 59.

[137] ასურელ მამათა ცხოვრება, გვ. 27—28.

ბებრისციხის მიმართულებით. სიმაგრეთა ნაშთები ამ ადგილას არაგვის მარცხენა ნაპირზე ჩანს და საამისო წერილობითი მითითებაცა გვაქვს—„ქართლის ცხოვრებაში“. ეს ცნობა ასეთია: „განვიდა ამზასპ და განაწესა ქუეყანნი არაგუსა იმიერ და ამიერ სიმაგრეთა შინა კართა“[138]. ამ ცნობაში მდინარე არაგვის ერთ ნაპირზე (მარჯვენაზე) ბებრისციხის სისტემა უნდა ვივარაუდოთ, ხოლო მეორე ნაპირზე (მარცხენაზე) წიწამურის — სასამორასი. აქ, არსებითად, უნდა ვიფიქროთ, ორი შესასვლელი იგულისხმება: ბებრისციხესთან მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე და წიწამურის სერის ხაზზე, მის დასავლეთით, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე — ნაპირიდან ვიდრე სერამდე. ეს ორი ნაწილია გამაგრების ერთი სისტემისა ძველი დედაქალაქის ჩრდილოეთის კარებთან.

მეტი სისრულისათვის მივუთითებთ, რომ 1953 წელს ჩვენმა ექსპედიციამ აღმოაჩინა და ნაწილობრივ გათხარა კიდევაც დედაქალაქის წიწამურის უბნის სამაროვანი, რომელმაც ძვ. წ. VI—I საუკუნეების მეტად საყურადღებო მასალები მოგვცა[139] (ტაბ. XXXI—XXXII).

ეს სამაროვანი ორავალმხრივ საყურადღებო აღმოჩნდა. თავიდანვე მიიქცია ყურადღება ორმოსამარხებისა და ქვისსამარხების თანაარსებობამ. ამასთანავე კარგად გამოჩნდა ქვისსამარხთა თანდათან გაბატონებისა და გავრცელების ნიშნები და სხვ. ყურადღება მიიქცია სამარხეულმა ინვენტარმა საერთოდ და განსაკუთრებით რკინის მოხრილი დანების აღმოჩენამ, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ხშირად[140]. ე. ი. ამ მხრივაც განსხვავებულ სურათს გვაძლევს კამარახევის სამაროვანი სამთავროს სინქრონულ სამარხებთან შედარებით. რკინის დანები სამეურნეო იარაღებს წარმოადგენენ და, შესაძლოა, სასხლავადაც კარგად გამოეყენებინათ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ კამარახევის სამაროვანზე მიწათმოქმედთა, კერძოთ, მევენახეთა სამარხებიც. ძველი დედაქალაქის ამ უბანზე მევენახეთა ცხოვრება მოულოდნელი არ უნდა ეუოს. არაგვის მარცხენა ნაპირი მსხვილი მეურნეობის მოწყობის პირობებს ქმნიდა უთუოდ ძველადაც, ე. ი. მცხეთის დედაქალაქობის ხანაში, კერძოთ კი ძვ. წ. V—II საუკუნეებში, როგორც ამას კამარახევის სამაროვნის გათხრისას მოპოვებული მასალა გვიჩვენებს. ფეოდალური ხანის ვითარებაც ამ მხრივ თითქმის კარგადაა ცნობილი. ამ უბანზე, „წიწამურულ ვენახებთან“ არაერთი საკმაოდ დიდი საწნახლის ნანგრევია შენიშნული არქეოლოგიური ძიებისას და შენიშნულია ძველადვე გალავანშემოვლებული ზვარი „წიწამურის სერის“ ძირში.

ყველაფერი ეს, ჩვენის აზრით, გვეხმარება კამარახევის სამაროვნის მასალის შეფასებისას და საფუძველს გვაძლევს ძველი დედაქალაქის ამ უბნის მოსახლეობის შედგენილობაში მიწათმოქმედთა გარკვეული, სხვა უბნებთან შედარებით, შესამჩნევად მრავალრიცხოვანი ჯგუფი ვიგულისხმოთ.

ამჟამად, ჩვენ იმის ხაზგასმით აღნიშვნა გვინდა, რომ წიწამურის უბნის მოსახლეობას თავისი სამაროვანი აქვს; ისიც დაბლობზე, ზედ არაგვის პირას არის გამართული.

ამრიგად, 1953 წლის საძიებო არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ჩვენ მოგვცა საფუძველი დედაქალაქის ამ ერთი უბნის შესახებ არსებული წარმოდგენები შეგვევსო და დაგვეზუსტებინა. როგორც ვნახეთ: სტრაბონის Σευσάμορα წიწამურის სერზეა საგულისხმებელი და იგი სტრატეგიულადაც მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს. ამ უბანს აქვს თავისი ციხე-სიმაგრე და კედელი არაგვის კარის ჩასაკეტად. ამ მდინარის მარცხენა მხარეს, მოსახლეობა, ციხე-ქალაქი და საკულტო ადგილი სერზე და მის კალთებზე (საერთოდ მაღლობზე) ყოფილა განლაგებული, სამაროვანი კი — დაბლობზე, არაგვის მარცხენა ნაპირზე. ერთის სიტყვით, წიწამურის უბანიც მცხეთის დიდი ნაწილია, მცხეთაში შემოდის, მაგრამ მას აქვს ყველა ელემენტი, დამახასიათებელი იმ დროის მოსახლობისათვის.

ასეთია სურათი, რომელსაც ვღებულობთ წიწამურის კართან საძიებო არქეოლოგიური მუშაობის შედეგად და ამ გზით მონაპოვართა წერილობით ცნობებთან შეჯერების მიხედვით.

---

[138] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული, თბ., 1942, გვ. 34.

[139] ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროების Σευσάμορα-ს ლოკალიზაციის საკითხისათვის. ისტორიის ინსტ-ის IV სესიის თეზისები, თბ., 1953.

ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროების Σευσάμορα—წიწამური, გვ. 139,

ა. აფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959.

[140] დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, თბ., 1959.

ამრიგად, ჩვენის აზრით, საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ანტიკური წყაროების ციხე-ქალაქი სისამორა და მისი შემოგარენი ვიგულისხმოთ ახლანდელი სოფლის წიწამურის ადგილას, კერძოდ, წიწამურის სერზე და ამ სერიდან არაგვისკენ ჩამომავალ ზოლზე, არაგვის პირამდე, ბებრისციხის ხაზზე (ტაბ. III).

სისამორ-წიწამურის ასეთ ლოკალიზაციას, როგორც ვნახეთ, მხარს უჭერს წერილობითი წყაროებიცა და 1953 წლის არქეოლოგიური დაზვერვის მასალებიც.

არმაზისხევი — დედაქალაქის ხაერისთავო უბანი

ადრინდელ პუბლიკაციებში დედაქალაქის ეს მნიშვნელოვანი უბანი და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლები „არმაზის" და შესაბამისად, „არმაზის" არქეოლოგიური ძეგლების სახელითაა ცნობილი. მცხეთის ამ უბანს არმაზისხევის უბანი შეერქვა 1944 წლიდან, იმის გამო, რომ როგორც ამდროისათვის აშკარა გახდა, „ქალაქი არმაზი" — არმაზის ციხე ანუ დედაქალაქის შიდაციხე აწინდელი ბაგინეთის მაღლობზე უნდა გვევარაუდნა. 1943—1944 წლის გათხრებმა საკმაოდ ცხადად გამოაჩინეს არმაზციხის უმთავრესი ნაგებობანი, ხოლო 1946 წელს იქ აღმოჩენილმა სამეფო თუ მეფის ასულის სარკოფაგმა ახალი საფუძველი გამოუვლინა ბაგინეთის მიდამოებში სამეფო რეზიდენციის არსებობის შესახებ ადრე, აკად. ს. ჯანაშიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

ახალი აღმოჩენების საფუძველზე, ჩვენის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა „მეფეთა ცხოვრებაში" დაცულ ცნობას, დაკავშირებულს წმიდა ნინოს მოღვაწეობასთან, მაგრამ უთუოდ ადრინდელი ვითარების ამსახველს: „წარმოვიდა (წმიდა ნინო — ა. ა.) წინა-კერძო დასასრულსა მის კლდის ცხურისასა, სადა ყოფილ იყო ძველი ციხე, და მუნ დგა ხე ერთი ბრინჯისა, შუენიერი, მაღალი და რტოიანი, სადა იგი ყოფილ იყო ბარტამ მეფისა საგრილი და განსასუენებელი"[141]. თითქოს პირდაპირი მითითებაა აქ სამეფო რეზიდენციის — სამეფო პალატის არსებობისა (პალატის სასუენებელი ნახსენებია ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაშიც[142], მართალია გვიან, მაგრამ როგორც სამეფო პალატის შემადგენელი ნაწილი). ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ აქ „რაღაც ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რომელიც ბარტამან მეფის აგებული ყოფილა"[143]. ამ ცნობაში ასახულია, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. I საუკუნის შუა წლების ვითარება მაინც. ამ დროს ქართლის მეფის „საგრილი და განსასვენებელი" აწინდელი ბაგინეთის მაღლობზე ჩანს; ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც იქვეა სამეფო საგვარეულოს წევრთა სამარხები სამეფო თუ მეფის ასულის სარკოფაგი, მავზოლეუმი და სამეფო თუ საზოგადოებრივი ნაგებობანი (შდრ. დიონის და სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობები). რაკი ასე მოიხაზა ნამდვილი არმასციხის-არმაზის ადგილმდებარეობა, ბუნებრივია, რომ სათანადო პუბლიკაციებში და, პირველ რიგში, მცხეთის ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილ ნაშრომში საუბარია, ერთის მხრივ „არმაზისხევის უბანზე", ხოლო მეორე მხრივ „არმაზისციხის-შიდაციხის" ან „ბაგინეთის"[144] უბანზე.

არმაზისხევს შემთხვევით როდი ეწოდებოდა „არმაზი". არმაზისხევთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ჯგუფი ხუროთმოძღვრული ძეგლებისა, სახელდობრ სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები, ნასოფლარის კვალი, ხევის საიმედოდ ჩამკეტი ციხე, რომელიც ახლაც „არმაზის ციხის" სახელს ატარებს და „ზვერავს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, ხევ-ხევ თუ მთის ფერდობზე გამავალ გზაბილიკებს და გაჰყურებს ერთი მხრივ „წმინდა ნინოს" მთას და „კარსნის თავს" (ულელტეხილს), ხოლო მეორე მხრივ — მტკვარგაღმა, მთაზე მდგარს კალოუბნის ეკლესიას[145] და არმაზისხევის შესართავთან, მდ. მტკვრის ტერასაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები, რა თქმა უნდა, თავის დროზე საკმაო მითითებებს იძლეოდნენ სწორედ ამ მიდამოებში ეგულისხმნათ ქალაქ არმაზის ადგილსამყოფელი.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ძველი დედაქალაქის სხვადასხვა უბანზე მუშაობის გაშლამ ქალაქის უბნებიც მოხაზა და მათი სახელ-

---

141 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული, თბ., 1942, გვ. 56.

142 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი. თბ., 1944, გვ. 33.

143 ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ., 1946, გვ. 33.

144 მცხეთა I, გვ. 8.

145 მცხეთა I, გვ. 6.

წოდების დაზუსტებასაც ხელი შეუწყო. როგორც ვნახეთ ამის შედეგად გავრცელდა სახელწოდება: ა რ მ ა ზ ი ს ხ ე ვ ი ს უ ბ ა ნ ი.

ჩვენ მითითებული გვაქვს, რომ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების არქეოლოგიურ შესწავლას, როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, ინსტიტუტი გარკვეული მეცნიერული წარმოდგენებით შეუდგა, მაგრამ ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების ეს ახლებური ანალიზიც არქეოლოგიურ მხარდაჭერას, ერთგვარ არქეოლოგიურ კომენტარებს მოითხოვდა[146]. ამიტომ იყო, რომ პირველ რიგში შესასწავლ ობიექტად მცხეთა მიიჩნიეს და თან, 1937 წელს მცხეთისკენ გაგზავნილ არქეოლოგთა პირველ ჯგუფს, რომელსაც ალ. კალანდაძე მეთაურობდა, ს. ჯანაშიამ დაავალა ქალაქის დაზვერვა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. მცხეთის სამხრეთით. ძიება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან რაიონს გულისხმობდა, ავჭალის კარიდან ან ნაქულბაქევიდან არმაზისხევამდე მაინც.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არქეოლოგიური ძიების დაწყებისთანავე მოიქცია ყურადღება არმაზისხევმა იმის გამო, რომ იქ, მდ. მტკვრის მეორე ტერასაზე, სახლის საძირკვლისათვის მიწის ამოთხრისას სქელი კულტურული ფენა გაეკრაო და ქვითკირით ნაგები კედლის ერთი კუთხე ჩამოენგრიათ. საძიებო ჯგუფმა გათხრა დაიწყო და გამოარკვია, რომ იქ მიწის ქვეშ უნდა ყოფილიყო დაცული მნიშვნელოვანი ნაგებობის ნაშთები. საველე სამუშაოებმა არმაზის ხევთან თანდათან ფართო, სტაციონალური ხასიათი მიიღო. აქ განხორციელებულ გათხრებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ ს. ჯანაშია და გ. ნიორაძე[147].

წლების მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგად არმაზისხევის შესართავთან უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლები გამომზეურდა და, ჩვენის აზრით, საკმაოდ აშკარად გამოჩნდა ძველი ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი — ა რ მ ა ზ ი ს ხ ე ვ ი ს უ ბ ა ნ ი — ქ ა ლ ა ქ მ ც ხ ე თ ი ს ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო უ ბ ა ნ ი. ეს უბანი ძველი დედაქალაქის დასავლეთ ნაწილია; უბნის ცენტრი მდ. მტკვრის ნაპირზე ყოფილა, იქ, სადაც დიდგორის მთიდან ჩამომდინარე არმაზის ღელე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მეორე ტერასას ჭკვეთს და მდ. მტკვარს ერთვის. ამ წყალმცირე ღელეს უზარმაზარი ხეობა შეუქმნია. დედაქალაქის ეს უბანი სტრატეგიულადაც მნიშვნელოვან ადგილზე ჩანს გაშენებული. ხევის თავზე შემონახული არმაზის ციხე გვიჩვენებს, რომ არმაზისხევზე მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, რომელსაც ციხე უწევდა მეთვალყურეობას და თანაც იცავდა მას. არმაზისხევის ვიწრობში საიმედოდ დაცული საკულტო ადგილიც უნდა ყოფილიყო ძველადვე. საამისო მოითითებას გვაძლევს სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები. არმაზის ციხეს და სამონასტრო კომპლექსს ახლო-მახლო ხშირი მოსახლეობაც ყოლია შუასაუკუნეებში, მაგრამ ანტიკურ ხანაშიაც და გვიანბრინჯაოს ხანაშიც უნდა ყოფილიყო ხეობა დასახლებული. საამისო ვარაუდს მხარს უჭერს გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხთა აღმოჩენა მტკვრის მეორე ტერასაზე, არმაზისხევის შესართავთან.

ამრიგად ჩნდება საფუძველი აღვნიშნოთ, რომ მცხეთის შემადგენლობაში არმაზისხევი შევიდა, როგორც ერთ-ერთი ძველი მოსახლობა.

აქ პიტიახშთა დასახლება და სამეფო ახშო რეზიდენციის ჩამოყალიბება, სათანადო ნაგებობათა შექმნა და სამეფო ახშო მეურნეობის გაშლა შემდგომი საფეხურია არმაზისხევის ძველი მოსახლეობის ისტორიაში. ეს საფეხური მცხეთის გაქალაქებასთან ჩანს დაკავშირებული. არმაზისხევზე შებმული გზა ანტიკურ ხანაშიაც მნიშვნელოვანი რჩება და, როგორც ვიცით, არ კარგავს ის ძალას ფეოდალურ ხანაშიაც. გზის და ხევის ასეთი სიცოცხლისუნარიანობა მათს მნიშვნელობასაც ხაზს უსვამს.

ანტიკურ ხანაში არმაზისხევის უბანი ფართოვდება. ჩვენთვის ცნობილია მასალები აწინდელი ნ ა ვ თ ს ა დ ე ნ ი ს, მ ა რ ტ ა ზ ი ს ხ ე ვ ი ს, ს ა ნ გ რ ი ს ხ ე ვ ი ს და საერთოდ, არმაზისხევ-ძეგვის სანაპირო ზოლის დასახლების წარმოსადგენად. ამ ზოლში ადრე ანტიკური ხანის სამარხებიც ჩანს (მაგ., ძეგვთან). ყველაფერი ეს ძველი დედაქალაქის ამ ნაწილის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

სისტემატიური გათხრები ამ უბნის მხოლოდ ცენტრშია განხორციელებული. აქ არის აღმოჩენილი უბნის სახის განმსაზღვრელი ძეგლები: ერისთავების სასახლის კომპლექსი, სამაროვანი, სამეურნეო ნაგებობანი, სამეფოს პოლიტიკური წყობის დასახასიათებლად უმნიშვნელოვანესი ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.

---

146 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა. კრებული—აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. თბ., 1949, გვ. 124.

147 დაწვრილებით: მცხეთა I, გვ. 9—14.

ჩვენ არ ვიცით თუ როდის იქცა არმაზისხევის უბანი საერისთავო რეზიდენციად. არქეოლოგიური აღმოჩენები საფუძველს გვაძლევენ არმაზისხევთან საერისთავო სასახლე ვიგულისხმოთ ახ. წ. I საუკუნიდან მაინც. ამ მხრივ უეჭვოა წერილობითი ძეგლების (აღმოჩენილ წარწერათა) მითითებანი. უკვე ამის საფუძველზე შეიძლებოდა გვეეჭვა ნდა საპიტიახშო რეზიდენციის უფრო ადრე ჩამოყალიბება. მაგრამ ჩვენ გვაქვს საამისო სხვა საფუძველიც. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ხუროთმოძღვრულ ფრაგმენტებს, რომლებიც უფრო ადრინდელ ნაგებობებს ეკუთვნიან და, როგორც საზოგადოებრივ ნაგებობათა განხილვისას ვნახეთ. შეიძლება ზოგადად არმაზციხე I და II გავუტოლოთ.

ამრიგად, თითქოს არქეოლოგიური საფუძველი ჩნდება იმისათვის, რომ არმაზისხევთან საპიტიახშო სასახლე, რეზიდენციის კომპლექსის ნაგებობანი და მასთან დაკავშირებული სამეურნეო და სახელოსნო ორგანიზაცია, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, საერისთავო რეზიდენციის კომპლექსისათვის შესაფერისი ხელობითა და ტექნიკით აშენებული ნაგებობანი ძვ. წ. პირველ IV—III საუკუნეებიდან ვიგულისხმოთ.

ერისთავების რეზიდენცია, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი რგოლი იყო ქალაქის და სამეფოს მმართველობის სისტემაში. ამ სამმართველო რგოლს ძლიერი სამეურნეო საფუძველი უნდა ჰქონოდა; შესაბამისად, საერისთავო (საპიტიახშო) იმ დროის გარკვეულ სამეურნეო ორგანიზაციასაც წარმოადგენდა. ერისთავი (პიტიახში) — სამეფოს ეს დიდი მოხელე, როგორც შარაგასის სიტყვებიდან ჩანს, უშუალოდ იყო დაკავშირებული სამხედრო ღონისძიებათა განხორციელებასთანაც. ამას გარდა, ერისთავის ხელი საკაჭრო ურთიერთობაშიაც სავარაუდო ჩანს. ყველაფერი ეს საერისთაოს (პიტიახშატის) საერთო მნიშვნელობას გვიჩვენებს.

საერისთავო უბანში, შეიძლება სულაც სასახლეში, უნდა ვივარაუდოთ, ცხოვრობს ეზოგასმოძღვარიც. ისიც დიდი მოხელეა. მას სამეფო მეურნეობის გამგებლობასთან ერთად, განსაზღვრულ შემთხვევებში მაინც, მხედართმთავრობაც ეკისრება და შეიძლება იყოს მრავალი გამარჯვების მოამპოვებელი. ერისთავობა (პიტიახშობა) და ეზოგასმოძღვრობაც ახ. წ. I საუკუნისათვის მაინც მემკვიდრეობითი გამხდარა.

ჩვენის აზრით, უკვე ზემოთ აღნიშნული იძლევა საფუძველს წარმოვიდგინოთ პიტიახშატის, როგორც პოლიტიკური, ისე სამეურნეო ორგანიზაციის თუ ინსტიტუტის მნიშვნელობა. შესაბამისად დიდი ჩანს საპიტიახშო უბნის როლი დედაქალაქის ცხოვრებაში.

საპიტიახშოს ორგანიზაცია ისე რთული და განვითარებული ჩანს, რომ იქმნება შთაბეჭდილება შესაჩნევად დამოუკიდებელი ერთეულისა, რომელიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, განვითარებულია არმაზისხევის ძველი მოსახლობის საფუძველზე.

დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას ქმნის: სასახლის, აბანოს და მათთან დაკავშირებულ ნაგებობათა კომპლექსის აღმოჩენა; საკუთარი კერამიკული სახელოსნოს თუ სახელოსნოების ნაშთების აღმოჩენა, საკუთარი წყალსადენი და მარანი თუ მარნები. ეს უკანასკნელი საკუთარი ზვრების (ე. ი. საპიტიახშო ვენახების) არსებობასაც გვავარაუდებინებს და მეურნეობის ამ დარგის დაწინაურებასთან დაკავშირებულ შრომის ორგანიზაციის დონესაც უჩვენებს.

პიტიახშთა სასახლის, როგორც სამეურნეო ინსტიტუტის დახასიათება გვიჩვენებს, მეურნეობის და ხელოსნობის სათანადო დარგებს (მევენახეობა, მექვევრეობა), სადაც პიტიახშებს შეეძლოთ თავიანთი მონების და ხელქვეითების შრომა გამოეყენებინათ.

როგორც ჩანს, პიტიახშთა უბანი საერთოდ თვალსაჩინო როლს ასრულებდა უცხოეთთან ურთიერთობაში. ამ მხრივ დამახასიათებლად გვეჩვენება საპიტიახშო უბნის სამარხებში აღმოჩენილი ხელისუფლების ნიშნები და მათ შორის ბერძნულ წარწერიანი და ერისთავის გამოსახულებიანი ბეჭედი. როგორც აღვნიშნეთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ პიტიახშებს, როგორც წესი, ბერძნულ წარწერიანი ბეჭდები აქვთ. ამ თვალსაზრისით, კვლავ გვახსენდება საჩუქრები, მიღებული პიტიახშების მიერ უცხოელ მეფეთაგან და ა. შ.

საპიტიახშო უბნის სიძლიერეს, მის განსაკუთრებულ როლს დედაქალაქის ცხოვრებაში, შეეძლო შეექმნა საფუძველი იმისათვის, რომ გვიანდელ წყაროებს დედაქალაქის ეს მხარე დამოუკიდებელ ქალაქად წარმოედგინათ.

როგორც ჩანს, საპიტიახშო უბანს წარმოადგენდა მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არმაზის ღელეს ორივე მხარე-

ზე, განსაკუთრებით დასავლეთით, თვით ხეკორძულას ხევამდე მაინც. საპიტიახშო მეურნეობა უნდა ყოფილიყო გაწალილი (შდრ. სურ. 1).

უბნის უმნიშვნელოვანეს პუნქტში, სადაც ქედზე გადასასვლელი გზა უნდა ყოფილიყო, თავის დროზე ციხე აუშენებიათ. ამ ციხეს უნდა განეხორციელებია გზის მეთვალყურეობა და დაეცვა საპიტიახშო უბანი (რეზიდენცია და მასთან დაკავშირებული მოსახლობანი).

ჯერჯერობით ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით თუ სად იყო საპიტიახშო უბნის საკულტო ადგილი, მაგრამ შეიძლება ასეთი ნაგებობანი არმაზისხევის მონასტრის ან შემდეგდროინდელ „წმინდა ნინოს“ სამლოცველოსთან ვივარაუდოთ.

უბნის სამაროვანი, როგორც წესი, დაბლობზეა. ამ შემთხვევაში ის საპიტიახშო სასახლის კომპლექსს უკავშირდება, მაგრამ ერთგვარად მაინც გამოყოფილი ჩანს.

საპიტიახშო უბნის შესახებ უფრო სრული წარმოდგენა შეგვექმნება თუ ზემოთ განხილულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, მათს ფრაგმენტებს, ერისთავთა სამარხებს და სამარხეულ ინვენტარს და არმაზისხევთან აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებს გავიხსენებთ (ტაბ. XXVII, XXVIII, XXXIII—XXXVII; XLII; XLIII; XLIV, 1; XLVIII—L). ამ წარმოდგენას აესებს საპიტიახშო უბანთან დაკავშირებული მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის გათვალისწინება, თუნდაც იმ მცირერიცხოვანი მასალის საფუძველზე, რომელიც სადღეისოდ მოიპოვება ჩვენს მუზეუმში. აქ პირველ რიგში ნავთსადენის, მარტაზისხევის, სანგრისხევის და ბარგიყარიას მონაპოვრებს ვგულისხმობთ.

საპიტიახშო უბნის თვალსაჩინო როლს უთუოდ აძლიერებდა მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხევს ციხე ჰკეტავს, იმის გამო, რომ არმაზისხევზე გადიოდა სამხრეთიდან — დიღომ-სათოვლე-დიდგორზე შემავალი გზა, რომლითაც თბილისის გზასაც უკავშირდებოდნენ და თრიალეთსაც (ეს გზა არქეოლოგიურადაც შეინიშნება ნახშირგორა-ბეთანიასამადლის ხაზზე). დიდგორ-დიღმის ზოლზე ანტიკური ხანის ნასახლარებისა და სამაროვნების აღმოჩენის არაერთი შემთხვევაა დადასტურებული. ქვითიებული ზეგანი ანტიკურ ხანაში შესამჩნევად ხშირ მოსახლეობას ინახავდა. რა თქმა უნდა, არმაზისხევზე გამავალ გზას ხელი უნდა შეეწყო ამ რაიონის მოსახლეობისათვის. ასეა თუ ისე, არმაზისხევს ამ გზის გამო მომგებიანი გადასასვლელის გადაკეტვა შეეძლო. ამის შესრულება საერისთაო უბნის მოსახლეობას უნდა ეკისრა. ერთ გვიანდელ ქართულ საბუთში ვკითხულობთ: „ძეგველებს ნურაზე შეაწუხებთ... ამიტომ, რომ სამშუს გზაზედ დგანან შუა შარაზედ და ესენი მცველნი არიან“[148]. რა თქმა უნდა, ეს ამონაწერი ანტიკურ ხანის ვითარებისთვის არაფრის მთქმელია, მაგრამ ძველი დედაქალაქის ამ უბნის მოსახლეობის ტრადიციულ ვალდებულებას გვაგონებს. ამ ხეობაში შებმული გზა ისევე ძველ ტრასაზეა, როგორც „აქლემის გზა“[149] პატარა დმანისთან ახლოს.

არმაზისხევთან გადიოდა უფრო დიდი გზა — მცხეთაზე გამავალი გზების ერთი, მტკვარს მარჯვენა შტო, რომელიც საპიტიახშო უბანს არაგვისა და მტკვრის ხეობათა ცნობილ გზებთან აკავშირებდა. ამ გზის არმაზისხევ-ძეგვის მონაკვეთს დიდ ხანს შეუნარჩუნებია თავისი მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ამ ზოლის მოსახლეობის სიხშირე ანტიკურ ხანაში, არც ციხე-სიმაგრეები არმაზისხევისა და ციხედიდისა, რომელთაგან უკანასკნელი წინაფეოდალურ ხანაშიაც უნდა არსებულიყო, ქართული საისტორიო წყაროების ჩვენების თანახმად.

უბნის სახელწოდება საკმაოდ პირობითია. მას შემდეგ რაც აქ აღმოჩენილ წარწერებში არა ერთხელ და არა ერთი პიტიახშია ნახსენები, თანდათან გზა გაიკაფა სახელმა: საპიტიახშო-საერისთავო.

თავდაპირველად, 1940 წელს საერისთავო სასაფლაოს არსებობა გამოირკვა და სათანადო სახელიც ბუნებრივი ჩანდა, მაგრამ შემდეგ წლებში ნაგებობათა სრული კომპლექსი გაითხარა და ადრე აღმოჩენილი აბანოც „სასახლის კომპლექსის“ შემადგენელ ნაწილად იყო მიჩნეული. ამრიგად, ცხადი გახდა, რომ აქ თავის დროზე ერისთავთა რეზიდენცია უნდა ყოფილიყო; თუმცა რაკი წარწერებში მეტწილად პიტიახშთა ხსენებაა, თავდაპირველად „საპიტიახშო უბანსა“ და „საპიტიახშო რეზიდენციას“ მიეცა გავრცელება. შემდეგში, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, აკად. ს. ჯანა-

---

148 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd. 2734.

149 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, გვ. 329 (იხ. კრებული: რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938).

შიაქ და აკად. გ. წერეთელმა გამოარკვიეს, რომ „პიტიახში“ უმაღლესი ხელისუფლების მქონე პირის თანამდებობის აღმნიშვნელია, და თანაც გაერცელებული სპარსელებში, ქართველებში და. სომხებში. ამ ტერმინს ადგილობრივ სოციალ-პოლიტიკურ ტერმინად მიიჩნევდნენ[150] და თვლიდნენ, რომ ირანულ სამყაროს ის თითონ ნასესხები უნდა ჰქონდეს ლუვიური ენის სამყაროდან[151].

მოსე ხორენაცი გუგარქის პიტიახშს დარიუსის სატრაპის მირდატეს შთამომავალად თვლიდა[152]. ორმოციან წლებში ლევან მუსხელიშვილი პიტიახშთა მემკვიდრეობას აღგენდა და ამ გზით არკვევდა თუ როგორ უნდა გაჩენილიყვნენ „ნათესავთ პიტიახშნი“[153] აღრე ფეოდალურ საქართველოში.

ამ სოციალ-პოლიტიკური ტერმინის სიძველე და ხანგრძლივი არსებობა (ახ. წ. VII ს-მდე მაინც), ეპიგრაფიკულ ძეგლებში ასე ფართოდ და მკაფიოდ დაცული მითითებები, არმაზისხევთან აღმოჩენილი „სასახლის კომპლექსი“ და მდიდრული სამარხები ქმნიდნენ საფუძველს დედაქალაქის ეს უბანი საერისთავო (საპიტიახშო) უბნად მიჩნეულიყო.

ხუროთმოძღვრული ძეგლების, ეპიგრაფიკული მასალისა და სამარხ-ნაგებობათა მიმოხილვისას, ჩვენის აზრით, ერავალრიცხოვანი დამახასიათებელი მასალა აღმოჩნდა მცხეთის საპიტიახშო უბნის ცხოვრების გასათვალისწინებლად.

ამრიგად, ირკვევა, რომ საპიტიახშო უბნის ცენტრი არმაზისხევის მარჯვენა ნაპირზე იყო, იქ, სადაც ხევი მდ. მტკვარს ერთვის; მტკვრის მეორე ტერასის ვაკობზე, რომელსაც ორიოდე ჰექტარი ფართობი უჭირავს.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1937 წელს აქ დაიწყო ანტიკური ხანის აბანოს გათხრა. შემდეგ წლებში გაითხარა „ზღურბლიანი ნაგებობა“, ერთ და ორსახლიანი ნაგებობები, მარანი და სხვ. როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაში ჩამოყალიბდა საპიტიახშო რეზიდენციის დამახასიათებელი ნაგებობების კომპლექსი, ცნობილი ქართულ წერილობით ძეგლებში. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ტაძრის ანუ სასახლის არეში პიტიახშს სხვა შენობებიც ჰქონია, მაგ., სენაკებიც. სენაკი თვით ტაძრის შენობაში არ ყოფილა, არამედ ცალკე მდგარა, რაც იაკობ ხუცესის მოთხრობითგან ცხადად ჩანს“[154]. ამას გარდა, აღმოჩენილ იქნა უწყვეტით ქვათლილთა გადაბმის ნიშნები, არქიტექტურული დეკორის ნაშთები, სვეტისთავი, დაკბილული კარნიზის ფრაგმენტი, სვეტის ძირი და სხვ., რომლებიც საპიტიახშო უბნის ნაგებობათა უძველეს ფენას უნდა მიეკუთვნოს.

საერთოდ კი, არმაზისხევთან გათხრილი ადრინდელი ჯგუფი ზემოთ ჩამოთვლილი ნაგებობებისა გულმოდგინედ ნაშენია და მდიდრულად შემკულ ნაგებობათა შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ ნაგებობას „ერთისა და იმავე არქიტექტურული ანსამბლის ნაწილებად მივიჩნევთ. ჩანს, რომ მთელი ეს ანსამბლი შედარებით მცირე ფართობზე ყოფილა შეჯგუფული, ხოლო დანარჩენი სივრცე ალბათ ეზო-ბაღს წარმოადგენდა. ამ ანსამბლს უკავია ველის დასავლეთი ნაწილი, მთელი ფართობის დაახლოებით 1/15. სწორედ ამ ნაწილში გვაქვს ის, რასაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ერისთავთა სასახლის კომპლექსი“[155], თუმცა საკუთრივ სასახლის უეჭველი ნაშთები ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი.

როგორც გათხრებმა გვიჩვენა, ეზო ამ კომპლექსისა საკმაოდ დიდ ფართობზე ქვაფენილით დაფარული ყოფილა. ყურადღებას იპყრობს ნაგებობათა საკმაოდ სწორი განლაგება; თითქოს შეიმჩნევა მცირე ქუჩებისა, მცირე მოედნებისა და ეზოების მონახაზები.

ველის გათხრილი უბნის თითქმის შუაგულშია თავმოყრილი II—III საუკუნეების მდიდრული სამარხები. ესაა პიტიახშთა სასაფლაო, რომელიც დანარჩენ სამარხთაგან ათიოდე მეტრის სიფართის ზოლითაა გამოყოფილი. მომდევნო ხანის მდიდრული სამარხები ორ ბუდედ არის განლაგებული. პიტიახშთა სამაროვნიდან მოშორებით. მიუხედავად ასეთი დაჯგუფებისა, სამარხებში აღმოჩენილ ინვენტარისა და სამარხთა აღნაგობის გაცნობა ცხადსა ხდის, რომ „ჩვენს წინაშე არის წარჩინებულ ადამიანების არსებითად ერთი და იგივე ნეკროპოლი, რომელიც სამიოდე საუკუნის მანძილზე

---

150 Г. Капанцян, О двух социально-политических терминах... ВДИ, № 3, М., 1949, გვ. 12.

151 გრ. ღაპანციანი, დასახ. შრომა, გვ. 13.

152 История армянского народа, Моисея Хоренского, Москва, 1858,. გვ .108.

153 ლ. მუსხელიშვილი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი. ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ. 1943, გვ. 93.

154 ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 18.

155 მცხეთა, I, გვ. 164.

არსებობს და თავისი ინვენტარით ასახავს ამ პირთა თანდათანობით ქონებრივ დაქვეითებას III საუკუნის შემდეგ"[156].

პიტიახშთა სამარხებს გარდა ამ უბანზე აღმოჩენილია საშუალო შეძლების პირთა და ღარიბთა სამარხებშიც.

სამარხთა ტიპებისა და აღნაგობის დასახასიათებლად არმაზისხევის სამაროვანი, აგრეთვე, მდიდარ მასალას გვაძლევს. სახელდობრ, ამ უბანზე გათხრილია ქვისსამარხები, კარამიტსამარხები და ორმოსამარხები. ქვის სამარხთა შორის არის ორი მთლიანადკვეთილი ქვისსამარხი ანუ სარკოფაგი, მავზოლეუმის ტიპის ნაგებობის ნაშთები (ტაბ. XXVII; XXVIII; სურ. 77). მხედველობაში გვაქვს არმაზისხევის საპიტიახშო სამაროვნის პირველ და მეორე სამარხთან დაკავშირებული ორსენაკიანი ნაგებობა, აღმოჩენილი 1940 წლის შემოდგომით. რა თქმა უნდა, ამ ნაგებობის მიჩნევა მავზოლეუმის ტიპის სამარხად პირობითია, და გამთხრელთა და გამომქვეყნებელთა სიფრთხილეც დასაბუთებული. ცნობილ გამოცემაში „მცხეთა I" მითითებულია, რომ ძნელდება ამ ნაგებობის „მიჩნევა წარმართულ საკულტო ნაგებობად (რომელშიაც შემდეგ მიცვალებულები დაუკრძალავთ), წარჩინებულ მიცვალებულთათვის აგებულ განსასვენებლად და მასზე აღმოცენებულ სამლოცველოდ, თუ სამარხებს ირგვლივ შემოვლებულ გალავნად"[157]. ჩვენის აზრით, ასეთი საფუძვლიანი მოსაზრების მიუხედავად ახლა ჩანს ზოგიერთი საბუთი, ეს ნაგებობა მავზოლეუმის ტიპის სამარხის ნაშთად მივიჩნიოთ. საამისო მითითებას გვაძლევს ნაგებობის გეგმა: ის ორსახლიანია და თანაც, როგორც აღვნიშნეთ, მისი წინა განყოფილება მცირეა (18,24 მ²), ხოლო უკანა (აღმოსავლეთის მხარეზე) — უფრო დიდი (36 მ²). გეგმა ამ ნაგებობისა[158], ახლო მსგავსებას ამეღავნებს ბაგინეთის მავზოლეუმის ტიპის სამარხის გეგმასთან, და შესაბამისად უახლოვდება ბოსფორისა და რას-შამრას სამარხთა გეგმებს. თუ ეს მოსაზრება გაზიარებული იქნება, მაშინ უნდა ვისაუბროთ მავზოლეუმის ტიპის ნაგებობათა არსებობაზე დიდი მცხეთის სამ უბანზე (შიდა-ციხე, საპიტიახშო და მოგუთა). კრამიტსამარხთა შორის აღმოჩენილია ოთხკუთხოვანი და ექვსკუთხოვანი მოყვანილობის სამარხები. ამას გარდა, გაითხარა ჩვილი ბავშვის ერთი სამარხი შედგენილი თიხის ჭურჭლის მოზრდილი ნატეხისა და ზედ დაფარებული ღარისებრი კრამიტისაგან[159].

არმაზისხევთან აღმოჩენილი ორმოსამარხები მითითებული ტერასის აღმოსავლეთ კიდეზეა თავმოყრილი. ისინი დიდათ უსწრებენ წინ პიტიახშთა ხანას და გვიანბრინჯაოს ეპოქისა ჩანან, ე. ი. ორმოსამარხთა სინქრონული ნამოსახლარი ამ მიდამოში ისევ საძებნელია.

საპიტიახშო უბნის გათხრამ, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი ძეგლები გამოამზეურა, ქართლის სამეფოს ისტორიის მრავალ, დღემდე ბნელით მოცულ, საკითხთა გასაშუქებლად. შესაბამისად მრავალისმთქმელია ეს მასალა მცხეთის საქალაქო ცხოვრების სურათის წარმოსადგენად.

არმაზისხევის პიტიახშთა სამარხებმა გამოამზეურა ერისთავთა ხელისუფლების ნიშნები — ინსიგნიები: საერისთავო ოქროს სარტყელი, სატევარი და საბეჭდავი ოქრო-ბეჭედი*. საერისთავო საბეჭდავზე, როგორც ცნობილია, ერისთავის პორტრეტული გამოხატულებაა ამოკვეთილი და სახელიცა და თანამდებობაც ამ პირისა — პიტიახში ასპარუგი. მეორე სამარხის ვერცხლის ლანგარზე გამოყვანილ წარწერაში, როგორც ირკვევა, აგრეთვე, ერთ-ერთი პიტიახშის სახელია ნახსენები; მესამე სამარხის წარწერაში ბერსუმა პიტიახშმა იჩინა თავი და ა. შ. ქართლის სამეფოს სახელმწიფო მოღვაწეთა სია არმაზისხევის ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა მნიშვნელოვნად შეავსეს. ცნობილი გახდა სახელები: იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის, ჯავახ პიტიახშისა, ეზოგსმოძღვარ იოდმანგანისა, აგრეპასი; ბერსუმა და შარაგას პიტიახშებისა, ჯავახის ასულის სერაფიტისა და ა. შ. წარწერებმა შექი მოჰფინეს სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურასაც. გამოირკვა, რომ სამეფოს სათავეში დგას „იბერთა მეფე — მეფე დიდი". მეფეს ჰყავს პიტიახშები და ეზოგსმოძღვარი. ისიც გაირკვა, რომ პიტიახშობასაც და ეზოგსმოძღვრო-

[156] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 184.

[157] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 164.

[158] ი ქ ვ ე, იხ. გენერალური გეგმა III.

[159] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 19, ტაბ. VII, 4, 5.

* ტერმინი „ოქრო-ბეჭედი" გავრცელებული ჩანს ძველს ქართულ საისტორიო მწერლობაში. ასე მაგ., გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში „ცხორებაჲ იოანესი და ეფთიმესი", ნათქვამია: „რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს, ყოველი ოქრო-ბეჭდითა დაუმტკიცნეს...".

ბასაც მემკვიდრეობით ხასიათი მიეცა. ერთის სიტყვით, აღმოჩენების მიხედვით პოლიტიკური მმართველობის განვითარებული ინსტიტუტები ისახება.

საქალაქო ცხოვრების დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია შეინიშნოს, რომ ამ უბანზე თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის ნაშთები იყო აღმოჩენილი. ქურა პატარა ჩანს და ვიწრო წრის მოთხოვნილებას თუ დააკმაყოფილებდა[160].

ქალაქის უბნებს სათანადო წყალსადენიც ჰქონიათ. არმაზისხევი ამ მხრივ უპირატეს მდგომარეობაშია. სპიტიახშო უბანს შესანიშნავი წყაროებიც უნდა ჰქონოდა და თიხის მილებით გამოყვანილი წყლითაც უზრუნველყოფილი ყოფილა.

პიტიახშები, როგორც ჩანს, ფლობდნენ ზვრებსაც. ამ უბნის ხელისუფალთა შეძლება ამ მხრივ თვალსაჩინოა. სპიტიახშო სასახლის კომპლექსს უკავშირდება გათხრილი უბნის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს თავმოყრილი 55 დიდი ქვევრი. ეს აღმოჩენა საფუძველს გვაძლევს „გარკვეულ ხანაში არმაზისხევის მარჯვენა ნაპირზე, დაახლოებით 45×90 კვ. მეტრ ფართობზე მარანი ან მარნები ვივარაუდოთ"[161]. ამ ქვევრებში 2000 ჰექტოლიტრამდე ღვინის შენახვას ვარაუდობენ, რაც ქალაქთან ახლოს დიდი მასშტაბის ზვრების არსებობას გვავარაუდინებს და ქსნიდან არხის გამოყვანის ეპიზოდს გვაგონებს მეურნეობის ამ დარგის ფართო ხასიათის წარმოსადგენად. მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ ახლა საქმე გვაქვს ძველი დედაქალაქის სპიტიახშო უბანთან და მის მესვეურთა მეურნეობასთან. როგორც ცნობილია, არმაზისხევთან აღმოჩენილ წარწერებში ნახსენებია ქართველთა დიდი მეფის ქსეფარნუგის ეზოგასმოძღვარი იოდმანგანი, ძე აგრიპა პიტიახშისა, რომელსაც სამეფო მეურნეობის ავკარგი, ცხადია, ეკითხებოდა, როგორც სამეფო მეურნეობის გამგესა და მმართველს. რაკი ეზოგასმოძღვარ იოდმანგანის მეუღლე სერაფიტი არმაზისხევის სპიტიახშო ნეკროპოლშია დასაფლავებული, უნდა ვიფიქროთ, რომ იოდმანგანს თავისი ოჯახით სპიტიახშო უბანში უნდა ეცხოვრა. ის იმავ დროს პიტიახშის ძეც ხომ იყო; ასეთ ვითარებაში თითქოს ჩნდება საფუძველი იმისათვის, რომ სპიტიახშო უბანში დიდი მარნის არსებობა ვივარაუდოთ. მარანი არმაზიხევშიც არის აღმოჩენილი, მაგრამ მცირე, ალბათ რეზიდენციაში სახმარი ღვინისა და არა მარაგის შესანახი.

ერთის სიტყვით, ჩვენ ამ შემთხვევაში ნამდვილად ვარაუდის და საკითხის დასმის სფეროში ვრჩებით და ვფიქრობთ, რომ მომავალმა გათხრებმა შეიძლება შუქი მოჰფინონ ამ საკითხსაც.

სპიტიახშო უბანში მარნის აღმოჩენა ასეთ ვითარებაშიაც საყურადღებოა და უბნის ცხოვრების დახასიათებისათვის მნიშვნელოვანი.

პიტიახშთა მდგომარეობის დახასიათება ქვემოთ გვექნება მოცემული, მაგრამ ამჯერად, რამდენიმე საკითხს მაინც უნდა შევეხოთ. პირველი საკითხი პიტიახშთა სამარხეული ინვენტარის ვერცხლის ნივთების წარმომავლობას შეეხება. სპარსულ წარწერიანი პინაკი, ბერსუმას ლანგარი, მეექვსე სამარხის პინაკი, რომელშიც სიუხვის ქალღმერთის ჰორელიეფური გამოსახულებაა ჩაკრული, იმავე სამარხის მეორე პინაკი, რომელშიაც მამაკაცის ბიუსტია ჩაკრული, არმაზისხევის ცნობილი პატერა, საღვინე სურები ასპარუგისა და მეშვიდე სამარხიდან და მრავალი სხვა, უცხოური იერის ნივთი პიტიახშთა სამარხეულ ინვენტარის თვალსაჩინო ნაწილს შეადგენს. ამ სამარხებშია აღმოჩენილი უმრავლესი ნაწილი უცხოური მონეტებისა. უველაფერი ეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საფუძველს გვაძლევს პიტიახშთა წრე გარეშე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობის სფეროშიც დაწინაურებულად წარმოვიდგინოთ. როგორც ჩანს, ამ წრის ხელშია ან უშუალოდ მას ექვემდებარება ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის საქმე სამეფოში, და მაშასადამე, დედაქალაქშიაც. როგორც ირკვევა, პიტიახშებს და განსაკუთრებით ეზოგასმოძღვრებს ახლოს მიუწვდებოდათ ხელი უველაფერ იმასთან, რაშიაც იყო დახარჯული პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის უცხოური მონეტები. როგორც ვნახეთ, მათს სამარხებში იჩინა თავი მნიშვნელოვანმა ნაწილმა ფუფუნების საგნებისა, რომელთა შეძენაზედაც ქართლის სამეფოს სიმდიდრე იხარჯებოდა.

[160] მ ც ხ ე თ ა, I.

[161] მ ც ხ ე თ ა, I, გვ. 167.

სარკინე—ძველი დედაქალაქის ლითონის სახელოსნო უბანი

ძველი დედაქალაქის ლითონის საწარმოო და სახელოსნო უბანი ქართულ საისტორიო წყაროებში სარკინეს სახელითაა ცნობილი. სარკინე უბანი გაშლილი ყოფილა მცხეთის დასავლეთით, შიომღვიმის მისადგომებში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე (ტაბ. II, 3; VI, 2). ამ უბანს, როგორც ჩანს, დიდი ტერიტორია ეკავა კალოუბნის დასავლეთით ღრმად გაჭრილ „ჯოჯოხეთის ხევიდან“ მდ. ქსნამდე და ნასტაგისამდე. ეს მიდამოები ჭთა-გორიანია (მეტწილად მტკვრის პირას — სავანის ქედი), მაგრამ მას საკმაოდ დიდი ზეგანებიცა აქვს.

არქეოლოგიურად ეს მხარე სათანადოდ შესწავლილი არ არის. საველე სამუშაოები ძიებას არც გასცილებია, ხოლო აღმოჩენილი ძეგლების ხასიათი არ იძლევა საშუალებას დედაქალაქის ამ ნაწილის სრული სურათი მოვხაზოთ. სარკინეს მდებარეობა მცხეთიდან ასე მოშორებით საინტერესოდ აყენებს საკითხს მათი ურთიერთობის შესახებ.

ქართულმა საისტორიო მწერლობამ, როგორც წინ ითქვა, სარკინეს შესახებ სხვადასხვა ხასიათის ცნობები შემოინახა.

პირველად „სარკინე“ ნახსენები აქვს ლეონტი მროველს თხრობაში, სადაც თურქ ლტოლვილთა ქართლის სამეფოში მოსვლაზეა საუბარი: — „ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას დასავლით კერძო, კლდეთა შორის გამოკუეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“[162]. ადგილის სახელწოდებასთან ერთად ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ეს ადგილი უცხოელთათვის დასასახლებლად მიუცია მცხეთელ მამასახლისს, ისე, რომ საამისო დასტური არავისთვის არ უთხოვნია. ე. ი. მცხეთელი მამასახლისი დამოუკიდებლად წყვეტს სარკინეს საკითხს; ჩვენის აზრით ალბათ იმიტომ, რომ ეს ადგილი მცხეთისაა და მეფეს, რომელიც დედაქალაქის მესვეურიცაა და სამეფოს მეთაურიც, უშუალოდ მიუწვდებოდა ხელი დედაქალაქისა და მისი მიდამოების — უბნების მიწებზე. ერთი სიტყვით, აქ თითქოს ისახება მცხეთისა და სარკინეს ურთიერთდამოკიდებულების სურათი წინაფეოდალურ ხანაში.

ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის აღწერისას ლეონტი მროველი ჩამოთვლის შუა ქართლის ციხე-ქალაქებს და სარკინეს მცხეთის უბნად მიიჩნევს: „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა...“[163]. ცოტა ქვემოთ ლეონტი თითქოს განსხვავებული წარმოდგენისა ჩანს. ალექსანდრემ ალყა შემოარტყა ამ ადგილს — „და მოიცვა ქალაქი სარკინე და ვერა სადეთ განერა ერთიცა კაცი“. აქ სარკინე, როგორც ვხედავთ, თითქოს დამოუკიდებელ ქალაქად გამოიყურება.

თითქოს დამოუკიდებელს მცხეთისგან და ციხედიდთან დაკავშირებულს წარმოადგენს სარკინეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მემატიანე ჩამოთვლის ქალაქებსა და ციხეებს შემდეგი თანმიმდევრობით: „სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი, და ოძრხჱ, და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ. უფლის ციხჱ კასპისაჲ: ურბნისისაჲ და ოძრხისაჲ“[164]. როგორც ვხედავთ „მეფეთა ცხოვრების“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, წყაროები ძველი დედაქალაქის მელითონეთა უბნის სახელწოდებად „სარკინე“-ს მიიჩნევენ. ასევეა „ასურელ მამათა ცხოვრებაშიაც“. იქ ვხვდებით „...სარკინისა მღვმესა...“[165], „სარკინისა აღმოსავლეთით...“[166], „...სარკინისა მღვმედ...“[167]; „კლდეთა შინა სარკინისათა გამოქნილი იყო ქვაბები“[168]; „მიიწია მღვმედ სარკინისა...“[169] და ა. შ.

ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიაში“ „სარკინეთი არს მცხეთის დასავლით, სადაცა აღაშენეს ქალაქი ძლიერთა თურქთა და, მოსლვასა ალექსანდრე მაკედონელისასა, განხვრიტეს მთა ესე სხალტბისკენ და ივლტოდენ კავკასეთად“[170]. აქ სარკინე ქალაქად არის მიჩნეული და არაფერია ნათქვამი მცხეთასთან დამოკიდებულების შესახებ.

პლატონ იოსელიანი სტრაბონის „სისამორას“ ძიებისას, — როგორც ზემოთ ითქვა, სარკინეს იხ-

---

162 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 15.

163 იქვე, გვ. 18.

164 ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 196.

165 ასურელ მამათა ცხოვრება. თბ., 1955, ილია აბულაძის გამოცემა, გვ. 69.

166 იქვე, გვ. 113.

167 იქვე, გვ. 205.

168 იქვე, გვ. 206.

169 იქვე, გვ. 212.

170 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 61.

ხენებდა და ვარაუდობდა, რომ „სისამორა“ მცხეთის დასავლეთით, სარკინეს მიდამოებში უნდა არსებულიყო.

თედო ჟორდანია სარკინეს და მცხეთას მჭიდროდ დაკავშირებულ პუნქტებად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ „მცხეთა იყო ნაწილი სარკინისა“. დმიტრი ბაქრაძემ სარკინეს ადგილმდებარეობის საკითხზე ორი, ჩვენის აზრით, ერთიმეორის გამომრიცხველი აზრი გამოთქვა 1875 წელს. ერთგან ავტორი აღნიშნავდა, რომ «Самтаврский храм получил название от имени древного укрепления, лежавшего в 300—400 шагах от развалин северо-западного предместья Мцхета, Саркине. Укрепленная ограда Самтаврского храма соединялась непосредственно с фортификацией Саркине[171]; მეორეგან კი — ზიომღვიმის მონასტერი «Лежит в местности именовавшейся Саркинети (в переводе место нахождения железа[172])».

ლ. მელიქსეთ-ბეგს მიაჩნდა „სარკინე“ და „ციხედიდი“ ერთი ადგილის სახელად[173]. ავტორის მისეულით ეს სრულიად უეჭველია, მაგრამ საეჭვოა თვით სახელი „სარკინე“ ‖ „სარკინეთი“[174]. რაკი მცხეთის სარკინე საეჭვოა როდისმე რკინის მოსაპოვებელი ადგილი ყოფილიყო, ლ. მელიქსეთ-ბეგი ასკვნის: «Значит ясно, что вопрос о происхождении названия «Саркине» — «Саркинет» должен быть разъяснен, во всяком случае, не по линии развития металлургического дела в Грузии в древние времена... Саркине (— Саркинет) должно быть возведено к «Сакене» — «Сакине» (отсюда «Са/р/ки» не»), т. е. к такой форме названия, образованной при помощи греческого суффикса «ен-е» применяемого для обозначения стран, как то, мы имеем в «Голтене», «Хордзене», «Гогарене», «Камбизене» и т. п. ... Отсюда у нас все основания признать в «Сакене» ‖«Сакине», как и в «Сакасене»‖ «Сакасане» и «Сисакан», районы обитания саков, а в Цихедиди—Саркинии, в частности, одно из средоточий скифской культуры».[175]

როგორც ვხედავთ, ლ. მელიქსეთ-ბეგის მიხედვით, სარკინე საკების სახელთანაა დაკავშირებული და არა ლითონის წარმოების განვითარებასთან.

---

171 Д. З. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, ЗОЛКА, 1, Т., 1875 г., გვ. 129.

172 იქვე, გვ. 165.

173 Л. М. Меликсет-Беков, К скифской проблеме, в связи с вопросом о Саках, Каспах и Берах.

უკანასკნელ ხანებში მცხეთისა და სარკინეს ურთიერთობის საკითხს შეეხო ო. ლორთქიფანიძე თავის საკანდიდატო დისერტაციაში. ავტორი მიიჩნევს, რომ სარკინე თავდაპირველად ქალაქი იყო, შემდეგში ის დაეცა და შეუერთდა ქალაქ მცხეთას. როგორც უბანი[176]. იმავე ნაშრომში გამოთქმულია, ჩვენის აზრით, ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული მოსაზრებაც. ავტორის მიხედვით სარკინე, რომელიც 8 კილომეტრზეა მცხეთიდან, ქ. მცხეთის კვარტალი კი არ იყო, არმოზიკესა და სევსამორას მსგავსად, არამედ ქალაქისათვის დამორჩილებულ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. ავტორის შემდგომი მსჯელობიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სარკინე მას მცხეთის სასოფლო ტერიტორიად მიუჩნევია.

სარკინე არქეოლოგიურად დახასიათებული, ჩვენის აზრით, ჯერჯერობით მაინც განსხვავებულ მდგომარეობაშია. ამ უბანზე არა ჩანს ძვ. წ. IV—III საუკუნეებზე უფრო ადრინდელი ძეგლები. ე. ი. აქ დედაქალაქობის წინა ხანის მოსახლობის არსებობა არქეოლოგიურად დადგენილი არ არის, მაშასადამე, სარკინე ამ მხრივ განსხვავდება დედაქალაქის სხვა უბნებისაგან.

წერილობით წყაროებშიაც ჩვენ ვერ ვპოულობთ მცხეთის დედაქალაქობის წინა ხანის ვითარების მიმითითებელ ცნობებს. თურქ ლტოლვილთა სარკინეში დასახლება ისეა აღწერილი, რომ აქ ადრინდელი მოსახლეობა არ იგულისხმება, თუ ასევად არ მივიჩნევთ ლეონტი მროველის ცნობის შემდეგ ადგილს: „ხოლო უმრავლესნი ჰათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას დასავლით კერძო, კლდეთა შორის გამოკეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი, მცხეთელთა მაჰასახლისისაგან“. თუ „კლდეთა შორის გამოკეთილი“ გულისხმობს, მაინცდამაინც, ადამიანის ხელით გამოკეთილს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნებოდა მითითება დედაქალაქობის წინა ხანის მოსახლეობის არსებობის შესახებ სარკინეში. ამრიგად, არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით სარკინე მცხე-

---

მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. VII, თბ., 1937, გვ. 529.

174 იქვე, გვ. 532.

175 იქვე, გვ. 535—536.

176 О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв. н. э., Тб., 1956, გვ. 65.

თის დედაქალაქობის ხანისაა. ამ დროს კი ის მცხეთის ერთ-ერთი უბანია. ასეთად რჩება სარკინე მცხეთის დედაქალაქობის ხანის მთელ მანძილზე.

როგორც ქალაქის უბანი, სარკინე არსებითად არ განსხვავდება არმაზციხის ან წიწამურისაგან. სარკინესთვის დამახასიათებელი ისაა, რომ სიმაგრეთა სისტემასთან ერთად, აქ დედაქალაქის ლითონის საწარმოო თუ სახელოსნო უბანია, რომელსაც მნიშვნელოვანი სასოფლო ტერიტორიაც უკავშირდება (ნასტაგისის სარწყავი ზვრები).

სახელწოდება გვიჩვენებს, რომ აქ რკინის წარმოებასთან, სახელოსნოებთან და სახელოსნო უბანთან გვაქვს საქმე.

საამისო მითითებებს შეიცავენ წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაპოვრები. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველი „სარკინე ქალაქის“ სახელწოდებას რკინის წარმოებას უკავშირებდნენ, მაგრამ პირდაპირ ამის შესახებ მითითება დაცული არ არის. „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში საამისო პირდაპირი მითითებაც შემონახულია. XII საუკუნეში, როგორც პროფ. ილია აბულაძე აღნიშნავს, „როცა „სარკინე“ სახელწოდების გადაღებაზე მიმდგარა საქმე, სომეხ მთარგმნელს სარკინეს ტრანსკრიპციასთან ერთად მოცემული აქვს განმარტება, გლოსა: „რომელი ითქმის რკინის ამოსაღებ ადგილადო“[177].

მოტანილი ადგილიდან კარგად ჩანს, რომ სარკინე ძველადვე რკინის წარმოებასთან დაკავშირებულ სახელწოდებად ყოფილა მიჩნეული და სომეხ მთარგმნელს ამ სახელწოდების მნიშვნელობა აუხსნია სომეხ მკითხველთათვის.

აქ არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს მცირე უზუსტობას. სარკინე ნამდვილად რკინის ამოსაღები ადგილი არ ყოფილა თავის დროზე, მაგრამ XII საუკუნეში, როდესაც თარგმანია შესრულებული, როგორც ჩანს, ქართლის სარკინეთები მოქმედებდნენ, როგორც რკინის ამოსაღები და სახელოსნო ადგილები. ამიტომ, როგორც ჩანს, ანტიკურ სარკინეს მთარგმნელმა ფეოდალური ხანის სარკინეთის მნიშვნელობა მიაკუთვნა. აქ საყურადღებო ცნობა ჩნდება ფეოდალური ხანის რკინის წარმოების შესწავლის თვალსაზრისითაც.

ისტორიო წყაროები ანსხვავებენ ანტიკურ სარკინეს, ფეოდალური ხანის სარკინეთისაგან. ანტიკური სარკინე რკინის სახელოსნოს უბანია, ფეოდალური სარკინეთი კი პირველ რიგში რკინის მადნის (რკინის ქვის) ამოსაღები და გადამამუშავებელი ადგილი ჩანს. ამ ორი სახელწოდების — სარკინე და სარკინეთი — აღრეული გვიანდელი მოვლენაა. სახელთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ასეთია: სარკინე — სარკინეთი.

სარკინე უბნის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1946 წელს. საძიებო სამუშაოებისას ნ. ღამბაშიძე წააწყდა საყურადღებო მასალებს და მცირე საძიებო თხრისას თითქოს რკინის დამუშავების კვალს მიაგნო. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძიებისას მიღებული ცნობა სარკინე უბნის ისტორიისათვის. იმავე წელს აღმოჩნდა ანტიკური ხანის ნაგებობათა ნაშთები და შესანიშნავი ფრაგმენტები, რომელიღაც მდიდრულად შემკული ნაგებობისა[178].

1953 წელს განახლდა საძიებო სამუშაოები სარკინეში, ხოლო 1954—1956 წლებში დაიწყო სავანის ქედთან და გრძელ მინდორზე აღმოჩენილ ნაგებობათა და სახელოსნოთა ნანგრევების გათხრები.

მიუხედავად იმისა, რომ სარკინეში შედარებით მცირე მასშტაბის საველე სამუშაოებია განხორციელებული, არქეოლოგიური მონაპოვარი უბნის ცხოვრების წარმოდგენის შემუშავებაში მნიშვნელოვნად გვეხმარება. სარკინე უბნის არქეოლოგიური ძეგლები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა) ციხე-სიმაგრის ნანგრევები და ბ) სახელოსნოთა ნაშთები.

უმთავრესი ნაწილი პირველი ჯგუფის ძეგლებისა სავანის ქედთან არის დაკავშირებული, თუმცა გვხვდება იქ რკინის სახელოსნოს ნაშთებიც. მეორე ჯგუფის ძეგლები თავმოყრილი ჩანს გრძელ მინდორზე, თუმცა არც ეს ადგილია ზღუდის გარეშე დატოვებული (ტაბ. II, 3).

გრძელი მინდვრის I თხრილის უდიდესი ნაწილი, მისი სამხრეთი ნახევარი თითქმის მთლიანად უკავია ერთ ნაგებობას. ეს არის საკმაოდ დიდი სახელოსნო, სადაც სრულდებოდა რთული და მრავალი სახის სამუშაოები, დაკავშირებული ლი-

---

177 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1953, გვ. 016 და 21 (შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, К скифской проблеме..., გვ. 529).

178 Археологические разведки на горе Саркине, «Заря Востока», № 190, 1946.

თონის დაწურვასა და მის შემდგომ დამუშავებასთან. სახელოსნოთა ნაშთების გათხრისას ამ უბანზე ნაპოვნია დიდი რაოდენობის მეტალურგიული წიდა, რკინის ქვიდან გამოწურული ლუგვი რკინა; ლუგვი რკინის შემდგომი დამუშავების შედეგად მიღებული „სადედნე“ და „სახელადე“ რკინები. გამორკვეულია, რომ სადედნე ანუ სახელადე რკინიდან სასურველი იარაღ-ხელსაწყოს გამოჭედვა წარმოებდა „სარკინე ქალაქის“ ორ უბანზე: ახლანდელ გრძელ მინდორსა და სავანეთზე, აღმოჩენილია რკინის საწური ბრძოლის ნანგრევები; გაითხარა ლითონის გამოსადნობი დიდი სახელოსნო,

სურ. 105. სარკინე. რკინისტარიანი ნიჩაბი აღმოჩენილი რკინის გამოსადნობი სახელოსნოს წინ.

რომელსაც რამდენიმე განყოფილება აქვს. ამათგან ერთში რკინის ქვისაგან ლუგვი რკინის გამოწურვა წარმოებდა, მეორეში — ტყვია უდვნიათ, მესამეში — როგორც ჩანს, სპილენძი. სახელოსნოს დასავლეთ ნაწილში სარკინეული სახელოსნო უნდა ყოფილიყო გაშართული. საამისო მითითებას იძლევა აქ აღმოჩენილი ტიგლები და ტეიფრი.

რკინის გამოსაწური ქურის იატაკზე ფართოდ დაღვენთილი რკინის წიდაა დარჩენილი, ხოლო ტყვიის გამოსადნობ ქურაში თითქმის ხალასი (98%-იანი) ტყვიაა დაღვენთილი.

სურ. 106. სარკინე. სახელადე რკინა (ეწყვეტი?) აღმოჩენილი რკინის გამოსადნობ სახელოსნოში.

სარკინე უბნის პროდუქცია მრავალფეროვანი ჩანს (ტაბ. LXII—LXIV). აღმოჩენილია: რკინის ცულები და ქვისსათლელი იარაღების ნამზადები, უზარმაზარი რკინის კარები, ბრინჯაოს სხვადასხვა საგნები, რკინის ნაირნაირი ხელსაწყო იარაღები, რკინისტარიანი ნიჩაბი (სურ. 105). თვით რკინის გამოსაწური ქურის აუცილებელი ხელსაწყო და მეტად თავისებური „განძი“ რკინის ისრისპირებისა, რომელიც შეიცავს რამდენიმე ასეულ ცალს, ხელახლა, ალბათ ხანძრისას გადადნარს. რკინის შუბისპირი (სურ. 111), ბრინჯაოს ნივთები (სურ. 106—110) და მრავალი სხვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ არის დამზადებული კაჭარახევის სამარ-

სურ. 107. სარკინე. შუბისპირი რკინისა.

ხებში აღმოჩენილი მოღუნული დანები (სავაზეები) და საერთოდ, დედაქალაქობის ხანის მცხეთასა და მის მახლობლად აღმოჩენილი იარაღები.

ორი წლის მუშაობის შემდეგ დაგროვილი მასალა გვიჩვენებს, რომ ამ შენობაში აღმოჩენილ წარმოებდა: რკინის დაწურვა, ლუგვი რკინის გადამუშავება (ალბათ გრდემლზე) და საქედური რკინის მიღება; ამ უკანასკნელისაგან ნაჭრების (კვერის) გამოჭრა; „გასაქედი ნივთის კვალობაზე“ რკინის ჩამოკვეთა, ე. ი. — „სახელადე“ რკინის



სურ. 108. სარკინე. რკინის ნივთის ნატეხი

დაჭრა; გასაქედი ნივთის „სადედნეების“ მოკვეთა. (ნახევარფაბრიკატი) და, ბოლოს, თვით სასურველი ნივთის („ხელადის“) გამოჭედვა და გამოწრთობა.

ყველაფერი ეს ჩვეულებრივად ერთ სახელოსნოში არ უნდა ყოფილიყო თავმოყრილი. მაგ., საქედური რკინისაგან გამოჭრილი კვერები შეიძლებოდა დამოუკიდებლად მდგარ სამქედლოებში გაეზიდათ, მაგრამ გრძელ მინდორზე თითქოს ესეც არ გაუკეთებიათ. ეს გარემოება საერთოდ წარმოების ხასიათით არ არის გამოწვეული. საქედური რკინის კვერებისაგან გასაქედი ნივთის კვალობაზე რკინის ჩამოკვეთა, სადედნეების მოჭრა და, თვით სასურველი ნივთის — ხელადის გამოჭედვა და გამოწრთობა სავალდებულო არ იყო მომხდარიყო მაინცდამაინც იქ, სადაც მიმდინარეობდა მეტალურგიული წარმოების ციკლის წინა სხვა პროცესები.

სარკინე ქალაქის სპეციფიურ მდგომარეობას უნდა ეკარნახა სრული მეტალურგიული ციკლი

(მადნის დაწურვიდან — ნივთის გამოქედვამდე) შესრულება ერთ ადგილზე და თანაც, შესაძლოა, ერთ ნაგებობაში.

მითითებული იმას როდი ნიშნავს, რომ ეს სპეციფიურობა მხოლოდ სარკინეთისთვის იყო დამახასიათებელი. შორ პარალელებს რომ არ გამოვუდგეთ, შეიძლება ეთნოგრაფიულ მონაცემებს მივმართოთ. დოც. ნ. რეხვიაშვილს დადგენილი აქვს, რომ „რკინის „უმი ლითონის" გადამუშავება-დაწურვა სამჭედლო ქოხში წარმოებდა. აქვე მიმდინარეობდა დაწურული რკინის ხელახალი გადადნობა და მიღებული რკინისაგან სხვადასხვა „ხელადის" ჭედვა. რკინის დასამუშავებლად განკუთვნილი სპეციალური ნაგებობა, უკანასკნელი დროის ცნობების მიხედვით, არ ყოფილა დამოწმებული. ამ ფუნქციას, როგორც ითქვა, სამჭედლო ქოხი ასრულებდა"[179].

სურ. 109. სარკინე. ნატეხი ბრინჯაოს ჭურჭლის ფოთლისებრი ყურისა

ეს ცნობა, როგორც ჩანს, მხოლოდ რკინის წარმოებას შეეხება; რკინის დაწურვიდან ნივთის გამოქედვამდე საჭირო პროცესების ერთ შენობაში (სამჭედლო ქოხში) შესრულებას გულისხმობს. გრძელ მინდორზე კი, როგორც ითქვა, არის ფერადი ლითონების (სპილენძის, ტყვიის) გამოდნობისა და სპილენძის ნივთების კეთების-ჩამოსხმის მიმთითებელი მასალებიც. ამას გარდა, არის იმის მანიშნებელი მასალაც, რომ გათხრილ შენობაში ერთი კუთხე შეიძლება ოქრომჭედელს სჭეროდა.

სწორედ ასეთი ხასიათი ლითონის დამუშავებისა გვაძლევს საფუძველს გარკვეული გაგებით სრული მეტალურგიული ციკლის შესახებ ვიქონიოთ წარმოდგენა და ერთ ადგილას, ისიც ერთ ნაგებობაში მისი განხორციელება სარკინე ქალაქის საგანგებო ვითარებას მივაწეროთ.

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მითითებული არ გამორიცხავს საჭედური რკინის კვერების (ზოდების) გაზიდვას გრძელი მინდვრიდან. გრძელ მინდორზე გამოვლენილი ნანგრევების გრანდიოზული ხასიათი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქ რკინა დიდი რაოდენობით იწურებოდა და რკინის იარაღ-ხელსაწყოთა იქვე დამზადების გარდა, რკინა საჭედური რკინის კვერებისა (თუ ზოდების) სახით იგზავნებოდა სხვადასხვა სამჭედლოში. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ნიშნად შეიძლება ისიც გამოდგეს, რომ სავანეთის ქედის ძირას წარმოებულმა თხრამ, ე. წ. „სადედნე", გასაჭედი ნივთის კვალობაზე ჩამოკვეთილი რკინა მოგვცა, ხოლო რკინის დაწურვის პროცესების ადგილობრივ შესრულების მაჩვენებლები კი — ჯერჯერობით არა.



სურ. 110. სარკინე. ბრინჯაოს ნივთი — ხელოსნის ხელსაწყო

თუ მომავალმა გათხრებმა ეს წინასწარი მოსაზრება გაამართლა, მაშინ კიდევ უფრო მკაფიოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ გრძელი მინდვრის ლითონის დამამუშავებელი სახელოსნოების ხასიათი, მასშტაბი და მნიშვნელობა.

სრული მეტალურგიული ციკლის ერთ შენობაში განხორციელების დადგენა მეტად საყურად-

[179] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 61; რკინის წარმოებასთან დაკავშირებული ტერმინებიც ამ წიგნიდან გეკავს ამოღებული.

[180] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 62—63.

ღებო მოვლენაა. არც ისე დიდი ხნის წინ ა. პეტ-ცჰოლდტის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ის აღმოჩნდა სარკინე (სამჭედლო) ქოხის წინ, სადაც წარმოებდა ყველა ოპერაცია, ნედლი ლითონის დამუშავებიდან რკინის სხვადასხვა იარაღის დამზადებამდე და ყველაფერი სრულდებოდა ერთ ქოხში, რომლის სიგანე 15 ფუტი იყო, ხოლო სიმაღლე — 10. ფართობი სარკინე ქოხისა 50—60 კვ. მეტრამდე აღწევდა[180].

როგორც ზემოთაც ითქვა, აქ მხედველობაშია მხოლოდ რკინის დამუშავებასთან დაკავშირებული პროცესები, გრძელ მინდორზე კი — ფერადი ლითონების დამუშავებისა და საოქრომჭედლოს არსებობის მანიშნებელი მასალაცაა აღმოჩენილი.

სურ. 111. ს ა რ კ ი ნ ე. რკინის შუბისპირი, აღმოჩენილი რკინის გამოსადნობ სახელოსნოში.

პირველ თხრილში გათხრილი ნაგებობის წინა მხარე ანუ ფასადი სამხრეთითაა, უკანა მხარე ანუ უკანა კედელი ჩრდილოეთით ჩაჭრილ მიწას ეყრდნობა. სწორედ უკანა კედლის ძირას შემორჩენილა, ჩვენის აზრით, საწური ღუმელის იატაკის ფრაგმენტები; აქ არის ხელუხლებლად რკინის დაწურვისას ღუმელის იატაკზე ვიწრო, მაგრამ საკმაოდ გრძელ ზოლად დაღვენთილი წიდა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ შენობის სწორედ უკანა ნახევარი უნდა სჭეროდა ღუმელს, ხოლო მის წინ — სახელოსნოს სხვა მოწყობილობა — დანადგარები უნდა მდგარიყო; ე. ი. დაახლოებით იგივე პრინციპი უნდა იყოს ქურებისა და სხვა დანადგართა მდებარეობისა (განლაგებისა) სარკინეს შენობაში, რაც ეთნოგრაფიულ მასალითაა დადგენილი. ს. წედისშიაც სამჭედლო ქოხის უკანა მხარეზე, შუაგულიდან მცირე დაშორებით მდგარა „საწური" და სადნობი ქურები, როგორც ეს ნ. რეხვიაშვილმა გამოიკვლია[181].

გათხრის დაუსრულებლობისა გამო ჩვენ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ იყო განლაგებული ამ სახელოსნოს მთელ ფართობზე სხვადასხვა ნაწილები, სხვადასხვა პროცესისათვის განკუთვნილი დანადგარები, მაგრამ დიდი რაოდენობით ისრის პირების აღმოჩენა ნაგებობის სამხრეთ კედელთან ახლოს, ამ კედლის შიგნითა პირიდან დაახლოებით 1,5 მეტრის მანძილზე, იქნებ იმის მაჩვენებლად გამოდგეს, რომ იარაღის დამზადება სახელოსნის წინა ნახევარში მიმდინარეობდა; ხოლო წინა კედლის ახლო მიდამოებში საერთოდ მზა ნაწარმი (ამ შემთხვევაში დიდი რაოდენობით ისრის პირები) ინახებოდა*. რკინის საწურ ღუმელიდან (ქურიდან) საგრძნობლად მოშორებული ჩანს ოქრომჭედლის სახელოსნო; იგი დასავლეთ კიდეზეა, მაგრამ ზემოთ მითითებული ნაგებობის ფარგლებში.

ჯერჯერობით ჩვენ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით რკინის საწური ქურის მოყვანილობის შესახებ; მისი აღნაგობის სრული სურათის აღდგენა არ შეგვიძლია, მაგრამ წურვისა თუ შადნის გამოდნობის პროცესის შესახებ ზოგი რამ შეიძლება ახლავე ითქვას.

ჩვენი ყურადღება ველზე მიიქცია იმან, რომ ქურის ნანგრევთა შორის ნახშირისა და ნაცრის ძალიან მცირე ნარჩენები გვხვდებოდა. ამასთანავე, ყურადღება მიიქცია ნახშირისა და ნაცრის (საერთოდ გადამწვარი ფენის, მათ შორის ალიზისა და ქვის გადამწვარი ნატეხების) დიდი რაოდენობით აღმოჩენამ I თხრილის სამხრეთით, თხრილის, განაპირა ზოლში, სახელოსნოსათვის აშენებული ნაგებობის გარეთ. თუ ამ ორ სურათს ერთმანეთს დავუკავშირებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ შენობის გარეთ დაუყრიათ ქურიდან გამოღებული (მცირე რაოდენობით)ნახშირი, ნაცარი და ალიზისა და ქვის ნატეხები (ეს უკანასკნელი ორი დიდი რაოდენობითაა). ეს თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ გათხრილ შენობაში მადნის წურვას ერთდროული ხასიათი კი არ ჰქონია, არამედ სისტემატიური. ასეთ შემთხვევაში ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ საჭირო იყო ქურის გამოწმენდა, გამოგვა — „მოფალვა". ნიკო რეხვიაშვილი მიუთითებს, რომ „საფალავად ნაძვის ტოტებისაგან შეკრული ცოცხი იხმარებოდა"[182]. არსებითი არ უნდა იყოს ის, თუ რა ჯიშის მცენარისაგან აკე-

---

181 ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 63.

* აქ ნაპოვნ ისრის პირების თავმოყრისა და ერთმანეთთან შედუღების მიზეზები თავისთავად ასახსნელი რჩება. აქნებ სახელოსნოს შემდგომმა გათხრამ დამატებითი ცნობები მოგვცეს ამ გარემოების ასახსნელად.

182 ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 77.

თებდნენ სარკინელნი ღუმელის საგველს, მაგრამ ქურის ფსკერი რომ არა ერთ გზის მოუსუფთავებიათ, ეს საკმაოდ აშკარად უნდა ჩანდეს. ღუმელის თუ ქურის საფალავად ან გამოსაგველად გრძელტარიანი იარაღი უნდა ჰქონოდათ. საგველის ტარი ხელსაკიდ მანძილზე ხისა უნდა ყოფილიყო, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ქურაში ხვდებოდა რკინისა. საკუთრივ საგველი რკინის ტარზე უნდა დაემაგრებიათ. სარკინეში მრავალი ნატეხი აღმოჩნდა რკინის გულსავსე ტარისა. ერთ შემთხვევაში, როგორც ითქვა, რკინის ნიჩაბი აღმოჩნდა, რკინისავე ტარიანი (ტაბ. LIII, 2); სხვა დროს კი მხოლოდ რკინის ტარების ნატეხები. ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს. საკუთრივ საგველი გაკეთებული წიწვიანი ტოტებისაგან ადვილად დაიწვოდა და ბუნებრივია, რომ მხოლოდ რკინის ტარი შემოინახა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცით რას ეძახდნენ ამ იარაღს, მაგრამ ვამჯობინებთ მას ღუმელის ან ქურის საგველი ვუწოდოთ, იმის გამო, რომ ძველ ქართულ წყაროებში ეს ტერმინი ცნობილია. ასე მაგ., იოანე მოსხის „სამოთხეში" ვკითხულობთ: „და დღესა შინა ერთსა ენება ძმათა საქმეჲ პურისაჲ. და ვითარცა განაჯურვის ღუმელი ფრიად. ვითარცა რვალი, ენება ძმათა მათ გამოცდაჲ ძმისა გიორგისი. და განზრახვით დაუმალნეს მას ღუმელისა საგველნი. და უბრძანეს მას გამოვაჲ ღუმელისაჲ. ხოლო იგი ეძიებდა საგველთა, და არა პოვნა"[183].

უნდა ვივარაუდოთ მსგავსი რამ რკინის გამოსაწური ქურისათვისაც, მით უმეტეს, რომ პურის საცხობადაც კი „განაჯურვის ღუმელი ფრიად, ვითარცა რვალი".

მითითებული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ნახშირის საერთო სიმცირე მხოლოდ ქურის დასუფთავებით ვხსნიდეთ. უეჭველია სარკინეებში მაღალი ხარისხის ნახშირი გამოიყენებოდა და თვით ღუმელიც (ქურაც) ისე იყო, როგორც ჩანს, მოწყობილი, რომ რკინის წურვის პროცესის დასასრულისათვის დიდი რაოდენობის ნახშირისაგან მეტწილად მხოლოდ ფერფლი-ღა რჩებოდა. ამასვე მიუთითებს სარკინეში სახელოსნოსთან დაგროვილ გადანაყარში ნაპოვნი ნახშირების შესწავლა.

ლითონის გამოწურვაზე მუშაობისას სარკინელთ სხვადასხვა ხელსაწყოები უნდა გამოეყენებინათ. ამათგან ზოგი რამ ჩვენ დრომდე შემოინახა გრძელი მინდვრის მიწამ. განსაკუთრებით კარგად დაცული აღმოჩნდა ღუმელის გამოსაწმენდი რკინის ნიჩაბი, რომელსაც რკინისავე ტარი აქვს, მაგრამ ხელსაკიდი ნაწილი ხისა უნდა ჰქონოდა. ეს არ არის ერთადერთი რკინისტარიანი ხელსაწყო, მაგრამ მათგან მხოლოდ რკინის გულსავსე ტარის ფრაგმენტებმა მოაღწიეს ჩვენამდე და ამის გამო იარაღთა მოყვანილობის შესახებ არაფერი გვეთქმის.

გრძელი მინდერის პირველ თხრილში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კირქვის ნატეხები. დიდი უმრავლესობა ადრე მშენებლობაში გამოყენებული ქვაა ან არქიტექტურული, ასე თუ ისე პროფილირებული ფრაგმენტი (ტაბ. LVII—LX). უნდა ვივარაუდოთ, რომ კირქვა ლითონის გამოდნობაში მონაწილე კომპონენტია და, ალბათ ამ მიზნით არის მოზიდული სახელოსნოში.

სახელოსნოს თხრისას აღმოჩენილია რამდენიმე ტონა რკინის წიდა და აგრეთვე ღეგვი რკინა (შდრ. მაგ. ტაბ. LIV, 3).

როგორც აღვნიშნეთ, სახელოსნოს ერთი განყოფილება ფერადი ლითონის გამოსადნობ ღუმელს უნდა წარმოადგენდეს. საამისო მითითებას გვაძლევს ღუმელის იატაკზე დაღვენთილი ტყვია და სპილენძისაგან ჩამოსხმული, მაგრამ საბოლოოდ დაუმუშავებელი საგნები (მაგ. სურ. 109).

ქიმიურმა ანალიზმა, რომელიც ექსპედიციის თხოვნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ლაბორატორიაში გ. მიქელაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა ძალიან საყურადღებო შედეგები მოგვცა. ასე, მაგ., სახელოსნოს აღმოსავლეთ განყოფილების იატაკზე დაღვენთილი ლითონის ნიმუში 99, 86% ტყვიას შეიცავს; სახელოსნოში აღმოჩენილ ისრის პირთა „განძის" ერთ-ერთი ნიმუში 85%-მდე რკინას შეიცავს, ხოლო ფურცლოვანი რკინის ნაჭერი — 88%-მდე რკინას.

შენიშნულია რკინის დიდი რაოდენობა (52—65%-მდე) სახელოსნოში აღმოჩენილ წიდებში. მართალია, რაიმე დასკვნის გაკეთება თითო-ოროლა ნიმუშების ანალიზის მიხედვით გამართლებული არ არის, მაგრამ რკინით ასე მდიდარი წიდის აღმოჩენა გამოწურვის ცდარად ჩატარების მანიშნებლად უნდა მივიჩნიოთ. ასეთ შთაბეჭდილებას აძლიერებს წიდის ის ნატეხებიც, რომელთა ანალიზი ჯერ არ არის გაკეთებული.

---

[183] იოანე მოსხი, ღიმონარი, ილია აბულაძის გამოცემა, თბ., 1960, გვ. 43.

მცხეთის სარკინე უბნის ლითონის სახელოსნოთა ნანგრევებისა და ნაშთების შესწავლა, ბუნებრივია, აყენებს საკითხს რკინის ქვის საბადოთა შესახებ. როგორც ცნობილია, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, სარკინეში ან მის შორი-ახლო მადნის საბადოები არ არის ცნობილი. სპეციალისტები ვარაუდობენ მადნის მოპოვებასა და გადმოზიდვას მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან, თანაც საგრძნობლად დაშორებულ ხეეებიდან (საბადოებიდან). ჩვენ გვაქვს საფუძველი დავუშვათ ასეთ პირობებში წარმოების დიდი მასშტაბის უზრუნველყოფისათვის საჭირო ორგანიზაციის არსებობა. მხოლოდ მტკიცედ ორგანიზებულ წარმოებას შეეძლო უზრუნველეყო რთული სამუშაოები მადნის ძიება-მოპოვებიდან მისგან სასურველი იარაღ-საჭურვლის თუ ნივთის გაკეთებამდე.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რკინის ქვის საბადოებიც ქალაქს ეკუთვნოდა; ეს იყო ასე ვთქვათ ნამდვილი სარკინეთი მცხეთისა, ე. ი. ასე ფართოდ გაგებული ლითონის საწარმოო უბანი ^ცხეთისა, შესაბამისად ფართოდ იყო გაშლილი მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზედაც. სარკინეს ასეთ გავრცობის სასარგებლოდ მიუთითებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ". როგორც ზემოთ ვნახეთ, ამის ანარეკლი შეიძლება იყოს ტექსტში ნახსენები „ციხჱ დიდი სარკინისაჲ", რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ძეგვთან ახლოს, ხევში ვარაუდობს.

სარკინეს ასეთ მნიშვნელობას შეეძლო შეექმნა საფუძველი იმისათვის, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" წყაროს დედაქალაქის ეს უბანი თავიდანვე დამოუკიდებელ ქალაქად წარმოედგინა.

ზემოთ უკვე მიეუთითეთ გრძელ მინდორზე წინალელინისტური და ელინისტური ხანის არქიტექტურულ ფრაგმენტთა აღმოჩენის შესახებ. ისიც ითქვა, რომ ეს მასალა სხვა ადგილიდან უნდა იყოს მოზიდული. რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს იმას, რომ მითითებული ფრაგმენტები საკუთრივ რკინის სახელოსნოს არ ეკუთვნის, მაგრამ დეტალების ხასიათი (მცირე ფორმები) არ იძლევა საფუძველს ამათ მიხედვით მონუმენტური ნაგებობები ვივარაუდოთ. პირიქით, სარკინეში აღმოჩენილი ხუროთმოძღვრული ფრაგმენტები რომელიღაც მცირე, მაგრამ მოჩუქურთმებული ქვებით უხვად შემკობილ ნაგებობას უნდა მივაკუთვნოთ. არ არის გამორიცხული, რომ ეს ნაგებობა დაკავშირებული ყოფილიყო კულტთან. ამ შემთხვევაში მივიღებდით სავსებით ბუნებრივ სურათს, დაკავშირებულს რკინის კაცთა საკულტო ადგილთან; ე. ი. მცხეთის ამ უბანსაც თავისი საკულტო ადგილი (ნაგებობა) აღმოაჩნდებოდა (ტაბ. LVII—LXI).

ამ უბნის მოსახლეობის საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ ჯერჯერობით არაფერი ითქმის. თვით ნამოსახლარი გრძელმინდორსა და სხვა ზეგანებზე უნდა ვივარაუდოთ. საამისო მითითებებს გვაძლევს ძალიან ფართოდ გაფანტული მცხეთური ანტიკური კრამიტი. სხვა უბნების მიხედვით თუ ვივარაუდებთ, მოსახლეობას ზეგანები უნდა სჭეროდა.

უბნის სამაროვანიც არაა ჯერჯერობით აღმოჩენილი. ცნობილია ქვის სამარხები გრძელი მინდვრის აღმოსავლეთით, შესამჩნევად ღრმა ხევში, მაგრამ ისინი გვიანანტიკური ხანისა ჩანან. დასასრულ, სარკინე უბნის სარკინეში კერამიკის ფრაგმენტებიც არის აღმოჩენილი. პირველყოვლისა ყურადღებას იპყრობს მცხეთური სახურავი კრამიტის სიმრავლე გრძელ მინდორსა და საკანეთში. ეს ცხადია, უმთავრეს ნაგებობათა კრამიტით გადახურვას გვავარაუდებინებს.

საამშენებლო კერამიკასთან ერთად გვხვდება საოჯახო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც. ერთ-ერთ ნატეხზე სამკუთხა დამღაა შენიშნული. ამ დამღაზე გამოსახულია მჯდომარე მამაკაცი, ოდნავ გადახრილი მის გვერდით მდგარ ქვევრებისაკენ. შესაძლოა, აქ გამოსახული იყო კერამიკული წარმოების ან კერამიკული ნაწარმის გასაღების პროცესი[184]. იქვეა ნაპოვნი თხელკედლიანი ამფორისკის ნატეხები — ქუსლი და მუცლის ნაწილი. ეს არის ე. წ. თითისტარისებრი პაწია ამფორა, ელინისტური ხანისა[185].

სახურავი კრამიტი და განსაკუთრებით დამღიანი ფრაგმენტი საყურადღებოა კულტურული ფენის ასაკის დასადგენად. როგორც ცნობილია, ჭურჭლის ამგვარად დატვიფვრა ელინისტურ ხანაში იყო გავრცელებული და რომაულ ეპოქაში ხმარებიდან გამოდის. ასეთსავე საფუძველს იძლევა ამფორისკაც და მცხეთური კრამიტიც. ახლა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველაფერი ეს აღმოჩენილია ნაგებობაში, რომლის საშენ მასალათა შორის „არმაზციხე I-ისთვის" დამახასიათებელი ალიზ-აგური დიდი რაოდენობით არის, იონუ-

[184] სარკინეს არქეოლოგიური ექსპედიციის 1954 წლის საველე წიგნი, № 168.

[185] იქვე, № 15.

რი ორდერის სვეტისთავი (ტაბ. LXI, 1) და ადრეელინისტური იერის ჩუქურთმა ჩრენს თავს (ტაბ. LVIII—LIX), მონაპოვართა მთელი ამ ჯგუფის დამათარიღებელი მნიშვნელობა ცხადი უნდა გახდეს.

კერამიკულ მასალაში ლითონის გადასადნობ ტიგლების ნატეხებიც გამოირჩევა. ამ მხრივ, შედარებით მდიდარი აღმოჩნდა I თხრილის I კვადრატი, სადაც ოქრომჭედლის სახელოსნოს ნაშთი ივარაუდება. ტიგლები ძალზე დეფორმირებულია და შიგნითა მხარეს დალექილი გამდნარი ლითონით გამოირჩევა, სხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლისაგან. ზოგ ნატეხს არაჩვეულებრივი სიმძიმე აქვს. გამდნარი ლითონთაც გაჟღენთილი ჩანს. თიხის ტიგლების ნაშთების აღმოჩენა გრძელი მინდვრის I თხრილის დასავლეთ კიდეზე, იქვე ლითონის ტვიფრებისა და თითქოს საოქრომჭედლო ხელსაწყოთა აღმოჩენა ავსებს ჩვენს წარმოდგენას სარკინე უბნის საქმიანობისა და ნაწარმის ხასიათის შესახებ.

სურათის სისრულისათვის ორიოდე სიტყვა აქაც უნდა ითქვას არქიტექტურულ ფრაგმენტთა შესახებ. ძირითადი ნაწილი არქიტექტურული ფრაგმენტებისა აღმოჩენილია გრძელი მინდვრის I თხრილის ცენტრში (კვადრატები №№ 6, 8, 7, 9), თითო-ოროლა ნატეხი აღმოჩნდა მე-4, მე-10 და მე-12 კვადრატებშიაც. ამრიგად, არქიტექტურულ ფრაგმენტთა თავმოყრასთან გვაქვს საქმე. ეს სურათი მომავალმა გათხრებმა უნდა გახსნას და ახსნას კიდევაც.

ფრაგმენტები მეტწილად თეთრი კირქვისაა, მაგრამ გვხვდება თიხანარევი კირქვაც.

პროფილირებულ და ჩუქურთმოვან ნატეხთა შორის არის სვეტისთავის, სვეტის და კარნიზის ფრაგმენტები. სვეტები მცირე ზომისაა და მოყვანილობით ნახევარწრეს წარმოადგენენ. ფრაგმენტებს შუა ან ზედა ნაწილში ჩაჭრილი ლილვი გასდევს; ლილვის სიგანე ყოველთვის ერთნაირი არ არის[186].

გარეთა ზედაპირი კარგად არის გაპრიალებული და მკაფიოდ შეიმჩნევა ჩარხზე ტრიალისას მომარჯვებული ხელსაწყოს კვალი. ერთის სიტყვით, ჩაჭრილი ლილვიცა და ნახევარწრიული მხარეც ჩარხზე ტრიალის გზით ჩანს მიღებული. სვეტის ფრაგმენტების ერთიმეორეზე დასამაგრებლად ფოსოები აქვთ ამოკვეთილი (სურ. 21—33; იხ. პირველი თავი).

ზემოთ, არქიტექტურულ ფრაგმენტთა გაცნობისას არის საუბარი იონური ორდერის სვეტის თავის აღმოჩენაზე (ტაბ. LXI, 1; სურ. 33). ეს დეტალიც მცირე ფორმის არქიტექტურას უნდა მივაკუთვნოთ. ის შემკულია ორი დამახასიათებელი ვოლუტით. ამას გარდა, წინა მხარეს სამკაულის ოთხი რიგი ჩანს. ზედა მხარე (აბაკა) შემკულია ე. წ. იონიკებით, რომლებიც მბოლოდ ფასადურ ნაწილს გასდევენ. ამას მისდევს ვოლუტების შემაერთებელი სადა ზოლი. ვოლუტებს შორის მოზრდილი ვარდულია, ორ წაწვეტებულ, თარაზულად გამოყვანილ ფოთოლს შორის გამოკვეთილი. მეოთხე რიგს შეადგენს ვარდულს ქვეშ გაწყობილი იონიკი და ორი ფოთოლი, რომლებიც დიდ ვოლუტებს უერთდებიან. სვეტის თავის გვერდით ნაწილებზე, ვოლუტის ღეროებზე ორ სარტყელს შორის მძივებია გამოყვანილი. ასეთივე მძივებია მრგვალ ღეროს ირგვლივაც[187].

რთული სამკაულია ამოჩუქურთმებული კარნიზის (?) ნატეხებზე და სხვა ფრაგმენტებზე[188]. ძლიერ დაზიანებულთა შორის შეგვხვდა მარმარილოს ფრაგმენტიც[189].

უკვე აღმოჩენილი ფრაგმენტები, ჩვენის აზრით, საკმაო საფუძველს გვაძლევენ სარკინე უბანში წინა და ადრეელინისტური ხანის, ე. ი. არსებითად არმაზციხე I-ის ტიპისა და მისი სინქრონული, მდიდრულად შემკული ნაგებობანიც ვიეარაუდოთ.

როგორც ჩანს, სარკინე უბანი ციხე-სიმაგრეებითაც გამოირჩეოდა, ლითონის სახელოსნოებითაც, კრამიტით გადახურული, ძვირფასად მოჩუქურთმებული, ხუროობმოძღვრული წესების თანახმად აგებული შენობებითაც წინა და ადრეელინისტურ ხანაშიაც. ამ მიდამოშია სავარაუდებელი დიდი, სარწყავით დასერილი ზვერებიც. ამრიგად, სარკინე უბნის არქეოლოგიურ მონაპოვართა მიხედვით ისახება დედაქალაქის სიძლიერის მნიშვნელოვანი ეკონომიური საფუძველი.

საკუთრივ მცხეთის უბანი

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე (სურ. 1) განხორციელებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, როგორც ვნახეთ, შექმნა საფუძველი საქალა-

[186] იქვე, შდრ. №№ 55, 59, 164, 96, 98, 134, 72, 85 და სხვ.

[187] იქვე, № 3.

[188] იქვე, №№ 4, 9, 10, 69, 82, 100, 119, 132, 182 და სხვ.

[189] იქვე, № 136.

ქო ცხოვრების მრავალი მხარის ახლებურად წარმოსადგენად, მაგრამ თითქმის არაფერი მოგვცა ძველი დედაქალაქის სახელწოდებისა და, საერთოდ, ამ მხარის ტოპონიმიკისათვის. ამის გამო, ჩვეულებრივად საისტორიო წყაროების მითითებებით კმაყოფილდებოდნენ. ასეთივე მდგომარეობაა აქეამადაც, რის გამოც ალბათ ბევრი რამ „ლიდი მცხეთის“ ტოპონიმიკიდან დიდხანს უცნობი დაეუხსნელი დარჩება.

ქართული საისტორიო წყაროების სათანადო მითითებათა განხილვისას გაირკვა, რომ ლეონტი მროველს და ჯუანშერს ქართლის სამეფოს უძველესი დედაქალაქის სახელად ქ ა რ თ ლ ი წარმოუდგენიათ. როგორც ვნახეთ, წყარო მკაფიოდ ანსხვავებს ერთმანეთისაგან დედაქალაქის უძველესი ნაწილის სახელს — ქ ა რ თ ლ ი, სამეფოს სახელისაგან — ქ ა რ თ ლ ი უ ო ვ ე ლ ი-უ ო ვ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ინახავს სახელწოდებებს: „მ ც ხ ე თ ა ჲ“ და „ძ უ ე ლ ი მ ც ხ ე თ ა“. შატბერდისეულ „ნინოს ცხოვრებაში“ ნახსენებია „ძ უ ე ლ ი ქ ა ლ ა ქ ი“. ამ უკანასკნელ შემთხვევებში „ძველი მცხეთა“ და „ძველი ქალაქი“ ერთი და იგივე პუნქტის გამომხატველი უნდა იყოს და ის „ქართლს“ უნდა გულისხმობდეს. ჩვენის აზრით, საამისო საფუძველს გვაძლევს ლეონტი მროველის შემდეგი ცნობა: „ხოლო მცხეთოს, რომელ უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა, მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქჳან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგჳსასა, და უწოდა სახელი თჳსი ჴცხეთა“[100]. ამ ცნობაში ახლა მნიშვნელოვანი ისა ჩანს, რომ „მ ც ხ ე თ ა“ სახელი ადრე გაჩენილად არის მიჩნეული მროველთანაც.

მროველმა იქვე მიუთითა, რომ ამ ადგილს ქ ა რ თ ლ ი თავის დროზე ქ ა რ თ ლ ო ს ი ს გამო შეერქვა და ასე ეწოდებოდა ვიდრე აქ არმაზის კერპი აღიმართებოდა. ამის შემდეგ, მთაც და ქალაქიც არმაზის სახელს ატარებს, ლეონტი მროველის მიხედვით, და ჩნდება „არმაზით კერძი ქალაქი“ და „მუხნარით კერძი ქალაქი“, ე. ი. ორი ნაწილი დედაქალაქისა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „ქ ა რ თ ლ ი ს“ ხანაში წყარო არ ამახვილებს ყურადღებას ქალაქის ძირითად ნაწილებზე. ამის საჭიროება ჩნდება იმ დროის სურათის წარმოსადგენად, როდესაც „არმაზის“ ხანა დადგა, ე. ი. ქალაქობა მკაფიოდ დაეტყო მტკვრის მარცხენა მხარესაც. ეს კარგად აისახა სხვა წყაროებშიაც და არქეოლოგიურ მასალებშიაც. ა რ მ ა ზ ი ც ხ ე I თავისი მასშტაბით მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მცხეთასთან არ ჩანს. ეს ხანა უცხოურ წყაროებშიც აისახა (სტრაბონთან: ჰ ა რ მ ო ზ ი კ ე და ს ი ს ა მ ო რ ა, დ ი ო ნ თ ა ნ — „ა კ რ ო პ ო ლ ი ს“). შედარებით გვიან იჩენს თავს სახელწოდება „მცხეთა“ (პტოლემაოსთან), მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამაფიქრებელია მისი ხსენება ლეონტი მროველთან მცხეთოსის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ხომ არ არის აქ როგორღაც ასახული ვითარება შექმნილი იმასთან დაკავშირებით, რომ მესხურ ელემენტს აღმოსავლეთ საქართველოს მომავალი დედაქალაქის, მცხეთის რაიონშიც ფეხი უნდა მოეკიდებინა, ე. ი. მესხების სახელთან დაკავშირებული სახელი მ ც ხ ე თ ა დამკვიდრებოდა („მ ც ხ ე თ ა-ს ა მ ც ხ ე“). ჩვენ ამ შემთხვევაში ქრონოლოგიურ მხარეს ვანიჭებთ მნიშვნელობას.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა მიგვეთითებინა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სახელებისა: ქ ა რ თ ლ ი, ა რ მ ა ზ ი, მ ც ხ ე თ ა. ისიც იყო მითითებული, რომ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ძველი დედაქალაქი მრავალუბნიანი იყო და თანაც გაშლილი ორი მდინარის შესართავთან, ამ მდინარეების ორივე ნაპირზე.

ზემოთ, გზადაგზა ვიხსენებდით საველე-არქეოლოგიური სამუშაოებს მცხეთაში რომ ხორციელდებოდა სხვადასხვა დროს. არქეოლოგიურ კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი მასალა, როგორც ვნახეთ, შესაძლებლობას იძლევა ახლა უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ ქართლის (იბერიის) ძველი დედაქალაქის მცხეთის შესახებ. დედაქალაქობის ხანის მცხეთა, როგორც ირკვევა, დიდ ტერიტორიაზე იყო გაშლილი მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესართავთან, ამ მდინარეთა ორივე ნაპირზე; სახელდობრ — მცხეთას და მის უმთავრეს უბნებს (დიდი მცხეთა) ეჭირა ტერიტორია, რომელიც ისაზღვრება: აღმოსავლეთით რკინიგზის ახლანდელი სადგურ ზაჰესით, დასავლეთით—ძეგეხეკორძულას ხევითა და ნასტაგისით, ჩრდილოეთით — მუხრანის სანახებით, ხოლო სამხრეთით— საწკეპელა — დიდგორის ქედით[101].

დიდი მცხეთის უბანთა შორის არქეოლოგიური კვლევა-ძიება შეეხო: ს ა კ უ თ რ ი ვ მ ც ხ ე-

[100] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, 1955, გვ. 9.

[101] შდრ. მ ც ხ ე თ ა, I, გვ. 3.

თას, რომლის მოსახლეობას სამაროვანი არაგვის კარზე და მცხეთაშიაც ჰქონია; კოდშანს, რომლის მოსახლეობას სამაროვანი „ტუია ქორრას“ და „ბარბალეს“ მიდამოებში გაუმართავს; წიწამურის კარს ან წიწამურის უბანს, რომელსაც სასაფლაო კამარახევთან ჰქონია; არმაზისხევს ანსაპიტიახშოუბანს, რომლის მფლობელებს სამაროვანი საცხოვრებელ კომპლექსთანავე მოუწყვიათ; ზემოავჭალის, მუხათგვერდის, კარსნისხევისა და კარსნის მიდამოებს, რომელთა სამაროვნები სხვადასხვა დროს ითხრებოდა მეტ-ნაკლები ინტენსივობით; სარკინე უბანს; საპიტიახშო უბანთან დაკავშირებულ მოსახლობებს, რომელთა სამაროვანი ნავთსადენ-მარტაზის ხევშია აღმოჩენილი; ქართლის, არმაზციხის ან შიდაციხის უბანს, აკად. ს. ჯანაშიას ვარაუდით საეფოო რეზიდენციას, რომელსაც ძვ. წ. I ათასეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე, როდესაც აქ შექმნილი ციხე-ქალაქი ქართლის სახელს ატარებდა, განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა ძველი დედაქალაქის ცხოვრებაში. „დიდი მცხეთის“ დედაქალაქად შეკვრის, მისი გადედაქალაქების მოთავე და სამეფოსათვის სახელის მიმცემი ქართლი ჩანს ამ ეპოქაში[192].

საველე სამუშაოები მითითებულ უბნებზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით წარმოებდა და შესაბამისად არა თანაბარი და არა ერთნაირად მნიშვნელოვანი მასალაა აღმოჩენილი.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდი სამუშაოები აწინდელი მცხეთის ტერიტორიაზეა განხორციელებული. ძველი დედაქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბნის — საკუთრივ მცხეთის ტერიტორიაზე ოთხმოცდაოთხ წლის მანძილზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ძეგლებია აღმოჩენილი. ამ უბანზეა სამთავროს სამაროვანი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი, როგორც აღნიშნეთ, ძველი მცხეთის მხოლოდ ერთი, სახელდობრ, არაგვის-კარის, უბნის სასაფლაოდ მიიჩნევდა[193]. საკუთრივ მცხეთის — ე. წ. ახლად აღმოჩენილი სამაროვანი, რომელიც, როგორც ირკვევა, სამთავროს სამაროვნიდან მცირე ხევით იყო გამოყოფილი[194].

[192] ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 1, თბ., 1956, გვ. 73, 90.

საკუთრივ მცხეთის სამაროვნები იმ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ იქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალები აშუქებენ ვითარებას თითქმის მთელი ორიათასსუთასი წლის სიგრძეზე, ძვ. წ. XVII—XVI საუკუნეებიდან ახ. წ. IX—X საუკუნეებამდე. როგორც ვნახეთ, სწორედ ეს უბანი იძლევა დამაჯერებელ არქეოლოგიურ მასალას მცხეთის მოსახლეობის სიხშირის, მისი თანდათან გამრავალრიცხოვნებისა და ეთნიკური შედგენილობის შესახებ. ირკვევა, რომ ამ უბანშია წარჩინებულთა სამარხები (1958 წელს აღმოჩენილი სარკოფაგი, სამთავროს № 212 სამარხი, კრამიტსამარხი № 5, შემთხვევით აღმოჩენილი ორფერდა სახურავიანი მდიდრული სამარხები; ახლადაღმოჩენილი სამაროვნის მდიდრული სამარხები[195] და თვით მცხეთის ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის სამარხი).

ძველი დედაქალაქის ამ უბანმა მოგვცა, როგორც ცნობილია, უმეტესი ნაწილი დედაქალაქობის ხანის სამარხებისა. ყურადღებას იქცევს სამარხთა სხვადასხვაგვარობაც. ანტიკურ ხანაში აქ გვხვდება გვიანდელი ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, კრამიტსამარხები, ქვისსამარხები (მათ შორის ორფერდა სახურავიანები, ბანურ სახურავიანები, დიდი ლოდებით შედგენილი და ნაგლეჯი ქვით ნაშენი), დიდი კერამიკული ფილებით ნაგები სამარხები, აგურითა და ქვით ნაგები სამარხები, თიხის კუბოები, და, აგრეთვე, მთლიანადქვეთილი სამარხები-სარკოფაგები. ერთის სიტყვით, საერთოდ დიდ მცხეთაში დღემდე ცნობილ სამარხთაგან ამ უბანზე ყველაა აღმოჩენილი, გარდა ე. წ. მავზოლეუმის ტიპის სამარხებისა.

დედაქალაქის ეს ნაწილი მდიდარ მასალას გვაძლევს ხელოსნური წარმოების ისტორიისა და თვით ხელოსანთა სოციალური ფენის ცხოვრების შესასწავლადაც. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ოქრომჭედლობის ნიმუშები, რომლებიც მხოლოდ რაოდენობით თუ ჩამოუვარდება სამეფო და პიტიახშთა ოჯახის წევრთა სამარხეულ

[193] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 443.

[194] ალ. ქალაბაძე, ახლადაღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში. „მიმომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 260.

[195] იქვე, გვ. 260—269.

ინვენტარს. აქაურ მინის ჭურჭელს ჯერჯერობით დედაქალაქის სხვა უბანზე ბადალი არ უჩანს.

1958 წლის შემოდგომით სწორედ ამ უბანზე აღმოჩნდა დედაქალაქობის ხანის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა, ჯერჯერობით ერთადერთი საკუთრივ მცხეთაში. ეს უბანი გვაძლევს საყურადღებო მასალას განსახლების თუ ცალკეულ კვარტალთა განაშენიანების შესახებ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მცხეთის ერთ-ერთ ზედა ტერასაზე აღმოჩენილი ნანგრევები, უფრო კი საძირკვლის ნარჩენები გრძელ კვარტალად დაგეგმილი შენობებისა. ამ ჯგუფის ნანგრევთა შორის ყურადღებას დიდი ხანია იქცევს შემთხვევით აღმოჩენილი დიდი სვეტის ძირი.

1957 წლის გათხრებისას, ქალაქის დასავლეთ ნაწილას, იქ სადაც დაცულთა VI ს. ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც გეთსიმანიის სახელით იცნობენ, აღმოჩნდა ანტიკური ხანის ზღუდის ფრაგმენტი. იქვე ჩამავალი ხევი გვაფიქრებინებს, რომ ეს დასავლეთის მხრიდან ზღუდავთა რაღაც ფართობს. აღმოჩენილი წყობის ხასიათი და ადგილმდებარეობა საფუძველს გვაძლევს ვიკითხოთ ხომ არ არის ეს ფრაგმენტი ნაწილი იმ გალავნისა, რომელიც დასავლეთის მხრიდან ზღუდავდა „სამოთხესა მას მეფისასა". ასე საკითხის დაყენებას თითქოს მსარს უჭერს ისიც, რომ „ნინოს ცხოვრებაში" გარკვეული ადგილი იგულისხმება მეფის სამოთხისათვის. „ნინოს ცხოვრების" სათანადო ცნობის გარჩევის შემდეგ კ. გრიგოლია, ჩვენის აზრით, სავსებით სწორად ასკვნიდა, რომ „მეფის სამოთხე, ანუ სამეფო დიდი ბაღი, მცხეთაში იყო, იქ, სადაც შემდეგ მირიან მეფემ ეკლესია ააგო (აწინდელი სვეტიცხოველის მიდამოებში)"[196]. დაახლოებით ამ რაიონს გულისხმობდა სამეფო სამოთხისათვის პროფ. ს. კაკაბაძეც[197].

ამრიგად, საკუთრივ მცხეთის სურათი თანდათან სულ უფრო მკაფიოდ ისახება. დედაქალაქის ეს ნაწილი ახ. წ. I საუკუნიდან მაინც დიდად მნიშვნელოვანი ჩანს. ისე გაზრდილა მნიშვნელობა ამ უბნისა, რომ ახ. წ. II საუკუნისათვის მაინც ის დამოუკიდებელი სახელის მქონე ჩანს (შდრ. პტოლემაიოსის მესტლეთა). მცხეთის და საერთოდ „მეენარით კერძი ქალაქის" დაშენაურების, თუ საერთოდ, დიდი მნიშვნელობის ანარეკლი უნდა იყოს მროველთან დადასტურებული დაპირისპირება ქართლისა და მცხეთისა.

ამ უბანს უნდა მიეკუთვნოს ახლანდელი ბებრის ციხის ადგილას აღმართული კედელი, რომელიც სტრაბონის მიხედვით მიუდგომელი სიმაგრე იყო[198]. ამრიგად, ირკვევა, რომ ძვ. წ. III—II საუკუნეებში ქართლის ძველი დედაქალაქის არაგვისკარი მიუდგომელი ზღუდე-გალავნით იყო ჩაკეტილი[199]. ეს გალავანი ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ამ მხარის სიმაგრეთა სისტემისა[200].

ასეთ ვითარებაში, ჩვენის აზრით, ადვილად აიხსნება მდიდრულ სამარხთა აღმოჩენა საკუთრივ მცხეთაში. უეჭველია აქ უცხოერია წარჩინებულთა თვალსაჩინო წრეს და, ბუნებრივია, მცხეთელ წარჩინებულებს შესაფერისი სამაროვანიც გაემართათ თავიანთ მიცვალებულთათვის.

ძველი დედაქალაქის ამ უბნის მნიშვნელობა საგაჭრო ურთიერთობის გაშლის თვალსაზრისითაც დიდია. სამთავროს სამაროვნის ზედა სართული შემოტანილი საქონლის მრავალსახეობას გვაცნობს (ვერცხლის ჭურაკები, პატერები, საღვინე სურები; ოქროს სამკაულები: ბეჭდები, საყურეები, საავგაროზენი, საშუბლე გვირგვინის ფურცლები, სამკაულები, ყელსაბამები; გემები და სანელსაცხებელნი და სხვა); მრავალად არის მცხეთაში ნაპოვნი ოქრო-ვერცხლის ფულები (რომაული აურეუსები, ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, რომაული დენარები და პართული დრაქმები), რომლებიც საგარეო ვაჭრობის საყურადღებო და ფრიად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენენ. შესაძლოა საკუთრივ მცხეთაში აღმოჩენილი ნაგებობათა არაერთი ფრაგმენტი იყოს ნაშთი საგაჭრო სახლისა*.

ამ უბანმა მოგვცა ბერძნული და ებრაული წარწერებიც. როგორც აღინიშნა, მათ შორის არის

---

[196] კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 71.

[197] ს. კაკაბაძე, ქალ. არმაზი — ქალ. მცხეთა, საისტორიო კრებული III, თბ., 1928, გვ. 3—4; შდრ. ა. აფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 55.

[198] სტრაბონი, გეოგრაფია, XI, III, 5.

[199] ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის, გვ. 74—75.

[200] შდრ. ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროებს Σευσάμορα — წიწამური. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 1 ,თბ., 1958, გვ. 139.

* ასეთი ტერმინის ადრეულ არსებობას მხარს უჭერს ძველი ქართული წერილობითი ძეგლები. ასე მაგ., ოთხთავში ნათქვამია „ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ საგაჭრო" (ი. 2, 16) შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთაეის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 529.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲜᲘᲡᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘᲡ და არქიტექტორის ეპიტაფია.

1953 წლის საძიებო სამუშაოებმა კოდმანიდან მცხეთისაკენ ჩამოყვანილი წყალსადენის ნაშთები გამოავლინა, ხოლო 1957—1958 წლებში თავი იჩინა წყალგაყვანილობის სისტემამ ძველად დასახლებულ ტერასებზე. როგორც ჩანს, სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იყო ძველი დედაქალაქის საკუთრივ მცხეთის უბანი, ისევე, როგორც სხვა უბნები.

ასე საერთო დახასიათებაც კი,ჩვენის აზრით, საკუთრივ მცხეთას ან ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით „მუხნარით კერძ ქალაქს" დედაქალაქობის ხანის დიდად მნიშვნელოვან უბნად წარმოგვიდგენს.

„მუხნარით კერძი ქალაქი" დედაქალაქის სხვა უბნებთან ხიდებით ყოფილა დაკავშირებული. ერთი ხიდი ამ უბანს — ქართლთან და შიდაციხესთან აკავშირებდა. ეს ხიდი დასწვა არტოგმა და აღდგენის შემდეგ ამ ხიდით გავიდა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე რომაელთა ჯარი. დაბოლოს, უნდა ვიუარაუდოთ, რომ ამ ხიდზე გასვლა იგულისხმება „ნინოს ცხოვრებაში", სადაც ნათქვამია, რომ წმიდა ნინომ „წამოვლო მტკუარი და მიმართა სამოთხესა მას მეფისასა". მეორე ხიდი საკუთრივ მცხეთას ან „მუხნარით კერძ ქალაქს" წიწამურის უბანთან აკავშირებდა. იგულისხმება დიონის მიერ დამოწმებული ხიდი: „არტოკე გადავიდა პელორზე, დასწვა მასზე გადებული ხიდი და გაიქცა". ამრიგად, ძვ. წ. 65 წლის ერთი ეპიზოდის შესახებ თხრობაში კარგად ჩანს, რომ ძველ დედაქალაქში ორი ხიდი მაინც ყოფილა. ამ ხიდებით უკავშირდებოდა ერთი მეორეს ძველი დედაქალაქის თითქმის ყველა უბანი. წერილობითი წყაროები მიუთითებენ, რომ მტკვარსა და არაგვზე სათანადო ფონებიც უნდა ყოფილიყო გადასასვლელად. ჩვეულებრივ, ალბათ ცხენოსნები მაინც ადვილად გავიდოდნენ ფონს, მაგრამ წყალდიდობისას გასვლა საერთოდ საშიში ყოფილა. მცხეთელებს არაგვზე გადასასვლელი ფონი კარგად უნდა სცოდნოდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც დიონის ცნობიდან ჩანს, მდ. პელორს (მართლაც მღვრიე, ლამიან და თანაც ადიდებულ არაგვს — ა. ა.) ბევრი მეომარი წაუღია თან ძვ. წ. 65 წელს.

ამრიგად, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მასალების გაცნობა და წერილობითი ცნობების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს მრავალმხრივ წარმოვიდგინოთ ძველი დედაქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი — „მუხნარით კერძი ქალაქი". გამოირკვა, რომ დედაქალაქის ეს უბანი გაშენებული იყო ფართო ტერიტორიაზე, რომლის მაღალი ტერასები და ზეგანები საცხოვრებელ ნაგებობებს ეჭირათ; ისინი გარკვეული გეგმით — დიდ კვარტალებად ან ქუჩებად ყოფილან განლაგებული. უბნის შედარებით დაბალი, მნიშვნელოვანი ნაწილი სამეურნეოებს უჭირავთ (მაგ., სამთავროს ველი, არაგვის ქუჩის რაიონი — სვეტიცხოვლის ჩრდილოეთით მდებარე ფართობი); ასევე დაბალი და ნოყიერი სანაპირო მტკვრისა და არაგვის შესართავთან დიდ ბაღს — სამეფო სამოთხესა აქვს დაკავებული. დაბლობზეა აგრეთვე ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის პატარა სახელოსნოები. საკუთრივ მცხეთაში იყო მოედნები, რომლებსაც დღესასწაულებისთვის საზეიმოდ მორთავდნენ ხოლმე. ლეონტის მიერ შემონახული ცნობა იმის შესახებ, რომ „შეამკუნეს ყოველნი ფოლორცნი თვთოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა"[201], არის ანტიკური ხანის ქართული ქალაქების საზეიმოდ მორთვის ტრადიციის მკაფიო მაჩვენებელი. შესაძლოა მხატვართუხუცესის ხელი იყო ზეიმის დადგმა — ქალაქის მოედანთა საზეიმოთ გაწყობა-მორთვა. უბნის ჩრდილოეთ შემოსასვლელთან (არაგვის კარი) მიუდგომელი სიმაგრეა აშენებული, რომელიც, მართალია, მთელ ქალაქს იცავს, მაგრამ პირველ რიგში ამ უბნის შემოსასვლელის ჩამკეტია, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე (აწინდელი ბებრისციხის სისტემა).

ამ უბნის საცხოვრებელ ნაგებობათა განლაგების სურათი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამორკვეული, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: საცხოვრებელი ნაწილი გვიან ანტიკურ ხანაშიაც არ არის ძალიან დაშორებული ამ მხარის ერთ-ერთ უძველეს საცხოვრებელ გორას („ბარბალეს სამლოცველოს" მიდამოებში), ისევე, როგორც ანტიკური ხანის სამაროვანი — დედაქალაქობის წინახანის სასაფლაოს.

---

[201] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 88.

მითითებული გორა, რომლის აღმოსავლეთ კიდეზე ჩვენ 1953 წლის საძიებო მუშაობისას ალიხეს წყაროს წაუწყდით, საკულტო ადგილიც უნდა ყოფილიყო თავის დროზე. ამის საფუძველს აღმოსავლეთ საქართველოს გორათა შესწავლა იძლევა და, ამას გარდა, თავისთავად საამისო საიმედო მითითებაა ქრისტიანული ხანის საშლოცველოს დადგმა სწორედ ამ გორაზე.

ამრიგად, საკუთრივ მცხეთის უბნისათვის თავისი საკულტო ადგილიც უნდა ვივარაუდოთ ადრიდანვე, ყოველ შემთხვევაში სამთავროს უძველეს სამარხთა დროიდან მაინც.

მცხეთის მბატეართუბუცესისა და ხუროთმოძღვრის ეპიტაფია მიუთითებს, რომ გვიან ამ მხარეს გზა გადიოდა, რომელზედაც უცხოელებსაც უვლიათ ხოლმე. მცხეთის უბანი კოდმანის გზით სარკინესთან იყო დაკავშირებით. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა დ. ბაქრაძე მცხეთიდან კოდმანით შიომღვიმეზე გადასასვლელი ყველაზე უფრო მოხერხებული გზა იყო. მართალია ის ქედებსაც გადაივლიდა, მაგრამ იქ ხომ წელთაღრიცხვათა მიჯნამდეც გაშლილი იყო საქართველოს ძველი დედაქალაქი, რომლის წარმართობისა და ქრისტიანობის დროინდელი ნანგრევები ნაწილობრივ შემონახულია კიდევაც[202]. ეს გზა, ჩვენის აზრით, ყველაზე დიდი საბუთია იმისა, რომ მცხეთის დედაქალაქობის ხანაში ეს ორი უბანი თითქმის გადაბმული იყო ერთიმეორესთან, ყოველ შემთხვევაში, ალბათ, ორა ნაკლებ ვიდრე წიწამური, საპიტიახშო და არმაზციხე.

არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ერთ-ერთი უბანი ახლანდელი ზემოავეკალის მიდამოებშია საგულისხმებელი; ჯვრის სამხრეთით, ჯვრიდან და „ძუძუს წყაროს" მიდამოებიდან ზემოავეკალის ძველ გალავნამდე. აქ სხვადასხვა დროს, განსაკუთრებით კი, ზაჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით მრავლად იყო ნაპოვნი ანტიკური ხანის მასალები. ამ უბანზე გათხრილ სამარხთა შორის გვხვდება: ქვევრსამარხები, ორმოსამარხები, კრამიტსამარხები და ქვისსამარხებიც. ამ უბნის სამარხებში აღმოჩენილი მასალა მცხეთის სხვა უბნის მასალებს უტოლდება; განსაკუთრებით ეს ახ. წ. I—III საუკუნეებს შეეხება. სხვათა შორის ამ უბანმა ვერცხლისა და ოქროს ნივთებიც მოგვცა. ამათ შორის უურადღებას იქცევს ფრაგმენტები ნაირნაირი გამოსახულებებით შემკული ვერცხლის ჭურჭლისა.

1938 წელს აქ, რკინიგზის ახალი ხიდის მშენებლობისას გვიანანტიკური ხანის სამარხებიც აღმოჩნდა და ქვათლილებისაგან ნაშენი დიდი გალავნის (ძველი დედაქალაქის ზღუდის) ნაშთებიც. მითითებულ ქვათლილთა ერთ ჯგუფს განსაკუთრებული უურადღება მიექცა, იმის გამო, რომ ყოველ მათგანზე თითო ან ორ-ორი ბერძნული ასო ან ხელოსნის ნიშანია ამოკვეთილი[203] (სურ. 112; ტაბ. XIX, 4).

გალავანი, რომელსაც მითითებული კვადრები ეკუთვნის, როგორც ჩანს ჰკეტავდა სამხრეთიდან მცხეთაში შემოსასვლელს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. უფრო გვიან, 1949 წელს ბულაჩაურის წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი ს მშენებლობისას ზაჰესის ზეგანზე კიდევ რამდენიმე სამარხი გაითხარა, გვიანანტიკური ხანისა[204].

ამ უბნის ადრეევ დასახლების მაჩვენებლად უნდა გამოდგეს ზემო ავეკალა — ზაჰესის მიდამოებში ადრე გათხრილი გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები[205], რომელთა ადგილს შემდეგ ხანებში გვიანდელი ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, კრამიტსამარხები და ქვისსამარხები იკავებენ. ჩვენ მნიშვნელოვნად გვეჩვენება ამ შემთხვევაშიც მიეუთითოთ, რომ დედაქალაქობის ხანის სამარხები არ არიან დაშორებული დედაქალაქობის წინა ხანის სამარხებს ტერიტორიულად. ანალოგიური სურათი უნდა ყოფილიყო მოსახლეობათა განლაგების მხრივაც.

ახლა თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ზემოთ ვეტ-ნაკლები სისრულითა და საბუთიანობით იყო ნათქვამი ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის მცხეთის მიწა-წყლის, მისი უმთავრესი უბნების, ამ უბანთა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების, საქმიანობისა და „დასახლების არქეოლოგიის" შესახებ, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

---

[202] Д. З. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства. ЗОЛКА, I, Т. 1875, გვ. 165.

[203] ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ს. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბ., 1953, № 159—171; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 238—240, სურ. 651—653.

[204] მ ც ხ ე თ ა, I, გვ. 5.

[205] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ზემო ავეკალის სამარე; საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბ., 1931.

Г. Ниорадзе. О некотором значении земляной могилы. Труды секции археологии РАНИОН, т. IV, М., 1929.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქი გაშლილი იყო დიდ ტერიტორიაზე მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის წყალშესაყართან, ამ მდინარეთა ორივე ნაპირზე.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქი შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან. ესენია: „არმაზით კერძი ქალაქი" და „მუხნარით კერძი ქალაქი". ძველი დედაქალაქის ამ ორ ნაწილს ჰყოფდა მდ. მტკვარი. შესაბამისად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაშლილი იყო „არმაზით კერძი ქალაქი", ხოლო მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე — „მუხნარით კერძი ქალაქი".

უბანი, სარკინე უბანი, ზემო ავჭალის უბანი, მუხათგვერდ-ნაქულბაქევის უბანი, კოდმან-კალოუბნის უბანი და ა. შ. წერილობითი წყაროები გვავარაუდებინებენ სხვა უბნებსაც (ურიათა უბანს, მოგუთა უბანს და ა. შ.), მაგრამ ამ შემთხვევებში უბნის განსხვავებული გაგება უნდა გვქონდეს. წყარო ალბათ თავისებურ კოლონიებს თუ კვარტალებს შეიძლება გულისხმობდეს და არა დედაქალაქის უბნებს — ძირითად მოსახლობებს, გაერთიანებულს ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ, დიდი მცხეთის ჰეგემონობით და ერთ დედაქალაქად შეკრულს.



სურ. 112. ხელ-ოსნის ნიშნები ქვათლილებზე (ზემო ავჭალა).

ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქი ერთიანად შეკრული, მხოლოდ ერთი მოსახლობის გაზრდის გზით შექმნილი ქალაქი არ იყო. ის ცალკეული დასახლებების გაერთიანების გზით ჩამოყალიბებული ქალაქია. ამიტომ ეს დასახლებანი ინარჩუნებენ დიდ ქალაქში თავისებურ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სახეს და ახალ ვითარებაში ყალიბდებიან დიდი მცხეთის ყოველთვის მნიშვნელოვან უბნებად. ესაა ქართული სინოიკიზმის თავისებური სახე.

„დიდ მცხეთას დედაქალაქობის ხანაში რამდენიმე უბანი აქვს. ამათ შორის არქეოლოგიური კვლევა-ძიება შეეხო, ე. ი. არქეოლოგიური გათხრების მიხედვითაც ცალკეულ უბნებად წარმოგვიდგება შემდეგი: საკუთრივ მცხეთის უბანი, შიდაციხის (არმაზციხის) უბანი, საპიტიახშო (ერისთავთა და ეზოიასმოძღვართა) უბანი, წიწამურის

დედაქალაქში, მის ცალკეულ უბნებში გარკვეული სასოფლო რაიონები შედიოდა. აქ იყო მოწყობილი მსხვილი ზვრები და სხვადასხვა მეურნეობანი, რომლებიც ინახავდნენ დედაქალაქის მრავალრიცხოვან მოსახლეობას, საჭირო შემთხვევაში მეფეს აძლევდნენ უცხოელთა ჯარისათვის საჭირო პროვიანტს. ასეთ ვითარებაში გასაგები ხდება ქართულ საისტორიო წყაროებში „დიდი მცხეთის" („დიდისა ქალაქისა მცხეთისა") არაერთგზის მოხსენიება.

დედაქალაქი ციხე-სიმაგრეთა რთულ სისტემას წარმოადგენდა და ძლიერი ზღუდე-გალავნებით იყო ჩაკეტილი იქ შემავალი გზები (გალავანი ნაქულბაქევ-ზემოავჭალის ხაზზე, გამაგრებული სისტემა ბებრისციხე-წიწამურის ხაზზე (არაგვის იმიერ და ამიერ), ციხე დიდისა და სარკინე-სავანეს გამაგრებული სისტემა). ამას გარდა, დედაქალაქს



სურ. 113. I. მთა ქართლი. II, ბაგინეთი. III. სევსამორა. IV. სამთავროს სამაროვანი. V. არმაზისხევის სამაროვანი. 1. სვეტიცხოველი, 2. ჯვარი, 3. ანტიოქია. 4. გეთსიმანია. 5. სამთავრო. 6. ბებრის ციხე. 7. ქალოუბანი. 8. საგურამო. 9. ზედაზენი. 10. არმაზის მონასტერი. 11. ახალქალაქური
შესრულებულია ვ. ცინცაძის მიერ.

ჰქონდა შიდაციხე (აკროპოლისი), რომელიც სამეფო რეზიდენციასაც წარმოადგენდა და საჭირო შემთხვევაში მოქალაქეთა თავშესაფარსაც. აქ სამეფო რეზიდენციის მცველი რაზმი და საჭიროების მიხედვით დედაქალაქის დამცველი ლაშქარი იდგა.

ძველი დედაქალაქის დამცველი სიმაგრეები ქალაქის უბანთა უმნიშვნელოვანეს ნაწილებსაც იცავდა. უბანთა გაძლიერება საკუთრივ ამა თუ იმ უბნის ინტერესებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ დიდი მცხეთის საერთო ინტერესებით ნაკარნახევი ჩანს. თითქოს ყველა უბანს თავისი ციხე-სიმაგრე აქვს ჩაბარებული. ციხე იცავს უბანს და დედაქალაქს; უბანი და დედაქალაქი ამაგრებს და იცავს ციხეს. ასეთი სისტემის გარეშე „დიდი მცხეთა" არ წარმოიდგინება დედაქალაქობის ხანაში მაინც. დამახასიათებელია, რომ საისტორიო წყაროები ციხე სიმაგრეთა მ̇ორღვევას, მათს დაცემას და გაუმაგრებლობას ყოველთვის უკავშირებენ დედაქალაქის დამარცხებას, დაცემას ან, რაც იგივეა, ათხელებას.

დიდი მცხეთის უბნები სამეურნეო თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვან რაიონებს წარმოადგენენ: წიწამურის უბანზე ზვრებია სავარაუდებელი, საპიტიახშოში მეღვინეობის დაწინაურებაა დადასტურებული, სარკინე უბანი დედაქალაქს იარაღ-საჭურვლით და, საერთოდ, ლითონის ნაწარმით ამარაგებს და ამასთანავე, სარწყავი საეენახეებიც აკრავს მას; შიდაციხის უბანს კრამიტის სახელოსნოები და სამშენებლო ქვის ·ახოები· აქვს; საკუთრივ მცხეთა ცნობილი სახელოსნო და სავაჭრო რაიონია და ა. შ. ე. ი. ყოველი უბანი აუცილებელი ნაწილია დიდი დედაქალაქისა, როგორც ეკონომიური (სამეურნეო, სახელოსნო და სავაჭრო), ასევე სტრატეგიული თვალსაზრისით. ამიტომაც ეს უბნები ინარჩუნებენ, ერთის შეხედვით, „დამოუკიდებლობას".

ასე ჩამოყალიბებულ უბნებს რიგი საერთო ნიშნები აქვთ. ასეთ ნიშნებად ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი:

ა) საცხოვრებელი უბანი გაშენებულია ზეგნებზე (ბაგინეთი, წიწამური, საკუთრივ მცხეთა, კოდმანი, სარკინე, მუხათგვერდი და სხვ.);

ბ) სამაროვნები მოწყობილია დაბლობზე (წიწამურის უბნისა — არაგვის პირას; კარსნისა — მტკვრის პირას — კარსნის ხევთან; ბაგინეთისა — მტკვრის პირას, კარსნისხევის შესართავთან; კოდმანისა — ტუია ქოჩორა — ბაბალეს მიდამოებში; სარკინისა — სარკინის ხევში; საკუთრივ მცხეთისა — ქალაქსა და სამთავროს ველზე; მუხათგვერდ-ნაქულბაქევის — მტკვრისპირას და ა. შ.);

გ) საკულტო ადგილები მაღალ ბორცვებზეა განლაგებული: წიწამურის უბნისა — წიწამურის სერზე და ზედაზენზე; საკუთრივ მცხეთისა — მცხეთის გორაზე, „ბაბალეს" მიდამოებში; შიდაციხისა — ბაგინეთის ქედის წვერზე; ავჭალის კარისა — ჯვრის მიდამოებში და ა. შ.;

დ) დაბლობსა და ვაკობზე მოწყობილია მეურნეობები ან სახელოსნოები (სარკინესი — გრძელ მინდორზე და ვაკობზე სავანესთან, აგრეთვე ნასტაგისზე; საპიტიახშოსი — არმაზისხევის ორივე ნაპირზე, მდ. მტკვრის ტერასებზე; საკუთრივ მცხეთისა — მტკვრისა და არაგვის ნაპირებზე; წიწამურის — არაგვის შარცხენა ნაპირზე; მუხათგვერდ-ნაქულბაქევისა — მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და ა. შ.);

ე) ზეგნებიდან გამოყვანილია წყალსადენები (შიდაციხეში — ღია და დახურული კარსნის წყაროებიდან; საკუთრივ მცხეთაში — თიხის მილებით — სხალტბის ქედიდან; საპიტიახშოში — თიხის მილებით არმაზისხევიდან და ა. შ.). ამას გარდა ყოველ უბანს მდინარესთან (მტკვარზე და არაგვზე) თავისუფალი ჩასასველელი აქვს;

ვ) ყველა უბანს იცავს ციხე-სიმაგრეთა გარკვეული სისტემა, რომელიც ქალაქს ემორჩილება და უბანსაც ემსახურება;

ზ) უბნები ერთიმეორესთან დაკავშირებული არიან ხიდებით და სათანადო ფონებითაც (თუ მათ ერთიმეორისაგან მდინარე ჰყოფს).

ასეთია უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის უბნებისა.

ამ უბნებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები და აგრეთვე ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები ხელს გვიწყობენ სათანადო წარმოდგენები შევიქმნათ ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის მოსახლეობის შესახებაც.

მეხუთე თავი

ძველი დედაქალაქის მოსახლეობა

(მცხოვრებთა რაოდენობა, მათი სოციალური და ეთნიკური შედგენილობა)

ქალაქის მოსახლეობის დასახასიათებლად ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს საკმაო რაოდენობის არქეოლოგიური მასალა. პირველ რიგში ეს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ითქმის. დედაქალაქისა და მისი უბნების ნამოსახლართა შესწავლილობის ახლანდელი დონე გვაიძულებს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ წარმოდგენა უმთავრესად სამაროვანთა მასალის მიხედვით შეეიქმნათ.

სამთავროს სამაროვნის ძველი ორმოსამარხებიდან მოვდინარე მასალა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულთა მიჯნაზე „მცხეთაში ზის საკმაოდ ხშირი, განვითარებული მიწათმოქმედი მოსახლეობა, რომელსაც ძლიერი მეომრული ჩვევები აქვს"[1].

ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ მცხეთის მოსახლეობის უწყვეტი ზრდა კარგად შეიმჩნევა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. ისიც იყო ნათქვამი, რომ ამ პროცესმა, შეპირობებულმა რიგი სხვადასხვა გარემოებით, მცხეთა მალე გაქალაქების გზაზე დააყენა. რა ხანას უნდა მიეკუთვნოს მცხეთაში საქალაქო ცხოვრების ჩასახვა, ქალაქური ტიპის მოსახლეობის გაჩენა, ჯერ კიდევ დანამდვილებით არ არის გამორკვეული, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების პირველი წლების შედეგებიც კი აძლევდნენ საფუძველს აკად. ივ. ჯავახიშვილს აღენიშნა, რომ „მცხეთა ბრინჯაო-რკინის ხანაშიც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე, საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული"[2].

ასეთი დასკვნა იყო მიღებული სამთავროს სამაროვნის გათხრის მასალების საფუძველზე. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „უკვე გამორკვეულმა არემ ცხადყო, რომ მცხეთაში ძალიან ჭიდრო მოსახლეობა ყოფილა, მთელი ეს ფართობი საფლავებით არის სავსე: სამარეს და სამარეს შორის ერთი ნაბიჯის გადასადგმელი ადგილიც არ არის დატოვებული. თუ დანარჩენ არეზეც ისეთივე ვითარება აღმოჩნდება, მაშინ 14 ჰექტარის ფართობზე რამდენიმე ათასეული სამარხი უნდა იყოს და ეს მკვდრეთი კი უეჭველია ძველი მცხეთის მხოლოდ ერთი, სახელდობრ, არაგვის-კარის უბნის სასაფლაო უნდა იყოს"[3].

სხვადასხვა დროის სამარხთა რაოდენობის შედარებითმა შესწავლამ ივ. ჯავახიშვილი დაარწმუნა იმაში, რომ ქვისსამარხების ხანაში (იგულისხმება ახ. წ. I და მომდევნო საუკუნეები) მცხეთის მოსახლეობა წინა ხანასთან საგრძნობ გაჭრავალრიცხოვნებას ამჟღავნებს. რა თქმა უნდა, ეს პრო-

---

[1] С. Н. Джанашиа, Мцхета — древняя столица Грузии; შდრ. მცხეთა I, გვ. VII.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 476.

ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. თბ., 1955, გვ. 37; ა. აფაქიძე, მცხეთა—ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 11.

[3] ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 443.

ცესი დაკავშირებული იყო ქართლის სამეფოს შემდგომ გაძლიერებასთან, რასაც ბუნებრივია, შედეგად მოჰყვა დედაქალაქის ზრდა-გაფართოება, ე. ი. მცხეთის მოსახლეობის ზრდაც.

მცხეთის მოსახლეობის გამრავალრიცხოვნების შესახებ მიღებული დასკვნა თუ სამთავროს არქეოლოგიურ მონაპოვარს ემყარებოდა, ახლა სულ სხვა ვითარებაა. ძველი დედაქალაქის მოსახლეობის გასათვალისწინებლად დამატებითი მასალებია მოპოვებული ქალაქ მცხეთის, კოდმანის, კამარახევ-წიწამურის, ზემო ავჭალის, კარსან-კარსნისხევის, ნავთსადენის, არმაზისხევის, ე. წ. მოგუთა უბნის და სხვ. უბანთა გათხრების შედეგად. მრავალრიცხოვანი სამაროვნების შესწავლა მხარს უჭერს დასკვნებს, მიღებულს მცხეთის მოსახლეობის სიმრავლის, სიმჭიდროვისა და თანდათანობით გამრავალრიცხოვნების შესახებ.

ასე მაგალითად, წიწამურის უბნის სამაროვნის მცირე მონაკვეთის გათხრამ 1953 წელს გვიჩვენა. რომ ყოველ ორ კვადრატულ მეტრზე თითო სამარხი ჩაუდგამთ, ე. ი. სამაროვნის ფართობი მაქსიმალურად არის დატვირთული. „სამარხთა სიმჭიდროვით კამარახევის სამაროვნის ეს მონაკვეთი არ ჩამოუვარდება სამთავროს სამაროვნის ყველაზე ხშირსამარხიან უბანსაც კი"[1]. ასეთი შთაბეჭდილებაა მიღებული დედაქალაქების ხანის ადრინდელი საფეხურის სამაროვნისა (კამარახევი) და გვიანდელი საფეხურის (სამთავროს ზედა სარ- თული) სამაროვნის შედარების შემდეგ; ე. ი. სიმჭიდროვე მოსახლეობისა ელინისტურ ხანაშიაც აშკარაა, ძველი დედაქალაქის ერთ-ერთი უბნის მაგალითზე მაინც.

ძველი დედაქალაქის მოსახლეობის სიმრავლის არაპირდაპირ მაჩვენებელს უნდა წარმოადგენდეს არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი, შესამჩნევად დაწინაურებული უბნების არსებობა დიდ მცხეთაში.

ერთის სიტყვით, მცხეთის მოსახლეობის სიმრავლისა და თანდათან ზრდის მაჩვენებელია მრავალრიცხოვან სამაროვანთა მასალა და, აგრეთვე, დედაქალაქის უმთავრეს უბანთა გათხრებისას მოპოვებულ-შესწავლილი და გამოვლინებული ძეგლები.

[1] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, თბ., 1959, გვ. 10.

საქალაქო ცხოვრების დახასიათებისას ასე მნიშვნელოვანი მხარის მეტ-ნაკლებად სრულად წარმოსადგენად ჩვენ გვაქვს, ასე ვთქვათ, სხვა რიგის, არაპირდაპირი მასალებიც. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლო ხანების ვითარება წარმოვიდგინოთ.

როგორც ცნობილია, პომპეუსი თვითონ დაესხა მოულოდნელად იბერთა მეფეს არტოკეს და მივიდა აკროპოლისამდე, ვიდრე ამის შესახებ არტოკე რამეს გაიგებდა. რომაელთა და იბერთა შემდგომი ბრძოლა მდ. მტკვრის ორივე მხარეზე მიმდინარეობდა. ახლა ჩვენ გვაინტერესებს შედეგები რომაელთა ჯარისა და იბერთა ბრძოლებისა, თანაც ისეთ ვითარებაში, როდესაც იბერები საბრძოლოთ მომზადებულნი არ იყვნენ; ე. ი. არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დედაქალაქის გარნიზონის გაძლიერება ვერ მოესწრო, მაშველი რაზმები დედაქალაქამდე მიღწეულნი არ იყვნენ. მიუხედავად ამისა, დედაქალაქში რომაელებს დიდი ბრძოლა გაუმართეს. როგორც ვნახეთ, პლუტარქოსი აღნიშნავს, რომ „პომპეუსმა კი შესძლო დიდ-ბრძოლაში მათი (იბერების) დაძლევა, 9000 კაცი მოუკლა მათ, 10.000-ზე მეტი ტყვედ ჩაიგდო". ამ რაოდენობაში უნდა ვივარაუდოთ მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ხელჩართულ ბრძოლაში დაღუპულებიც, მაგრამ საეჭვოა, აქ იგულისხმებოდნენ მდ. პელორის (არაგვი) გადალახვისას წყალწაღებულნი. ასეა თუ არა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მცხეთამ ამ ბრძოლაში ოცეოდე ათასი მეომარი დაკარგა.

ამ ცნობაში რომ მეომრები იგულისხმებიან, ეს კარგად ჩანს დიონის თხრობიდან: „იბერთა ლაშქრის (ხაზგასმა ჩვენია — ა. ა.) ერთი ნაწილი ომში დაიხოცა, ერთი ნაწილი კიდევ მდინარეში დაიხრჩო. ვინც გადარჩა, ტყეებში მიიმალა და იქიდან ისარს ესროდა რომაელებს".

მცხეთაში დაღუპულთ და ტყვეთ ჩავარდნილთ უნდა მივთვალოს ღრმად მოხუცები, ბავშვები და ქალები. ამ გზით ჩვენ მივიღებთ, რომ მცხეთა ძვ. წ. II—I საუკუნეებში რამდენიმე ათეულ ათას მცხოვრებს ითვლიდა. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მცხეთაში პომპეუსს საჩუქრებიც მიართვეს და ჯარისთვის პროვიანტიც შესთავაზეს, მაშინ ერთგვარი წარმოდგენა ძველი დედაქალაქის — დიდი მცხეთის ეკონომიური ვითარების შესახებაც უნდა შეიქმნას. ირკვევა, რომ იმ ხანების მცხეთას რამდენიმე ათეულ ათასიანი მოსახ-

ლეობის შენახვაც შეძლებია და რომაელთა ღიდი ჯარის გამოკვებაც.

შემთხვევითი არ იყო, რა თქმა უნდა, სპარსთა მეფის ინტერესი მცხეთისადმი. ლეონტი მროველს არ გამორჩენია ეს შეენიშნა. ქართლიდან მიუზავნილ მოციქულთაგან „გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი, და მეზობლობა ხაზართა და ოვსთა"[6].

ქალაქის მოსახლეობაში, რა თქმა უნდა, მისი გარეუბნის მცხოვრებნიც უნდა ვიგულისხმოთ. რა თქმა უნდა, ეს მოახლოებითი ვარაუდია, მაგრამ თითქოს ამხსნელი სამაროვანთა სიხშირისა შემდეგი ხანის მცხეთაში. ახლა თითქოს უფრო გასაგები ხდება, არქეოლოგიური გათხრებისას შემჩნეული, ერთის შეხედვით უცნაური სურათი, როდესაც ქალაქი მცხეთა თითქმის მთლიანად სამაროვნებზე გაშენებული ჩანს.

თუ ჩვენი ვარაუდი საფუძვლიანია, მაშინ უნდა ვიფიქროთ ქალაქის მოსახლეობის კიდევ უფრო გაზრდა, გამრავალრიცხოვნება ახ. წ. I—III საუკუნეებში.

წერილობითი ცნობებისა (სტრაბონი, დიონი, პლუტარქე) და არქეოლოგიური გათხრების შედეგების გათვალისწინება არ იძლევა საფუძველს გავიზიაროთ პროფ. ს. კაკაბაძის ვარაუდი, რომლის მიხედვით, სტრაბონის დროინდელი იბერიის მოსახლეობა შეადგენდა 100 ათას სულს ორივე სქესისას[6]. როგორც ვნახეთ, რამდენიმე ათეულ ათას მცხოვრებს ვვარაუდობთ ჩვენ იმ ხანების დიდი მცხეთისათვის, ე. ი. მხოლოდ დედაქალაქისათვის.

მცხეთის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას ჩვენ პლუტარქოსის ცნობას იმიტომაც ვთვლით დიდად მნიშვნელოვნად, რომ იქ 19.000 მეომარია მითითებული. რა რიგ გაზვიადებულიც არ უნდა იყოს ცნობა, ის მაინც თვალსაჩინოდ რჩება ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმე ეხება მცხეთის მოქალაქეებს, ე. ი. იმათ, ვინც დიდი ხანია დატოვა მეომრული ჩვეული და მშვიდობიან მოქალაქეებად იქცა; როდესაც კარგად ჩანს, რომ მეომრობა გარკვეული წრის უპირატესობად იქცა და ჯარი გამოეყო ხალხს. აქ ჩვენ თითქოს უკვე გვაქვს მითითება დედაქალაქის სოციალური ფენების წარმოსადგენად, ერთის მხრივ მაინც. თავის თავადაც, საერთოდ საინტერესოდ გამოიყურება ქალაქის მოსახლეობის სოციალური ცხოვრების სურათი, მით უმეტეს, რომ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ სამი ათასი წლის წინ მცხეთაში იჯდა ხშირი, განვითარებული მიწათმოქმედი მოსახლეობა, რომელსაც ძლიერი მეომრული ჩვევები ჰქონდა.

ძვ. წ. VII—VI საუკუნეებიდან ვითარება შეცვლილი ჩანს. პირველი ათასწლეულის შუახანებიდან იარაღ-საფურველი, როგორც წესი, თითქმის არ ჩანს მცხეთის სამარხებში. ეს გარემოება იმით არის გამოწვეული, რომ აქაური ძველი სამეწათმოქმედო ტიპის მოსახლობები უკვე ძვ. წ. I ათასეულის შუა ხანებისათვის ქალაქად არის გაერთიანებული; შესაბამისად გაჩენილია ახალი სოციალური ფენა მოქალაქეები, რომლის შემდგომი დიფერენციაცია ქალაქის წიაღში უნდა გაგრძელებულიყო. შემდეგში, სახელდობრ ძვ. წ. IV საუკუნეში, დედაქალაქის მცხოვრებთათვის აუკრძალავთ კიდევაც იარაღის ტარება. საამისო მითითებას ვხვდებით ლეონტი მროველთან, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ თხრობასთან დაკავშირებით: „ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი"[7]. როგორც შემდგომი თხრობიდან ცნობილი ხდება, ასეც იქცეოდა უცხოელთა ჯარი: „ჰყოფდეს რომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცავინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი"[8].

ასეთი ჩანს მეორე მიზეზი იმისა, რომ იარაღ-საჭურველი აღარ გვხვდება ძვ. წ. VI—V საუკუნეებს შემდეგდროინდელ მცხეთაში. რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობისა აქ გაქალაქების პროცესია, მაგრამ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ „მშვიდობიან მოქალაქეთა" ბრძოლა სრულიადაც არ არის უმნიშვნელო.

არქეოლოგიურ აღმოჩენათა მიხედვით ირკვევა, რომ მცხეთელ მოქალაქეთა შორის მნიშვნელოვან ფენას ხელოსნები წარმოადგენდნენ. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დედაქალაქობის წინახანებში განთქმული მეთუნენი, რომელთა

[6] ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 39.

[6] სარგის კაკაბაძე, იბერიის მოსახლეობის რიცხვი. საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924, გვ. 264.

[7] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 20.

[8] იქვე

შიგნითა დასპეციალება ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან აშკარად შეიმჩნევა; ე. ი. ხდება ის, რასაც გვიანბრინჯაოს თუ, საერთოდ, ბრინჯაო-რკინის ხანაში ჩვენ ვერ ვამჩნევთ ასე მკაფიოდ. ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები საფუძველს გვაძლევენ ხელოსანთა ამ წრეში გავარჩიოთ: ვეკურჭელნი (საკუთრივ საოჯახო ჭურჭლეულის მკეთებელნი), მექვევრენი, მეკრამიტენი, ვეაგურენი და თიხის მილების მკეთებელნი.

საოჯახო ჭურჭლეული დედაქალაქობის ხანაში მკაფიოდ გაირჩევა წინა ხანის ნაწარმისაგან; ეს შეეხება ჭურჭლის მოყვანილობას, მის მრავალნაირობასა და სილამაზის მკაცრად შეზღუდვას[9]. ძირფესვიანად შეცვლილი ჩანს საოჯახო ჭურჭლეულის კეთების ტექნოლოგია; გამარტივებულია ფორმები, თითქმის გაქრალი შემკულობა (კოპები და ოდნავ შესამჩნევი ფოსოებია სამკაულის თითქმის ერთადერთი სახეობა). ჭურჭელი მოწითალოა და ორა ძველებურად შავბრიალა. დედაქალაქობის ხანის მცხეთურ საოჯახო კერამიკულ ნაწარმის გაცნობა ცხადს ხდის, რომ მეთუნეთა საქმიანობაში დიდი ცვლილებებია მომხდარი, რა თქმა უნდა, დაკავშირებული მცხეთის გაქალაქების შესაბამისად შემჩნეულ სოციალ-ეკონომიურ დიფერენციაციასთან. დედაქალაქობის ხანაში უფრო ფართო ხასიათი უნდა მიეღო თიხის ჭურჭლის სასაქონლო წარმოებას; მეთუნე ფართო ბაზრისთვის ამზადებდა საქონელს. ამასთანავე, დამზადებული პროდუქციის დიდი ნაწილი ღარიბი მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი. ყველაზე დიდი რაოდენობით ქალაქელ მეთუნეთა თითქმის ერთსახოვანი პროდუქცია მიდიოდა სოფელში. ქალაქის დაწინაურებულ ფენებში ვერცხლის ჭურჭელი ჩანს შემოსული და მისაც თვალსაჩინო როლს ასრულებს ახ. წ. I—II საუკუნეებიდან. მეთუნეთა პროდუქციის გასაღების თუ დანიშნულების ასეთ ხასიათს უთუოდ გარკვეული როლი უნდა შეესრულებია წარმოების პროცესის შეცვლის მიმართულებით[10], მაგრამ გადამწყვეტი, ჩვენის აზრით, არის სხვა გარემოებაც.

[9] გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I—III საუკუნეებში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955, გვ. 354.

О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство в Мцхета..., გვ. 23.

როგორც ჩანს, საქალაქო ცხოვრების ჩახახვა-განვითარებასთან ერთად მიწათმოქმედების შემდგომმა დაწინაურებამ ერთგვარად წარმართა კერამიკული წარმოებაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მეევნახეობის განვითარებას ჰქონოდა, რადგან ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან მაინც იბერიაში მევენახეობა-მეღვინეობას სასაქონლო ხასიათი შეემჩნევა. შესაბამისად, თვით ვაზის კულტურაც დიდად განვითარებული უნდა ყოფილიყო. სტრაბონის ცნობა საფუძველს გვაძლევს იბერიაში დაბლარი ვენახი ვიგულისხმოთ[11]. მევენახეობის სასაქონლო ხასიათი ზვრების გადიდებას მოითხოვდა. როგორც ცნობილია, ჩვენ გვაქვს სათანადო ცნობა ძვ. წ. IV საუკუნის ვითარების გასათვალისწინებლად. მითითებულია, რომ ალექსანდრე „დადგა სარკინესა და ვენახი და როდ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუვენი"[12]. მევენახეობის განვითარების საკითხის განხილვისას აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ ბუნებრივია თავდაპირველად აქ მონური შრომა გამოეყენებინათ... ეს კულტურა იმდენად რენტაბელურია, რომ მონის შრომას შეუძლია აქ თავი გაამართლოს ეკონომიურად[13].

მეურნეობის ამ დარგის განვითარებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მექვევრეობის განვითარება ელინისტურ ხანაში, სახელდობრ ძვ. წ. III საუკუნიდან მაინც. ეს უკანასკნელი გარეგოება ჩვენ მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურების მანიშნებლად მიგვაჩნია თავის მხრივ.

სოფლის პროდუქციის შესანახ ჭურჭელზე მოთხოვნილება გაიზარდა მსხვილ მეურნეობაშიაც და ქალაქშიაც, იმიტომ, რომ „მცხეთელი მიწისმოქმედი" ქალაქს „გამოეყო" ან მოქალაქედ იქცა. ასევე „გამოეყო" მიწისმოქმედს — მეთუნე ხელოსანი და ახალ ვითარებაში მისმა პროდუქციამ სახე იცვალა.

საღვინე ჭურჭელზე მოთხოვნილების ზრდას მექვევრეობის გაფართოება უნდა გამოეწვია. ეს კი ბუნებრივია, მოითხოვდა იაფფასიანი მუშახელის გამოყენებას მეთუნეობაში. ამრიგად, აქაც თითქოს ჩნდება მონის შრომის გამოყენების ფარ-

[10] შდრ. ოთ. ლორთქიფანიძე, იქვე, გვ. 23—24.

[11] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 203.

[12] ქრონიკები, I, ტფ. 1892, გვ. 12.

[13] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 202—203.

ორ შესაძლებლობა, მაგრამ აქაც აუცილებელი პირობით: მხოლოდ სათანადო ზედამხედველობის ქვეშ და მეტ-წილად მძიმე სამუშაოებზე (თიხის მოჭრა, მოზიდვა, მოზელა და ა. შ.).

მონური შრომის გამოყენებას მეთუნეობაში უნდა მოყოლოდა პროდუქციის ნაირსახეობათა შეკვეცა. ასეთ ვითარებაში მხატვრულ ფორმებსა და შემკულობის მრავალფეროვნებასაც არ უნდა მოველოდეთ. საბოლოოდ ამან განსაზღვრა, როგორც ჩანს, კერამიკული ნაწარმის სახეობები და შესამჩნევად მკვეთრი ცვლილება გამოიწვია თიხის ჭურჭლის წარმოებაში — თითქმის ერთნაირ ტექნოლოგიას დაუმორჩილდა მთელი კერამიკული წარმოება.

ეს გარემოება ჩვენ ერთგვარ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მსხვილ მიწათმფლობელთა ხელში შეიძლება ყოფილიყო სათანადო კერამიკული სახელოსნოებიც, კერძოდ ქვევრების, დერგებისა და საღვინე ჭურჭლეულის დამზადების საქმე.

ამრიგად, არქეოლოგიური მასალის მიხედვით თითქოს ირკვევა, რომ მონური შრომის გამოყენებას ადგილი უნდა ჰქონოდა მევენახეობაში და მასთან ერთად მეთუნეობაშიაც — კერძოდ მექვევრეობაში.

დამახასიათებელია, რომ მითითებული რიგის კერამიკული ნაწარმი მცხეთაში ძირითადად გვხვდება ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. III—IV საუკუნემდე; როგორც ზემოთ აღინიშნა, თითქოს მონური შრომის შედარებით ფართოდ გავრცელებისთანავე ვრცელდება ის და მონური შრომის შეკვეთისთანავე მცირდება. ამ გარემოებასაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

მოძოვებული მასალა გვიჩვენებს, რომ კერამიკული წარმოების პროდუქციის ერთ დიდ ნაწილს წარმოადგენს ის, რაც სოფლის მეურნეობასთან იყო დაკავშირებული: ქვევრები, დერგები, საღვინეები. მეორე ნაწილი კერამიკული ნაწარმისა ქალაქისთვის იყო განკუთვნილი. ასეთებია: კრეჭიტები, აგურები, წყალსადენის მილები. ყველაფერი ეს წარმოადგენს საქალაქო კერამიკული-წარმოების უმნიშვნელოვანეს პროდუქციას, შექმნილს მონათა შრომის ფართოდ გამოყენების საფუძველზე ელინისტური ხანის მცხეთაში.

ასეთია დედაქალაქობის ხანის მცხეთელ ხელოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილის — მეთუნეების საქმიანობის მოკლე მიმოხილვა; მათი საქმიანობის უფრო დაწვრილებითი დახასიათების ცდა ჩვენ უკვე გვქონდა სხვა ადგილას, სახელდობრ სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხების განხილვისას.

დედაქალაქობის ხანისათვის, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანესი იმ ხელოსანთა საქმიანობა ყოფილიყო, რომლებიც მშენებლობაში იყვნენ ჩაბმული. რადგან სამშენებლო მასალათა წარმოების დაწინაურება და მშენებლობის ხელოვნების განვითარების მაღალი დონე საქალაქო ცხოვრების დაწინაურების მომასწავებელია თავისთავად.

მცხეთის სხვადასხვა უბნების გათხრები ცხადყოფენ ძველი დედაქალაქის (დღევ მცხეთის) მშენებელთა დახელოვნებას. არქეოლოგიური მასალები საფუძველს გვაძლევენ მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შევიქმნათ დედაქალაქობის ხანის ქვით-ხუროობის განვითარებაზე. და შესაბამისად, მცხეთელ ხელოსანთა ღონეში ქვითხუროობა გავარჩიოთ.

ისევე, როგორც ადრეფეოდალურ საქართველოში, ქვით-ხუროობის საამშენებლო დარგი ანტიკურ მცხეთაშიაც ქვითა და აგურით მშენებლობას მოიცავდა. შესაბამისად, უნდა ვიკარგებოდეთ, რომ მცხეთის დედაქალაქობის ხანაშიაც „ქვით ხუროს ეწოდებოდა იმას, ვინც ქვით ან აგურით აშენებდა"[14]. სათანადო ადგილას აღნიშნული გვაქვს, რომ მცხეთაში შენიშნულია ბევრი შემთხვევა ქვითა და აგურით, ან უფრო სწორად, ქვითა და ალიზით შეერთებული მშენებლობისა. განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა ეს არმაზიხის, სარკინე უბნის, წიწამურის და საკუთრივ მცხეთის არქეოლოგიურ მონაპოვართა მიხედვით.

ხელოსანთა ეს წრე მრავალრიცხოვანიც უნდა ყოფილიყო და უაღრესად დიფერენცირებული დასპეციალების თვალსაზრისით. აქ უნდა იყვნენ გაერთიანებული ის ხელოსნები, რომლებიც „ქვის აღმოჩენიდან" რთულ ნაგებობათა შექმნამდე სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებდნენ. სახელდობრ: ქვის მჭედელნი, ქვის მკვეთელნი, კლდის მკაფავნი,

[13] ქრონიკები, I, ტფ. 1892, გვ. 12.
[14] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 202—203.

[14] ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1949, გვ. 138.

ქვის მომჭრელნი, ქვის გამომკვერელნი ანუ კვერით ხეურონი, გალატოზნი და სხვები, თვით ქალაქის მთავარ ხეროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესამდე.

განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინათ იმათ, ვინც საამშენებლო მასალის ძიებას, საამშენებლო ადგილის შემზადებას ანუ დაკავებას, ნაგებობის გადახურვას და საერთოდ „წინასწარ გამოსახულის“ განხორციელებას ემსახურებოდა.

ქვით ხეროთა შორის უნდა ვიგულისხმოთ ისინიც, ვინც ნაგებობებს ამზადებდა მიცვალებულთათვის. ე. ი. მავზოლეუმთა მშენებლები, სარკოფაგთა გამომკვეთელნი, ქვის, კრამიტის და აგურის სამარხთა მშენებელნი და ა. შ.

მცხეთელ ხელოსანთა ამ ჯგუფის საქმიანობა ჩვენ კარგად წარმოგვიდგება, თუ დიდი მცხეთის საზოგადოებრივ და საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ქვისსამარხებს, სარკოფაგებს და მავზოლეუმებს გავითვალისწინებთ. ცხადია, ჩვენ ვგულისხმობთ მშენებლობის რიგ დარგებში მონური შრომის ფართოდ გამოყენებას, რაც, როგორც ჩანს, წარმატებით სორციელდებოდა ქვითხეროთა და ხეროთმოძღვართა ზედამხედველობის ქვეშ.

ქვით ხეროთა საქმიანობის წარმოსადგენად საკმარისია შევიხსენოთ უმთავრესი ნაწილი დიდი მცხეთის ტერიტორიაზე უკანასკნელი 20 წლის მანძილზე აღმოჩენილი ძეგლები; სახელდობრ: ა) არმაზისხევთან გათხრილი ნანგრევები სასახლის ტიპის ნაგებობისა, რომლის მდიდრულობის შესახებ შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა მოჩუქურთმებული სვეტის-თავების, კარის რთულპროფილიანი არქიტრავის, დაკბილული კარნიზის, პროფილირებული ზღურბლისა და კარის ამყოლების, მარმარილოს ქანდაკებათა ნატეხებისა და სხვ. მიხედვით; ბ) არმაზისხევთან და ბაგინეთზე გათხრილი აბანოები, რომლებიც კომუნალური და სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის ერთი მკაფიო მაჩვენებელია და მოწმობს ამ დარგის განვითარების მაღალ დონეს იბერიის დედაქალაქში. გ) ბაგინეთზე, წიწამურსა და სარკინეზი გათხრილი რთული საფორტიფიკაციო ნაგებობანი, რომლებიც ძვ. წ. IV—III საუკუნეებს მიეკუთვნებიან. და ქართლის ძველი დედაქალაქის თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობის-ადრეული დაწინაურების მომასწავებელია[15]; დ) სარკინეს და არმაზისხევის უბნის თხრისას აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები, რომელთა ერთი ნაწილი ძვ. წ. III და მომდევნო საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს (მაგ. სარკინეში აღმოჩენილი ბრონური სვეტის თავი, დროზე უწყვეტით ერთმანეთზე გადაბმული ქვათლილები არმაზიცხე I-ის ტიპისა), ხოლო მეორე — ახ. წ. პირველ საუკუნეებს (მაგ., „ზღურბლიანი ნაგებობის“ შიგნით აღმოჩენილი სვეტის თავი; დაკბილული კარნიზის ფრაგმენტი და სხვ.) და საპიტიახშო უბნის უძველეს ქვისნაგებობათა ნაშთებს წარმოადგენენ; ე) ძველი დედაქალაქის მშენებელთა მაღალი კულტურის მანიშნებელია სამარხი ნაგებობანი. ქვით ხეროების მიერ შექმნილ სამარხთა შორის აღსანიშნავია ნაშენი და შედგენილი ქვისსამარხები, სარკოფაგები, კრამიტსამარხები და,რა თქმა უნდა, მავზოლეუმის ტიპის აკლდამებიც. ყველა ესენი როგორც ზემოთ ვნახეთ არქიტექტურის თავისებურ ძეგლებს წარმოადგენენ და მეტ-ნაკლებად ავსებენ ჩვენს წარმოდგენას მცხეთის დედაქალაქობის ხანის ხეროთმოძღვრებაზე; და თვით ქვით ხეროთა შესახებაც.

საქალაქო მშენებლობის ფართოდ გაშლას ქვითხეროთა გამრავალრიცხოვნება უნდა მოყოლოდა შედეგად. ხელოსანთა ეს ნაწილი ძველ დედაქალაქში ისე გაძლიერებულა, რომ გარკვეული დროისათვის მცხეთაში შექმნილა ხეროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის თანამდებობა. ქვით ხეროთა წრეს დედაქალაქობის მცხეთაში სათავეში ედგა მხატვართ უხუცესი და მთავარი ხეროთმოძღვარი. როგორც ცნობილია. ეს ვითარება აისახა სამთავროს ველზე 1938 წელს აღმოჩენილ წარწერაში, სადაც მცხეთის მკვიდრი, როგორც ჩანს, მცხეთის მხატვართუხუცესი და ხეროთმოძღვარია ნახსენები. მართალია, ეს წარწერა მცხეთის დედაქალაქობის ბოლო საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ თანამდებობის ფაქტი გაცილებით უფრო ადრე უნდა ვიგულისხმოთ. საქალაქო მშენებლობის ასეთ დონეზე არ არის გამორიცხული, რომ მშენებლობის საქმეს ცალკეულ უბნებში მაინც (ამ შემთხვევაში საპიტიახშოში) ეზოსმოძღვრებიც უწევდნენ მეთვალყურეობას. შესაძლოა მათი ხელი საზოგადოებრივ, საფორტიფიკაციო თუ სამეფო (ან საპიტიახშო) რეზიდენციის კომპლექსებს შეეხებოდა.

---

[15] ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე, თბ., 1956, გვ. 34—35.

დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ ხელოსან-ქვით-ხუროთა საქმიანობა მცხეთის დედაქალაქობის ხანაში.

ყველაფერი ეს მიგვითითებს, რომ მცხეთის დედაქალაქობის ხანის ხელოსანთა შორის ქვითხუროებს, ხუროთა უხუცესებს, ხუროთმოძღვრებს და მხატვართუხუცესებს საპატიო ადგილი უნდა ჰქონოდათ.

დედაქალაქის სხვადასხვა უბანზე გათხრილ მდიდრულ სამარხთა ინვენტარმა სათანადო დახმარება აღმოგვიჩინა სამეფო ოჯახის წევრთა, პიტიახშთა და მათი ოჯახის წევრთა ქონებრივი მდგომარეობა წარმოგვედგინა. ამ რიგის წარჩინებულთა სამარხეულ ინვენტარში უმთავრესი ოქროვერცხლის ნივთებია. ასეა მაგ., ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგში, არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის №№ 1, 2, 3, 6, 7 და 9 სამარხებში, მოგუთა უბანში აღმოჩენილ აკლდამაში, სამთავროს სამაროვნის სამხრეთის უბნის ქვისსამარხებში, საკუთრივ მცხეთის მდიდრულ ქვისსამარხებში და ა. შ.; შესაჩინევად მრავალრიცხოვანია საშუალო შეძლების მოქალაქეთა სამარხებში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები. ერთის სიტყვით, მცხეთის ჭიშკარ ოქრომჭედლობის მრავალი ბრწყინვალე ნიმუშნი გამოამზეურა და საერთოდ, დიდი რაოდენობის ოქრო-ვერცხლის ნივთები მოგვცა. შეიძლება შევიხსენოთ, რომ ზოგიერთმა სამარხმა, თუ ოქროს წვრილ ბლიტებსა და მოწკარუნე საკიდებს ჩავთვლით, ათასობით ოქროს ნივთი შემოგვინახა.

დიდ მცხეთაში აღმოჩენილ ოქრო-ვერცხლის ნივთებში კარგად შეიმჩნევა „უძველესი ქართული ოქრომჭედლობის ტრადიციებზე აღმოცენებული და ორგანულად განვითარებული ხელოვნების ნაწარმი"[16]. ესაა შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთიდან ჭმდინარე პოლიქრომიის ტრადიციის თავისებური, „ახალგორის განძის" გზით შემონახული ოქრომჭედლობა, რომელმაც ელინისტურ-რომაული გავლენაც განიცადა, მაგრამ თავი შემოინახა, როგორც მკვიდრ ნიადაგზე ორგანულად განვითარებულმა და დახვეწილმა, ქართული ოქრომჭედლობის ძველი ტრადიციების შესაბამისმა ხელოვნებამ[17-21].

ამ რიგის ნივთებად, ჩვენის აზრით, სამართლიანად არის მიჩნეული: საზეიმო იარაღის შემკულობა (ასპავრუგის სატევრის ქარქაშის გარსაკრავი და ბერსუმას სატევრის ტარი); საერისთავო სარტყლის აბზინდა და ბალთები; დიადემები, ყელსაკიდები და გულსაკიდები; მძივეული ყელსაბამები, ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები, წამოსასხამის შესაბნევი აბზინდები, ვერცხლის ლანგრები, ტიხრულ მინანქრიან ბეჭედი (მე-13 სამარხისა), მძივეული ყელსაბამი, პალმეტებიანი დიდი ბეჭედი, ბრტყელი, მოთვალული საყურეები (მე-19 სამარხისა) და მრავალი სხვ.[22].

განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან აღმოჩენილი გემები, რომელთაგან ზოგიერთი პორტრეტულ გამოსახულებას წარმოადგენს.

ჩვენი მიზანი ახლა არ არის ვცადოთ ღასიათება მცხეთის დედაქალაქობის ხანის ოქრომჭედლობის ძეგლებისა. ეს ნაწილობრივ სამარხეული ინვენტარის დახასიათებისას ვნახეთ და უფრო ვრცლად დაინტერესებული საგანგებო გამოცემებით გაიცნობს ამ ძეგლებს[23-25].

ოქრომჭედლობის განვითარების დონის დასახასიათებლად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გათხრებისას აღმოჩენილი ნივთების სწორედ ის ჯგუფი, რომელიც უძველესი ქართული ოქრომჭედლობის ტრადიციებზე აღმოცენებულად ითვლება. ამ ჯგუფის გაცნობა ცხადსა ხდის მცხეთაში ოქრომჭედელთა განსაცვიფრებელ დახელოვნებას. ფაქიზი, გამოქედვა ან კვერვა, ტვიფრვა ან ტვიფრვით მოჭრა, მჭვალვა, რჩილვა, წენა, გაწელვა, მოცვარვა, მომინანქვრა, თვალედი და მინანქრული პოლიქრომია, ოქროცურვების ელემენტები და ა. შ. საერთოდ დამახასიათებელი აღმოჩნდა ახლა ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის ოქრომჭედლურ ნაწარ-

---

[16] მ ც ხ ე თ ა, I, გვ 187.

[17] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მხატვრული დახასიათებანი ცდა არმაზის პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილი ნივთებისა. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVII სესიის თეზისები, თბ., 1944.

[18] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 189.

[19] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, საქართველოს უძველესი კულტურა..., გვ. 37.

[20] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის..., გვ. 346.

[21] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული მხატვრული ხელოსნობის ისტორიიდან „საბჭოთა ხელოვნება", № 6, 1956.

[22] მ ც ხ ე თ ა I, გვ. 189.

[23] მ ც ხ ე თ ა I.

[24] Мцхета, I.

[25] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბ., 1959.

ბისათვის. ამის შეხსენება საფუძველს გვაძლევს მცხეთელ ხელოსანთა წრეში კიდევ ერთი მეტად თვალსაჩინო ნაწილი — ოქრომჭედელთა ფენა გამოვარჩიოთ.

დედაქალაქობის ხანის ოქრომჭედელთა წრის თუ ფენის დასახასიათებლად მნიშვნელობა აქვს საისტორიო წყაროთა მითითებებსაც; სახელდობრ ცნობას იმის შესახებ, რომ ძვ. წ. 65 წელს ქართლის (იბერიის) მეფემ რომაელთა სარდალს პომპეუსს მიართვა ოქროს ტახტი, მაგიდა და სარეცელი. უფრო გვიან კი, ახ. წ. II საუკუნეში, სხვა ცნობის მიხედვით, ფარსმან მეფემ რომის იმპერატორს ოქროს სავარძელი და ოქროთი მორთული წამოსასხმელი უძღვნა[26]. უფრო ადრინდელი ვითარების ამსახველი ცნობაა შემონახული „ქართლის ცხოვრებაში". ეს ფარნაჯაზის დროინდელ ვითარებას ასახავს და მოგვითხრობს, რომ ფარნაჯაზ მეფემ იხილა „ქუაბსა... შინა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი მიუწვდომელი"[27].

ენდა ვიფიქროთ, რომ ხელოსნობის ძირითად ბუდეს დიდი მცხეთა წარმოადგენდა, არა მარტო იმიტომ, რომ აქაურ სამარხებში ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნაწარმი, არამედ იმიტომაც, რომ აქ, სარკინე უბანში ძვ. წ. III საუკუნისა და მომდევნო ხანის ფენებში აღმოჩენილია ოქრომჭედელთა ადგილობრივ მუშაობის მაუწყებელი ნაშთები — ლითონის ჩუქურთმოვანი ტვიფრები, მხატვრულ ნაწარმთა დაუმთავრებელი ნიმუშები, ტიგლების ნაწილები. წარმოების მრავალრიცხოვანი ნარჩენები და ა. შ. ამას გარდა, როგორც გათხრებისას გამოირკვა, მცხეთაში მას შემდეგაც კარგა ხანს არსებულა საოქრომჭედლო სახელოსნოები, რაც დედაქალაქად თბილისი გამოცხადდა. ამას უნდა ადასტურებდეს სამთავროს ველზე, ერთ-ერთ სამარხში დაკრძალულთან მისი პროფესიული ატრიბუტების — საოქრომჭედლო სასწორ-საწონებისა და რამდენიმე გათლილი თვალის აღმოჩენა; ერთის სიტყვით, ოქრომჭედლის სამარხიც კია აღმოჩენილი.

ოქრომჭედლური ხელოვნების მრავალგვარი ხერხების გამოყენება და, რაც მთავარია, ხელოსნობის ამ დარგის სასაქონლო ხასიათი გვავარაუდებინებს სახელმწიფოებრივი მასშტაბის საოქრომჭედლო სახელოსნოების არსებობას მცხეთაში. სწორედ ასეთ სახელოსნოებს შეეძლოთ დაეკმაყოფილებიათ ადგილობრივ ქონებიერთა მოთხოვნილებაცა და დაემზადებიათ ისეთი ნაწარმი, რომლის გატანა შესაძლებელი იქნებოდა სამეფოს საზღვარს გარეთაც, თუნდაც იმ დროს დიდად დაწინაურებულ რომშიაც კი[28-29].

ოქრომჭედელთა საქმიანობის დახასიათება რომ უფრო სრული იყოს, საჭიროა მცხეთაში აღმოჩენილი ტორეევტიკის ზოგიერთი ძეგლი მაინც წარმოვიდგინოთ დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით.

როგორც გამოირკვა, ვერცხლის ნივთები სხვადასხვა სისქის ვერცხლის გამოკვერილი ფურცლებისაგან არის ნაკეთები. ამასთანავე, დადგენილია, რომ სასურველი მოყვანილობის ვერცხლის ჭურჭლის გაკეთება ხდებოდა დაწნევის გზით, სათანადო ჩარხზე ჭურჭლის სწრაფი ბრუნვის პირობებში. ვარაუდობენ, რომ საწნევი ხელსაწყო ხისა, ძვლისა ან რქისა შეიძლება ყოფილიყო[30]; ე. ი. ჭურჭლის გამოყვანის ეს ხერხი რბილი მასალისაგან დამზადებულ საწნევ ხელსაწყოს გულისხმობს. ეს ხერხი ვერ უზრუნველყოფდა სასურველ სამკაულთა დატანას, ამიტომ ბევრ შემთხვევაში განზრახული სახეები ბასრი იარაღით უნდა ამოეკვეთათ (მაგ., არმაზისხევის მესამე სამარხში ნაპოვნი ლანგრის კიდეების რელიეფი) ან საგანგებო სატვიფრავით უნდა გამოეყვანათ (ასეთ მითითებას სარკინე უბნის გათხრისას აღმოჩენილი სატვიფრავი გვაძლევს).

დაწნევის აქ მითითებული სახეობა, სამკაულის ამოკვეთა ან ამოტვიფვრა, როგორც ჩანს, ფართოდ გავრცელებული ხერხია და თავისთავად რთულ პროცესს არ წარმოადგენს. ასევე გავრცელებული ჩანს ვერცხლის ნივთების მოოქვრა ან

---

26 დიონ კასიოს კოკკეიანი, Historia romana, XXXV, I; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 166. შდრ. ა. აფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბ., 1959, გვ. 92.

27 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული, თბ., 1942, გვ. 47.

28 ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა, გვ. 41.

29 ა. აფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 93.

30 ფ. Н. Тавадзе, В. Ф. Баркана, Из истории обработки металлов давлением по археологическим материалам Грузии. СА, XX, М., 1956, გვ. 374—376;

ფ. თავაძე, შ. მესხია, ვ. ბარქაია, ფურცლოვანი ლითონის ჩარხზე დამუშავება ძველ საქართველოში, თბ., 1954.

ოქროცურვება, რჩილვა, კვერვა და გამოჩარხვა. ეს ხერხები შეიმჩნევა ეერცხლის ლანგრებზე, პინაკებზე, სურებზე და ა. შ.

უფრო რთული ჩანს ავეჯის ფეხების კეთების პროცესი. როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ ტახტ-სავარძლებს, მაგიდებსა და მიცვალებულის დასასვენებელ სარეცელთ ვერცხლის ფურცლით მოკედილი, რთულ ‘ძუქურთმიანი ფეხები ჰქონიათ. მეტ-ნაკლები სირთულის ჩუქურთმიანი დგამის ფეხებია აღმოჩენილი არმაზისხევის პიტიახშთა I, III, VI, VII სამარხებში. განსაკუთრებით რთული ჩუქურთმოვანი ფეხები იყო აღმოჩენილი ბაგინეთის კლდეკარის აკლდამაში. „ირკვევა, რომ ფეხებს თავდაპირველად ხისგან გამოჩარხავდნენ ხოლმე; შემდეგ კი მათ კვლავ ჩარხზე დაატრიალებდნენ და გარშემოაწნევდნენ ვერცხლის ფურცელს, რომელიც ამის შედეგად გაიმეორებდა ხისაგან გამოჩარხული ფეხის მოყვანილობას. ხეზე საჭრეთლით გამოკვეთილი სახეების ვერცხლის ფურცელზე აღბეჭდვა კი წარმოებდა უკვე უჩარხოდ, ალბათ დაზგაზე, გარედან დაწნევისა და კვერვის გზით“[31]. ეს პროცესი ისე ბრწყინვალედ არის შესრულებული, რომ მაგ. ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგში აღმოჩენილი ხისაგან გამოკვეთილი სტილიზებული არწივის თავები დამოუკიდებელ სკულპტურულ ძეგლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ოქრო-ვერცხლის ნივთების გაცნობა, განსაკუთრებით კი ამ ნივთების დამზადების ტექნიკის შესწავლა ცხადსა ხდის მცხეთის დედაქალაქობის ხანის ოქრომჭედელთა დიდ დახელოვნებას. ისინი ადვილად ახერხებენ შექმნან ოქრომჭედლობის ადგილობრივი შედევრები და შესაძლოა დაამზადონ საერთოდ ცნობილი და ფართოდ გავრცელებული სიუჟეტების ამსახველი, ხშირად ამის გამო უცხოური ეერის ბრწყინვალე ნივთები[32].

ჩვენის აზრით, სავსებით სამართლიანად მიუთითებდა პროფ. გ. ჩიტაია, რომ „ქართული ლითონის — ოქრომჭედლობის ძველი ტრადიციები კარგად ჩანს ქართველი ტომების თუბალების, მესხების და ხალიბების ხელოვნებაში, რომელთა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლითონის დამუშავების ოსტატობა მათთან უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე ‘ამათ თანამედროვე ფრიგიასა და ურარტუში[33].

პროფ. გ. ჩიტაია, მცხეთის მასალების განხილვისას, იხსენებს „წერილობითი წყაროების ცნობას, რამდენი ოქროს ნივთი გადიოდა იბერიიდან სხვადასხვა სახელმწიფოში ძღვნად. ასეთი ფართო მასშტაბის სახელოსნოების არსებობა სავსებით გასაგებია. აშკარაა, ამ სახელოსნოებში მუშაობდნენ სპეციალისტები, რომლებიც სასაქონლო ნაწარმს ამზადებდნენ. ასევე ნათელია, რომ ამ დროისათვის ხელოსნობის ცალკე დარგად გამოყოფა, შრომის მეორე დიდი საზოგადოებრივი დანაწილება უკვე განვლილი ეტაპი იყო და რომ თავისი შინაარსით ეს ხელოსნობა იმდროინდელი ქალაქური წარმოების მაუწყებელია“[34].

ოქრომჭედელთა ფენას შეიძლება მივაკუთვნოთ ის ხელოსნებიც, რომლებიც ნაირნაირ გამოსახულებებს ჭრიდნენ ბეჭდებისა თუ სხვა სამკაულთა ძვირფას ან ნახევრად ძვირფას თვლებზე, რადგან ამ უკანასკნელთა ნაწარმი, ჩვეულებრივად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს იმ ნივთებში, რომელსაც საერთოდ ოქრომჭედლის ნახელავად მივიჩნევთ. ყოველ შემთხვევაში, მცხეთაში აღმოჩენილი ყოველგვარი გემები დაკავშირებულია საკუთრივ ოქრომჭედლის ნაწარმთან.

ჯერჯერობით საკუთრივ მცხეთაში მოპოვებულ გემათა და საბეჭდავთაგან ყველაზე ადრინდელი— ძვ. წ. V—IV სს. მიეკუთვნება[35]; ე. ი. გემათა გავრცელება ემთხვევა მცხეთის დედაქალაქობის ხანას. მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ის ახ. წ. I—II საუკუნეებში და მომდევნო ხანებში.

მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემათა შესწავლის საფუძველზე პროფ. მ. მაქსიმოვამ ფრიად საყურადღებო დასკვნები მიიღო მცხეთაში გემათა მომჭრელი სახელოსნოების არსებობის შესაძლებლობის შესახებ. ამ საკითხზე პროფ. მ. მაქსიმოვა თავის დროზე წერდა შემდეგს: 1940 წელს მცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილია ანტიკური სტილის გემები, რომლებზეადაც სათანადო წარწერებიცაა ამოკვეთილი. წარწერები ბერძნული ასოებითაა შესრულებული, მაგრამ ბეჭდის მფლობელთა სახელები აშკარად არა ბერძნულია, აღგილობრივია. აქედან სრულის სიცხადით გამომ-

31 მ ც ხ ე თ ა I, გვ. 198.

32 ი ბ ე ვ ე, გვ. 200.

33 გ. ჩ ი ტ ა ი ა, „მცხეთა I“ გამოკვეყნების გამო. ეურნ. „დროშა“, № 6, თბ., 1956, გვ. 17.

34 გ. ჩ ი ტ ა ი ა, „მცხეთა I“ გამოკვეყნების გამო. ეურნ. „დროშა“, № 6, თბ., 1956, გვ. 17—18.

35 М. И. М а к с и м о в а, Геммы из некрополя Мцхета-Самтавро. Вестник гос. музея Грузии, XVI-Б, Тб., 1950, вв. 231—232.

დიხარეობს, რომ ეს ბეჭდები ეკამზადებულია განსაზღვრულ ადგილობრივ დამკვეთთათვის. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს ასლო მეზობლობას მომსმარებელსა და სახელოსნოს შორის. „შესაბამისად, არსებობის ყველა საფუძველი ჩავთვალოთ, რომ ძველს მცხეთაში ახ. წ. პირველ საუკუნეებში არსებობდნენ ქვის მომჭრელთა სახელოსნოები, სადაც მოსულ ბერძენ ხელოსნებთან თანასწორად,ალბათ ადგილობრივი ოსტატებიც მუშაობდნენ"[36]. ასეთი დასკვნა ასლა ახალი (1940 წლის შემდეგდროინდელი) აღმოჩენების საფუძველზე კიდეე უფრო მყარ საფუძველზე დგას. უკანასკნელ ხანებში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად არმაზისხევის მესამე სამარხის ერთ-ერთი ბეჭდის თვალზე ამოკვეთილი წარწერა Πλατων ქვისმჭრელი ხელოსნის სახელი უნდა იყოს[37], თანაც იეარაუდება, რომ ის ადგილობრივ სახელოსნოში მუშაობდა.

არქეოლოგიური მასალა საფუძველს გვაძლევს ასეთ სახელოსნოთა არსებობა გაცილებით უფრო ადრეც ვივარაუდოთ. პროფ. მ. მაქსიმოვა მისის მრავალწახნაგა საბეჭდავთა განხილვისას აღნიშნავდა. რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში ბეჭდების (საბეჭდავი ბეჭდების ან სატეფრაკეების) მოთხოვნილებამ დაბადა ადგილობრივი წარმოება მინის მრავალწახნაგა საბეჭდავთა ჩამოსასხმელად, რომლებიც აქ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ქვის ბეჭდები, რომლებიც ჩამოსასხმელ ორიგინალების წარმოადგენდნენ ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიაში მცირე ანიიდან შემოჰქონდათ, რაც თავის მხრივ მუდმივ საეპრო კავშირის არსებობას გვიჩვენებს ამ ქვეყანათა შორის ძვ. წ. V—IV საუკუნეებიდან. ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჩანს საქართველოსა და მცირეაზიულ ადგილობრივ კერას შორის. მცირე აზიასთან ვაჭრობა-გაცვლა-გამოცვლის გზით საქართველოში შემოდიოდა კულტურული და მხატვრული სიი უფრო შორეული ოლქებიდან, სახელდობრ საბერძნეთიდან. საგარეო გავლენის ასიმილაცია ხელს უწყობდა საკუთარი ნივთიერი და სულიერი კულტურის ზრდას ძველ საქართველოში[38]. თავის ერთ-ერთ ანგარიშში პროფ. მ. მაქსიმოვა აღიარებდა გლიპტიკური მასალის დიდ მნიშვნელობას მცხეთის ისტორიისათვის ძვ. წ. V—IV საუკუნიდან, ვიდრე სასანიდების ეპოქამდე[39] და ამასთანავე მიუთითებდა უეჭვო კავშირს მცირე აზიის ადრეელინისტური ხანის ცენტრებთან[40]. უფრო გვიან მ. მაქსიმოვამ გამოყო გემების ერთი ჯგუფი, რომელიც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება და ამის გამო უდიდესი მეცნიერული ინტერესის მქონეა[41].

როგორც ირკვევა, ადგილობრივი ხელოსნები მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების ჩამოსხმასთან ერთად, მისდევდნენ ინტალიოების ამოჭრასაც. მცხეთის მიმართ ამის თქმა შეიძლება სამთავროს სამაროვნის ელინისტური ინტალიოს აღმოჩენის მიხედვით. ამრიგად, ჩნდება საკმაო საფუძველი ვიფიქროთ, რომ მცხეთის (და საერთოდ ქართლის ქალაქების) მოსახლეობა იცნობდა და იყენებდა საბეჭდავებს მცხეთის გადედაქალაქების დროიდანვე და თანაც ისე ფართოდ, რომ მათი ადგილობრივად წარმოება საჭიროდ დაუნახავთ.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით გვიანანქამენიდური ხანის იბერიაში და საკუთრივ მცხეთაში ადგილობრივ სახელოსნოთა არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ. ე. ი. მცხეთის დედაქალაქობის ხანის მთელ სიგრძეზე გლიპტიკური სახელოსნოებისა და მაშასადამე, ხელოსნების არსებობა არქეოლოგიური მასალებით საკმაოდ დამაჯერებლად დასტურდება; შესაბამისად ჩნდება საფუძველი მცხეთელ ოქრომჭედელთა შორის ვივარაუდოთ გარკვეული წრე ხელოსნებისა, დასპეციალებული ძვირფას ან ნახევრად ძვირფას თვლებზე გამოსახულებებისა და წარწერების ამოკვეთაში. ოქრომჭედლობის დაწინაურება და, შესაბამისად, ოქრომჭედელთა ფენის გაძლიერება ქართლის სამეფოში იმის მომასწავებელია, რომ ქალაქი ცხოვრება ელინისტური ხანის შესაფერ დონეზეა ასული. ამ მხრივ ქართლი და ეგრისი ადრედაწინაურებულ ქვეყანათა გვერდით დგანან. სამეფო კარის და წარჩინებული არისტოკრატიის მოთხოვნა, როგორც ვნახეთ შემოზიდული ნივთებით კმაყოფილდებოდა მხოლოდ ნაწილობრივ. ეს მოითხოვდა ოქრომჭედელთა სახელოსნოების გაფართოებას და ხელოსანთა ამ

---

36 ი ქ ვ ე, გვ. 226.

37 მ ც ხ ე თ ა I, გვ. 48—49, სურ. 24.

38 М. И. М а к с и м о в а, Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии. ენიმკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 92.

39 М. И. М а к с и м о в а, Отчет о работе над геммами из раскопок Мцхета-Самтавро, გამოქვეყნებულია: ივ. ჯავახიშვილის ქართული ერის ისტორიის I წიგნში, თბ., 1951, გვ. 460.

40 ი ქ ვ ე, გვ. 461.

41 ი ქ ვ ე, გვ. 462.

ფენის გამრავალრიცხოვნებასაც. ე. ი. ოქრომჭედლურ ნაწარმზე არსებული მოთხოვნილება ბიძგს აძლევდა მხატვრული ხელოსნობის ამ დარგის დაწინაურებას. ანალოგიურ ვითარებას ვარაუდობს სომხეთისათვის პროფ. ს. ერემიანი, როდესაც წერს, რომ: «В этом отношении очень показателен инвентарь, найденный в саркофагах грузинских питнахшов в Армази-Мцхета. Несомненно, если бы были найдены гробницы армянской знати эллинистического времени, мы обнаружили бы вещи не менее богатые и художественные»[47].

როგორც ვნახეთ, ოქრომჭედლები დედაქალაქობის ხანის მცხეთაში ხელოსანთა თვალსაჩინო ფენასაც წარმოადგენენ და, თანაც, შესამჩნევად დიფერენცირებულნი ჩანან.

მცხეთელ ხელოსანთა მრავალფეროვან წრეში ჩვენ გვინდა გამოვყოთ „რკინის კაცები" — სარკინელნი ან სარკინე უბნის სახელოსნოებში მომუშავენი.

სარკინე უბნის დახასიათებისას გამოჩნდა, რომ ჯერჯერობით რკინის თუ საერთოდ ლითონის საწარმოთა ნაშთები სრულად არ არის გამოვლენილი, ამიტომ საწარმოო პროცესის დაწვრილებით დახასიათებისაგან თავი უნდა შევიკავოთ, მაგრამ ის რაც აღმოჩენილია და შემონახული ლითონის დამშუშავებელთა შესახებ ერთგვარ წარმოდგენას მაინც იძლევა.

საჭიროა სარკინე უბნის ერთი თავისებურება წინასწარვე გავითვალისწინოთ. როგორც უკვე ითქვა, რკინის ქვა ადგილობრივ არ მოიპოვებოდა და ის, რამდენადაც ცნობილია, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირებიდან უნდა მოეზიდათ. უკვე აქ ჩანან ისინი, ვინც მადნის ძიებას, ამოღებას, შესაძლოა „გამდიდრებას" და, ცხადია, გადმოზიდვას ემსახურებოდა. არ უნდა იყოს საეჭვო მადნის (რკინის ქვის) ამოღებისა და გადმოზიდვის საქმეში მონის შრომის ფართო გამოყენება. ეს ისეთი სახეა რკინის გამოწურვასთან დაკავშირებული სამუშაოებისა, რომ მონურ შრომას შეიძლება ადვილად გაემართლებია ლითონის სახელოსნოთა მფლობელთათვის და უთუოდ უნდა აენაზღაურებია (არა ერთწილად) ამ მხრივ გაწეული ხარჯები. ამ წრის (მონების) შესახებ ჩვენ ქვემოთაც გვექნება საუბარი, ახლა კი შეიძლება ვივარაუდოთ სარკინე უბნის ხელოსანთა შორის რკინის ქვის მაძიებელნი და ამოღების რთულ სამუშაოთა ამსრულებელნი.

საკუთრივ სარკინე უბანზეც რთული პროცესები ივარაუდება, სახელოსნოებში საჭირო საწვავი მასალის (შეშის) მოჭრა და მოზიდვა; რკინის ქვის გადარჩევა, დამტვრევა, ღუმელში ჩაწყობა; რკინის გამოწურვა; სახელადე რკინის შემზადება და შემდეგ, ამ ნედლი მასალიდან სასურველი მოყვანილობის ნივთებისა თუ იარაღ-საჭურველის გაკეთება-გამოჭედვა, სარკინელთაგან დიდ დასპეციალებას მოითხოვდა.

როგორც ითქვა, „სარკინე ქალაქს" უნდა მიეცა ძველი დედაქალაქისათვის იარაღ-საჭურველი; სარკინე უბნის ე. ი. რკინის საწარმოო უბნის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, როგორც ჩანს, ადრევე ყოფილა ცნობილი. ჩვენის აზრით, ამის მაჩვენებელი უნდა იყოს სარკინეს გამაგრება ისე, რომ ალექსანდრე მაკედონელის დროს, ლეონტი მროველის მიხედვით, ალყა შემორტყმულ სარკინეს ვერაფერი დააკლეს — „ვერა სადეთ განერა ერთიცა კაცი", მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე „სარკინეთსა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუჳ".

თვით ის ფაქტი, რომ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ალექსანდრე მაკედონელ სარკინე ქალაქის დაპყრობით დიდად დაინტერესებული ჩანს, ჩვენის აზრით, არ შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ „სარკინელთა ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფეს"[45]. უნდა ვიფიქროთ, რომ დამპყრობთათვის კარგად იყო ცნობილი ძველი დედაქალაქის რკინის საწარმოო უბნის მნიშვნელობა მცხეთის სიძლიერის ეკონომიური და საწარმოო საფუძვლისათვის.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სარკინე უბნის ასეთი მნიშვნელობა განაპირობებდა „რკინის კაცთა" თვალსაჩინო როლს მცხეთის დედაქალაქობის ხანის ხელოსანთა შორის. უძველესი ტრადიციაც ხომ კარგად გვიხატავს მნიშვნელობას რკინისა და რვალის მშედლებისას.

ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ სარკინე უბნის გათხრის ახლანდელი დონე არ გვაძლევს ამ რაიონისა და აქაური სახელოსნოთა ამომწურავად წარ-

---

[42] С. Т. Еремян, Развитие городов в древней Армении, ВДИ, 3, 1953, გვ. 29.

[43] ქართლის ცხოვრება I, 1955, გვ. 17.

[44] ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 12.

[45] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 18.

მოდგენის საშუალებას. ამიტომაა, რომ თავს ეიკავებთ ხელოსანთა ვიწრო სპეციალობების მითითებისაგან, თუმცა ის, რაც გათხრილია, იძლევა საამისო ნიშნებს. მაგ., შეიძლება ვარაუდი მცირე ზომის მრგვალ სკულპტურულ გამოსახულებების ჩამომსხმელთა მუშაობის, იშვიათი ლითონების (ტყვიის) გამომდნობელთა და სხვათა შესახებ. ერთის სიტყვით, ირკვევა, რომ სარკინე უბანი დედაქალაქს (და არა მარტო დედაქალაქს) რკინის ნაწარმითაც ამარაგებდა, გამირების ჩასამაგრებელი ტყვიითაც და შესაძლოა მცირე ხელოვნების ნიმუშებითაც.

სარკინე უბნის საწარმოთა გათხრილი ნაწილის ხასიათი მიუთითებს, რომ შეუძლებელია აქ რკინის იარაღ-საჭურველი და საერთოდ ლითონის ნაწარმი მხოლოდ მცხეთისთვის ეკეთებიათ. დედაქალაქობის ხანის მრავალი სახელოსნო „გრძელ მინდორზე" და სავანეს მხარეს ლითონის ნაწარმის სასაქონლო ხასიათის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. აქ თითქოს ხორცს ისხამს ის, რაც „დაბადების" პირველ წიგნშია ნათქვამი თაბალების მჭედლობასთან დაკავშირებით. მითითებული ადგილის ავტორი დარწმუნებული ჩანს იმაში, რომ მჭედლობა თაბალის ხელობაა, მისი გამოგონილიცაა. ლითონის ნაწარმის სასაქონლო ხასიათი ჩანს ეზეკიელის ტვიროსის გოდებაშიაც. „იავანი, თობალი და მოსოს — ამბობს ეზეკიელი, — ვაჭრობდნენ შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა". ამ ცნობაში კარგად ჩანს, რომ კვერით ხუროობა საკუთარი მოთხოვნილების გარდა სავაჭრო საგნებსაც იძლეოდა. ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი, რომ „ამ ქართველ ტომებს მარტო თავიანთთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ჭურჭელი და იარაღი, ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც კი მიჰქონდათ ხოლმე გასასყიდად, როგორიც იყო ტვიროსი"[46], ე. ი. რკინის წარმოების სასაქონლო ხასიათი მკაფიოდ ჩანს და თანაც ისიც ირკვევა, რომ ლითონის ნაწარმი „კაცთა სულებზე" (მონებზე) იცვლებოდა წარმატებით[47].

ასეთი ტრადიცია, სარკინე უბნის სახელოსნოთა სასაქონლო წარმოების ხასიათი უთუოდ განსაზღვრავდნენ ამ უბნის ხელოსანთა (კვერით ხუროთა) როლს ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ წრეში, მცხეთელ ხელოსანთა შორის.

[46] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1928, გვ. 20.

მცხეთის დედაქალაქობის ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლების განხილვისას უკვე იყო მითითებული, რომ საკმაოდ დახელოვნებულ „წამწერელთა" არსებობა ძველ დედაქალაქში აშკარაა. ამასთან ისიც შეინიშნა, რომ ხშირად შეიმჩნევა სირთულე „წამწერელთა" ნახელავში: იგრძნობა სიძნელე „სხვათა ენაზე" წარწერის ამოკვეთისას. ამის მაგალითები მოტანილია საგანგებო თავში; რომელიც ეპიგრაფიკულ ძეგლებს და მათს მნიშვნელობას წარმოადგენს, საკმაოდ დაწვრილებით, ამიტომ ამჯერად ჩვენ იმით დავკმაყოფილდებით, რომ წამწერელთა არსებობას აღვნიშნავთ დედაქალაქობის ხანის მცხეთელ ხელოსანთა შორის.

წამწერელთა შორის შეიძლება რამდენიმე ჯგუფი გავარჩიოთ. ყველაზე თვალსაჩინო ხელოსნებს სახელმწიფო მნიშვნელობის წარწერათა ამომკვეთელნი წარმოადგენდნენ. ასეთები უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვინც, მაგალითად, ბილინგვა ან ერთენოვანი ტექსტი ამოკვეთა არმაზისხევთან აღმოჩენილ სტელებზე, ან კიდევ მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის წარწერა ამოჭრა და ა. შ. თავისებური „წამწერელია" ქვისმომჭრელიც — ძვირფას ან ნახევრად ძვირფას თვლებზე წარწერის ამომკვეთელიც; წამწერელთა წრეს შეიძლება პირობით მივაკუთვნო მეკრამიტეთა და ქვისმთლელთა ის ნაწილი, რომელიც თავისებურ ნიშანს, ხშირად სხვადასხვა ასოსებრ მიყვანილს, ამოჭრის ქვაზე ან ამოფხაჭნის კრამიტზე და უფრო იშვიათად, გამართულ წარწერას გამოიყვანს ვერცხლის ჭურჭელზე (ეს უკანასკნელი დედაქალაქობის ხანაში საერთოდ გავრცელებული ჩანს).

ახ. წ. პირველი საუკუნიდან მცხეთაში ვრცელდება მინის ჭურჭელი. პირველ ხანებში მინის ნაწარმი უეჭველად შემოტანილია, მაგრამ შემდეგში არ შეიძლება ადგილობრივი ნახელავები გამოირიცხოს. შესაძლოა, ადგილობრივ მზადდებოდა მინის ნაწარმი შემოტანილი ნიმუშების მიხედვით. ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა სამთავროს ᲐᲐ-ე სამარხში აღმოჩენილი, თითქოს წუნდებული სანელსაცხებლე და ურმნისის ექსპედიციის მიერ 1954 წელს აღმოჩენილი, გვიანანტიკური ხანის მინის ზოდები, რაც მინის ლღობასა და სასურველი მოყვანილობის ჭურჭლის ადგილობრივ დამზადე-

[47] Е. И. Крупнов, Древняя история Кабарды. Учёные записки Кабардинского научно-исследовательского Института, VIII, Нальчик, 1952, зз. 23.

ბაზე უნდა მიუთითებდეს[48]. ამ მხრივ, უფრო მნიშვნელოვანი ჩანს ზემოთ განხილული მინის მრავალწახნაგა საბეჭდავთა ადგილობრივ ჩამოსხმის მაჩვენებელი მასალები, იმის გამო, რომ ისინი უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავენ. მინის მრავალწახნაგა საბეჭდავთა ჩამომსხმელნი და იქნებ მინის ჭურჭელთა მკეთებელნიც, მცხეთის დედაქალაქობის ხანის ხელოსანთა შორის უნდა ვივარაუდოთ. თანაც, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველნი, საერთოდ ჭიქის მოქმედნი, კერძოთ კი — მინის მრავალწახნაგა საბეჭდავთა ჩამომსხმელნი დედაქალაქობის ხანის პირველ საფეხურზე (ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნამდე) მოღვაწეობდნენ, მეორენი კი — (მინისჭურჭლის მბერავნი ან ჩამომსხმელნი) უფრო დედაქალაქობის ხანის უკანასკნელ ეტაპზე.

ჭიქის მოქმედებაც ერთ-ერთ უმძიმეს სამუშაოს წარმოადგენდა და, შესაძლოა, აქაც გამოიყენებოდა მონების შრომა. ამ სამუშაოთა სიმძიმის წარმოსადგენად იკმარებდა ერთი, ცოტა გვიანდელი, მონათხრობი შეგვეხსენებია: „მე ჭიქის მოქმედი ვიყავ და მჭურვალებისა მისგან ცეცხლისა დავბრმი“[49].

განვითარებული საამშენებლო საქმიანობა, ბუნებრივია, ხით ხუროობის დაწინაურებასაც გვაგულისხმებინებს. სასახლეები, ტაძრები, აბანოები, ციხე-კოშკები, აკლდამები და ა. შ. ხით ხუროთა მონაწილეობის გარეშე ვერ აშენდებოდა. ხით ხუროთა ერთი ნაწილი ხიდების მშენებლობაზე უნდა ყოფილიყო დახელოვნებული. ამას გვაფიქრებინებს მცხეთაში ხიდების არსებობა თავისთავად და, შემდეგ, ისიც, რომ არტოკე ჰპირდებოდა პომპეუსს ხიდის აღდგენას კიროსზე (მტკვარზე) გადასასვლელად. ეს სამუშაო იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ დაზავების პირობაში შეტანის ღირსი გამხდარა. როგორც დიონი მოგვითხრობს არტოკემ პომპეუსს კაცები მიუგზავნა და ზავსა სთხოვდა, თან ხიდსა და პროვიანტს ჰპირდებოდა. ჩვენ არ ვიცით ახლდა თუ არა პომპეუსს იბერიაშიც ხიდების მკეთებელნი, მაგრამ არტოკეს, რომ ასეთი ხელოსნები — ხიდის გამდებნი — მცხეთაში ჰყოლია, აშკარა უნდა იყოს. ჰყოლია ამ საქმის მცოდნენი ვახტანგ გორგასალსაც. ვახტანგის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ვახტანგთან საბრძოლველად სპარსელების ქართლს მოსელასთან დაკავშირებით „ვახტანგ გაფაფართა კიდი მოგუეთისა ვითარ სამოცი მხარი ქცევისათვის მას ზედა სპასათა“[50]. ხიდის გადების საგანგებო ცოდნა, რომ იყო საჭირო ეს კარგად ჩანს გვიანდელი ცნობითაც; როგორც ჩანს, ბაგრატ მეფეს თავის ლაშქარში ამ საქმის მცოდნე ხელოსნები არ ჰყოლია, რის გამოც თბილისი რომ დაიპყრო ისანს ვერ გავიდა: „ისნელთა ჩაადეს კიდი და არა მისცნეს ისანი“.

ხის დამუშავების ცალკე დარგს შეადგენდა ავეჯის, კერძოთ კი, სამეფო ტახტ-საყარძლების, მაგიდების, მიცვალებულის დასასვენებელი სარეცლებისა და სხვ. დამზადება. ბრწყინვალედ მოჩუქურთმებული ტახტ-საყარძელთა თუ სარეცლის ფეხების განხილვამ დაგვარწმუნა ამ მხრივ მომუშავე ხით ხუროთა დიდ დახელოვნებაში და თანაც ხელოსანთა ამ წრეში შრომის თავისებური დანაწილება თუ უადრესად დასპეციალება გამოიამეღავნა. ჩვენ არ ვიცით მასობრივი მოხმარების ავეჯის დამზადება წარმოებდა თუ არა, მაგრამ მსატვრული ავეჯი რომ უკეთებიათ ეს აშკარაა. ეს დარგი სამეფო კარს და მის გარშემო მყოფ არისტოკრატიას ემსახურებოდა. ასეთი სურათია სხვაგანაც. სომხური ქალაქების მაგალითზე ს. ერემიანმა გვიჩვენა, რომ დურგალი ქვით სუროსთან ერთად საქალაქო ცხოვრებაში ძალიან საჭირო ხელოსანი იყო. ს. ერემიანმა ეს მოსაზრება წერილობით ცნობათა საფუძველზე გამოთქვა, მცხეთაში კი სათანადო ნივთიერი ძეგლებიცაა მოპოვებული[51].

ყველაფერი ეს მიგვითითებს, რომ ქართლის ქალაქებში, კერძოდ მცხეთაში ხელოსანთა შორის ხეზე მხატვრულად მკვეთელთ თუ საერთოდ ხით ხუროებს აგრეთვე საპატიო დამოკიდებულებით შეეძლოთ ესარგებლათ.

მცხეთელ ხელოსანთა შორის, როგორც ჩანს, გამოირჩეოდნენ ისინიც, რომლებიც, როგორც ჩანს, ჯერ ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერთა, ხოლო გვიან ავგუსტეს დენარე-

---

48 გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის..., გვ. 352.

49 იოანე მოსხი, ლიმონარი, ილია აბულაძის გამოცემა, თბ., 1960, გვ. 37.

50 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 180.

51 С. Т. Еремян, Развитие городов в древней Армении, ВДИ, 3, 1953, გვ. 29.

52 გ. გოგეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952, გვ. 108.

ბისა და გოტარზეის დოქმების მინაბაძებს ჭრიდნენ დიდი რაოდენობით[52-57].

ინტენსიურმა სასაქონლო წარმოებამ საეჭვო ურთიერთობის ფართოდ გაშლას შეუწყო ხელი, ხოლო ამ უკანასკნელმა თავის მხრივ ქვეყანა ადგილობრივი მონეტის მოჭრის აუცილებლობის წინაშე დააყენა. რა თქმა უნდა, ადგილობრივ მონეტებს ღირებულებას სულაც არ უკარგავს ის გარემოება, რომ ისინი მოჭრილია იმ ხანად ფართოდ გავრცელებულ მონეტათა მიხედვით.

უკვე არა ერთხელ იყო აღნიშნული მონეტათა ნამზადების აღმოჩენის მნიშვნელობა. ეს არის ასე ვთქვათ ანტიკური ხანის „ზარაფხანის" არსებობის ერთ-ერთი საიმედო მაჩვენებელი. ამრიგად, ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ მცხეთელ ხელოსანთა შორის ანტიკური ხანის „მეზარაფხანეობაც" — „ზარაფხანის რიგის" ოსტატები, თუ მონეტების მომჭრელნიც ვივარაუდოთ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელოსნური წარმოების სხვა არა ერთი დარგის წარმომადგენლები აკეთებდნენ მცხეთელ ხელოსანთა ფენას დედაქალაქობის ხანაში, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ თავს ვიკავებთ მათი დასახელებისაგან, რადგან ჩვენს განკარგულებაში ძალიან მცირე არქეოლოგიური მასალაა მათი საქმიანობისა და ცხოვრების წარმოსადგენად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქობის ხანის მცხეთელ ხელოსანთა ფენას უმთავრესად შეადგენდნენ: მეთუნეები (მეკრამიტეები, მეაგურენი, მეშურეელნი, წყალსადენის მილების მკეთებელნი), ქვითხურონი, კვერით ხურონი (რკინის მქედელნი ფართო გაგებით), ოქრომჭედელნი, ხით ხურონი, ჭიქის მოქმედნი, წამწერელნი, ქვისმკვეთელნი, მონეტათა მომჭრელნი (ზარაფხანის მუშაკნი) და სხვა.

უკვე ზემოთ ჩამოთვლილიც კარგად მიუთითებს დედაქალაქობის ხანის მცხეთის მოსახლეობის ერთ-ერთი დიდად მნიშვნელოვანი ფენის — ხელოსანთა როლს იმდროინდელ საქალაქო ცხოვრებაში. ჩანს, ანტიკური ქართლის ქალაქი სახელოსნო ცენტრია; დედაქალაქი — მით უფრო.

მცხეთის მშვიდობიან მოქალაქეთა შორის კარგად გამოკვეთილი ჩანს ვაჭართა წრე. ამ წრის თანდათან ჩამოკვეთას, ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მსხვილი მეურნეობისა და სახელოსნოთა შექმნამ, რადგან ამ გზით მიღებული პროდუქცია და ნაწარმი, როგორც მეურნეობას, ისე სახელოსნოს ბაზართან აკავშირებდა. პირველ ხანებში ქართლის ქალაქებშიაც ბაზარზე გამოსულ პირთა უდიდეს უმრავლესობისათვის ბაზისს მაინც საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეადგენს; ამიტომ მცირეა ადგილობრივ მკვიდრთა ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ვაჭრობას მისდევს. ელინისტურ ხანაში, განსაკუთრებით კი რომაელებთან ურთიერთობის ფართოდ გაშლის დროიდან, ვითარება იცვლება და პროფესიონალი ვაჭრებიც უნდა გაჩენილიყვნენ.

ვაჭრობის განვითარების მომასწავებელია პირველ ყოვლისა უცხოური მონეტების გავრცელება მცხეთაში. უნდა ვიფიქროთ დიდი რაოდენობის რომაული და პართული ფულები მსხვილ მეურნეობათა და სახელოსნოთა ნაწარმშია დახარჯული, ე. ი. გვაქვს ამ რიგის მითითებანიც მცხეთაში სასაქონლო წარმოების თანდათანობით გაფართოების შესახებ. დაახლოებით ასეთივე უნდა ყოფილიყო ვითარდება წელთაღრიცხვათა მიჯნამდე, როგორც ამას ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ან მათი მინაბაძების აღმოჩენები გვიჩვენებენ; „მაღალი ღირსების უამრავი ჭურველი და სამკაული, ისევე როგორც ქვისსამარხები და მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლები უმთავრესად ნაყოფია უაღრესად დანაწევრებული ხელოსნური შრომისა, რომელსაც კლასობრივი საზოგადოების შესაფერისად გარდაქმნილი ძველი ქართული ტრადიციები ასაზრდოებდა"[58].

ვაჭართა წრეს გარეშე სამყაროდანაც ბევრი რამ უნდა შემოეზიდა. ზოვი რამ ამ მხრივ დედაქალაქობის წინა ხანაშიაც შეიმჩნეოდა[59], ხოლო შემ-

---

[52] Д. Г. Капанадзе, Монетные находки Мцхетской экспедиции, ВДИ, № 1.

[54] გ. ლომთათიძე, იქვე, გვ. 356.

[55] ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა..., გვ. 43.

[56] მცხეთა I, გვ. 206.

[57] შ. მესხია, ქარგლობის ინსტიტუტის საკითხისათვის გვიან ფეოდალური ხანის ქართულ ამქარში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, № 6. თბ., 1948, გვ. 380.

[58] მცხეთა I, გვ. 206.

[59] Г. Г. Леммлейн, Каменные бусы Самтаврского некрополя. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 184.

ტეგ სულ უფრო და უფრო გაფართოებული ჩანს. როდესაც ელიპტიკურ ძეგლთა ერთი ჯგუფის — მინის მრავალწახნაგა საბეჭდავთა წარმოშობის საკითხს შევეხეთ, შევეჩერდით გვიანანქამენიდური ხანის წინააზიასთან ქართლის ურთიერთობის შესახებ. ცხადია, ახალი და თანაც ძლიერი ტალღა მოყვა რომაელებთან და პართელებთან ურთიერთობის გაშლას პომპეუსის დროიდან. ახ. წ. პირველ საუკუნეებში მცხეთის საგარეო სავაჭრო ურთიერთობა კულმინაციურ წერტილს აღწევს. ამ დროს შემოდის აქ ოქრომჭედლობის და ტორევტიკის მრავალი ძეგლი, რამაც ნაწილობრივ მაინც იჩინა თავი მცხეთელ წარჩინებულთა სამარხებში. ამ რიგის ნივთებად გარკვეული პირობით მიჩნეულია: მცხეთის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ ელიპტიკურ გამოსახულებათა ერთი ჯგუფი (მენადა, აქტეონი, ზევსი თუ პოსეიდონი, ანტინოე, შეიძლება ათინა პალადა, ესკულაპი); ვერცხლის პინაკები, რომლებშიც ჰორელიეფური გამოსახულებაა ჩაკრული, საღვინე სერები ვერცხლისა, ვერცხლის პატერა; ოქროს სამაჯურები, ყელსაკიდები, ერთი ნაწილი ბეჭდებისა და საყურეებისა, მინის ჭურჭელი, ფეხსაცმლის ლანჩების ნარჩენები; მიცვალებულის საშუბლე გვირგვინის ოქროს ფურცლები (ხორი) და მრავალი სხვა წვრილმანი.

ამ რიგის ნივთთა ერთი ნაწილი როგორც ითქვა, შესაძლოა გარკვეული დიპლომატიური არხებით იყოს მცხეთაში შემოსული (მაგ. არმაზისხევის მეორე სამარხის ვერცხლის პინაკი, ან ბაგინეთის სარკოფაგის ვერცხლის პინაკი, რომელშიაც თითქოს სეპტიმეს სეველუსის ოქროფერილი გამოსახულებაა ჩაკრული); ზოგი შეიძლება ადგილობრივ სახელოსნოში იყოს დამზადებული, ანტიკურ სამყაროში გავრცელებულ სიუჟეტთა მიხედვით (მაგ., მეორე სამარხის ოქროს სამაჯური, რომლის თვალზე ათინა პალადა არის ამოკვეთილი, ან მეექვსე სამარხის ვერცხლის პინაკი ფორტუნას გამოსახულებითურთ; ან კიდევ ვერცხლის პატერა და ა. შ.) მაგრამ უმეტესი ნაწილი, რომ სავაჭრო ურთიერთობის ნაყოფია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. უკანასკნელ ჯგუფს უყოყმანოდ მიეკუთვნება: 1872 წელს მცხეთაში (სამთავროში) ნაპოვნი ცილინდრული ჭურჭელი, რომელზედაც ლათინური წარწერაა გამოყვანილი: „კალპურნინის სახელოსნოდან“; იტალიკური წარმოშობის ბრინჯაოს სერები ნიჩბისისა და მცხეთისა; მინის ნაწარმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელთაგან ერთ ჯგუფს ცნობილი ანტიკური ცენტრების დამღებიც კი აქვს და მრავალი სხვა.

როგორც აღინიშნა, სავაჭრო ურთიერთობის უტყუარი და, შეიძლება ითქვას, პირდაპირი მაჩვენებელი მცხეთაში აღმოჩენილი მონეტებია. აღმოჩენილ სამასიოდე მონეტაში ორი უმთავრესი ჯგუფი გამოირჩევა. ესენია: ა) რომაული — აურეუსები და დენარები და ბ) პართული დრაქმები. მონეტების გავრცელების ქრონოლოგიური სურათი ასეთია: მცირე რაოდენობით გვხვდება მონეტები, რომელთაც ძვ წ. V—II საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ასეთებია, მაგ., კოლხური თეთრი, ამისოს მონეტა და ალექსანდრე მაკედონელის სტატერი. შეიძლება ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის ბოლოს მიეკუთვნოს ე. წ. მინაბაძები, რომელთაკ ერთ დროს „კოლხურ ოქროს“ მონეტებად მიიჩნევდნენ, ხოლო უკანასკნელად შესაძლებლად თვლიან ეს მინაბაძები იბერულ ფულად ჩათვალონ (გ. გობეჯიშვილი, დ. კაპანაძე).

ძვ. წ. II—I საუკუნეების მიჯნა ითვლება იბერიაში ფულადი ურთიერთობის ფართოდ გაშლის პერიოდად[90]. ამდროიდან იბერიაში უცხოური ფულის შემოსვლა განუწყვეტლივ იზრდება და ახ. წ. I საუკუნიდან III საუკუნის დასასრულამდე რომაელ იმპერატორთა მონეტების მოზღვავება არ წყდება.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ მონეტები საერთოდ მდიდრულ სამარხებშია აღმოჩენილი. გამონაკლისის გარეშე ასეა აურეუსები მაინც. ეს გარემოება იმას უნდა მოწმობდეს, რომ ამ სოციალური ფენის წარმომადგენელთა ხელშია დაგროვილი სიმდიდრე და ყველაზე მეტად ისაა საფიქრებელი, რომ მათვე ემორჩილება სამეფოში ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლის საქმე. ეს კი თავის მხრივ იმის მაჩვენებელია, რომ წარჩინებულთა წრე ფლობს მსხვილ მეურნეობებსაცა და ქალაქის მნიშვნელოვან სახელოსნოებსაც. პირველ რიგში მსხვილი მეურნეობანი და სახელოსნოები ალბათ სამეფო დინასტიის კუთვნილებას წარმოადგენდნენ. ამ მხრივ ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელობისა გვეჩვენება მსხვილი კერამიკული საწარმოს არსებობა შიდაციხესთან, თითქოს უშუალოდ ბაგინეთის კლდეკართან. როგორც გათხრებისას გაირკვა ამ სახელოსნოს დიდი ფართობი ჰქონდა და-

[90] Д. Г. Капанадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

კავებული; ამ რიგისა ჩანს, სარკინე უბანზე გათხრილი რკინის საწური სახელოსნოები და სხვ.

საგარეო ვაჭრობისა და უცხო ქვეყნებთან ინტენსიური ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მცხეთაში ერთი მხრივ, გვაქვს მრავალრიცხოვანი რომაული აურეუსები და დენარები, მეორე მხრივ — პართული დრაქმები. ახლა თუ შევიხსენებთ იმასაც, რომ მცხეთის გათხრებისას ამ ორმხრივი ურთიერთობის შესაბამისი წარწერებია აღმოჩენილი (ბერძნული და არამეული), მაშინ უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგება ქართლის დედაქალაქის როლი საგარეო ხსპარეზზე. ასე ისახება ქართლის ანტიკური ხანის ქალაქი — სავაჭრო ცენტრი.

ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ვაჭართა წრეს უშუალოდ ქალაქის წარჩინებულები ქმნიდნენ; თუმცა, ამ ორი წრის საქმიანი სიახლოვე ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მცხეთელ მდაბიოს ალბათ სხვაგან ვასალი და გასამეტებელი ბევრი არაფერი არ აღმოაჩნდებოდა და ვაჭართა წრეს ფაქტიურად წარჩინებულთა-ქონებიერთა სავაჭრო მომსახურებით უნდა განესაზღვრა თავისი საქმიანობა. უკვე ეს გარემოება ქმნიდა ვაჭართა ფენისათვის უპირატეს მდგომარეობას. გზადაგზა უკვე კარგა ხანია ჩანს, მცხეთელ მოქალაქეთა ადრე დაწინაურებული ფენა. როგორც ვნახეთ, სამარხთა აღნაგობაც და სამარხეული ინვენტარიც ჩვენთვის საინტერესო ეპოქის მცხეთის მოსახლეობის აშკარა ქონებრივ სხვადასხვაობას გვისახავს. შეიძლება ითქვას, რომ არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა სამარხ ნაგებობებს, რომლებიც ტერიტორიალურადაც განცალკევებით დგანან, თითქოს არაფერი აქვთ საერთო იმ სამარხებთან, რომლებიც ასე მჭიდროდ არის მიჭრილი ერთიმეორეზე მცხეთელთა მასობრივ ნეკროპოლებზე. ამგვარი განცალკევების ტენდენცია კარგად ჩანს არმაზისხევთან, სადაც გამოიყოფა ერისთავთა სამარხების ბუდე; ბაგინეთზე — სადაც, როგორც ჩანს, სამეფო წრის წევრები იკრძალებოდნენ (შეადარე სამეფო თუ მეფის ასულის სამარხი-სარკოფაგის გათხრისას აღმოჩენილი ვერცხლის კოვზზე გამოყვანილი წარწერა); მცხეთის სადგურთან — სადაც გაბალავანშემორტყმული, ე. ი. ამ მხრივაც გამოყოფილი, დიდებული, მავზოლეუმის ტიპის აკლდამა მკაფიოდ გამოირჩევა მის ქვემოთ აღმოჩენილ მასობრივ სამარხთაგან. ასევე მკაფიო სხვაობის სურათი ჩანს სამთავროს სამაროვანზე. იქ ყველაზე უფრო მდიდრული სამარხები, რომლებიც ნაგებობითაც და მით უფრო სამარხეული ინვენტარითაც აშკარად გამოირჩევიან, მასობრივი სასაფლაოდან გათიშული ჩანან და ერთიმეორისაგანაც საკმაოდ დაშორებული არიან.

ასე ისახება ძველი ქალაქის წარჩინებულთა ფენა. ამ ფენაში უნდა შევიდნენ სამეფო კარის წარმომადგენლები, ერისთავები (პიტიახშები), ეზოსმოძღვრები, მონათმფლობლები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები და შეიძლება მსხვილი ვაჭრებიც. სამარხეული ინვენტარის გაცნობა, როგორც ვნახეთ გვარწმუნებს იმაში, რომ მცხეთაში საშუალო შეძლების, მცირე შეძლებისა და სულაც უქონელი ფენებიც გამოირჩეოდა[61]. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მასობრივ ნეკროპოლთა სამარხებში თითო-ოროლა უმნიშვნელო ნივთი თუ აღმოჩნდება ხოლმე, ხოლო წარჩინებულთა სამარხებში ათობით, და თუ ოქროს წვრილ კილიტებს ან მოწკარუნე საკიდებსაც ჩავთვლით, ათასობით ოქრო-ვერცხლის ნივთს ეპოულობთ. ასეთი მკვეთრი ქონებრივი კონტრასტი მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია საერთოდ დიდი მცხეთის სამაროვანთათვის.

სამარხთა აღნაგობა-განლაგებისა და ინვენტარის მიხედვით მოხაზული სურათი უნდა მოასწავებდეს, რომ წარჩინებულ-მდიდართა წრე სიცოცხლეშიაც მკაფიოდ ყოფილა გამიჯნული სხვა მოქალაქეთაგან. წარჩინებულთა ფენა არა მარტო განკერძოებით სახლდება (სამეფო კარის წარმომადგენლები — შიდაციხეში; პიტიახშები — არმაზისხევთან და სხვ.), არამედ ცხოვრობს არქიტექტურული წესებით ნაშენ დიდებულ ნაგებობებში. ამ მხრივ დამახასიათებლად უნდა გამოდგეს: ა) არმაზისხევის „სასახლის ტიპის" ნაგებობა და ზოგი სხვა მდიდრული სახლეულის კვალი, შემონახული სვეტის თავებისა და სხვა ჩუქურთმოვანი დეტალების სახით; ბ) ბაგინეთის „სვეტებიანი დარბაზისა" და სხვა ნაგებობათა ნანგრევები; გ) შიდაციხისა და საპიტიახშო უბნის აბანოები; დ) სარკინეს მდიდრულად შემკულ ნაგებობათა კვალი, შემონახული იონური სტილის სვეტის თავისა და მრავალრიცხოვანი მცირე სვეტების ჩუქურთმოვანი დეტალების სახით და ა. შ. ამასთანავე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მრავალგზის შემოსევებს ძველი დედაქალაქის

---

61 ა. აფაქიძე, მცხეთა—ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 105—106.

სწორედ მდიდრულ ნაგებობათა და სასახლე-ტაძართა უდიდესი ნაწილი უნდა ეაენადგურებია.

მეორე მხრივ, სულაც არ უნდა იყოს მოულოდნელი თუ მცხეთელი ღარიბი მოქალაქეების საცხოვრებელთა (თიხით შელესილი ქოხებისა ან სულაც მიწურების) კვალი ჩვენს დრომდე არ შენახულა. უნდა ვიფიქროთ, რომ ღარიბ მოქალაქეებს არაა მოსალოდნელი უკეთ ეცხოვრათ, ვიდრე იყო „სახლი მცირე სამოთხისა მცველისა"[62].

პირდაპირი მითითება არა გვაქვს, მაგრამ უინვენტარო სამარხები ალბათ იმ ფენას უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც მრავალრიცხოვან მონებთან ერთად თითონ ქმნიდა მატერიალურ დოვლათს და ყველაფერს აკეთებდა გაბატონებულთათვის: აშენებდა გალავნებს, კოშკებს, სასახლეებს, აბანოებს, ბაზრებს, წყალსადენებს, აკლდამებს; თლიდა სარკოფაგებს და კედლის საპირანგე ქვათლილებს; წვავდა კირს; ჭრიდა ალიზს, აგურს, კრამიტსა და ფუღურებს; ასრულებდა ოქრომჭედლობასთან და ოქროსძიებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს; მუშაობდა რკინის ქვის საბადოებში და ეზიდებოდა მადანს სარკინე უბნამდე. სადაც წურავდა რკინას და ამზადებდა იარაღ-საჭურველსა თუ სხვა ნაწარმს[63]. ერთის სიტყვით, ეს არის სამარხები მდაბიო ხალხისა და თავისუფალი ხელოსნებისა, რომელიც ემსახურება სამეფო საგვარეულოს ყველაფრით, რაც კი აუცილებელია ცხოვრებისათვის[64]. თითონ კი ამ სოციალური ფენის წარმომადგენელთა უდიდეს ნაწილს, როგორც ჩანს, ამ ქვეყნად მწირი ცხოვრება, ხოლო სიკვდილის შემდეგ. უკეთეს შემთხვევაში, ღატაკური სამარხები ჰქონდათ განკუთვნილი.

ამ რიგს უნდა მიეკუთვნონ სამეფო კარისა და მეურნეობის მცველები. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სამეფო სამოთხეს „ჰქონია „კარი სამოთხისაჲ" და განსაკუთრებული მცველიც ჰყოლია, რომელსაც „სამოთხის მცველი" ეწოდებოდა. საცხოვრებლად მას იქვე კართან „სახლაკი მცირეჲ სდგომია"[65]. როგორც სხვა წყაროდანაც ჩანს „სამოთხის მცველს" შესაძლოა მ ე კ ა რ ე ს აც უწოდებდნენ. საამისო მითითებას გვაძლევს მაგალითად „ცხორებაჲ ტიმოთე ანტიოქელისაჲ", რომელშიც სამეფო ეზოთა მცველს „მეკარე" ეწოდება (შდრ.: „აწ უკუე იყავ ვითარცა ერთი მეკარეთაგანი, კეთილად-მცველ სამეუფოთა ეზოთაჲ")[66].

ზემოთ უკვე არა ერთგზის იყო მითითებული, რომ დიდი მცხეთის ტერიტორიაზე მონური შრომის მანიშნებელი არქეოლოგიური მასალები მრავლად არის აღმოჩენილი. სახელდობრ, აღინიშნა, რომ მონის შრომის გამოყენებისათვის კარგი შესაძლებლობა იყო: მევენახეობის (შესაძლოა სასეფო) მეურნეობებში, მსხვილ სახელოსნოებში (მეკრამიტეობა, მეაურეობა, მექვევრეობა და სხვ.); რკინის ქვის საბადოებში და რკინის საწურ და საქედ სახელოსნოებში; ქვისსაკაფ ახოებსა და ქვისსათლელებზე; საალიზე თიხის მოჭრის, მიზიდვისა და მოზელვის შრომატევად სამუშაოებზე; სარწყავი არხების გაჭრაზე და ყანების მორწყვაზე და ა. შ. IV და მომდევნო საუკუნეების გრანდიოზული საფორტიფიკაციო ნაგებობანი ბაგინეთის, სარკინეს, წიწამურის უბნებზე; მსხვილი სარწყავი მევენახეობის მეურნეობანი, მეკრამიტეობა და მექვევრეობა, ლითონის წარმოება და სხვ. უაღრესად შრომატევადი და წარმოების ორგანიზაციის თვალსაზრისით, კარგად აწყობილი სამეუშაოები ჩანან, რაც ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობას მიუთითებს. სხვაგვარად წარმოუდგენელია მონის შრომის ასე ფართოდ და მრავალმხრივი გამოყენება.

ამრიგად, მცხეთის დედაქალაქობის ხანის მოსახლეობის უკვე შესამჩნევად რთულ სოციალურ ფენებს მ ო ნ ე ბ ი ც უნდა შემატოს. ეს ფენა შესამჩნევად მრავალრიცხოვანი ნაწილი უნდა ყოფილიყო ქართლის ქალაქებისა და მისი სასოფლო უბნების მცხოვრებთა შორისაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ მონათა ფენაში სტრაბონის „ლაოი", ე. ი. „სამეფო მონებიც" შედიოდნენ და ნამდვილი მონებიც[67]. ს. ჯანაშია ვარაუდობდა, რომ ამ ფენის გაჩენის მთავარ წყაროს წარმოადგენდა უცხო თემების დაპყრობა და დაპყრობილთა ყმურ მდგომარეობაში ჩაყენება მეფის, როგორც სამხედრო ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლისა და დაპყრობილი მიწის ფონდის პატ-

---

62 ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა I, 1955, გვ. 93.

63 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

64 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107—108.

65 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 116.

66 ც ხ ო რ ე ბ ა ჲ ტ ი მ ო თ ე ა ნ ტ ი ო ქ ე ლ ი ს ა ჲ, ენიმკის მოამბე, VII, გვ. 105.

67 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხები. თბ., 1956, გვ. 155.

რონის მიმართ[68]. გ. მელიქიშვილის აზრით, შემდეგში, რა თქმა უნდა, ამ ფენის შევსება სხვა გზითაც შეიძლება მომხდარიყო, მაგ., დაპყრობილ-დალაშქრულ ადგილიდან აყრილი მოსახლეობის სამეფო მიწებზე დასმით და ა. შ.[69].

საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-განვითარებას. როგორც აღინიშნა, შედეგად მოყვა „მშვიდობიანი მოქალაქეების“ ან მოქალაქეთა ფენის წარმოქმნა. უკვე ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ ძლიერი მეომრული ჩვეულების მქონე აღმოსავლეთ მიწათმოქმედთა ფენა სოციალურად იშლება. ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ამ დიფერენციაციას შეესაბამება იარაღ-საბურველის გაქრობა დედაქალაქობის ხანის სამარხებიდან. ეს ვითარება სტრაბონთანაც საკმაოდ აისახა: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან ვანწყობილნი“[70]. სტრაბონის მისეული აღრინდელ მდგომარეობაში ჩანან მთაში მცხოვრებნი. იმათში მკაფიო სოციალური დიფერენციაციის ეს საფეხური არ შეიმჩნევა. ისინი მიწათმოქმედებასაც მისდევენ და მებრძოლი ბუნებისა არიან[71]. ამრიგად, სტრაბონის წყარო კარგად არჩევს ბარისა და, როგორც ჩანს, მთის ზოგიერთი ოლქის მოსახლეობას. სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ „მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწისმოქმედთა“[72], ჩვენის აზრით, უნდა გავიგოთ, როგორც გარკვეული შედეგი „მეომარ-მიწისმოქმედთა“ აღრინდელი ფენის დიფერენციაციის ხანგრძლივი პროცესისა. რა თქმა უნდა, ამ ცნობაში კარგად ჩანს, რომ სტრაბონი სხვადასხვა კატეგორიის შესახებ მსჯელობს, ე. ი. მას არა აქვს გაიგივებული მ ე ო მ ა რ ი და მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი. თუ ეს ასეა, მ ე ო მ ა რ თ ა გამოყოფის მითითება სტრაბონისაც გვქონია.

ამრიგად, აღრინდელმა მიწარმოქმედ-მეომართა ფენამ დაშლა რომ დაიწყო, მაშინ ხელოსანთა და მიწათმოქმედთა გარდა, ზოგი სხვა ფენაც უნდა წარმოქმნილიყო. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს უთუოდ მ ე ო მ რ ე ბ ი წარმოადგენდნენ. ამ შემთხვევაში მეომართა გარკვეულ მუდმივ ჯგუფთან — ე. ი. სამეფოს და დედაქალაქის დაცვისათვის საჭირო ძალასთან გვაქვს საქმე. ეს არაა სამეფოს მთელი შესაძლებლობა, რომელიც იქმნება ერთდროულად. სტრაბონის სიტყვით „რომ ვთქვათ „როდესაც ჩამოვარდება მღელვარება“.

მუდმივი რაზმების არსებობას გულისხმობს დიდი მცხეთის საფორტიკაციო ნაგებობანი. კვლავ უნდა შევიხსენოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ არტაგმა მომზადება ვერ მოასწრო, დ ი ო ნ ი ს ცნობით, ა კ რ ო პ ო ლ ი ს შ ი მცველი ჯარი იდგა. ბუნებრივია, ვიგულისხმოთ ასეთი რაზმები სხვა ციხე-სიმაგრეებშიაც. ჩვენ გვაქვს წერილობითი წყაროების მითითებანი „მონასპის“, ე. ი. მეფის საკუთარი გვარდიის შესახებაც. ეს ჯგუფი, ასე ვთქვათ, პროფესიული მეომრებისა გაჩენილია მ ე ო მ ა რ-მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ თ ა დაშლის გზით. რა თქმა უნდა, ეს არ არის ერთადერთი გზა. ქართული საისტორიო წყაროები იცნობენ დაქირავებულ ჯარსაც. ძვ. წ. IV—III საუკუნეებისათვის. ასევე. სტრაბონთან შემონახულია ცნობა სკვითებისა და სარმატების გადმოყვანის შესახებ და ა. შ., ერთის სიტყვით, სხვადასხვა რიგის წყაროები, ჩვენის აზრით, დამაჯერებლად წარმოგვიდგენენ მეომართა ახალი ფენის არსებობას მცხეთაში.

მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ფენისა წარჩინებულთა წრიდან არის მოსული და, ბუნებრივია, მას უპირატესი მდგომარეობა აქვს სპაშიაც. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკად. გ. წერეთელმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ არმაზის ორენოვან წარწერაში ეზოსმოძღვარი იოდმანგანი მრავალ გამარჯვებათა მომპოებელი ჩანს, ე. ი. მხედართმთავრობაც მიეწერება მას. ამ აზრს იზიარებს პროფ. კ. გრიგოლია. როდესაც ამტკიცებს, რომ „ანტიკური ხანის ქართლის სამეფო კარზე სპასპეტი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი ს სახელითაც ყოფილა ცნობილი. სპასპეტი ანუ მხედართმთავარი არის „მეფის წინაშე“: მას, ერთი მხრივ, ლაშქარი ემორჩილება, ხოლო, მეორე მხრივ, ის ერისთავთა უფროსად ჩანს („მთავრობით განაგებდის ერისთავთა ზედა“)[74]. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მხედართმთავრობა მეფეს არ ეკითხება. პირიქით, ცნობა იმის შესახებ, რომ „ი სპასპეტი იყო შ ე მ დ გ ო მ ა მ დ ე ვ ე წ ი ნ ა შ ე მ ე ფ ე ს ა, მთავრობით განაგებდის ერისთავთა ზედა“.

---

68 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები II, თბ., 1952, გვ. 166—167.

69 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

70 ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, XI, III, 3.

71 ს ტ რ ა ბ ო ნ ი, იქვე, XI, III, 3.

72 ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, XI, III, 6.

73 ს ტ რ ა ბ ო ნ ი, იქვე, XI, III, 3.

74 კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 18—19.

ჩვენის აზრით, მკაფიოდ მიუთითებს მეფის მდგომარეობასაც და უფლებასაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ისიც, რომ ომში დაღუპული ჩანს ბერსუმა პიტიახში; წარწერაა ცნობილი მეფის წულის ამაზასპის უცხო მხარეში დაღუპვის შესახებ და თანაც მითითებულია, რომ მას ახლდა ჯარი — ქვეითიც და მხედარიც, მოსული პართელებთან საბრძოლველად; არმაზის ერთენოვან წარწერაში პიტიახში შარაგასი მოგვითხრობს დიდ გამარჯვებათა შესახებ; ამ რიგში ჩანან იბერთა ჰეგემონები და სხვ.

ამრიგად, მ ე ო მ რ ო ბ ა და განსაკუთრებით კი მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ რ ო ბ ა წ ა რ ჩ ი ნ ებ ულ თ ა პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ი ს ს ა გ ნ ა დ ი ქ ც ე ვ ა. ამ ფენის მეთაურს, როგორც არმაზის წარწერებიდან ირკვევა სამეფო მეურნეობის გამგებლობაც შეიძლება ეკისრებოდეს, სამეფო გვარდიის მეთაურობაც და მხედართმთავრობა შორეულს ადგილებშიაც კი; ე. ი. „შესაძლოა ეჭიროთ როგორც სამხედრო, ისე საერო სახელმწიფო თანამდებობანი"[75].

ამრიგად, ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან მაინც მცხეთაში დადასტურებული ვითარების განხილვა წერილობით წყაროთა შუქზე საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა მ ო ხ ე ლ ე ო ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა დიდ როლს თამაშობდა ანტიკური ხანის ქალაქის და საერთოდ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში[76].

მიწათმოქმედთა დაშლის პროცესი, როგორც ჩანს, შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა რკინის დამუშავების შემდგომი გაუმჯობესება. ახალი იარაღის შეძენა ყველას არ შეეძლო, ხოლო ვინც ახერხებდა მას, ის კიდევ უფრო ავითარებდა თავის მეურნეობას. ძვირი იყო რკინის საომარი იარაღიც. ამასაც მდიდრები და წარჩინებულები თუ შეიძენდნენ. ამრიგად, მძაფრი ეკონომიური საფუძველი სულ უფრო და უფრო შლიდა ადრინდელ მიწათმოქმედ-მეომარს ახალ სოციალურ ძალებად[77], რომელთაგანც ერთ-ერთ დიდად მნიშვნელოვანს დედაქალაქობის მცხეთაში მ ე ო მ რ ე ბ ი წარმოადგენდნენ. როგორც ირკვევა, ეს ფ ე ნ ა ა რ ც წ ა რ მ ო შ ობ ით ი ყ ო ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი და ა რ ც ს ო ც ი ა ლ ურ ა დ.

ამრიგად, მცხეთასა და მის ძველ უბნებში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება საფუძველს ქმნის ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის მცხოვრებთა შორის ვივარაუდოთ სხვადასხვა სოციალური ფენები, რომლებიც წარმოადგენენ არსებითად ახალს, ქალაქის ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შექმნილ სოციალურ ჯგუფებს, გაერთიანებულს „მშვიდობიან მოქალაქეებად".

არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ამათ შორის გამოირჩევიან: ა) ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი, სახელდობრ: მ ე თ უ თ უ ნ ე ნ ი (მეჭურჭლენი, მექვევრენი, მეკრამიტენი, მეაგურენი), ქ ვ ი თ-ხ უ რ ო ნ ი, კ ვ ე რ ი თ-ხ უ რ ო ნ ი, ხ ი თ-ხ უ რ ო ნ ი, ო ქ რ ო მ ჭ ე დ ე ლ ნ ი, ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ი ს ო ს ტ ა ტ ნ ი, ჭ ი ქ ი ს მ ო ქ მ ე დ ნ ი, წ ა მ წ ერ ე ლ ნ ი, „რ კ ი ნ ი ს კ ა ც ე ბ ი" ანუ ს ა რ კ ი ნ ე ლ ნ ი, ხ ი დ ი ს გ ა მ დ ე ბ ნ ი, მ ე წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ე ნ ი და ა. შ.; ბ) ვ ა ჭ ა რ ნ ი; გ) ს ა მ ე ფ ო გ ვ ა რ ე უ ლ ო ბ ი ს წ ე ვ რ ე ბ ი და სხვა წ ა რ ჩ ი ნ ებ ულ ნ ი (მათ შორის: პიტიახშები, ეზოგასმოძღვრები, სამეფო კარისა და პიტიახშთა ოჯახის წევრები, მსხვილი მიწათმფლობელნი და მონათმფლობელნი და ა. შ.); დ) ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა მ ო ხ ე ლ ე ო ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა; ე) ქალაქის მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ ციხე-სიმაგრეთა მცველი რაზმები და უფრო მრავალრიცხოვანი მონები; ვ) მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებიათ ქალაქის ყველა უბანში, და, საერთოდ, ქალაქში, კ ულ ტ ი ს მ ს ა ხ ურ თ.

არქეოლოგიური მასალების გაცნობა საინტერესოდ აყენებს საკითხს ძველი დედაქალაქის მოსახლეობის ე თ ნ ი კ ურ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ობ ი ს შესახებაც. საამისო მითითებები, როგორც ცნობილია, დიდი ხანია დროდადრო იჩენს თავს ძველ დედაქალაქში. პირველი ცნობა უცხოელთა მცხეთაში გამოჩენის შესახებ დაცულია მცხეთის პირველ წარწერაში, რომელიც 1867 წელს აღმოჩნდა და რომელსაც ახ. წ. 75 წელს მიაკუთვნებენ. ახლა ჩვენი მიზნისათვის მნიშვნელოვანია იმის მითითება, რომ წარწერის მიხედვით ირკვევა რომაელთა განსაზღვრული მასის ყოფნა ძველ დედაქალაქში. უფრო გვიან დედაქალაქის ტერიტორიაზე ებრაული ეპიტაფიები აღმოჩნდა, ე. ი. უნდა ებრაელთა ეთნიკური ჯგუფის არსებობაც ვივარაუდოთ მითი-

---

75 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1949, გვ. 199.

76 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხები, გვ. 182.

77 შ. მ ე ს ხ ი ა, სიმონ ჯანაშია, თბ., 1950, გვ. 62.

თებულ აღმოჩენათა მიხედვით (შდრ. მცხეთის მეორე და მესამე წარწერა). ჯერ კიდევ 1884 წელს ლ. ხვოლსონი მცხეთის მეორე წარწერის გამოცემასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ მცხეთაში ძველად ცხოვრობდა ბევრი ებრაელი, რომელთაც „ეწესაკუთრებული კვარტალი ეჭირათ". როგორც წარწერიდან ირკვევა, ჩვენ საქმე გვაქვს არა ერთეულთან ებრაელთან, ამ შემთხვევაში იოსებ ბარ ჰაზანთან, არამედ შესაძლოა. საერთოდ, მის ოჯახთან. საინტერესო მითითებას გვაძლევს იოსებ ბარ ჰაზანის ძის შაღლეშის მოხსენიება მითითებულ [illegible]

1933 წლის საქართველოს ველზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, რომელიც მცხეთელთა [illegible] ხელოვნებისა და ხელოვნებისა და მისი შეფასების ეპიტაფიის წარმოადგენს. მიუთითებს ფარნაოზელთა [illegible] საკითხზე მიმართ [illegible] ჩვენ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მცხეთელთა [illegible] ასევე თავის თავსა და მის შეფასებაზე. როგორც ჩანს, ადგილობრივ მკვიდრთა მიიჩნევენ. ბერძენ ებრაელებს „სხვა ფარნაოზელებს" და გამოვლენილა, ე. ი. ფარნაო [illegible] ებრაელ [illegible] ამ წარწერიდან [illegible] ჩანს. ფარნაოზელთა მცხეთაში [illegible] ადგილობრივი ჩანს, რომ არსებულა საერთოდ არაქართველი მიკვლეულების [illegible] ადგილობრივთა სამარხებში. ეს კი [illegible] ფარნაოზელებს არ გულისხმობს; [illegible] ეთნიკურ [illegible] ან [illegible] [illegible] ან [illegible] [illegible] [illegible]

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, წერილობითი წყაროებიც გავითვალისწინოთ. როგორც ცნობილია. საკურადღებო მასალა დაცულია ქართულ საისტორიო წყაროებში. ოსების გადმოყვანა. თურქთა თუ ბუნთურქთა დამეგობრება და გაყვანა „ყოველთა ქალაქთა შინა“ (სპარსთა თავდასხმის დასახვედრად მზადებასთან დაკავშირებით „სადათაც ვინა მივიდის ძვრის-მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებულნი, გინა ხაზარეთით. ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათვს სპარსთა ზედა“; ქართლს მოადგნენ „იერუსალიმით ოტებულნი ურიანი“ და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა. უცხოური ფენა ჩანს მცხეთაში და საერთოდ ქართლის სამეფოში). ამრიგად, ძველი დედაქალაქის. მცხოვრებთა ეთნიკური სიჭრელე არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ახ. წ. დასაწყისისათვის, როდესაც იწყება იბერიის ხელახალი გაძლიერების პროცესი და იგი კვლავ ძლიერი პოლიტიკური ერთეული ხდება[82]. ქართული საისტორიო წყაროები, როგორც ვნახეთ. უკვე ძვ. წ. IV საუკუნეში გულისხმობენ მცხეთაში სხვადასხვა ტომთა წარმომადგენლებს. ამ ხანიდან იბერიის გაძლიერებას კიდევ უფრო უნდა გაემრავალრიცხოვნებია არაქართული ეთნიკური მასა სამეფოში და, შესაბამისად, მცხეთაშიაც.

უკანასკნელ ხანებში ამ საკითხს ვრცლად შეეხო გ. მელიქიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ „ძვ. წ. ა. III საუკუნე — უცილებლად ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერების ხანაა. როგორც ქართული, ისე ძველი ბერძნული წყაროები მოწმობენ. რომ ამ ხანაში სავარაუდებელია მცხეთის ხელისუფალთა ძალაუფლების ძალზე დიდ ტერიტორიაზე განვრცობა. სახელწოდება „იბერია“ ანტიკური ხანის წყაროებში თავიდანვე გზას იკვლევს, როგორც ერთი გარკვეული პოლიტიკური სახელწოდება, რომელიც ეთნიკურად ერთგვაროვან მოსახლეობას როდი გულისხმობს... იბერიის მთისა და ბარის მოსახლეობა ცხოვრების წესითაც და, როგორც ჩანს. ეთნიკურადაც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან“[83]. ამათ გარდა, გ. მელიქიშვილის მიხედვით, იბერთა მეფის ხელისუფლება ვრცელდებოდა სხვებზედაც: „წამყვანი აქ აღმოსავლურ-ქართული ელემენტი იყო, მაგრამ მის გარდა აქ ბევრი სხვა ტომიც შედიოდა — დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომები, სამხრეთის ცალკეული ურარტული და სკვითური-კიმერიული ტომები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის „სკვითური-სარმატული“ (ე. ი. ჩრდილო-კავკასიური და, შეიძლება, აგრეთვე ჩრდილო-ირანული) ტომები“[84].

ეთნიკური სიჭრელის შესახებ საუბარი ჩვენ სავსებით საფუძვლიანი გვეჩვენება. ოღონდ. შესაძლოა დამატებითი მასალა იყოს საჭირო საქართველოს მიწა-წყალზე გარეშე ტომების სიჭარბის დასადგენად. არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ვივარაუდოთ სკვითი მეომრების მხოლოდ ცალკეული ჯგუფების გამოჩენა ძვ. წ. VII—V საუკუნეებში და არა ტომებისა. რადგან ე. წ. სკვითური კომპლექსები საკმაოდ იშვიათად ჩნდება ადგილობრივი ზღვა მასალის გვერდით. შესაძლოა ეს გარკვეული პირობით გადმოყვანილი მეომრებია და ფარნავაზისა და ქუჯის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ადრინდელი ტრადიციის გაგრძელებადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

მცხეთაში მრავალ ენაზე საუბარი ეთნიკური სიჭრელის მომასწავებელი იყო. არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ, როგორც ვნახეთ. რომ მცხეთაში ჯერჯერობით მხოლოდ ბერძნული. ებრაული და არამეული წარწერებია აღმოჩენილი. „მეფეთა ცხოვრებაში“ დაცული მითითების მიხედვით „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა“[85]; ეს ცნობა, როგორც ჩანს, საიმედო წყაროდან მომდინარეობს; ყოველ შემთხვევაში. დედაქალაქის ტერიტორიაზე უკვე აღმოჩენილია ეპიგრაფიკული ძეგლები სამ ენაზე, იმ ხუთ არაქართულ ენათაგან. რომელიც „იზრახებოდა ქართლსა შინა“.

ცხადია. უცხოური დამწერლობა და ენა ქალაქის (და სამეფოს) მმართველი წრეებისათვის უნდა ყოფილიყო უფრო მისაწვდომი. ერთი, შედარებით ცოტა გვიანდელი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ სამეფო კარზე მთარგმნელებიც უნდა ყოლოდათ. ამას მიუთითებს, ჩვენის აზრით, სეფე ქალის შროშანას წმინდა ნინოსთან შეხვედრის ეპიზოდი. წმინდა ნინოსთან, რომელიც ძველ ციხეყოფილთან ახლოს. მის მიერვე გამონიშულ ადგილას ექვსი დღე ლოცულობდა „მოვიდა სეფე ქალი ერთი, სახელით შროშანა და იხილა იგი ხესა მას ქუეშე: განკჯრდა და მოიყვანა

---

82 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 148.

83 ი ქ ვ ე, გვ. 142.

84 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

85 ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, გვ. 89.

ბერძულად მეტყველი დედაკაცი, და ჰკითხა გზა მისი; ხოლო წმიდამან ნინო აუწყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე მისი"[86]. აქ ენა მეცნიერის მოშველიების (ე. ი. შესაძლოა ასეთი ინსტიტუტის არსებობის) გარდა ისიცაა საყურადღებო, რომ სეფე ქალმა ბერძნული არ იცის; შროშანას, როგორც ჩანს, სომხურიც არ ასცოდნია. თორემ ბერძნულად მეტყველი დედაკაცი არ დასჭირდებოდა, რაკი „წმიდა ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა"[87]. არ სცოდნია სეფე ქალს არც ებრაული. თორემ ნინო, რაკი „ზრახვოდა... ენითა ებრაელითა"[88] შროშანას გააგებინებდა. მცხეთაში ხომ „ჰკითხა წმიდამან ნინო დედაკაცსა ვისმე ჰურიასა"[89].

აქ. ჩვენის აზრით. მეტად საყურადღებო დეტალები ირკვევა. სამეფოს მეთაურები უცხოელთან ურთიერთობისათვის ბერძნულსა და არამეულს ფართოდ იყენებენ, მაგრამ ეს ოფიციალური დოკუმენტების ენა არ არის მიღებული მათს ოჯახებში და სამეფო კარშიაც ე. ი. მით უფრო მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობის ენები მდაბიო მოქალაქეთათვის. ამ მხრივ თითქოს განსხვავებული ვითარება ივარაუდება მეზობელ სომხეთში. ახ. წ. II—IV საუკუნეებში იქაური საზოგადოების ზედა ფენა, როგორც ირკვევა. სარგებლობდა ბერძნული დამწერლობითაც და ბერძნული ენითაც კი[90] გამოიკვეთა ამასთანავე, რომ სამეფო კანცელარიის ენას ქალაქთა მმართველობის დარგშიაც ახ. წ. III—IV სს. ბერძნული წარმოადგენდა[91]. შროშანას მაგალითი მიგვითითებს, რომ მაშინდელი ქართლის მესვეურთა ფენასაც კი ამ ზომამდე არ განუცდია ბერძნული (საერთოდ უცხოური) გავლენა და ამ ფენის ზოგ წარმომადგენელს ქართული მეტი არა ცოდნია რა.

ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს სამეფოში საქმის ნამდვილი ვითარების უფრო გამომხატველად მივიჩნიოთ „ქართლის ცხოვრების" ბროსესეული, მარიამისეული, ფალავანდიშვილისეული და ბარათაშვილისეული ნუსხები, რომლებშიაც „მეფეთა ცხოვრების" სათანადო ადგილი ასე იკითხება: „ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა". სხვა არა იყოს რა შროშანას შემთხვევა ამასვე გვიჩვენებს. მეფეებს, რა თქმა უნდა, ოფიციალური დოკუმენტების ენაც უნდა სცოდნოდათ და საჭირო შემთხვევაში ენამეცნიერიც უნდა ჰყოლოდათ.

ამრიგად. ის გარემოება, რომ მცხეთისა და მისი უბნების გათხრისას არაქართული წარწერებია აღმოჩენილი, ქართული ენის გავრცელების საწინააღმდეგოდ არ გამოდგება. აკად. ს. ჯანაშია ამ საკითხის განხილვისას ერთ ისტორიულ ანალოგს მიუთითებდა. როგორც ცნობილია, V საუკუნის ქართლში ფართოდ იყო გავრცელებული ქართული დამწერლობა და მოგვეპოვება იმ ხანის ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებიც კი — „მარტვილობაჲ შუშანიკისი" და ცნობილი ეპიგრაფიკული ძეგლი — რელიეფურად ამოყვანილი წარწერა ბოლნისისა. მეორე მხრივ კი, იმავე ხანაში გვაქვს პიტიახშის სახელობითი საბეჭდავი, რომლის წარწერაში, ისევე, როგორც არმაზისხევის ბილინგვაში, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ბეჭდის თვალზე გამოსახული ქართველთა პიტიახშია, მაგრამ თვით წარწერა ბერძნულია. ეს ფაქტი იმას უნდა მიუთითებდეს, რომ V საუკუნეშიაც ქართლის სამეფოს ოფიციალური დოკუმენტების ენა უცხოურიც შეიძლება ყოფილიყო.

შესაძლოა პიტიახშის (უჩას. არშუშას) სახელობითი ბეჭდის ბერძნული წარწერა ამ თანამდებობის პირის ხელის გასათვალისწინებლადაც გამოდგეს. საამისო საფუძველს ქმნის ის გარემოება. რომ პიტიახშთა სახელობით საბეჭდავებზე საერთოდ ბერძნული წარწერებია ამოკვეთილი. ასეა ზოგადად იმ ხანაშიაც კი, როდესაც იქმნება ქართული დამწერლობის ბრწყინვალედ შესრულებული ძეგლი — ბოლნისის ცნობილი წარწერა, დათარიღებული V საუკუნის უკანასკნელი წლებით. ქართული საისტორიო წყაროები კარგად ადასტურებენ, რომ ეთნიკური სიჭრელე საერთოდ იყო დამახასიათებელი ქართლის ქალაქების მოსახლეობისათვის ანტიკურ ხანაში. ამ მხრივ საყურადღებო მითითება გვაქვს ურბნისის შესახებაც. როგორც ცნობილია, ურბნისის ეთნიკურ სიჭრელეს არქეოლოგიური მასალებიც, კერძოდ არამეული წარწე-

---

[86] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 93.
[87] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 85.
[88] ვახუშტი, ისტორია, გვ. 60.
[89] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 89

[90] К. В. Тревер, Очерки по истории культуры древней Армении, I, 1953, гг. 240.
[91] Г. Х. Саркисян, Из истории городской общины в Армении. ВДИ, № 3, М., 1955, гг. 55.

რის ფრაგმენტის აღმოჩენაც მიუთითებს. ასეთივე სურათი ჩანს უჯარმაშიაც, თბილისშიაც და კიდევ უფრო პირდაპირი წერილობითი და არქეოლოგიური მითითებები გვაქვს შავი ზღვის სანაპირო ზოლის ანტიკური ხანის ქართული ქალაქების მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის წარმოსადგენად. როგორც ცნობილია, ამ მხრივ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობებია შემონახული კლასიკურ წყაროებში. ე. ი. ეთნიკური სიჭრელე ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების ერთ-ერთი მკაფიოდ დამახასიათებელი ნიშანი ჩანს; შესაძლოა, უფრო მკაფიოდ დამახასიათებელი ვიდრე ეგეოსის ზღვის სამყაროს ქალაქებისათვის. აქ ეს თავისებურება კავკასიის მოსახლეობის რთული ეთნიკური შედგენილობით ჩანს შეპირობებული. თავის მხრივ, ეს უკანასკნელიც კი გარკვეულ მითითებას გვაძლევს ანტიკური ხანის საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში ადგილობრივ მკვიდრთა მიერ შესრულებული როლის შესახებაც.

როგორც ვხედავთ, არქეოლოგიური აღმოჩენები საფუძველს ქმნიან ქართლის სამეფოს მონათმფლობელური ხანის ქალაქების სოციალური ცხოვრების სურათი წარმოვიდგინოთ უფრო მკაფიოდ. ეიდრე ხერხდებოდა ეს წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე. სხვაგვარად რომ ითქვას, ჩვენის აზრით, არქეოლოგიური საფუძველი გაუჩნდა „ერის" სოციალური დიფერენციაციის გზას. გამოკვლეულს წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგად.

ახლა, არქეოლოგიური მასალის განხილვის შემდეგ, შეიძლება მოიხაზოს ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი და შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა საქალაქო ცხოვრების შესახებ.

მცხეთა ქალაქის და, საერთოდ, ქართლის სამეფოს მონათმფლობელური ხანის ქალაქების აღმოცენება კანონზომიერი გაგრძელება ჩანს გვიანბრინჯაოს და რკინის ფართოდ ათვისების ხანის განვითარებული და ხშირი მოსახლეობების ცხოვრებისა. ქართლის ქალაქებში და მათ შორის მცხეთაშიც ცხოვრება დედაქალაქობის ხანაში არც დაწყებულა და ამ ხანის დასასრულს არც შეწყვეტილა. მცხეთაში მაინც ხშირი და დამოუკიდებელი მოსახლობები ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდანვეა საგულისხმებელი. ამ მხრივ ქართლის ქალაქები და, კერძოდ, მცხეთა მკაფიოდ განსხვავდება მის თანატოლ რიგ ქალაქთაგან, მაგ., ოლვიისაგან, რომელმაც ცხოვრება დაიწყო ძვ. წ. VI საუკუნეში, როდესაც იქ ბერძნები დასახლდნენ, და შეწყვიტა არსებობა ახ. წ. IV ს-ში. როდესაც შეწყვიტა არსებობა საგარეო ფაქტორმა[92]. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართლში საქალაქო ცხოვრება ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენდა. საგარეო ფაქტორები, რა თქმა უნდა, ზეგავლენას ახდენდნენ ქართლის სამეფოს საქალაქო ცხოვრებაზე, მაგრამ არც ერთ საფეხურზე არ განსაზღვრავდნენ მას. ამიტომ არის, რომ ბევრი რამ უცხოური, ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად გადამუშავებული და, შეიძლება ითქვას, მასთან შეგუებული ჩანს. როდესაც ქართლის მონათმფლობელური ქალაქების არქეოლოგიურ ძეგლებს ვეცნობით, იგრძნობა ე. წ. ანტიკურობა. მაგრამ არა რომაული, არა ბერძნული და არც ელინისტური. ქართლის ქალაქების და, პირველ რიგში, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები მიუთითებენ, რომ ელინისტური კულტურა არ აღმოჩნდა არსებითად უცხო მცხეთის დედაქალაქობის ხანის ქართლის ქალაქებისათვის. ამიტომაც არ ეძლეოდა ამ კულტურის გადამუშავება — მისი ქართულ ტრადიციებთან შეხამება. საკმაოდ მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი საფუძველს გვაძლევს მონათმფლობელურ ხანაზე ნაწილობრივ მაინც გავიგრძელოთ. ადრეფეოდალური ხანის საქართველოს დასახასიათებლად. ვიორგი ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: „საქართველო იდგა კულტურულად იმ სახელმწიფოთა მწკრივში, რომელნიც პირველობდნენ და ტონს აძლევდნენ მსოფლიო კულტურას"[93]. პირველ ყოვლისა ითქმის ეს ქართლის ძველი დედაქალაქის მცხეთის შესახებ და, საერთოდ, ქართლის ქალაქების შესახებაც, რადგან, როგორც წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური ძეგლები გვარწმუნებენ, დიდი მცხეთის ისტორია არსებითად ქართლის სამეფოს ისტორიაა. არქეოლოგიურ მონაპოვართა გაცნობა გვიჩვენებს, რომ მცხეთის დედაქალაქობის ხანას თითქმის ათასი წლით უსწრებდა ძველი თემური ცხოვრების დაშლის პროცესის დასაწყისი. ამ პრო-

---

[92] Л. М. Славин. Отчет о раскопках Ольвии в 1935 и 1936 гг. Ольвия, I, Киев, 1940, გვ. 49.

[93] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1955, გვ. 7.

ცესის შემდგომმა გაღრმავებამ გვიან ბრინჯაოს და რკინის ფართოდ ათვისების ხანაში, ქართლის ტერიტორიაზე ნსხდომი ტომების ცხოვრების დაწინაურებას შეუწყო ხელი და აქაც, როგორც ჩანს, ეკონომიური წარმოების გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა წარმოების გაძლიერება და განვითარება მონური შრომის საფუძველზე[94].

არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მითითებათა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიკური ხანის ქართლის სამეფო განვითარებული საქალაქო ცხოვრებით ხასიათდება. ამ მხრივ პირველ რიგში გამოირჩევა ქალაქი მცხეთა, რომელიც ჯერჯერობით ყველაზე ძეტს და, ყველაზე მნერმეტყველ არქეოლოგიურ მასალას გვაწვდის ელინისტური და რომაული ხანის ქართლის ქალაქთა და, საერთოდ, ქართლის სამეფოს ისტორიისათვის. აღმოჩენილი მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მცხეთის დედაქალაქობის ხანის საქართველოს ქალაქების ცხოვრება ქართლის და კოლხეთის მონათმფლობელური ქალაქების ცხოვრებაა. მცხეთის მაგალითზე შეიძლება ქართლის სამეფოს მონათმფლობელური ქალაქთა შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას. ვიცოდეთ, რომ:

ა) ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ქალაქები სავაჭრო-სახელოსნო, სამეურნეო, ადმინისტრატიულ და სამხედრო-სტრატეგიულ ცენტრებს წარმოადგენენ. გარკვეული ნაწილი ქალაქებისა (მაგ., უფლისციხე, მცხეთა) დედაქალაქობისა გამო სამეფოს პოლიტიკური ცენტრიც ყოფილა.

ბ) ქალაქი სამი უმთავრესი ნაწილისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი: ა) საკუთრივ ქალაქი (შესაბამისი სახისა და დანიშნულების ნაგებობებით დასახლებული ტერიტორიაა); ბ) ციხე-სიმაგრეთა სისტემა და გ) გარეუბანი (ქალაქის სასოფლო რაიონი).

გ) ყოველ ქალაქს მისთვის დამახასიათებელი განლაგება, უბნებად თუ ნაწილებად დაყოფა ემჩნევა. მცხეთა, მაგალითად, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა. ძველი დედაქალაქის ამ ორი ნაწილის გამყოფ ხაზად მდ. მტკვარია წარმოდგენილი. შესაბამისად, ქართული საისტორიო წყაროები მიუთითებენ, რომ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო „არმაზით კერძი ქალაქი“, ხოლო მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე — „მუხნარით კერძი ქალაქი“.

დ) ქართლის სამეფოს ძველი ქალაქები წარმოშობილია უძველეს მოსახლობათა განვითარების საფუძველზე. ამიტომ ერთ ქალაქად გაერთიანების შემდეგაც გრძელდება ცხოვრება მოსახლობათა მიხედვით, მაგრამ საქალაქო ვითარებაში ისინი ქალაქის უბნებად ან კარებად ყალიბდებიან. ყოველ ქალაქს შეიძლება რამდენიმე ასეთი უბანი ჰქონდეს. მცხეთას, მაგალითად, მრავალუბნიანობა ახასიათებს. როგორც ვნახეთ, არმაზციხე, წიწამური, სარკინე, საპიტიახშო, საკუთრივ მცხეთა, ჯვარი, ზემო ავჭალა, მუხათ-გვერდ-კარსანი, კალოუბან-კოდმანი, ნაქულბაქევი და სხვ. დიდი მცხეთის შემადგენელი უბნებია.

ე) ქალაქის უბანი სათანადო ზღუდით ან ციხით არის დაცული. უბნის ციხე-სიმაგრე ქალაქის გამაგრების სისტემის ნაწილია, ამიტომ მათ გამაგრებაზე ქალაქის ხელისუფლება ზრუნავს. მცხეთაში ასეთ მზრუნველობას, როგორც წყაროებიდან ჩანს, სამეფო ხელისუფლება ახორციელებდა.

ვ) ყოველ უბანს დამახასიათებელი „ხუროთმოძღვრული სახე“ აქვს და შესაფერისი ნაგებობანიც. ასევე, ყოველ უბანს მეურნეობის, ხელოსნობის თუ სხვა საქმიანობის განსაზღვრული დარგები აქვს დაწიხაურებული და, ამის მიხედვით, ისაზღვრება უბნის სახე. ქალაქის უბნებს საერთო ნაშენებიც აქვთ: საცხოვრებელი ნაგებობები გაშენებულია ზეგნებზე; სამაროვნები მოწყობილია დაბლობზე; საკულტო ადგილები გაძაღლთულია მაღალ ბორცვებზე; მეურნეობები და სახელოსნები — დაბლობზე (ვაკობზე); უბნები ერთიმეორესთან დაკავშირებულნი არიან ხიდებით (თუ ერთიმეორისაგან მდინარეები გამოყოფს — მაგ., მცხეთაში); თითქმის ყველა უბანს აქვს თავისი წყალსადენი, აბანო, ციხე-სიმაგრეები და ა. შ. უბნების მოსახლეობა შიგნითაც არის დიფერენცირებული — ამ მხრივ უბანი თავისებურ „პატარა ქალაქს“ წარმოადგენს და გვაგონებს მის ოდინდელ დამოუკიდებლობას — ჩანს ადგილობრივი სინოიკიზმის კვალი.

ზ) ქალაქის მოსახლეობა სოციალურადაც ჭრელია და ეთნიკურადაც. ქალაქების ხელოსნური წარმოების დაწინაურებას, მის სასაქონლო ხასიათს შეესაბამება ღრმად დიფერენცირებული ფენები ხელოსნებისა; ხოლო განვითარებულ სავაჭრო ურ-

[94] Ф. Энгельс, Анти Дюринг, М., 1934, გვ. 129.

თიერთობასა და საერთოდ საგარეო ურთიერთობას — რთული ეთნიკური შედგენილობა. წარმოების ხასიათი ამ ქალაქებში მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენათა მკაფიოდ ჩამოყალიბებას და მათს მძაფრ ურთიერთდაპირისპირებას აპირობებდა. ასეთი დახასიათება უნდა გარეუბნის მოსახლეობაზედაც გავავრცელოთ. რადგან გათხრების მიხედვით კარგად იგრძნობა ქალაქისა და სოფლის განუყოფელი ერთიანობა ანტიკური ხანის ქართლში.

ყველაზე უფრო დიდი ქალაქი ქართლის სამეფოში მცხეთა იყო. იგი სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იყო და მას მაშინაც დედაქალაქი, ხშირად „დიდი ქალაქი მცხეთა“ ეწოდებოდა. შესაბამისად, მცხეთის ცხოვრებაში შეიმჩნევა რიგი ნიშნები, რომლითაც ის ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის სხვა ქალაქებისაგან გამოირჩევა. ასეთ გარეგნულ ნიშნებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ქალაქის სიდიდე, მოსახლეობის მრავალრიცხოვნება და განსაკუთრებული ეთნიკური სიკრელე; ხელოსნური წარმოების. ვაჭრობა-გაცვლა-გამოცელის და მეურნეობის შედარებით დიდი (სამეფოს მასშტაბის) თავმოყრა, რასაც საერაკრო მაგისტრალთა დიდი გზაჯვარედინიც აპირობებდა; ციხე-სიმაგრეთა რთული და ძლიერი სისტემა; საგანგებოდ აშენებული და გამაგრებული შიდა-ციხე; სამეფოს უზენაესი საკულტო ადგილები და თვით სამეფო რეზიდენცია.

მცხეთის ასეთმა მდგომარეობამ, შეიძლება ითქვას, განაპირობა არქეოლოგიურ ძეგლთა ისეთი კონცენტრაცია, რომ აღმოჩენილი მასალა თამამად შეიძლება არა მარტო მცხეთის, საერთოდ ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს საქალაქო ცხოვრებისა და თვით ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ისტორიის გასაშუქებლად გამოვიყენოთ.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

ა) პირთა სახელები

აბაევი ვ. — 137, 148, 150
აბულაძე ილია — 163, 197, 206, 208. 212
აბესერიძე ტბელი — 82
ავათია — 10
ავრაპა — 148—150, 154, 156, 157, 204, 205
ავრიფა — 149
ადერკი — 162
ადრიანე — 141, 155
ავგუსტე — 123, 234
ავერელი აქოლი — 104, 135, 137, 157.
აზო — 162—164
ათინა პალადა — 236
აინინა — 176
ალექსანდრე მაკედონელი (იხ. მაკედონელი ალექსანდრე)
ალექსანდრე მეფე — 170
ამაზასპოი — 127
ამაზასპუპი — 126
ამაზასპი — 146, 198, 240
ამიანე მარცელინი (იხ. მარცელინი ამიანე)
ამირანაშვილი ა. — 126, 128
ამირანაშვილი შ. — 128, 144, 174
ანა დედოფალი — 198, 199, 229
ანტინოე — 236
ანტიოქელი ტიმოთე — 162, 232
ანტონინე პიუს — 155
ანიანე — 156
არამე — 176
არგიშთი I — 160
არდამი (მეფე) — 24, 162, 169
არდაშირ I — 141—144
არზამესი (პიტიახში) — 144
არეთა — 106—109, 111
არმა — 162, 177
ერმას — 177
არტაგი (არტოგი, არტოკე) — 164, 165, 167, 172, 218, 223, 224, 239
არსოკ — 165
არღუთინსკი-დოლგორუკოვი ა. — 132
ასპარუგი (ასპავრუკი, ასპარუკი) — 33, 98, 110—120, 138—142, 147, 152—154, 156, 157, 204, 205, 207
ასფაგორ — 139
ასფაგური — 139
აფაქიძე ა. — 18, 72, 74, 89, 98, 122, 128, 134, 136, 138, 175, 181, 187, 190, 197, 198, 200, 216, 217, 222, 227—229, 235, 237, 238, 241
აქოლი ავერელი (იხ. ავერელი აქოლი)
აქტეონი — 121, 236
არშუშა — 140, 242
აჰურამაზდა — 175, 176, 178

ბაბალე — 21
ბაიერნი ფრ. — 18
ბალ-დადი — 145
ბარათაშვილი მ. — 9, 129, 243
ბარაცმანი — 145
ბართოლომეი ა. — 126, 127, 130—134, 158, 169
ბარტამ მეფე — 16, 162, 163, 199
ბარქაია ვ. — 228
ბარლომი — 146
ბასილი ეზოსმოძღვარი — 199
ბაქრაძე დ. — 131—134, 155, 184, 207, 219,
ბევრაზ ზეჩიანი — 137
ბევრაზურია — 135, 137
ბელოვი გ. — 47
ბერიძე ვახტ. — 21, 169
ბერსუმა (პიტიახში) — 98, 100, 106, 110—112, 115, 118, 122, 142, 144—147, 171, 172, 204, 205, 228, 240
ბერეუმი — 145
ბერძენიშვილი ნ. — 12
ბიზანტიელი თეოფანე — 9
ბოლოკ-ბასილი — 82
ბოლტუნოვა ა. — 12, 73, 128, 129, 176, 177
ბოლქვაძე ს. — 219

ბორცომი — 145
ბოჩი — 24
ბოჭორიშვილი ლ. — 51, 53—56, 63, 65, 66, 67, 76
ბრეგაძე გ. — 185
ბროსე მ. — 242
ბუზანდაცი ფავსტოს — 8, 109

გაჩიოს — 6
გიდუკევიჩი ვ. — 45—47, 57—59, 68, 71, 73
გვრიტიშვილი დ. — 15, 16
გობეჯიშვილი გ. — 17, 79, 98, 233, 235
გორგასალი ვახტანგ — 234
გორდიანე — 144
გოტარზესი — 235
გრაკოვი ბ. — 68, 73
გრიგოლია კ. — 13, 16, 17, 176, 217, 239
კუარამ ერისმთავარი — 21
გულჯაკარასშვილი გ. — 169
გურგენ მეფე — 171

დადე — 118
დადი — 145
დარი — 176
დიონ კასიოს კოკკეიანი — 3, 12, 13, 120, 156, 159, 164, 167, 172, 199, 215, 218, 223, 224, 229, 234, 239
დიუბუა დე-მონპერე ფრ. — 18
დომიციანე — 127
დუმბაძე მ. — 15

ევროსი — 6
ევრისიციესი — 106, 108, 109, 111
ევტიუხოვა ლ. — 76
ეზეკიელი — 233
ეზოსმოძღვარი ბასილი — 199
ელნიცკი ლ. — 123, 189
ერემიანი ს. — 160, 161, 163, 232, 234
ესაძე ს. — 132—134
ესკულაპი — 236
ეფთიმე — 204

ვალენბაუმი ე. — 131, 134
ვალერიანესი (ვალერიანე იმპ.) — 112, 142
ვარზა (ვარაზ) ბაკური — 9, 139, 142
ვახტანგ გორგასალი — 234
ვახუშტი (ბატონიშვილი) — 8, 9, 14, 155, 163, 169, 184, 206, 234, 243
ვესპასიანე (იმპ.) — 40, 125, 126, 130, 146, 154, 167

ზადენ (ქერპი) — 197
ზაქარაია ბ. — 170
ზედაზნელი იოვანე — 197
ზევახი (პიტიახში) — 113, 114, 116, 141, 148—151
ზეესი — 236

თავაძე ფ. — 229
თამარ მეფე — 199
თაყაიშვილი ექვთ. — 171, 172
თეოფერაზი (ბატონიშვილი) — 24
თეოფანეს — 146
თეოდორე კალალეკი — 173
თეუფენა — 173
თრდატი — 108, 145

იაკობსონი ა. — 47, 50, 53, 75
იაკუბოვსკი — 132, 133
იაკობ ხუცესი — 203
იამბასარიოი — 126, 127, 187,
ივზეკიელი — 9
ივანშენკო მ. — 17, 69
ივნინიშვილი ივ. — 217
ინანა — 176
ინაძე მ. — 17, 152
ინგოროყვა პ. — 144—147, 152
იოანე — 204
იოანე ზოსიმე — 212, 234
იოანე ზედაზნელი — 197
ირდმანელი — 148—150, 154, 156, 158, 202, 235
ისეგ ბარ-ბაზანი — 133, 240
ისელიანი პლ. — 9—11, 14, 15, 17, 19, 103, 104, 226
ილი კაპიტოლინი — 155
ოშანოვი თ. — 132

კაკაბაძე ს. — 13, 17, 101, 165, 167, 172, 174, 186, 190, 217, 223, 234
კალანდაძე ალ. — 17, 34—36, 38, 92, 93, 122, 124, 179, 200, 216
კანიდიოსი — 161, 163
კაპანაძე დ. — 236
კაპიტოლინი (ილი) — 155
კარპაკი — 113—116, 141
კეკელიძე კ. — 21, 140, 143
კეფალინი ბ. — 71, 73, 119

ლაბერშეკი ვ. — 169, 127
ლეკაშვილი ვ. — 76
ლისიმაქე — 234, 235
ლომსალაძე გ. — 17, 93, 105, 107, 163, 122, 225, 228, 234, 235
ლორთქიფანიძე ბ. — 113, 125
ლორთქიფანიძე ოთ. — 17, 207, 225

მაკალათია ს. — 122
მაკედონელი ალექსანდრე — 5—7, 163, 206, 217, 224, 232, 234—236
მაკედონიოსი — 147
მარი ნ. — 159
მარიამ დედოფალი — 242
მარკვარტი ი. — 127, 173
მარტი ი. — 46
მარცელინი ამიანე — 116, 139
მაკსიმოვა მ. — 231, 241
მელიქიშვილი გ. — 6, 17, 40, 41, 84; 176, 237—240, 242
მელიქსეთ-ბეგი ლ. — 11, 13, 14, 16, 17, 22, 127, 131,

133, 134, 165—172, 184, 185, 187, 189, 190, 207, 208
მენანდა — 235
მეტცეერი — 114
მესხია შ. — 14, 15, 17, 83, 160, 229, 235, 240
მთაწმინდელი გიორგი — 204
მირიდატე — 116, 125, 126, 127, 130, 139, 151, 152, 154—157, 172
მირიან მეფე — 21, 108, 165
მიქელაძე გ. — 212
მიქაბერი ო. — 153
მოსე ბორენელი (იხ. ბორენაცი)
[illegible] — 212, 234
[illegible] — 6—9, 14, 16, 24, 108, 129, 152, 162, 166, 172, 175, 176, 197, 206, 207, 215, 224, 232
[illegible]
[illegible] — 17
[illegible] — 202, 203
[illegible] — 6, 116, 160, 162, 163

[illegible] — 6
[illegible] — 172—172
[illegible] — 176
[illegible] (ნიკოზეული) ა. — 127, 183, 184, 190
[illegible] — 114
[illegible] — 176
[illegible] (ეკ.) — 7, 16, 21, 163, 166, 168, 176, 189, 199, 202, 217, 218, 240—242
[illegible] — 59, 200, 219

[illegible] — 117
[illegible] — 6

[illegible] — 141
[illegible] — 105
[illegible] ა. — 211
[illegible] ბ. — 27, 7[illegible]
[illegible] (ტეოსმეტელ) — 118, 125, 157
[illegible] — 6, 12, 166, 167, 172
[illegible] — 129, 173, 2[illegible], 224
[illegible] ი. — 127, 128
[illegible] — 79, 129, 130, 155, 164, 166, 172, 183, 185, 187, 223, 229, 234, 236
[illegible] — 236
[illegible] — 8, 10, 12, 164, 167, 172, 215, 217
[illegible] (ოგრიბა) — 143, 149, 154

ეორდანია თ. — 84

[illegible] რ. — 88, 198, 223
[illegible] (ეე მირიან მეფეა) — 108
[illegible] ნ. — 6, 54, 55, 210, 21[illegible]
[illegible] — 202

[illegible] — 109
[illegible] — 7
[illegible] — 139, 142, 165
[illegible] ო. — 156

[illegible] ნ. — 14
[illegible] ([illegible]) — 236
[illegible] — 183—185, 190
[illegible] [illegible] — 236
[illegible] ([illegible]) 104, 114, 116, 121, 148—150, 154, 157, 204, 205
[illegible] ლ. — 46, 47, 71
[illegible] — 21
[illegible] — 6, 8, 12, 13, 44, 48, 72, 73, 81, 82, 129, 159, 161, 164, 165—168, 173, 183, 184, 186, 187, 189, 190, 197—199, 206, 215, 217, 224, 225, 239
[illegible] ა. — 15

[illegible] — 176
[illegible] — 174
[illegible] [illegible] — 238
[illegible] — 127, 141
[illegible] — 141, 144, 145
[illegible] ჯ. — 127, 129

[illegible] ნ. — 125
[illegible] პ. — 127
[illegible] — 6
[illegible] — 243

[illegible] [illegible] (იხ. [illegible])
[illegible] — 243
[illegible] — 189
[illegible] — 155
[illegible] ბ. — 106, 107, 109
[illegible] — 7, 9, 11, 165, 175, 229, 242
[illegible] — 162, 168, 176
[illegible] — 197
[illegible] — 170
[illegible] [illegible] — 114, 115, 126, 127, 130, 149—152, 155—157, 172, 229,
[illegible] — 142, 144
[illegible] [illegible] — 144
[illegible] [illegible] — 118
[illegible] [illegible] — 144—146
[illegible] [illegible] — 145, 157
[illegible] — 145
[illegible] [illegible] — 9
[illegible] — 236

[illegible] — 162, 163
[illegible] — 6, 9, 24, 116, 162, 168, 169, 215
[illegible] — 7
[illegible] — 148—150, 154, 156, 157, 204, 205
[illegible] [illegible] [illegible] — 143
[illegible] — 165
[illegible] [illegible] — 179
[illegible] — 242
[illegible] ნ. — 208
[illegible] — 109, 164, 203

ყაუხჩიშვილი თ. — 113, 114, 117, 118, 125, 126, 129, 136, 137, 141, 146, 164, 183, 219
ყაუხჩიშვილი ს. — 8, 11, 14, 17, 113, 117, 118, 130, 135, 139, 144, 145, 147—150
ყრუ (მურვან) — 168
ყუბანეიშვილი ს. — 77.

შაბური — 142
შალლუში — 138, 140
შანიძე ა. — 14, 147—150
შარაგასი — 116, 139, 150, 154, 156, 157, 204
შკორპილი ვ. — 70
შროშანა (სეფე ქალი) — 242, 243
შუშანიკი — 77, 163, 243

ჩარგას — 152
ჩიტაია გ. — 230
ჩორნი ი. — 134
ჩუბინაშვილი გ. — 14, 17, 21, 228, 244

ციციშვილი ი. — 54, 61, 63, 67, 68, 73, 78, 105, 107, 108, 178

ცურტაველი იაკობ — 163

ძეკაქი — 114, 141
ძეკახი — 113, 148

წერეთელი გ. — 14, 17, 113, 114, 115, 126, 127, 137—143, 145, 146, 148—153, 155—157, 203, 229
წმინდა ნინო — (იხ. ნინო წმინდა)

ჭარგას — 152
ჭეკახოს — 152
ჭილაშვილი ლ. — 17.
ჭყონია ი. — 79

ხატისიანი — 126
ხატუშილ II — 176
ხახუტაიშვილი დ. — 17, 79
ხვოლსონი დ. — 134, 138, 240
ხორენაცი მოსე — 8, 43, 44, 166, 203
ხსეფარნუგი — 149, 150
ხუბეროვი (ხუბეროვი) — 98, 110
ხუცესი იაკობ — 203

ჯავახი — 113, 114—120, 141, 152, 154, 156, 157, 204
ჯავახ მცირე — 113—116, 154
ჯავახ უმცროსი — 116
ჯავახ უფალი — 116
ჯავახ ერისთავი — 156
ჯავახოსი — 6, 116, 152
ჯავახიშვილი ა. — 228
ჯავახიშვილი ივ. — 10, 11, 14, 17, 18, 40, 72, 73, 77, 82, 105, 127, 128, 139, 143, 146, 147, 151, 154, 157, 159, 160, 163, 165, 171—173, 175, 176, 184, 195, 199, 203, 216, 222, 226, 229, 231, 233, 238
ჯანაშვილი მ. — 164
ჯანაშია ს. — 11, 12, 14, 17, 18, 89, 109, 113, 114, 127, 129, 130, 136, 140, 147, 156, 157, 171, 174, 190, 199, 200, 216, 225, 226, 238—240 243
ჯაფარიძე ოთ. — 75
ჯეკახოს — 152
ჯუანშერი — 8, 16, 215, 234

ჰაზანი (იხ. იოსებ ბარ ჰაზანი)
ჰეროდოტე — 9
ჰერმესი — 176
ჰეროსი — 76
ჰოსტილიანე — 144

Абаев В. — 148, 150
Абдушелишвили М. Г. — 240
Агриппа — 148, 149
Амиранашвили А. И. — 126, 128, 146
Аммиан Марцеллин — 139
Апакидзе А. М. — 189
Аракелян Б. Н. — 193
Арета — 106
Аспарук — 139
Ахмеров Р. Б. — 74

Бакрадзе Д. З. — 131, 184, 207, 219
Баркана В. Ф. — 228
Байерн Ф. — 185
Баратаев М. — 9
Бартоломей А. И. — 126, 127, 133, 139
Барсума — 145
Белов Г. Д. — 48
Бенуа М. — 42, 43
Беридзе В. В. — 21
Блаватский В. Д. — 74
Болтунова А. И. — 12, 73, 176, 178
Бузанд Фавстос — 8, 109

Вайденбаум Е. — 131
Вахушти — 169
Веспасиан — 127, 128

Гайдукевич В. Ф. — 45, 47, 49, 56, 57, 68, 71—74, 77
Гиоргадзе Г. Г. — 176
Гобеджишвили Г. Ф. — 76
Граков Б. Н. — 68, 71, 73
Гурк — 134

Дадес Флавий — 145
Джавахов И. А. — 10, 159
Джанашиа С. Н. — 8, 113, 176, 222
Дион Кассий Конкеман — 129
Дьяконов И. М. — 195

Еврисиний — 106
Евтюхова Л. А. — 76

Ельницкий Л. — 128
Еремян С. Т. — 160, 161, 168, 232, 234, 241

Зевах — 113, 148, 149, 151

Иващенко М. М. — 17, 88, 89
Иоманган — 148, 149
Иоселиани П. — 9, 10, 18, 183, 188
Ишханов Ф. — 133

Казиев С. М. — 88
Каландадзе А. Н. — 76
Капанадзе Д. Г. — 235, 236
Капанцян Гр. — 106, 161, 169, 176, 203
Карпак — 113
Крупнов Е. И. — 233
Ксенофонт — 7
Кселарнуг — 148
Куфтин Б. А. — 7, 69, 71, 75, 117

Латышев В. В. — 109, 127, 164
Левашева В. П. — 76
Леви Е. И. — 74
Леммлейн Г. Г. — 235
Лонтатидзе Г. А. — 17, 70
Лордкипанидзе О. Д. — 17, 207, 225

Максимова М. И. — 230, 231
Маркс К. — 5
Марр Н. Я. — 177
Марти Ю. Ю. — 47
Марцеллин Аммиан — 139
Машкин Н. А. — 155
Меликишвили Г. А. — 7, 78, 161, 176
Меликсет-Беков Л. М. — 13, 127, 131, 166, 167, 169, 170, 184 — 187, 207
Месхиа Ш. А. — 9, 14, 15, 160
Митридат — 127, 128, 129
Михридат — 151, 152
Моисей Хоренский — 8, 44, 203
Моммзен Т. — 155
Мурван Глухой — 169

Натадзе Г. Я. — 171
Натроев А. — 127, 188
Нерон — 127
Нина св. — 166
Ниорадзе Г. К. — 216

Патканов К. — 8
Пиотровский Б. Б. — 27, 78
Плиний — 134, 167, 169
Плутарх — 129

Помпей — 129
Помяловский И. — 128
Публикий Агриппа — 148

Радамист — 129

Саркисян Г. Я. — 243
Северов Н. П. — 14
Сен-Мартен М. — 185
Серапита — 148, 149
Славин Л. М. — 46, 47, 71, 244
Страбон — 12, 13, 129, 133, 167, 169, 170, 184, 187, 189
Струве В. В. — 40

Тавадзе Ф. Н. — 229
Такайшвили Е. С. — 74, 143, 163
Тацит — 129
Тиридат — 129
Тревер К. В. — 127, 129, 243
Тураев Б. А. — 161
Тюменев А. И. — 136

Уварова П. С. — 122, 127

Фармаковский Б. Б. — 106, 109
Фарсман — 125, 149, 151, 156
Феофаний — 9
Флавий Дадес — 145

Хвольсон Д. А. — 134, 241
Хоренский Моисей — 8, 44, 203
Хоштария Н. В. — 74
Кселарнуг — 149

Чубинашвили Г. Н. — 14, 21, 178

Церетели Г. В. — 113, 118, 139, 141, 145, 149, 150—152, 155

Шаниидзе А. Г. — 147, 149, 150
Шарагас — 151, 152
Шмерлинг Р. О. — 21
Шуазн О. — 192

Эмин Н. — 8, 44
Энгельс Ф. — 245

Якобсон А. Л. — 47, 56, 58, 77
Якубовский — 133
Ямпольский З. И. — 92

Ackerman 27
Agrippa 147
Aly W. 183
Amiranaschwili A. 122
Arma (Armas, Armaš, Armatallis, Armatanšaš, Armati) 176—178
Aspacurae 139

Bar Sauma 145
Bayorn F. 18

Daru 176
Dubois de Montpereux F. 18

Jodmangan 149

Karsten R. 102

Marquart J. 127
Metzger 113, 149

Nyberg H. S. 113, 114, 149

Pope P. 27
Publicius Agrippa 149

Saint-Martin M. 184, 188
Scheil V. 76
Serapeitis (Serapitis) 149

Zeonakhes (Zewaḫ) 114, 149

Ἀμάσδα 167
Aeovcae 140
Ἀσπαυρούκις 112, 138, 139
Βερσούμα 144, 145
Δάδης 144, 145
Ζευάχης 113—115, 119, 120, 141
ΙΑΜΑΣΑΣΠΟΙ 126
Καρπακ 113, 114
Κουάκ 125
Μακεδών 147
Ovcae 140
Πλάτων 118, 125, 230

ბ) ეთნიკური სახელები

ალბანელები — 115, 164, 172
არმენიელები — 164, 172
ასურელები — 6, 10
ბერძნები — 6, 249
ბუნთურქები — 241
ებრაელები — 6, 239
ზანები — 177
თაბალები — 177, 232
თობალები — 232
თუბალები — 177, 229
თურქები — 6, 241
იბერები — 7, 64, 68, 126, 127, 129, 130, 164, 171, 172, 177
ივერები — 148
კიმერიელები — 241
კლარჯნი — 7
მეგრელნი — 7
მთიულები — 189
მესხები — 10, 13, 24, 78, 171, 176, 177, 215, 230
მოსოხები — 233
მეშქები — 78, 176, 177
ოვსები — 225
რომაელები — 11, 83, 127, 130, 139
სანნები — 177
სარმატები — 239
სასანელები (სასანიდები) — 143, 144, 230
სასპერები — 177
სასპერ-იბერები — 177
სკვითები — 238, 241
სომეხნი — 6
სპარსელები — 6, 7, 10, 130, 139, 140, 156, 171, 234, 242
ტიბარენები — 177
ურიები — 6
ქართები — 171, 172
ქართველები — 6, 130
ქართლელები — 171, 172, 177
ხაზარები — 6, 224
ხალიბები — 230

Беры — 207

Иберы — 156

Каспы — 207

Саки — 207

Скифы — 207

ბ) გეოგრაფიული სახელები

ავკალა (ავკალისკარი) — 200
ავკალა (ზემო) — 131, 132, 158, 196, 216, 219, 220, 223, 245
აზერბაიჯანი — 88, 92
ახია (შეირეკაზია) — 231
ალაზანი — 6, 9, 189
ალბანია — 155, 173, 174
ალბანეთი — 173
ამიერ-კავკასია — 231
ამისო (ქალაქი) — 236
ანაკლია — 15
ანისი (ქალაქი) — 109
ანტიოქი(ა) — 21, 186, 187
არაგვი (მდ.) — 6, 11, 13, 41, 94, 102, 123, 134, 137, 162, 164, 166, 175, 177, 178, 180—184, 186, 187, 190, 197—199, 215, 216, 218, 220
არაგვისკარი — 164, 186, 187, 216, 222
არაგვისხეობა — 188
არაქსი (მდ.) — 174
არინ-ბერდი — 160
არმაზი — 6, 11, 13, 15, 16, 17, 35, 41, 43, 72, 80, 94, 101, 109, 113—115, 118, 131, 133, 137, 139, 140—150, 156, 157, 159—179, 182, 186, 199, 200, 215, 217, 220, 240, 245
არმაზისმთა — 133, 166, 169
არმაზისქედი — 98, 179
არმაზის ღელე — 201
არმაზისხეი — 21, 28, 33—39, 48, 65, 69, 70, 74, 76, 81, 85, 91, 93—104, 106—119, 121—124, 138—140, 143, 144, 146—150, 153—157, 166—168, 170, 175, 186, 199—206, 216, 221, 222, 226—228, 230, 232, 235, 236
არმაზციხე — 6, 8, 12—15, 18, 22—31, 34, 38—42, 74, 78—84, 90, 123, 128—131, 134, 159, 161—170, 175—184, 186—191, 195, 197, 199—201, 205, 213—217, 219, 220, 223—227, 246
არმაზჯიხა — 167
არმაკტიკა — 12
არმასტიკა — 165
არმა-ს-ციხე — 177
არმასციხე — 199
არმენია — 164, 183
არმოზიკე — 11, 12, 207
ართაანი — 6, 11
არქეოპოლისი — 68
ასირია — 78
აღმოსავლეთ საქართველო — 168, 174—176, 183, 215
აშორიანის მთა — 69
ახალგორი — 5, 228
ახალქალაქი — 5
ახალციხისხეი — 165
ახალი წიწამური — 188, 189
ბაბალე (სამლოცველო) — 21, 216, 218, 222
ბაბილონი — 6, 40
ბაგინეთი — 14, 15, 23, 28, 31, 32, 34, 42, 48—50, 52, 58, 59, 63, 65, 67, 70, 74, 76—79, 91, 98, 101—107, 110, 111, 115, 122, 128, 129, 131, 133, 161, 166, 167, 169, 170, 178—182, 191, 193, 194, 196, 197, 199, 204, 221, 227—230, 236, 238
ბაგინეთ-გუჯარეთი — 170
ბაგინეთის კლდეკარი — 90, 100, 103, 104, 110, 115, 182
ბაგინი — 170
ბაგნითი — 169
ბაგნიტი — 169
ბათუმი — 15
ბანძა — 89
ბარბალე (სამლოცველო) — 21, 216, 218
ბარგიყარია — 202
ბებრისციხე — 164, 165, 184—188, 196, 198, 199, 217, 218, 220
ბეთანია — 202
ბიზანტია — 8
ბოლნისი — 146, 173
ბოლნის-მანგლისის ხეობა — 173
ბორი — 89, 153
ბორცვის ჯვარი — 188—190
ბოსფორი — 45, 47, 56—59, 64, 65, 71, 75
ბოღასკოე — 176

გარნისი — 129, 192, 193
გაჩიანი — 6, 7
გეთსიმანია — 21, 217
გირსუ — 161
გლდანი — 189
გორი — 5, 15, 16, 71, 76, 130
გორისციხე — 6, 15, 22, 24, 68, 74, 77—79, 191, 196
გორსიოლაფირი — 7
გრიგოლეთი — 75
გრძელი მინდორი — 24, 39, 40, 182, 208, 209, 211—213, 233
გუასპურაგანი — 143
გუგარქი — 203
გურზან — 144
გურია — 75
გურამიანთ კარი — 189
გუჯარეთი — 170

დაბლაგომი — 75, 86, 89
დასავლეთ საქართველო — 9, 68, 86, 88
დევეისნამუხლი — 167
დიდგორი — 202, 215
დიდგორის ქედი — 215
დიდი მცხეთა — 13, 42, 81—84, 94, 98, 104, 125, 129, 161—163, 178, 182, 193, 196, 215, 218, 220, 221, 224, 227—229, 246, 247

დიღომი — 12, 101, 202
დიხა გუძეება — 7
დმანისი — 202

ეგეოსის ზღვა — 244
ეგვიპტე — 27
ეგრისი — 7, 14, 15, 163
ელარბინი — 163
ერევანი — 160
ერწო — 190
ეშერი — 75
ვანი — 15, 69, 74, 170

ზადენი (ციხე) — 197
ზანავი — 7, 163, 206
ზანგანი — 24
ზაპესი — 123, 215, 219
ზეგანი — 54
ზედაზადენი (მთა) — 11, 197
ზედა სოფელი — 174
ზედაზენი — 11, 197, 221
ზეკარი — 16
ზემო ავჭალა — 85, 131, 132, 158, 196, 216, 219, 220, 221, 245
ზემო იმერეთი — 55, 56
ზემო წიწამური — 187
ზენა სოფელი — 174
ზუგდიდი — 15

თაფარავანი — 163
თბილისი — 5, 9, 11, 12, 16, 40, 126, 130—134, 140, 141, 144, 157, 174, 175, 202, 229, 234, 244
თბილისი-ციხე — 12
თეიშებაინი — 78
თელავი — 51
თერგი (მდ.) — 164
თიანეთი — 189
თოპრახყალე — 28
თრიალეთი — 117, 202, 228
თუშეთი — 42
თუხარისი — 6

იბერია — 5, 8, 12—15, 17, 39, 44, 48, 71—75, 79, 82—85, 89, 92, 102, 116—119, 126, 129—131, 136—144, 148, 151—155, 158, 164, 165, 172, 173, 175, 179, 182, 183, 197, 204, 215, 220, 223, 224, 227, 229, 234, 242
იერუსალიმი — 6, 242
ივერია — 24
ილურატი — 71
იმერეთი — 63, 65
იონია — 213, 214
იორი (მდ.) — 9
ირანი — 140, 144, 242
ირ(ე)ფენი — 160
იუდას სამეფო — 6

კავკასია — 126, 134, 154, 169, 174, 196, 206, 207, 223, 233
კავკასეთი — 206
კავკასიონი — 164, 165
კალოუბანი — 21, 199, 206, 220, 236, 244
კალპერინი — 236
კამარახევი — 85—88, 198, 216, 223
კეჩ-უ-ბურუნი — 63—65
კაპიტოლიუმი — 155
კარმირ-ბლური — 27, 78
კარსანი — 12, 41, 85, 169, 178, 199, 216, 221, 223, 245
კარსნისთაკი — 199
კარსნისხევი — 41, 80, 85, 199, 216, 221, 223
კასპი — 5, 6, 69, 84, 206
კასპია — 88
კახეთი — 54—56, 65, 173
კირნოსი (მდ. მტკვარი) — 11, 164, 165, 172, 234, კიროსი
კლარჯეთი — 7, 163
კოდმანი — 12, 21, 85, 166, 216, 219—223, 228
კოლა — 173
კოლხეთი — 5, 88, 92
კოლხიდა — 14
კოტი (სოფ.) — 173
კუჭხის ამბანო — 75

ლაგაში — 161
ლაზიკის სამეფო — 8
ლიახვი (მდ.) 5, 16, 30, 130,
ლუვია — 203

მანას სამეფო — 7
მანგლისი — 173
მარტყოფისხევი — 200, 202
მარსიეს მოედანი — 155
მახლობელი აღმოსავლეთი — 174
მესოპოტამია — 78
მესხლეტა — 8, 164, 217
მოგუთა (უბანი) — 178, 204, 220, 223
მტკვარი (მდ.) — 5, 6, 9, 11, 16, 35, 41, 92, 122, 123, 125, 129, 130, 133, 139, 158, 174, 178, 181, 183, 187, 189, 197, 199—203, 206, 213, 215, 218—223, 232, 234, 245
მტკვრისციხე — 9
მუხათგვერდი — 12, 85, 161, 175, 216, 218, 220, 221, 245
მუხნარი — 8, 159, 161, 163, 172, 178, 215, 217, 218, 220, 245
მუხრანი — 12
მცირე აზია — 175, 176, 231
მცხეთა — 5—8, 10—18, 21, 22, 27—29, 34—36, 38, 40—61, 64, 65, 67—78, 82—86, 89, 91, 92, 94, 98, 101—120, 122—125, 128—138, 141, 143, 145—148, 150, 152—159, 161—190, 193, 196, 197—200, 202—209, 213—246
მცხეთის გორა — 221
მცხეთის ჯვარი — 188

ნიკოსაძენი — 200, 202, 223
ნასტაგისი — 206, 208, 213, 221
ნიკოლაქეი — 220
ნაქელაბაქეი — 12, 40, 125, 132, 133, 158, 161, 168, 175, 181, 182, 220, 221, 245
ნაცარხევარი — 135
ნაცხორი — 185, 187
ნაცხორ-ბებრისციხე — 187
ნახშირგორა — 202
ნიმფეა — 15
ნინოს მთა — 167
ნიპერი — 78
ნიბბისი — 236

ოლეია — 27, 45, 46, 71, 106, 107, 111, 244
ოლოს მონასტერი — 21
ოძრხე — 5, 6, 15, 84, 206

პალდო — 190
პალესტინა — 131
პანტიკაპეა — 75
პატარა დმანისი — 202
პელიონი (მდ. არაგვი) — 13, 218, 223
პერსეპოლი — 43
პეტრა — 11

რას-შამრა — 204
რაჭა — 200, 211
რიონი (მდ.) — 9
რომი — 45, 130, 139, 142, 143, 152, 154—156, 164, 169
რუსეთი — 45, 126
რუსთავი — 5, 6, 15, 196
რეკი — 15

საბერძნეთი — 45, 192, 231
საგარეჯო — 89
საგვერი — 170
სავანე — 6, 24, 25, 39, 77, 220, 233
სავანეთი — 196, 209, 213
სავანეს ქედი — 206, 208
სათოვლე — 202
სამადლო — 202
სამთავრო (მცხეთისა) — 11, 18, 21, 48, 65, 69, 76, 85, 94, 98, 101, 110, 122—125, 135, 136, 184, 187, 190, 194, 198, 216, 222, 223, 227—229, 236, 237
სამშვილდე — 15, 203
სამცხე — 215
სანგრისხეევი — 200, 202
სარკინე — 5, 6, 15, 18, 22, 28, 35, 37—43, 65, 69, 71, 74, 76, 79, 82—84, 129, 130, 161, 163, 178, 182, 190, 196, 197, 206—214, 216, 219, 220, 221, 225—233, 236—238, 245
სარკინეთი — 161, 206—208, 213, 232
სასანელთა იმპერია — 144
საფურცლე — 163
საქართველო — 5—18, 21, 41, 48, 53, 54, 64, 65, 72, 75, 78, 79, 82—84, 88, 89, 92, 101, 104, 105, 110, 114, 117, 118, 122, 125, 126, 128, 130, 134—137, 139—141, 144, 147—150, 152, 155, 157, 159, 164, 168—171, 173, 179, 189, 195, 198—200, 202, 203, 205, 207, 212, 215, 219, 223, 225—235, 238, 240, 244, 245
საქოთნიანთხევი — 191
საწკეპელა (ქედი) — 215
სევსამორა — 11—13, 183—185, 188—190, 207
სევნეთი — 143
სინას მთა — 177
სინოპი — 64, 65, 75
სისამორა — 81, 84, 159, 165, 178, 183, 184, 186, 187, 199, 194, 197—199, 206, 215
სომხეთი — 8, 10, 78, 109, 139, 143, 152, 155, 171, 173, 183, 232, 243
სოხუმი — 15
სპარსეთი — 140, 143, 144, 153, 155, 157, 176
სუანეთი — 137
სეზა — 43
სუმერი — 161
სხალტბა — 206, 221

ტელ-ალაფი — 27
ტვიროსი — 233
ტუიაკორორა — 216, 221
ტფილისი — 12, 143, 162

ურარტუ — 42, 78, 230
ურბნისი — 5, 6, 11, 15, 17, 68, 71, 76, 84, 89, 153, 173, 196, 206, 233, 243
ურუკი — 75
ურიათუბანი — 178, 231
ურეკაზაგგი — 161
ეფლისციხე — 5, 6, 11, 15, 16, 77—79, 83, 84, 160, 245
ეჯარმა — 17, 40, 244

ფაზისი — 92
ფარცხანაყანევი — 86, 89
ფასიდი — 11
ფოთი — 132
ფოსოლები — 190
ფრიგია — 230

ქართი — 13, 16, 160
ქართლი — 5—8, 10, 12—19, 22—24, 39—43, 48, 50, 65, 68, 71, 72, 78, 79, 83, 84, 89, 108—110, 117, 122, 125, 128, 130, 131, 134, 136, 138—144, 149, 153—161, 163—179, 182, 186, 195—200, 204—206, 209, 215—225, 227, 231, 234—237, 241—246
ქართლი ყოველი — 163, 172, 174, 215
ქართლის ქედი — 175, 179
ქართლის ხევი — 168
ქერსონესი — 27, 47, 58
ქვაცხელები — 68
ქვეშო ზეგანი — 54

ქვემო წიწამური — 187, 190
ქინძარა — 163
ქსანი (მდ.) — 5, 206
ქსნის ხეობა — 170, 178
ქუთაისი — 15, 89
ქუჯისციხე — 160

ყოველი ქართლი 163, 172, 174, 215

შავი ზღვა — 244
შავი ზღვისპირეთი — 109
შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო — 68
შიდა ქართლი — 162, 174, 175
შიომღვიმე — 21, 207, 219
შრომა — 63
შუმერი (სუმერი) — 136
შურისციხე — 9

ჩრდილო-კავკასია — 242

ცხე ვოჯი — 160
ცხე დიდი — 7, 12, 22, 84, 163, 178, 206, 207, 213, 220
ცხინვალი — 5

ძამა (მდ.) — 5
ძეგვი — 200, 202, 215
ძველი წიწამური — 187
ძველი შეხეთა — 8, 13, 162, 163, 166, 215
ძუძესწყარო — 188, 219

წედისი — 211
წინა აზია — 7, 42, 75, 78, 236
ოიწამური — 183
წიწამური — 6, 8, 13, 19, 22, 59, 65, 69, 71, 74, 76, 77, 82, 83, 85, 102, 129, 161, 178, 182, 184—189, 193—199, 216—223, 226, 227, 230, [illegible]
[illegible] — 190—191
[illegible] — 186
[illegible] — 6, 7, 11, 15

ჭორეხი (მდ.) — 9

ხაზარეთი — 242
ხაკი — 176
ხეთა — 176—178
ხეკორძული — 215
ხოვლე ვორა — 7
ხონი — 15
ხუნანი — 5, 6, 9, 15, 163

ჯაკი (სოფ.) — 12
ჯაკის წყალი — 191
ჯვარი — 21, 244, 188
ჯოჯოხეთის ხევი — 206

ჭალა — 12
ჭარმაზიკი — 128, 161, 183, 187, 189, 190, 197
ჭარეხი — 6, 163
ჭარხასი — 12
ჭარხასტეს — 12, 165

Абакан — 76
Азербайджан — 68, 89
Азия — 128
Арагви (р.) — 171, 184, 185, 188, 189
Араганское ущелье — 185
Арагон — 189
Армазн — 12, 113, 139, 147, 149, 150, 166—169, 171, 176, 178, 188, 232
Армазика — 184
Армазисхеви — 76
Армазиг — 13, 127
Армазская гора — 166
Армазкий замок — 189
Армазское ущелье — 166
Армазцихе — 19, 166, 184, 188, 189
Армастика — 133, 169
Армозика — 167
Архозике — 189
Армения — 8, 10, 109, 128, 159, 160, 161, 170, 184, 232, 233, 241
Ассирия — 195

Багинети — 189
Бебрисцихе — 185, 187, 188

Бердзие Джавах — 189, 190
Боспор — 46, 56—58, 70, 71, 7[illegible]

Вавилон — 40, 195
Ваши — 74
Восточное Черноморье — 7

Гармаэикия — 166
Гармозике — 128
Гарни — 127, 128, 193
Гогарене — 207
Голгене — 207
Гоги (Кинжий) — 71
Грузия — 9, 10, 14, 21, 68, 89, 92, 113, 115, 118, 126, 133, 139, 141, 149—151, 159, 160, 170, 207, 222, 230, 231
Дигомское поле — 133

Закавказье — 126, 168
Земо Апчала — 219

Иберия — 12, 73, 128, 146, 170, 188
Иверия — 170
Илурат — 71

Кабарда — 233
Кавказ — 127, 128, 131, 155, 188, 207, 219
Камбизене — 207
Карсани — 166, 167, 189
Карсанское ущелье — 189
Каспийское море — 92
Кодмани — 167

Колхида — 75
Кеанское ущелье — 178
Кура — 92, 131, 132, 166—168, 170, 171, 184, 185, 188, 189
Крым — 134

Мидийское царство — 7
Мишемаур — 80
Мирсечий — 47
Мусасир — 161
Мцхета 13, 14, 17, 76, 113, 115, 118, 126—128, 131—134, 139, 141, 145, 149, 151, 152, 155, 166—168, 171, 183—188, 207, 222, 230—232, 235, 241

Нагри — 176
Нагри-Урарту — 78
Нахчыбакени — 135, 169
Нахичевани — 185
Нахчар — 185, 187, 188, 189
Нахчар-Небисцихе — 189
Нинский Гора (Дабла Гора) — 71

Ольвия — 46, 71, 74, 105

Пантикапей — 74
Парфия — 128

Рим — 128, 146, 155, 156

Саваслане — 207
Саваслене — 207
Сакене — 207
Савине — 207
Самтавро — 21, 89, 185, 189, 207, 209, 230, 231, 235, 241
Саркине — 188, 207
Саркинет — 207
Саркинети — 207
Сарматские ворота — 189
Севсамора — 13, 163, 167, 183—185, 187, 189
Синай — 177
Сисахан — 207
Страбенова Севсамора — 184

Тбилиси — 168
Тиритака — 47
Тифлис — 9, 133, 171
Триалети — 69, 117

Урарту — 27, 78, 161, 176

Фазис — 75

Хакасия — 76
Херсонес — 27, 47, 48, 55, 74, 77
Хеттское царство — 195
Хордзене — 207

Цицамури — 13, 183, 189
Цоходиан — 207

Шиомгвимская пустынь — 183
Шумер — 136

Armaktika 167
Armazi 113
Armenia 184
Caucase 18
Georgia 113, 149
Harmastis 167
Mechsisda 10
Mestlit 10
Mzhetha 122

South America 102
Tiphlis 9
Ur 76
Vaticano (città di) 185
Ἀρμαχτίκα 167
Ἀρμαχτίκα 167
Ἀρμαζίκη 166, 167, 184
Κερζηδών 140
Σισάμορα (Σεσάμορα) 129, 183, 198, 217

შემოკლებათა განმარტება

ბეორგიკა — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითური გამოსცა და განმარტებები დაერთო სიმონ ყაუხჩიშვილმა.

ენიმკის მოამბე — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ორგანო (თბილისი).

მიმომხილველი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ორგანო.

მუზეუმის მოამბე — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ორგანო.

მცხეთა I — მცხეთა — არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება — ქართლის ცხოვრება — ტექსტი დადგენილი, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, ტ. II, თბ., 1959

ქრონიკები — ქრონიკები და მასალები საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტფ., 1892.

ВДИ — Вестник Древней Истории.

ЗКОРГО — Записки Кавказского Отделения Русского Географического Общества.

ЗОЛКА — Записки Общества Любителей Кавказск Археологии.

ИАК — Известия Археологической Комиссии.

ИГАИМК — Известия Государственной Академии Истории материальной культуры.

ИКИАИ — Известия Кавказского Историко-Археологического Института

КС — Краткие Сообщения о докладах и полевых исследованиях Института Истории Материальной Культуры

МИА — Материалы и Исследования по Археологии СССР

Мцхета I — Мцхета. Итоги археологических исследований, т. I, Тб., 1958.

Опис. рукописей — Е. С. Такайшвили. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения

РАНИОН — Российская Ассоциация Научно-Исследовательских Институтов Общественных Наук.

СА — Советская Археология

ტაბულების აღწერილობა

I. 1. ბაგინეთი. ქართლის შთის დასასრული და ტერასოვანი ზეკანი, რომელზედაც მცხეთის შიდაციხე-არმაზციხე იყო გაწენებული. 2. ბაგინეთის ქვედა ტერასა. გალხრილი უბნის საერთო ხედი დასავლეთიდან.

II. 1. ქართლის შთის დასასრულის საერთო ხედი ჩრდილოდასავლეთიდან (ელდმანიდან). 2. ბებრის ციხის ნაგრეგები. მეორე პლანზე მოსჩანს წიწამურის უბანი და ზედაზენი. 3. გრძელი მინდორი — მცხეთის სარკინე უბანი გალხრილებამდე. აქ აღმოჩნდა სარკინე უბნის ნგლეთონეთა სახელოსნოების ნანგრეგები.

III. 1. წიწამურის სერი (გორა). ხედი დასავლეთიდან. 2. წიწამურის სერი (გორა). ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. 3. წიწამურ-ბებრისციხის გამაგრებული სისტემის სანი. ხედი წიწამურის სერიდან. მარცხნივ მოსჩანს სამთავროს მინდორი და მცხეთა.

IV. მცხეთა. ხედი აღმოსავლეთიდან (ყვრიდან). წინაპლანზე ჩანს საცალფეხი ხიდი მდ. არავეზე, ზაპესის წყალსაყრელის აშენებამდე.

მდ. მტკვრის ხეობა მცხეთის დასავლეთით. 2. მდ. მტკვრის ხეობა მცხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ ხეობებს მიუყვებოდა ძველი საეკერო მაგისტრალი.

VI. 1. ეფლისციხე. კლდეში გაშოკეთილი გზა — კლდეკარი. 2. შიომღვიმე. მონასტრის კომპლექსი და გამოქვაბულები.

VII. არმაზთა კერძო ქალაქი. არმაზციხე I. 1. ქვათლილთა წყობა ბაგინეთის ქედის უკიდურეს (აღმოსავლეთ) მწვერვალზე. აქ ივარაუდებოდა საკერპე. წყობაც კერპის პოსტამენტის ან სათეალთვალო გოდლის ნაშთი უნდა იყოს.

2. იგივე. გათხრისა და შემოწმენდის შემდეგ.

3. გალავნის ფრაგმენტი — საფეხურებრივ ნაწყობი ქვათლილები, რომლებიც მიწის ზემოთ იყო დაცული. პირველად ამ წყობას ყურადღება მიაქცია დ. ქეთათელაძემ, 1889 წელს.

4. არმაზციხის გალავნის ერთი მონაკვეთი. ბაგინეთის II უბანზე. ამ ადგილას ალიზის წყობა თითქმის 6 მეტრის სიმაღლეზე შემოინახა.

5. ქვათლილთა წყობა, რომელზედაც ალიზის გალავანი იყო ამართული, ბაგინეთის III უბანზე.

VIII. არმაზციხე 1. 1. ქვედა კოშკის საძირკველი ბაგინეთის III უბანზე. ამგვარად ნაწყობი ქვათლილები ერთიმეორესთან უწყვეტით იყო გადაბმული. „საფეხურთა" თარაზული ზედაპირი ალიზის წყობის სიმტკიცეს უზრუნველყოფდა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 2. იგივე. წინა პლანზეა კოშკის სამხრეთი კედელი. მარჯვენა ზედა კუთხეში ალიზის წყობა ჩანს.

IX. არმაზციხე I. 1. ბაგინეთის III უბნის ქვედა კოშკის ქვათლილებით ნაწყობი საძირკველი. 2. იგივე წყობა. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. საფეხურედი წყობის ზედაპირზე ჩანს ქვათლილთა გადასაბმელი ფუჭყვეტის ბუდეები (ე. წ. „ფერცხლისკუდა" ფოსოები). 3. ალიზების ნიმუშები იმავე უბანზე. 4. ქვათლილთა წყობა საცდელ თხრილებში.

X. არმაზციხე I. 1. ბაგინეთის III უბნის ქვედა კოშკის საძირკვლის ფრაგმენტი, სადაც რომელი მონეტები აღმოჩნდა. 2. ბაგინეთის III უბნის ზედა კოშკის ჩრდილო-დასავლეთი კედელი და დასავლეთი კედელი, რომელზედაც 4—5 მეტრის სიმაღლის ალიზის წყობა შემოინახა.

XI. არმაზციხე I. 1—3. ბაგინეთის II უბნის გალავნისა და კოშკის ქვათლილებისგან ნაწყობი საძირკველი — გამართული კლდეში ამოკვეთილ ბუდეებში. 4. ბაგინეთის III უბნის უძველესი კოშკის შემორჩენილი ფრაგმენტი. 5. ბაგინეთის II უბნის ცენტრალურ კოშკთან შემონახული ალიზის გალავნის ფრაგმენტი თხრის დროს.

XII. არმაზციხე I. 1. ბაგინეთის I უბანი. სვეტებიანი დარბაზის ნანგრეგები თხრის პროცესში. დარბაზის ჩრდილო კედლის გაძმონგრეულ ქვათლილთა შორის მოჩანს სვეტის ძირიც. 2. იგივე. სვეტებიანი დარბაზი თითქმის მოიხსნა. დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ქვათლილებზე ამოყვანილი ალიზის წყობა შეიმჩნევა.

XIII. არმაზციხე I. 1. სვეტებიანი დარბაზის დასავლეთი ნაწილი. ქვათლილთა შორის ჩანს ორი სვეტისძირი. 2. სვეტებიანი დარბაზის აღმოსავლეთი ნაწილი, დარბაზში ჩასასვლელი საფეხურებითურო.

XIV. არმაზციხე I. 1. სვეტებიან დარბაზში ჩასასვლე-

ლი სიფუძეებები. 2. შეკრული სიტყვებიან- ორმაბას სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, შენობის წინ. 3. სვეტისძირები თავიანთ ადგილზე დგანან. სვეტ-ნარი დარბაზს ორ თანასწორ ნაწილად ყოფდა. ეს ეს ჩანს ფანჯარებელი სვეტისთავები.

XV. არმაზციხე I. სვეტებიანი დარბაზი ვათხრისა და ფასავლეთი კედლის ნაწილობრივი რესტავრაციის შემდეგ. მარცხენა ფანჯრიდ ჩანს არმაზციხე II-ის დროინდელ ნაგებობათა ნაშთები.

XVI. 1—3. ფრაგმენტები არმაზციხე II-ის დროინდელი ნაგებობისა, რომელიც ნაწილობრივ მიწის ზემოდაც შემორჩენილა და გათხრისას მთლიანად გამოვლინდა. წყობაში არმაზციხე I-ისაგან დამახასიათებელი ქვათლილებია ვიმოყენებული და ფეიერბიც. მეორე სურათზე ჩანს არაჩვეული ნარწერის ფრაგმენტი. 4. არმაზციხე I. სამსვეტიანი-სვეტებიანი დარბაზის წინ. 5—6. მარნის ფუძეა, ქვაში ქვევრის ძირები ჩანს (სურ. 5), ხალიჩა ოთახიში (სურ. 6) ეროვნულ ნაგებობა ქვევრთა ბრბეა.

XVII. არმაზციხე II. 1. ამ სანის ნაგებობათა კომპლექსის ერთ-ერთი კედელი ზედ გადაფარული სვეტებიანი დარბაზის სამხრეთ კედლის ქვათლილთა წყობას. გადაკეთილ ადგილის არმაზციხე II-ის დროინდელი ნაგებობის საძირკველი გაძლიერებული. 2. არმაზციხე II-ის დროინდელი სასახლის ტიპის ნაგებობის ფიალური შესასვლელი.

XVIII. არმაზციხე II. 1. უძველესი ფენის ქვათლილებ ბერკეტის როლს ასრულებენ დღეებით ნაგებ კედლებში, ხელი აღმოსავლეთიდან. 2. იგივე — ხელი ჩრდილოეთიდან.

XIX. 1—2. არმაზციხე I-ის დროინდელი (და იმავე ტიპის) ნაგებობა ვორისციხეზე. პირველ სურათზე პროფ. გ. ნორაძე ათვალიერებს გადმონგრეულ მონაკვეთს. 3. მეზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარის (ავლილის კარის) გალაკნის ფრაგმენტი. 4. საძირკვლის ეზეშად დამეშავებულ ლოდზე ბერძნული დედლეა ამოკვეთილი (შუა ლოდზე).

XX. შიდაცხის ანანო. 1—2. გათბობის იატაკქვეშა სისტემის ნაშთები; 3. ბიდრავლური ხსნარით შელესილი ავი და საშხაპე ოთახები. 4. ანანოს ხელი დასავლეთიდან. პრეპარაციის შემდეგ.

XXI. შიდაცხის ანანო. 1,3. გათბობის სისტემის დეტალები — შემორჩენილია მრგვალი და ოვალურ-ტეხილი ალვეთი ნაწყობი სვეტის ძირები; 2.5. წყობის ნიშნები — გამოყენებულია ალვერი და კრამიტის ნატეხები; 4.6. საანანო და წყალგაყვანილობის თხრილ-მილები.

XXII. შიდაცხის (ბაგინეთის) ანანოს ორი განყოფილების (ვათბობის სისტემის, საანანოს და საშხაპის) საერთო ხიფი საერთო-აღმოსავლეთიდან.

XXIII. შიდაცხე (ბაგინეთი). წყალსადენის ფრაგმენტები: 1. ქვის ღარებით ნაწყობი ერთ წყალსადენი; 2—5. ფასონური წყალსადენი, ნაწყობი ფიქლის მილებით.

XXIV. ბეზეთის ანაგვისკარის სამაროვნის (სამთავრო) ქვევრსამარხთა ჯგუფი. 1,7. 1938 წელს სამხრეთ უბანზე გათხრილი ქვევრსამარხი № 57 — ვასნამდე და პრეპარაციის შემდეგ; 2. ქვევრსამარხები № 30—33 (1939 წლისა); 3. ქვევრსამარხი № 7 (1938 წ. სამხრეთი უბანი); 4. ქვევრსამარხი № 21 პრეპარაციის შემდეგ (1939 წ. ჩრდილოეთი უბანი); 5. ქვევრსამარხი № 6 პრეპარაციის შემდეგ; 6. ქვევრსამარხი № 6 ვასნამდე — ქვევრის ბიჭვე ვრაფიტა მიფარებული (1939 წ. ჩრდილოეთი უბანი).

XXV. მეზეთის ანაგვისკარის სამაროვანი (სამთავრო). კრამიტსამარხთა ჯგუფი. 1. კრამიტსამარხი № 63 პრეპარაციის შემდეგ (1938 წ. ჩრდილოეთი უბანი), ხელოვნებმეცნ. მეცნიერების წინ ორი ბეჭედი ფიცარ; 2. კრამიტსამარხი № 55 სახურავის ანდის შემდეგ (1938 წ. ჩრდილოეთი უბანი); 3—4. მიწაგადაცვლილი კრამიტსამარხების გარეგანი ხედი ვასნამდე — სასვენებლის ასამდე (1939 წ. სამხრეთი უბანი).

XXVI. მაგნეოლეების ტიპის ალვილა ალმოჩენილი მეზეთის ბელ ხიდთან. ქარიტის (ბაგინეთის) მთის ჩრდილო კალთის ძირს. 1. ალვილის ხელი ფარშემოვლილის შემდეგ, ვასნამდე; 2. იგივე ალვილა ვასნის შემდეგ.

XXVII. ბაგრატიონ ეფენის სამანიანი ანმაზ-სასეთან. 1. მეზეთე სამარხი ოჩეფერდასახულია. სახურავის ლოდები ბეჭედის ალვეთი — ფიქრებითია ფარეული. ალვილა ჩანდეოლეთ. 2. მიალანდაფეფილი სამარხები — სარკოფაგები № 6 (მარცხენა, — ალვილის ალვილა) და № 7 (მარცხენა, — ალვილის ალვილა) ვასნამდე.

XXVIII. ბაგრატიონ ეფენის სამაროვანი ანმაზ-სასეთან. 1. მესამე (ბერძენა ბეჭედმ.) სამარხი პრეპარაციის შემდეგ. სარკოფაგის ფუძეში სასანური ალმოსავლეთ ნაწილია თავმოყრილი. ალვილა ალვილის ძალები ნარწერიან ლაბიანზე ამოკვეთილი სამარხის საშხაპეზე. 2. ალვილა სამარხი პრეპარაციის შემდეგ. სამარხის ალვილა ლოდი დგას, რომელზედაც ნაგებობის მეტი ნაწილი ეყარა. 3. მეშვიდე სამარხი ვასნის შემდეგ. ნაგებობა და ჩონჩის ფრაგმენტთა გაერთიანება ეკიდენენ, რომ მიცვალებული სამარხის ჩრდილო ნახევარი მიცვალებულისთვის დაეტოვებინა ჩანს. მიო უნეტეს, რომ სამარხის ნაწილები ალვილა შეეფილი ან ალ ალ.

XXIX. 1. ბაგინეთის კალეკანში ალმოჩენილი სარკოფაგის ზედა და ქვედა ნაწილების გადასვა ტაინის კაბეებით. 2. კრამიტსამარხი № 240 სამთავროს სამაროვნისა. ვასნამდე. 3. ბაგინეთის კალეკანში ალმოჩენილი მოლანდად ალვილი სამარხი — სარკოფაგი — მეფისა თუ მეფის ასულის სამარხი ვასნამდე. 4. ბაგინეთის კალეკანთან ვათხრილი მაგნეოლეუმის ტიპის ალვილის ნანგრევი. 5. კრამიტსამარხი ბაგშვისა. სამთავრო.

XXX. 1—2. სამთავროს სამაროვნის 212 სამარხი ვასნამდე (1) და ვასნისა და პრეპარაციის შემდეგ (2). 3. ბაგშვის კრამიტსამარხი ჩიდვეული არმაზისხევის მაგნეოლეუმის ტიპის ნაგებობანი, პირველ სამარხთან. 4. ბაგშვის კრამიტსამარხი სამთავროს სამაროვანზე. ჩონჩი ხელოვნმეცნ. მდგომარეობაშია.

XXXI. კამარახევის სამაროვანი — 1. სამარხი № 19 და 2. სამარხი № 12.

XXXII. კამარახევის სამაროვანი. სამარხი № 11, 1. ხელი ზევიდან; 2. ხელი გვერდიდან.

XXXIII. საერისთავო უბნის სამაროვანი არმაზისხევთან. 1—2. I სამარხის ინვენტარის ძირითადი ნაწილი.

XXXIV. საერისთავო უბნის სამაროვანი არმაზისხევთან. 1. მეექვსე სამარხ-სარკოფაგში აღმოჩენილ ოქროს სამკაულთა უფთავრესი ჯგუფი. 2. მეშვიდე სამარხ-სარკოფაგში აღმოჩენილი ოქროს სამკაულთა უმნიშვნელოვანესი ჯგუფი.

XXXV. საერისთავო უბნის სამაროვანი არმაზისხევთან. სიუხვის ქალღმერთის ჰორელიეფური გამოსახულება — ვერცხლის პინაკი (მეექვსე სამარხი). 1. ჰორელიეფი — დეტალი; 2. ჰორელიეფი ვერცხლის პინაკში.

XXXVI. საერისთავო უბნის სამაროვანი არმაზისხევთან. ვერცხლის პინაკი, რომელშიაც ძაბაკაცის მკერდსნაფეხა ბიუსტია ჩადგმული. 1. ბიუსტი — დეტალი; 2. ბიუსტი ვერცხლის პინაკში (მეექვსე სამარხი).

XXXVII. საერისთავო უბნის სამაროვანი არმაზისხევთან. ვერცხლის პინაკი, რომელშიაც ანტონიოს ბარელიეფურ გამოსახულებაა შედალითია ჩაკრული: 1. ანტონიოს ბარელიეფური გამოსახულება — დეტალი; 2. პინაკი, რომელშიც შედალითია ჩაკრული (პირველი სამარხი).

XXXVIII. არმაზციხის კლდეკარში აღმოჩენილი სამარხი — სარკოფაგი. სამეფო სავარძლისა თუ სარეცლის ქანდაკოვან ფეხთა ვერცხლის გარსაკეთები (აღმოჩენილია ოთხი ცალი).

XXXIX. არმაზციხის კლდეკარში აღმოჩენილი სამარხი-სარკოფაგი. ვერცხლის ჭურჭლეულის ერთი ჯგუფი.

XL. არმაზციხის კლდეკარში აღმოჩენილი სამარხი-სარკოფაგი. ვერცხლის ჭურჭლის ჯგუფი. 1—2. ღრმა ჯამები; 3. ამონაკვრი ფსკერის გარეთა ზედაპირზე; 4. წერტილოვანი წარწერა ფსკერის გარეთა ზედაპირზე.

XLI. არმაზციხის კლდეკარში აღმოჩენილი სამარხი-სარკოფაგი. 1. ვერცხლის ჯამი, შემკული ეახის ფოთლებითა და ყურძნის მტევანთა სტილიზებული გამოსახულებებით; 2. ვერცხლის ლამბაქი, რომლის პირს რელიეფური სახეებით შემკული ზოლი შემოუყვება. 3. ვერცხლის ლამბაქი, რომლის პირს ზოდიაქოს რელიეფურ გამოსახულებიანი ზოლი შემოუყვება; 4. ვერცხლის მოზრდილი ცალყურა ჯამი.

XLII. საერისთავო უბნის სამაროვანი (არმაზისხევი). მეექვსე სამარხ-სარკოფაგში აღმოჩენილი სარეცლის ფეხთა ნიმუშები.

XLIII. საერისთავო უბნის სამაროვანი (არმაზისხევი). მესამე სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ლანგარი (2), მისი მედალიონი (1) და კიდის სამკაულის ნიმუში (3).

XLIV. ვერცხლის პატერა არმაზისხევის საერისთავო სამაროვნის მეექვსე სამარხიდან (1); სარგვეშის ვერცხლის თასი (2) და არმაზციხის (ბაგინეთის) კლდეკარის სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის ლამბაქი, რომლის კიდე ზოდიაქოს ნიშნებისახულებითაა შემკული. ლამბაქზე იდვა ოქროს ხეია გარსაკრავი (შესაძლოა სამეფო ალმის ტარისა).

XLV. სარგვეშის ვერცხლის თასი, რომლის კალთები გარეთა ფაარზე შემკულია სასანელთა სამეფოს დიდებულთა გამოსახულებებით. სულ ოთხი მედალიონი.

XLVI. 1. ოქროს საშუალე გვირგვინის ნაწილი (სამთავრო, სამარხი № 139, 1939 წ.); 2. ვერცხლის სურის სამკაულის დეტალი (სამთავრო, ქვის სამარხი № 212, სამხრეთი უბანი); 3. ვერცხლის სურის სამკაულის ნაწილი (სამთავრო, ქვის სამარხი № 212, სამხრეთი უბანი); 4. ოქროს ყურსაკიდები, აღმოჩენილი სამთავროს სამაროვნის სამხრეთი უბნის 148-ე კრამიტსამარხში; 5. მარგალიტით შემკული წყვილი საყურე იმავე სამარხიდან. 6,9. ყურძნის მტევნისებრი მასიური ოქროს წყვილი საყურე სამთავროს სამაროვნის 177-ე კრამიტყუთიდან; 7,8. ბორის ვერცხლის სურის სამკაულის ნიმუშები.

XLVII. ფინისა (1,3) და ვერცხლის ჭურჭელი. მცხეთა (1) და არმაზისხევი.

XLVIII. მცხეთაში აღმოჩენილი წარწერები: 1. მეთერთმეტე წარწერა — შარაგას ერისთავის წარწერა. 2. მეთორმეტე წარწერა — არმაზის ბილინგვა. 3. მესამე წარწერა — მცხეთის მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის წარწერა; 4. პირველი წარწერა — მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა.

XLIX. 1. მერვე წარწერა — ბერსუმა ერისთავის სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგრის ფსკერზე გამოყვანილი წერტილოვანი წარწერა. 2. მეხუთე წარწერა—ასპარუგ ერისთავის ბეჭდის თვალზე ამოკვეთილი წარწერა. 3. მეექვსე წარწერა. საერისთავო უბნის პირველ სამარხში აღმოჩენილი ოქროს სარტყლის ერთ-ერთი ბალთის თვალზე ამოკვეთილი წარწერა. 4. მეორე წარწერა — 1872 წელს აღმოჩენილი ებრაული ეპიტაფია. 5. მეოთხე წარწერა— 1958 წელს აღმოჩენილი ებრაული ეპიტაფია.

L. მცხეთის მეშვიდე წარწერა — წარწერა გამოყვანილი საერისთაო უბნის სამაროვნის მეორე სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკის კიდეზე, გარეთა მხარეს.

LI. 1—5. ზემოაკეკალაში, დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარის გალავნის ქვათლილებზე ამოკვეთილი ბერძნული ასოები; 6. არამეული წარწერა არმაზციხის (ბაგინეთის) ქვედა ტერასზე შემონახულ ნაგრეკთა ერთ-ერთ კედელზე.

LII. წიწამურის უბანი. არმაზციხე პირველის ტიპის ნაგებობანი წიწამურის სერზე. 1. ქვათლილების გადაბმა შვეული სამაგრებით; 2. ქვათლილების თარაზული გადაბმისათვის ამოკვეთილი ფუწკეტის ბუდეები.

LIII. წიწამური. ქვათლილთა უწყვეტით გადაბმა სხვადასხვა მონაკვეთზე.

LIV. წიწამური. ქვათლილთა საძირკვლის ზომრგალება (1) და ქვათლილთა ერთიმეორესთან გადაბმის ნიმუშები.

LV. წიწამური. ქვისსაკრეელი იარაღი წყობაში ჩარჩენილა. (1); ნაგებობის საძირკვლის ფრაგმენტი.

LVI. წიწამური. წყობაში გამოყენებული ქვათლილების ნაშეშები. ერთზე ისრისებრი უწყვეტის ბუდეა ამოკრილი (1), ხოლო მეორეს მკაფიოდ ეტყობა ქვის საკრელი ცალწვეტას კვალი (2).

LVII. სარკინე. რკინის საწური სახელოსნის ნანგრევები საკანეს ქედთან.

LVIII. სარკინე. ჩუქურთმოვანი ფრაგმენტები გრძელი მინდვრის რკინის გამოსადნობ სახელოსნოთა ნანგრევებში (1—2).

LIX. სარკინე. ჩუქურთმოვანი ხეროთმოძღვრული ფრაგმენტები აღმოჩენილი გრძელი მინდვრის პირველ თხრილში.

LX. სარკინე. საკანეს ქედთან აღმოჩენილი ნაგებობის ნანგრევები გაუხრა-გაწმენდის შემდეგ (1); ქვათლილთა დამუშავების (გათლისა და მოკოდვის) კვალი სარკინეს ნაგებობებში (2,3).

LXI. სარკინე. გრძელი მინდორი. იონური რიგის სვეტისთავი (1); რკინის გამოსადნობი ქურის ნაგებობათა კომპლექსის ალიზით ნაწყობი კედელი (2), საკანეს ქედთან.

LXII. სარკინე. რკინის გამოსაწურ სახელოსნოთა ნარჩენები. რკინის წიდა ქურის იატაკზე დაღვენთილი.

LXIII. სარკინე. გრძელი მინდორი. რკინის სახელოსნის ნანგრევები და მათთან დაცული განახშირებული მორები (1); სახელოსნის წინ ნაპოვნი რკინისტარიანი ნიჩაბი, რომლითაც ქერა უნდა გამოეხვეტათ ხოლმე (2).

LXIV. სარკინე. სახელადე რკინა, აღმოჩენილი გრძელი მინდვრის ერთ-ერთ სახელოსნოში (1); სანახევროდ გამოქვედილი ცული (2) და რკინაწიდა, რომელიც უხვად შეიცავს რკინის ნარჩენებს (3). აღმოჩენილია გრძელი მინდვრის ერთ-ერთი სახელოსნის ნანგრევებში.

ბოლოსიტყვა

საქართველოს ძველი ქალაქების შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. მიუხედავად ამისა, საქალაქო ცხოვრებისა და წყობილების მრავალი საკითხი ახლებურ განხილვასა და გამოკვლევას ელის. განსაკუთრებით ითქმის ეს ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქალაქების შესახებ. საქართველოს ძველი ქალაქების შესწავლა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად დაწინაურდა, უმთავრესად იმის გამო, რომ სულ უფრო და უფრო ფართოდ გაიშალა საქალაქართა არქეოლოგიური შესწავლა. ნაქალაქართა გათხრის შედეგები საფუძველს ქმნიან დაიწყოს არქეოლოგიურ მონაპოვართა გამოქვეყნება და მათი უფრო ფართოდ გამოყენება საკვლევი პრობლემის შესწავლისას. ამ მიზანს ემსახურება, ავტორის აზრით, წინამდებარე ნაშრომიც.

ავტორს ჰქონდა ბედნიერი შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო სამთავროს, არმაზისხევის, ბაგინეთის, წიწამურის, სარკინეს, კარსნის და ზემოავჭალის მიდამოებში ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებში და გზადაგზა სათანადო მასალები შეესწავლა. ეს უნდა ყოფილიყო ავტორის წვლილი იმ გეგმის განხორციელებაში, რომელიც შემუშავებული ჰქონდა აკად. ს. ჯანაშიას ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ქალაქების შესასწავლად. სამწუხაროდ, ს. ჯანაშიას, ისევე, როგორც მის სახელოვან მასწავლებელს აკად. ივ. ჯავახიშვილს, არ დასცალდა სათანადო განმაზოგადებელი ნაშრომის დასრულება. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, ავტორის მუშაობაც გაძნელდა და ძველი ქალაქების არქეოლოგიური შესწავლაც დროებით შეფერხდა.

1953 წლიდან ჩვენ კვლავ მოგვეცა შესაძლებლობა მცხეთას დავბრუნებოდით. ამას მოჰყვა წიწამურისა (1953 წ.) და სარკინეს (1954—1956 წწ.) მიდამოებში საძიებო სამუშაოები და გათხრები. ახალმა მონაპოვარმა კიდევ უფრო უკეთ წარმოგვიდგინა დიდი მცხეთა და მისი უმთავრესი უბნები. 1956 წლიდან მუშაობა ისევ ქალაქ მცხეთაში გაიშალა და ძველი დედაქალაქის უბანთა გათხრები დროებით შეჩერებულ იქნა. რაკი ასეთი ვითარება შეიქმნა, ჩვენ გადავწყვიტეთ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ერთგვარი შეჯამება და ამ მასალის საფუძველზე ცდა ანტიკური ხანის ქართლის საქალაქო ცხოვრების წარმოდგენისა.

ნაშრომის დასრულებიდან ხუთიოდე წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად წაიწია წინ ანტიკური ხანის საქალაქო ცხოვრების შესწავლა და. ბუნებრივია, უკანასკნელი წლების გამოკვლევათა გათვალისწინება ავტორის მომავალი მუშაობის ამოცანად რჩება.

წინამდებარე წიგნში აღძრული საკითხები ისე მრავალმხრივია, რომ შესაძლოა სპეციალისტთა ფართო წრის ინტერესი გამოიწვიოს. ასეთი ინტერესის დაკმაყოფილებას ჩვენ მოკლე რეზიუმეს ვერ დავაკისრებთ. ანტიკური ხანის ქართლის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომი უკვე მომზადებული გვაქვს რუსულ ენაზე გამოსაცემად. თუ ასეთი გამოცემა სასურველად იქნება ცნობილი, ავტორი მზად არის საამისოდ წინამდებარე ქართული გამოცემის ყველა ნაკლი გაითვალისწინოს.

წინამდებარე ნაშრომის მომზადებასა და გამოცემაში ავტორი კოლეგებისა და სათანადო დარგების სპეციალისტთა ყურადღებითა და დახმარებით სარგებლობდა. მე სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა მოვახსენო მათ.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობისა და სტამბის, აგრეთვე, ფოტო-ცინკოგრაფიის თანამშრომელთა გულისხმიერება და დახმარება წინამდებარე წიგნის გამოცემის საქმეში.

ანაზომები, ნახაზები და ნახატები შესრულებულია ა. ამბრიაშვილის, ს. ბოლქვაძის, ვ. კანდელაკის, კ. კვეესის, კ. მელითაურის, ლ. სუმბაძის, ი. ციციშვილის, გ. ჭეიშვილისა და გ. ჯაფარიძის, ხოლო ფოტონაბეჭდები — ვ. თულაშვილის, ი. პახომოვისა და ი. ტარუაშვილის მიერ.

შინაარსი

1. შესავალი. ქართლის საეფოს ანტიკური ხანის ქალაქები, მათი წარმოშობისა და საქალაქო ცხოვრების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში . . . . 5—20
2. პირველი თავი. მცხეთის დედაქალაქობის ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლები, მშენებლობის ხელოვნებისა და სამშენებლო მასალათა საკითხები. 21—84
3. მეორე თავი. მცხეთის დედაქალაქობის ხანის სამარხთა ძირითადი ტიპები, აღნაგობა და დაკრძალვის წესი. . . . . 85—124
4. მესამე თავი. მცხეთის დედაქალაქობის ხანის ეპიგრაფიკული ძეგლები . . . . . 125—158
5. მეოთხე თავი. ქალაქის გარეგნული სახე, მისი უმთავრესი ნაწილები და უბნები . 159—221
6. მეხუთე თავი. ძველი დედაქალაქის მოსახლეობა—მცხოვრებთა რაოდენობა, მათი სოციალური და ეთნიკური შედგენილობა . . . . . 222—246
7. საძიებლები . . . . . 247—257
8. შემოკლებათა განმარტება 258
9. ტაბულების აღწერილობა . . . . . 259—262
10. ტაბულები 263
11. ავტორისაგან 327

Апакидзе Андрей Мелитонович

ГОРОДА И ГОРОДСКАЯ ЖИЗНЬ В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ, I

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი გ. გობეჯიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. კონდრატენკო
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ი. გაბუჩილაძე
მხატვარი გ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 1.9.1963; ანაწყობის ზომა 9×12; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 3.9.1963; ქაღალდის ზომა 60×92 1/8;
ქაღალდის ფურცელი 10,58; საბეჭდი ფურცელი 34,64; სააღრიცხვო
ფურცელი 33,14; სააღრიცხვო საგამომცემლო ფურცელი 33,32;
შეკვეთა 294; უე 03748; ტირაჟი 1000
ფასი 2 მან. 50 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5